იბერია-კოლხეთი

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

IBERIA - COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia
in the Classical and Early Medieval Period

№ 18 2024

საქართველოს ეროვნული მუზეუმის
ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტი
GEORGIAN NATIONAL MUSEUM
Otar Lordkipanidze Institute of Archaeological Studies

იბერია-კოლხეთი

**საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი**

IBERIA-COLCHIS

**Researches on the Archaeology and History of Georgia
in the Classical and Early Medieval Period**

18

თბილისი 2024 Tbilisi

EDITORIAL & REVIEWERS BOARD:

Gela Gamkrelidze (*Editor-in-Chief*),

David Braund, Zurab Bragvadze †, Vakhtang Shatberashvili, Darejan Kacharava, Marine Kvatchadze, Goderdzi Narimanishvili, Nino Lordkipanidze, Maia Charkviani, David Mindorashvili, Guram Kvirkvelia, Bidzina Murvanidze.

***

სარედაქციო-სარეცენზიო საბჭო:

გელა გამყრელიძე (*მთ. რედაქტორი*),

ზურაბ ბრაგვაძე †, დევიდ ბრაუნდი, მარინე კვაჭაძე, ვახტანგ შატბერაშვილი, დარეჯან კაჭარავა, მაია ჩარკვიანი, გოდერძი ნარიმანიშვილი, დავით მინდორაშვილი, ნინო ლორთქიფანიძე, ბიძინა მურვანიძე, გურამ კვირკველია.

***

See the web site:
http://dspace.nplg.gov.ge/browse?type=author&value=Gamkrelidze%2C+Gela
http://ancientworldonline.blogspot.com/2014/09/open-access-jpournal-iberia-kolxeti.html
https://georgiannationalmuseum.academia.edu/GelaGamkrelidze
***

სტატიებში წარმოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლებელია არ ემთხვეოდეს ჟურნალის სარედაქციო-სარეცენზიო საბჭოს შეხედულებებს.
***

Address: Otar Lordkipanidze Institute of Archaeological Studies.
A. Purtseladze Str., #1, Tbillisi, 0105. GEORGIA.

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი.
ჟურ. იბერია-კოლხეთი, **№18,** 2024.
ISSN 1512-4207.
UDC 94(479.22)+902.ი.

- CONTENTS -

NECROPOLISES OF FIRST CENTURIES OF CHRISTIANITY FROM *ABKHAZIA*. Irma Berdzenshvili.-------5.

BRONZE SITULAE, BOWLS AND CALDRONS WITH "ZOOMORPHIC "HANDLES FROM GEORGIA.
Nino Sulava.----------17.

GLAZED POTTERY VESSELS OF 1ST-4TH CENTURIES CE DISCOVERED ON THE TERRITORY OF THE *KARTLI* (*IBERIA*) KINGDOM. Koba Koberidze. ----------25.

TERRACOTTA FIGURINES DISCOVERED ON THE TERRITORY OF GEORGIA (5thcent. BCE – 4thcent. CE).
Anna Davitashvili, Maia Charkviani. ----------36.

SHORT OVERVIEW OF BORIS KUFTIN'S RESEARCH AT THE CLASSICAL PERIOD SITES OF GEORGIA.
Tina Abulashvili. ----------58.

THE STUDY OF THE TECHNOLOGY OF METALLURGY OF SEVERAL NON-FERROUS METAL ARTEFACTS FOUND AT KVEMO GOSTIBE. Zizi Tortladze, Givi Inanishvili †. ----------65.

SILVER EWERS FROM THE BURIALS OF THE IBERIAN ARISTOCRACY. Lana Chologauri. ----------75.

ONCE AGAIN ABOUT THE TECHNOLOGY OF BRONZE MATERIAL OF THE ROMAN PERIOD.
Givi Inanishvili †, Teimuraz Parjanadze, Nino Kalandadze. ----------95.

TACITUS' INFORMATION ABOUT GEORGIA (Georgian translation of Latin text with a preface and comments was published by Alexander Gamkrelidze). ----------102.

REVIEWS:
Review - The work - The *Borjomi* District 8th -7th cent. BCE.----------157.
Review - The work - *Tsikhiagora*.---------- 162.
***
MEMORY: Prof. A. Kakhidze, Prof. Sh. Mamuladze, Prof. Z. Bragvadze. ----------166.

PAPERS IN ENGLISH:
THE GRAVE OF KARTLIAN (IBERIAN) ARISTOCRACY FROM ROMAN PERIOD SITE *KHOVLE* (GEORGIA, TRANSCAUCASIA). Vakhtang Shatberashvili. ----------175.
***

SUMMARIES. ----------191.
ABBREVIATIONS.----------200.
***

- შინაარსი -

აფხაზეთის, ქრისტიანობის პირველი საუკუნეების სამარხეული ძეგლები. ირმა ბერძენიშვილი. ----------5.

საქართველოს ,,ზოომორფულყურიანი“ ბრინჯაოს სიტულები, თასები და ქვაბები. ნინო სულავა. ----------17.

ქართლის (იბერიის) სამეფოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ახ.წ. I-IV სს-ის მოჭიქული კერამიკული ჭურჭლის საკითხისთვის. კობა კობერიძე. ----------25.

საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი კოროპლასტიკის ნიმუშები (ძვ.წ. V - ახ.წ. IV სს). ანა დავითაშვილი, მაია ჩარკვიანი. ----------36.

ბორის კუფტინის მიერ ანტიკური ხანის ძეგლებზე ჩატარებული სამუშაოების მოკლე მიმოხილვა. თინა აბულაშვილი.----------58.

ძვემო გოსტიბეს სამაროვნის ფერადლითონწარმოების ნიმუშების ტექნო-ლოგიური კვლევა. ზიზი თორთლაძე, გივი ინანიშვილი†. ----------65.

ვერცხლის სურები იბერიის დიდგვაროვანთა სამარხებიდან (ახ.წ. I - IV სს). ლანა ჩოლოგაური.----------75.

კიდევ ერთხელ რომაული პერიოდის ბრინჯაოს ნაწარმის ტექნოლოგიის შესახებ. გივი ინანიშვილი†, თეიმურაზ ფარჯანაძე, ნინო კალანდაძე. ----------95.

ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ.----------102.

რეცენზიები:

რეცენზია ნაშრომზე — „ბორჯომის ხეობა ძვ.წ. VIII-VII სს-ში“.----------157.
რეცენზია ნაშრომზე — „ციხიაგორა“. ----------162.

***

ხსოვნა:

პროფ. ამირან კახიძე.----------166.
პროფ. შოთა მამულაძე.----------171.
პროფ. ზურაბ ბრაგვაძე.----------172.

PAPERS IN ENGLISH:

THE GRAVE OF KARTLIAN (IBERIAN) ARISTOCRACY FROM ROMAN PERIOD SITE *KHOVLE* (GEORGIA, TRANSCAUCASIA). Vakhtang Shatberashvili. ----------175.

***

SUMMARIES. ----------191.
Abbreviations. ----------200.

ინფორმაცია ავტორებისთვის.----------201.

აფხაზეთის
ქრისტიანობის პირველი საუკუნეების
სამარხეული ძეგლები

ირმა ბერძენიშვილი

წინამდებარე სტატიაში მიმოხილულია აფხაზეთის სამარხეული ძეგლები ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში. ეს საკითხი 2006 წელს ჩვენს მიერ დაცული დისერტაციის ერთ-ერთი პარაგრაფი გახლდათ. დისერტაცია აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელების საკითხს მიეძღვნა, სადაც არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით მიმოხილული იყო რეგიონში ახალი მრწამსის გავრცელება IV-VIII საუკუნეებში.

წინამდებარე წერილში მიმოვიხილავთ აფხაზეთის ქვის სარკოფაგებს, მათ შორის ანთროპომორფულ სარკოფაგებს, რომელთა უახლოესი ანალოგია ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის მიმდებარედ აღმოჩენილი სარკოფაგი, რომელსაც მხოლოდ 2011 წელს მივაკვლიეთ. განვიხილავთ გვიანანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების სამარხთა ძირითად ტიპებსა და დაკრძალვის წესებს.

აფხაზეთის საკითხებზე მუშაობა ქართველი მკვლევარისთვის განსაკუთრებულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. მეტი სიცხადისთვის ალბათ სავალდებულოა ორიოდ სიტყვით ვახსენოთ არსებული პოლიტიკური ვითარება. 1992-1993 წლების აფხაზეთში ომისა და იქ ქართველთა ეთნიკური გენოციდის შემდეგ რეგიონი სრულად ჩაკეტილი და მიუწვდომელია მდ. ენგურს აქეთ მყოფი მოსახლეობისთვის (*მდ. ენგური დღეს De Facto საზღვარია რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და საქართველოს შორის*), რაც ნებისმიერი სახის აქტივობას, მათ შორის კვლევას, ფაქტიურად შეუძლებელს ხდის. სამაგიეროდ, დიდია რუსი მკვლევარების აქტიურობის წილი. 2000-იანი წლებიდან დღემდე ისინი ნაყოფიერ საველე და სამეცნიერო მუშაობას ეწევიან აფხაზეთის ტერიტორიაზე. იწერება და იბეჭდება სტატიები თუ მონოგრაფიები, სადაც აფხაზეთის საკითხი დანარჩენი საქართველოსგან იზოლირებულადაა წარმოჩენილი. უკვე 30 წელია, რაც აფხაზეთი ოკუპირებულია რუსეთის მიერ, სადაც გეგმაზომიერად ნადგურდება, ილახება და იჩქმალება ქართული კვალი.

***

ქვის სარკოფაგები. ადრექრისტიანული ხანის სამარხეულ ძეგლებზე საუბარს დავიწყებთ ქვის სარკოფაგებით. აფხაზეთში ადრექრისტიანული ხანის ოთხი სარკოფაგია შემორჩენილი: სოხუმის, ბიჭვინთის, კამანისა და მრამბის. ორი ქვის სარკოფაგი გაითხარა, აგრეთვე, აბაანთის სამეკლესიან ბაზილიკაში, მაგრამ ისინი, როგორც ჩანს, უფრო მოგვიანო ხანის სამარხებს წარმოადგენენ [Шервашидзе 1975: 20; (*ვსარგებლობ ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დოკუმენტაციის და პუბლიკაციის განყოფილებაში დაცული ლ. შერვაშიძის გამოუქვეყნებელი საველე ანგარიშებით*)]. ყველა ეს სარკოფაგი ქვაშია გამოკვეთილი. მათგან ორი (სოხუმი, ბიჭვინთა) ანთროპომორფული ფორმისაა, რაც ერთიორად ზრდის მათდამი ინტერესს. მსგავსი ქვაში კვეთილი ანთროპომორფული სარკოფაგი დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

სოხუმის კირქვის მონოლითური სარკოფაგი 1954 წელს აღმოჩნდა მდ. ბესლეთის მარჯვენა სანაპიროზე, წითელ ხიდთან, ეკლესიის ნანგრევებთან. იგი აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში ინახება. სარკოფაგი ანთროპომორფული ფორმისაა. სარკოფაგს მასიური კირქვის სარქველი აქვს გრძივი ქედით. როფის სიგრძეა 2,1 მ, სიგანე თავთან – 0,68 მ, სიგანე ბოლოში – 0,40 მ. კედლების სისქეა 0,5 – 0,7 მ. ცნობა სარკოფაგში ძვლების

ან ინვენტარის შესახებ არ მოგვეპოვება [Воронов 1969: 51, ტაბ. VII, 9, 10; Хрушкова 1984: 207] (ტაბ. I,1).

ბიჭვინთის კირქვის მონოლითური ანთროპომორფული ფორმის სარკოფაგი ორფერდა სარქველით 1980 წელს აღმოჩნდა ბიჭვინთის საკათედო ტაძრის სიახლოვეს, მისგან დასავლეთით 30 მეტრის მანძილზე გათხილ ადრექრისტიანულ ტაძარში. ეკლესიის სამხრეთ და ჩრდილოეთ აფსიდაში უინვენტარო ქრისტიანული კრამიტსამარხებიც გაითხარა. სარკოფაგი ტაძრის ჩრდილოეთი აფსიდის დასავლეთით მდებარეობდა. როფის სიგრძეა 2 მ (შიგნიდან), სიგანე – 0,40 მ, კედლის სიმაღლე – 0,30 მ, კედლის სისქე – 0,5 მ. სარქველის კიდეებზე 1 სმ სიღრმისა და 2 სმ დიამეტრის მრგვალი ჩაღრმავებებია დატანილი, როგორც ჩანს სანთლებისთვის. გამთხრელების მიერ სარკოფაგი VI ს-ით თარიღდება [Лорткипанидзе 1981: 403; Лорткипанидзе, Агрба 1982: 30. სურ. 34ა.] (ტაბ. I,2).

სოხუმისა და ბიჭვინთის სარკოფაგების უახლოეს და ერთადერთ ანალოგს საქართველოს ტერიტორიაზე ქუთაისის მუზეუმში დაცული სარკოფაგი წარმოადგენს. როგორც ექსპონატის პასპორტიდან ვიგებთ, ის არქეიელის გორაზე, ნაცვალოვის სამოსახლოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი (ანუ ბაგრატის ტაძრის მიმდებარედ). 1929 წელს სარკოფაგი ქუთაისის მუზეუმში გადაუტანიათ. სარკოფაგი გატეხილია, თუმცა არაა ნაკლული. იგი კირქვის მონოლითისგანაა გამოთლილი. როფის სიგრძეა 2,32 მ, სიგანე – 0.63 მ, სიმაღლე – 0.45 მ, კედლის სისქე – 0.8 მ. სარქველი სავარაუდოდ დაკარგულია (ტაბ. I,3).

კირქვის მონოლითისგან დამზადებული სარკოფაგი ცნობილია სოფ. კამანიდანაც, სოხუმის სიახლოვეს [Хрушкова 1984: 207]. ადგილობრივი ლეგენდის თანახმად მასში იოანე ოქროპირი იყო დასვენებული. ცნობილია, რომ იოანე ოქროპირი 406 წელს დაბრუნდა პირველი გადასახლებიდან კონსტანტინოპოლში, საიდანაც ის მეორედ გადაასახლეს, ამჯერად პიტიუნტში; თუმცა მან პიტიუნტამდე ვერ მიაღწია და გზაში გარდაიცვალა, 407 წ-ის 14 სექტემბერს, პონტოს კამანოს მახლობლად [Хрушкова 2018: 49].

1981 წ. სოფ. მრამბაში, ადრექრისტიანული ტაძრის სიახლოვეს გაითხარა მონოლითური კირქვისაგან გამოთლილი, გეგმაში წაგრძელებული ოვალის ფორმის (2,5X1,0 მ, კედლების სისქეა 0,10-0,11 მ) სარკოფაგი [Бгажба 1983: 405]. მსგავსი ფორმის, მხოლოდ, თიხის სარკოფაგი ცნობილია საქართველოს სხვა პუნქტებიდანაც (დასავლეთ საქართველო: ურეკი, დარჩელი, ლია; აღმოსავლეთ საქართველო: აღაიანი, ნასტაკისი, ურბნისი, წეროვანი, ჯეხიჯვარი (ძალისთან), ბულაჩაური, ქსოვრისი, წილკანი, ოძისი, მცხეთა, ნატახტარი, საგურამო, ატენი, ბორჯომის ხეობა). თიხის სარკოფაგი საქართველოში არსებობას იწყებს ძვ.წ. I ს. (აღაიანი - რიყიანების ველის სამაროვანი), ხოლო ფართოდ ვრცელდება ახ.წ. IV-V სს-ში [მირიანაშვილი 1983: 100-101, 103; მაკალათია 1941: 86-90].

მთლიანი ქვისგან გამოთლილი სარკოფაგები ცნობილია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. გვაქვს როგორც არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი (არმაზისხევი, ბაგინეთი, ბოლნისი, მცხეთა, ვანი, ურბნისი, სვეტიცხოვლის ტაძარი, ანჩისხატი, ნიქოზი, ბალიჭი, რუსთავი), ასევე შემთხევით მიკვლეული ცალებიც (ქუთაისი, ვანი, ურბნისი, სადგერი, დიღომი, კავთისხევი, შულავერი, ბორჯომის ხეობა, ქვემო ალმე) [ჯაფარიძე 1972: 127-129; ჩიტაია 1940: 1-10].

სარკოფაგების უდიდესი ნაწილი გაძარცვულია და მეორეჯერ გამოყენებული, თუმცა მაინც შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ჯგუფი ქრონოლოგიურად განსხვავებული სარკოფაგებისა. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ანტიკური ხანის სარკოფაგები, როგორიცაა არმაზისხევისა და ბაგინეთის გაუძარცვავი ცალები. უფრო ადრეული ხანის სამარხად მიიჩნევენ ვანში აღმოჩენილ სარკოფაგს, მიუხედავად იმისა, რომ ის გაძარცვული, ან მეორეჯერ გამოყენებულია. დანარჩენი სარკოფაგები კი უდავოდ ქრისტიანული ხანის ძეგლებს წარმოადგენენ, რასაც სარკოფაგთა შემკულობა (მაგ.

ურბნისის, სადგერის, ბალიჭისა და რუსთავის სარკოფაგებზე ჯვრის გამოსახულება; ქვემო ალმეს სარკოფაგზე კი ჯვართან ერთად ჯეირნების გამოსახულება) და მათი აღმოჩენის ადგილი ადასტურებს [ჯაფარიძე 1972: 129-130; ჩიტაია 1940: 5, სურ. 2, 3; პაჭიკაშვილი 2000: 22].

საქართველოში აღმოჩენილი სარკოფაგები სარქველის ფორმის მიხედვით რამდენიმე ტიპად იყოფა: ორფერდა სახურავიანი, ბრტყელი ანუ ბანურსახურავიანი, და თაღოვანსახურავიანი. რაც შეეხება როფის, იგივე ტაგრუცის (სულხან-საბა, ა. შანიძე) ფორმას, თიხის სარკოფაგები ძირითადად წაგრძელებული ოვალის ფორმისაა, ქვის სარკოფაგები კი სწორკუთხედის ფორმისა, თუმცა გამონაკლისია ამ შემთხვევაში მრამბის ქვის სარკოფაგი, რომელიც თიხის სარკოფაგთა მსგავსად, წაგრძელებული ოვალის ფორმისაა; რაც შეეხება, ანთროპომორფული ფორმის სარკოფაგებს, ისინი მხოლოდ ბიჭვინთის, სოხუმისა და ქუთაისის ცალებითაა წარმოდგენილი.

III ს-ის მეორე ნახევრიდან დაწყებული (270/80-600 წლებს შორის) რომაულ სამყაროში სარკოფაგთა წარმოების 3 ძირითადი ცენტრი არსებობდა: რომი, რავენა და კონსტანტინოპოლი. მათგან წამყვანი ცენტრი რომი იყო. დღეისათვის რომში ქრისტიანული თემებით შემკული 1200 სარკოფაგია ცნობილი. თუმცა IV ს-ში რომში წარმართული და "ნეიტრალური" თემებით (მაგ. ნადირობის სცენა) შემკული სარკოფაგებიც მზადდებოდა. რაც შეეხება რავენას, აქ 35 ცალი სარკოფაგია შემორჩენილი, ექსპორტი კი რავენიდან საერთოდ არ ივარაუდება. კონსტანტინოპოლში 150 ცალია ცნობილი. ექსპორტი კონსტანტინოპოლიდან არც ისე დიდი იყო. ხშირ შემთხვევაში კონსტანტინოპოლიდან იმპორტირებული სარკოფაგების მინაბაძები მზადდებოდა ადგილობრივ [Koch 2000: 621-627]. ზემოთ ჩამოთვლილი იმპერიის ძირითად ქალაქებს გარდა სარკოფაგთა წარმოება იმპერიის პროვინციებშიც ხდებოდა: იტალია (გარდა რომისა), გალია, რეინის, მოზელისა და დუნაის ხეობები, ბრიტანეთი, ესპანეთი, ჩრდილოეთ აფრიკა, ბალკანეთი და ეგეოსის ზღვის კუნძულები, მცირე აზია, ახლო აღმოსავლეთი (სირია, პალესტინა, არაბეთი), ეგვიპტე [Koch 1995: 115-117]. ამ პროვინციებში დამზადებული სარკოფაგების ექსპორტი ხშირ შემთხვევაში იმპერიის მთავარ ქალაქებში ხდებოდა. მაგალითად ხშირი იყო ალექსანდრიული სარკოფაგების ექსპორტი რომში, მილანში, სპლიტსა (ძვ. სპალატო) და კონსტანტინოპოლში. რაოდენობრივად ყველაზე მეტი სარკოფაგი სირიაშია გამოვლენილი. ისინი იმპერიის ცენტრებში დამზადებული ცალებისაგან განსხვავებით სადად გამოიყურება, მხოლოდ ქრისტიანული სიმბოლოებითაა შემკული და თანმხლები წარწერების საფუძველზე ძირითადად V-VI სს-ით თარიღდება [Koch 2000: 630].

ახ.წ. პირველ საუკუნეებში ადგილობრივი კირქვისაგან დამზადებული სადა სარკოფაგები ფართოდ ვრცელდება ბოსფორსა და ქერსონესში. მათ ფორმათა სიმარტივე და ზედაპირის სისადავე ახასიათებთ. ყველაზე გვიანდელი სარკოფაგი IV-V საუკუნეებს მიეკუთვნება [Пятышева 1949: 11, 19-20].

ქვის სარკოფაგი, როგორც ქრისტიანული სამარხის ერთ-ერთი ტიპი, სათავეს ანტიკურ ეპოქაში იღებს. იგივე ითქმის ანთროპომორფულ ქვის სარკოფაგზეც. ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული სარკოფაგის ეს სახეობა ადრექრისტიანულ ხანაშიც წარმატებით გამოიყენებოდა. არსებობს მოსაზრება, რომ ანთროპომორფული სარკოფაგის ფორმა ეგვიპტური მუმიის სარკოფაგის ფორმიდან განვითარდა [Buhl 1964: 62]. სამეცნიერო ლიტერატურაში ანთროპომორფული სარკოფაგი ცნობილია აგრეთვე სხვა ტერმინითაც, ე.წ. ფინიკიური ტიპის სარკოფაგი, სახელწოდება მათი აღმოჩენის ადგილიდან მომდინარეობს; მსგავსი ტიპის სარკოფაგი პირველად უძველესი ფინიკიის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი [Schilardi 1973: 468]. თუმცა ეს ტერმინი უფრო ანტიკური პერიოდის ძეგლებზე ვრცელდება, და მათი ფორმაც ჯერ კიდევ ძლიერ ჰგავს და იმეორებს ეგვიპტური მუმიის სარკოფაგის ფორმას. მისი არეალი ძირითადად ხმელთაშუა

ზღვის აუზით შემოიფარგლება: არადოსი [Lembke 1998: 97-129], სიცილია (Picco Cannita), ტრიპოლისი, ბიბლოსი, ბერიტოსი, დამასკო, გაზა, ამათუსი, ალექსანდრია, მემფისი [Buhl 1964: 61-76; Buhl 1987: 213-221], სიდონი [Stucky 1989: 147-150], კადიზი [Freijeiro, Sánchez 1981: 236-243], კვიპროსი (ლარნაკა - ძვ. კიტიონი) [Karageorghis 1963: 351-353; Karageorghis 1973: 623-624; Karageorghis 1981: 1007-1019], მოდენა [Piacentini 1992: 3-9], პაროსი [Schilardi 1973: 466-471], Beth-Shean (ჩრდილოეთ ისრაელი) [Dotan 1982: 254-255, ტაბ. 15, 16, 17]. ანთროპომორფულ სარკოფაგთა წარმოების რამდენიმე ცენტრი არსებობდა ხმელთაშუაზღვისპირეთში: სიდონი, არადოსი, სიცილია, კვიპროსი. მათი წარმოება ძირითადად ძვ. წ. V-IV სს-ში ხდებოდა.

ანთროპომორფული სარკოფაგის ყველაზე ადრეული ქრისტიანული ეგზემპლარი (IV ს.) ჩრდილოეთ აფრიკაშია აღმოჩენილი. ადრექრისტიანულ ხანაში ამ ტიპის სამარხის გამოყენება, სავარაუდოდ, მისი ფორმის მსგავსებით იყო გამოწვეული საეკლესიო არქიტექტურასთან. ანთროპომორფული სარკოფაგის აფსიდასა და ეკლესიის აფსიდას შორის კავშირი ცხადად იკითხება. ქრისტიანული ხანის სამარხეული ძეგლების არქიტექტურასთან კავშირი თანამედროვე საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაშიც ჩანს. მაგალითად, ცნობილია საფლავის ქვებად მცირე ზომის, მინიატურული, ქვაში კვეთილი ეკლესიების გამოყენება: ჭობისხევი, ლარები, ვალე, წაღვერი (*ამირან არაბულის ფოტოარქივი*).

რაც შეეხება ანთროპომორფული სარკოფაგების გავრცელებას ადრექრისტიანულ სამყაროში, ისინი არც ისე მრავლადაა გამოვლენილი. შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ რამდენიმე ანალოგი. ადრექრისტიანული სარკოფაგების ცნობილი მკვლევარი გ. კოხი თავის ნაშრომში "Frühchristliche Sarkophage", რომელიც რელიეფებით შემკულ სარკოფაგებს და მათ წარმოება-გავრცელებას ეხება რომის იმპერიაში, ასახელებს ანთროპომორფულ, მხოლოდ გარედან სწორკუთხედში ჩაწერილ სარკოფაგს კონსტანტინოპოლიდან VI-VII სს. [Koch 2000: 414-415, Abb. 51]. მსგავსი ფორმის სარკოფაგები ჩვენთვის ცნობილია სტამბულის არქეოლოგიის მუზეუმისა და აია სოფიას ტერიტორიაზე; ფენარი ისა-ჯამიდან (ძვ. ლიპსას მონასტერი, სტამბული) - VI ს., ცარიცინ-გრადიდან – VI ს., პროვანსიდან (სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთი) - V-VI სს., Tipasa-ს ბაზილიკიდან, კლდეში კვეთილი ანთროპომორფული ფორმის სამარხები ცნობილია Thélepte-დან (ჩრდილოეთ აფრიკა) [Хрушкова 1984: 209; Nikolajević 1980: 306]. ანთროპომორფული, მხოლოდ აგურით ნაგები სამარხი ცნობილია Čalma-დან (სერბეთი). სამარხი ქრისტიანს ეკუთვნოდა, რასაც ინვენტარი - ძველი და ახალი აღქმის სცენებით შემკული ბრინჯაოს მედალიონები ადასტურებს. სამარხი ლიციინიუსის და კონსტანტინეს მონეტებით IV ს-ის შუა წლებით თარიღდება [Nikolajević 1980: 305-306, სურ. 5]. გვხვდება შემთხვევები ძველი, ანტიკური ხანის სარკოფაგების ხელახალი გამოყენებისა. მაგალითად, კუნძულ კვიპროსზე, ლარნაკაში კლასიკური და ელინისტური ხანის ანთროპომორფული სარკოფაგი წარმატებით იყო გამოყენებული მოგვიანებითაც, XI ს-ის სან-ლაზარეს ეკლესიაში [Karageorghis 1973: 624].

აფხაზეთში ანთროპომორფული სარკოფაგების არსებობა შესაძლოა დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელთა აქტიურობის უკავშირდებოდეს. რთული სათქმელია, ეს სარკოფაგები იმპორტია, თუ ადგილობრივი მინაბაძი. სავარაუდოდ ისინი ადგილობრივაა დამზადებული, რადგან იმდროინდელ ქრისტიანულ სამყაროში არსებული სარკოფაგებისგან განსხვავებით, რომლებიც უხვადაა ორნამენტირებული, სოხუმის, ბიჭვინთისა და ქუთაისის ცალები საკმაოდ სადად გამოიყურება. გარდა ამისა, ხშირია შემთვევები ცენტრებისგან მოშორებით, პროვინციებში, მინაბაძების ადგილობრივი დამზადებისა [Koch 2000: 610-620]. რაც შეეხება თარიღს, ბიჭვინთის სარკოფაგი ადრექრისტიანული ხანის ეკლესიაშია აღმოჩენილი, რამაც განსაზღვრა გარკვეულწილად

მისი თარიღი. იგი VI ს-ით თარიღდება. ამავე თარიღს ეთანხმება ზემოთ მოყვანილი მაგალითებიც, რომელიც შეიძლება არაზუსტი, მაგრამ მიახლოებითი ანალოგებია დასავლეთ საქართველოს სარკოფაგებისთვის. სოხუმის სარკოფაგი აღმოჩენილია არა in situ ვითარებაში, თუმცა ტიპოლოგიურად და მასალის რაგვარობითაც იდენტურია ბიჭვინთის სარკოფაგისა და შესაძლოა, აგრეთვე, VI ს-ით დათარიღდეს. რაც შეეხება მათ კუთვნილებას, ისინი მაღალი სასულიერო (შესაძლოა საეროც) წრის წარმომადგენლებს ეკუთვნოდნენ, რადგან მათი დამზადება დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული და მათი აღმოჩენაც ეკლესიებს უკავშირდება. იგივე შეიძლება ითქვას ქუთაისი სარკოფაგზეც, რომელიც ქუთაისის ნაქალაქარის ადრექრისტიანულ ფენებს უნდა უკავშირდებოდეს. დღეის მონაცემებით, არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი უძველესი ეკლესია ქუთაისში IV საუკუნით თარიღდება [ისაკაძე 2009: 138]. ქუთაისიში უკვე რამდენიმე ათწლეულია მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები, რომელმაც IV-VIII საუკუნეების არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი გამოავლინა. ადრექრისტიანული ეკლესიების დიდი ნაწილი კი სწორედ არქიელის გორაზეა გათხრილი. მიიჩნევა, რომ ჯერ კიდევ წინარე ანტიკური დროიდან არქიელის გორა ქვეყნის მთავარ საკულტო-რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა [ლანჩავა 2015: 41-42].

სამარხთა ტიპები და დაკრძალვის წესები. აფხაზეთის გვიანანტიკური და ადრე შუა საუკუნეების სამაროვნებიდან ყველაზე გეგმაზომიერად და სრულყოფილად ბიჭვინთისა და წებელდის სამაროვნებია შესწავლილი. სამარხთა ტიპების მრავალფეროვნებით, უპირველეს ყოვლისა, ბიჭვინთის სამაროვანი გამოირჩევა. ფაქტიურად შეუსწავლელია ხაშუფსეს, აჩმარდისა და ლაფსთის სამაროვნები (მდ. ხაშუფსეს ხეობაში) [Шамба 1974]. მცირე მასშტაბის სამაროვნები გაითხარა ეკლესიების მახლობლად ოჩამჩირესა და განთიადში. IV-VI საუკუნეების სამაროვანი გაითხარა 2002 წელს აჭანდარაში, ბორცვ ცოუხუაზე [Скаков, Джобуа, Брилёва 2003].

აფხაზეთში ადრექრისტიანული ხანის სამარხთა შემდეგი ტიპებია გამოვლენილი: 1. გრუნტული ორმო სამარხები. ეს ტიპი თითქმის ყველგანაა გავრცელებული და სამარხის წამყვან ტიპს წარმოადგენს. წებელდასა და ბიჭვინთაში ამ ტიპის კრემაციული და ინჰუმაციური ფორმები თანადროულადაა წარმოდგენილი; 2. თიხის (აგურის) ფილა სამარხები (ბიჭვინთა, სოხუმი, ოჩამჩირე, განთიადი); 3. კრამიტსამარხები (ბიჭვინთა); 4. ამფორასამარხები (ბიჭვინთა); 5. კირხსნარიანი, დუღაბიანი სამარხები (ბიჭვინთა); 6. ფილაქვებით, აგურით, კრამიტითა და დუღაბით ნაგები სამარხები (სოხუმი, განთიადი, შაპკა); 7. კონგლომერატითა და ლოდებით ნაგები, გეგმაში მრგვალი, ე.წ. ჭასამარხები (ბიჭვინთა); 8. კონგლომერატითა და კვადრებით ნაშენი, გეგმაში ოთხკუთხა სამარხები, (ბიჭვინთა); 9. ქვის ფილებით ნაგები სამარხები (განთიადი); 10. ქვის სარკოფაგები (ბიჭვინთა, სოხუმი, მრამბა, კამანი), რომლებიც ზემოთ უკვე განვიხილეთ.

დასავლეთ საქართველოში გრუნტული ორმო სამარხების კრემაციული და ინჰუმაციური ფორმების თანაარსებობა უკვე ადრეანტიკურ ხანაში დასტურდება. დაკრძალვის ეს წესი ტრადიციული ჩანს კოლხეთისთვის. ისინი თანადროულადაა წარმოდგენილი გუად-იხუს, სოხუმის მთის, ღების, ბრილის, დაფნარის და სხვა სამაროვნებზე [კიღურაძე 1972: 32-37]. ბიჭვინთის სამაროვანზე, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩო II-IV სუკუნეებით შემოიფარგლება, სულ შვიდი კრემაციული სამარხია გათხრილი, რომელთაგან ერთი ინვენტარიანია. დადასტურებულია მიცვალებულის როგორც სრული, ასევე ნაწილობრივი კრემაცია [ლორთქიფანიძე 1991: 154]; რაც, სავარაუდოდ, დაკრძალულთა სქესობრივი სხვაობით აიხსნება. სრული კრემაცია დედაკაცებს უკავშირდება, ნაწილობრივი კი – მამაკაცებს [კიღურაძე 1972: 37]. კრემაციული სამარხები წებელდაში VII ს-ის დასაწყისამდე განაგრძობს არსებობას [Воронов 1969: 62] და მხოლოდ 18,6% შეადგენს, V საუკუნიდან მათი რიცხვი მნიშვნელოვნად მცირდება, რასაც მ. თრაფში ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირებს

[Трапш 1971: 124]. წებელდაში ფერფლი ურნებში თავსდებოდა. ურნებად მოზრდილი პითოსები და ორყურა პირძაბრიანი დოქები გამოიყენებოდა. არ გვხვდება ურნებად ამფორების გამოყენება [Трапш 1971: 22]. დასავლეთ საქართველოში კრემაციული სამარხები ურნით ცნობილია ჩხოროწყუს გვიანანტიკური ხანის სამაროვნიდან [Хоштариа 1941: 67-95].

როგორც წებელდაში, ისე ბიჭვინთაში, ინჰუმაციური ორმოსამარხები მნიშვნელოვნად ჭარბობს კრემაციულს. წებელდაში ინჰუმაციური სამარხი სწორკუთხა ფორმის ორმოა, 1 - 1,5 მ სიღრმის, სადაც მიცვალებული ძირითადად ზურგზე გაშოტილ მგომარეობაშია დაკრძალული, მათი პროცენტული მაჩვენებლი 81,4% შეადგენს. ხელები სხვადასხვაგვარადაა განლაგებული — მკერდზე, მუცელზე, ან სხეულის გასწვრივ. მაგრამ გვხვდება ისეთი სამარხებიც, სადაც მიცვალებული გვერდზე წევს, მოკრუნჩხულ პოზაში. მსგავსი, ფეხმოკეცვით, გვერდზე დაკრძალვა, გამონკლისის სახით, მხოლოდ 15 შემთხვევა, გვხვდება ბიჭვინთაშიც [ლორთქიფანიძე 1991: 113]. აბგიძრახუს ორ სამარხში კი (№9 და №54) მიცვალებულთა ფეხები გადაჯვარედინებულია, რაშიც მ. თრაფში სარმატულ დაკრძალვის წესს ხედავს [Трапш 1971: 121]. მსგავსად, ფეხებ გადაჯვარედინებულადაა დაკრძალული წარჩინებული ქალბატონი ქუთაისში, რომელიც 2009 წელს ბაგრატის ტაძარში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენდა (უფრო ვრცლად იხიელეთ ქვემოთ).

წებელდაში მიცვალებულთა დამხრობა ინჰუმაციურ ორმოსამარხებში სხვადასხვაგვარია, და მათ განლაგებაში რაიმე კანონზომიერება არ იკითხება. დამხრობა ძირითადად ადგილის რელიეფით უნდა ყოფილიყო განპირობებული. შაპკის სამაროვანზე სამარხები ძირითადად სამხრეთით, ჩრდილოეთით და დასავლეთითაა დამხრობილი (თუმცა ეს უკანაკნელი ჭარბობს); წებელდის სამაროვანზე თავი ხშირად დამხრობილია სამხრეთით, იშვიათად – ჩრდილოეთით; აფუშთის სამაროვანზე პირიქით, სამარხთა უმრავლესობა დასავლეთითაა დამხრობილი, მცირე ნაწილი კი სამხრეთით [Воронов 1969: 62]; აზანთაში სამარხთა უმრავლესობა ორიენტირებულია თავით ჩრდილოეთით, და მხოლოდ ერთ შემთხვევაში მიცვალებული თავით დასავლეთითაა დამხრობილი; ლარის სამაროვანზე სამარხები ჩრდილოეთითაა დამხრობილი [Воронов 1969: 60]; რამდენადმე ერთფეროვნადაა წარმოდგენილი სამარხების დამხრობის წესი საგვარეულო სამაროვანზე, მაგალითად, ახაჩარხუზე (სულ გათხრილია 45 სამარხი) სამარხთა უმრავლესობა (33) ინჰუმაციურია, ყველა მათგანი დამხრობილია სამხრეთ-დასავლეთით [Шамба 1970: 13]. აბგიძრახუზე (სულ გათხრილია 58 სამარხი) სამარხები ჩრდილო-დასავლეთით (14), დასავლეთით (7), ჩრდილოეთით (2) და სამხრეთ-დასავლეთითაა (3) დამხრობილი. აჰაცარახუზე (სულ გათხილია 13 სამარხი) სამარხები დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთით (2), სამხრეთ-დასავლეთით (1), და დასავლეთით (1). აუახუამახუზე (სულ გათხრილია 7 სამარხი) - სამხრეთ-დასავლეთით (3). ალრახუზე (სულ გათხრილია 12 სამარხი) სამარხები დამხრობილია სამხრეთ-დასავლეთით (4), ჩრდილო-დასავლეთით (2) და დასავლეთით (2) [Трапш 1971: 222-229]. ჩრდილოეთით დამხრობილი სამარხების არსებობას მ. თრაფში წებელდაში სარმატულ-ალანური გავლენის არსებობას უკავშირებდა [Трапш 1971: 121].

როგორც ვხედავთ, სამარხთა დამხრობაში რაიმე კანონზომიერების დანახვა ძნელია. სავარუდოდ, სწორი უნდა იყოს ი. ვორონოვის მოსაზრება, რომ სამარხთა დამხრობა წებელდაში ადგილის რელიეფით იყო განპირობებული [Воронов 1969: 62].

ბიჭვინთის სამაროვანზე ინჰუმაციური ორმოსამარხები, ინვენტარიანი, თუ უინვენტარო, ძირითადად დასავლეთითაა დამხრობილი [ლორთქიფანიძე 1991: 117]. მაგალითად, 121 ინვენტარიანი ორმოსამარხიდან 43 დასავლეთითაა დამხრობილი, დანარჩენები კი ჩრდილოეთით (20), ჩრდილო-დასავლეთით (20), ჩრდილო-

აღმოსავლეთით (12) და ა.შ. 103 უინვენტარო ორმოსამარხიდან 35 დასავლეთითაა დამხრობილი, 16 – ჩრდილო-დასავლეთით, 11 – ჩრდილოეთით, 10 – ჩრდილო-აღმოსავლეთით, 10 – აღმოსავლეთით და ა.შ. [ლორთქიფანიძე 1991: 161]. თუმცა ბიჭვინთაში უკვე III საუკუნეში არსებობდა მიცვალებულის დამხრობა თავით დასავლეთით და გულაღმა, გაშოტილ მდგომარეობაში დასვენება, უინვენტაროდ [ლორთქიფანიძე 1991: 114].

მკვლევართა შორის დიდი ხანია აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ერთ სამაროვანზე დაკრძალვის სხვადასხვა წესის არსებობა, კერძოდ, ინჰუმაციისა და კრემაციის თანაარსებობა. ქ. ბერძენიშვილის აზრით ეს გამოწვეული იყო ეთნიკური სხვაობით. კრემაციულ სამარხებს იგი აფსილებს უკავშირებდა, ინჰუმაციურს კი – კოლხებს [ბერძენიშვილი 1959: 106-107]. ამის საპირისპიროდ, გ. შამბა მიიჩნევდა, რომ აქ საქმე უნდა გვქონდეს ერთი ეთნიკური ჯგუფის ორ ტრადიციასთან [Шамба 1970: 16-17]. ზ. ანჩაბაძის აზრით კი, დაკრძალვის სხვადასხვა წესის არსებობა გამოწვეული იყო სხვადასხვა რელიგიური რწმენა-წარმოდგენებით [Анчабадзе 1964: 228-229]. ი. ვორონოვი ამ მოვლენას სოციალური მოტივით ხსნიდა, იგი არ გამორიცხავდა წებელდის საზოგადოებაში მონობის საწყისი ფორმების არსებობას, კრემაციულ სამარხებს იგი ტყვეებს უკავშირებდა, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობისგან განსხვავებით კრემაციული წესით იკრძალებოდნენ [Воронов 1975: 101]; რაც, ალბათ, ნაკლებ სავარუდოა, რადგან კრემაცია გარკვეულ ხარჯებს მოითხოვდა, და ინჰუმაციასთან შედარებით ბევრად ძვირი ჯდებოდა [ლორთქიფანიძე 1991: 154; კიღურაძე 1972: 35]. თუმცა, როგორც ნ. კიღურაძე შენიშნავს, კრემაციისთვის აუცილებელი საწვავის პრობლემა ტყით მდიდარ კოლხეთში არ არსებობდა, ამის გამო არც კრემაცია უნდა ყოფილიყო რაღაც განსაკუთრებულ ხარჯებთან დაკავშირებული, ამიტომ კრემაციის წესი სოციალური განსხვავების გარდა ლოკალურ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება, ამავე დროს მხედველობაში მისაღებია გარდაცვლილის სქესი და შესაძლოა სიკვდილის ხასიათიც [კიღურაძე 1972: 35]. რელიგიური რწმენა-წარმოდგენებით კრემაცია აჩქარებდა მიცვალებულის ხორციდან სულის გამოყოფას [Куфтин 1949: 191-192]. წებელდის სამაროვნებისთვის დამახასიათებელი დაკრძალვის წესისი მრავალფეროვნება, ვ. ჯაფარიძის აზრით, სამხედრო კონტიგენტის სიჭრელით შეიძლებოდა ყოფილიყო განპირობებული [ჯაფარიძე 1999: 44].

ინჰუმაციური ორმოსამარხები გაითხარა 2002 წელს აჭანდარაში ბორცვ ცოუხუაზე. ეს ადგილი 1980 წელს დაუზვერავს ა. გაბელიას, და აქ გამოვლენილი სამაროვანი განვითარებული შუა საუკუნეებით დაუთარიღებია. ამავე ადგილას 1970 წელს ძვ.წ. VIII ს-ის სამარხი აღმოჩნდა, 1990 წელს კი ძვ.წ. V-IV სს-ის მდიდრული სამარხი; 2002 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა 15 სამარხი. რვა შემთხვევაში სამარხი დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთით, სამი მათგანი ჩრდილო-აღმოსავლეთით, ერთი – დასავლეთით, და ერთიც – ჩრდილოეთით; ხელები სხვადასხვაგვარადაა განლაგებული, სხეულის გასწვრივ, მკერდზე, მუცელზე და მენჯის მიდამოებში. ორ სამარხში მხოლოდ თავის ქალები აღმოჩნდა; №11 სამარხში კი მიცვალებულის ფეხებს შორის მეორე თავის ქალა იყო ჩადებული. სამაროვანი IV-VI სს-ებით თარიღდება [Скаков, Джобуа, Брилёва 2003].

ინჰუმაციურ ორმოსამარხთა ტიპს განეკუთვნება აგრეთვე მხედრის სამარხები ცხენთან ერთად, ან მხოლოდ ცხენის სამარხი. ბიჭვინთის სამაროვანზე 10 შემთხვევაა მიცვალებულთან ერთად ცხენის დაკრძალვისა, ერთ შემთხვევაში ცხენთან ერთად ძაღლის ჩონჩხიც აღმოჩნდა [ლორთქიფანიძე 1991: 153]. წებელდის სამაროვანზე ცხენის დაკრძალვის რამდენიმე შემთხვევაა ცნობილი: აბგიძრახუს, აჰაცარახუს, აპიანჩასა და ახაჩარხუს ნეკროპოლებზე [Трапш 1971: 122; Гунба 1978: 30-32, ტაბ. XXI; Шамба 1970: ტაბ. XXI]. ზოგიერთი მკვლევარი ამ ტიპის ცხენიან სამარხებს ჰუნებს უკავშირებს, ან ჰუნების

მიერ განადგურებულ სარმატ-ალანთა ტომებს, რომელთა განსახლება შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ კავკასიისაკენ მოხდა [ლორთქიფანიძე 1991: 154]. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აფხაზეთში ჯერ კიდევ ძვ.წ. VII-VI სს-ით დათარიღებული ცხენის სამარხი ცნობილია ყულანურხვას სამაროვნიდან, ცხენის და მხედრის სამარხი კი წითელი შუქურას სამაროვნიდან და სოხუმიდან (ძვ.წ. VI ს.) [Трапш 1971: 123]; დანარჩენ დასავლეთ საქართველოში ცხენიანი სამარხები ცნობილია ითხვისიდან (ძვ.წ. V ს.), ბორიდან, კლდეეთიდან (ახ.წ. პირველი საუკუნეები) და ვანიდან [Лордткипанидзе 1970: 61]. აღმოსავლეთ საქართველოში ცხენიანი სამარხები უკვე გვიან ბრინჯაოს ხანის სამარხებში გვხვდება (სოფ. აბანოსხევი, ძვ.წ. XIV-XIII სს.; დოღლაურის ყორღანი) [Гогочури 1987: 529; გაგოშიძე, ქორიძე, გოგიჩაიშვილი 1986: 65].

საინტერესოა, რომ ცხენის ჩონჩხი დადასტურდა ბიჭვინთის სამაროვანზე გათხრილ რამდენიმე კირხსნარიან სამარხში [თოდუა 2000: 192]. სამარხის ეს ტიპი ერთ-ერთ წამყვან სახეობას წარმოადგენს ბიჭვინთის სამაროვანზე. მათი საერთო რაოდენობა 115 აღწევს. მიცვალებული ზურგზე გაშოტილ მდგომარეობაშია დასვენებული; სამარხის დამხრობა სხვადასხვაგვარია; სამარხთა ნაწილი ინვენტარიანია, ნაწილი კი უინვენტარო; ინვენტარის მიხედვით სამარხები III-IV სს-ით თარიღდება [Лордткипанидзе, Кигурадзе, Тодуа 1987: 57-58]. კირხსნარიანი სამარხი უჩვეულოა არა მხოლოდ საქართველოსა და კავკასიისათვის, არამედ საერთოდ მთელი რომაული სამყაროსთვისაც. ბიჭვინთაში ამ ტიპის სამარხი, სავარაუდოდ, როგორც ბერძნულ-რომაული, ისე ადგილობრივი მოსახლეობის დასაკრძალავად გამოიყენებოდა [თოდუა 2000: 192].

კირხსნარიანი სამარხები 2003-2009 წლებში ქუთაისში ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში ჩატარებული არქეოლოგური გათხრების დროსაც გამოვლინდა. ქუთაისში ექვსი კირხსნარიანი სამარხი გაითხარა. თუმცა ეს სამარხები, ადგილზე მომუშავე არქეოლოგების დაკვირვებით ბიჭვინთის ანალოგებისგან გასხვავებულია კამერის მოწყობის პრინციპით, და ქრონოლოგიურადაც დაშორებულია. ქუთაისში გათხრილი კირხსნარიანი სამარხებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია №50-ე წარჩინებული ქალის სამარხი, მდიდრული ინვენტარით, სადაც მიცვალებული ზურგზე გაშოტილად იყო დასვენებული, მარჯვენა ფეხის წვივი მარცხენაზე იყო გადაჯვარედინებული; ფეხის თითები ნაკლული და გაბნეული იყო; მარჯვენა ხელი მკერდზე, მარცხენა კი მენჯზე ედო [ბითაძე, ყვავაძე, ლანჩავა, ისაკაძე, ლალიაშვილი ვაჩეიშვილი, გაფრინდაშვილი, დობროვოლსკაია 2010: 280-282]. სამარხის გათხრისთანავე გამოითქვა ვარაუდი რომ იგი აფხაზთა მეფე, ლეონ II-ის (755-800 წწ.) დედას, ხაზართა ხაკანის ასულს ეკუთვნოდა [ნიკოლოზიშვილი 2009]. მართლაც, ძეგლის სტრატიგრაფიამ აჩვენს, რომ №50-ე სამარხი გათხრებით გამოვლენილი იმ ბაზილიკის ნართექსში იყო გამართული, რომლის აგებაც ეგრის-აფხაზთა მეფის ლეონ II სახელს უკავშირდებოდა. სამარხი კი ისე იყო გამართული, როგორც ეს ხაზართა ხაკანატის კულტურის არეალში მოქცეული ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი. კერძოდ, ფეხების გადაჯვარედინება, ძვლების საგანგებოდ არევა, ან ფეხის თითების ნაწილობრივი ამოცლა მაგიური ძალის მქონე ქურუმი ქალების სამარხებად მიიჩნევა [ბითაძე, ყვავაძე, ლანჩავა, ისაკაძე, ლალიაშვილი ვაჩეიშვილი, გაფრინდაშვილი, დობროვოლსკაია 2010: 280-282].

კრამიტსამარხები მხოლოდ ბიჭვინთის სამაროვანზე დასტურდება. პროცენტულად ეს ტიპი შედარებით მცირეა, სულ 13 (აქედან 6 ინვენტარიანი). ისინი ბრტყელი კრამიტითაა ნაგები, რომელთა დიდი ნაწილი ადგილობრივ სახელოსნოებშია დამზადებული. დამხრობა აქაც სხვადასხვაგვარია. მიცვალებული დაკრძალულია თავით ჩრილოეთით (15), დასავლეთით (11), აღმოსავლეთით (10), სამხრეთით (9), ჩრდილო-აღმოსავლეთით (5) და ა.შ. თარიღდება III-IV სს-ით. კრამიტსამარხი, როგორც ცნობილია, სახლის თავისებურ იმიტაციას წარმოადგენდა. ბიჭვინთის კრამიტსამარხი, სავარაუდოდ, ბერძნულ ეთნოსს, მის ტრადიციებს უკავშირდება [ლორთქიფანიძე 1991: 151]. ასევე არაადგილობრივ

ეთნოსს და უპირატესად შეძლებული ფენის წარმომადგენლებს უკავშირდება დიდი მცხეთის სხვადასხვა უბანზე (კარსნისხევი, სამთავრო, მოგვთაკარი, სვეტიცხოველი) გამოვლენილი გვიანანტიკური ხანის კრამიტსამარხები [Ивашенко 1980: 206-207; სიხარულიძე, აბუთიძე 1985: 111]. ამ ტიპის სამარხი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში უკვე ძვ.წ. IV ს-ში დასტურდება ფიჭვნარში, სამარხი კრამიტსახურავიანია [კახიძე 1983: 53]. ანალოგიური სამარხი პირველად დასავლეთ საქართველოში 1972 წელს აღმოჩნდა დაბლაგომის გათხრებისას, ნაციხვარას ბორცვზე [თოლორდავა 1976].

ამფორასამარხები, ასევე, მხოლოდ ბიჭვინთიდანაა ცნობილი. ბერძნული ტრადიციის თანახმად, მათ ჩვილი ბავშვების დასაკრძალად გამოიყენებდნენ რომაულ ხანაში. პიტიუნტის სამაროვანზე გამოვლენილია ადგილობრივ დამზადებული და იმპორტირებული II-IV სს-ით დათარიღებული სამარხად გამოყენებული 66 ამფორა, მათ შორის მხოლოდ ერთია ინვენტარიანი. დამხრობა აქაც სხვადასხვაგვარია, თუმცა უმეტესობა დამხრობილია დასავლეთით (11) [ლორთქიფანიძე 1991: 157, 161]. სრულიად სხვაგვარი ვითარებაა წებელდაში. აქ ამფორასამარხები საერთოდ არ გვხვდება, რასაც მ. თრაფში აფხაზეთის მთიანეთში ბერძნული ეთნიკური ელემენტის არარსებობით ხსნის [Трапш 1971: 124].

რაც შეეხება ჭასამარხებს, ბიჭვინთის სამაროვანზე სამარხის ეს ტიპი ხუთი ეგზემპლარითაა წარმოდგენილი. სავარაუდოდ, აღნიშნული სამარხები ქალაქის ადგილობრივ მოსახლეობას ეკუთვნოდა, რადგან ბერძნულ-რომაული სამყაროსთის დაკრძალვის ეს წესი არაა დამახასიათებელი [თოდუა 2000: 200]. ბიჭვინთის სამაროვანს უკავშირდება, აგრეთვე, ამ რეგიონის ადრეული ქრისტიანობის ისტორიის კვლევისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი აღმოჩენა – სამარხის სტელა ჯვრით. იგი ადგილობრივი ქვიშაქვის მონოლითისგანაა დამზადებული, რომლის ზედა ნაწილში ამოჭრილია ოთხკუთხა 2,5 სმ სიღრმის ფოსო 13,4X7 სმ, რომელშიც თავის მხრივ, მეორე ფოსოა გაკეთებული 11X4,5 სმ, რკინის ჯვრის ჩასადგმელი. რკინის ჯვარი ნაწილობრივაა შემორჩენილი. ჯვრიანი ბუდე საგულდაგულოდ დაუფარავთ ღარიანი კრამიტის ნაჭრისაგან გამოჭრილი სპეციალური სარქველით, რომელიც კირხსნარით გადაულესავთ. თავის დროზე სტელა ალბათ ფარული ქრისტიანის სამარხზე იყო აღმართული. შემდეგ, როგორც სამშენებლო მასალა, მოხვდა უცნობი დანიშნულების ნაგებობის წრიულ კედელში. სტელა დიოკლიტიანეს ეპოქით (313 წ. "მილანის ედიქტის" წინა პერიოდი) თარიღდება [ლორთქიფანიძე 1991: 155]; თუმცა მ. მშვილდაძე სტელაში ჩადებული ჯვრის არქაული ფორმისა და იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ბიჭვინთის სამაროვანი უკვე III საუკუნეში ინტენსიურად იყო ათვისებული, რომელზეც ყოველი მეხუთე სამარხი ქრისტიანს ეკუთვნოდა, და რომ ამავე საუკუნის შუა ხანებში ქრისტიანები არანაკლებ დევნას განიცდიდნენ, არ გამორიცხავს სტელის III ს. შუა ხანებით – დეციუსისა (249-251 წწ.) და ვალერიანეს (253-260 წწ.) იმპერატორობის პერიოდით დათარიღებას [მშვილდაძე 2003: 264-5]. გ. ლორთქიფანიძე მიიჩნევს, რომ III ს-ში ბიჭვინთაში უკვე არსებობდა ორგანიზაციულად გაფორმებული ადრექრისტიანული თემი, რომელშიც გარდა ლეგიონერებისა, კანაბეს მშვიდობიანი სამოქალაქო მოსახლეობაც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. მათ უნდა ეკუთვნოდეს პიტიუნტის სამაროვანზე გამოვლენილი უინვენტარო ორმოსამარხები, რომელშიც მიცველებული დაკრძალულია გაშოტილ მდგომარეობაში, ზურგზე, თავით დასავლეთით [ლორთქიფანიძე 1991: 155-6].

ამრიგად, არქეოლოგიური მონაცემებით ჩანს, რომ ადრექრისტიანულ ხანაში დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე დაკრძალვის სხვადასხვაგვარი წესი და სამარხთა არაერთგვაროვანია ტიპი არსებობდა. ეს კი, სავარაუდოდ, მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით, სოციალური მდგომარეობით, გენდერით, რიგ შემთხვევაში კი გეოგრაფიის, რელიეფის, თავისებურებითაც იყო განპირობებული. ახალი მრწამსის გავრცელების პარალელურად მოსახლეობის

გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებით მთიან რეგიონში, ძველი წეს-ჩვეულებების დაცვას განაგრძობდა. ზღვისპირა პუნქტებში გამოვლენილი სამარხები (ბიჭვინთა, განთიადი, ოჩამჩირე) მეტწილად ქრისტიანულადაა გამართული. ეს ბუნებრივიცაა, რადგან აქ უფრო ადვილად აღწევდა და მკვიდრდებოდა აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან შემოსული ახალი იდეები.

ლიტერატურა:

ბითაძე, ყვავაძე, ლანჩავა, ისაკაძე, ლალიაშვილი, ვაჩეიშვილი, გაფრინდაშვილი, დობროვოლსკაია 2010: ყვავაძე ე., ლანჩავა ო., ისაკაძე რ., ლალიაშვილი შ., ვაჩეიშვილი ნ., გაფრინდაშვილი პ., დობროვოლსკაია მ., ბაგრატის ტაძარში აღმოჩენილი „მდიდარი ქალბატონის“ სამარხის კომპლექსური კვლევის შედეგები. “ანალები” 6, თბ., გვ. 280-310.

ბერძენიშვილი 1959: ბერძენიშვილი ქ., წებელდის გვიანანტიკური ხანის კერამიკა. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, თბ., ტ. II.

გაგოშიძე, ქორიძე, გოგიჩაიშვილი 1986: გაგოშიძე ი., ქორიძე ე., გოგიჩაიშვილი ა., შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1979-81 წლების საველე მუშაობის ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VIII, თბ.

თოდუა 2000: თოდუა თ., საქართველოს შავიზღვისპირეთის ეთნოკულტურული ისტორიის ზოგიერთი საკითხი ახ.წ. II-IV სს-ის სამარხეული ძეგლების მიხედვით. საისტორიო ძიებანი, წელიწდეული, 3.

თოლორდავა 1976: თოლორდავა ვ., არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970-1971 წლებში. ვანი, II, თბ. გვ. 48-67.

ისაკაძე 2009: ისაკაძე რ., ქუთაისის ადრექრისტიანული ეკლესიები. ქართველური მემკვიდრეობა, XIII, ქუთაისი, გვ. 138-153.

კახიძე 1983: კახიძე ამ., კრამიტსახურავიანი სამარხი ფიჭვნარიდან. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, ტ. XII.

კიღურაძე 1972: კიღურაძე ნ., ცენტრალური კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისთვის (*დაფნარი* ძვ.წ. V-III სს.). დისერტაცია ი.მ.კ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ.

ლანჩავა 2015: ლანჩავა ო., ქუთაისის არქეოლოგია, ქუთაისი.

ლორთქიფანიძე 1991: ლორთქიფანიძე გ., ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბ., 1991.

მაკალათია 1941: მაკალათია ს., არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში: სოფ. საკობიანოში, დაბლა-გომში და აღაიანში. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XI-B, გვ. 81-90.

მირიანაშვილი 1983: მირიანაშვილი ნ., შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ.

მშვილდაძე 2003: მშვილდაძე მ., რომი და აღმოსავლური რელიგიები ახ.წ. I – III სს. დისერტაცია ი.მ.დ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ.

ნიკოლოზიშვილი 2009: ნიკოლოზიშვილი ნ., ბაგრატის ტაძარში დაკრძალული ქალბატონის იდენტიფიკაციისათვის. გაზ. 24 საათი, 10 აგვისტო, 176 (2214).

პაჭიკაშვილი 2000: პაჭიკაშვილი ნ., რუსთავის სარკოფაგები. ქრისტიანული არქეოლოგიის IV კონფერენცია. ძიებანი. დამატებანი. III. თბ. გვ. 22-23.

სიხარულიძე, აბუთიძე 1985: სიხარულიძე ა., აბუთიძე ა., მოგვთაკარის სამაროვანი (კატალოგი). მცხეთა, ტ. VII, თბ.

ჩიტაია 1940: ჩიტაია გ., ქვის კუბო ქვემო ალმედან. ენიმკის მოამბე, VIII, გვ. 1-10.

ჯაფარიძე 1972: ჯაფარიძე ვ. ვ., სოფელ ბალიჭის სარკოფაგი ქართული ასომთავრული წარწერით. მაცნე, №2. გვ. 124-136.

ჯაფარიძე 1999: ჯაფარიძე ვ. მ., ეგრისის მატერიალური კულტურა ახ.წ. IV-VII სს. (არქეოლოგიური მასალების მიხედვით). ი.მ.დ. დისერტაციის ავტორეფერატი. თბ.

Buhl 1964: Buhl M.-L., Anfang, Verbreitung und Dauer der Phönikischen Anthropoïden Steinsarkophage. Acta Archeologica, 35. pp. 61-80.
Buhl 1987: Buhl M.-L., Les Sarcophages Anthropoïdes Phéniciens en Dehors de la Phénicie. Acta Archeologica, 58. pp. 213-221.
Dothan 1982: Dothan T., The Philistines and their Material Culture. Jerusalem.
Freijeiro A. B., Sánchez 1981: Freijeiro A. B., Sánchez R. C., Der Neue Anthropoide Sarkophag von Cádiz. Madrider Mitteilungen, 22. pp. 236-243.
Karageorghis 1963 : Karageorghis V., Chronique des Fouilles à Chypre en 1962. Bulletin de Correspondance Hellénique, 87. pp. 325-387.
Karageorghis 1973: Karageorghis V., Chronique des Fouilles à Chypre en 1972. Bulletin de Correspondance Hellénique, 97. pp.601-689.
Karageorghis 1981: Karageorghis V., Chronique des Fouilles à Chypre en 1980. Bulletin de Correspondance Hellénique, 105. pp. 967-1024.
Koch 1995: Koch G., Frühchristliche Kunst. Stuttgart.
Koch 2000: Koch G., Frühchristliche Sarkophage. München.
Lembke 1998: Lembke K., Die Phönizischen Antropoiden Sarkophage aus den Nekropolen der Insel Arados. Damaszener Mitteilungen, 10. pp. 97-129.
Nikolajević 1980: Nikolajević I., Grabanlagen und Begrebniskulte in Moesien aus Frühchristlicher Zeit. Jahrbuch der Österreichischen Byzantinistik, 29. pp. 303-314.
Piacentini 1992: Piacentini P., The Anthropoid Stone Coffin in the Estense Collection of Modena. Studi di Egittologia e di Antichita Puniche. M., 3-12. pp. 3-9.
Schilardi 1973: Schilardi D., A New Phoenician Sarcophagus From Paros. Athens Annals of Archaeology. VI. pp. 466-471.
Stucky 1989: Stucky R. A., Drei Sidonierinnen in Basel. Antike Kuns, 32. pp. 147-150.
Анчабадзе 1964: Анчабадзе З. В., История и культура древней Абхазии. Москва.
Бгажба 1983: Бгажба О. Х., Исследование в Цебельдинской долине. Археологические открытия 1981 года. Москва. ȣȣ. 405.
Воронов 1969: Воронов Ю. Н., Археологическая карта Абхазии. Сухуми.
Воронов 1975: Воронов Ю. Н., Тайна Цебельдинской долины. Мос.
Гогочури 1987: Гогочури Г. К., Исследования в с. Абаносхеви. АО 1985 года, Мос.
Гунба 1978: Гунба М. М., Новые памятники Цебельдинской культуры. Тб., 1978.
Ивашенко 1980: Ивашенко М. М., Самтаврские погребения. Мцхета, т.3. Тб.
Куфтин 1949: Куфтин Б., Материалы к археологии Колхиды. Т. 1. Тб.
Лордткипанидзе 1970: Лордткипанидзе Г. А., К истории древней Колхиды. Тб.
Лордткипанидзе 1981: Лордткипанидзе Г. А., Исследования в Пицунде. Археологические Открытия 1980 г., Мос. ȣȣ. 403.
Лордткипанидзе, Агрба 1982: Лордткипанидзе Г. А., Агрба З. В., Раскопки на територии комплекса Пицундского храма. Археологические Открытия 1980 года в Абхазии. Тб., ȣȣ. 26-31.
Лордткипанидзе, Кигурадзе, Тодуа 1987: Лордткипанидзе Г. А., Кигурадзе Н. Ш., Тодуа Т., Раскопки Пицундского некрополя и городища. ПАИ в 1984-1985 гг. Тб.
Пятышева1949: Пятышева Н. В, Таманский Саркофаг. Труды ГИМ, Вып. II. Мос. ȣȣ. 5-36.
Скаков, Джобуа, Брилёва 2003: Скаков А. Ю., Джобуа А. И., Брилёва О.А., Работы в Бзыбской Абхазии. Археологические открытия 2002 года. Мос. ȣȣ. 455-456.
Трапш 1971: Трапш М. М., Культура цебельдинских накрополей. Труды, Т. 3, Тб.

Шамба 1970: Шамба Г. К., Ахаччарху – древний могильник нагорной Абхазии. Сухуми.
Шамба 1974: Шамба Г. К., Археологические разведки 1967 года в Гагрском районе. Материалы по археологии и искусству Абхазии. Сухуми.
Шервашидзе 1975: Шервашидзе Л. А., Крепость Абаата в посёлке Аджимчыгра села Лыхны. Раскопки 1975 г.
Хоштариа 1941: Хоштариа Н. В., Чхороцку, могильник с трупосожжением (захоронение в урнах) и остатки поселений. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტირიისთვის, ნაკ. II.
Хрушкова 1984: Хрушкова Л. Г., Раннехристианские саркофаги из Абхазии. Византийский Временник, т. 45. გვ. 207-210.
Хрушкова 2018: Хрушкова Л. Г. Восточное Причерноморье в византийскую эпоху. История. Архитектура. Археология. Калиниград–Мос.

ტაბულების აღწერილობა:

ტაბ. I. 1. სოხუმის საკრკოფაგი (ლ. ხრუშკოვას მიხედვით); **2.** ბიჭვინთის სარკოფაგი (ლ. ხრუშკოვას მიხედვით); **3.** ქუთაისის სარკოფაგი (ირ. ბერძენიშვილის ფოტო).



საქართველოს *ზოომორფულყურიანი* ბრინჯაოს სიტულები, თასები და ქვაბები

ნინო სულავა

სიტულა ბრინჯაოს ჭურჭელია, რომლის ფორმაც სხვადასხვა ეპოქის მიხედვით — ვედროსებურია, მრგვალმუცლიანი — მირჩილული ორი ყურით, კონუსისებური — რკალისებური ფორმის მოძრავი სახელურით. მისი განმარტებები სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით ასეთია: სიტულა (ლათ. Situla — სათლი, *ვედრო*), ბრინჯაოს ჭურჭელი, ცნობილია არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად (ჰალშტატისა და ლატენის კულტურა), რომელიც ადრინდელი რკინის ხანას განეკუთვნება. ადრინდელ სიტულებს მრგვალი მუცელი და ორი მირჩილული ყური აქვს. გვიანდელი სიტულები კონუსისებურია, ზევით ფართოვდება და რკალისებრი მოძრავი სახელური აქვს. ზოგი სიტულა შემკულია სხვადასხვა რელიეფით. სიტულა დამახასიათებელია ადრინდელი რკინის ხანის ქართული კულტურისა და საერთოდ კავკასიის ცივილიზაციისათვის [ქსე, 1985: 403; გობეჯიშვილი, 1959: 220]; [იხ. აგრეთვე Сэс, 1982: 1210]. სიტულა (ლათ. situla — *ვედრო*, სარწყული) *ვედროს* ფორმის ჭურჭელია რკალისებური სახელურით, რომელიც ბერძნულ-იტალიური კულტურაში გავრცელებული იყო ძვ.წ. მე-7- მე-4 სს-ში [LA , 1985: 522; CA, 1989: 528].

სპილენძის ფურცლებისაგან მანჭვლებით შეკერილი ჭურჭლების გენეზისი წინა აზიასთანაა დაკავშირებული. მიაჩნიათ, რომ ისინი აქედანაა გავრცელებული ამიერკავკასიაში, შემდეგ ჩრდ. კავკასიაში და სკვითურ-სავრომატულ, აზიურ სამყაროში; ხმელთაშუა ზღვის საშუალებით — საბერძნეთსა და იტალიაში, აქედან შუა ევროპასა და სკანდინავიის ქვეყნებში. ამგვარი ბრინჯაოს უძველესი ჭურჭელი აღმოჩენილია ურის გათხრებში, არის ასურულ ბარელიეფებზე, ეგვიპტურ აკლდამებზე გამოსახულ ვაზებს შორის [Dagr 1910: 1358-1360; RV 1928: 182; PSAS, 1936-1937: 20, სურ.3].

თვლიან, რომ ამ ქვეყნებში შემუშავებული მორფოლოგიური ნიშნები — მრგვალი ძირი, გამოყვანილი ქუსლი, ვერტიკალურად დაყენებული ყურები, მოძრავი სახელური და წაკვეთილი კონუსური ძირი, თავისი გავრცელების გზაზე გარემოს შესაბამისად ნაწილობრივ იცვლება, ზოგან მტკიცედ მკვიდრდება, ზოგან ახალ ვარიანტში გადაიზრდება; თუმცა გარკვეული ნიშანი (რომელიმე) ძირითადი ფორმიდან მაინც რჩება. ასეთი დასკვნის საშუალებას იძლევა შედარება — აღმ. საქართველოსა და აზერბაიჯანის მრგვალძირიანი ვერტიკალურყურებიანი ჭურჭლებისა ურის წინადინასტიური ხანის №8, 9 სამარხებში აღმოჩენილ ჭურჭლებთან; თრიალეთის XV-XVII ყორღანების ბრინჯაოს ჭურჭლისა ურის II დინასტიის ხანის №1 სამარხში აღმოჩენილ ჭურჭელთან; ლურისტან-მიდიის ბრინჯაოს ჭურჭლებისა ურის წინადინასტიური ხანის №1 სამარხში აღმოჩენილ ჭურჭელთან [Woolly, 1934: ტაბ.239, სურ.100, ტაბ.240, სურ.113; ტაბ.235, სურ. 46, 49; ქორიძე 1954: 58-68; Кесаманлы 1965: 88, 89; Куфтин 1941: ტაბ. XXXVII; Дьяконов, 1956: 145, 404].

კავკასიაში აღმოჩენილ ბრინჯაოს ჭურჭელთა შორის თრიალეთური ბრინჯაოს ჭურჭელი ყველაზე უძველესია (თუ არ ჩავთვლით მეჯვრისხევის თასს, რომელიც ბრინჯაოს ფურცლისგან არის გაკეთებული ჭედვით და უმანჭვლებოთ) [Куфтин, 1941: 16, 17, სურ.18]. თრიალეთური ჭურჭლების მორფოლოგიური ნიშნებია ვერტიკალურად დაყენებული სახელურები, მაღალი გამოყვანილი ძირი. ანალოგიური ნიშნები უფრო გვიან ჩნდება კიმერიულ-სკვითურ-სავრომატულ სამყაროში. კ. სმირნოვი ამ ნიშნების მიხედვით სკვითურ, სავრომატულ-აზიურ (დას. ციმბირი) ბრინჯაოს ჩამოსხმულ ქვაბებს ანათესავებს და მათი წარმოშობის წყაროდ (რეგიონად) აღმ. ევროპის ბრინჯაოს ხანის დასასრულის მანჭვლებიან ქვაბებს მიიჩნევს [Смирнов, 1964: 131].

აღმოსავლეთ სამხრეთ კავკასიაში (თრიალეთის XV ყორღანის ჭურჭელი, ნავთლუღის №1 სამარხის ქვაბი, *გომნას* №1 სამარხის ჭურჭელი, სამთავროს № 208 სამარხის ჭურჭლები, პატარძეულის კოლექცია (სემ, 2-30/2-9), აზერბაიჯანის ქვაბები) აღმოჩენილი ჭურჭლები მორფოლოგიური ნიშნებით ყველაზე ახლოს დგას წინააზიურ მასალებთან [იხ. სახაროვა, 1965: 48. სახაროვა, 1976: 32-34]. ქრონოლოგიურად წინააზიური ბრინჯაოს ჭურჭლები უძველესია, ხოლო ევროპისა — უახლესი.

ქართულ არქეოლოგიურ ლიტერატურაში ტერმინით — **სიტულა** — ძირითადად მოიხსენიება ბრინჯაოს ის უძველესი კათხისებური ჭურჭელი, რომელიც გავრცელებულია ძვ.წ. VIII-VII სს-ში კავკასიაში კოლხური ბრინჯაოს კულტურის და ე.წ. ყობანური ბრინჯაოს არეალში [ფანცხავა, სულავა, პაპუაშვილი 2003; Сулава 2012; Сулава 2022: 220-225].

საქართველოში აღმოჩენილი ზოომორფულყურიანი სიტულები სხვადასხვა ზომისაა. ამ ჭურჭლებისთვის, რომელთა მთავარი **ტიპოლოგიური ნიშანია** ე.წ. ზოომორფული სახელური-ყური (ერთი ან იშვიათად ორი ყური, რომლის ზედა ნაწილი ცხოველის დაცქვეტილი ყურების გამოსახულების იმიტაციაა, ხოლო სახელურის ზურგი სადაა ან სიგრძივი წნული ორნამენტით შემკული), დამახასიათებელია, განიერი, გარეთ გადაშლილი პირი, რომელიც უშუალოდ ებმის გამობერილ მუცელს. მუცელი ან სადაა (ტიპი Iა), ან მთლიანად შემკულია ვერტიკალური კანელურებით (ტიპი Iბ), ან კანელურებით მხოლოდ მისი ზედა ნახევარია შემკული (ტიპი Iგ). სიტულის ტანი (მუცელი) თავის მხრივ გადაპირქვავებული ლამბაქის მოყვანილობის ძირზე დგას.

ზოომორფულყურიანი სიტულები ცნობილია: ბრილის სამაროვნიდან და ქვიშარიდან (რაჭა) [გობეჯიშვილი 1959: 220-221], ლეჩხუმიდან [სახაროვა 1965: 46-48. სახაროვა 1976: 32-34], ზეკარიდან (ზეკარის მასალა დაცულია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში -კოლ. № 5411) და ვანიდან [ლორთქიფანიძე 2002: 175, სურ.142], კურზუდან (სამეგრელო, სემ, კოლ. № 4-49), ქობულეთიდან [სახაროვა 1965: 46], თლიას სამაროვნიდან (ჯავის მუნიციპ.) [Техов 1960: 171, სურ.7; Техов 1961: 131, სურ.4; Техов 1963: 165, სურ.2; Техов 1971: 108; Техов 1980, 1981, 1985], შუახევიდან (დუშეთის მუნიციპ. სემ კოლ.№ 11-28). ზოომორფულყურიანი სიტულები საქართველოს ფარგლებს გარეთ ცნობილია ოსეთისა და ყაბარდოს ტერიტორიიდან; უკრაინიდან (ჟაბოტინო, ტაგანჩა), აზერბაიჯანიდან (ჩაილი) და სომხეთიდან (მალაქლუ) [Крупнов 1952: 16, 24-27].

აღდგენილია ამგვარი ჭურჭლების დამზადების წესი: გამოჭედილი ბრინჯაოს თხელი ფურცლებისაგან თარგის საშუალებით ჭრიდნენ ჭურჭლის ნაწილებს და მანჭვლებისათვის (მცირე ზომის ლურსმანი) უკეთებდენენ ნახვრეტებს; მანჭვლებს ამზადებდნენ ცალკე; სამანჭვლე ნახვრეტები ერთმანეთს ზუსტად უნდა დამთხვეოდა; ჭურჭლის ძირები ან ჩამოსხმული იყო ან გამოკვერილი (გამოჭედილი); ისინიც დახვრეტილი იყო, მორგებული ჭურჭლის ძირზე და მანჭვლებით გაკერილი; სახელური შემდეგნაირად მზადდებოდა: სახელურისათვის საჭირო ნახვრეტები ან თარგზე კეთდდებოდა ან ნახევრადგამზადებულ უძირო სხეულზე; ამ ნახვრეტებს მიადგამდნენ სახელურის ჩამოსასხმელად სპეციალურ თიხის ყალიბს, რომელსაც სამი გამოსასვლელი ქონდა: ორი ედგმებოდა ჭურჭლის სხეულზე გამზადებულ ნახვრეტებს, ხოლო ერთიდან, რომელიც სახელურის ზურგზე ხვდებოდა, ასხამდნენ გამდნარ ლითონს; ამგვარად სხეული და სახელური ერთმანეთს უკავშირდებოდა; ჭურჭლის შიგნიდან ყალიბის ბოლოებს უხვედრებდნენ პატარა ფოსოებიან ქვებს თუ თიხის ყალიბებს, რომლებიც აკავებდნენ გამდნარ ლითონს და ამგვარად ხდებოდა სხეულისა და სახელურის შედუღება; ამ ფოსოებიანი ქვებისაგან ჭურჭლის შიგნით რჩებოდა პატარა კოპები; სახელურის ზურგზე, სადაც ყალიბის მესამე ხვრელი იყო (ლითონის ჩასასხმელი), რჩებოდა პატარა დანამატი, რომელსაც ოსტატი

შეძლებისდაგვარად ასწორებდა [Куфтин 1944: 35; გობეჯიშვილი 1959: 220; სახაროვა 1965: 46; სახაროვა 1976: 32-34].

ზოომორფულყურიანი სიტულები უმთავრესად ცნობილია შემთხვევითი აღმოჩენებით, განძების შემადგენლობაში, და ორ შემთხვევაში სამაროვნებიდან (ბრილი, თლია), რომელთაგან მხოლოდ თლიას სამაროვნის კომპლექსებია სრულად გამოქვეყნებული. როგორც სხვა ნებისმიერი არტეფაქტის შემთხვევაში, ზოომორფულყურიანი სიტულების შემთხვევაშიც სწორედ კომპლექსების მიხედვით გამოქვეყნებული სამაროვნების მასალები იძლევა არტეფაქტის ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური განსაზღვრის, შესწავლის საშუალებას. ამგვარ სამაროვანთა რიგს განეკუთვნება თლიას სამაროვანი, სადაც აღმოჩენილია 72 ერთეული *ზოომორფულყურიანი* სიტულა (სადა-43, კანელურებიანი-18, ნახევარ ტანზე კანელურებიანი - 7, ორყურა - 4, მინიატურული - 1), 24 ერთეული ქვაბი (1 კანელურებიანი, დანარჩენი სადა), 110 ერთეული თასი (სადა), 2 ვაზა (იმპორტი?), 5 კანელურებიან გვერდებიანი თასი (ე.წ. ნეკნისებურ გვერდებიანი/Rippenschale) [Техов 1980, 1981; 1985; 2002].

თუ ამოსავალ წერტილად თლიას სამაროვნის ფიბულებიანი სამარხებისათვის შემუშავებულ ქრონოლოგიას ავიღებთ, მაშინ გამოდის, რომ ზოომორფულყურიანი ტოლჩები არსებობას იწყებს ძვ.წ. IX-VIII სს-ის მიჯნიდან, უფრო სწორად, ძვ.წ. VIII ს-დან - VII ს-ის ბოლომდე [სულავა 2011: 61-69] (ტაბ. I). კერძოდ:

ბრინჯაოს **ტოლჩები** არსებობენ — Iა ტიპი ძვ.წ. VIII-VII სს-ის ჩათვლით, Iბ ტიპის ტოლჩები ძვ.წ. VII-VI ს-ის მეორე ნახევრის ჩათვლით, ხოლო Iგ ტიპის ტოლჩები ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევარისა და VII ს-ის პირველი ნახევრის ჩათვლით არსებობენ.

ბრინჯაოს **ქვაბები** არსებობენ: Iა — ძვ.წ. VII პირველი ნახევრიდან VI ს-ის პირველი ნახევრის ჩათვლით, Iბ — ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევარისა და VII ს-ის პირველი ნახევრის ჩათვლით, Iგ — ძვ.წ. VII-VI ს-ის მეორე ნახევრის ჩათვლით.

ბრინჯაოს **თასები** Iა, Iბ, Iგ, Iდ — ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ის პირველი ნახევრის ჩათვლით არსებობენ.

ბრინჯაოს ჭურჭლები (კერძოდ, ლეჩხუმის ბრინჯაოს ჭურჭლების მსგავსი [სახაროვა 1965: 48]) განსაკუთრებით დამახასიათებელია კავკასიონის ცენტრალური ნაწილის სამხრეთი კალთაზე აღმოჩენილი ძეგლებისათვის, რომლებიც შედის მძლავრი სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ბაზაზე წარმოშობილი კოლხური ბრინჯაოს კულტურის (თავისი ლოკალური კერებითა და ინფილტრაციის ზონებით) არეალში [Сулава 2022: 220-225].

მათი მორფოლოგიური ნიშნებით გარკვეულწილად პარალელის გავლება შეიძლება ანალოგიური ნიშნების მქონე სხვა არტეფაქტებთან კოლხური ბრინჯაოს კულტურიდან: ტოლჩების (და ზოგჯერ ქვაბებისაც) სახელურის ზედა ნაწილი გაფორმებულია ცხოველის დაცქვეტილი ყურებით, კოლხური ბრინჯაოს ,,ფანტასტიკური'' ცხოველის ყურების ანალოგიურად, ხოლო სახელურის დანარჩენი ნაწილი დაწნული ორნამენტის რელიეფური სიგრძივი ზოლებით; ანალოგიური დაწნული სიგრძივი ზოლები აქვთ კოლხურ ფიბულებსა და სხვა არტეფაქტებს; სიტულის ტანი ან მთლიანადაა შემკული სიგრძივი კანელურებით, თანადროული კოლხური კერამიკის ანალოგიურად, ან მხოლოდ ზედა ნახევარი; იშვიათად მუცელზე ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მიმართული რომბისებური ფოთლებით შედგენილი ირგვლივი ზოლები აქვს, ან სადაა ისევე, როგორც კოლხური კერამიკა. თვლიან კიდევაც, რომ ამ ნიშნების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ადგილობრივმა კერამიკულმა ფორმებმა და დეკორატიულმა მოტივებმა [Куфтин, 1949: 217, სურ. 40; Куфтин, 1950: 124, 125; გობეჯიშვილი, 1959: 220], რაც სავსებით სწორად მიგვაჩნია.

ევროპულ ჭურჭლებს კავკასიურთან საერთო ნიშნები აქვთ — ტექნიკა (კვერვა, მანჭვლები), მოძრავი სახელური და ძირის მოყვანილობა. ევროპულ ბრინჯაოს უძველეს ჭურჭლებს ისეთივე ძირი აქვს, როგორც ლეჩხუმის ბრინჯაოს ქვაბს და ისეთივე მოძრავი სახელური, როგორც ბრილისა და ე.წ. სამხრ. ოსეთის ბრინჯაოს ქვაბებს (თლიას

მასალები). ლ. სახაროვას აზრით, ეს საერთო ნიშნები უნდა იყოს სწორედ ბრინჯაოს ჭურჭელთა გავრცელების გზის მაჩვენებელი. ამასვე მიუთითებდნენ ს. მაგურა და ნ. მაკარენკო, როცა ჟაბოტინოს ბრინჯაოს ჭურჭელს ჰალშტატური წარმომავლობა მიაწერეს [Крупнов 1952: 24-27, 29]. ეს აზრი გაკრიტიკებულ იქნა და წარმოიშვა ახალი მოსაზრება, რომ ბრინჯაოს ზოომორფულყურებიანი ჭურჭლების სამშობლო კავკასიაა (ა. პიოტროვსკი, ბ. კუფტინი, ა. იესენი, ე. კრუპნოვი) [სახაროვა 1965: 47]. გ. გობეჯიშვილის აზრით, ამ ჭურჭლების წარმომავლობის ადგილი საქართველოა [გობეჯიშვილი, 1959: 220], მით უმეტეს, როცა ამას კერამიკასთან მსგავსებაც ადასტურებს.

სამხრეთ ევროპისა და კავკასიის კონტაქტების ამსახველი მასალა ბევრია (კერამიკა, ლითონის ნაწარმი, გამოსახულებები ლითონის ნაწარმზე), მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში გარდა რამდენიმე ზოგადი ნიშნისა ჰლშტატური ჭურჭელი სრულიად სხვანაირია და მეტად განსხვავებულ ვარიანტებს ქმნის. ევროპული ჭურჭლის ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმაა, განსხვავებით კავკასიისაგან, დაპირქვავებული წაკვეთილი კონუსი, სარწყულისებრი, ვერტიკალური ყურებით და მოძრავი სახელურით (სწორედ ასეთ ჭურჭელს უწოდებენ სიტულას [Эс 1900: 112, 113]).

საქართველოში ბრინჯაოს ჭურჭლების საწარმოო ტრადიციამ XIX ს-ის მიწურულამდე მიაღწია, რაც კარგად დასტურდება ეთნოგრაფიული მასალებით. საქართველოს სოფლებში დღემდე ვხვდებით ადგილობრივი მჭედლების მიერ სპილენძის გამოკვერილი ფურცლებისაგან მანჭვლებით გაკერილ ჭურჭლებს — მაგ.: სვანეთში სათემო ქვაბები [იხ. სახაროვა 1965: 48] და სამეგრელოში დადასტურებული სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელი. იმპორტული ვაზები და კანელურებიანი თასები ძვ.წ. VI ს-ში ჩნდებიან.

ლიტერატურა:

გობეჯიშვილი 1959: გობეჯიშვილი გ. არქეოლოგიური გათხრები საბჭ. საქართველოში.

გობეჯიშვილი 1959: გობეჯიშვილი გ. ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის საწყისი საფეხური. - სა. თბ.

სახაროვა 1965: სახაროვა ლ. ბრინჯაოს უძველესი მხატვრული ჭურჭელი საქართველოში. ჟურნ. *საბჭ. ხელოვნება*, № 12. გვ. 46-48.

სახაროვა1976: სახაროვა ლ. ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან.

სულავა 2010: სულავა ნ. კოლხურ-ყობანური ბრინჯაო: სტრატეგია, შედეგები, პერსპექტივები. ძიებანი, დამატებანი IV. გვ. 39-44.

სულავა 2011: სულავა ნ. კავკასიის ფიბულები (ტიპოლოგია, ქრონოლოგია, გენეზისი).

სულავა 2021: სულავა ნ. კოლხური ბრინჯაოს კულტურა — მითი, სპილენძი, რეალობა. კონფერენცია - *ახალი რეალობა — მუზეუმი და პანდემია*, ეძღვნება ოთ. ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90 წლისთავს. ქუთაისი.

ქორიძე 1954: ქორიძე დ. გვიანი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან. სსმმ, ტ. XVIII.

ქსე. 1985: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია თბ.

Dagr 1910: Dictionare des antiquites greques et romanes. 44. Paris.

LA 1985: Lexikon der Antike. Leipzig.

RV 1928: Reallexikon der Vorgeschichte (Herausgegeben von Max Ebert). B. 12. Berlin.

Proccedings of the society of Antiquaries of Scotland, 1936-1937: v. LXXI. Edinburgh.

Woolly 1934: Woolly C.L. Ur Excavations.

Дьяконов 1956: Дьяконов И.М. История Мидии. Мос.

Кесаманлы 1965: Кесаманлы Г.П. Медные котлы из раскопок на територии Азербайджана, - Материалы сессии посвящённый итогам археологических и этнографических исследовании 1964 года в СССР, Баку.
Крупнов Е.И. 1952: Крупнов Е.И. Жемталинский клад. Мос.
Куфтин 1941: Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, I, Тб.
Куфтин 1944: Куфтин Б. А. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, სსმმ, XII-B.
Куфтин 1944: Куфтин Б. А. Урартский колумбарии у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит, სსმმ, XIII-B.
Куфтин 1949: Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды I, Тб.
Куфтин 1950: Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды II, Тб.
Панцхава… 2003: Панцхава Л., Сулава Н., Папуашвили Р. Колхидская, кобанская или колхидско-кобанская?, Кавказоведение, №4, М.
СА 1989: Словарь Античности. Мос.
Сэс 1982: Советский энциклопедический словарь. Мос.
Эс 1900: Энциклопедический словарь (Ф.А. Брокгауз, И.А. Эфрон), т. XXX, С.Петербург.
Смирнов 1964: Смирнов К.Ф. Савроматы. М.
Сулава 2012: Сулава Н. Комментарии к статье Б. Тержан Das Land der Medeia? - Археологический Ежегодник, 2. С-Пб.
Сулава 2022: Сулава, Н. Колхідська бронзова культура – трохи про історію створення деяких "археологічних культур" Кавказу. Збірник "Схід та Україна: матеріали конференції (17-18 жовтня 2022 р) присвяченої пам'яті Ярослава Дашкевича". Київ. 220-225.
Техов 1960: Техов Б.В. Могильник эпохи поздней бронзы в с. Тли, СА, № 1.
Техов 1961: Техов Б.В. Об одном погребальном комплексе из с. Тли, СА, № 4.
Техов 1963: Техов Б.В. Раскопки тлийского могильника в 1960 году, СА, № 1.
Техов 1971: Техов Б.В. Очерки древней истории и археологии Юго-Осетии, Тб.
Техов 1980: Техов Б. В. Тлийский Могильник, I, Тб.
Техов 1981: Техов Б. В. Тлийский могильник, II, Тб.
Техов 1985: Техов Б. В. Тлийский могильник, III, Тб.
Техов 2002: Техов Б. В. Тайны древних погребений. Владикавказ.

ტაბულების აღწერილობა:

ტაბ. I - ბრინჯაოს ზოომორფულყურიანი სიტულების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური ტაბულა თლიას სამაროვნის მიხედვით (ნივთებს აწერია თლიას სამაროვნისკომპლექსების ნომრები [Техов 1980: ტაბ.114, სამ. №264; Техов 1985: ტაბ.104, სამ. 41; Техов 1980: ტაბ.108, სამ. № 254; Техов 1981: ტაბ.53, სამ. 51; Техов 1980: ტაბ.113, სამ. №262; Техов 1981: ტაბ.86, სამ.302]).

ტაბ. II – ბრინჯაოს ქვაბების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური ტაბულა თლიას სამაროვნის მასალების მიხედვით [Техов 1981: ტაბ.111, სამ. №161; Техов 1985: ტაბ.7, 213, სამ. №68; Техов 1985: ტაბ.189, სამ. № 300].

ტაბ. III – ბრინჯაოს თასების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური ტაბულა თლიას სამაროვნის მასალების მიხედვით [Техов 1981: ტაბ. 52, სამ. № 242; Техов 1981: ტაბ.77, სამ. № 271; Техов 1985: ტაბ.194, სამ. 306; Техов 1985: ტაბ.172, სამ. № 253].

ზოომორფულყურიანი სიტულები					
ტიპი	ტიპი I	IX	VIII	VII	VI
Iა	264 41				
Iბ	254 51				
Iგ	262 302				

ბრინჯაოს ქვაბები				
ტიპი	ტიპი I	VII	VI	V
Iა	161			
Iბ	68			
Iგ	300			

ბრინჯაოს თასები			
ტიპი	ტიპი I	VII	VI
Iა	30		
Iბ	Iბ,1 271 Iბ,2 242		
Iგ	306		
Iდ	253		

ქართლის (იბერიის) სამეფოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ახ.წ. I-IV საუკუნეების მოჭიქული კერამიკული ჭურჭლის საკითხისთვის

კობა კობერიძე

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიურ კომპლექსებში, ძირითადად ელიტურ გარემოში, დასტურდება მოჭიქული თიხის ამფორისკები და კოჭობები, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში იშვიათად გვხვდება, რაც იმის მანიშნებელია, რომ ჩვენთან, ახ.წ. I-IV საუკუნეებში ადგილობრივ არ იწარმოება მოჭიქული კერამიკული ჭურჭელი და ამ შემთხვევაში იმპორტთან გვაქვს საქმე.

საქართველოში სულ ცნობილია ამ პერიოდის 34 მოჭიქული ჭურჭელი [მანჯგალაძე 2008: 72], რაც, რა თქმა უნდა, ძალზე მცირე რაოდენობაა იმისათვის, რომ ახ.წ. I-IV სს-ის ამგვარი კერამიკული ნაწარმი ადგილობრივ წარმოებას დავუკავშიროთ, თუმცა, დღემდე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს მათი წარმომავლობის შესახებ. მეცნიერთა ნაწილი მათ ადგილობრივ ნაწარმად მიიჩნევს (კალანდაძე, ლომთათიძე, გობეჯიშვილი, აფაქიძე, მანჯგალაძე) ხოლო ზოგი მათ იმპორტულობას ემხრობა (ბოხოჩაძე, ჭილაშვილი). ამ მხრივ, საქართველოსგან განსხვავებული მდგომარეობაა მახლობელი აღმოსავლეთის ტერიტორიაზე: პართიასა და მესოპოტამიაში ახ.წ. I-III სს-ში მწვანედ მოჭიქული ჭურჭელი ფართოდაა გავრცელებული და მასზე საზოგადოების დაბალი ფენის წარმომადგენლებსაც კი იოლად მიუწვდებათ ხელი [Toll 1943].

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი მოჭიქული ჭურჭელი აღმოჩენილია თრიალეთსა და სამთავროს სამაროვანზე (მცხეთაში). თრიალეთში აღმოჩენილი ასეთი ჭურჭელი თარიღდება ურარტუს ეპოქით, ხოლო სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი მოჭიქული თიხის ჭურჭელი კი, ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოხანებითა და I ათასწლეულის დასაწყისითაა დათარიღებული [Куфтин 1941: 52].

საკმაოდ ხანგრძლივი ქრონოლოგიური წყვეტის შემდგომ, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოჭიქული ჭურჭელი გვიანანტიკურ ხანაში კვლავ ჩნდება. ამ პერიოდის 13 მოჭიქული ჭურჭელი აღმოჩენილია სამარხებში, ხოლო 21 მათგანი გამოვლინდა ნამოსახლარებზე ან შემთხვევითი მონაპოვარია [მანჯგალაძე 2008:72].

თრიალეთში, კერძოდ ბეშთაშენში, XXII ყორღანის ქვაყრილში აღმოჩნდა ბრტყელძირიანი, ამფორისებური, ორყურა, ლურჯი მინისებური ჭიქურით დაფარული ამფორისკი (ნაკლული), რომელშიც აღმოჩნდა ავგუსტუსის დენარის მინაბაძი. მონეტისა და აქ აღმოჩენილი მძივების მიხედვით ბ. კუფტინმა მოჭიქული ჭურჭელი ახ.წ. I ს-ით დაათარიღა (ტაბ. I-1) [Куфтин 1941: 25].

არმაზისხევის ერისთავთა IX სამარხში, სადაც 7-8 წლის ბავშვი იყო დაკრძალული, აღმოჩნდა მოჭიქული თიხის ორყურა ჭურჭელი, რომელსაც დაბალი, ცილინდრული ფორმის ვიწრო ყელი აქვს. ახასიათებს მაღალი, მსხლისებრი მოყვანილობის მუცელი და განიერი ძირი. პირს ფართო და მსხვილი ტუჩი შემოუყვება. ყურები მიძერწილია ყელსა და მუცელზე. ყურებს ქვემოდან, მუცელს, ირგვლივ შემოუყვება ორი პარალელური ღარი. ქუსლი 1 სმ სიმაღლის აქვს. ჭურჭლის ზედაპირი დაფარულია ცისფერი ჭიქურით. მოჭიქვა მდარე ხარისხისაა.

ჭიქურს ულამაზო, სხვადასხვა სიმუქის ფერი აქვს. ზოგიერთ ადგილას სქლად ჩამოღვენთილია. ჭურჭლის ტუჩზე შერჩენილია სამი, სიმეტრიულად განლაგებული, ძირშივე გადატეხილი მოუჭიქავი ნაშვერი, რომლებიც, გამოსაწვავ ქურაში ხმარებული სამფეხას ნაშთები უნდა იყოს. ჭურჭლის სიმაღლე 18 სმ-ია, მუცლის უდიდესი დიამეტრი-10,5 სმ, ქუსლის -7,5 სმ, პირის 3,5 სმ. მოჭიქული ამფორისკი სამარხში აღმოჩენილი ფაუსტინას ოქროს მონეტის საფუძველზე ახ.წ. II ს-ის შუა ხანებით თარიღდება (ტაბ. I-2) [აფაქიძე და სხვ. 1955: 101-102].

ეს არის ერთადერთი თიხის ჭურჭელი, რომელიც არმაზისხევის ერისთავთა სამარხებში დადასტურდა (სხვა შემთხვევაში მხოლოდ ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს თუ სხვა ძვირფასი ლითონის და ქვებისგან დამზადებული ჭურჭელი და სამკაული გვხვდება) [აფაქიძე და სხვ. 1955]. სავარაუდოდ, მსგავსი მოჭიქული ჭურჭელი სანელსაცხებელს წარმოადგენდა და მათ როგორც ყოველდღიურ ყოფაში, ასევე დასაკრძალავ რიტუალშიც იყენებდნენ.

მოჭიქული კერამიკული ჭურჭელი დასტურდება სამთავროს სამაროვნის III-IV სს-ით დათარიღებულ სამარხებში: აქედან ერთი 6 სმ-ის სიმაღლის, სქელკედლიანი და მწვანედ მოჭიქული კოჭობია, რომელსაც აქვს სწორი პირი, გამობერილი მუცელი, ორი ცრუ ყური და ქუსლი. თიხა წვრილმარცვლოვანია, ღია ნაცრისფრად გამომწვარი (ტაბ. I - 3,4). აღსანიშნავია, რომ ეს კოჭობიც (ისევე როგორც არმაზისხევის მოჭიქული თიხის ჭურჭელი) ბავშვის სამარხში აღმოჩნდა [აფაქიძე და სხვ. 1981].

ამავე სამაროვანზე დადასტურდა მწვანედ მოჭიქული ამფორისკები: მათთვის დამახასიათებელია გადაშლილი პირი, შედარებით დაბალი, ვიწრო ყელი, მსხლისებური მუცელი, ოდნავ შეზნექილი ქუსლი და ორი ყური, რომლებიც მიძერწილია ყელზე და მხარზე. ჭიქური ალაგ-ალაგ არათანაბარია. ერთ-ერთი ამფორისკი სქელკედლიანია და ბაკოც სქელი აქვს. თიხა კარგად განლექილია და ნაცრისფრადაა გამომწვარი (ტაბ. I-5,6,7). მათი სიმაღლე 14 სმ-დან 17 სმ-მდე მერყეობს (ერთ-ერთი ამფორისკი ფრაგმენტულადაა შემორჩენილი) [აფაქიძე და სხვ. 1981:156].

ამფორისკები სხვადასხვა სამარხშია ნაპოვნი და ორ შემთხვევაში ისინი საოჯახო სამარხის ინვენტარს შეადგენდნენ, სადაც დამარხვის ანალოგიური სიტუაცია დადასტურდა: სამარხებში სამ-სამი მიცვალებული იყო დაკრძალული: მამაკაცი, ქალი და 13-18 წლის მოზარდი. ხოლო მესამე შემთხვევაში მოჭიქული ამფორისკი წარმოადგენდა სოციალურად დაწინაურებული ფენის წარმომადგენლის სამარხის ინვენტარს (აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული საოჯახო სამარხებიც მოჭიქული ამფორისკების გარდა მრავალფეროვან ინვენტარს შეიცავდნენ) [მანჯგალაძე 1985: 63,65,96].

ორი მომწვანო-მოცისფროდ მოჭიქული ამფორისკი აღმოჩნდა ყოღოთოს (ნაქალაქარ ხორნაბუჯის მახლობლად, ყოღოთოსხევის პირას) ახ.წ. III ს-ის ბოლო - IV ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ სამარხში [სინაურიძე 1967: 144]. მათ მოთეთრო კეცი აქვთ, ახასიათებთ სწორი პირი, ბაკოგამსხვილებულია. ვიწრო, ცილინდრული ყელი პირისკენ ოდნავ ფართოვდება. აქვთ მსხლისებრი მოყვანილობის ტანი და ქუსლიანი ძირი. ყურები ყელზე და მხარზეა მიძერწილი (ტაბ. II-1,2).

ყოღოთოს სამარხში აღმოჩენილი ამფორისკები თითქმის იდენტურია სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ამფორისკებისა. არაა გამორიცხული, რომ ისინი ერთსა და იმავე დროს, მახლობელი აღმოსავლეთის ერთი კონკრეტული რეგიონიდან ან ქალაქიდან იქნა შემოტანილი (ყოღოთოს და სამთავროს ეს ჭურჭელი თანადროულია და III-IV ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება). შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ყოღოთოშიც, ისევე როგორც სამთავროზე, ამფორისკები საოჯახო სამარხის ინვენტარს შეადგენდნენ, სადაც ასევე, სამი მიცვალებული იყო დაკრძალული [კობერიძე 2015].

სამთავროზე და ყოღოთოში აღმოჩენილ მოჭიქულ ამფორისკებს მორფოლოგიურად უახლოვდება არაგვისპირის სამაროვნის (დუშეთის რაიონის სოფ. არაგვისპირში) ასეთივე ფორმის მოჭიქული ჭურჭელი. ის მოთეთრო, კაოლინური თიხისგან არის დამზადებული. აქვს მრგვალი, შებრტყელებული პირ-ბაკო, მომაღლო ყელი, რომელზეც ორივე მხრიდან სიმეტრიულად დაძერწილი აქვს მცირე ცრუ ყურები. ჭურჭლის კორპუსი არაპროპორციულია, თითქმის მსხლისებური მოყვანილობის მუცლით. მოგრძო მუცელი უერთდება კარგად გამოყოფილ ძირ-ქუსლს. ამფორისკის ზედაპირი დაფარულია მწვანე ჭიქურით (ტაბ.I-8). იგი თანადროულია ზემოთ აღწერილი ამფორისკებისა და ახ.წ. III ან IV ს-ის დასაწყისით თარიღდება [რობაქიძე 1982: 91].

ახალი ჟინვალის ნამოსახლარის I უბნის № 5 ორმოში აღმოჩნდა მცირე ზომის, უყურო, მოჭიქული ჭურჭელი (ერთადერთი მოჭიქული ჭურჭელია ამ ნამოსახლარზე), მოთეთრო-მოყვითალო თიხით ნაკეთები. გარედან მოცისფროდ მოჭიქული. ჭურჭელს აქვს ვიწრო ყელი, გადაშლილი, ბაკოშემსხვილებული პირი და მსხლისებური მუცელი. ოდნავ გამოყოფილი ბრტყელი ძირი. კეცი ძალზე მასიურია, იმ ზომამდე, რომ ჭურჭლის შიდა სივრცე წარმოადგენს რამდენიმე გრამი სითხის ტევადობის სინჯარისებრ სიცარიელეს, რომელიც ოდნავ ჩაცდება ყელის დონეს. მისი სიმაღლე 7.5 სმ-ია. ჭურჭელი ახ.წ. III ს-ით თარიღდება (ტაბ. II-4). ძალზე მცირე მოცულობის გამო, იგი შესაძლებელია რაღაც ძვირფასი წამლის ან სხვა თხევადი ნივთიერების შესანახად იყო განკუთვნილი [რამიშვილი 1983: 110].

ანალოგიური ფორმის, უყურო, მოცისფროდ მოჭიქული ჭურჭელი აღმოჩენილია ურბნისშიც, №11 სამარხში. მას აქვს ღია ფერის კეცი, ძირი გამოყოფილია ტანისგან. გამოყვანილი ყელი ტანისკენ ფართოვდება. ტანს მსხლისებური მოყვანილობა აქვს. ჭურჭლის სიმაღლე 7 სმ-ია (ტაბ. II-5). იდო მიცვალებულის მკერდზე. სამარხი ახ.წ. IV საუკუნით თარიღდება [ჭილაშვილი 1964: 64].

საყურადღებოა, რომ გვიანანტიკური ხანის მოჭიქულ ჭურჭელს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ აქვს დამატებითი ორნამენტი. ეს შესაძლებელია იმას ნიშნავდეს, რომ გვიანანტიკურ ხანაში მოჭიქვა თავისთავად ასრულებდა დეკორაციის ფუნქციას. უმრავლესობა მათგანი მწვანედაა მოჭიქული. დანარჩენი ეგზემპლარები კი მოჭიქულია მომწვანო-მოცისფროდ, მოცისფროდ, ლურჯად, ვერცხლისფრად.

რომაული ხანის მოჭიქულ, ორყურა ამფორისკებზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი ინარჩუნებენ ფორმების მდგრადობას და მათში მნიშვნელოვანი მორფოლოგიური ცვლილებები არ შეინიშნება. აღნიშნული ჭურჭლის ფორმის ერთგვარობა საუკუნეთა განმავლობაში მეტყველებს იმაზე, რომ ისინი ერთი და იმავე მიზნით გამოიყენებოდნენ და დროთა განმავლობაში მათი ფუნქცია არ შეცვლილა.

სავარაუდოდ, ამფორისკები გამოიყენებოდა ძვირფასი სითხის, სუნამოს შესანახად. გარდა ამისა, აღნიშნული ჭურჭელი, სავარაუდოდ, უნდა გამოეყენებინათ სამედიცინო სითხის შესანახადაც. ამგვარი ჭურჭლის ძირითადი ნაწილი საქართველოში ახ.წ. III საუკუნესა და IV საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებულ კომპლექსებში გვხვდება [მანჯგალაძე 2008].

როგორც ჩანს, გვიანანტიკური ხანის საქართველოში არ არსებობდა მოჭიქული ჭურჭლის წარმოების ტრადიცია. უშუალოდ ქართლის (იბერიის) სამეფოს დედაქალაქ მცხეთაში, რომელიც ამავე დროს, კერამიკული წარმოების ცენტრი უნდა ყოფილიყო, საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე მიმდინარეობდა I-IV სს-ით დათარიღებული როგორც სამაროვნების, ასევე ნამოსახლარების არქეოლოგიური კვლევა (და ეს ეხება არამარტო მცხეთას, არამედ მთელს აღმოსავლეთ საქართველოს), მიუხედავად ამისა, მოჭიქული კერამიკული ჭურჭლის სიმცირე თვალში საცემია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაახლოებით ოთხასი წლის მონაკვეთზე, მთელს აღმოსავლეთ საქართველოში, დღევანდელი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, მხოლოდ და მხოლოდ 34 მოჭიქული ჭურჭელი ჩანს გამოყენებული. ასეთი მონაცემები კი თავისთავად გამორიცხავს ამგვარი ჭურჭლის ადგილობრივად წარმოების შესაძლებლობას და მათ იმპორტულობას უსვამს ხაზს. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამგვარი ჭურჭელი, ძირითადად, ელიტურ გარემოშია დადასტურებული.

ძალიან მნიშვნელოვანია მცხეთაში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე გათხრილ ადრეშუასაუკუნეების ნამოსახლარზე გამოვლენილი მოჭიქული თიხის ჭურჭელი: ეს ამფორისებური თიხის ჭურჭელი დამზადებულია მოთეთრო-მოყავისფრო თიხისგან. ცილინდრულტანიანი, პირი ოდნავ გადაშლილი აქვს. ბაკო დაბრტყელებული. ყელი — ცილინდრული, მხრები —დაშვებული. ლენტისებრი ორი ყური ყელზე და მხარზე აქვს

დაძერწილი. მხარზე ორი ამოღარული სარტყელი შემოუყვება. ტანი დაფარულია მოცისფრო-მომწვანო ფერის ჭიქურით, რომელიც ყავისფერში გადადის. შემორჩენილი სიმაღლე 24,5 სმ-ია [აფაქიძე და სხვ. 2004: 72].

როგორც მ. მიწიშვილი აღნიშნავდა „ახ.წ. IV ს-დან VIII ს-მდე მოჭიქული ჭურჭლის არსებობა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ-ჯერობით არ არის დადასტურებული. შესაძლებელია შემდგომმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ეს ხარვეზი შეავსოს“ [მიწიშვილი 1969: 7].

როგორც ვნახეთ, არქეოლოგიურმა კვლევებმა აღნიშნული ხარვეზი ნაწილობრივ შეავსო — უკვე დასტურდება მოჭიქული ჭურჭელი ადრე შუასაუკუნეების ფენებშიც. როგორც ჩანს, მოჭიქული ჭურჭლის იმპორტი მახლობელი აღმოსავლეთიდან გრძელდება გვიანანტიკური ხანის შემდგომ პერიოდშიც, თუმცა, როგორც ამას აღმოჩენები ცხადყოფს, ისეთივე მცირე რაოდენობით, როგორც ეს გვიანანტიკურ ხანაში იყო.

მ. მიწიშვილის ამ ცნობაზე დაყრდნობით და უმთავრესად არქეოლოგიურ მასალაზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადგილობრივი მოჭიქული კერამიკის წარმოება, სავარაუდოდ, იწყება მხოლოდ VIII ს-ის შემდგომ. ხოლო მანამდე, გვიანანტიკურ და ადრეშუასაუკუნეების პერიოდში, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება მხოლოდ იმპორტული მოჭიქული ჭურჭელი.

ჩვენი დაკვირვების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანატიკური ხანის მოჭიქული ამფორისკები წარმოადგენენ იმპორტს პართიიდან და მესოპოტამიიდან. ამგვარი მოჭიქული ამფორისკები გავრცელებულია ირანის ტერიტორიაზე, როგორც პართული პერიოდის კერამიკულ ნაწარმში, ასევე ადრესასანურ პერიოდშიც. სელევკიაში და დურა-ევროპოსში აღმოჩენილია გვიანპართული პერიოდის, თითქმის ანალოგიური, მომწვანოდ მოჭიქული თიხის ამფორისკები, რომლებსაც ასევე მსხლისებური მუცელი, დაბალი ცილინდრული ყელი, მსხვილი პირი და დაბალი, შეზნექილი ქუსლი აქვთ. ყურები მიძერწილი აქვთ ყელზე და მხარზე (ტაბ. II-6) [The land between two rivers 1986: 121].

მეცნიერთა ნაწილი, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ მოჭიქული ჭურჭლის ადგილობრივი წარმოების დასამტკიცებლად აღნიშნავს, რომ „საქართველოს ფარგლებს გარეთ აღმოჩენილ, რომაული ხანის მოჭიქულ კერამიკასთან შედარებამ (ჩრდილო შავიზღვისპირეთი, პერგამი, როდოსი, ტიგროსის სელევკია, ურუქი, სომხეთი, დურა-ევროპოსი) ცხადყო მათ შორის არსებითი განსხვავება: ფორმა, თიხისა და ჭიქურის ფერი, დამზადების ხარისხი. ახლო მსგავსება და არა იდენტურობა დადასტურდა მხოლოდ დურა-ევროპოსის (სირია) რომაული ხანის სამაროვნის მცირე ზომის მოჭიქულ კერამიკასთან (ფორმა, ჭიქურის და თიხის ფერი), მაგრამ სირიული ნაწარმი ჩვენგან განსხვავებით მაღალი ხარისხისაა“ [მანჯგალაძე 2008: 72].

პართულ და ადრესასანურ ეპოქაში, როგორც დურა-ევროპოსში, ასევე სელევკიაში, დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებული მწვანედ მოჭიქული ამფორისკების იდენტური, ძირითადად ახ.წ. I-III სს-ით დათარიღებული მოჭიქული კერამიკული ჭურჭელი. ისინი არ გამოირჩევიან მოჭიქვის მაღალი ხარისხით და არც კეცის დამუშავებით [Toll 1943: 2-4].

სირიულ და სელევკიურ მწვანედ მოჭიქული ამფორისკების გარკვეულ ჯგუფს არ აქვს მოჭიქული ძირი და პირი (ტაბ. III) (როგორც ეს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებულ მოჭიქული ამფორისკების შემთხვევაში გვხვდება) და ხშირ შემთხვევაში ისეთივე დაბალი ხარისხის ნაწარმს წარმოადგენს, როგორც ეს საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება.

მესოპოტამიაში, სელევკიასა და დურა-ევროპოსში, მწვანედ მოჭიქული ჭურჭლის დიდი ნაწილი აღმოჩენილია მოუჭიქავი კერამიკის გვერდით, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ამ პერიოდში, მესოპოტამიური მოჭიქული ჭურჭელი ადგილობრივთათვის არ იყო

ფუფუნების საგანი, არამედ, წარმოადგენდა ყოველდღიური ყოფისთვის განკუთვნილ ნაწარმს. ამის დასტურია როგორც მოჭიქვის მდარე ხარისხი, ასევე, მოჭიქული ჭურჭლის ფორმის დაუდევრად კეთებაც [The land between two rivers 1986: 104-105]. ეს შეეხება როგორც მესოპოტამიას, ასევე, ირანის ტერიტორიაზე გავრცელებულ მწვანედ მოჭიქულ ჭურჭელს. სწორედ ამგვარი (მდარე ხარისხის) მესოპოტამიური და ირანული მოჭიქული კერამიკული ჭურჭელი შემოდიოდა იმპორტის სახით აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

ძვ.წ. I ს-დან მწვანედ მოჭიქული ჭურჭელი ფართოდ იწყებს გავრცელებას მთელს მესოპოტამიაში. მათი გავრცელება მახლობელ აღმოსავლეთში (და მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე) ემთხვევა პართიის იმპერიის საზღვრების ზრდას. თუმცა ზოგადად, პართული პერიოდის კერამიკული ჭურჭლის ფორმების ჩამოყალიბება, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ელინისტურ ხანაში დაიწყო.

უკვე ახ.წ. I-II სს-ში პართიასა და მესოპოტამიაში ამგვარი ჭურჭლის წარმოება საგრძნობლად იზრდება, ჩნდება ახალი ფორმები და მათ შორის ორყურა ამფორისკები [Toll 1943: 73]. მათი წარმოება ადრესასანურ ეპოქაშიც მნიშვნელოვანი მორფოლოგიური ცვლილებების გარეშე გრძელდება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოჭიქული ორყურა ამფორისკები პართულ პერიოდში ადრესასანურ პერიოდთან შედარებით მაღალი ხარისხითაა გამორჩეული.

სირიული მწვანედ მოჭიქული კერამიკული ნაწარმი, ისევე როგორც ზოგადად, მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელებული ამგვარი ჭურჭელი, მათი დამზადების ხარისხის შესაბამისად იყოფა ორ ჯგუფად: პირველი ჯგუფი ამგვარი კერამიკისა მაღალი ხარისხით გამოირჩევა და ეს ჯგუფი მხოლოდ საზოგადოების მაღალი ფენისთვის იყო განკუთვნილი. ამ ჯგუფს ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში „Lead glaze pottery"-ით მოიხსენიებენ (ტაბ. II-7). ამგვარი პროდუქციის წარმოების ცენტრები იყო ცენტრალურ გალიაში, იტალიაში, სერბეთში, რუმინეთში, ანატოლიაში [Walton, Tite 2009: 733], თუმცა, მოჭიქული ჭურჭლის ეს ჯგუფი საქართველოს ტერიტორიაზე არ დასტურდება.

მესოპოტამიაში და კონკრეტულად ქალაქ დურა-ევროპოსში გვხვდება ადგილობრივ დამზადებული, მწვანედ მოჭიქული ჭურჭლის მეორე ჯგუფი, რომელიც პირველ ჯგუფთან შედარებით უხეშკეციანია და მოჭიქვის დაბალი ხარისხითაც გამოირჩევა. ჭურჭელი მოჭიქვამდეა გამომწვარი. გამოწვა ხდებოდა კერამიკის გამოსაწვავ ღუმელში, დაახლოებით 10000 C-ზე (რაც საჭიროა ჭიქურის გამოსაწვავად). ზოგ შემთხვევაში ისინი დაუდევრად არის ნაკეთები. აღნიშნულ ჯგუფში გვხვდება უხეში, მინარევებიანი კეცის მქონე მოჭიქული კერამიკული ნაწარმი, თუმცა, ამავე ჯგუფში დასტურდება ღია მოყვითალო და კრემისფერი კეცის მქონე, კარგად განლექილი და დამუშავებული, მწვანედ მოჭიქული ჭურჭელიც [Toll 1943].

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ დურა-ევროპოსის ამგვარი კერამიკული ნაწარმი დაუდევრად არის ნაკეთები, მოჭიქვა ხანდახან არათანაბარია: ხშირ შემთხვევაში, როცა ჭურჭელს ზედმეტი ჭიქური ჰქონდა წასმული, გამოწვის დროს იღვენთებოდა და შედეგად არათანაბარი მოჭიქვის ჭურჭელს იღებდნენ. ასევე, ზოგ შემთხვევაში, ჭურჭლის ქუსლი და პირი მოუჭიქავი რჩებოდა.

ყველა ამ ნიშნით, მესოპოტამიური მოჭიქული ჭურჭელი ძალზე უახლოვდება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ გვიანანტიკური ხანის ამგვარ ჭურჭელს, რაც ნათლად ადასტურებს, რომ ამგვარი კერამიკული ნაწარმი მესოპოტამიურ იმპორტს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე.

ამის კარგი მაგალითია არმაზისხევის პიტიახშთა სამაროვანზე დადასტურებული მოჭიქული ამფორისკი (ტაბ. II-2). იდენტური მორფოლოგიური ნიშნების გარდა კიდევ ორი დეტალი მიგვანიშნებს მის იმპორტულობაზე: I— ეს არის მისი ორნამენტი — ყურებს ქვემოდან, მხარზე შემოვლებული ორი პარალელური ღარი. ამგვარი ორნამენტი (მხარზე

შემოვლებული პარალელური ღარები) ძალზედ დამახასიათებელია დურა-ევროპოსში აღმოჩენილი მწვანედ მოჭიქული ამფორისკებისთვის (ტაბ. III-2). II — ჭურჭლის ტუჩზე შერჩენილი სამი, სიმეტრიულად განლაგებული, ძირშივე გადატეხილი მოუჭიქავი ნაშვერი (რომელიც გამოსაწვავ ქურაში ხმარებული სამფეხის ნაშთები უნდა იყოს). ეს დეტალიც ძალზე დამახასიათებელია პართული პერიოდის მესოპოტამიური მოჭიქული ნაწარმისთვის. მათ შორის ასეთი ნიშნების მქონე მოჭიქული ამფორისკები დასტურდება დურა-ევროპოსში, სელევკიაში და სხვა [Toll 1943:2].

მესოპოტამიაში, კერამიკული ჭურჭელი გამოსაწვავ ღუმელში თავსდებოდა ორნაირად: ისინი იდგმებოდა ან გამართულად (ძირზე მდგარი), ან გადმობრუნებულ მდგომარეობაში — პირით ქვემოთ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მათ დასადებად იყენებდნენ სპეციალურ სადგარს, რომელსაც სამი შვერილი ჰქონდა და ჭურჭელი პირით ზუსტად ამ შვერილებზე თავსდებოდა. სადგარი უზრუნველყოფდა, რომ ჭურჭლის პირი არ შეხებოდა ღუმელის იატაკს, თუმცა, სადგარის კვალი (სამი ღარი, ან სამი მცირე შვერილი) ჭურჭლის პირზე გამოწვის შემდგომ რჩებოდა [Toll 1943:2-3].

კერამიკული ნაწარმის გამოწვის ამგვარი მეთოდი ცნობილი იყო როგორც მესოპოტამიაში, ასევე პართიაში და შესაბამისად, ამგვარი ნიშნების მქონე კერამიკული ჭურჭელი მრავლად გვხვდება აღნიშნულ ტერიტორიებზე პართულ პერიოდში.

საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებულ, ადგილობრივ კერამიკულ ნაწარმზე დაკვირვების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოთ აღწერილი მეთოდი კერამიკული ჭურჭლის გამოწვისა (როდესაც კერამიკული ჭურჭელი გამოიწვება პირით ქვემოთ, სადგარის დახმარებით) სრულიად უცნობი იყო ადგილობრივი მეთუნე ხელოსნებისთვის, რადგან ასეთი ნიშნების მქონე (სადგარის ანაბეჭდები პირზე) ამ პერიოდში საერთოდ არ ჩანს.

ამ ვარაუდს ამყარებს ის ფაქტიც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არ დადასტურებულა კერამიკული ნაწარმის გამოსაწვავად საჭირო გვიანანტიკური ხანის სამშვერილიანი სადგარი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ადგილობრივ გამოეწვათ კონკრეტულად პიტიახშების სამაროვანზე დადასტურებული ამფორისკი, რომელიც აშკარად ამგვარი სადგარის დახმარებით არის გამომწვარი.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ მახლობელი აღმოსავლეთის ტერიტორიაზე გავრცელებული მწვანედ მოჭიქული ჭურჭელი პართულ და ადრესასანურ პერიოდში ბევრ ახლო პარალელს პოულობს ერთმანეთთან, რაც, რა თქმა უნდა, სავაჭრო-კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობებით იყო განპირობებული. ამ პროცესში, რა თქმა უნდა, ჩართული იყო საქართველოც, რაც, მატერიალურ კულტურაშიც აისახა.

პართული პერიოდის მწვანედ მოჭიქული ჭურჭელი დასტურდება მესოპოტამიის მრავალ ქალაქში: ქიშში, ბაბილონში, ასევე ნიფურში. სუზაში აღმოჩენილი მწვანედ მოჭიქული ამფორისკები ახლო მსგავსებას ავლენს დურა-ევროპოსის ამფორისკებთან [Toll 1943:74]. ამავე პერიოდის მოჭიქული ჭურჭელი აღმოჩენილია აშურში, თელ-ბულაში, ნინევიაში, მცირე აზიაში.

პართული პერიოდის მოჭიქული ამფორისკები სამხრეთ მესოპოტამიასთან შედარებით, დიდი რაოდენობით დასტურდება ჩრდილო მესოპოტამიაში, რაც მიუთითებს, რომ მათი წარმოება, ძირითადად, ჩრდილოეთ მესოპოტამიაზე მოდის [Toll 1943:78].

გვიანელინისტური და გვიანანტიკური ხანის მწვანედ მოჭიქული კერამიკული ჭურჭელი გავრცელებულია ასევე სომხეთის ტერიტორიაზეც. ისინი აღმოჩენილია ძვ.წ. I-ახ.წ. II სს. დათარიღებულ არქეოლოგიურ კომპლექსებში. მიაჩნიათ, რომ გვიანანტიკურ ხანაში სომხეთი იყო ამგვარი კერამიკული ჭურჭლის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი [Хачатрян 1977:194].

სომხეთში აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკული ჭურჭლის ნაწილი წარმოადგენს იმპორტს მესოპოტამიიდან და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ცენტრებიდან,

თუმცა უმეტესი მათგანი ადგილობრივ ნაწარმად არის მიჩნეული, ვინაიდან ისინი იმეორებენ ადგილობრივი წარმოების, მოუჭიქავი კერამიკის ფორმებს და ორნამენტაციას. მიაჩნიათ, რომ სომხეთში ამგვარი კერამიკული პროდუქციის წარმოების მთავარი ცენტრი ქალაქი არტაშატი იყო [Хачатрян 1977].

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებული გვიანანტიკური ხანის მოჭიქული ჭურჭელი წარმოადგენს იმპორტს პართიიდან და მესოპოტამიიდან, რის გამოც იგი აქ ძვირად ფასობს მახლობელი აღმოსავლეთისგან განსხვავებით და შესაბამისად არ არის ყველასთვის ხელმისაწვდომი.

ამგვარი თიხის ნაწარმი მისი სიძვირიდან გამომდინარე, ქართლის (იბერიის) სამეფოს ტერიტორიაზე, მხოლოდ საზოგადოების სოციალურად დაწინაურებული ფენისთვის იყო ხელმისაწვდომი (ყოველ შემთხვევაში ამგვარი ვითარებაა ახ.წ. I-IV ს-ის პირველ ნახევარში), რაც, თავისთავად ხსნის მოჭიქული ჭურჭლის იშვიათად აღმოჩენის ფაქტს გვიანანტიკური ხანის საქართველოში.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამგვარი ჭურჭელი თითქმის იდენტურია დურა-ევროპოსში (სირია) და სელევკიაში (მდებარეობს მდ. ტიგროსზე, დღევანდელ ერაყში) აღმოჩენილ გვიანპართული პერიოდის, შედარებით დაბალი ხარისხის მოჭიქული ჭურჭლისა და შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ სწორედ ამ რეგიონებიდან ხდებოდა მათი იმპორტი საქართველოს ტერიტორიაზე სავაჭრო-კულტურული ურთიერთობების შედეგად, რაც თავის მხრივ ცხადყოფს, რომ ამ პერიოდში ქართლის (იბერიის) სამეფო მნიშვნელოვნად იყო ჩართული სავაჭრო-კულტურულ და ეკონომიკურ პროცესებში მახლობელ აღმოსავლეთთან.

ლიტერატურა:

აფაქიძე და სხვა, 1955: აფაქიძე ან, გობეჯიშვილი გ, კალანდაძე ალ, ლომთათიძე გ. არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937-1946 წწ. განათხარის მიხედვით. კრებ. *მცხეთა*, ტ. I. თბ. 1955.

აფაქიძე და სხვა, 1978: აფაქიძე ან, კალანდაძე ალ, ნიკოლაიშვილი ვ, მანჯგალაძე გ, სიხარულიძე ან, სადრაძე ვ, ხეცურიანი ლ, ჯღარკავა თ, ძნელაძე მ, დავლიანიძე რ, გიუნაშვილი გ. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წ. ანგარიში. *მცხეთა*, ტ. II. თბ. 1978. გვ. 81-146.

აფაქიძე და სხვა, 1981: აფაქიძე ან, აბდუშელიშვილი მ, ნიკოლაიშვილი ვ, სიხარულიძე ან, მანჯგალაძე გ, გიუნაშვილი გ, ძნელაძე მ, სადრაძე ვ, ირემაშვილი შ. მცხეთა - 1978 წ. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. *მცხეთა*, ტ. V. თბ. 1981. გვ:153-169.

აფაქიძე და სხვა, 2004: აფაქიძე ან. ნიკოლაიშვილი ვ. გიუნაშვილი გ. დავლიანიძე რ. ნარიმანიშვილი გ. სადრაძე ვ. ძნელაძე მ. ირემაშვილი შ. ნონეშვილი ალ. ხეცურიანი ლ. გავაშელი ედ. მცხეთის ექსპედიცია. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წწ. თბ. 2004 წ. გვ. 70-80.

კახიძე 2007: კახიძე ამ. *ფიჭვნარი*, ტ. II. ბათუმი.

კობერიძე 2015: კობერიძე კ. ზოგიერთი კერამიკული ფორმა აღმოსავლეთ საქართველოში (ახ.წ. I-IV სს.). სპეკალი, № 9 (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი). თბ.

მანჯგალაძე 1985: მანჯგალაძე გ. სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამარხები. მცხეთა ტ. VII. თბ. გვ: 43-107.

მანჯგალაძე 2008: მანჯგალაძე გ. რომაული ხანის მოჭიქული თიხის ჭურჭელი საქართველოში. იბერია-კოლხეთი №4. თბ. გვ. 71-73.

მიწიშვილი 1969: მიწიშვილი მ. მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში. IX-XIII სს. თბ. გვ.5-8
ნიკოლაიშვილი და სხვ. 1995: ნიკოლაიშვილი ვ, გიუნაშვილი გ. ბაიათხევი. *მცხეთა,* ტ. X. თბ. 1995.
რამიშვილი 1983: რამიშვილი რ. ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-1973 წწ. განათხარის მიხედვით. კრებ. ჟინვალი, ტ. I თბ. გვ. 81-129.
რობაქიძე 1982: რობაქიძე ც. არაგვისპირის სამაროვნის თიხის ჭურჭელი. *ძიებანი.* II-III თბ. გვ. 86-91.
სინაურიძე 1967: სინაურიძე მ. გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის სამარხები ყოღოთოდან სსმმ, XXVII-B. თბ. გვ. 113-118.
ჩიხლაძე 2015: ჩიხლაძე ვ. წინაქრისტიანული ხანის ჟინვალის სამაროვანი. თბ.
ჭილაშვილი 1964: ჭილაშვილი ლ. ნაქალაქარი ურბნისი. თბ. გვ. 14-69.
Seton… 1955: Seton Lloyd; James Mellaart. Beycesultan excavations. Anatolian Studies. Journal of the British Institute of Archaeology at Ankara. Vol. V. pp. 39-92.
Toll 1943: Toll N. The Excavation at Dura-Europos. The green glazed pottery. Report IV. London.
The land… 1986: The land between two rivers. (Twenty years of Italian archaeology in the Middle East). Rome.
Walton… 2010: Walton M.S. Tite M.S. Production technology of Roman lead-glazed pottery and its continuance into late antiquity. Archaeometry, Vol. 52. Issue 5. Oxford. pp. 733-759.
Иващенко 1980: Иващенко М.М. Самтаврские погребения. Мцхета, Т. III. Тб.
Куфтин 1941: Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети. Тб. с. 25-52.
Рамишвили 1982: Рамишвили Р. М. Археологические изыскания в зоне строительства Жинвальского гидротехнического комплекса в 1976-1979гг. Археологические исследования на новостроиках Грузий, Тб. გვ. 33-36.
Фибаров 1984: Фибаров Р. Ф. Раскопки Змейсково могильника. АО 1982 г. Мос. с. 136.

ტაბულების აღწერილობა:

ტაბ. I. 1. მოჭიქული ამფორისკი. *ბეშთაშენის* სამაროვანი, ახ.წ. I ს. **2.** მოჭიქული ამფორისკი. *არმაზისხევის* სამაროვანი. ახ.წ. II ს. **3,4.** მოჭიქული კოჭობი. სამთავროს სამაროვანი. ახ.წ. III-IV სს. **5-7.** მოჭიქული ამფორისკები. სამთავროს სამაროვანი. ახ.წ. III-IV სს. **8.** მოჭიქული ამფორისკი. არაგვისპირის სამაროვნი, ახ.წ. III-IV სს.

ტაბ. II. 1.2. მოჭიქული ამფორისკები. ყოღოთოს სამაროვანი. ახ.წ. III-IV სს. **3.** მოჭიქული კოჭობი. ახალი ჟინვალის ნამოსახლარი. ახ.წ. III ს. **4.5.** მოჭიქული კოჭობი. ურბნისის სამაროვანი. ახ.წ. IV ს. **6.** მოჭიქული ამფორისკი. სელევკია. გვიანპართული პერიოდი. **7.** მაღალი ხარისხის მწვანედ მოჭიქული კერამიკული ჭურჭელი: სკიფოსი აღმოსავლეთ ანატოლიიდან და ასკოსი იტალიიდან. ახ.წ. I ს.

ტაბ. III. 1-2. მოჭიქული ამფორისკები. დურა-ევროპოსი (სირია). ახ.წ. I-III სს.

I

1

2

3



4

5



6

7

8

II

1

2

3

4

5

6

7

III


Ph. I–96
1938.4791
I–246
1935.70
1931.448
1931.450
K–316
1938.4790
1932.1283
I–247
1931.447
I–271
I–272

1


Ph. I–96
I–246
1938.4791
1935.70
I–272
F–1222

2

საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი კოროპლასტიკის ნიმუშები (ძვ.წ. V-ახ.წ. IV სს.)

ანა დავითაშვილი, მაია ჩარკვიანი

კოროპლასტიკა არის მცირე ზომის, ტერაკოტული (გამომწვარი თიხის) ფიგურების დამზადების ხელოვნება, რომელიც პოპულარული იყო ძველ სამყაროში, განსაკუთრებით კი საბერძნეთში [Meriem Webster: 2023]. კოროპლასტიკის ნიმუშებს წარმოადგენს ღვთაებათა, ადამიანების, ცხოველების, ფრინველების ფიგურები, ასევე ნიღბები, სათამაშოები, არქიტექტურული დეტალები (ანტეფიქსები), რელიეფური ჭურჭელი და ყალიბები, რომელთა მეშვეობითაც ისინი მზადდებოდა. ტერაკოტული ფიგურები წარმოადგენდა კერძო პირთა კუთვნილებას, უკავშირდებოდა ყოფას, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებსა და ჩვეულებებს, გამოიყენებოდა საცხოვრებელი სახლის „წმინდა ადგილის“ შესამკობლად ან ტაძარში შესაწირად [Uhlenbrock 1993:12-27; Muratov, 2004]. ტერაკოტული ნიმუშების დასამზადებლად იყენებდნენ სუფთად განლექილ თიხას და სპეციალურ ყალიბებს. დამზადების ტექნიკა გახლდათ მარტივი და ფართოდ გავრცელებული. მოცულობის სიმცირის გამო თიხა ძირითადად ხელით მუშავდებოდა. თავდაპირველად (ძვ.წ. IV ს-მდე) იყენებდნენ ერთ საგდულიან ყალიბებს, რომელიც შემდგომ შეცვალა ორ საგდულიანებმა [Ross 2011: 79-80]. პირველ ეტაპზე თიხა ნაწევრდებოდა რამდენიმე ნაწილად და იძერწებოდა ფიგურა, რისი გამყარების შემდეგაც კი იჭრებოდა სასურველ ზომაზე. თუკი ფიგურა საჭიროებდა სხვადასხვა დეტალებს, ისინი ცალ-ცალკე ყალიბებში მზადდებოდა, მაგალითად სხეულის ნაწილები. იმკობოდა დეკორაციით და რელიეფს ეძელოდა შესაბამისი ეფექტები. ამას გარდა ფიგურას უკეთდებოდა სავენტილაციო ხვრელი ორთქლისათვის, რის შემდეგადაც ღუმელში გამოიწვებოდა 600-800 გრადუსზე [Muratov 2004; Thompson 1965: 34-77].

მცირე ზომის თიხის ფიგურების დამზადების ისტორია ზედაპალეოლითიდან იწყება და ყველა ძველ ცივილიზაციაში, მაგალითად: - ძველი ეგვიპტე, მესოპოტამია, ძველი ინდოეთი, ძველი ჩინეთი, და რა თქმა უნდა ძველი საბერძნეთი - ვხვდებით მათ. ასეთია კიკლადური ფიგურები საბერძნეთიდან, რომელებიც ძვ.წ IV-II ათასწლეულებით თარიღდება. უმეტესი მათგანი სამარხებშია ნაპოვნი, მიცვალებულის გვერდით და ძირითადად, ბავშვთა და ქალთა ფიგურებს წარმოადგენს, გეომეტრიზირებულ სხეულზე მჭიდროდ დაწყობილი ხელებით [Uhlenbrock 1993: 7-13]. ასევე ვხვდებით კრეტის ტერაკოტულ ფიგურებს. ისინი ძირითადად პროტოგეომეტრიული პერიოდით თარიღდება [Gaignerot-Driessen 2018]. საგულისხმოა მიკენური ფიგურები, რომელთაც აქვთ ბერძნული ϕ და Ψ-ს ფორმა, გამოხატავდნენ ზოომორფულ ფიგურებს და ვხვდებით სალოცავების შესაწირ ადგილებში [Thurston 2016]. არქაული პერიოდიდან კოროპლასტიკის ნიმუშებს ძირითადად ბეოტიასა და ატიკიდან ვიცნობთ. ეს უკანასკნელნი ძვ.წ. IV ს-ით თარიღდებიან და ძირითადად მჯდომარე ქალის ფიგურებს წარმოადგენენ. ამ პერიოდისაა აგრეთვე ფიგურები კვიპროსიდან [Budin 2006:76-79]. კოროლასტიკის ნიმუშები თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს, როგორც მხატვრული, ისე ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ქალაქ ტანაგრაში აღწევს. ტანაგრას ფიგურებს ადამიანთა რეალისტური სახეები ახასიათებდათ, რომლებიც ყოველდღიური, ტრადიციული პეპლოსებით იყვნენ შემოსილნი [Bell 1993:39-53].

საქართველოს ტერიტორიაზე თიხის მცირე ზომის ქანდაკებებს ჯერ კიდევ ნეოლითიდან ვხვდებით. ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებზე — შულავერის გორა, იმირისგორა, ხრამის დიდი გორა — საცხოვრებელი ნაგებობის ცენტრში არსებულ კერაში (ნაცარში) ნაპოვნია გამოუწვავი თიხის ქალის მინიატურული ფიგურები, რადგან

უმეტეს მათგანს მკვეთრად გამოხატული ნიშნები: უტრირებული გულ-მკერდი, თეძოები და ფეხები აქვს. ითვლება ბუნებისა დაყოველგვარი სულიერის შემქმნელ დედა-ღვთაებად ანუ „დიდ დედად“. მათ საკულტო-სარიტუალო დანიშნულება ჰქონდათ. მტკვარ-არაქსის კულტურაშიც გრძელდება მცირე ანთროპომორფული ქანდაკებების კეთების ტრადიცია, თუმცა ამ პერიოდში გაცილებით ნაკლებია მასალა. ქვაცხელებზე ვხვდებით მამაკაცის კოროპლასტიკის ნიმუშებს, რომელიც სავარაუდოდ ღვთაება ტელეფისის გამოსახულება უნდა იყოს. ამას გარდა გვაქვს რქოსანი პირუტყვის ფიგურებიც [ღლონტი და სხვ. 1975: 25-28; ჯავახიშვილი 1984: 12-35]. მართალია სტილისტური თვალსაზრისით ქანდაკება არ იხვეწება, თუმცა აშკარაა ადამიანს კვლავ აქვს სურვილი, საკუთარი სულიერი განცდა თუ რწმენა ასახოს მცირე პლასტიკაში. რაც შეეხება წინარეანტიკურ ხანას საქართველოში, აშკარაა, რომ ადგილობრივი ტერაკოტული ფიგურები შერწყმულია ძველი საბერძნეთის სტილთან. მაგალითისთვის, ორპროტომიანი ცხოველების გამოსახულებები ვანიდან და ნოქალაქევიდან [ლორთქიფანიძე ოთ. 1995:188-189].

სტატია ეძღვნება საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ და ლიტერატურაში გამოქვეყნებულ ძვ.წ.V-ახ.წ.IV სს-ის კოროპლასტიკის ნიმუშებს. მისი მიზანია კოროპლასტიკის ნიმუშების კატალოგიზაცია, ფუნქციონალური, ქრონოლოგიური და ტერიტორიალური პრინციპის მიხედვით დაჯგუფება. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე კოროპლასტიკის ნიმუშების წარმოდგენა, როგორც ძველი კოლხეთისა და იბერიის კულტურის შესასწავლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროსი. ნიმუშების გაერთიანება და თავმოყრა, ამ საკითხებისადმი ძიებას უფრო ხელმისაწვდომსა და ადვილს ხდის, რაც შემდგომი კვლევებისთვის მნიშვნელოვანია. საქართველოს ტერიტორიებზე კოროპლასტიკის ნიმუშები (ძვ.წ. V-ახ.წ. IV სს.) გამოვლენილია ღვთაებათა, ადამიანთა, ცხოველთა ფიგურების, ასევე ნიღბების, მინიატურული საკურთხევლების, არქიტექტურული დეტალებისა (ანტეფიქსები და მოსაპირკეთებელი ფილა) და ყალიბების სახით, რომელიც გვხვდება ფიჭვნარის სამაროვანსა და ნაქალაქარზე, ვანის ნაქალაქარზე, საყანჩიას ნამოსახლარზე, ციხისძირის სამაროვანზე, სარკინეს ნამოსახლარზე, უფლისციხის კლდოვან სამარხში, სოფ.კლდის კულტურულ ფენაში, გონიოს ციხე-სიმაგრესა და მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძრის ეზოში.

კატალოგი:

ა) ღვთაებათა ფიგურები.

1. დემეტრა. ნაპოვნია ფიჭვნარში, ბერძნულ სამაროვანზე, ჰუმუსოვან ფენაში. თიხა მოყვითალო-ღიაყავისფერია, კარგად განლექილი, ქარსის მინარევით. დაზიანებულია, აკლია სხეულის ქვედა ნაწილი და მხარი. სახე ოვალური მოყვანილობის, თმები - შუაზე სადად გაყოფილი. თავს უმშვენებს სტეფანა და თავსაბურავი, მკერდი და მკლავები რელიეფურადაა დამუშავებული. განეკუთვნება ტახტზე მჯდომი ქალღმერთების რიგს. თუმცა სავარძელი უზურგოა. სიმაღლე 7,9 სმ. ფიგურა შესრულებულია ყალიბში. არის ღრუ. წინა და ზურგის ნაწილების შეერთების ადგილას იარაღის კვალი ეტყობა. სახე არ არის კარგად რეტუშირებული. შესაძლოა ამოვსებული იყო საღებავით. გამოწვის შემდეგ ფიგურა დამუშავებულია თეთრი კირხსნარით. ქანდაკების ეს ტიპი გავრცელებული იყო როდოსზე, სამოსზე, იონიაში, ათენში. თარიღდება ძვ.წ. V საუკუნით [ძნელაძე, 2000:26; ძნელაძე, 2006:152] (ტაბ. 1 სურ. 6).

2. დემეტრა. ნაპოვნია ფიჭვნარის სამაროვანზე №17 სამარხის სააღაპო-სარიტუალო მოედანზე. თიხა კარგად განლექილია, გამოწვის შემდეგ ღიამოყვითალო ფერი აქვს მიღებული. დაზიანებულია, თავი და ხელები არაა დაცული. აცვია თხელი, დრაპირებული, გრძელი ქიტონი. არ აქვს ატრიბუცია, რაც ართულებს იდენტიფიკაციას. თუმცა შემოსილ ქალღმერთებს შორის ძირითადად დემეტრა იგულისხმება. სიმაღლე 4,2 სმ. ტერაკოტა

დამზადებულია ყალიბში. მსგავს ფიგურებს მთელ საბერძნეთში ვხვდებით. სიუჟეტური ანალოგიების მიხედვით დემეტრას ქანდაკებაა. დემეტრას კულტის გავრცელება განპირობებული უნდა ყოფილიყო მიწათმოქმედებასა და სოფლის მეურნოების განვითარებასთან. ამ ქალღმერთისადმი პოპულარობას მეტყველებს შავიზღვისპირეთში, დემეტრასადმი მიძღვნილი გრაფიტოები და ტრიპტოლემოსის სცენის გამოსახულება ფიჭვნარის წითელფიგურულ კრატერზე. თარიღდება ძვ.წ. IV საუკუნით [ძნელაძე, 2000:26; ძნელაძე, 2006:152] (ტაბ. 1 სურ.2).

3. დემეტრა. ნაპოვნია ფიჭვნარის ბერძნულ სამაროვანზე, სამ. №195. თიხა ნარინჯისფერი-მოყავისფრო, მარილიანი ქვიშის ზემოქმედებით კეცი ძლიერაა დაზიანებული. სტატუეტს აკლია კვარცხლბეკისა და სავარძლის ნაწილი. ქალღმერთს ოვალური სახე და ოდნავ სქელი, მაღალი ყელი აქვს. ვარცხნილობა კეფაზე აქვს აწეული. შემოსილია სადა, ტერფებამდე დაშვებული ქიტონით. სავარძლის ზურგს მომრგვალებული შვერილები აქვს. ქანდაკება დაბალ პოსტამენტზე დგას. სიმაღლე-19,5 სმ. ყალიბშია შესრულებული. გამოწვისას ზურგზე მართკუთხედის ფორმის ჭრილი აქვს გაკეთებული. მიეკუთვნება ტახტზე მჯდომარე ქალღმერთ დემეტრას გამოსახულებათა რიგს, პარალელს პოულობს ატიკური ტიპის ტერაკოტებთან. თარიღდება ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედით [ძნელაძე, 2000:31; ძნელაძე, 2006:151] (ტაბ.1 სურ.1).

4. ეროსი. ნაპოვნია ფიჭვნარის ნაქალაქარის მეორე უბანზე, ჩოლოქისპირა თხრილების ელინისტური ხანის კულტურულ ფენებში. თიხა მკვრივია, მოყვითალო-მონაცრისფრო, მინარევებიანი. დაზიანებულია, თავი და ფეხების ნაწილი მომტვრეულია. ფიგურის მარცხენა ხელი მოსასხამითაა დაფარული, მარჯვენა ხელით კალთა უნდა ჰქონდეს აკეცილი. სავარაუდოდ, გამოსახულება ღმერთ ეროსს უნდა წარმოადგენდეს. ქანდაკება ეყრდნობა მარჯვენა ფეხს, მეორე ფეხი წინ აქვს გადმოდგმული, თითქოს მოძრაობსო. სიმაღლე 6 სმ. დამზადებულია ყალიბში, ზურგის მხარე ხელითაა მოსწორებული. თარიღდება ძვ.წ. IV-III საუკუნით [ძნელაძე, 2000:25-31] (ტაბ.1 სურ.3).

5. აფროდიტე. ნაპოვნია ფიჭვნარში, ბერძნულ სამაროვანზე, სამ. №244. თიხა ყავისფერი და მინარევებიანია. სტატუეტი დაზიანებულია. ცალკეული დეტალები კარგად არის დამუშავებული. წარმოადგენს ფეხზემდგომი ქალის გამოსახულებას. თმები შუაზე აქვს გაყოფილი და შეკრული კეფაზე. სახე დაზიანებულია. შეიმჩნევა მსხვილი, მაგრამ ქალური ნაკვთები. შემოსილია ქიტონით და მხარზე მოსხმული ჰიმატიონით. კალთა მარცხენა ხელით აქვს აწეული. მარჯვენა - მკერდთან აქვს მიტანილი. ოდნავ მოხრილი მარცხენა ფეხი წინაა წამოწეული. ფიგურა დგას პოსტამენტზე. სიმაღლე 31სმ. დამზადებულია ყალიბში. დანით აქვს გაკეთებული ჭრილი, ცხელი ჰაერის ჭავლის გამოსასვლელად. მსგავსი ტიპის ფიგურები გვხვდება ოლბიასა და კერკინიტიაში, რომელთაც წარმომავლობა როდოსიდან და ატიკიდან აქვთ. თარიღდება ძვ.წ. V საუკუნით[ძნელაძე, 2005:40-42] (ტაბ.1 სურ.8).

6. სილენი. ნაპოვნია ვანში, საყანჩიას ნამოსახლარზე, ქვაყრილი IIა სათავსოს ქვეშ აღმოჩენილი სადგამის (მანგალას) ფრაგმენტზე. წარმოადგენს წვეროსანი მამაკაცის რელიეფურ გამოსახულებას. მსგავსი ტიპის მანგალები აღმოჩენილია ალექსანდრიაში, სიფნოსზე, დელოსზე,კორინთოში. თარიღდება ძვ.წ. III-II საუკუნეებით[ლიჩელი 1991: 64-65] (ტაბ.1 სურ.4).

7. დიონისე. ნაპოვნია ვანის ნაქალაქარის, ქვედა ტერასაზე, საკულტო-სატაძრო ნაგებობათა კომპლექსში. სტატუეტი მოყავისფრო თიხისაა, რომელშიც კირქვის და კვარცის წვრილი ნამცეცები შეიმჩნევა. ამგვარი თიხა ადგილობრივი უნდა იყოს. ქანდაკებას თავი და მარჯვენა ხელი მოტეხილი აქვს. ასევე დაზიანებულია ყანწის ზედა ნაწილი. ფიგურას აცვია გრძელი ქიტონი, მარცხენა ხელში კი უჭირავს ყანწ-რიტონი. სამოსზე ამოკაწრულია ღარები. წელზე რელიეფურად შემორტყმული აქვს სარტყელი. სამოსი უსახელოა და მოჩანს შიშველი, დაკუნთული ხელი. სხვა მსგავსი ფიგურებისა და

ყანწ-რიტონის გამო ვარაუდობენ, რომ დიონისეს თიხის ქანდაკებაა. სიმაღლე 126 მმ, რიტონის 51 მმ. ქვევიდან კი 23X33 მმ ღრუ აქვს, რომლითაც სავარაუდოდ ჯოხზე მაგრდებოდა. მსგავსი ტიპის ქანდაკება საქართველოში გვხვდება არმაზისხევსა და გუდაუთის რაიონში. თარიღდება ძვ.წ. II-I სს-ით [გამყრელიძე 2001:135-138] (ტაბ.1 სურ.5).

8. მუზა. ნაპოვნია უფლისციხეში, კლდოვანიხევის სამარხში. კლდეზე ჩამომჯდარი ქალის ფიგურა. მცირედ დაზიანებულია, მოტეხილი აქვს მარჯვენა ხელი მთლიანად, მარცხენა - მკლავს ქვემოთ. დაფარული იყო თეთრი ანგობით, ალაგ-ალაგ მოოქროების კვალით. თიხა მუქი ყავისფერი. ღრუტანიანი. გამიზნული უნდა ყოფილიყო კლდეზე ჩამოსაკიდად. თმის ვარცხნლობა ტრადიციული, შუბლს ზემოთ გასდევს ბაფთა. გაყოფილია ორად. მოსავს იონიური ქიტონი. მარჯვენა ხელში სავარაუდოდ, რაღაც უნდა სჭეროდა. მკერდს ქვემოთ სარტყელი აქვს შემოვლებული, ძირს დაშვებული ბოლოებით. მარჯვენა ფეხი წინ აქვს წამოწეული, მარცხენა მოხრილია და შემალული. ქალის გამოსახულება წამოწოლილია ქსოვილგადაფარებულ კლდეზე. სიმაღლე 9,5 სმ. მიაკუთვნებენ ტანაგრას სკოლას. თარიღდება ძვ.წ. IV საუკუნით [ყიფიანი გ. 2000,74-75; ყიფიანი გ.2002; ყიფიანი ნ. 2001, 32-33](ტაბ.1 სურ.7).

9. დიონისე. აღმოჩენილია სარკინეს ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე, მეხუთე თხრილში, მცირე ნაგებობის იატაკზე, ჩალეწილ კრამიტთან ერთად. თიხა მოყვითალო-მოწითალო ფერის, სუფთად განლექილი, გამომწვარია არათანაბრად, შემდეგ საღებავითაა წითლად შეღებილი. ქანდაკება წარმოადგენს ჰორელიეფურ ბიუსტს, მას აქვს ოდნავ მარჯვნივ შემობრუნებული თავი და მაღალი კისერი, ახასიათებს ნატიფად გამოყვანილი ნაკვთები - თვალ-წარბი, ტუჩები, ყვრიმალები, ნიკაპი, თმები ხვეულია, შუაზე გადაყოფილი, მოუჩანს პატარა რქები, ამობურცული მკერდით, აცვია თხელი ტანისამოსი, მხრებზე მოსჩანს თმის კულულები, რომლის ერთი ნაწილიც დაბლა აქვს ჩამოკიდებული და მოსასხამთან ერთად ხელში უჭირავს. ნეკი და არათითი მოხრილია. აღნიშნული მახასიათებლების მიხედვით სავარაუდოდ ჭაბუკი დიონისე უნდა იყოს. სიმაღლე 38,5 სმ, სიგანე 34 სმ. გამოსახულება დამზადებულია ყალიბში. შიდა მხარეს ეტყობა თითების ანაბეჭდი. ძვ.წ. II-I სს-ით [ბოხოჩაძე 1973:38] (ტაბ.1 სურ.10).

10. არიადნე. აღმოჩენილია სარკინეს ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე, მეხუთე ჭრილში, მცირე ნაგებობის იატაკზე, ჩალეწილ კრამიტთან ერთად. დამზადებულია სუფთად განლექილი თიხისაგან, რომელიც მოყვითალო-მოწითალოა. ქალის გამოსახულებას ახასიათებს ნატიფი ნაკვთები, ლამაზად გამოყვანილი ნიკაპი, ტუჩები, ნუშისებრი თვალები, კისერზე ჩამოშვებული კულულები. ქანდაკება წარმოადგენს ჰორელიეფურ ბიუსტს, მკერდი ნახევრად დაფარულია ტანისამოსით, რომელიც ხელში უჭირავს. აცვია თხელი კაბა. წამოსასხამის ნაოჭებში დაფარულია ნეკის, არათითის და ცერის თავები. გამოსახულებას დაჰკრავს გაღიმებული, სევდანარევი იერი. სიმაღლე 38 სმ, სიგანე 25 სმ. გამოსახულება დამზადებულია ყალიბში. შიდა მხარეს ეტყობა თითების ანაბეჭდი. კეცი გამომწვარია არათანაბრად, შემდეგ საღებავითაა წითლად შეღებილი. თარიღდება ძვ.წ. II-I სს-ით [ბოხოჩაძე 1973:40] (ტაბ.1 სურ.9).

ბ) ანთროპომორფული ფიგურები.

1. ქალის თავი. აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე, კულტურულ ფენაში. დაზიანებულია, ჩამოტეხილი აქვს სახის ნაწილი. შეღებილია ჭიქურის მსგავსი საღებავით. გამომწვარია ღუმელში. თარიღდება ძვ.წ. IV-III სს-ით [ჭყონია 1986:110] (ტაბ. II სურ.11).

2. ქალის მჯდომარე ფიგურა. აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე, კულტურულ ფენაში. დაზიანებულია, აკლია თავი და მარცხენა ფეხი. მთლიანად გახვეულია წამოსასხამში, რომელიც დრაპირებულია. დამუშავებულია წინა ნაწილი. მთლიანად ღრუა. ფიგურას ეტყობა თეთრი საღებავის კვალი. თარიღდება ძვ.წ. IV-III სს-ით [ჭყონია 1986:110] (ტაბ. II სურ.5).

3. მამაკაცის თმის ფრაგმენტი. აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე, აღმოსავლეთ ნაწილში, მონაცრისფრო ფენაში. ნ. ხოშტარიას აზრით, აქ უნდა ყოფილიყო დიდი საკულტო დანიშნულების შენობასთან არსებული მცირე ნაგებობა. თმა გამოსახულია რელიეფური, მკაფიო ხვიებით, თითოეულის ბოლო ზემოთაა აწეული, რაც მთლიანად ტალღოვანი თმის შთაბეჭდილებას ტოვებს. სავარაუდოდ, მამაკაცის ნიღბის ნაწილი უნდა ყოფილიყო. მისი გამოსახულება დამახასიათებელია ელინისტური ხანის ტერაკოტებისათვის. თარიღდება ძვ.წ. II-I სს-ით [რამიშვილი 1976:197] (ტაბ. II სურ.2).

4. ადამიანის სახის ფრაგმენტი. აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე, აღმოსავლეთ ნაწილში, მონაცრისფრო ფენაში. თიხა მოწითალო ყავისფერია, მსხვილ-მინარევებანი, მძიმე და უხეში. შემორჩენილია სახის მარჯვენა ნაწილი. დახვეწილად არის დამუშავებული თვალი - ნუშისებრი ფორმის, რელიეფურად გამოხატული ქუთუთოთი, ასევე პატარა ყური, რომელსაც გამობერილი ბიბილო და თხელი ნიჟარა აქვს. წარბი ოდნავ შესამჩნევი ხაზით არის გამოხატული. წარბსა და ქუთუთოს შორის შეინიშნება ოდნავი შეშუპება, რაც გამოსახულებას ბავშვურ იერს აძლევს, ტალღოვანი თმა, შუბლის ნაწილი, ზედგადაჭერილი ბაფთით, რომელიც თმის ხვეულებში იმალება. ბაფთის ზემოთ ცალმხარეს ყურადღებას იქცევს პატარა რქა, რომელიც ზემოთ წატეხილია. ზომები: სიგრძე -15სმ, სიგანე -11 სმ. რქისა და ბაფთის გათვალისწინებით უნდა მივიჩნიოთ, რომ ეს გამოსახულება სატირის შეიძლება იყოს. ელინისტურ პერიოდში სატირებს უფრო შერბილებული, ჭაბუკი მამაკაცების სახით გამოხატავდნენ. თარიღდება ძვ.წ. II-I სს-ით [რამიშვილი 1976:200] (ტაბ. II სურ.1).

5. ქალის თავის გამოსახულება. აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე, აღმოსავლეთ ნაწილში, მონაცრისფრო ფენაში. თიხა მოყავისფრო-მორუხო ფერისაა. გატეხილი იყო ორ ნაწილად. ახალგაზრდა ქალის სახეს მოგრძო, ლამაზი ოვალი აქვს, მკაფიოდ გამოკვეთილი ოდნავ მომღიმარი პირი, მასიური ნიკაპი. თვალები დიდი, განზიდული და რელიეფურად ამობურცული ქუთუთოებით. მკაცრ გამომეტყველებას აძლევს კეხიანი ცხვირი. თმა სქემატურია და შუაზეა გაყოფილი. ქალის თავზე თავსაბურავი წარმოადგენს დაწახნაგებულ სვეტისებრ შემაღლებას. ქანდაკება გადატეხილია ყელის ძირში. სავარაუდოდ ქალღმერთის გამოსახულება უნდა იყოს. დემეტრეს წრის ქალბატონად იგულისხმება. სიმაღლე 9 სმ. თიხა არათანაბრადაა გამომწვარი, ქანდაკება შიგნით ღრუა. თუმცა საკმაოდ სქელკედლიანი. ყალიბშია მიღებული. მის ანალოგად შესაძლოა დასახელდეს ტერაკოტა ტარსუსიდან. თარიღდება ძვ.წ. II-I სს-ით [რამიშვილი 1976:201] (ტაბ. II სურ.12).

6. ადამიანის ცხვირისა და ზედა ტუჩის გამოსახულების ფრაგმენტი. აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე, აღმოსავლეთ ნაწილში, მონაცრისფროფენაში. თიხა მოწითალო-ნარინჯისფერია, კირისმინარევებიანი, მკვრივია და წვრილმარცვლოვანი. ზედა ტუჩი ქვევით მომრგვალებულია, რაც იმის ნიშანია, რომ გამოსახულებას პირი ღია ჰქონდა. ცხვირი სწორია, მოზრდილი ზომისაა, ნესტოები ლამაზაადაა გამოკვეთილი, მკაფიოდ ჩანს ჩაღრმავება ცხვირსა და ტუჩს შორის. სიმაღლე 11 სმ. სავარაუდოდ, რომელიმე მამაკაცი ღვთაების ნიღბის ნაწილია. თუკი მას ნიღბის ნაწილად ჩავთვლით, ანალოგები მოეძებნება ვანში აღმოჩენილ დიონისეს ნიღბებთან. თარიღდება ძვ.წ. II-I სს-ით [რამიშვილი 1976: 203] (ტაბ. II სურ.6).

7. ქალის ტორსი. აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე რიტუალური მოედნის გაფხვიერებული თირის ფენაში. ნაკლულია, თავი და ხელები მოტეხილია. თიხა მოყავისფრო, მინარევებიანი. შემორჩენილი სიმაღლე 5 სმ. თარიღდება ძვ.წ. III-II სს-ით [გიგოლაშვილი და სხვ. 1979:111] (ტაბ. II სურ.10).

8. ადამიანის ფიგურის ფრაგმენტი. აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე ჰუმუსურ ფენაში. ნაკლულია, თავი და ხელები მოტეხილია. თიხა ყვითელი ფერის, კარგად განლექილი. ფიგურა შემოსილია ნაოჭებად დაშვებული სამოსელით,

რომლის ქვემოდან ტერფის ნაწილი მოჩანს. შემორჩენილი სიმაღლე 5 სმ. თარიღდება ძვ.წ. III-II სს-ით [გიგოლაშვილი და სხვ. 1979:45] (ტაბ. II, სურ. 8).

9. ქალის თავის გამოსახულება. აღმოჩენილია ვანში, საყანჩიას ნამოსახლარზე, კულტურულ ფენაში. თიხა მოყავისფრო-მოწითალო. კარგადაა განლექილი. შეინიშნება ქარსისა და კირქვის მინარევები. ხანძარში მოხვედრის გამო მარცხენა მხარე ნაცრისფერია. შემორჩენილი არაა ქვედატანი. თავი მარცხნივაა გადახრილი, აქვს მოღერებული კისერი და დახვეწილი ნაკვთები. თავზე შემოუყვება გვირგვინი. თვალის გუგებში შეინიშნება ფოსოები, შეიძლება ინკრუსტირებული ყოფილიყო. სიმაღლე 5 სმ. დამზადებულია ყალიბში. თმები და კეფა კი ხელითაა ნაძერწი. თავისი იკონოგრაფიული თვისებებით ძლიერ ჰგავს ტანაგრას ქალის ფიგურებს. მსგავსებას ამჟღავნებს კვიპროსზე აღმოჩენილ ტერაკოტული ქალის ფიგურებთანაც, ასევე პრაქსიტელეს სტილის ქანდაკებებთან. თარიღდება ძვ.წ. II საუკუნის პირველი ნახევრით [ლიჩელი 1991:77-78] (ტაბ. II, სურ. 4).

10. ჩანგზე დამკვრელი. ნაპოვნია უფლისციხეში ბამბების ნამოსახლარზე, ნაგებობის თიხატკეპნილი იატაკის ქვეშ. თიხა კარგადაა დამუშავებული, ლეგა-მოშავო ფერის. აკლია მარცხენა ტერფი და სავარძელი, სადაც იჯდა. ფიგურას ხელში უჭირავს ჩანგი და მასზე უკრავს. მარცხენა ხელით უჭირავს ჩანგის ზედალარტყა. ჩანგი მთლიანად კალთაზე აქვს დაყრდნობილი. გადმოცემულია საკრავის ზოგადი ფორმები. არ ჩანს სიმები. პოზა საკმაოდ რეალისტურია. თუმცა ხელისა და ფეხის მტევნები სქემატურია. მოსავს უხეში მოსასხამი, თავზე აფარია მაღალი ქუდი. ასევე სახეზე უკეთია ნიღაბი. ანალოგები მოეძებნება ბრინჯაოს სკულპტურაში ყაზბეგის განძიდან. თარიღდება ძვ.წ. V-II სს-ით [ხახუტაიშვილი 1964:73-74] (ტაბ. II, სურ. 3).

11. თმისა და წვერის ხვეულა. ნაპოვნია გვიანელინისტური ხანის ვანის სატაძრო კომპლექსში, ქვედა ტერასაზე. კეცი მოწითალოა. თიხა წვრილმარცვლოვანი [მათიაშვილი 2013:77] (ტაბ. II, სურ. 7).

12. ხელის მტევანი. ნაპოვნია ვანში, გვიანელინისტური ხანის სატაძრო კომპლექსში. ღელისპირა ფართობზე. ვარდისფრადაა გამომწვარი. დამზადებულია ქარსნარევი, წმინდა თიხით. წარმოადგენს მცირე ზომის ქანდაკების მარცხენა ხელის მტევანს. შესრულებისა და თიხის მიხედვით იმპორტული უნდა იყოს [მათიაშვილი 2013:77].

13. ტერაკოტული ფიგურის ფრაგმენტი. ნაპოვნია ვანში, საყანჩიას ნამოსახლარზე, წყალსაცავში. მუქი, ჩალისფერკეციანი ფიგურის ფრაგმენტია. სიმაღლე -4,5 სმ. წარმოადგენს ქალის მკერდის მარცხენა ნაწილს, მხარსა და ხელს. როგორც ჩანს, ჩაცმული იყო. მხარზე შეკრული კვართი დაბლა ეშვება და ქმნის V ფორმას. თარიღდება ძვ.წ III-II საუკუნეებით [ლიჩელი 1991:78] (ტაბ. II, სურ. 9).

14. ტერაკოტული ფიგურის ფრაგმენტი. ნაპოვნია ვანში, საყანჩიას ნამოსახლარზე. ფრაგმენტი გამოსახავს შიშველი ქალის ტორსის მარჯვენა ნახევარს. აღმოჩენილია ყალიბთან ერთად. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. სიმაღლე 6,8 სმ. მუქი, ჩალისფერკეციანია. თარიღდება ძვ.წ II სს. პირველი ნახევრით [ლიჩელი 1991:78].

15. ტერაკოტული ფიგურის ფრაგმენტი. ნაპოვნია ვანში, საყანჩიას ნამოსახლარზე. მეორე ნაგებობის იატაკ ქვეშ, ქვაყრილში. თიხა უხეში, მინარევებიანია. თარიღდება ძვ.წ III-II სს-ით [ლიჩელი 1991:79].

16. ტერაკოტული ფიგურის ფრაგმენტი. ნაპოვნია ვანში, საყანჩიას ნამოსახლარზე. ყავისფერკეციანია, წვრილ მინარევებიანი. ფიგურა გამოსახავს თავდახრილ შიშველ ჭაბუკს. მარჯვენა ხელი დაბლა აქვს დაშვებული. მსგავსებას ავლენს ეროს-თანატოსის ფიგურებთან. თარიღდება ძვ.წ III-II სს-ით [ლიჩელი 1991:79].

17. ტერაკოტული ფიგურის ფრაგმენტი. ნაპოვნია ვანში, საყანჩიას ნამოსახლარზე. პირველი კომპლექსის დასავლეთით, ეზოს კუთხესთან. ყავისფერკეციანია. თიხა უხეში,

მინარევებიანია. გამოსახავს მარცხენა ფეხსა და მკერდს. თარიღდება ძვ.წ III-IIსს-ით [ლიჩელი 1991:80].

18. ტერაკოტული ფიგურის ფრაგმენტი. ნაპოვნია ვანში, საყანჩიას ნამოსახლარზე. კრამიტისაგან შედგენილი საკურთხევლის დასავლეთით. ფიგურა ვარდისფერკეცინია. გამოსახავს ბავშვის სხეულს. თარიღდება ძვ.წ III-II სს-ით [ლიჩელი 1991:80].

გ) ზოომორფული ფიგურები.

1-3. კუს ფიგურა (3 ც.). ნაპოვნია ციხისძირის სამაროვანზე, სამარხი №158. კუ უბიწოების, აფროდიტე ურანიას სიმბოლოა. კეცი მოყავისფრო-ნარინჯისფერია. თიხა კარგადაა განლექილი, მინარევების გარეშე. მუცლის არეში აქვს ჭრილი. დიდი ნაწილი ძლიერადაა დაზიანებული. ტერაკოტების ზედა ნაწილი ყალიბშია შესრულებული, ქვედა კი ხელითაა მოსწორებული. მსგავსი ტიპის ფიგურები მთელ საბერძნეთშია გავრცელებული. დამზადების ტექნიკის მიხედვით პარალელი ეძებნება როდოსთან, რომელიც შემდგომ გავრცელდა ატიკასა და ბეოტიაში. თარიღდება ძვ.წ. VI-V სს-ით [ძნელაძე 2006, 152-153] (ტაბ. III, სურ. 1).

4-7. ტახის ფიგურა (4ც.).ნაპოვნია ციხისძირის სამაროვანზე, სამარხებში №158-159. №158 სამარხში ტახის სამი, ხოლო №159 სამარხში ერთი ფიგურა. ფიგურების კეცი მოყავისფრო-ნარინჯისფერია. თიხა კარგადაა განლექილი მინარევების გარეშე. მუცლის არეში აქვს ჭრილი. ძლიერაა დაზიანებული. ტერაკოტების ზედა ნაწილი ყალიბშია შესრულებული, ქვედა კი ხელითაა მოსწორებული. მსგავსი ტიპის ფიგურები მთელ საბერძნეთშია გავრცელებული. დამზადების ტექნიკის მიხედვით პარალელს პოულობენ როდოსთან. ელევსინის მისტერიების დროს ერთ-ერთ მთავარ რიტუალს ტახის მსხვერპლად შეწირვა წარმოადგენდა. ყოველ ქურუმს მიჰყავდა სამსხვერპლო ტახი, შეწირვამდე კი მასთან ერთად ზღვაში შედიოდა [ძნელაძე 2006:152] (ტაბ. III, სურ.2).

8. ცხოველის (ძაღლის?) ფიგურის თავის ფრაგმენტი. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე, ბათქაშიან ნაგებობაში. თიხა ყავისფერი, მინარევებიანია. სახე უხეში, გრძელიკისრით და დაცქვეტილი ყურებით. შემორჩენილი სიგრძე 4 სმ. თარიღდება ძვ.წ. V ს-ით [გიგოლაშვილი და სხვ. 1979:105] (ტაბ. III, სურ. 5).

9. ცხვრის ფიგურა. ნაპოვნია უფლისციხეში, ბამბების ნამოსახლარზე, ნაგებობის თიხატკეპნილი იატაკის ქვეშ. თიხისგანაა დამზადებული. თავი და ფეხები მოტეხილი აქვს. რეალისტურია. სიგრძე - 6სმ, სიგანე: მკერდთან-2,5სმ, წელთან 2სმ, გავასთან-2სმ. თარიღდება ძვ.წ. V-II საუკუნეებით [ხახუტაიშვილი 1964:71] (ტაბ. III, სურ.6).

10. ცხენის (დარახტული) ფიგურა.ნაპოვნია უფლისციხეში, ბამბების ნამოსახლარზე, ნაგებობის თიხატკეპნილი იატაკის ქვეშ. დამზადებულია თიხისგან. ღია წითელი ფერის, მასიური, კარგად გაპრიალებული. უნაგირი, სამკერდული და ლაგამი ამოღარული ხაზებითაა წარმოდგენილი. ცხოველის პოზა რეალისტურია, რაც გამოიხატება ძლიერ კისერსა და მსხვილ ფეხებში, პირი ოდნავ ღია აქვს, თავი დახრილი. თარიღდება ძვ.წ. V-II სს-ით [ხახუტაიშვილი 1964:71] (ტაბ. III, სურ. 4).

11. ცხენის ფიგურის ფრაგმენტი. ნაპოვნია უფლისციხეში, ყათნალიხევის ბორცვზე. წარმოადგენს ცხენის (?) თავს. ფიგურას აღენიშნება ყურები და ჭდეული ხაზები ყელის მიდამოებში [ხახუტაიშვილი 1964:25] (ტაბ. III, სურ. 3).

12. ცხოველის ფიგურის ფრაგმენტი. ნაპოვნია უფლისციხეში, ყათნალიხევის ბორცვზე. წარმოადგენს სავარაუდოდ ხარის ტანის ნაწილს [ხახუტაიშვილი 1964:25] (ტაბ. III, სურ. 7).

13. მოზვრის ფიგურის ფრაგმენტები. ნაპოვნია უფლისციხეში, ყათნალიხევის ბორცვზე. წარმოადგენს მოზვრის და ხარის თავის ფიგურების მოდელს [ხახუტაიშვილი 1964:39] (ტაბ. III, სურ. 8).

დ) ნიღბები.

1. ნიღბის ფრაგმენტი ყურძნის მტევანის გამოსახულებით. აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე, კულტურულ ფენაში. ყურძნის მარცვლები რელიეფური ბურცობებით არის გამოკვეთილი. დაკავშირებული იყო დიონისეს კულტთან. ცნობილია მცირე აზიის ცენტრებიდან და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან. თარიღდება ძვ.წ. II-I სს-ით [რამიშვილი 1976:71] (ტაბ. IV, სურ. 9).

2. ნიღბის ფრაგმენტები დიონისეს გამოსახულებით. აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარზე, კარიბჭის ჩრდილოეთით, ალიზის კედლის ნანგრევების ქვეშ არსებულ კულტურულ ფენაში. ნაკლულია. აღმოჩენილი ნატეხების უმრავლესობა ესადაგება ერთმანეთს. შუბლის ნაწილი, თვალი, ლოყის ნაწილი, წვერით დაბოლოებული, ცხვირისა და ლოყის შეერთების ადგილი, შუბლი და გვირგვინი, მოუჩანს წვერიც. თავზე აღენიშნება გვირგვინი, რომელიც შედგება სუროს ფოთლების რამდენიმე რიგისგან. აშკარაა რომ უნდა ეკუთვნოდეს დიონისეს ნიღბის გამოსახულებას. გამოსახულება ნატურალურზე უფრო დიდი ზომისაა. სახის სიგანე -32 სმ, თვალის სიგრძე 5,5 სმ. დამზადებულია ნარევი წესით [რამიშვილი 1976:198] (ტაბ. IV, სურ. 8).

3. ნიღბის ფრაგმენტი ქალის გამოსახულებით. ნაპოვნია ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე, კრამიტყრილში. თიხა მოყავისფრო-წითელია, კარგად განლექილი. შემორჩენილია ქალის სახის ნახევარი. აკლია ცხვირი და პირი. ახასიათებს ტალღოვანი თმის ვარცხნილობა. თმებში ფიქსირდება ორი ნახვრეტი, რომელიც განკუთვნილი იყო ნიღბის დასაკიდად. შემორჩენილი სიმაღლე 11,5 სმ. თარიღდება ძვ.წ.II-I ს-ით [გიგოლაშვილი და სხვ. 1979:75] (ტაბ. IV, სურ. 7).

4. ნიღბის ფრაგმენტი. ნაპოვნია ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ნაშალი ალიზის მასაში და კრამიტყრილის ქვეშ. შემორჩენილია თვალის ნაწილი. სავარაუდოდ დიონისეს წრის ღვთაებას უნდა ეკუთვნოდეს [ფუთურიძე 1986:38] (ტაბ.IV, სურ. 10).

5. ნიღბის ფრაგმენტი. აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე, სარიტუალო ფართობზე, ალიზის ნანგრევების თავზე. სავარაუდოდ წარმოადგენს დიონისეს ნიღბის ფრაგმენტს. შუბლის მარჯვენა ნახევარი შემკულია პატარა რქით. თმა ბაფთით აქვს შეკრული. შემორჩენილია თმისა და თვალის ნაწილი. კეცი თავისებურების მიხედვით ადგილობრივ ნაწარმადაა მიჩნეული. თარიღდება გვიან ელინისტური პერიოდით [მათიაშვილი 2013:56] (ტაბ. IV, სურ.5).

6. მამაკაცის ნიღაბი. აღმოჩენილია სარკინეს ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე, მეხუთე ჭრილში. მცირე ნაგებობის იატაკზე, ჩალეწილ კრამიტთან ერთად. თიხა მოყვითალო-მოწითალო ფერისაა, სუფთად განლექილი. გამომწვარია არათანაბრად, შემდეგ საღებავითაა წითლად შეღებილი. მამაკაცს აქვს ფართო სახე, შიგნით შეწეული და მოგრძო თვალები, ქუთუთოებსა და წარბებს შორის არე შეშუპებული, სქელი და კეხიანი, შუბლთან ჩაჭყლეტილი ცხვირი, მსხვილი ტუჩები, ღია პირი და მასიური ნიკაპი. თავზე ქუდი ახურავს, ყურები არ უჩანს. სახე მოძრაობაში აქვს, დაჭიმული, თითქოს მრისხანე სახით მღერის. დიონისეს გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს. სიმაღლე 26სმ, სიგანე 16,5 სმ. ნიღაბი დამზადებულია ყალიბში. შიდა მხარეს ეტყობა თითების ანაბეჭდი. თარიღდება ძვ.წ. II-I სს-ით [ბოხოჩაძე 1973:40] (ტაბ. IV, სურ. 6).

7. ქალის ნიღაბი. აღმოჩენილია სარკინეს ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე, მეხუთე ჭრილში, მცირე ნაგებობის იატაკზე, ჩალეწილ კრამიტთან ერთად. თიხა მოყვითალო-მოწითალო ფერისაა. ახასიათებს მოგრძო, ოვალური სახე, წინწამოწეული ნიკაპით. პირი ღია. ცხვირი მასიური, თვალები შიგნით შეწეული. ქუთუთოები გაკეთებულია რელიეფურად, ღაწვები ამობურცული, თმა ხვეული და შუაზე გადაყოფილი. ყურების მაგივრად ვაზის ფოთლებია გამოყვანილი, რომელზეც ყურძნის მტევნებია. ახასიათებს ფართოდ გაღებული პირი, ნიღაბი ნატურალური ზომისაა. სავარაუდოდ მენადეს გამოსახულებაა. სიმაღლე -24სმ, სიგანე -17სმ. ნიღაბი

დამზადებულია ყალიბში სუფთად განლექილი თიხისაგან. შიდა მხარეს ეტყობა თითების ანაბეჭდი. კეცი გამომწვარია არათანაბრად, შემდეგ საღებავითაა წითლად შეღებილი. თარიღდება ძვ.წ. II-I სს-ით [ბოხოჩაძე 1973: 40] (ტაბ. IV, სურ. 1).

8. ქალის ნიღაბი.აღმოჩენილია სარკინეს ნაქალაქარზე, ცენტრალურ ტერასაზე, მეხუთე ჭრილში, მცირე ნაგებობის იატაკზე, ჩალეწილ კრამიტთან ერთად. თიხა მოყვითალო-მოწითალო ფერისაა. ახასიათებს მოგრძო, ოვალური სახე, წინ წაწეული ნიკაპით, კეხიანი ცხვირითა და ნუშისებრი თვალებით. ქუთუთოები გამოყვანილია რელიეფურად. თმა ხვეული და შუაზე გადავარცხნილი. უკეთია ფართო თავსაბურავი. ნიღაბი დამზადებულია ყალიბში, სუფთად განლექილი თიხისაგან. შიდა მხარეს ეტყობა თითების ანაბეჭდი, კეცი გამომწვარია არათანაბრად, შემდეგ საღებავითაა წითლად შეღებილი. თარიღდება ძვ.წ. II-I ს-ით [ბოხოჩაძე 1973:40] (ტაბ. IV, სურ. 2).

9. ქალის ნიღაბი. აღმოჩენილია სარკინეს ნაქალაქარის, ცენტრალურ ტერასაზე, მეხუთე ჭრილში, მცირე ნაგებობის იატაკზე ჩალეწილ კრამიტთან ერთად. იდენტურია ზემოაღწერილი ნიღბისა. განსხვავდება თმის ვარცხნილობით, უფრო დაზიანებულია [ბოხოჩაძე 1973:40] (ტაბ. IV, სურ. 3).

10. ნიღბის ნატეხი. აღმოჩენილია სარკინეს ნაქალაქარის, ცენტრალურ ტერასაზე, მეხუთე ჭრილში, მცირე ნაგებობის იატაკზე ჩალეწილ კრამიტთან ერთად. თიხა მოყვითალო-მოწითალო ფერისაა. შემორჩენილია შუბლის, მარჯვენა თვალისა და თმის ტალღოვანი გამოსახულება. თავზე შეინიშნება თავსაბურავი. შესაძლოა დემეტრას გამოსახულებასაც წარმოადგენდეს [ბოხოჩაძე 1973:40] (ტაბ. IV, სურ. 4).

ე) მინიატურული საკურთხევლები.

1. საკურთხეველი. ნაპოვნია ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე. ქვიშის საათის მოყვანილობის. არათანაბრადაა გამომწვარი, მინარევებიანია, დამზადებულია მარცვლოვანი თიხისაგან. თარიღდება გვიანელინისტური ხანით. ძვ.წ. I ს-ით [მათიაშვილი 2013: 57] (ტაბ. V, სურ. 2].

2. საკურთხეველი. ნაპოვნია ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე. წარმოადგენს სვეტისა თუ საკურთხევლის მოდელს. დაზიანებულია. ქვედა ნაწილი წატეხილი აქვს. ღერო სწორკუთხაა. პროფილირებული „კაპიტელით“ და ოდნავ ამობურცული გადახურვით ბოლოვდება. კეცი არათანაბრადაა გამომწვარი. ზედაპირი წითლად აქვს გაპრიალებული. სიმაღლე 0.4 მეტრი [მათიაშვილი 2013: 57] (ტაბ. V, სურ. 3).

3. საკურთხეველი. ნაპოვნია სოფ. კლდეში (ახალციხის მუნიციპ.). დამზადებულია განლექილი, წვრილმარცვლოვანი მოთეთრო ფერის თიხისგან. აქვს სწორკუთხა სვეტის მოყვანილობა. ერთი მხარე წატეხილი აქვს. წინამხარეს გამოხატულია მამაკაცის გველთან შებრძოლების სცენა. მამაკაცი იდენტიფიცირებულია როგორც მითრა. მარცხენა და მარჯვენა მხარეები შემკულია ვერტიკალურ მწკრივად განლაგებული ჭდეული ორნამენტებით, უკანა კი ე.წ. წიწვოვანი ორნამენტით. კაპიტელზე ტრიგლიფებისა და მეტოპების მსგავსი ორნამენტებია. მისი ზომებია: სიმაღლე -11,5 სმ, ძირი -6,7X6 სმ, ძირთან -6,5X5,5 სმ. დამზადებულია ყალიბში, ცეცხლშია ნამყოფი. მიიჩნევა ადგილობრივ ნაწარმად. თარიღდება გვიანელინისტური ხანით [თოდუა 2006: 169-174] (ტაბ. V, სურ. 1).

4. მცირე ზომის საკურთხეველი. ნაპოვნია სამთავროს სამაროვანთან კულტურულ ფენაში. დამზადებულია მოწითალო-მოყავისფრო თიხისგან. აღენიშნება ოდნავ გამოკვეთილი, ჰორიზონტალური ღარებით ორნაწილად დაყოფილი ბაზა და კაპიტელი. თითო მხარეს ოთხ-ოთხი სამკუთხედია ამოჭრილი, რომელთა ერთიანობაც მალტური ჯვრის გამოსახულებას ქმნის. ზომებია: სიმაღლე 8,5სმ, სიგანე ბაზასთან და კაპიტელთან 5,5 სმ. გამომწვარია. თარიღდება ახ.წ. III საუკუნით[გამყრელიძე 2014:27] (ტაბ. V, სურ. 4).

ვ) არქიტექტურული დეტალები (ანტეფიქსები და მოსაპირკეთებელი ფილა).

1-8. ანტეფიქსები მედუზა გორგონას გამოსახულებით (8ც.). აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე, „არხის“ კულტურულ ფენაში. თარიღდება ძვ.წ. V-IV ს-ით [ფირცხალავა და სხვ. 1986:64-65; კაჭარავა და სხვ. 2007:57]. აგრეთვე ცენტრალურ ტერასაზე, მსხვილმარცვლოვანი თიხისგან დამზადებული, ქარსის მინარევებიანი, მოწითალო გორგონეიონი, ზეაწეული თვალებით და პირიდან ენაგადმოშვერილი [ყიფიანი 1993: 64](ტაბ. VI,სურ. 14).

9-12. ანტეფიქსები ლომის თავებისა და აკანთის გამოსახულებით. აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე, „დიდ ტაძარში“. აკანთიის ფოთლების შუაგულში ჩართულია ლომის თავი. ფოთლები ხვიების დამსახურებით კი სიცარიელეებს ავსებს. დამზადებულია ადგილობრივი თიხისაგან. მზადდებოდა ყალიბში, თუმცა ყალიბიდან ამოღებული მსუბუქად მუშავდებოდა, რადგან იარაღის კვალი შეიმჩნევა. ლომის ანტეფიქსები ანტიკურ ხანაში სულ სამი გვხვდება. ესენია: ნეანდრიადან, მილეთიდან და კორკიადან. თარიღდება გვიანელინისტური პერიოდით [ყიფიანი 1993: 67-68] (ტაბ. VI, სურ. 1).

13-14. ანტეფიქსები პალმეტის გამოსახულებით. აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე. როგორც ჩანს თავის დროზე ტაძრის სახურავის კიდეს ამშვენებდნენ. პალმეტი, როგორც ცენტრალური, ისე გვერდითი ღეროები შეწყვილებულ-რელიეფური ქედებითაა ასახული. დამზადებულია თიხისგან ყალიბში. თარიღდება ძვ.წ. II საუკუნით. აგრეთვე მსგავსი პალმეტის გამოსახულებიანი ანტეფიქსები ნაპოვნია ნაქალაქარის სხვა უბნებზეც [ყიფიანი 1993: 66] (ტაბ. VI, სურ. 2).

15. დეკორატიული ყვავილი. ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. წარმოადგენს თიხისაგან დამზადებულ დეკორატიულ ყვავილს, რომელსაც აქვს მრგვალგანივკვეთიანი და ღრმულიანი ღერო. სავარაუდოდ განკუთვნილი იყო კედლის შესამკობად [ფუთურიძე 1986:38] (ტაბ. VI, სურ. 11).

16. სუროს ყვავილი. თიხისაგან დამზადებული სუროს ყვავილის გამოსახულება. აღმოჩენილია სატაძრო კომპლექსში, ღელისპირა ფართობზე. სავარაუდოდ წარმოადგენს კედლის შესამკობელ ფირფიტის ნაწილს. არის მცირე ზომის. დმ – 0,025 მ. [მათიაშვილი 2013:56] (ტაბ. VI, სურ. 4).

17. ვარდულა. თიხისაგან დამზადებული ვარდულები. შემორჩენილია 5 ც. ფრაგმენტი, ერთი გატეხილი, ხოლო ერთი მთლიანი. აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე, სარიტუალო ფართობზე. გამოსახულია მრავალფურცლოვანი გაშლილი ყვავილი. გვირგვინი შედგენილია ჯვრისებურად განლაგებული ლოტოსის ფურცლებითა და მათ შორის მოთავსებული ყაყაჩოს ფურცლებით. უკანა მხარეს აღენიშნება გახვრეტილი შემაღლება, რომელიც ცალკეა მიძერწილი და სავარაუდოდ საკიდისთვის გამოიყენება [მათიაშვილი 2013:55] (ტაბ. VI, სურ. 6).

18. ანტეფიქსი. ნაპოვნია ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე. სატაძრო კომპლექსში. ანტეფიქსზე გამოსახულია სავრაუდოდ ქალღვთაება, რომელიც დაზიანებულია. წატეხილი აქვს მარცხენა მხარი და კეფა. შერჩენილი აქვს მარჯვენა მხარი დაძერწილი პალმეტით და აგრეთვე დიადემით შემკული თავის ნაწილი მრგვალად ჩახვეული ვარცხნილობით. ახასიათებს ფართო ნუშისებრი თვალები და ოდნავ შესამჩნევი ღიმილი. იკონოგრაფიულად ერთი მხრივ უკავშირდება დიდ დედა-კიბელას, მეორე მხრივ კი მსგავსებას აფროდიტესთანაც ამჟღავნებს [მათიაშვილი 2013:32] (ტაბ. VI, სურ. 13).

19. ჰორელიეფი. ნაპოვნია უფლისციხის მიდამოებში, ყათნალიხევის ბორცვზე. I ნაგებობის იატაკზე, დასავლეთ კედლის მახლობლად ბათქაშების გროვაში. წარმოადგენს ადამიანის თავის გამოსახულებას. თვალები ობსიდიანით ჰქონდა ინკრუსტირებული. გადარჩენილია მხოლოდ ზედა მხარე. სავარაუდოდ ნაგებობის კედელზე იყო მიძერწილი [ხახუტაიშვილი 1964:19] (ტაბ. VI, სურ. 7).

20. ანტეფიქსი. გონიოს ციხე-სიმაგრე, ახ.წ. II საუკუნე. გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი. [გონიოსმუზეუმი] (ტაბ. VI, სურ. 5).

21. ანტეფიქსი. აღმოჩნდა მცხეთაში, სვეტიცხოვლის ეზოში. ანტეფიქსზე მოცემულია ერთსაფეხურიან კვარცხლბეკზე აღმართული „სიცოცხლის ხე". მას სამად განტოტვილი ღერო, დაბლა დაშვებული განივი, ბროწეულისებრი ნაყოფით დამძიმებული ტოტები აქვს, რომლებიც, იმავდროულად, ჯვრის მკლავებს წარმოადგენს. თარიღდება ახ.წ. IV ს-ით [ყიფიანი 2001:40; დიღმელაშვილი 2013:225-241] (ტაბ. VI, სურ.9).

22. დეკორატიული ფირფიტის ფრაგმენტი. აღმოჩნდა ვანში, საყანჩიას ნამოსახლარ-ზე, კულტურულ ფენაში. ყავისფერკეციანია, თიხა უხეში და მინარევებიანი. შეიცავს პი-როქსენსა და კირქვას. წარმოადგენს ფრიზს, რომელიც ბრტყელია, უკანა მხარე კი გლუვი. ვარაუდობენ, რომ გამოსახულია დიონისე გარშემო მენადებით. დამზადებულია ყალიბში. ფრაგმენტი ადგილობრივი წარმოებისაა. თარიღდება ძვ.წ. II ს-ით [ლიჩელი 1991:81] (ტაბ. VI, სურ. 8).

23. დეკორატიული ფირფიტის ფრაგმენტი. აღმოჩენილია ვანში, საყანჩიას ნამოსახ-ლარზე, კულტურულ ფენაში. ყავისფერკეციანია. თიხა უხეში და წვრილმინარევებიანი. გამოსახავს, ვერტიკალურად დაშვებულ რელიეფურ ქედებს, რომელიც მოგვაგონებს ტრიგლიფებს. აქედან გამომდინარე მიჩნეულია რომელიმე ნაგებობის ნაწილად. სავარაუდოდ წარმოადგენს ადგილობრივ ნაწარმს. თარიღდება ძვ.წ III-II სს-ით [ლიჩელი 1991:81] (ტაბ. VI, სურ. 10).

24. დეკორატიული ფირფიტის ფრაგმენტი. ნაპოვნია საყანჩიას ნამოსახლარზე, კულტურულ ფენაში. ყავისფერკეციანია. თიხის შედგენილობითა და ფორმით ზემო აღწერილის იდენტურია. განსხვავდება ზომით [ლიჩელი 1991:81] (ტაბ. VI, სურ. 12).

25. დეკორატიული ფირფიტის ფრაგმენტი. ნაპოვნია ვანში, საყანჩიას ნამოსახლარზე, კულტურულ ფენაში. ყავისფერკეციანია. იდენტურია ადგილობრივი ამფორების თიხისა. გამოსახავს რელიეფურ ნასკვს, რომელიც ამკობდა საკურთხეველს. ზედა ნაწილში დაქანებული რელიეფური სარტყელია, ხოლო ნასკვისბოლო - თევზის ქარცლისებური რელიეფური ორი რიგით სრულდება. სისქე 1-1,3 მ. თარიღდება ძვ.წ III-II სს-ით [ლიჩელი 1991:82] (ტაბ. VI, სურ. 3).

26. დეკორატიული ფრაგმენტები. ნაპოვნია ვანში, საყანჩიას ნამოსახლარზე. ფრაგმენტები არ არის იდენტიფიცირებული. თიხის დამუშავებისა და მინარევების მიხედვით ადგილობრივი ნაწარმია. თარიღდება ძვ.წ II ს-ით [ლიჩელი 1991:82].

ზ) ყალიბები.

1. ანთროპომორფული ფიგურის ყალიბი. აღმოჩენილია ვანში, საყანჩიას ნამოსახ-ლარზე, კულტურულ ფენაში. ყავისფერკეციანი, მსხვილმარცვლოვანი, მინარევებიანი (პიროქსენი, კირქვა, სილა) თიხა. გატეხილია ორ ნაწილად. მდგომარე მამაკაცის ფიგურა, რომელიც მარცხენა იღლიით კეტს ეყრდნობა. თავზე შეინიშნება გვირგვინი, ხშირი თმა და წვერი. შემოხვეული აქვს მოსასხამი, რომელიც ტერფებამდე ეშვება. არ გამოირჩევა დახვეწილი პროპორციებით. როგორც ვარაუდობენ, გამოიყენებოდა ჰერაკლეს ტერაკოტული ფიგურის დასამზადებლად. სიმაღლე -22სმ. თარიღდება ძვ.წ. III-II სს-ით [ლიჩელი 1991:50-53] (ტაბ. VII, სურ. 2). ჩვენი მოსაზრებით, რომელიც ეყრდნობა შედარებითი ანალიზის საფუძველს, ყალიბი უნდა ყოფილიყო ასკლეპიოსის ფიგურის დასამზადებელი. თუკი გავითვალისწინებთ იკონოგრაფიულ თავისებურებებსა და დგომის მანერას.

2. ყალიბი სილენის გამოსახულებით. აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერა-საზე, სატაძრო კომპლექსში. გამოიყენებოდა სილენის სახის გამოსახულების დასამზა-დებლად. თარიღდება გვიანელინისტური ხანით [მათიაშვილი 1977:113] (ტაბ. VII, სურ. 1).

3. ყალიბი (ტვიფრი) ჰერაკლეს გამოსახულებით. ნაპოვნია ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე. გამოიყენებოდა ჰერაკლეს ტერაკოტული ფიგურის დასამზადებლად.

ჰესპერიდების ბაღიდან მომავალი ჰერაკლეა გამოსახული, თავზე შეიმჩნევა ქუდი, მხარზე გადებული აქვს კეტი, რომელიც მარცხენა ხელით უჭირავს, ვაშლები კი მარჯვენაში. კისრის ირგვლივ შემოუყვება რელიეფური სარტყელი. თარიღდება ძვ.წ.II-I სს-ით [მათიაშვილი 1977:113] (ტაბ. VII, სურ. 3).

საქართველოს ტერიტორიაზე ამ პერიოდში გამოვლენილი და აღწერილია 84 კოროპლასტიკის ნიმუში. საიდანაც 10 ც. ღვთაების ფიგურაა, 18 ც. ანთროპომორფული, 13ც. ზოომორფული, 10-მდე ნიღბის ფრაგმენტი, 4 ც. მინიატურული საკურთხეველი, ანტეფიქსები და მისი ფრაგმენტები 25 ც., მოსაპირკეთებელი ფილა 1 ც., ყალიბი 3 ც.

კოროპლასტიკის ნიმუშების გავრცელების ტერიტორიისა და ქრონოლოგიის მიხედვით დაჯგუფებამ, ლოგიკური მსჯელობის საშუალება მოგვცა. მათი გავრცელება სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს – 1. ძვ.წ. VI ს-ის ბოლო- ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი (უმეტესობა ძვ.წ. V-IV სს-ზე მოდის); 2. ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარი- ძვ.წ, I ს. (უმეტესობა ძვ.წ. III-II სს.); 3. ახ.წ. III-IV სს. (შედარებით მცირე რაოდენობითაა დაფიქსირებული). პირველ პერიოდს მიეკუთვნება ფიჭვნარში აღმოჩენილი ღვთაებათა (დემეტრა, აფროდიტე, ეროსი) და ციხისძირის სამაროვანზე - ცხოველთა (კუ და ტახი)ტერაკოტული ფიგურები; ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი მედუზა-გორგონას გამოსახულებიანი ანტეფიქსები და ძაღლის ფიგურა; უფლისციხეში – მუზა და ცხვრის ფიგურა. მეორე პერიოდს განეკუთვნება ბევრად მრავალფეროვანი კოროპლასტიკის ნიმუშები, როგორებიცაა: ვანის ნაქალაქარსა და საყანჩიას ნამოსახლარზე აღმოჩენილი ყალიბები (სილენის, ჰერაკლეს, ჰერაკლეს ან ასკლეპიოსის (?)), ანტეფიქსები (ლომისა და პალმეტის გამოსახულებით), ტერაკოტული ფიგურები (დიონისე, სილენი), ნიღბები (დიონისე, ქალი), საკურთხეველი, სარკინეს ნამოსახლარზე აღმოჩენილი ბიუსტები (დიონისე, არიადნე). მესამე პერიოდში ფიქსირდება ანტეფიქსი გონიოსა და მცხეთიდან, საკურთხეველი კლდიდან და სამთავროდან.

მოცემული მცირე სტატისტიკური მონაცემები, რამდენადმე გვაძლევს კვლევისა და დასკვნების გაკეთების საშუალებას. პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ კოროპლასტიკის სიუხვით პირველ ადგილს ვანის ნაქალაქარი იკავებს, მას მოსდევს ფიჭვნარი, შემდეგ სარკინე. მცირედს ვხვდებით ციხისძირში, სოფელ კლდეში, გონიოსა და სამთავროზე. ასევე აშკარაა, რომ უადრეს პერიოდში დიდი რაოდენობით აკეთებდნენ ცხოველთა გამოსახულებებს, მაშინ როცა ძვ.წ. V საუკუნის შემდეგ, აღარაა ზოომორფული გამოსახულებები ნაპოვნი. ძვ.წ. IV საუკუნეში უმეტესწილად ვხვდებით ქალის მჯდომარე გამოსახულებებს, რომლებიც იკონოგრაფიული თვალსაზრისით დემეტრას, ხოლო სტილით ტანაგრას ფიგურებს ჰგავს. დემეტრას მასიური გავრცელება განპირობებული უნდა ყოფილიყო მიწათმოქმედების კულტის გავრცელებასთან, მაშინ როცა ძვ.წ. III-II საუკუნეებიდან მძლავრობს დიონისეს კულტი. ვხვდებით სილენს, მენადებს, თავად დიონისეს, მის ცოლ არიადნეს, აგრეთვე ყურძნის დეტალებს, ნიღბებსა თუ მთლიან გამოსახულებებს. ალბათ ეს დაკავშირებულია დიონისეს კულტისა და ღვინოსთან დაკავშირებული სიმბოლიკის ზრდასთან. გვიანელინისტური პერიოდიდან კი, აშკარაა კულტურულ მახასიათებლებში ადგილს არქიტექტურული დეტალები იკავებს. ესენია საკურთხევლები და ანტეფიქსები. სავარაუდოდ, ეს განპირობებულია ელინისტური კულტურის გავლენით აღმოსავლეთ ქვეყნებზე. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე კი, ძვ.წ. V - ახ.წ. IV სს-ში საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი კოროპლასტიკის ნიმუშები ბერძნულ-რომაული კულტურის გავლენითაა შექმნილი.

გარდა პერიოდის მიხედვით დაჯგუფებისა, საინტერესოა ტერიტორიული მახასიათებლებიც. კვლევამ აჩვენა, რომ კოროპლასტიკის ნიმუშები ვრცელდება ჯერ საქართველოს ზღვისპირეთის (ფიჭვნარი) ტერიტორიებზე, შემდეგ ნელ-ნელა გადადის და ადგილს იკავებს მთლიანად დასავლეთ საქართველოში, მეტწილად ვანში. მოგვიანო პერიოდში კი ვხვდებით უკვე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიებზე, რაც

ბერძნული კულტურის თანდათანობით გავრცელებისა და შემდეგ უკვე ღრმად ფესვების გადგმის დასტურია, როგორც კოლხეთში, ისე იბერიაში. ყალიბები კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ადგილობრივ ხელოსნებს ჰქონდათ მცდელობა გაემეორებინათ მონუმენტური ქანდაკებების ნიმუშები მცირე პლასტიკაში, იქნებოდა ეს ასკლეპიოსის, ჰერაკლესა თუ სილენის გამოსახულებების სახით. ეს ყოველივე კი საშუალებას გვაძლევს უფრო ახლოდან შევხედოთ იმდროინდელი ხალხის ყოფა-ცხოვრებასა და რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს, ეკონომიკურ მდგომარეობასა და ქვეყნებს შორის კომუნიკაციას, რაც სამომავლო კვლევებისთვის მნიშვნელოვანი წყაროა.

ლიტერატურა:

ბოხოჩაძე 1973: ბოხოჩაძე ალ. ნასტაკისი. სარკინე. ძალისა - ჟურ. ძეგლის მეგობარი (რედ.ირ. ციციშვილი) № 33. საბჭოთა საქართველო, თბ., გვ. 36-50.

გამყრელიძე 1990: გამყრელიძე გ. ღვთაების ქანდაკება ვანიდან. - ჟურ.ძეგლის მეგობარი (რედ. ირ. ციციშვილი) №1. საბჭოთა საქართველო, თბ., გვ. 52-58.

გიგოლაშვილი და სხვ. 1979: გიგოლაშვილი ელ., კაჭარავა დ., ფირცხალავა მ., ფუთურიძე მ., ჭყონია ან. ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1970-77 წწ. მოპოვებული მასალის კატალოგი, - კრებ. ვანი IV. (რედ. ო.ლორთქიფანიძე), თბ., გვ. 41-44.

დიღმელაშვილი 2013: დიღმელაშვილიქ. საქართველოს შუა საუკუნეების ანტეფიქსების გამოსახულებათა ტიპოლოგიზაციისათვის. ანალები. № 9. თბ., გვ.225-241.

თოდუა და სხვ. 2006: თოდუა თ., ბარამიძე მ. ტერაკოტული საკურთხეველი სოფ. კლდიდან, - ძიებანი (რედ. ო. ლორთქიფანიძე), 17-18. თბ., გვ.169-173.

კაჭარავა და სხვ. 2007: კაჭარავა დ., ახვლედიანი დ., კვირკველია გ. ვანი ძვ.წ IV ს. - IIIს. პირველ ნახევარში, - ჟურ. *იბერია-კოლხეთი* (რედ. გ. გამყრელიძე) № 3, თბ., გვ. 57-62;

ლიჩელი 1991: ლიჩელი ვ. ძველი ვანის სამეურნეო უბანი, თბ.

ლორთქიფანიძე 2002: ლორთქიფანიძე ოთ. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. მეცნიერება. თბ.

მათიაშვილი 1977: მათიაშვილი ნ. ლითონის ჭურჭელი, კრებ. – *ვანი*, III. (რედ. ო. ლორთქიფანიძე), თბ., გვ. 101-114;

მათიაშვილი 2013: მათიაშვილი ნ. არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე, კრებ., ვანი X. (რედ. ო. ლორთქიფანიძე), თბ.

რამიშვილი 1976: რამიშვილი ქ. ტერაკოტები ვანიდან, - კრებ. *ვანი*, II. (რედ. ო. ლორთქიფანიძე), თბ., გვ. 191-204.

ფუთურიძე 1986: ფუთურიძე რ. ცენტრალური ტერასის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები, - კრებ. ვანი VIII, თბ., გვ 34-38.

ჩარკვიანი და სხვ. 2011: ჩარკვიანი მ., ამირხანაშვილი ქ. საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ ბერძნულ-რომაულ ღვთაებათა და მითოლოგიურ პერსონაჟთა გამოსახულების ნუსხა. - ჟურ. *Iბერია-კოლხეთი* (რედ. გ. გამყრელიძე) №7, გვ.167-172.

ჩოლოგაური 2021: ჩოლოგაური ლ. დიონისეს კულტი კავკასიაში (ძვ.წ. IV - ახ.წ. IV სს.) ჟურ. *Iბერია-კოლხეთი*, (რედ. გ. გამყრელიძე), N16, თბ., გვ. 129.

ძნელაძე 2000: ძნელაძე ნ. ტერაკოტები ფიჭვნარიდან, - ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, ტომი I. ბათუმი, გვ. 25-31.

ძნელაძე 2005: ძნელაძე ნ. პოსტაფროდიტეს ჯგუფის ტერაკოტა ფიჭვნარიდან. - ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმის შრომები, ტ. III. ბათუმი, გვ. 40-44;

ძნელაძე 2006: ძნელაძე ნ. დემეტრას კულტთან დაკავშირებული ტერაკოტული ფიგურები. - ჟურ. ძიებანი (რედ. ო. ლორთქიფანიძე), №17-18, თბ., გვ. 151-154;

ყიფიანი 1993: ყიფიანი გ. საქართველოს ანტიკური ხანის არქიტექტურა. არქიტექტურული დეტალები, თბ.

ყიფიანი 2000: ყიფიანი გ. უფლისციხის კლდოვანი სამარხის ინვენტარი (კატალოგი და შენიშვნები). - *არქეოლოგიური ჟურნალი*, I. თბ., გვ. 74-95;
ყიფიანი 2001: ყიფიანი გ. სვეტიცხოვლის ეზოში აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალები. - მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის V სესია. თბ.
ყიფიანი 2002: ყიფიანი გ. უფლისციხე. თბ.
ყიფიანი 2001: ყიფიანი ნ. ქალთა ტერაკოტული ფიგურების კოლექცია ხელოვნების მუზეუმიდან. – ჟურ. *ნარკვევები*, VII. თბ., გვ. 29-39.
ჭყონია 1986: ჭყონია ან. არქეოლოგიური გათხრები ვანის ცენტრალურ ტერასაზე, - ნარკვევები 102,103, თბ., გვ. 117-119.
ხახუტაიშვილი 1964: ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე, - 1957-63 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. თბ.
ჯავახიშვილი 1984: ჯავახიშვილი გ. ანთროპომორფული პლასტიკა წარმართული ხანის საქართველოში. საბჭ. საქართველო. თბ.
Bell 1993: Bell Malcolm. Tanagras and the Idea of Type. Harvard University Art Museums Bulletin, 1(3), pp. 39–53. https://www.jstor.org/stable/4301473 (11.10.23).
Budin 2006: Budin Stephanie Lynn. Finds and results from the Swedish Cyprus expedition 1927-1931: a gender perspective. Girl, Woman, Mother Goddess: Bronze Age Cypriot terracotta figurines. Swedan, p.76-86.
Burr Thompson 1965: Burr Thompson D. Three Centuries of Hellenistic Terracottas. Hesperia: The Journal of the American School of Classical Studies at Athens. Vol. 34, No. 1 (Jan. - Mar.,), pp. 34-71. https://www.jstor.org/stable/pdf/147137.pdf?seq=1 (11.09.23).
Gaignerot-Driessen 2018: Gaignerot-Driessen F.Terracotta Figures, Figurines, and Plaques from the Anavlochos, Crete. Association for Coroplastic Studies.Acost, pp. 2-7. https://journals.openedition.org/acost/1094 (11.09.23).
Gamkrelidze 2014: Gamkrelidze G. Archaeology of the Roman period of Georgia: essay and catalog. p.27.https://www.academia.edu/65435109/Archaelogy_of_the_Roman_period_of_Georgia_Iberia_Colchis_essay_and_catalog (05.12.23).
Muratov 2014: Muratov M. Greek Terracotta Figurines with Articulated Limbs. Department of Greek and Roman Art. The Metropolitan Museum of Art. https://www.metmuseum.org/toah/hd/gtal/hd_gtal.htm (11.09.23).
Ross 2011: Ross Th. Terracotta figurines, pp.79-86.
Tsetskhladze and others. 1994: Tsetskhladze G., Vashakidze N.Terracotta figures of animals from Colchis, Dialogues d`histoire ancienne. 20, 11, pp. 109-125.
Thurston 2015: Thurston C. The co occurrence of terracotta figures and figurines in mainland Greece, Euboea, the Dodecanese, the Cyclades and the Northern Aegean Islands, 1200 700 BC (Doctoral thesis, University of Oxford, 2015).
Uhlenbrock Jaimee 1993: Uhlenbrock Jaimee P.The Study of Ancient Greek Terracottas: A Historiography of the Discipline. Greek Terracottas of the Hellenistic World: The Coroplast's Art. Harvard University Art Museums Bulletin. Vol. 1, No. 3, The President and Fellows of Harvard College. pp. 7-27. https://www.jstor.org/stable (11. 09.23).

ილუსტრაციები:

ტაბულა I – სურ. 1. დემეტრა (ნაკლული) [ძნელაძე 2000, 31, ტაბ.1, სურ.1]; სურ. 2. დემეტრა [ძნელაძე2000, 31, ტაბ.1, სურ.1]; სურ. 3. ეროსი [ძნელაძე 2000, 25-31,ტაბ.1, სურ.3]; სურ. 4. სილენის მანგალა [ლიჩელი 1991, 64-65, ტაბ. XXXVIII]; სურ. 5. დიონისე (ნაკლული) [გამყრელიძე 2001, 135-138, სურ.1]; სურ. 6. ჩამომჯდარი დემეტრა [ძნელაძე

2000, 26, ტაბ. 1, სურ. 2]; სურ. 7. კლდეზე ჩამომჯდარი მუზა [ყიფიანი ნ. 2001, 32-33]; სურ. 8. აფროდიტე [ძნელაძე 2005, 40-42, სურ. 1-4]; სურ. 9. არიადნე [ბოხოჩაძე, 1973, 42, სურ.1]; სურ. 10. დიონისე [ბოხოჩაძე, 1973, 42, სურ. 2].

ტაბულა II - სურ. 1. ადამიანის სახის ფრაგმენტი [რამიშვილი 1976, 200, სურ. 149]; სურ. 2. მამაკაცის თმის ფრაგმენტი [რამიშვილი 1976, 197, სურ.147]; სურ. 3. ჩანგზე დამკვრელი [ხახუტაიშვილი1964, 73-74, სურ.3]. სურ. 4. ქალის თავის გამოსახულება [რამიშვილი 1976, 201, სურ 145]; სურ. 5. ქალის მჯდომარე ფიგურა [ჭყონია, 1986, 110, სურ.5]; სურ. 6. ადამიანის ცხვირისა და ზედა ტუჩის გამოსახულება [რამიშვილი 1976, სურ. 148]; სურ. 7. თმის და წვერის ხვეულა [მათიაშვილი, 2013, 73 სურ. 163]; სურ. 8. ადამიანის ფიგურის ფრაგმენტი [გიგოლაშვილი და სხვ. 1979, 45, სურ. 43]; სურ. 9. ადამიანის ფიგურის ფრაგმენტი [ლიჩელი, 1991, 80, ტაბ. XXXVIII]; სურ.10. ქალის ტორსი [გიგოლაშვილი და სხვ. 1979, 111, სურ. 179]; სურ. 11. ქალის თავის გამოსახულება [ჭყონია 1986, 110, სურ.4]; სურ. 12. ქალის თავის გამოსახულება [ლიჩელი 1991, 77-78, ტაბ. X].

ტაბულა III – სურ. 1: კუს ფიგურა [ძნელაძე 2006, 152-153, სურ.4]; სურ. 2: ტახის ფიგურა [ძნელაძე 2006, 152-153, სურ.5]; სურ. 3. ცხენის ფიგურის ფრაგმენტი [ხახუტაიშვილი, 1964, 25, სურ. 9]; სურ. 4. ცხენის ფიგურა [ხახუტაიშვილი 1964, 71, ტაბ XIII, სურ.1]; სურ.5. ძაღლის ფიგურა [გიგოლაშვილი და სხვ. 1979, 105, სურ. 816]**;** სურ. 6: ცხვრის გამოსახულება [ხახუტაიშვილი 1964, 71, ტაბ.XIII, სურ. 3]; სურ. 7. ცხოველის ფრაგმენტი; სურ. 8. მოზვრის ფრაგმენტები [ხახუტაიშვილი, 1964, 25, სურ.10; 39, სურ.1-4].

ტაბულა IV – სურ. 1. ქალის ნიღაბი ყურძნით [ბოხოჩაძე, 1973, 40]; სურ. 2 ქალის ნიღაბი სარკინედან [ჩოლოგაური, 2021, ტაბ.III, სურ. 10]; სურ. 3. ქალის ნიღაბი სარკინედან [ჩოლოგაური, 2021, ტაბ.III, სურ. 10]; სურ. 4. ნიღბის ფრაგმენტი [ჩოლოგაური, 2021, ტაბ.III, სურ. 10]; სურ. 5. ნიღბის ფრაგმენტი ვანიდან [მათიაშვილი, 2013, სურ. 888]; სურ. 6. მამაკაცის ნიღაბი სარკინედან [ჩოლოგაური, 2021, ტაბ.III, სურ. 10]; სურ. 7. ქალის ნიღბის ფრაგმენტი [გიგოლაშვილი და სხვ. 1979, 75, სურ. 437]; სურ.8. ნიღაბი დიონისეს გამოსახულება [რამიშვილი, 1976, 198, სურ. 150]; სურ.9. ნიღაბი ყურძნის გამოსახულებით [რამიშვილი 1976, 71, სურ. 146]; სურ. 10. ნიღბის ფრაგმენტი [ფუთურიძე, 1986, 38, სურ. 5];

ტაბულა V – სურ. 1. საკურთხეველი [თოდუა 2006, 169-174,ტაბ. I]; სურ. 2. მცირე ზომის საკურთხეველის მოდელი [მათიაშვილი 2013, სურ. 465]; სურ. 3. საკურთხეველი (სვეტი) [მათიაშვილი, 2013, სურ. 464]. 4. საკურთხეველი [Gamkrelidze, 2014, 27].

ტაბულა VI – სურ. 1. ანტეფიქსები ლომის თავისა და აკანთიის გამოსახულებით [ყიფიანი 1993, 67-68, ტაბ. X,2-4]; სურ. 2. ანტეფიქსები პალმეტის გამოსახულებით [ყიფიანი 1993, 66, ტაბ. X,1, 5]; სურ. 5. ანტეფიქსი გონიოდან (გონიოს მუზეუმი სურ. 3. დეკორატიული ფირფიტა [ლიჩელი 1991, 80, ტაბ. XXXVII, სურ. 2)**;** სურ. 9. ანტეფიქსი მცხეთიდან [დიღმელაშვილი 2013, 225-241]**;** სურ. 5. დეკორატიული ფირფიტის ნაწილი [ლიჩელი 1991, 81, ტაბ. XI] .]. სურ. 4. სუროს ყვავილი [ფუთურიძე, 1986, 35, სურ. 6]. სურ. 6. ვარდულა [მათიაშვილი, 2013, ტაბ. XL, სურ. 463]. სურ. 7. ჰორელიეფი [ხახუტაიშვილი, 1964, 19, ტაბ. X, სურ.2]; სურ. 8. სამფიგურიანი დეტალი [ლიჩელი, 1991, 80, ტაბ. XXXVII]; სურ. 10. დეკორატიული ფირფიტა [ლიჩელი, 1991, 80, ტაბ. XI]; სურ. 11. კედლის შესამკობელი [მათიაშვილი, 2013, სურ. 164]; 12. დეკორატიული ფრაგმენტი [ლიჩელი, 1991, ტაბ. XLI]; 13. ანტეფიქსი ქალის [მათიაშვილი, 2013, სურ. 526]. სურ. 14. ანტეფიქსები მედუზა გორგონას გამოსახულებიანი [კაჭარავა, და სხვ. 2007, 57, ტაბ. V, სურ. 1-2].

ტაბულა VII – სურ. 1: ყალიბი (ჰერაკლე ან ასკლეპეოსი?) [ლიჩელი 1991, 50-53, ტაბ. XXXIX]; სურ. 2. ყალიბი (სილენი) [მათიაშვილი 1977, 113-114, სურ.111]; სურ. 3. ყალიბი (ტვიფრი) ჰერაკლე [მათიაშვილი 1977, 113, სურ.112].

I

1

2

3

4

5

6

7

8

9

10

II

1

2

3

4

5

6

7

8

9

10

11

12

III

1



2

3

4

5

6

7

8

IV

1

2

3

4

5

6

7

8

9

10

V

1

2

3

4

VI

VII

1

2

3

ბორის კუფტინის მიერ ანტიკური ხანის ძეგლებზე ჩატარებული სამუშაოების მოკლე მიმოხილვა.

თინა აბულაშვილი

ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები საქართველოს მთელს ტერიტორიაზე გვხვდება. ისინი გამოვლენილია როგორც დაზვევრვების, ისე არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალა ძირითადად შედგება ადგილობრივი და იმპორტული კერამიკის, კრამიტის ნატეხების, მძივების, სამკაულის, მონეტების გან-ძისაგან. კერამიკული მასალა წარმოდგენილია ქვევრებით, ქოთნებით, სასმისებით, თასე-ბით, ამფორების ნატეხებით, მოხატული, შავლაკიანი თიხის ჭურჭლით და სხვა. სამკაულის, ჭურჭლის, საბრძოლო და სამეურნეო იარაღის დასამზადებლად გამოიყენებოდა ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო, რკინა, მინა. კულტურულ ფენებში აღმოჩენილი იყო თიხის და ბრინჯაოს ცხოველების და ფრინველების გრაფიკული და სკულპტურული გამოსახულებები, ხელსაფქვავები, რკინის ნამგლისებური იარაღები, ქსოვილის ნაშთები, შინაური ცხოველების ძვლები, რაც მიუთითებდა, რომ ამ პერიოდში მესაქონლეობა და სოფლის მეურნეობა კარგად იყო განვითარებული.

ანტიკური ხანის ძეგლებს სხვადასხვა დროს მრავალი მეცნიერი თუ მკვლევარი იკვლევდა, მათ შორის იყო აკად. ბორის კუფტინი. 1936-1940 წლებში მან ამ პერიოდის ძეგლები გამოავლინა და შეისწავლა: სოფ. ეშრაში, დაბლაგომში, ქ. ოჩამჩირეში, წალკის სოფლებში: ტაშ-ბაშში, როზენბერგში, საფარ-ხარაბაში, სანთაში, სოფ. ჯრიაში და სხვა. ჩვენი მიზანია კიდევ ერთხელ წარმოვაჩიოთ ბორის კუფტინის მიერ შესწავლილი ზოგიერთი მნიშნელოვანი ძეგლი.

მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო კოლხთის დაბლობის ნამოსახლარების შესწავლა. 1934 წელს აფხაზეთის არქელოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც ი. მეშჩანინოვი ხელმძღვანელობდა სოფ. ეშერაში არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა. ამ სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობდა ბორის კუფტინი. მან ორ იზოლირებულ, ჩრდილო-დასალეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ბორცვებზე გამოიკვლია ანტიკური ხანის ნამოსახლარები. სამხრეთ-აღმოსავლეთ ბორცვის გადარეცხილ კულტურულ ფენაში გამოვლინდა ზედაპირული მასალა: ამფორების, თიხის დიდი, უხეში ჭურჭლის და ნაცრის-ფერი პირამიდის ფორმის პატარა ჭურჭლის ნატეხები, კრამიტის ფრაგმენტები. კერამიკის ეს ფრაგმენტები თავისი ხასიათით აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვა ანტიკური ხანის ნამოსახლარების მასალის მსგავსი იყო და დასტური იყო იმისა, რომ ნამოსახლარი ეკუთვნოდა ანტიკური ხანის პერიოდს [Куфтин 1949:5-6]. გათხრების შედეგად გამოვლენილი ქვის წყობის ფრაგმენტები, წყალგაყვანილობის მილები და უხეში თიხისაგან დამზადებული კრამიტის ნატეხები ნაგებობების არსებობაზე მიუთითებდა.

მეორე ჩრდილო-დასავლეთი ბორცვი, რომელიც ი. ვერშაგინის ბორცვის სახელით იყო ცნობილი 500 მ-ით იყო დაშორებული პირველი ბორცვისაგან და ზღვის დონიდან 200 მ-ზე მდებარეობდა. მას ძლიერ წაგრძელებული ფორმა ჰქონდა. ზედაპირზე კარგად იყო შენარჩუნებული კულტურული ფენა, რომლის ზედაპირული მასალა მსგავსი იყო წინა ბორცვის მასალის, თუმცა აქ კრამიტი არ გამოვლენილა [Куфтин 1949:18].

ვერშაგინის ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით გაითხარა ორი, კრემაციული და ინჰუმაციური სამარხი. კრემაციული სამარხის ცენტრალურ ნაწილში იდგა ამფორა, რომელიც სამარხ ურნას წამოადგენდა, მის შიგით მოთავსებული იყო დამწვარი მიცვალებულის ფერფლი. სამარხეული ინვენტარი არეული იყო მიწაში, ქვებში და დამწვარ ძვლებში. ინვენტარი შედგებოდა დიდი თიხის ქოთნების ნამტვრევების, ორი პატარა წითელი ფერის ამფორის, ბრინჯაოს წვრილი მავთულის სამაჯურების და რკინის ფრაგმენტისაგან [Куфтин 1949:2]. ამფორის ძირში იდო ქვის

ფილა, რომელიც ალბათ მის თავსახურს წარმოადგენდა. ამ სამარხის სამხრეთით მდებარეობდა ინჰუმაციური სამარხი, რომელშიც მიცვალებული ზურგზე ესვენა, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით. მიცვალებულს ხელზე სამაჯურები და ბეჭდები ეკეთა, ფეხებთან მუქი ნაცრისფერი თიხის ვიწროყელიანი დოქი და შავლაკიანი ფეხმოტეხილი სასმისი ედგა. ამ ორი სხვადასხვა ტიპის სამარხის მოკრძალებული ინვენტარი ნათლად ადასტურებდა რომ ეს სამარხები ანტიკურ ხანას მიეკუთვნებოდა [Куфтин 1949:23].

ეშერის ნამოსახლარზე და სამარხებში აღმოჩენილი ინვენტარი: წყალგაყვანილობის მილები, კრამიტის და თიხის ჭურჭლის ნატეხები, ბრინჯაოს სამკაული, შემოტანილი კერამიკა, ამფორები იმაზე მიუთითებდა, რომ ისინი არ მიეკუთვნებოდა სოფლის მოსახლეობას, რომ ამ დასახლების მცხოვრებლებს შორის დაწყებული იყო სოციალური დიფერენციაცია და მათ შორის გამოიყოფოდა ხელოსანთა ფენა. ამ ინვენტარში ასახული უცხოური გავლენების ზემოქმედება, კერძოდ კი ბერძნული ტრადიციების გავლენა, საშუალებას აძლედა ბორის კუფტინს დაესკვნა, რომ შავიზღვისპირეთის მოსახლეობას ანტიკურ ხანაში მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა საბერძნეთის სავაჭრო ქალაქებთან. ეშერის ნამოახლარზე გამოვლენილი მასალის მიხედვით ცხადი გახდა რომ აქ დასახლება ძვ.წ. VIს-ის შუა ხანებში გაჩნდა და ძვ.წ. V-IVსს-ში საგრძნობლად გაიზარდა, ამასთან ამ ტერიტორიაზე ორი თანადროული, მსგავსი სამარხეული ინვენტარის მქონე ინჰუმაციური და კრემაციული სამარხის გამოვლენა პირველი შემთხვევა იყო და მანამადე ამ პერიოდის სამარხები ნანახი არ ყოფილა.

1935-1936 წლებში არქეოლოგიური გათხრები მოეწყო სამტრედიის რაიონის სოფ. დაბლაგომში. ნაციხვარის ბორცვის თხემზე გაითხარა მრავალფენიანი ნამოსახლარი და ქვევრსამარხები. გათხრებს აწარმოებდნენ არქეოლოგები ნინო ხოშტარია და ბორის კუფტინი. შემდგომში ბორის კუფტინი ავადმყოფობის გამო გათხრებში მონაწილეობას აღარ იღებდა და ეს ძეგლი მან გამოვლენილი მასალის, დღიურების და ფოტოების საფუძველზე შეისწავლა.

ნაციხვარის დასავლეთ ფერდობზე ნამოსახლარის საერთო ხასიათის და სტრატიგრაფიის გამოსარკვევად კულტურულ ფენაში გაიჭრა რამდენიმე ჭრილი [Куфтин 1950:16]. დაფიქსირდა ანტიკური, გვიანბრინჯაო-ადრერკინის და ადრებრინჯაოს ხანის ფენები [Куфтин 1950:54-55]. გამოვლინდა თიხატკეპნილი იატაკი, კრამიტის ნატეხები და ბათქაში. კრამიტის ნატეხები თიხის შემადგენლობით ერთნაირი იყო, შეიცავდა კვარცს და ქარსის მინარევს, უმეტეს შემთხვევაში მოწითალო-მოვარდისფროდ და აგურისფრად იყო გამომწვარი. ბევრი ფრაგმენტი იყო წნელის ანაბეჭების, მორების და ფიცრების [Куфтин 1950:89-91]. აღმოჩნდა მაღალი ტექიკით დამზადებული ადგილობრივი წარმოების თიხის ჭურჭელი: ჯამები, თასები დოქები, სასმისები, კვეთილი და ნაკაწრი დეკორით შემკული კოლხური კერამიკის ფრამენტები, ქვევრები [საქ. არქ. 1959: 22-228]. ნამოსახლარზე კრამიტების აღმოჩენა მოწმობდა, რომ აქ არსებობდა კრამიტით გადახურული ნაგებობები და ჯარგვალის ტიპის თიხით შელესილი საცხოვრებლები [საქ. არქ. 1959: 225].

კერამიკული მასალა, რომელიც არა მხოლოდ ფორმათა სხვადასხვაგვარობით, არამედ ტექნიკურად და მხატვრულადაც გამოირჩეოდა, რაც თავისებურ ფორმებსა და ორნამენტში გამოიხატებოდა, ბორის კუფტინის აზრით ადგილობრივი ტრადიციების განვითარებას წარმოადგენდა და ადგილობრივი ქალაქური ტიპის სახელოსნო ცენტრების არსებობაზე მიუთითებდა [Куфтин 1950:146]. ნამოსახლარზე გამოვლენილი იყო ასევე იმპორტული შავლაკიანი კერამიკის და ამფორების ნატეხები, პითოსები, ნაძერწი ზოომორფული ხაზოვანი გამოსახულებები, თიხის სამფეხები და კვირისტავები, ცხოველის ძვლები, ცხენის მოსართავი. დაბლაგომში სახასიათო ფორმების მქონე არც თუ ისე ბევრი რაოდენობის შავლაკიანი კერამკა განსაკუთრებით უსმევდა ხაზს სხვა ქვეყნებთან განვითარებულ სავაჭრო ურთიერთობების არსებობას, კერძოდ კი ბერძნულ

სამყაროსთან რაც იმაზე მეტყველებდა, რომ კოლხეთის ზღვიდან მოშორებული რეგიონები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ვაჭრობაში [Куфтин 1950:82].

ბ. კუფტინმა ნაციხვარის ეს კულტურულ ფენა დაათარიღა აქ აღმოჩენილი შავლაკიანი კანთაროსის (ბერძნული წარმოების ქუსლიანი, პირგაშლილი, ორი ვერტიკალურყურიანი ღვინის სასმისი) საფუძველზე. ეს კანთაროსი მსგავსი იყო ა. მილერის მიერ ელიზავეტოვსკის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ძვ.წ. IV-IIIსს-ის კანთაროსისა [Миллер 1910: 94-96]. იგი მრავალი ანალოგიების მოძიების საფუძველზე მივიდა დასკვნამდე, რომ დაბლაგომი ანტიკური კოლხეთის სამეფოს ქალაქური ტიპის მნიშ-ვნელოვანი სავაჭრო და სახელოსნო ცენტრი იყო, სადაც განსაკუთრებით იყო დაწინაურებული კერამკული წარმოება. მისი აზრით ნამოსახლარის ქვედა ადრეულ ფენასა და მეორე ფენას შორის წყვეტილი შეიმჩნეოდა, ზედა ანტიკური ფენა კი მეორე ფენის შემდგომ გაგრძელებას წარმოადგენდა. მიუხედავად აღნიშნული წყვეტილისა, ქვედა კულტურულ ფენაში აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმის საფუძველზე, მან დაასკვნა, რომ სწორედ აქედან გამომდინარეობდა ანტიკურ კოლხეთში კერამიკის ზოგიერთი ტიპი [Куфтин 1950:98-99]. ნაციხვარის დასავლეთ ფერდობზე 1მ-ის კულტურული ფენაში ასევე გამოვლინდა ელინისტური ხანის ქვევრსამარხები [Куфтин 1950:83]. ზედაპირული მასალა იქნა აკრეფილი ნაციხვარის სამხრეთ ფერდობზე, მათ შორის განსხვავებული თიხის შედგენლობის და ფორმის შემოტანილი ღვინისა და ზეთისათვის განკუთვნილი ამფორების ნატეხები [Куфтин 1950:84], ასევე ძვ.წ. V-IVსს-ით დათარიღებული ადგილობრივი წარმოების თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც ფორმით იმპორტულს ჰგავდა.

1935-1936 წლებში ბორის კუფტინმა ქ. ოჩამჩირის დასავლეთით, 5კმ-ის დაშორებით, მდ. ჯიქუმურის შესართავთან შეისწავლა ნამოსახლარი. ნამოსახლარი გამოვლინდა პორტის მშენებლობის დროს, როცა მიწის აღებისას მუშებმა იპოვეს გამომწვარი აგურები, კერამიკის ნატეხები, რკინის და ობსიდიანის რამდენიმე ნივთი, ოქროს მძივები, ფირფიტები, კრამიტის და ამფორის ნატეხები. ნამოსახლარი შედგებოდა თხრილებით შემოსაზღვრული სამი ხელოვნური ბორცვისაგან, რომლებიც ერთ მწკრივში მდებარეობდნენ. ყველაზე დიდი ბორცვის სიმაღლე 7მ-ს შეადგენდა, დმ. 100მ. მეორე ბორცვს უფრო წაგრძელებული ფორმა ჰქონდა და 6მ სიმაღლის იყო, ხოლო მესამე ბორცვის სიმაღლე 5მ-ს შეადგენდა. გათხრების შედეგად დაფიქსირდა სამი კულტურული ფენა: პირველი ქვედა ფენა ენეოლიურ ხანას მიეკუთვნებოდა, მეორე შუა ფენა ანტიკური ხანის იყო (ძვ.წ. Vს) და მესამე ზედა ფენა შუასაუკუნეების ხანის [Куфтин 1950:152, 259, 286; ჯიბლაძე 1997:71]. პირველი ფენა მეორე ფენისაგან გამოიყოფოდა 1,5 მ სისქის ყავისფერი თიხის ფენით, რომელიც არანაირ კულტურულ ფრაგმენტებს არ შეიცავდა, რაც შესაძლოა იმაზე მიანიშნებდა, რომ ანტიკური ხანის ფენა წარმოიშვა მაშინ, როცა აქ ენეოლითური ფენიდან არანაირი კვალი აღარ იყო დარჩენილი [Куфтин 1950: 270-271].

შუასაუკუნების ფენა მეორე ფენის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენდა. ნამოსახლარზე შემორჩენილი იყო თიხატკეპნილი იატაკი და კედლის შელესილობის ნაშთები. აღმოჩნდა თიხის და მინის ჭურჭლის ნატეხები, ლითონის (ოქრო, რკინა, ბრინჯაო) სამკაული და იარაღი (ბრინჯაოს ყელსაბამი, სამაჯურები, რკინის ცული, სატევარი), ბერძნული შავლაკიანი კერამიკა, რომლის უადრესი ნიმუშები ძვ.წ. Vს-ს შუა ხანებით დათარიღდა [Куфтин 1950:270]. მოპოვებული მასალის საფუძველზე შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ აქ არსებობდა ბერძნული ფაქტორი და ეს ანტიკური ხანის ნამოსახ-ლარი ემთხვეოდა ჯერ კიდევ XVIIს-ის დასაწყისში არქანჯელო ლომბერტის რუკაზე აღნიშნულ ცნობილ ქალაქს [Ламберти Арканджело: 1914], რომელიც შემდეგში მალევე გაქრა და რომელიც შეესაბამებოდა შავ ზღვაზე ძვ.წ. IVს-ის უძველეს ანტიკურ საპორტო ქალაქ გიენოსს. გიენოსი მოხსენიებული იყო ფსევდოსკილაკ კარიანდელის (ძვ.წ. Vს)

„პერიპლუსში“ (მოგზაურობა), როგორც ელინური ქალაქი, რომელიც მეტად იყო განვითარებული [Куфтин 1950:260]. წინასწარი დათვალიერებით და ანტიკური ხანის, ძვ.წ. Vს-ის, მასალის გამოვლენით დასტურდებოდა, რომ გიენოსს მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა საბერნეთის უძველეს ცენტრებთან და აქტიურად აწარმოებდა საგარეო ვაჭრობას, გამორჩეულად კი სინოპთან [Куфтин 1950:264].

ბორის კუფტინის აზრით, კოლხეთის სამეფოსათვის დასახლებების ასეთი ტიპი დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო თავისებური ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე. ნამოსახლარებზე გამოვლენილი საიუველირო ნაწარმი, მათ შორის ოჩამჩირის ნამოსახლარზე არაბერძნული მხატვრული სტილის ოქროს ფირფიტების ფიგურული დაბოლოებები, რომლებიც გამოსახავდნენ წყვილ აქლემისმაგვარ ფრთიან არსებებს, მიუთითებდა, რომ აქ ცხოვრობდა მაღალი კულტურის მატარებელი მოსახლეობა. უნდა აღინიშნოს, რომ ფრთიანი აქლემის გამოსახულება ცნობილი და წარმოდგენილი იყო სასანიდურ მხატვრულ კულტურაში [Толстой., Кондаков, 1890: 90, სურ. 96].

ნამოსახლარებზე აღმოჩენილი კერამიკული მასალა ძირითადად ადგილობრივ ტრადიციების არსებობაზე მიუთითებდა, კერძოდ ის შეიცავდა წითელი და ყავისფერი თიხის კერამიკულ ნაწარმს, რომელიც ანტიკურ ხანაში განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო აფხაზეთში აღმოჩენილი ვიწროყელიანი დოქებისათვის [Куфтин 1950:272-273].

თავის მხრივ კი აღმოჩენილი შავლაკიანი კერამიკა მიუთითებდა, რომ ამ ქალაქური ტიპის ნამოსახლარებს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ საბერძნეთის მრავალ სავაჭრო ცენტრთან. ეს ყველაფერი ადატურებდა, რომ კოლხეთი სამხრეთ კავკასიის რაიონებს შორის ყველაზე ადრე შევიდა ბერძნულ სამყაროში და აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა: კრამიტი, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, სამკაული, კერამიკული ნაწარმი და სხვა, ბორის კუფტინს საკმაო არგუმენტს აძლევდა მყარი დათარიღებისათვის, რაც თავის მხრივ საფუძველი გახდა სხვა ძეგლების აბსოლუტური დათარიღებისა.

სოფ. ტაშ-ბაშში ბორის კუფტინმა გათხარა ქვაყუთები [Куфтин 1941:112, Жоржикашвили Гогадзе 1974:7], რომლებშიც მიცვალებულები მოკრუნჩხულ მდგომარეობაში იწვნენ, თავით მარჯვენა მხარეს. გამოვლინილი მცირე რაოდენობის სამარხეული ინვენტარი შედგებოდა რკინის ისრისპირების, ცულების, დანებისაგან, ასევე ბრინჯაოს სამაჯურების და ღია ფერის თიხის ჭურჭელისაგან [Куфтин 1941:24].

ანტიკური ხანის სამაროვანი შეისწავლა ბორის კუფტინმა სოფ. როზენბერგში. აღმოჩენლი არქეოლოგიური მასალისგან საინტერესო იყო დიდი ოთხკუთხა ფორმის ბრინჯაოს ქამრის ბალთა, ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულებით. მანამდე საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მსგავსი ბალთები შემთხვევით მონაპოვარს წარმოადგენდნენ და ვერ თარიღდებოდნენ. ბორის კუფტინმა პარალელების მოძიების საფუძველზე ეს ბალთა ელინისტური ხანით დაათარიღა. ამის საფუძველს იძლეოდა XIX საუკუნეში ამავე ადგილას ლ. შულცის მიერ გათხრილი სამაროვანის ინვენტარი და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლექციებში არსებული ასეთივე ორი ბალთის შეპირისპირება. ასევე მანგლისში, სოფ. კაცხში, საჩხერის ქვაყუთებში აღმოჩენილი ასეთივე ბალთები. პარალელები იძებნებოდა ასევე კოლხეთის, სოფლების რუხტის და კუმბულტის ძვ.წ. IV-Iსს-ს მასალებთან [Куфтин 1941:25-28].

ბ. კუფტინმა ანტიკური ხანის ოთხკუთხა კედელი გამოავლინა მდ. პატარა ნერონის მიდამოებში [Куфтин 1937] და ასევე სამაროვანი გათხარა სოფ. სანთაში [Куфтин 1936]. მიუხედავად შეზღუდული მონაპოვრისა, ანალოგიების და შეპირისპირების საშუალებით ბორის კუფტინმა შეიმუშავა ამ ძეგლების პერიოდიზაცია, შედარებითი და აბსოლუტური ქრონოლოგია. მოგვცა მათი სტრატიგრაფიული დახასიათება და მასალის ანალიზის

საფუძველზე გააკეთა მნიშვნელოვანი დასკვნები. ის დაწვრილებით აღწერდა ყველა სახის ნივთს და აჯგუფებდა მათ იმ მასალის მიხედვით რომლისგანაც ისინი იყო დამზადებული - რკინის იარაღები, ბრინჯაოს და ოქროს სამკაული, მძივები, მინის და ქვის ნივთები, კოლხური მონეტები, კერამიკა. მასალის დეტალური აღწერა, ტიპოლოგიური ანალიზი, შედარება საქართველოს და სხვა ქვეყნების სამუზეუმო კოლექციების მსგავს ინვენტართან მას საშუალებას აძლევდა მოეცა როგორც ცალკეული ძეგლების ისე მთლიანი კომპლექსების დამაჯერებელი დათარიღება. თავის დასკვნებში გამოდიოდა უშუალოდ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალიდან, რის საფუძველზეც დამაჯერებლად გადაჭრა ნამოსახლართა ქრონოლოგიის საკითხი და უამრავ პარალელებზე დაყრდნობით გამოყო ცალკეული ქრონოლოგიური ეტაპები და პერიოდები, განსაზღვრა ანტიკური ხანის საქართველოს როლი მსოფლიო კულტურის ისტორიაში და წარმოადგინა საქართველოს ისტორიის საინტერესო და ნათელი სურათი.

ლიტერატურა:

საქ. არქ. 1959: საქართველოს არქეოლოგია, თბ.

ჯიბლაძე 1997: ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარების სტრატიგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია, თბ.

Жоржикашвили... 1974: Жоржикашвили Л., Гогадзе Э., Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы, Тб.

Куфтин 1936: Куфтин Б. *(საველე დღიური).*

Куфтин 1937: Куфтин Б. *(საველე დღიური).*

Куфтин 1941: Куфтин Б., Археологические раскопки в Триалети, Тб.

Куфтин 1949: Куфтин Б., Материалы к археологии Колхиды т. I, Тб.

Куфтин 1950: Куфтин Б., Материалы к археологии Колхиды т. II, Тб.

Ламберти 1914: Ламберти Арканджело, Описание Колхиды, называемой тепер Мингрелией с картою 1654 года, сб: Материлов для описания местностей и племен Кавказа, вып. 43, Тифлис.

Миллер 1910: Миллер А., Раскопки в районе древнего Танаиса, Изввестия Императорской Археологической. Комиссии. вып. 35, С-Петербург.

Толстой... 1890: Толстой И., Кондаков Н., Русские древности в памятниках искусства, вып. III, С-Петербург.

ტაბულების აღწერილობა:

1.ეშერის ნამოსახლარის სიტუაციური გეგმა.

2. დაბლაგომის ნამოსახლარის სიტუაციური გეგმა.


I
Бывшая дача
Худ. Верещагина
Эшерский
Сельсовет
Античные селища
Погребения в урнах
Античные погребения


Дабла-Гомская
археологическая экспедиция
II
1956 г.
с. Гоми
Насакиреви
Нацихвари
Разрез культурного слоя
Погребальные урны

ქვემო გოსტიბეს სამაროვნის ფერადლითონწარმოების ნიმუშების ტექნოლოგიური კვლევა

ზიზი თორთლაძე, გივი ინანიშვილი†

ქვემო გოსტიბეს სამაროვნის მოკლე აღწერილობა.

ქვემო გოსტიბეს გვიანანტიკურ-ადრეული შუასაუკუნეების სამაროვანი შიდა ქართლის მთიან რეგიონში, კასპის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის სამხრეთით მდებარეობს (ზღვის დონიდან 1495-2000 მ-ის სიმაღლეზე). არქეოლოგიურ ველზე 30 სამარხი გაითხარა, მათგან 13 ქვაყრილიანი ორმოსამარხი გვიანანტიკური ხანისაა (№№1-7, 15-20); ერთ-ერთ სამარხში (№6) ცხენი იყო დამარხული. 11 ორმოსამარხი ინვენტარიანია. არტეფაქტები აერთიანებს მცირე კერამიკულ ნაწარმს, სამკაულს (საყურეები, ილარები, ბეჭდები, სამაჯურები და სხვ.) და სარიტუალო დანიშნულების ნივთებს. სამარხისეული კომპლექსების ტიპოლოგიურმა ანალიზმა, რომელიც ეყრდნობა როგორც აღმოსავლეთ საქართველოს თანადროული ძეგლების, ასევე კოლხური კულტურისა და რომის იმპერიის გავრცელების არეალში მოქცეული კულტურების მასალებთან შედარებას, ქვემო გოსტიბეს გვიანანტიკური ხანის სამაროვანი ქრ.შ. მე-3 ს-ის მეორე ნახევრითა და მე-4 ს-ის პირველი ნახევრით დაათარიღა [თორთლაძე 2014: 38-44; თორთლაძე 2015: 33-36]. კვლევის საფუძველზე სამარხისეული ინვენტარი 3 ჯგუფად დაიყო: რომაული იმპორტი, უცხოური (რომაული) კულტურის გავლენით ადგილზე დამზადებული ნივთები და ადგილობრივი ნაწარმი.

არტეფაქტთა შესწავლამ, რომელიც ეფუძნება ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდიკას, ახალი კუთხით დაგვანახა რეგიონში ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევის მიმართულებები და განსაზღვრა რეგიონის როლი და მნიშვნელობა ორ ძველ ცივილიზაციათა (ქართლის სამეფო და რომის იმპერია) შორის ინტერკულტურულ ურთიერთობათა გზაზე. გოსტიბე, ქართლის სამეფოს სხვა დაწინაურებულ კულტურულ ცენტრებთან ერთად არა მარტო ჩართულია მიმდინარე პროცესებში, არამედ თავად ერთ-ერთი ნოვატორია რეგიონში, ადგილობრივი კულტურის ბაზაზე, ახალი, განსხვავებული კულტურული სივრცის წარმოშობაში.

გოსტიბეს სამარხისეულ კომპლექსებში გამოვლენილი ბეჭდები საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ წინარე საუკუნეებში ქართულ მატერიალურ კულტურაში რომაული ტიპის ბეჭდების ფორმების განვითარების და შემდგომი სახეობის, ე. წ. იბერიული ბეჭდების ჩამოყალიბების პროცესს; ეს იმ ძიების ჩანასახია, როდესაც ქართული კულტურა უფრო დამოუკიდებელი და თავისთავადი ხდება, ნელ-ნელა ქრება უცხოური ან მისი მიბაძვით შექმნილი ნივთები და მკვიდრდება ადგილობრივი ფორმები [ჯავახიშვილი 2015: 18]. გოსტიბეს სამაროვანზე აღმოჩენილი რამდენიმე ბეჭედი, რომელსაც ამ ეტაპზე საქართველოს ტერიტორიაზე ანალოგი არ ეძებნება, ე.წ. იბერიული ბეჭდების ფორმირების საწყისი ეტაპის ამსახველია, როდესაც რომაული იმპორტის ცალკეული ელემენტების შერწყმისა და გააზრების შედეგად შეიქმნა ახალი, ადგილობრივი ფორმა [თორთლაძე 2015: 59-65].

ცხადია, ადგილობრივი კულტურა მისი (კულტურის) ბუნების შესაბამისად მიმართებაშია სხვა კულტურებთან და აქედან გამომდინარე, ვერ იქნება იზოლირებული, თავისთავში ჩაკეტილი და განიცდის სხვა კულტურების გავლენასაც; თუმცა, ქართლის სამეფო თავისი სოციალური სისტემებით, რომლებიც რა თქმა უნდა, დიდწილად თვითმყოფადია, ინტერკულტურული მიმართებების საფუძველზე, უფრო ინტენსიურად ავითარებს თავის საარსებო სამყაროს. ამ კულტურული ტრანსფორმაციების და თვითმყოფადად განვითარების ერთ-ერთი მაგალითია სამაროვანზე მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული ცხენის მსხვერპლშეწირვის რიტუალის შესრულება და

სამარხებში ბრინჯაოს ჭვირული ბალთებისა და მასთან კომპლექსურად დაკავშირებული საკრალური ნივთების (ბრინჯაოს ზარაკები, სხვადასხვა ფორმის საკიდები) აღმოჩენა. მსგავსი არტეფაქტები მრავლად დასტურდება საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ სხვადასხვა პერიოდის სამაროვნებზე; ისინი ძველი საქართველოს ისტორიის განვითარების მანძილზე მატერიალური კულტურის ის ნიმუშებია, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში თვითმყოფად სახეს ინარჩუნებს და გარკვეულ ტერიტორიაზე შესაბამისი მოსახლეობის რელიგიურ იდენტობას ასაბუთებს. მიცვალებულთა დაკრძალვის რიტუალში ამ საგნების მოხმარება ქრისტიანულ ეპოქამდე (გოსტიბეს სამაროვნის მასალების მიხედვით) გრძელდება.

გოსტიბეში ჭვირული ბალთების ქართლის სამეფოს მთიან რეგიონში ლოკალიზაციამ გააფართოვა მათი გავრცელების არეალი და განსაზღვრა კავშირები ამ არეალში მოქცეულ ურბანულ ცენტრებს დაშორებულ იმ რეგიონებთან, რომელთა კულტურა განსხვავდება განვითარებული ცენტრების კულტურებისაგან, რომლებმაც უცხოური ტრადიციების გავლენა განიცადეს. ამ შემთხვევაში, ბალთები ადგილობრივი კულტურული განვითარების დინამიკაში აღმოცენებული მოვლენაა, რომელიც საუკუნეების მანძილზე დასავლურ (კოლხური) და აღმოსავლურ (იბერიული) ქართულ კულტურათა ძველი ტრადიციის საფუძვლებზე მდგრადად ინარჩუნებს თვითმყოფადობას. ბალთების კომპოზიციაში მოცემულ გამოსახულებებს ძველი საზოგადოების კულტმსახურებისას (როგორც სიმბოლოს) მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდა.

გოსტიბეს არქეოლოგიური ძეგლი და იქ, გამოვლენილი მასალა, სხვა მსგავსი აღმოჩენების კონტექსტთან მიმართებაში, ამყარებს მეცნიერთა წლების წინ გამოთქმულ მოსაზრებას გოსტიბეს არქეოლოგიური ძეგლების და აღნიშნული ტერიტორიის ინტერ-კულტურული და ამავე დროს თვითკმარი მნიშვნელობის შესახებ [ჩუბინიშვილი 1950: 34]. გოსტიბეს ხეობა თრიალეთის ქედის ამ მონაკვეთზე გამავალმა მაგისტრალურმა გზამ კულტურათა გზაჯვარედინად აქცია. გოსტიბეს არქეოლოგიურმა ძეგლმა აღნიშნული ტერიტორია აღმოსავლურ და დასავლურქართულ კულტურათა შეხვედრა/გავრცელების და სხვა საკითხთა შესასწავლად მნიშვნელოვან წყაროდ აქცია. ქვემო გოსტიბეს სამაროვნის ინვენტარისა და, განსაკუთრებით, ბეჭდების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიურმა კვლევამ ბრინჯაოს ჭვირული ბალთების წარმოებისა და მოხმარების დღემდე მიღებული ზედა ქრონოლოგიური ჩარჩო (ქრ.შ. მე-3 ს-ის მეორე ნახევარი) შეცვალა და ისინი ქრ.შ. მე-4 ს-ის პირველი ნახევრით დაათარიღა [თორთლაძე 2014: 52; თორთლაძე 2017: 71-78]. მათი არსებობა ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად წყდება.

ყოველივე ზემოჩამოთვლილ საკითხთა სრულფასოვანი შესწავლისათვის, საჭიროდ მივიჩნიეთ გოსტიბეს სამაროვნის ფერადლითონწარმოების ნიმუშების ტექნოლოგიური კვლევის ჩატარება. ამ მიზნით, შევარჩიეთ ქვემო გოსტიბეს სამაროვნის ოთხ ქვაყრილიან ორმოსამარხში (№№7,15,17,18) აღმოჩენილი ბრინჯაოს ჭვირული ბალთები და კომპლექსურად მასთან დაკავშირებული ბრინჯაოს ნივთები. ექსპერიმენტალ-ლაბორატორიული კვლევა, რომელიც არადესტრუქციული მეთოდით ჩატარდა, ეფუძნება მორფოლოგიურ, მაკრო, მიკროსტრუქტურულსა და რენდგენულ-ფლუორესცენტიულ მონაცემებს (ტაბ. 1; ცხრ. 1). მიღებულ მონაცემთა ანალოგიურ მასალასთან შედარების მიზნით, იგივე კვლევა ჩატარდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ძირითად ფონდში დაცულ, რაჭაში აღმოჩენილ რამდენიმე ნიმუშზე (ტექნოლოგიური კვლევა ჩატარდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიაგნოსტიკისა და გადამუშავების რესპუბლიკური ლაბორატორიის ცენტრში რენდგენო-ფლურესცენტიული აპარატით, უშუალოდ პროფ. ნოდარ ფოფორაძის მონაწილეობით. ჩატარებული სამუშაოებისათვის მადლობას მოვახსენებთ მას)(ტაბ.2; ცხრ.2,). კვლევაში ასევე, გამოყენებულია საქართველოდან გერმანიაში, ბოხუმში 2001 წელს გერმანიის სამთო მუზეუმში,

გამოფენის „საქართველო - განძეულობა ოქროს საწმისის ქვეყნიდან“ ფარგლებში, საექსპოზიციო ლითონის ნივთების ქიმიურ-ანალიტიკური გამოკვლევების მონაცემები (ანალიზი ჩატარდა ქ. ბოხუმში გერმანიის სამთო მუზეუმის ლითონის მასალათმცოდნეობის ლაბორატორიაში, არქეო-მეტალურგიის განყოფილებაში) (ცხრ. 3).

ტექნოლოგიური კვლევის შედეგები.

გოსტიბეს სამაროვნის სხვადასხვა დანიშნულების ფერადლითონწარმოების ნივთების შედგენილობაში რენტგენოფლუორესცენტული მეთოდით განსაზღვრულია 7-9 ქიმიური ელემენტი. გამოკვლეული ბრინჯაოს ნივთების ლეგატურაში ტექნოლოგიური თვალსაზრისით ძირითადი ელემენტებია: **თუთია (Zn), ტყვია (Pb) და კალა (Sn);** შენადნობის ფუძე **სპილენძია (Cu)**. მისი შემცველობა 75%-ზე ნაკლები არ არის და 96.8%-ს არ აღემატება. თუთიის შემცველობა 18%-მდე ცვალებადობს, ტყვიის შემცველობა, ძირითადად, 5%-ს არ აღემატება, თუმცა, ორ ნიმუშში (1-2003:51 - 14,39%-ია, 1-2003:108 – 18.55%) მისი შემცველობა მაღალია. კალის წონითი პროცენტი ტყვიის მსგავსად, ძირითადად, 5%-ს არ აღემატება, თუმცა, სამ ნიმუშში (1-2003:51 – 16.31%, 1-2003:108 – 18.71% და 1-2003:12.37%) მისი შემცველობა შენადნობში გაზრდილია. ნაკეთობებში თუთიის, ტყვიისა და კალის დამატება სპილენძთან მიმართებაში წინასწარ განსაზღვრული ტექნოლოგიური მახასიათებლებით არის განპირობებული [ინანიშვილი გ., ფოფორაძე ნ., თორთლაძე ზ. 2018: 46-49].

წარმოდგენილი ფერადლითონწარმოების ნიმუშები, ელემენტალური შემცველობის თვალსაზრისით, არსებით კანონზომიერებას არ ექვემდებარება, მაგრამ გარკვეული მსგავსება ერთგვაროვან ნივთებს შორის მაინც შეინიშნება. ქვემოთ განვიხილავთ ნივთების ტექნოლოგიურ მახასიათებლებს ფუნქციურად დაჯგუფებული კატეგორიებით.

ბალთები ცვილის მოდელითაა დამზადებული, ამდენად ისინი არ შეიძლება ისეთ სერიებად დავყოთ, რომელთაგან თითოეული გააერთიანებს აბსოლუტურად ან თითქმის აბსოლუტურად მსგავს ეგზემპლარებს. ისინი ფორმისა და სტილისტური დამუშავების მიუხედავად ერთმანეთისგან მთელი რიგი დეტალებით განსხვავდებიან. მაგალითად, ბალთების ოთხი ნიმუშიდან ორი ბალთა (1-2003:47, 1-2003:76) ქიმიური ელემენტების შემცველობით ოთხკომპონენტიანია. თუთიის შემცველობა ყოველთვის 11%-ს აღემატება, სპილენძის შემცველობა სხვა ნივთებთან შედარებით დაბალია და 70-81.59%-ის ფარგლებში მერყეობს, ტყვიის შემცველობა 2%-დან 4,26%-მდე ცვალებადობს, კალა - 2,36-დან 4,37%-მდე. მესამე ბალთაც (1-2003:98) ოთხკომპონენტიანია, თუმცა წინა ორი ბალთის ქიმიური შედგენილობისგან მცირედ, მაგრამ მაინც განსხვავებულია, ამაღლებულია სპილენძის შემცველობა, ხოლო თუთიის შემცველობა ორ წერტილში დადაბლებულია. კალა და ტყვია თითქმის თანაბარი შემცველობითაა. მეოთხე ბალთის (1-2003:108) ქიმიური შედგენილობა სამკომპონენტიანია, თუმცა თუთიის შემცველობა ზოგიერთ წერტილში ერთ პროცენტსაც აღემატება. მისი ქიმიური შედგენილობა რადიკალურადაა განსხვავებული წინა სამი ბალთის ქიმიური შედგენილობისგან.

ბალთებზე ჩატარებულმა კვლევამ მიგვიყვანა შეკითხვამდე ბალთა შევსებული ხომ არაა სხვადასხვა ქიმიური შედგენილობის მქონე დეტალებით და რჩილვითაა დაკავშირებული ერთმანეთთან (ცენტრალურ ნაწილში) და ჩარჩოსთან. ბალთებში ცხენის ფიგურისა და კოპების ელემენტალური შემცველობა განსხვავებულია; ბალთების ნაწილების ქიმიური შედგენილობის არაერთგვაროვნება განსაზღვრულია გამოყენებული არაერთტიპური ნედლეულით და საგანგებოდ შერჩეული ლეგატურით. ზარაკების ქიმიური შედგენილობა წინა მაჩვენებლისგან რადიკალურად განსხვავებულია. შენადნობის ლეგატურა ძირითადად ორკომპონენტიანი და ოთხკომპონენტიანია. პირველ შემთხვევაში მოცემულია თუთიით ლეგირებული ნახევარტომპაკი და კალიანი ბრინჯაო; მეორე შემთხვევაში გამოყენებულია კალა-ტყვია-თუთიის არაერთგვაროვანი შენადნობი.

აღსანიშნავია, რომ თუთიის მაღალი შემცველობის ბრინჯაო გამოირჩევა თხევადდენადობით და კარგი ფორმაშევსებით, ექვემდებარება პლასტიკურ დეფორმაციას (ჭედვა-გლინვას ცივ და ცხელ მდგომარეობაში). ბრინჯაო 10-20 % თუთიის შემცველობით ოქროსფერია (იმიტაცია), გამოირჩევა დეკორატიულობით (ტომპაკი, ნახევარტომპაკი) და ოპტიმალური მექანიკური მახასიათებლებით. საკიდების ლიგატურა ორ და სამკომპონენტიანია. ორი ნივთი (1-2003: 54 და 1-2003: 57) არაერთგვაროვანი შედგენილობით ხასიათდება და წარმოადგენს ნახევარტომპაკს. დანარჩენი ეგზემპლარები კალა-ტყვიის ლეგირების ბრინჯაოა. საყურადღებოა ზარაკის (1-2003: 51) და საკიდის (1-2003: 121) ის ნიმუშები, სადაც დარიშხნის შემცველობა 0,5%-მდეა და დარიშხანი არ არის ლეგირების მიზნით დამატებული ელემენტი. ამ შემთხვევაში დარიშხანი ლიგატურაში აღმოჩნდა დარიშხნის შემცველი სპილენძის (ტაბ.1) მადნეული მინერალებიდან. ფერადლითონწარმოების ნიმუშების ლიგატურაში წარმოდგენილი ძირითად ელემენტებთან ერთად ყოველთვის გვხვდება მინარევი ქიმიური ელემენტი (დარიშხანი, ანთიმონი), რომლებიც ძირითადი მადნის მთავარ ელემენტებთან ერთად რჩება მასთან პარაგეზისში მყოფი მეორადი მინერალების სახით [ფოფორაძე 2012: 25].

თუ გავითვალისწინებთ ელინისტური და გვიანრომაული პერიოდის სპილენძის ფუძეზე მიღებული შენადნობის (ბრინჯაო, თითბერი) ქრონოლოგიური გავრცელების დიაპაზონს და ნივთების დამზადების ტექნოლოგიური სქემის შესაბამის ცვლილებებს სინქრონულ ბერძნულ-რომაულ და იბერიულ ფერადლითონდამუშავების ნაწარმს შორის, შესწავლილი ლითონის ინვენტარის ტექნიკურ-ტექნოლოგიური განვითარების შეფასებას შევძლებთ [გეწაძე 2004: 56-57].

ქრონოლოგია. ამგვარად, გამოკვლეული არქეოლოგიური ლითონის ინვენტარი ფუნქციონირების შემდეგ პერიოდს მოიცავს:

- კალა+ტყვიით ლეგირებული ბრინჯაოს ნივთები უნდა დათარიღდეს - ქრ.შ. მე-4 ს-ით (ქრ.წ. მე-2 – 1-ელი სს-ით ან ქრ.შ. მე-4 ს-ით);
- თუთიით ლეგირებული თითბრის არტეფაქტები - ქრ.შ. 1-ელი – მე-3 სს-ით;
- კალით ლეგირებული ბრინჯაოს ნივთები - ქრ.წ. მე-4 - მე-3 ან ქრ.შ. მე-3- მე-4 სს-ით;
- თუთია+კალის შემცველი ლიგატურის მასალა – ქრ.შ. მე-2- მე-3 სს-ით;
- კალა+თუთია+ტყვიის ოთხკომპონენტიანი ლიგატურის მომცველი მასალა - ქრ.შ. მე-3 – მე-4 სს-ით.

ამავე დროს, განსაკუთრებით აღსანიშნავია თუთიით ლეგირებული ლიგატურის (თითბრის) გამოყენების ტექნოლოგიური სქემა, მასალის სიმტკიცის, პლასტიკურობის სტაბილური მახასიათებლებით და მაღალმხატვრული ღირებულებებით. მნიშვნელოვანია ანთიმონისა და დარიშხნის შემცველობა შენადნობებში მხოლოდ მინარევი ელემენტების სახით, რაც გამორიცხავს ქრ.შ. 1-ელი – მე-4 სს-ის ფერადლითონწარმოებაში მათი ძირითადი მალეგირებელი ფუნქციით გამოყენებას.

დასკვნა. გოსტიბეს გვიანანტიკური ხანის სამაროვნის ჭვირული ბალთების შემცველი სამარხები ქრ.შ. მე-3 ს-ის მეორე ნახევრით და მე-4 ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება. ბალთების სიუჟეტი კოლხურ-იბერიულ ლითონწარმოების მხატვრული ჩამოსხმის, ნივთის ზედაპირული დამუშავება-ფორმირების სინთეზს წარმოადგენს, წინაანტიკური ხანის ბრინჯაოს ნაწარმის გაფორმებისა და დამზადების ტექნოლოგიური სქემის ელემენტებს შეიცავს (ჩამოსხმა ცვილის მოდელით, გრავირება, ჭრა, ერთგვაროვანი ლიგატურის მასალის რჩილვა) და ადგილობრივი ფერადლითონის მეტალურგიის ტრადიციების სრულყოფილ გაგრძელება-განვითარების პროცესის ანარეკლია [ინანიშვილი 2018: 108-110].

ბალთების ანალოგიური ან რამდენადმე მიახლოებული კომპოზიციების არსებობა გვიანანტიკური ხანის არტეფაქტებზე ჭვირული ბალთების ადგილობრივ დამზადებაზე მიუთითებს. ბალთები, როგორც ხელოვნების ნიმუშები წინარე ეპოქების ბრინჯაოს

მხატვრული დამუშავების (გაფორმების) განვითარებას წარმოადგენს და ელინისტურ-რომაული ლითონწარმოების სტილის გავლენას არ განიცდის. უნდა აღინიშნოს, რომ ლიგატურაში გაზრდილი რაოდენობით ტყვიის შემცველობა იმპორტული და ადგილობრივი ბრინჯაო-თითბრის ნაწარმისთვის არის დამახასიათებელი და ტექნოლოგიურად განიხილება როგორც შენადნობის აუცილებელი ატრიბუტი, რომელიც რთული კონფიგურაციული ფორმის სხმულის ტექნიკური ხასიათის ხარვეზების ჭრით დამუშავებას უწყობს ხელს. სამკომპონენტიანი ლიგატურის შენადნობში ტყვიის ლეგირების პროცესი მიზნობრივად ზრდის ნალღობის თხევადდენადობას და ტექნოლოგიურად მხატვრული ფორმის მოდელის სრულყოფილ შევსებას განაპირობებს.

ადგილობრივი ფერადი ლითონის წარმოებაში ქრ.შ. 1-ელ – მე-4 სს-ში თანდათან და რეგულარულად ჩნდება მანამდე უცნობი ლეგირების ელემენტი თუთიის სახით. თუთია წარმოდგენილია როგორც ორკომპონენტიან, ისე სამ და ოთხკომპონენტიან ლიგატურაში, უმეტესად თუთია გვევლინება წამყვანი მალეგირებელი ელემენტის სახით. მისი თანაობით იზრდება შენადნობის სიმტკიცისა და პლასტიკურობის მახასიათებლები, ფართოვდება ბრინჯაოსა და თითბრის ნაწარმის სახეობათა და ნივთის ფუნქციური დანიშნულების სფერო. ჭვირული ბალთების დამზადების ქრონოლოგიური პერიოდი ერთდროულად კლასიკური კალიანი ბრინჯაოსა და ოპტიმალური ლეგირების თითბრის მხატვრული სხმულების დამზადების ტექნოლოგიის ტრადიციულ გამოცდილებას და ტექნიკურ სპეციალიზაციას ასახავს გვიანრომაული ხანის კავკასიის იბერიის ლითონწარმოების საკითხისათვის.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ წინამდებარე ნაშრომი კიდევ არაერთი სხვა კვლევითი კომპონენტის დამატებას და მათთან სინქრონულ ანალიზს მოითხოვს, რაც ამ ეტაპზე ხელმისაწვდომი არ იყო. იმედს გამოვთქვამ, რომ სტატია მომავალში ახალი კვლევების საფუძველზე თავის განვითარებას იპოვის.

ლიტერატურა:

გეწაძე 2004: გეწაძე მ. ბრინჯაოს ქანდაკებები ვანის ნაქალაქარიდან, - ჟურ. *ძიებანი*, დამატებანი, (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე) XII, თბ., გვ. 56-58.

თორთლაძე 2014: თორთლაძე ზ. ქვემო გოსტიბეს სამაროვანი, - ჟურ. *იბერია-კოლხეთი*, (რედ. გ. გამყრელიძე) №10, თბ., გვ. 37-66.

თორთლაძე 2015: თორთლაძე ზ. გოსტიბეს არქეოლოგიური ძეგლები (III-VII სს), თბ.

თორთლაძე 2017: თორთლაძე ზ. ჭვირული ბრინჯაოს ბალთები გოსტიბეს ხეობიდან, ახალი ასპექტები და პერსპექტივები, - *Scripta Manent*, 4 (36), გვ. 71-78.

ინანიშვილი 2018: ინანიშვილი გ. ქართული მეტალურგიის სათავეებთან, თბ., გვ. 108-110.

ინანიშვილი., ფოფორაძე., თორთლაძე 2018: ინანიშვილი გ., ფოფორაძე ნ., თორთლაძე ზ. გვიანრომაული ხანის კავკასიის იბერიის ლითონწარმოების საკითხისთვის, - ჟურ. *პროგრესი*, 3-4, თბ., გვ. 47-49.

ფოფორაძე 2012: ფოფორაძე ნ. საქართველოს მინერალები და ქანები. თბ.

ჩუბინიშვილი 1950: ჩუბინიშვილი ტ. გოსტიბეს ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, -სსმმ., ტ. XVI-B. თბ., გვ. 9-34.

ჯავახიშვილი 2015: ჯავახიშვილი ქ. საქართველოს გლიპტიკური ძეგლები, - ჟურ. იბერია-კოლხეთი, 11, თბ., გვ. 5-36.

Georgien Schaetze aus dem Land des goldenen Vlies, 2001: Catalog, herausgegeben von Irine Gambaschidze, Andreas Hauptmann, Rainer Slotta und Uensal Yalcin, s. 232, 434-444 , Bochum.

***

ფერადლითონწარმოების ნიმუშები გოსტიბეს გვიანანტიკური ხანის სამაროვნიდან
(ნივთებზე დატანილი აღნიშვნები მიუთითებს ანალიზის ჩატარების ადგილს და რაოდენობას)

ტაბ. 1.



ცხრ. 1.

გოსტიბეს სამაროვნის ლითონური ნაკეთობების ძირითადი ქიმიური ელემენტების შემცველობა

№	ნივთის დასახელება	სამარხის №	ქიმიური შედგენილობა %							ლიგატურა
			Cu სპილენძი	Sn კალა	Pb ტყვია	Zn თუთია	Sb ანთიმონი	Fe რკინა	As დარიშხანი	
		სამარხი #7								
1	ბალთის რგოლი	№1-2003-46	**84.801**	**3.685**	0.679	**9.562**	0.21	0.004	0.052	სამკომპონენტიანი
2	ბალთა	№1-2003-47	**74.99**	**4.41**	**2.63**	**17.97**	0.22		0.01	ოთხკომპონენტიანი
3	ზარაკი	№1-2003-48	**85.441**	**4.0**	**2.707**	**7.444**	0.06		0.05	ოთხკომპონენტიანი
4	ზარაკი	№1-2003-49	**82.02**	**8.66**	4.63	**3.31**	0.27		0.11	ოთხკომპონენტიანი
5	ზარაკი	№1-2003-51	**60.95**	**16.31**	**14.39**	**7.05**	0.18		0.46	ოთხკომპონენტიანი
6	ზარაკი	№1-2003-52	**80.50**	0.09	0.003	**18.65**	-		_	ორკომპონენტიანი
7	საკიდი	№1-2003-54	**80.83**	0.07	0.05	**17.405**	0.09		_	ორკომპონენტიანი
8	საკიდი	№1-2003-57	**84.679**	0.10	0.09	**16.277**	-		_	ორკომპონენტიანი
10	სპირალური ხვია	№1-2003-65	**81.127**	0.109	0	**16.832**	0.04	0.430	0,010	ორკომპონენტიანი
11		**სამარხი #15**					0.06			ოთხკომპონენტიანი
12	ბალთა		**76.75**	3.85	2.04	17.77			0.03	
13			75.45	**4.37**	2.20	**17.95**				
	ცხენის ტანი			4.30	**4.26**	16.85			0.06	
	ცხენის თავი		75.71	3.85-4.37	2.04-4.26	16.35-17.95			0.06	
	კოპი	№1-2003-76								
			75.45-76.75							
14	ზარაკი	№1-2003-77	**80.778**	**5.188**	**3.304**	**10.855**	0.18		0.09	ოთხკომპონენტიანი
15	საკიდი	№1-2003-79	**88.162**	**4.961**	**5.098**	0.417	0.09		0.10	სამკომპონენტიანი
16	ბალთის ფრაგმენტი	**სამარხი #17**	**81.59**	2.36	**2.46**	12.83	0.04		0.034	ოთხკომპონენტიანი
17			81.40	2.41	2.24	11.87	0.12		0.07	
18			77.68	**2.57**	1.88	**17.39**	0,08			
		№1-2003-98								
19	ზარაკი	№1-2003-99	**85.638**	**2.795**	**2.030**	**8.951**	0.09		0.026	ოთხკომპონენტიანი
20	ბალთა	**სამარხი #18**	73.74	14.60	9.91	0.78	0.097		0.31	
21	ცხენის ფიგურის (ორ		74.73	12.63	9.42	0.72	0.12		0.29	
22	წერტილში)		**77.68**	10.70	8.90	1.05	0.165		0.26	ქიმიური შედგენილობა
23			76.99	10.10	10.73	1.00	0.077		0.33	
	კოპი	№1-2003-108								განისაზღვრა
24	ჩარჩო		70.83	**19.51**	7.67	1.01	0.67		0.22	რამდენიმე წერტილში
25	პატარა დაკბილული ჩარჩო		61.69	18.71	**18.55**	0.46	0.203		0.60	სამკომპონენტიანი
	ჩარჩოს კიდე									
26	ბალთის რგოლი	№1-2003-109	**94.038**	0.968	**2.398**	**1.434**	0.041		0.04	სამკომპონენტიანი
27	ზარაკი	№1-2003-114	**89.95**	**7.37**	**1.90**	0.38	0.099		0.06	სამკომპონენტიანი
28	ზარაკი	№1-2003-116	**92.476**	**6.120**	0.834	0.25	0.026		0.008	ორკომპონენტიანი
29	საკიდი	№1-2003-121	**82.851**	**12.374**	**3.104**	0.42	0.124		0.44	სამკომპონენტიანი
30	საკიდი	№1-2003-123	93.55	0.06	0.62	0.64	0.068	**2.14**	0.04	ორკომპონენტიანი
31			**96.79**	0.19	0.72	0.80		2.04		
32	სპირალური მილაკი	№1-2003-131	**82.280**	0.05	0.923	**15.064**	-	**1.04**	0.03	სამკომპონენტიანი

ფერადლითონწარმოების ნიმუშები რაჭიდან (ტაბ.2).
(ექსპონატები დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის არქეოლოგიური კოლექციების ძირითად ფონდში, საინვენტარო ნომრებით 1-37 და 1022. კოლექცია N1-37 მოიძია გერმანე გობოჯიშვილმა 1936 წელს, სოფ. ღებში, შოშეთის არქეოლოგიური გათხრების შედეგად; სულ, გაითხარა სამი სამარხი. ჭვირული ბალთა N1-37: 2 აღმოჩნდა პირველ სამარხში, იდო ჩონჩხის მენჯის ძვალთან; NN 1-37:11-13 გამოვლინდა მესამე სამარხში).

1-37-2 (2)

1-37-2

1-37-11

1-37-12


1-37-12

1-37-13

1022 -2

1022-1

ცხრ. 2.

Element	1-37-2-1	1-37-2-2 (ცენტრი-1)	1-37-2-2 (ცენტრი-2)	1-37-2 - ქვედა მხარე
Al	2.44301	3.00752	1.9779	0.47464
Si	1.43816	2.76365	2.28823	1.39254
P	0.02624	0.03782	0.05281	0.06566
Mn	0.00837	0.01913	0.01405	0.00013
Fe	0.11051	0.06925	0.07371	0.07951
Ni	0.00254	0.00252	0.00255	0.00257
Cu	76.58738	75.91696	76.81923	77.41684
Zn	13.15424	12.77547	12.98891	13.44138
As	0.03884	0.02603	0.03695	0.0507
Pb	2.75692	2.18451	2.74464	3.48123
Bi	0.00114	0.001	0.00162	0.00214
Sn	3.40822	3.14547	2.96254	3.58267
Sb	0.01443	0.04066	0.02685	0

Element	1022 – 1	1022 - 2 (ცენტრი - 1)	1022 - 2 (ცენტრი - 2)	1022 - ქვედა მხარე
Al	27.77597	3.12006	1.319	0.42717
Si	27.17336	0.98235	0.59424	1.24418
P	0.88809	0.04645	0.02678	0.03212
Mn	0	0.00079	0.00644	0.0108
Fe	9.42578	0.0238	0.0254	0.03105
Ni	0.06403	0.3157	0.24164	0.06631
Cu	25.74323	76.93966	77.99204	78.45315
Zn	7.6018	17.68461	18.90023	19.14262
As	0	0	0	0
Pb	0	0.31874	0.27222	0.17125
Bi	0	0	0	0
Sn	1.31775	0.51481	0.52961	0.40783
Sb	0	0.04302	0.08241	0.00354

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ფერადლითონწარმოების ნიმუშების ძირითადი ქიმიური ელემენტების შემცველობა. ცხრ. 3.

ნივთი	საინვ. N	წარმომავლობა ქრონოლოგია	ქიმიური შემადგენლობა								
			Cu	Sn	As	Sb	Pb	Ni	Ag	Zn	Fe
ჭვირული ბალთა	5788/255	ხაშური ქვიშხეთი	ძირ.	7,66	0,10	0,18	12,5	0,04	0,10		
ჭვ. ბალთა	08-81-15	ბორჯომი ვარდგინეთი ქ.შ. 1.-3. სს.	ძირ.	0,52	0,05	0,05	0,49	0,03	0,06	18,5	
ჭვ. ბალთა	60/60	ხაშური ქვიშხეთი ქ.შ. 2./3. სს.	ძირ.	7,07	0,10	0,19	9,74	0,03	0,21	0,06	
ჭვ. ბალთა	12120/1509	ხაშური, ქვიშხეთი	ძირ.	7,88	0,18	0,09	6,07	0,04	0,09		
ფიბულა ირმის გამოსახ.		ომალო ახმეტა ქ.შ. 4. ს.	ძირ.	1,47	0,57	0,09	1,32	0,40	0,32	13,7	0,36
ფიბულა ჯიხვი	09-XLVII-81-42	წიფნარისძირი დუშეთი ქ.შ. 3. ს.	ძირ.	1,25	0,04	0,07	0,45	0,03	0,05	13,3	0,11
საკიდი (ჯიხვი)	09-XXV-80-129	ჟინვალი, დუშეთი მთიულეთი ქ.ს. 2. ს.	ძირ.	8,69	0,05	0,08	9,82	0,03	0,10		
საკიდი (ჯიხვი)	09-XXV-77-255	ჟინვალი დუშეთი მთიულეთი ქ.ს. 2. ს.	ძირ.	8,41	0,30	0,10	10,8	0,05	0,08		0,35
ფიბულა ა) ირემი	09-XXV-80-458	ჟინვალი დუშეთი მთიულეთი ქ.შ. 3. ს.	ძირ.	5,06	0,06	0,28	3,93	0,03	0,18	0,27	
ბ) ჯაჭვი			ძირ.	10,0	0,06	0,03	0,51	0,04	0,05	0,30	
ფიბულა-ომეგა ჯაჭვით და საკიდით	09-XXV-81-70	ჟინვალი დუშეთი მთიულეთი ქ.შ. 4. ს.	ძირ.	4,75	0,10	0,17	0,23	0,04	0,05	8,6	0,52
სამაჯური	09- XXV-84-37	ჟინვალი დუშეთი მთიულეთი ქ.შ. 2. ს.	ძირ.	0,05		0,03	0,07	0,02	0,06	19,6	
სამაჯური 2 ც. 1)	09- XXV-85-162	ჟინვალი დუშეთი მთიულეთი ქ.შ. 2.-3. სს.	ძირ.	0,12	0,04	0,09	0,11		0,05	14,5	
2)	09- XXV-80-181		ძირ.	1,90	0,04	0,07	1,09		0,08	12,5	
სამაჯური 3 ც. 1)	09- XXV-79-61	ჟინვალი დუშეთი მთიულეთი ქ.შ. 2.-3. სს.	ძირ.	9,9	0,08	0,09	0,77	0,03	0,06	0,60	
2)	09- XXV-80-180		ძირ.	0,35	0,06	0,14	0,18	0,03	0,04	13,0	0,20
3)	09- XXV-79-72	ქ.შ. 1. ს.	ძირ.		0,03	0,08	0,05	0,03	0,02	14,2	0,20

ტაბულების აღწერილობა:

ტაბ. 1- ფერადლითონწარმოების ნიმუშები გოსტიბეს გვიანანტიკური ხანის სამაროვნიდან. **ტაბ. 2** - ფერადლითონწარმოების ნიმუშები რაჭიდან.

ცხრილების აღწერილობა:

ცხრ. 1- გოსტიბეს გვიანანტიკური ხანის სამაროვნის ლითონის ნაკეთობების ქიმიური ელემენტების შემცველობა. **ცხრ. 2**- რაჭის ლითონის ნაკეთობების ქიმიური ელემენტების შემცველობა. **ცხრ. 3**- საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ლითონის ნაკეთობების ქიმიური ელემენტების შემცველობა.

ვერცხლის სურეები იბერიის დიდგვაროვანთა სამარხებიდან (ახ.წ. I - IV სს.)

ლანა ჩოლოგაური

გვიანანტიკური ხანის იბერიისა და კოლხეთის მოსახლეობის კულტურის ზოგიერთი საკითხის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მმართველი ზედაფენის წარმომადგენელთა და ადგილობრივ არისტოკრატთა მდიდრული სამარხების ინვენტარს. მდიდრული სამარხეული კომპლექსები არა მხოლოდ ხაზს უსვამს ქვეყანაში არსებულ ღრმა სოციალურ დიფერენციაციას, არამედ გვაწვდის ისეთ მნიშვნელოვან ინფორმაციას როგორიცაა მოსახლეობის რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, მისწრაფებები და მოდური ტენდენციები, საერთაშორისო ვაჭრობაში ქვეყნის ჩართულობა, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები და სხვა.

გვიანანტიკური ხანის იბერიასა და კოლხეთში დიდგვაროვანთა სამარხების ინვენტარის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია ვერცხლის ჭურჭელი, რომელიც როგორც წინამდებარე სტატიის, ისე ჩემი მიმდინარე სადოქტორო კვლევის საგანს წარმოადგენს. ვიდრე საქართველოში აღმოჩენილ ვერცხლის ჭურჭელის ერთ ჯგუფზე, სურებზე ვისაუბრებთ, მოკლედ გადავავლოთ თვალი ვერცხლის ჭურჭლის როლსა და მნიშვნელობას გვიანანტიკურ ხანაში.

ანტიკურ ხანაში ვერცხლს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და მას სხვადასხვა ღირებულება და როლი ეკისრებოდა. რომაულ სამყაროში ის წარმოადგენდა ფულად ერთეულს, სიმდიდრისა და კეთილდღეობის ინდიკატორს, განსაზღვრავდა მფლობელის სტატუსსა და გავლენას საზოგადოებრივ იერარქიაში. ის აქტიურად გამოიყენებოდა სადღესასწაულო და რელიგიურ მსახურებებში, წვეულებებსა და ნადიმებში, მდიდარი რომაელების ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში. ორნამენტირებული ცალები ხშირად დეორატიული, საგამოფენო დანიშნულებით იქმნებოდა მნახველთათვის მფლობელის მაღალ იერარქიულ სტატუსსა და სიმდიდრეზე წარმოდგენის შესაქმნელად [Dagi, Mrav 2020: 36].

ვერცხლის ჭურჭელს სწირავდნენ წარმართულ ტაძრებსა და სამლოცველოებში სხვადასხვა ღმერთებისადმი მირთმეული ძღვენის სახით (მაგ. ბერთოვილის განძი, მიძღვნილი ღვთაება მერკურისადმი [Lapatin 2020: 108]). ადრექრისტიანული პერიოდიდანვე იგი საეკლესიო მსახურების განუყოფელი ნაწილიც გახდა. ვერცხლის ჭურჭლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუცია ანტიკურ ხანაში მისი დიპლომატიური დანიშნულებაა. ის იყო განსაკუთრებული საიმპერატორო ძღვენი, რომელიც იგზავნებოდა როგორც ტაძრების, ისე ცალკეული ინდივიდებისა და სხვადასხვა ქვეყნის მმართველთა მიმართულებით სამადლობლისა და ქრთამის სახით.

რომის მსგავსად, ვერცხლის ჭურჭელს განსაკუთრებული ადგილი ეკავა სასანური ირანის ხელოვნებასა და კულტურაში. ვერცხლმჭედელობის ტრადიციამ, რომელიც ჯერ კიდევ აქემენიდურ ხანაში განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა, სასანურ ირანში განსაკუთრებულ მასშტაბებს მიაღწია. ვერცხლის ჭურჭლის როლი დიდი იყო სასანიდი მმართველების და ირანელი დიდგვაროვნების ყოფა-ცხოვრებაში, სადღესასწაულო-რელიგიურ დღესასწაულებსა და დიპლომატიურ ურთიერთობებში [Тревер, Луконин, 1987: 38-39].

სასანიდი შაჰების დიპლომატიაში ვერცხლის განსაკუთრებულ როლზე მეტყველებს სასანური ტორევტიკის ნიმუშთა უმრავლესობის აღმოჩენა იმპერიის საზღვრებს მიღმა (საქართველო, აზერბაიჯანი, ურალი, აღმ. ევროპა და სხვ.). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასანიანთა დინასტიის მმართველების იკონოგრაფიის კანონიზირება გარდა ნუმიზმატიკური და გლიპტიკური მასალისა, სწორედ ტორევტიკაში აისახა და ჩვენამდე

ათობით ერთეული სახით მოაღწია სამეფო ნადირობის სცენებით შემკულმა ვერცხლის თეფშებმა [Harper 2006: 27-28, 78].

რამდენადაც ჩვენი სტატია ვერცხლის სურებს შეეხება, მოკლედ ამ ჭურჭლის დანიშნულებაზეც ვისაუბროთ რომაულ და ირანულ ტორევტიკაში. წყვილი სურა, რომაული '*მინისტერიუმის*' (ლათ. *Ministerium* - ძვირფასი ლითონისგან დამზადებული ჭურჭლის ნაირსახეობათა ერთობლიობა) განუყოფელი ელემენტი იყო. ვერცხლის სურები მხოლოდ სასუფრე ჭურჭელს არ წარმოადგენდა, ის გამოიყენებოდა მდიდარი რომაელების ხელის ბანვის რიტუალშიც (სურ. 2). ამის ნათელი დასტურია სევსოს განძში შემავალი დიდი ზომის (40-60 სმ) ვერცხლის სურები, რომელთაგან ზოგი სასუფრედ ღვინისთვის და წყლისთვის, ზოგი კი ბანვის რიტუალისთვის გამოიყენებოდა [Dagi, Mrav 2020: 118-171].

ვერცხლის წყვილი სურა გამოსახულია გაიუს ვესტორიუს პრისკუსის აკლდამის ცნობილ ფრესკაზე, ასევე ვერცხლის ჭურჭლის სხვადასხვა ნიმუშებსა და მოზაიკებზე (სურ. 1). სურების პოპულარობა თვალსაჩინოა სასანურ ირანშიც, რაზეც როგორც მათი დიდი რაოდენობით აღმოჩენა, ისე ტორევტიკის ნიმუშებზე გამოსახული კომპოზიციები მეტყველებს, სადაც ნადიმის სცენებია წარმოდგენილი (სურ. 3) [Тревер, Луконин 1987: სურ. 32-33]. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სასანური ვერცხლის სურები უმეტესად გვიანსასანურ პერიოდს, V-VII საუკუნეებს განეკუთვნება, ხოლო ადრესასანური პერიოდის ნაკეთობები თითქმის არ მოგვეპოვება (სურ. 4) [Тревер, Луконин 1987:112-120].

სურის ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ გამოსახულებად ირანულ ხელოვნებაში შეიძლება ჩაითვალოს დიონისეს ტრიუმფის სცენა ბრიტანეთის მუზეუმში დაცული, ახ.წ II-III საუკუნეებით დათარიღებულ ვერცხლის თეფშზე, რომელიც გვიანპართულ ან ადრესასანურ არტეფაქტადაა გააზრებული (სურ. 5). ამ სცენაზე ნახევრად მწოლიარე დიონისეს ხელში თასი უჭირავს, ხოლო მის გვერდით მდგომარე ფრთოსან კუპიდონს ცალყურა სურა.

გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭელი იბერია-კოლხეთიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართული, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებისთვის, ვინაიდან მათი უმრავლესობა შესწავლილი არქეოლოგიური კომპლექსებიდან მომდინარეობს, მაშინ როცა, რომაული და სასანური ტორევტიკის ნიმუშთა დიდი ნაწილი ყოველგვარი არქეოლიოგიური კონტექსტის გარეშე, კერძო კოლექციებიდან და ე.წ. შავი ბაზრიდანაა მუზეუმებში მოხვედრილი. სადოქტორო კვლევის ფარგლებში ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე გვიანანტიკური ხანის ას ორმოცდაათამდე ერთეული ვერცხლის ჭურჭელია აღმოჩენილი, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ოცდასამი სხვადასხვა ლოკაციიდან მომდინარეობს.

ვერცხლეულის შემცველი არქეოლოგიური კომპლექსები ძირითადად დიდგვაროვანთა სამარხებითაა წამოდგენილი, რომლებიც უმეტესწილად გასულ საუკუნეში იქნა შესწავლილი. ჩვენთვის საინტერესო არტეფაქტების, ვერცხლის სურების შემცველი სამარხები შესწავლილია არმაზისხევში, სამთავროს ველზე, არაგვისპირში, მაგრანეთში, ზღუდერში, ბორში, ცხინვალსა და მოდინახეს სამაროვანზე (სურ. 7). (*ბორსა და ცხინვალში ვერცხლეულის შემცველი კომპლექსებზე ძალზე მწირი ცნობები მოგვეპოვება. არქეოლოგიური კონტექსტი დარღვეულია, ვინაიდან ნივთები განძის მაძიებელთა მიერ იქნა უკონტექსტოდ შეგროვებული*). დღესდღეობით ჩვენთვის ცნობილია თექვსმეტი ერთეული ვერცხლის სურა, რომელთაგან სამი წყვილი აღმოჩენილია არმაზისხევის პიტიახშთა სამაროვანზე, ერთი წყვილი სამთავროს, თითო წყვილი მაგრანეთის ქუშანაანთ გორისა და არაგვისპირის სამაროვნებზე, ხოლო თითო ეგზემპლარი ბორის, ზღუდერის, მოდინახესა და ცხინვალის მდიდრული სამარხებში (ტაბ. III).

გვიანანტიკური ხანის ვერცხლის სურების შესწავლაზე გასულ საუკუნეში ყურადღება გაამახვილა ხელოვნებათმცოდნე კ. მაჩაბელმა თავის ნაშრომში Позднеантичная торевтика Грузии (1976), სადაც საკითხის კვლევას ცალკე პარაგრაფი მიუძღვნა. ავტორს ვრცელი მსჯელობა აქვს მოცემილი თითოეული ნივთის მხატვრულ-სტილისტურ ანალიზზე, მათ ქრონოლოგიაზე, წარმომავლობასა და შესაძლო დანიშნულებაზე [Мачабели 1976: 73 -79] (*აღნიშნულ ნაშრომში არ არის განხილული არაგვისპირის №13 სამარხში 1973-1974 წლებში აღმოჩენილი ნადირობის სცენებით შემკული წყვილი სურა და სამთავროს აკლდამაში 1985 წელს აღმოჩენილი წყვილი სურა. არაგვისპირის სურებზე მოკლე ანოტაცია და ილუსტრაციები ავტორის მეორე ნაშრომშია წარმოადგენილი* [მაჩაბელი 1983: 110, ტაბ.50]).

გვიანანტიკური ხანის ვერცხლის სურების ჯგუფს იბერიიდან საგანგებო ყურადღება დაუთმო რ. რამიშვილმა, რომლის ხელმძღვანელობით აღმოჩენილი და შესწავლილი იქნა ქუშანაანთ გორისა და არაგვისპირის სამაროვნები. რ. რამიშვილმა თავის ნაშრომში საინტერესო აქცენტები გააკეთა ვერცხლის სურების რაოდენობაზე (განხილული აქვს ცამეტი ერთეული), წარმომავლობასა და დანიშნულებაზე, ასევე მათ მნიშვნელობაზე გვიანანტიკური ხანის იბერიის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებასა და რწმენა-წარმოდგენებში [რამიშვილი 1979: 71-76; რამიშვილი 2018: 146-151]. არაგვისპირის სურებს ცალკე სტატია მიუძღვნა ქ. რამიშვილმა. ნაშრომში წარმოდგენილია ავტორისეული მოსაზრება ნადირობის სცენებით შემკული ჭურჭლის კულტურული ატრიბუციისა და დათარიღების შესახებ [რამიშვილი 1999: 71-75]. (არაგვისპირის სურების შესახებ ჩემი ინგლისურენოვანი ვრცელი სტატია ამ ეტაპზე გადაგზავნილია ბრიტანულ ჟურნალში 'Iran. British Journal for Persian Studies' დასაბეჭდად).

გარდა ზემოთაღნიშნული ნაშრომებისა, საქართველოში აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ვერცხლის სურების შესახებ ცალკე სტატია, სადაც თავმოყრილი იქნება თითოეული მათგანის არქეოლოგიური კონტექსტი, აღწერა, ქრონოლოგია და ინტერპრეტაციები, დღემდე არ არის ცნობილი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. აქედან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნიეთ ამ საკითხისათვის ცალკე სტატია მიგვეძღვნა. წინამდებარე კვლევაში ვერცხლის სურების კლასიფიკაცია არა მათი ფორმის ან დეკორის, არამედ მათი აღმოჩენის ლოკაციის მიხედვით მოვახდინეთ, რათა უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნა თითოეული ნივთის არქეოლოგიურ კონტექსტსა და თარიღზე. სტატიაში ეგზემპლარების აღწერის შემდეგ წარმოდგენილია მსჯელობა, ანალიზი და მოკლე დასკვნები მათ ატრიბუციაზე, ქრონოლოგიასა და მნიშვნელობაზე.

ვერცხლის სურები არმაზისხევიდან. ჩვენი კოლექციიდან ექვსი ცალი ვერცხლის სურა არმაზისხევის პიტიახშთა ნეკროპოლზეა აღმოჩენილი. ისინი წყვილად იყო წარმოდგენილი №№1, 6 და 7 სამარხებში. თითოეულ სამარხში აღმოჩენილი წყვილი სურა იდენტურია, ამიტომ მათ წყვილად განვიხილავთ სამარხების მიხედვით.

1 სამარხში (ასპარუგ პიტიახშის სამარხი) მიცვალებული ესვენა ზურგზე გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით. სამარხში დიდი რაოდენობით ოქროსა და ძვირფასი ქვებისაგან შედგენილი სამკაულთან, იარაღთან, ნუმიზმატიკურ და გლიპტიკურ ძეგლებთან ერთად მაღალი ხარისხის ვერცხლის ტორევტიკული ნაწარმი იყო წარმოდგენილი: სარეცლის ფეხის გარსაკრავები, პინაკები (სამი ცალი), ჯამები (ორი ცალი) და წყვილი სურა [აფაქიძე და სხვ. 1955: 22-40].

სურები სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იყო განთავსებული. იდენტური ცალყურა სურების ტანი კვერცხისებური მოყვანილობისაა; პირი მოგრძო, ნისკარტიანი; ყელი ვიწრო და ოვალური; ქუსლი მრგვალი და ღრუიანი; ყური სამნაწილიანია: ქვედა ნაწილი ფოთლისებური ფეხით მირჩილულია სურის მუცელზე, შუა ნაწილი ქვედაზე მირჩილულია და ზედა მხარეს პირზე მიმაგრებულია ტოტისებური დაბოლოებით; ზედა ნაწილი კი შუაზე დაკრული თავამოწეული ფირფიტაა, რომელიც სურიდან სითხის გადმოსხმისას ცერა თითის საბჯენად გამოიყენებოდა. ზედაპირი გლუვი და სადაა. სურის

ზომებია: სიმაღლე – 21 სმ; მუცლის დიამეტრი– 10.4 სმ; სიგრძე და სიგანე (პირის) – 7.4 და 3.8 სმ; ყელის დიამეტრი 2.7-3.5 სმ; წონა 332 გრ (სურ. 8) [აფაქიძე და სხვ. 1955: 35].

სამარხი 1 ახ.წ II საუკუნის შუა ხანებით ან მეორე ნახევრითაა დათარიღებული არტეფაქტების ანალიზისა და მონეტების საფუძველზე. ნუმიზმატიკური მასალა შემდეგი ცალებითაა წარმოდგენილი: ერთი ცალი ავგუსტუსის დენარი (ძვ.წ 27 – ახ.წ 14); ექვსი ცალი რომაული აურეუსი, რომელთაგან ერთი იმპერატორ ტიტეს სახელითაა მოჭრილი (79-81), ერთი ტრაიანესი (98-117), ხოლო დანარჩენი ოთხი — იმპერატორ ადრიანესი (117-138) [აფაქიძე და სხვ. 1955; 39-40].

№6 სამარხში მიცვალებული თავით სამხრეთ-დასავლეთით ესვენა. სამარხეული ინვენტარი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ძვირფასი ლითონითა და თვლებით გაწყობილი სამკაულით, აქსესუარებით, პირადი მოხმარებისა და სხვადასხვა დანიშნულების ნივთებით გამოირჩევა. სამარხში ვერცხლის ჭურჭელი შემდეგი ცალებითაა წარმოდგენილი: ტიხე-ფორტუნას გამოსახულებიანი პინაკი, წვეროსანი მამაკაცის ბიუსტიანი პინაკი, ვერცხლის პატერა და ორი იდენტური სურა [აფაქიძე და სხვ. 1955: 63-82].

ორივე სურა სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში იყო განთავსებული.

ვერცხლის სურების ტანი კვერცხისებური მოყვანილობისაა. მათი პირი მოგრძოა და შუაში შევიწროებულია; ტუჩები გადმოკეცილი, უკან მომრგვალებული და წინ ნისკარტისებურად გაფართოებული, ზეაწეული; ყელი მოკლე და ოვალური ოდნავ ამობურცული ხაზით; ზედაპირი გლუვია და სრულიად სადა. სურების ძირზე და კორპუსზე შემორჩენილი ნარჩილავ-ანაბეჭდების მიხედვით, თავის დროზე მათ ყურიცა და ქუსლიც უნდა ჰქონოდათ, რომელიც სამარხში ჩატანებისას უკვე აღარ ჰქონიათ. სურის ზომები: სიმაღლე – 20.5 სმ; მუცლის დიამეტრიც – 9 სმ; პირის სიგრძე და სიგანე – 8.5 სმ და 3.5 სმ; წონა 370 გრ. (სურ. 10) [აფაქიძე და სხვ. 1955: 77].

სამარხი ნუმიზმატიკური მასალითა და ინვეტარით ახ.წ II საუკუნის მიწურულით თარიღდება. მონეტები შემდეგი ცალებითაა წარმოდგენილი: ხუთი აურეუსი: იმპერატორ ნერონის (54-68), გალბასი (68-69), ადრიანესი (117-138), ანტონინე პიუსისა (138-161) და კომოდის (180-192); თექვსმეტი ვერცხლის მონეტა: გოტარზეს დრაქმა ცხრა ცალი (40-51), ერთი ცალი ავგუსტუსის დინარი (ძვ.წ 27 –ახ.წ 14), გოტარზეს დრაქმებისა და ავგუსტუსის დინარების ნატეხები, სულ ექვსი ცალი [აფაქიძე და სხვ. 1955: 73-74].

№7 სამარხის ინვენტარი ისეთივე მდიდრულია, როგორც მეექვსე სამარხისა, თუმცა, რაოდენობით ბევრად ჩამორჩება მას. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთით ესვენა. სამარხში სამკაულთან, გლიპტიკურ და ნუმიზმატიკურ მასალასთან ერთად აღმოჩნდა ვერცხლის ჭურჭელიც: პინაკი ვაზის ორნამენტებით და ორი იდენტური სურა. ორივე სურა თავდაპირველად სამარხის სამხრეთ დასავლეთ კუთხეში ყოფილა განთავსებული. სურების ქუსლი ქვაში ამოჭრილ ფოსოებში იყო ჩადგმული, ხოლო თავად სურები ნაწილებად დაშლილი, სამარხის იატაკზე მიმოფანტული. ჩანს, ნივთები დროთა განმავლობაში გადაადგილებულა (მიწისძვრა?).

ვერცხლის სურებს ტანი კვერცხისებური მოყვანილობის აქვთ; პირი ოვალური და შუაში ოდნავ შევიწროებული; ტუჩი ბრტყელნისკარტისებრი და ზეაწეული; ყელი დაბალი და ოვალური; ყელს ქვემოთ მხარზე სურას ორი წყვილი ამოღარული კონცენტრული წრე შემოუყვება; სურის ტანი ჩადგმულია მაღალ ღრუიან ქუსლში. სურები ძალზე ემსგავსება პირველ და მეექვსე სამარხებში აღმოჩენილ ცალებს, თუმცა მათგან განასხვავებს ყურის მოყვანილობა და მასზე მიმაგრებული მოძრავი სარქველი. ყურის ქვედა ნაწილი სამკუთხა მოყვანილობისაა და მხარზეა დარჩილული. მასზე მიმაგრებულია ყურის უდიდესი ნაწილი – ზედა რკალი, რომელსაც რქისებრი გამონაშვერები აქვს პირთან მიმაგრების ადგილას. ამ ნაწილში ყუნწებისა და ღეროს მეშვეობით ყურზე მიმაგრებულია სურის პირის მოყვანილობის მოძრავი სარქველი. სარქველის თავზე ბოთლის ფორმის მცირე

კოპი/ბურცობია. ყურის ზედა რკალზე ზემოდან მტევნებიანი ვაზის გამოსახულებაა ამოღარული. სურების ზომებია: სიმაღლე – 24 სმ; პირის სიგრძე და სიგანე – 8 სმ და 3-4.5 სმ; დიამეტრი ქუსლის – 5.5 სმ; სიმაღლე ქუსლის – 2.5 სმ; მუცლის დიამეტრიც – 11.5 სმ; სიმაღლე ყურის – 14 სმ; წონა – 496 გრ. მეორე სურა აღწერილის ანალოგიურია, თუმცა უფრო დაზიანებული. მისი წონა 523 გრამია (სურ. 9) [აფაქიძე და სხვ. 1955: 95-96].

მეშვიდე სამარხი ახ.წ II საუკუნის მიწურულით თარიღდება, მსგავსად მეექვსე სამარხისა. მონეტები შემდეგი ცალებითაა წარმოდგენილი: შვიდი აურეუსი: ორი ცალი იმპერატორ ნერონის (54–58), თითო ცალი ანტონინე პიუსის (138-161), ფაუსტინა უფროსისა (138-141) და ფაუსტინა უმცროსის (161-175), ხოლო ორიც მარკუს ავრელიუსის (161-180) [აფაქიძე და სხვ. 1955: 93-94].

ვერცხლის სურები სამთავროდან. სამთავროს სამაროვანზე 1985 წელს აღმოჩენილ 905-ე აკლდამაში ორი ინდივიდი, სავარაუდოდ ორივე ქალი იყო დაკრძალული, თავით ჩრდილოეთით. აკლდამის სამარხეული ინვენტარი ახლოს დგას არმაზისხევის მასალასთან. ა. აფაქიძისა და ვ. ნიკოლაიშვილის მოსაზრებით აკლდამა იბერიის მმართველი ზედაფენის ოჯახის წევრთა განსასვენებელს უნდა წარმოადგენდეს [აფაქიძე, ნიკოლაიშვილი 1996: 41]. სამარხში ძვირფასი ლითონისა და ქვებით შემკული სამკაულების გვერდით დიდი რაოდენობით ტორევტიკული, გლიპტიკური და ნუმიზმატიკური მასალა აღმოჩნდა. ვერცხლის ჭურჭელი ცამეტი ერთეულითაა წარმოდგენილი: წყვილი სურა, მრგვალი ლანგარი პართული წარწერით, რომელშიც სახელი თირიდატი იხსენიება, ორი სინი, პინაკები კვერცხისებური ბურცობებით (ორი ცალი), ომფალოსიანი პინაკი, ღრმა ჯამი (ორი ცალი), მაღალქუსლიანი, ორყურა თასი, ორი კოვზი [აფაქიძე, ნიკოლაიშვილი 1996: 9-21].

სურები სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა, სამარხის იატაკზე. ავტორთა მოსაზრებით ისინი თავდაპირველად სამარხის ჩრდილოეთ კედელზე დამაგრებულ რკინის კავებზე უნდა ყოფილიყო ჩამოკიდებული, ხოლო მათი ქუსლები თირიდატის ვერცხლის ლანგარზე ეწყო [აფაქიძე, ნიკოლაიშვილი 1996: 15].

სურები თითქმის ანალოგიურია არმაზისხევის 1 სამარხში აღმოჩენილი ცალებისა. მათი ტანი ოვოიდური მოყვანილობისაა; პირი ოვლური, შუაში შევიწროებული; ტუჩი ბრტყელი, ნისკარტისებური და სამტუჩა; ტანზე ემჩნევა წვრილი კონცენტრული ჰორიზონტალური ღარები და ნაკაწრი ვერტიკალური ხაზები; პირსა და მხარზე ორსეგმენტიანი ყურია დაძერწილი, რომლის ქვედა ნაწილი სამკუთხა ფოთლისებური მოყვანილობისაა, ხოლო ზედა ნაწილი რქისებური შვერილებით პირის უკანა ნაწილის ფორმას იმეორებს; ყურისთავის შვერილები ბოლოვდება გედის თავის გამოსახულებით, რომელთაც ექვსფურცლვანი ამოტვიფრული ვარდულები აკრავთ; სურის ტანი ჩადგმულია ოთხი ამოღარული, კონცენტრული სარტყელით შემკულ ღრუიან ქუსლში. სურის ზომებია: სიმაღლე – 18 სმ; მუცლის დიამეტრი – 8.5 სმ; პირის სიგრძე და სიგანე – 7 სმ და 4 სმ; ქუსლის სიმაღლე 1.5 სმ; ქუსლის დიამეტრი – 4.5 სმ. მეორე სურა აღწერილის ანალოგიურია, თუმცა უფრო დაზიანებული (სურ. 11) [აფაქიძე, ნიკოლაიშვილი 1996: 14-15].

სამარხის თარიღი მასალის ანალიზისა და ნუმიზმატიკური მონაცემების საფუძველზე ახ.წ II ს-ის მიწურულით ან III ს-ის პირველი ნახევრითაა განსაზღვრული [აფაქიძე, ნიკოლაიშვილი 1996: 41]. ნუმიზმატიკური მასალა 34 ერთეულითაა წარმოდგენილი, რომელთაგან სამი აურეუსია, ხოლო 31 ცალი ვერცხლის მონეტა. აურეუსები: იმპერატორ ნერონის (54-68), მოჭრილი 64-68 წლებში რომის ზარაფხანაში; ადრიანესი (117-138) მოჭრილი 125-128 წლებში რომის ზარაფხანაში. ვერცხლის მონეტები: ტრაიანეს დენარი (98-117) მოჭრილი კაპადოკიის კესარიაში; ავგუსტუსის (ძვ.წ 27 –ახ. წ 14) დენარი, მოჭრილი ძვ.წ 2 – ახ.წ 11 წლებში გალიის ზარაფხანაში; ავგუსტუსის კიდევ 14 დენარი, პართიის მეფე გოტარზეს (41-51) 15 ცალი დრაქმა [აფაქიძე, ნიკოლაიშვილი 1996: 20-40].

ვერცხლის სურები არაგვისპირიდან. ვერცხლის სურების უნიკალური წყვილი აღმოჩნდა არაგვისპირის სამაროვანზე, მე-13 სამარხში. სამარხი დიდგვაროვანი მამაკაცის განსასვენებელს წარმოადგენდა, რომელიც ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთისკენ დაუკრძალავთ. სამარხეული ინვენტარი დიდი რაოდენობით სამკაულს, ტორევტიკულ, გლიპტიკურ და ნუმიზმატიკურ მასალას შეიცავდა. სურების გარდა, ვერცხლის ჭურჭელი წარმოდგენილი იყო რომაული თეფშით და ერთი ჯამით, რომლის ცენტრალური მედალიონი ცხენისა და საკურთხევლის გამოსახულებიანი კომპოზიციითაა შემკული. მიცვალებულის თავი ვერცხლის ჯამზე იყო დასვენებული [Рамишвили 1983: 2-3; Рамишвили 1977: 114-122, რამიშვილი 2018: 88-91].

სურები სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იყო განლაგებული.
სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის სურებს დღემდე ანალოგები არ მოეძებნებათ არც ქართულ და არც უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში. მათი მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია ნადირობის სცენების კომპოზიციისა და მათი შესრულების ტექნიკის გამო. სურებმა ჩვენამდე ძალზე დაზიანებული სახით, მოაღწია, თუმცა მათი რესტავრაციის შემდგომ ფორმისა და დეკორის თითქმის სრულად აღდგენა მოხერხდა. სურების ტანი კვერცხისებური მოყვანილობისაა; აქვთ ნისკარტიანი მოყვანილობის პირი; კრატერისებრი, მრგვალი ცილინდრული ყელი; მაღალი ქუსლიანი ფეხი, რომელიც ქვემოდან შეღრმავებულია, შუაში კი ბურთისებური შემსხვილება აქვს. ყური მასიური და ორწილადია, რომლის ზედა ნაწილი მიმაგრებულია პირზე ორმხრივი შვერილებით. ყური ზეაწეულია და პირის სიმაღლეზე ზემოთაა.

ორივე სურის ტანი რელიეფური ორნამენტებითაა შემკული, რომელიც ცხენოსანი მამაკაცის ნადირობის კომპოზიციებს გამოსახავს. ერთ სურაზე ირმებზე, ხოლო მეორეზე ტახებზე ნადირობის სცენებია წარმოდგენილი. გაჭენებულ ცხენზე (ე.წ. მფინავი ჭენებით — flying-gallop) ამხედრებული მამაკაცი მარჯვენა პროფილშია გადმოცემული. მას მოზიდული მშვილდისარი უჭირავს. გრძელი თმა და წვერ-ულვაში თავისუფლადაა გაშვებული, არ ახურავს თავსაბურავი. ტანსაცმელი სქემატიზირებულია, თუმცა ირკვევა რომ მაღალყელიანი, გრძელმკლავიანი, მუხლებამდე მოსასხამი აცვია, წელზე ქამრით კაპარჭი აქვს შემორტყმული. მარტივია ცხენის აღკაზმულობაც. მისი კუდის ბოლო თავისუფლადაა გაშვებული (*ცხენის ფიგურა მსგავსია არაგვისპირის ამავე სამარხისა და ზღუდერის ვერცხლის ჯამებზე გამოსახული ცხენებისა.შესაძლოა ისინი ერთი სახელოსნოს ან ოსტატის ნახელავიც იყოს*). მონადირესა და მის წინ გაქცეულ ირმებს შორის მცენარეული მოტივია გამოსახული. გაქცეული ირმებიდან (ორი ხარირემი, ერთი ფურირემი) ერთი მკვდარია, ხოლო ორი ისრებით არიან დაჭრილი. მხედარ მონადირეს ძაღლი ახლავს თან, რომელიც გაქცეულ ცხოველების დევნის პროცესშია გადმოცემული.

მეორე სურაზე იგივე მხედარი(?) ტახებზე ნადირობის პროცესშია გადმოცემული. ნადირობის კომპოზიციები ქვემოდან შემოსაზღვრულია მაღალი რელიეფური კანელურებით. სურების ზომებია: ირმებიანი სურა: სიმაღლე (ყურის გარეშე) – 22.5 სმ; სიმაღლე (ყურიანად) – 23.5 სმ; პირის სიგრძე – 5.9 სმ; მუცლის დიამეტრი– 11.5 სმ; ფეხის დიამეტრი – 5.5 სმ. ტახებიანი სურა: სიმაღლე (ყურის გარეშე) – 23.5 სმ; სიმაღლე (ყურიანად) – 24.5 სმ; პირის სიგრძე – 6.3 სმ; მუცლის დიამეტრი– 12 სმ; ფეხის დიამეტრი – 5.2 სმ (სურ. 12) [რამიშვილი ქ.1999: 71-72; რამიშვილი 2018: 88-89].

რ. რამიშვილი მიიჩნევდა, რომ სურებს პრაქტიკული დანიშნულება არ უნდა ჰქონოდა. მისი მოსაზრებით ისინი დამზადებული იყო ორნამენტირებული ხის მოდელზე ვერცხლის ფურცლის შემოკვრის მეთოდით. აღნიშნული ვარაუდი კი ხის ნაშთებს ემყარებოდა, რომლებიც სურის ყელის ნაწილში აღმოჩნდა [რამიშვილი 2018: 89, 149].

სამარხის თარიღი მოძიებული პარალელებისა და ნუმიზმატიკური მასალის საფუძველზე ახ.წ III საუკუნის 60-70-იანი წლებით დაათარიღა რ. რამიშვილმა, სურები კი უფრო ადრეულ ნაწარმად მიიჩნია. ნუმიზმატიკური მასალა შემდეგი ერთეულებითაა

წარმოდგენილი: იმპერატორ ვალერიანეს (253-260) ორი აურეუსი, რომელთაგან ერთი ადგილობრივი მინაბაძია; ავგუსტუსის (ძვ.წ 27 – ახ. წ 14) ერთი აურეუსი (ადგილობრივი მინაბაძი) და ოთხი დინარი, გოტარზეს (40-51) ოთხი დრაქმა [Рамишвили 1977: 114-122; Рамишвили 1983: 2-3; შეროზია 2015: 38-61; რამიშვილი 2018: 91].

ვერცხლის სურები მაგრანეთიდან. წყვილი ვერცხლის სურაა აღმოჩენილი სოფელ მაგრანეთში, ქუშანაანთ გორის სამაროვანზე. სამარხი №1 სავარაუდოდ ადგილობრივი დიდგვაროვნის განსასვენებელს წარმოადგენდა, რომელიც ზურგზე გაშოტილი, თავით სამხრეთ-დასავლეთით დაუკრძალავთ. სამარხეული ინვენტარის მიხედვით რ. რამიშვილი მიიჩნევდა, რომ აქ სავარაუდოდ პიტიახშთა რანგის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო დაკრძალული [რამიშვილი 2018: 80] (აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვიზიარებთ ზ. ბრაგვაძის მოსაზრებას, რომელსაც ქუშანაანთ გორის სამარხები არა პიტიქხშის, არამედ ადგილობრივი დიდგვაროვნების განსასვენებლად მიაჩნია [ბრაგვაძე 2021: 95-96]).

სამარხში, გარდა ვერცხლის ორი იდენტური სურისა, აღმოჩნდა ნუშისებური ბურცობებით შემკული ვერცხლის ჯამი, ოქროს სამკაული, გლიპტიკური და ნუმიზმატიკური ძეგლები.

ორივე სურა სამარხის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა, იატაკზე.

სურების ტანი მსხლისებური მოყვანილობისაა; ოდნავ ოვალური წვრილი ყელი პირისაკენ ფართოვდება; ყელზე მსხვილი რელიეფური სარტყელი შემოუყვება; პირი მოგრძო ოვალურია და ნისკარტით ბოლოვდება. ჭურჭლის კვერცხისებური ტანი მაღალ ქუსლზეა შემდგარი, რომელიც კონუსური ფორმისაა და ქვემოდან შეღრმავებულია. ქუსლი ტანზე მიერთების ადგილას მსხვილი ბურთისებრი ბურცობით ბოლოვდება.

სურები ცალყურაა. მათი ყური სამნაწილიანია. ქვედა ნაწილი სამკუთხა სუროს ფოთლისებრი მოყვანილობისაა და მუცელზეა მირჩილული. ყურის შუა სეგმენტი ქვედა ნაწილით სუროს ტანსა და ყურის ქვედა ნაწილს ებჯინება და პირთან შედარებით ზეაწეულია. შუა ნაწილი რკალისებურად იხრება პირთან და ორმხრივი შვერილით ბოლოვდება, რომლებიც პირზე მანჭვლებითაა მიმაგრებული. ყურის მესამე ნაწილი შ ფორმისაა და ყურის შუა სეგმენტზე ზემოდანაა დამაგრებული, რომლის ერთი ბოლო პირის თავზე შემსხვილებული შვერილით ბოლოვდება. ჭურჭელს მხარზე ორი წყვილი ამოღარული კონცენტრული წრე შემოუყვება. სურის ზომებია: სიმაღლე (ყურიანად) – 20.6 სმ, სიმაღლე (ყურის გარეშე) – 19 სმ; მუცლის დიამეტრი – 9.5 სმ; პირის სიგანე – 4.8 სმ; ყელის დიამეტრიც – 2.4-2.5 სმ; ძირის დიამეტრიც – 5 სმ; ფეხის სიმაღლე 3.3 სმ. მეორე სურის ზომებია: სიმაღლე (ყურიანად) – 21.5 სმ, სიმაღლე (ყურის გარეშე) – 19.2 სმ; პირის სიგრძე – 5 სმ, სიგანე – 3.7 სმ; ძირის დიამეტრი – 5 სმ; ფეხის სიმაღლე 3.3 სმ (სურ. 13) [რამიშვილი 1979: 34-35; რამიშვილი 2018: 82].

სამარხეული ინვენტარის ანალიზითა და ნუმიზმატიკური მასალით ქუშანაანთ გორის სამარხი 1 ახ.წ III საუკუნის მიწურულით – IV საუკუნის დასაწყისითაა დათარიღებული [რამიშვილი 1979: 73; რამიშვილი 2018: 147-148]. ნუმიზმატიკური მასალა წარმოდგენილია შემდეგი ცალებით: თითო ცალი ალექსანდრე სევერუსის (222-235), კომოდუსის (177-192) და კარუსის (282-283) აურეუსი [რამიშვილი 1979: 36-37, რამიშვილი 2018: 83].

ვერცხლის სურა ცხინვალიდან. ცხინვალის აღმოჩენებთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში მწირი ცნობები მოგვეპოვება. დიდი ალბათობით მასალა მეთოდოლოგიური არქეოლოგიური გათხრების გარეშეა მოპოვებული, რის გამოც მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაკარგულია. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის ცნობილია, რომ ერთ-ერთ სამარხში ვერცხლის სურა და ფიალა იქნა აღმოჩენილი. ფ. თავაძის ნაშრომში, სადაც აღნიშნული ნივთების მოკლე აღწერაა მოცემული, გამოთქმულია მოსაზრება, რომ სამარხი ახ.წ I საუკუნეს განეკუთვნება. თუმცა, დ. კაპანაძის მიერ სამარხში აღმოჩენილი მონეტების შესწავლის შედეგად, ცხადი გახდა, რომ სამარხები ახ.წ III საუკუნეს უნდა

განეკუთვნებოდეს [თავაძე 1954: 24; ჩართოლანი 1962: 150-151; Мачабели 1976: 53-56, 73-74; Капанадзе 1957: 167].

ვერცხლის სურა დაზიანებულია და ნაკლული სახითაა შემორჩენილი. ფ. თავაძის მოსაზრებით იგი დამზადებულია ერთი მთლიანი ვერცხლის ფურცლისაგან, ორნამენტირებულ მოდელზე შემოწნევის მეთოდით [თავაძე 1964: 26]. სურის ტანი კვერცხისებური მოყვანილობისაა. აქვს ვიწრო ყელი და ნისკარტისებური პირი. ზედაპირი მთლიანად რელიეფური ორნამენტებითაა დაფარული: შუა ნაწილში ნაჭდევებიანი ორმაგი სარტყელისგან შედგენილ ფრიზში განლაგებულია წვერით ურთიერთსაპირსპიროდ მიმართული ნუშისებური ჩაღრმავებული ფიგურები.

ფრიზის ორივე მხარეს, ჭურჭლის ქვედა და ზედა მხარე რელიეფური ტალღისებური ხაზებითაა დაფარული (მსგავსი ტალღოვანი დეკორი გვხვდება არმაზისხევში, ჟინვალში, ზღუდერში აღმოჩენილ ვერცხლის ჯამებზე და სურაზე). სურის ქუსლიანი ფეხი დაკარგულია, თუმცა, ჩანს მას, მაღალი და ვიწრო ფეხი ექნებოდა. დაკარგულია ყურიც (?). სურის ზომებია: სიმაღლე – 23 სმ; მუცლის დიამეტრი – 11 სმ (სურ. 14) (*სტატიაში მოცემული სურების აღწერილობა არის ავტორისეული და ეფუძნება ფ. თავაძისა და კ. მაჩაბელის ნაშრომში შემონახულ ცნობებსა და დაბალი ხარისხის შავ-თეთრ ფოტოს*).

ვერცხლის სურა ზღუდერიდან. ვერცხლის სურა ზღუდერის სამი მდიდრული ქვის სარკოფაგიდან ერთ-ერთში, 1 სარკოფაგში (კაბრიასის სამარხი?) სხვა ნივთებთან (სამკაული, საბეჭდავები, მონეტები, მინის ჭურჭელი და სხვა) ერთად აღმოჩნდა. ვერცხლის ჭურჭელი წარმოდგენილი იყო სურითა და ორი ლანგრით. ერთ-ერთი ლანგარი, რომელზეც ბერძნული წარწერის ფრაგმენტი *'E]XAPICAMH[N'* (ვუბოძებ) არის შემორჩენილი, ბერსუმა პიტიახშის სამარხში აღმოჩენილი წარწერიანი ლანგრის მსგავსია [ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე 2009: 34, 30-43].

სამარხში სურების განლაგება უცნობია. ექსპედიციის წევრებს დარღვეული არქეოლოგიური კონტექსტი დახვდათ. ნივთები კი ადგილობრივებმა გადასცეს.

ცალყურა სურის ტანი განიერია და მხრებთან დაბრტყელებული; პირი ნისკარტისებური ტუჩითაა წარმოდგენილი; ყელი ცილინდრული და მაღალი, რომელიც პირისკენ ფართოვდება. ყელის ქვედა ნაწილში შემსხვილებული რელიეფური სარტყელია. ყური ერთნაწილიანი და ბრტყელღეროიანია. სუროს ფოთლისებრი ქვედა ნაწილი მხარ-მუცელზეა მირჩილული, ზედა ნაწილი კი ორი შვერილის სახით პირის უკან ორივე მხარესაა მიმაგრებული. სურის ქვედა ნაწილი მომრგვალებულია და იმ ადგილას სადაც ფეხი უნდა იყოს წარმოდგენილი, დაზიანებულია. ქუსლი ცალკე, ძალზე დაზიანებული იქნა ნაპოვნი, თუმცა ის მაღალი და შუაში შემსხვილებული უნდა ყოფილიყო. სურის სიგანეში განზიდულ მხრებზე ამოღარული ტალღისებური ხაზებია წარმოდგენილი, ხოლო ქვედა ნაწილში ასევე ამოღარული კანელურების მსგავსი ფიგურების წყებაა. ზედა და ქვედა დეკორატიულ რეგისტრებს მათ შორის ამოღარული კონცენტრული წრეების ორი წყვილი აკავშირებს. სურის ზომებია: სიმაღლე (დაკარგული ფეხის გარეშე) – 16.1 სმ; მუცლის დიამეტრი – 12 სმ; ყელის დიამეტრიც – 3.6 სმ; პირის სიგანე - 5.2 სმ (სურ. 15) [ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე 2009: 36-37].

სარკოფაგი 1 ახ.წ 230-იანი წლებითაა დათარიღებული. სამარხში ხუთი რომაული აურეუსი აღმოჩნდა, აქედან ყველაზე გვიანდელი ალექსანდრე სევერუსის (222-235) მონეტაა, მოჭრილი 228 წელს (ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე 2009: 14-15).

ვერცხლის სურა ბორიდან. ვერცხლის ერთი სურაა აღმოჩენილი ბორში გასული საუკუნის დასაწყისში. დღესდღეობით სამეცნიერო ლიტერატურაში 'ბორის განძის' სახელით ცნობილი ძვირფასი ნივთების კოლექცია ერმიტაჟშია დაცული. ბორის განძი სხვადასხვა პერიოდის მდიდრული სამარხების ინვენტარია, რომელიც ადგილობრივი მოსახლის განძმაძიებლობის გამო ყოველგვარი არქეოლოგიური კონტექსტის გარეშეა ჩვენამდე მოღწეული [Придикъ 1914: 3]. ბორის განძში შემავალი მონეტების

ქრონოლოგიური დიაპაზონი, ისევე როგორც სამარხეული ინვენტარისა, ძვ.წ I საუკუნიდან ახ.წ III საუკუნის პირველი ნახევრით განისაზღვრება [Придикъ 1914: 4-5].

ბორის განძში სამკაულთან, აქსესუარებთან, ნუმიზმატკურ და გლიპტიკურ მასალასთან ერთად თოთხმეტი ერთეული ვერცხლის ჭურჭელი, ექვსი ვერცხლის სარეცლის ფეხის გარსაკრავი და სხვადასხვა ნივთის ფრაგმენტებია წარმოდგენილი. ვერცხლის ჭურჭელი შემდეგნაირია: კანელურებიანი სურა; თასი ცხენისა და საკურთხევლის გამოსახულებით ცენტრალურ მედალიონში, რომელზეც წარწერა 'ბუზმიჰრ კეთილი პიტიახში'-ა დატანილი; ექვსი ცალი სხვადასხვა ფორმისა და პერიოდის თასი; ფოთლისებური ფორმის თეფში, სამი კოვზი და ორი საწვნე [Придикъ 1914: 5-19]. გარდა ვერცხლისა, ბორის განძში ბრინჯაოს ჭურჭელიცაა წარმოდგენილი, რომელთაგან შვიდი ცალი სხვადასხვა ფიგურული გამოსახულებებიანი ყურებით შემკული სურაა.

ბორის ვერცხლის სურა საქართველოში აღმოჩენილი სხვა სურებისგან ფორმითა და დეკორით განსხვავებულია. ეს არის მხარწიბოიანი, ვიწროტანიანი, მაღალი, უქუსლო ჭურჭელი, რომლის ქვედა ნაწილი რელიეფური, ვერტიკალური, ჩაღრმავებული კანელურებითაა შემული, ხოლო მხრები სადაა. ყელი მრგვალი და ცილინდრულია, რომლის შუა ნაწილში ჭდეებით შემკული რელიეფური სარტყელია მოთავსებული. პირი დაზიანებულია. ყური დაკარგული. ზომები: სიმაღლე – 21 სმ; ძირის დიამეტრიც – 4 სმ (სურ. 16) [Мачабели 1976: 73-74].

ვერცხლისა თუ ბრინჯაოს სურების განლაგება სამარხებში ჩვენთვის უცნობია.

მასალა ახ.წ I-III საუკუნეებითა დათარიღებული.

ვერცხლის სურა მოდინახედან. ერთი ცალი სურაა აღმოჩენილი მოდინახეს გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე 36-ე (ახალი ნუმერაციით 22) სამარხში. მიცვალებული ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით ესვენა. აღსანიშნავია, რომ მოდინახეს სამაროვანზე დაკრძალვის იგივე წესი ფიქსირდება, როგორც ახალი ჟინვალისა და ზღუდერის მდიდრულ სამარხებში – მიცვალებულის თავის დასვენება ვერცხლის ჯამზე/თასზე [ნადირაძე 1975: 50-55, რამიშვილი 1972: 46; ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე 2009: 7]. მოდინახეს მდიდრული სამარხები იმერეთის მხარის მმართველთა განსასვენებლებად არის მიჩნეული, რომლებიც ახ.წ. III ს-ის მიწურული და IV საუკუნით თარიღდება [ბრაგვაძე 2021: 87].

სურა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იყო დადგმული.

მას მსხლისებური მოყვანილობის ტანი, საშუალო სიმაღლის ცილინდრული ყელი და გადაშლილი პირი აქვს. ყელზე თეგით გამოყვანილი ლილვი შემოსდევს. სურას მხარზე გრავირებული ფოთლისებური ორნამენტების მწკრივი შემოუყვება. სიმაღლე – 12 სმ; პირის დიამეტრი – 5 სმ; ძირის დიამეტრი – 7 სმ (სურ. 17). [ბრაგვაძე 2021: სურ.83, ბრაგვაძე, ჩიგოგიძე 2002: 98; ნადირაძე 1975: 57,72].

სამარხის ახ.წ IV საუკუნის შუა ხანებით თარიღდება მასში აღმოჩენილი მონეტების საფუძველზე: კონსტანტინე დიდის (306-337) ოქროს სოლიდი, მოჭრილი ქ. სისციაში და კონსტანციუს II-ის (337-361) ოქროს მონეტა მოჭრილი ანტიოქიის ზარაფხანაში [ნადირაძე 1975: 72; ბრაგვაძე 2021: 87].

სურების ვიზუალური და შედარებითი ანალიზის საფუძველზე რამდენიმე საყურადღებო დასკვნის გაკეთება ხდება შესაძლებელი (ვერცხლი სურების მონაცემები ცხრილის სახით წამოდგენილია ნაშრომის ბოლოს (სურ. 19). ზემოთ აღწერილი კომპლექსები ახ.წ I-IV საუკუნეებში იბერიის სამეფოს ტერიტორიულ შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო და შესაბამისად, განსვენებულებიც იბერიის მმართველი ზედაფენისა და ელიტის წარმომადგენლები იყვნენ. (ისტორიული არგვეთის ტერიტორიული კუთვნილების საკითხში ჩვენ ვიზიარებთ ზ. ბრაგვაძისა და მ. ბახტაძის მიერ გამოთქმულ

მოსაზრებებს, რომ ეს ტერიტორიები ახ.წ II-III საუკუნეებში გაძლიერებული იბერიის სამეფოს შემადგენლობაშია (ბრაგვაძე 2021: 73-74; ბახტაძე 2003: 43)).

თექვსმეტივე ვერცხლის სურა სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენს. ისინი მეტწილად მიცვალებულის თავის არეში იყო განთავსებული. დაკრძალვის წესი თითქმის ყველგან ერთნაირია: თავით დასავლეთით ან სამხრეთ-დასავლეთით, ზურგზე გაშოტილი ან გვერდზე დასვენებული. ყველა იმ კომპლექსში, რომლებიც ხელუხლებლად შემორჩა, გარდა მოდინახეს სამარხისა, წყვილი სურაა აღმოჩენილი. ზღუდერის, ბორისა და ცხინვალის სამარხები შემთხვევითი აღმოჩენებია და ძალზე ნაკლული სახითაა მოღწეული. აქედან გამომდინარე, გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ ამ კომპლექსებშიც წყვილად იყო სურები ჩატანებული, თუმცა ჩვენამდე მხოლოდ თითო ეგზემპლარმა მოაღწია. ერთი რამ ეჭვს არ იწვევს, გვიანანტიკური ხანის იბერიაში ვერცხლის სურები, ვერცხლის ჯამებთან და სხვა ჭურჭელთან ერთად, დიდგვაროვანთა სამარხების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტია.

გვიანანტიკური ხანის ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი, ზემოთ აღწერილი ვერცხლის სურები ჩვენ რომაული ტორევტიკის გავლენით შექმნილ იბერიულ ნაწარმად მიგვაჩნია, რაც აშკარად გამოიხატება ცალკეული ელემენტების მსგავსებაში (ზეაწეული, ორმაგკომპონენტიანი ყური; მაღალი ქვემოდან ღრუიანი ქუსლიანი ძირი ზოგჯერ ბურთისებური შემსხვილებით; თითქმის სამტუჩა მოყვანილობის პირი, ბიკონოსური მოყვანილობის ტანი). განიცდის თუ არა II-III საუკუნეებში დამზადებული იბერიული სურები აღმოსავლური, ირანული ტორევტიკის გავლენას, რთული სათქმელია, ვინაიდან თანადროულ სურები ირანიდან თითქმის არ მოგვეპოვება. როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, სასანურ ტორევტიკაში ცალყურა მაღალფეხიანი სურები გამოჩენას ახ.წ V საუკუნის მიწურულიდან იწყებს, რაც ირანის იმპერიაში მიმდინარე ძირეული კულტურულ-ეკონომიკური ძვრებით იქნა გამოწვეული [Harper 2007: 26].

გვიანდელი V-VII საუკუნეების სასანური სურები ბევრად უფრო ადრეულ იბერიულ ნაწარმთან შესადარებლად, არ გამოგვადგება. ხოლო სასანურის წინა პერიოდის ვერცხლის სურები პართიდაან ჩვენთვის ცნობილი არ არის. იბერიაში აღმოჩენილი სურების ადგილობრივ წარმოებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იბერიულ სურებს ზუსტი ანალოგები საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არ მოეძებნება. მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იბერიის ვერცხლის სახელოსნოში/სახელოსნოებში ჭურჭლის ამ ფორმების წარმოების ნორმების ერთგვარ უნიფიკაციასთან გვაქვს საქმე (ზომები და ფორმა. ვერცხლის სურების სიმაღლე უმეტესწილად 18-23 სმ შორის მერყეობს, მუცლის დიამეტრი კი 9-12 სმ შორის), რომელიც დროთა განმავლობაში გარკვეულ სიახლეებს იძენს. ვერცხლის სურების ადგილობრივ წარმოებას ვარაუდობდა რ. რამიშვილი [რამიშვილი 2018: 150-151].

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვერცხლის სურების ფორმები შესაძლოა თანადროული იბერიული კერამიკული ფორმებით ყოფილიყო ნაკარნახევი [Мачабели 1976: 75-79]. ამ ვარაუდთან დაკავშირებით ჩვენი შეხედულება შემდგენაირია: სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდაა გაზიარებული, რომ ანტიკურ ხანაში ძვირფასი ლითონის ჭურჭლის მაღალი ღირებულებიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე ხდებოდა მათი ფორმების მიბაძვით კერამიკული იმიტაციების დამზადება. საუკუნეების განმავლობაში საზოგადოების ფართო ფენებისთვის ხელმისაწვდომი, იაფასიანი მასალით - თიხით მზადდებოდა პრესტიჟული აქემენიდური ვერცხლის ფიალებისა, ბერძნული ჭურჭლის, რომაული თასებისა და თეფშების იმიტაციები. აქედან გამომდინარე, სათუოდ მიგვაჩნია ეს პროცესი საპირისპირო მიმართულებით მომხდარიყო და ვერცხლის სურების ფორმები კერამიკული ნაწარმით ყოფილიყო ნაკარნახევი.

მასალაზე დაკვირვებისა და აღმოჩენის კონტექსტის შესწავლის საფუძველზე, ჩვენ ვერცხლის სურების წარმოების რამდენიმე ეტაპს გამოვყოფთ (სურ. 18):

ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეულ ჯგუფს მივაკუთვნებთ არმაზისხევისა და სამთავროს სამარხებში აღმოჩენილ სურებს (სულ რვა ცალი). მცირედი ნიუანსების გარდა რვავე სურის აღნაგობა, პირი, ქუსლი, სახელური და დამზადების ტექნოლოგია თითქმის იდენტურია. მსგავსება შეიმჩნევა როგორც ვიზუალში, ისე მათ ზომებში. გამომდინარე იქიდან, რომ ისინი ახ.წ. II ს-ის მიწურულით დათარიღებულ კომპლექსებშია წარმოდგენილი, მათი წარმოების პერიოდად ახ.წ II საუკუნის შუა ხანები ან ამავე საუკუნის მეორე ნახევარი მიგვაჩნია. არმაზისხევისა და სამთავროს სურები უთუოდ ერთი სახელოსნოს ნაწარმად უნდა მივიჩნიოთ.

ქრონოლოგიურად შემდგომი პერიოდის, ახ.წ. III საუკუნის პირველი ნახევრის ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს ზღუდერში აღმოჩენილი ვერცხლის სურა. ის გარკვეულ მსგავსებებს (პირის ფორმა, ყურის პირთან მიმაგრების ტექნიკა) ამჟღავნებს მცხეთაში აღმოჩენილ ცალებთან, თუმცა ფორმითა და დეკორით მათგან საგრძნობლად განსხვავდება. ზღუდერის სურა ცალკეულ სიახლეებს იძენს, რაც ადგილობრივ ტორევტიკულ სახელოსნოებში ინოვაციების დანერგვით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ერთ-ერთი ასეთი სიახლეა ჭურჭლის ფორმა – მხარწიბოიანი, განიერი მუცლითა და მაღალი ცილინდრული ყელით.

ინოვაციურია გრავირებით მიღებული ტალღოვანი ხაზებით შედგენილი დეკორიც, რომლითაც ჭურჭლის მთელი ტანია დაფარული. აღნიშნული დეკორი, რომელიც ასევე წარმოდგენილია არმაზისხევის მესამე სამარხში აღმოჩენილ ცხენისა და საკურთხევლის გამოსახულებიან ორ პინაკზე, ახალი ჟინვალის მეხუთე სამარხში აღმოჩენილ პინაკსა და ზღუდერის მეორე სარკოფაგში აღმოჩენილ ორ პინაკზე (ტახისა და ღორის და ცხენისა და საკურთხევლის კომპოზიციებით), ახ.წ. III ს-ის პირველი ნახევრის იბერიული ტორევტიკული ნაწარმის დამახასიათებელ ელემენტადაა მიჩნეული [აფაქიძე და სხვ. 1955: 54-57, Рамишвили 1983: 87-88, ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე 2009: 54-57].

ჩვენი მოსაზრებით, ქრონოლოგიურად შემდგომი პერიოდის, ახ.წ III ს-ის შუახანების უნდა იყოს ცხინვალში აღმოჩენილი სურა, რომელიც ერთგვარ მაკავშირებელი რგოლად გვევლინება წინარე და შემდგომი პერიოდის ნაწარმს შორის. ცხინვალის სურა გრავირებული ტალღოვანი ხაზების დეკორით ზღუდერის ცალს მოგვაგონებს, თუმცა ფორმითა და დამზადების ტექნიკით მოგვიანო, არაგვისპირისა და მაგრანეთის სურებს ემსგავსება. აღნიშნული ჭურჭელი ახალ ელემენტებს იძენს, რაც ადრეულ სურებს არ ახასიათებდათ: შედარებით მოკლე კვერცხისებური ტანი, მაღალი ვიწრო ფეხი, ბევრად ვიწრო ყელი და რელიეფური ორნამენტები – ჩაღრმავებული ნუშისებრი ბურცობები. აღსანიშნავია, რომ მსგავსი რელიეფური ნუშისებრი ბურცობები ახ.წ III ს-ის შუა ხანებით დათარიღებულ მაგრანეთისა და ხოვლეს ვერცხლის ჯამებზეცაა წარმოდგენილი [რამიშვილი 2018: 81-82, 151-154, შატბერაშვილი 2007: 90].

ქრონოლოგიურად მომდევნო, ახ.წ. III ს-ის მეორე ნახევრის ნაწარმად მიგვაჩნია არაგვისპირისა და მაგრანეთის ვერცხლის სურები. მაგრანეთის სადაზედაპირიანი სურები ძალზე დახვეწილი ფორმებით გამოირჩევა. ვიწრო ყელითა და მაღალი ვიწრო ფეხით ისინი ცხინვალის სურას ემსგავსება. მათი სიახლე მაღალ ქუსლზე არსებული ბურთოვანი შემსხვილება და სამკომპონენტიანი ყურია, რომელიც პირზე განსხვავებული ტექნოლოგიით, მანჭვლებითაა მიმაგრებული. რაც შეეხება, არაგვისპირის სურებს.

შეიძლება ითქვას, რომ ეს ცალები იბერიული სურების წარმოების ერთგვარ დაგვირგვინებას წარმოადგენს. მაღალ რელიეფში შესრულებული ნადირობის რთული კომპოზიციები და მათი დამზადების ტექნოლოგია (ხის ორნამენტირებულ მოდელზე ვერცხლის ერთი ფურცლის შემოკვრის მეთოდი. მსგავსი მეთოდი გამოყენებულია იბერიული წარმოების სარეცლის ფეხების ვერცხლის გარსაკრავების დამზადებაში) ამ

ჭურჭელს უნიკალურს და განსაკუთრებულს ხდის არა მხოლოდ იბერიის სამეფოს, არამედ ამ პერიოდის რომაული და სასანური ტორევტიკის ნიმუშებს შორის. რ. რამიშვილს ეს სურები არაპრაქტიკული დანიშნულების ჭურჭლებად მიაჩნდა.

სამარხის ქრონოლოგიაზე დაყრდნობით ახ.წ. IV ს-ში უნდა იყოს დამზადებული ვერცხლის სურა მოდინახედან. II-III სს-ის სურებისგან სრულიად განსხვავებული ჭურჭელი წარმოდგენილია მსხლისებური ტანით, ბრტყელი ძირით და ყურის გარეშე. სურის დეკორატიულ გაფორმებას წარმოადგენს ყელზე შემსხვილებული სარტყელი, რომელიც მაკავშირებელ რგოლად შეგვიძლია მივიჩნიოთ არაგვისპირისა და მაგრანეთის სურებთან.

მოდინახეს სურას მხრებზე გრავირებით მიღებული მცენარეული სარტყელი შემოუყვება, რაც იბერიულ ტორევტიკაში სიახლეა. მოდინახეს სურის განსხვავებულობა შესაძლოა სხვადასხვა ფაქტორებით აიხსნას. ერთ-ერთი მათგანი და ჩვენი აზრით საკმაოდ დამაჯერებელია სურის წარმოება ადგილობრივად, ზემო იმერეთის მხარეში. სურის ადგილობრივი წარმოება ივარაუდა ჯ. ნადირაძემ. მან მოდინახეს სამარხებში აღმოჩენილი ვერცხლის ჯამები და სურა ადგილობრივ ნაწარმად მიიჩნია [ნადირაძე 1975: 70-71].

შესაძლებელია, ამავე პერიოდის იყოს ბორში აღმოჩენილი სურაც. თუმცა, დარღვეული არქეოლოგიური კონტექსტისა და ზუსტი ანალოგების არარსებობის გამო, რთულია მისი ზუსტი თარიღისა განსაზღვრა. კ. მაჩაბელს ის გვიანრომაულ ან ადრებიზანტიურ ნაწარმად მიაჩნია და მსგავსებას დასავლურ ტორევტიკაში ხედავს [Мачабели 1976: 77]. ამ ეტაპზე ჩვენ მხოლოდ ვარაუდის გამოთქმით შემოვიფარგლებით: ბრტყელძირა ვიწრო სურა შესაძლოა იბრიული ნაწარმი იყოს, რომელსაც ტრადიციულ დეტალებთან ერთად (რელიეფური კანელურები, ყელზე რელიეფური სარტყელი) მთელი რიგი სიახლეები ახასიათებს, თუმცა მას ხელაღებით გვიანრომაულ ან/და იბერიულ ნაწარმად ვერ გავიაზრებთ. ბორის სურის ფორმა ემსგავსება ახ.წ I ს-ის ჰილდეშაიმის რომაული ვერცხლის ლარნაკისებურ ჭურჭელს, თუმცა ეს ჭურჭელი ზომაში ბევრად დიდია (სურ. 6) [Niemeyer 2018: 25-26, სურ. 18].

რა დანიშნულება ჰქონდა ვერცხლის სურებს იბერიელთა დაკრძალვის რიტუალში და დაკავშირებულია თუ არა ეს ტრადიცია რომაულ ან/და ირანულ კულტურასთან? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც თუ ისე ადვილია. ჩვენ თითქმის არ მოგვეპოვება წერილობითი ცნობები გვიანანტიკური ხანის იბერიელთა დაკრძალვის რიტუალებსა და ტრადიციებზე. ამიტომაც ჩვენი ცოდნა უმეტესწილად არქეოლოგიურ მასალას ეფუძნება.

სამარხებში სურების წყვილად აღმოჩენის ფაქტთან დაკავშირებით კ. მაჩაბელს პარალელები მოყვანილი აქვს როგორც რომის იმპერიიდან, ისე ირანიდან და ამ წესს გვიანანტიკური ხანის იბერიაში მძლავრ რომაულ და ირანულ გავლენას უკავშირებს [Мачабели 1976: 78]. რ. რამიშვილს მიაჩნდა, რომ იბერიის დიდგვაროვანთა სამარხებში ვერცხლის სურების წყვილად ჩატანება ადგილობრივი ტრადიციებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი [რამიშვილი 2018:. 151]

ჩვენ ვიზიარებთ რ. რამიშვილის მოსაზრებას და ვფიქრობთ, რომ სურების მასიური წარმოება და მათი წყვილად ჩატანება სამარხებში ნაკარნახევი უნდა ყოფილიყო ადგილობრივი მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებითა და დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებული ტრადიციებით. თუმცა, ეს არ გამორიცხავს იბერიის მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებში უცხო ელემენტების შეჭრასა და დამკვიდრებას, მითუმეტეს თუ თვალს გავადევნებთ გვიანანტიკური ხანის იბერიის ურთიერთობებს გარე სამყაროსთან.

გვიანანტიკური ხანის იბერიის მატერიალური კულტურა ნათლად ასახავს ქვეყნის კულტურულ და პოლიტიკურ კონტაქტებს გარემომცველ იმპერიებთან. რომისა და ირანის საუკუნოვან დაპირისპირებაში, იბერია განსაკუთრებულ როლს ასრულებდა. ახ.წ I-III საუკუნეებში იბერიელი მეფეების ჭკვიანური პოლიტიკური ნაბიჯების წყალობით

ქვეყანა განვითარების მაღალ საფეხურზე იმყოფებოდა და სარგებელს იღებდა რომთან და პართიასთან (მოგვიანებით სასანურ ირანთან) არსებული კულტურული და სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტებით [გამყრელიძე 2012: 53-54]. ეს ის პერიოდია, როდესაც იბერიის სამეფო რომაული კულტურის ძლიერ გავლენას განიცდის, თუმცა, არ წყვეტს საუკუნოვან კონტაქტებს აღმოსავლეთთანაც, კერძოდ ირანთან (აქემენიანთა, არშაკიდთა თუ სასანიანთ დინასტიით სათავეში).

არქეოლოგიური მასალა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მძლავრი ადგილობრივი კულტურა არსებობდა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ინარჩუნებდა თვითმყოფადობას, თუმცა ითვისებდა კიდეც გარემომცველი კულტურების სხვადასხვა ელემენტს. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ იბერიულ ყოფასა და კულტურაში ადგილობრივ ტრადიციებთან ერთად შემოდიოდა და ფეხს იკიდებდა თანამედროვე, მოწინავე კულტურათა მოდური ტენდეციები, რელიგიური წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, რომლებმაც ასახვა სწორედ არქეოლოგიურ მასალაში ჰპოვა.

დაკრძალვის რიტუალში სურების ფუნქციურ დატვირთვაზე არა მხოლოდ სამარხებში მათი დიდი რაოდენობით აღმოჩენა მეტყველებს, არამედ მათი განლაგებაც. სურები მეტწილად მიცვალებული თავთან იყო ჩადგმული. სურების მცირე ზომა კი გვაფიქრებინებს, რომ ისინი ყოველდღიური მოხმარების ჭურჭელს არ უნდა წარმოადგენდნენ. შესაძლოა, იბერიის დიდგვაროვანთა კარზე ასეთი მცირე ზომის წყვილი ჭურჭელი განსაკუთრებული შემთხვევების, ოფიციალური მიღებების, რელიგიური პროცესიების დროს გამოიყენებოდა. სავარაუდოა მათი დეკორატიული დანიშნულებაც მფლობელის სოციალური სტატუსისა და სიმდიდრის ხაზგასასმელად. ღირებულებიდან გამომდინარე მფლობელთა გარდაცვალებისას ხდებოდა მათი იმქვეყნად გატანება.

სურები სამარხებში ვერტიკალურ მდგომარეობაში, სითხით სავსე უნდა ჩაედგათ, რაზეც არმაზისხევის მეშვიდე სამარხში სურებისთვის საგანგებოდ ამოჭრილი ფოსოები, ხოლო სამთავროს აკლდამაში მათი რკინის კავებზე ჩამოკიდება მეტყველებს. გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ სამარხში აღმოჩენილი სურებითა და ჯამებით სრულდებოდა დაკრძალვის დროს გარდაცვლილთა სულის მოსახსენიებელი რიტუალი, ხოლო შემდეგ ღვინით (ან ღვინითა და წყლით) სავსე ჭურჭელი სამარხში თავსდებოდა.

წყვილი სურების რელიგიურ დანიშნულებაზე შესაძლოა მიგვანიშნებდეს ხოვლეს III ს-ის მდიდრულ სამარხში აღმოჩენილი ორი მცირე ზომის, თეთრი მინისგან დამზადებული სურა, რომლებიც ბერძნულ-რომაული მითოლოგიური სცენებითა და ღვთაებათა გამოსახულებებითაა შემკული [შატბერაშვილი 2007: 92-95]. სურების პოპულარობაზე მეტყველებს სხვადასხვა ღვთაებათა და ზოომორფულ ფიგურათა თავებით მორთული ბრინჯაოს სურების სიმრავლე იბერიიდან. ვერცხლის ცალებთან შედარებით მოცულობითი ბრინჯაოს სურები კლდეეთიდან, თაგილონიდან, ბორიდან, ნიჩბისიდან, მეტეხიდან და სხვ. იტალიკურ პროდუქციას წარმოადგენს და ჩვენში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებით უნდა იყოს მოხვედრილი. ოთ. ლორთქიფანიძეს მიაჩნდა, რომ აღნიშნული ნაწარმი რომის იმპერიიდან იბერიაში დასავლეთიდან შავი ზღვისა და მტკვარი-რიონ-ყვირილას სავაჭრო მაგისტრალის გავლით ხვდებოდა [ლორთქიფანიძე 1968: 100].

ძვირფასი ლითონისგან დამზადებულ სურებს იბერიელთა სულიერ თუ მატერიალურ კულტურაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ვერცხლის ორიგინალური სურები მდიდრული სამარხებიდან ნათელ წარმოდგენას გვიქმნის გვიანანტიკური ხანის იბერიაში დაწინაურებული ვერცხლმჭედელობის სკოლისა და სახელოსნოს ან სახელოსნოების არსებობის შესახებ, სადაც ადგილობრივი ტრადიციებისა და საერთაშორისო მოდური

ტენდენციების მიხედვით იქმნებოდა ფუფუნების გამორჩეული ნაწარმი, რომელთა მომხმარებელიც ადგილობრივი არისტოკრატია იყო.

ლიტერატურა:

აფაქიძე და სხვ. 1955: აფაქიძე ან., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ალ., ლომთათიძე გ. არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, - *მცხეთა,* ტ. I, თბ.

აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ. 1996: მცხეთის წარჩინებულთა განსასვენებელი ახ.წ. IIIს. აკლდამა 905, თბ. გვ. 5-80.

ბახტაძე, მ., 2003: ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ.

ბრაგვაძე, ზ., 2021: კოლხეთი და იბრია, არქეოლოგიური ძიებანი, თბ.

ბრაგვაძე, ზ., ჩიგოგიძე, ქ., 2002: მოდინახეს სამაროვანი, არქეოლოგიური ჟურნალი 2, თბ. 91-108.

ბრაუნდი, დ., ჯავახიშვილი, ქ., ნემსაძე. გ., 2009: საგანძური ზღუდერიდან, ელიტარული სამარხები კავკასიის იბერიიდან რომაულ ხანაში, ახ.წ 200-250, თბ.

გამყრელიძე, გ., 2012: რომანიზაციის გლობალისტური პროცესი და ძველი საქართველო, ჟურნ. ონლაინ არქეოლოგია 3, თბ. გვ.48-76.

თავაძე, ფ., მესხია, შ., ბარქაია, ვ., 1954: ფოთლოვანი ლითონების ჩარხზე დამუშავება ძველ საქართველოში, თბ.

ლორთქიფანიძე, ოთ., 1968: ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია), სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობანი ძვ.წ III ს-დან ახ.წ III-IV ს-მდე, თბ.

მაჩაბელი, კ., 1983: ძველი საქართველოს ვერცხლი, თბ.

ნადირაძე, ჯ., 1975: ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ.

რამიშვილი, რ., 1979: ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში. კრებ. ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები III, თბ.

რამიშვილი, რ., 2018: ქართლის სამეფო ახალი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის პირველ ნახევარში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით), თბ.

რამიშვილი, რ., წითლანაძე, ლ., ჯორბენაძე, ბ., წერეთელი, ლ., გვასალია, ჯ., არჩვაძე, თ., ბედუკაძე, ი., კალანდაძე, ზ., 1972: ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის 1971 წლის მუშაობის წინასწარი შედეგები, ჟურნ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს, თბ. გვ. 43-50.

რამიშვილი, ქ., 1999: ნადირობის სცენები არაგვისპირის ვერცხლის სურებზე, ჟურნ. ძიებანი 3, თბ. გვ. 71-75.

შატბერაშვილი, ვ., 2007: მდიდრული სამარხი სოფ. ხოვლედან, ჟურ. *იბერია-კოლხეთი*, (რედ. გ. გამყრელიძე), თბ. გვ.87-96

შეროზია, მ., 2015: რომაული აურეუსები და მათი მინაბაძები იბერიის ფულად მიმოქცევაში, ჟურნ. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, VI (51-), თბ. გვ. 38-61.

ჩართოლანი, მ., 1962: სვანური სევადი (ლგჰელვე) და მისი ადგილი ქართულ ოქრომჭედლობაში, ჟურნ. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე 23-, თბ.139-154.

Dági, M., Mráv, Z., 2020: The Seuso Treasure, Budapest.

Harper, P.O., 2006: In Search of a Cultural Identity. Monuments and Artifacts of the Sasanian Near East, 3rd to 7th Century A.D., New York: Tauris.

Harper, P.O., 2007: Silver vessels, In The Catalogue Glass, Gilding, & Grand Design, Art of Sasanian Iran (224-642) by Francoise Demange (Curator), Asia Society, New York.), pp. 24-28.

Lapatin, K., 2020: 'Mercurial metrics' in Wonders Lost and Found, A Celebration of the Archaeological work of Professor Michael Vickers, edited by Nicholas Sekunda, 'Archaeolopress', Oxford. pp. 108-116.

Avisseau-Broustet, M., Colonna, C., (eds) 2017: Le Luxe Dans L'Antiquité, Trésors De La Bibliothéque Nationale De France, édité par Mathilde Avisseau-Broustet et Cécile Colonna, 'Musée départamental Arles antique, Arles.
Niemeyer, B., 2018: Römische Silberschätze, 150 Jahre Hildesheimer Silberfund, Germany
Капанадзе, Д.Г., 1957: Аурeусы Армазского некрополя, журнал *Советская археология,* №3, Москва. сс. 159-175.
Мачабели, К., 1976: Позднеантичная торевтика Грузии. Тб.
Придикъ Е. ъ., 1914: Новые Кавказские Клады, с.-Петроград.
Рамишвили, Р., 1977: Новые открытия на новостройках Арагвского Ущелья, журнал *Краткие Сообщения, Античные памятники Колхиды и Иберии, 151*, 'Наука', Мос. сс. 114-122;
Рамишвили, Р. М., 1983: Серебряные кувшинчики со сценами ахоты ис Арагвского ушелья. IV международный симпозиум по Грузинскому искусству, Тб. сс. 2-11.
Тревер, К.В. Луконин, В.Г 1987: Сасанидское серебро, собрание Государственного Эрмитажа, Художественная культура Ирана III-VIII веков, Мос.

ტაბულების აღწერილობა:

ტაბ.I. სურ.1 გაიუს ვესტორიუს პრისკუსის აკლდამის ფრესკა (Niemeyer 2018: სურ.3-ის მიხედვით). **სურ. 2** ვერცხლის რომაული სურები (Avisseau-Broustet, Colonna 2017: 215; Dági, Mráv 2020: 165; Niemeyer 2018: sur. 17, 66 –ის მიხედვით). **სურ. 3** სასანური თეფში ნადიმის სცენით (Тревер…1987: სურ. 33-ის მიხედვით). **სურ. 4.** გვიანსასანური სურები (Тревер… 1987: სურ. 56, 97-ის მიხედვით).

ტაბ. II. სურ. 5 – გვიანპართული/ადრესასანური ვერცხლის თეფში დიონისეს ტრიუმფის სცენით (© The trustees of the British Museum). **სურ. 6** ჰილდეშაიმის ვერცხლის ლარნაკისებური ჭურჭელი ახ.წ Iს. (Niemeyer 2018: სურ.18-ის მიხედვით). **სურ. 7** ვერცხლის სურების გავრცელება იბერიაში ახ.წ I-IV სს.

ტაბ. III. ვერცხლის სურები: არმაზისხევის სამარხი 1 (**სურ. 8**), სამარხი 7 (**სურ. 9**), სამარხი 6 (**სურ. 10**); სამთავროს აკლდამა 905 (**სურ. 11**); არაგვისპირი სამარხი 13 (**სურ. 12**); მაგრანეთი, ქუშანაანთ გორა სამარხი 1 (**სურ. 13**); ზღუდერი სარკოფაგი 1 (**სურ. 14**); ცხინვალი (**სურ. 15**); ბორი (**სურ. 16**); მოდინახე (**სურ. 17**). (ილუსტრაციები წარმოდგენილია ზომების გარეშე. თითოეული ჭურჭლის ზომა მოცემულია ცხრილში (სურ. 19). ტაბულები შედგენილია ჩუბინაშვილი (რედ) 1955, აფაქიძე, ნიკოლაიშვილი 1996, რამიშვილი 2018, ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე 2009, თავაძე და სხვ. 1954, Придикъ 1914, ბრაგვაძე 2021 და მაჩაბელი 1983-ის ილუსტრაციების მიხედვით).

ტაბ. IV. სურ. 18 იბერიული ვერცხლის სურების ქრონოლოგია (სამარხეული კომპლექსების თარიღისა და ფორმათა ევოლუციის მიხედვით).

ტაბ. V. სურ. 19. ვერცხლის სურები იბერიიდან. ცხრილი შედგენილია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე.

ტაბ. I



სურ. 1

სურ. 2

სურ. 3

სურ. 4

სურ. 5

სურ. 6

ტაბ. II



სურ. 7

ტაბ. III

სურ. 8



სურ. 9



სურ. 10

სურ. 11

სურ. 12

სურ. 13

სურ. 14

სურ. 15

სურ. 16

სურ. 17

ტაბ. IV

ახ.წ II ს-ის შუა ხანები
- II ნახევარი
ახ.წ III ს-ის დასაწყისი
ახ.წ III ს-ის შუა ხანები
ახ.წ III ს-ის შუა ხანები -
მეორე ნახევარი
ახ.წ IV ს-ის
პირველი ნახევარი

სურ. 18

ცხრ. V.

ლოკაცია	სამარხის N	კონტექსტი	რაოდენობა	სამარხის თარიღი	წივთის საერთაშორისო თარიღი	მოკლე აღწერა	სიმაღლე (სმ)	d მეცლის (სმ)	d ძირის (სმ)	პირის სიგრძე (სმ)	პირის სიგანე (სმ)	ფეხის სიმაღლე	ზონა (გრ)
არმაზისხევის სამაროვანი	სამარხი N1	სამარხის სამხ-დას კუთხე. მიცვალებულის თავთან	2	ახ.წ II ს-ის მეორე ნახევარი	ახ.წ II ს	მაღალფეხიანი, ოვოიდური ფორმის ცალყურა სურა	21	10.4	N/A	7.4	3.8	N/A	332
არმაზისხევის სამაროვანი	სამარხი N6	სამარხის სამხ-აღმ. კუთხე.	2	ახ.წ II ს-ის ბოლო	ახ.წ II ს	მაღალფეხიანი, ოვოიდური ფორმის ცალყურა სურა	20.5	9	N/A	8.5	3.5	N/A	370
არმაზისხევის სამაროვანი	სამარხი N7	სამარხის სამხ-დას კუთხეში. მიცვალებულის თავთან	2	ახ.წ II ს-ის ბოლო	ახ.წ II ს	მაღალფეხიანი, ოვოიდური ფორმის ცალყურა სურა, მოძრავი სარქველით	24	11.5	5.5	8	3-4.5	2.5	496/523
სამთავროს სამაროვანი	აკლდამა N905	სამარხის ჩრდ-აღმ. ნაწილში. მიცვალებულის თავთან.	2	ახ.წ II ს-ის ბოლო - III ს-ის დასაწყისი	ახ.წ II ს	მაღალფეხიანი, ოვოიდური ფორმის ცალყურა სურა	18	8.5	4.5	7	4	1.5	N/A
არაგვისპირის სამაროვანი	სამარხი N13	სამარხის სამხ-დას კუთხეში. მიცვალებულის თავთან	2	ახ.წ III ს-ის მეორე ნახევარი	ახ.წ III ს	მაღალფეხიანი, ოვოიდური ფორმის ცალყურა სურა, ნადირობის სცენებით.	22.5/23.5	11.5/12	5.5/5.2	5.9/6.3	N/A	N/A	N/A
მაგრანეთი ქუშანაანთ გორის	სამარხი N1	სამარხის დას. კუთხეში. მიცვალებულის თავთან.	2	ახ.წ III ს-ის ბოლო - IV ს-ის დასაწყისი	ახ.წ III ს	მაღალფეხიანი, ოვოიდური ფორმის ცალყურა სურა	19/19.2	9.5	5	5	4.8/3.7	3.3	N/A
ცხინვალი	სამარხი N/A	შემთხვევითი მონაპოვარი. დარღვეული არქ. კონტექსტი	1	ახ.წ III ს.	ახ.წ III ს	მაღალფეხიანი, ოვოიდური ცალყურა სურა. ტალღური და ნუშისებრი ორნამენტით	23	11	N/A	N/A	N/A	N/A	N/A
ზღუდერი	სარკოფაგი N1	შემთხვევითი მონაპოვარი. დარღვეული არქ. კონტექსტი	1	ახ.წ III ს-ის პირველი ნახევარი	ახ.წ II-III სს.	მსხლისებურტანიანი, ცალყურა სურა. გრავირებული ტალღური ორნამენტით	16.1*	12	N/A	N/A	5.2	N/A	N/A
ბორი	სამარხი N/A	შემთხვევითი მონაპოვარი. დარღვეული არქ. კონტექსტი	1	N/A	ახ.წ I-IV სს	ბრტყელძირა, მაღალი ვიწრო უყურო სურა, კანელურებით.	21	N/A	4	N/A	N/A	N/A	N/A
მოღინახეს სამაროვანი	სამარხი N36	სამარხის სამხ-დას კუთხეში. მიცვალებულის თავთან	1	IV ს-ის შუა ხანები	ახ.წ IV ს.	მსხლისებურტანიანი, უყურო სურა. ყელზე ლილვით.	12	N/A	7	5	5	N/A	N/A

N/A - მონაცემები არ გვაქვს; * -სიმაღლე მოცემილია დაკარგული ქუსლის გარეშე. სხვა შემთხვევებში სიმაღლე მოცემულია ძირიდან პირამდე

სურ. 19

კიდევ ერთხელ რომაული პერიოდის ბრინჯაოს ნაწარმის ტექნოლოგიის შესახებ

გივი ინანიშვილი †, თეიმურაზ ფარჯანაძე, ნინო კალანდაძე

არქეოლოგიური ლითონის მასალა ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ქართლის სამეფოსა და რომს შორის კულტურულ ურთიერთობათა პრობლემური საკითხების კომპლექსური მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის.

თითქმის ყველა ანტიკურ ქალაქში მზადდებოდა სპილენძისა და სხვადასხვა ქიმიური შედგენილობის ბრინჯაოს შრომისა და საბრძოლო იარაღები, საკულტო ინვენტარი. ანტიკური ბრინჯაოს ლიგატურა, ნივთის ფუნქციონალური დანიშნულება მეტად მრავალფეროვანია. ჩვეულებრივ ესაა მაღალი ესთეტიკური ღირებულების ბრინჯაოს ნაწარმი ტყვია–კალის შემცველი, ზოგჯერ განსაკუთრებით გვიანრომაულ პერიოდში, თუთიის მნიშვნელოვანი ლეგირებით, რაც გვაძლევს საბაბს ვისაუბროთ ანტიკური ბრინჯაოსა და თითბერის შესახებ [Beck ... 1985: 69–139; Hobbs 1997: 465; Irujo 2011: 118; Millett 1994: 99-105; Picon ... 1966: 189-215].

ძირითადი კვლევა-ძიების ობიექტია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული საკულტო–სარიტუალო და სამომხმარებლო დანიშნულების არტეფაქტებით წარმოდგენილი ფერადი ლითონის ინვენტარი. შესწავლილი არტეფაქტების აღმოჩენის ადგილები მოიცავს გვიანანტიკური ხანის ქართლის სამეფოს როგორც დედაქალაქ „დიდ მცხეთას“ (სამთავრო) და სამეფო რეზიდენციას (დედოფლის გორა), ისე პროვინციებს (ზღუდერი, ბორი).

ახ.წ. I – III საუკუნეების ქართლის სამეფოსა და რომის კულტურულ ურთიერთობათა ამსახველი არქეოლოგიური ძეგლების კვლევის კომპლექსი განხორციელდა ისტორიის, არქეოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის, ლოთონმცოდნეობის მეცნიერებათა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. ფერადი ლითონის ნაწარმი დაექვემდებარა სპექტრულ, მიკრორენტგენოსპექტრულ, რეტგენოფლუორესცენტრულ (არადესტრუქციულ) ანალიზს; კვლევა განხორციელდა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“–ს სპეციალისტთა მიერ, ფლუორესცენტული რეტგენოსპექტრული პორტატული აპარატის „SITIT”-ის გამოყენებით (ცხრ.1) და გერმანიის ქალაქ ბოხუმის სამთო მუზეუმის ქიმიური კვლევის ლაბორატორიაში, სადაც ნივთების ელემენტარული შედგენილობა განისაზღვრა მაღალი რეზოლუციის (HR) ICP-MS Element XR (Thermo Fisher Scientific USA) აპარატით (ცხრ. 2).

მასალის სრული ქიმიური შედგენილობის, შენადნობის ფუძის, ძირითადი ლეგირებისა და მიკროელემენტების მონაცემებით, განსაზღვრულია ბრინჯაოს ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიური სქემის ელემენტები. ჩვენს მიერ ჩატარებული მეცნიერულ – თეორიული და ექსპერიმენტულ – ლაბორატორიული კვლევის კომპლექსი მეცნიერული თვალთხედვით უნიკალურია, მოიცავს არქეოლოგიური ლითონის დამახასიათებელ ყველა ძირითად ტექნოლოგიურ ელემენტს.

რომის საწარმოო პოტენციალში არსებული სპილენძის ფუძეზე მიღებული შენადნობების (ბრინჯაო, თითბერი) ლიგატურის ტიპები და მათი სახით წარმოდგენილი არტეფაქტების ანალიტიკური კვლევის შედეგები ტექნოლოგიური შედარების პრინციპით შეიძლება დაუკავშირდეს ჩვენს მიერ შესწავლილ, გვიანრომაული ხანის იბერიაში (ქართლის სამეფოში) აღმოჩენილი ფერადი ლითონის ნიმუშების ქიმიურ - ტექნოლოგიური კვლევის შედეგებს.

წინარეანტიკური ხანის ფერადი ლითონის ნაწარმთან შედარებით რომაული შენადნობი სუფთაა – მცირე მინარევი ელემენტებით. მათ შორის ანთიმონი და დარიშხანი აღმოჩენილია გამოკვლეული ნივთების მცირე ნაწილში. ამდენად შეიძლება გარკვევით

ითქვას, რომ რომაული ფერადი ლითონის წარმოებისათვის ყველაზე გავრცელებული შენადნობია ბრინჯაო, თითბერი გვხვდება გაცილებით ნაკლები რაოდენობით. გვიანანტიკური პერიოდის სპილენძის ფუძეზე მიღებული შენადნობისთვის ტიპიურია თუთიის შემცირების ტენდენცია. თუ პირველ საუკუნეეში თითბერი შესამჩნევი მასალაა (ცხრ.3), ტექნოლოგიური შედარების მიზნით ვიყენებთ ჯ. რეიდერერის საანალიზო შედეგებს რომაული სტანდარტული სხმული ბრინჯაოს სურების ნიმუშებისათვის [Riederer 2002: 285-286], ახ.წ. III – IV საუკუნეების რომში საერთო ნაწარმის მხოლოდ მეექვსედი ნაწილია დამზადებული თუთიის შემცველი ლიგატურით. შესაბამისად გაზრდილია ბრინჯაოს გავრცელების რაოდენობა და არეალი (ცხრ. 4).

რომაული ბრინჯაოს ნაწარმში შედარებით ნაკლებად გამოიყენება ტყვიით ლეგირებული ლიგატურა. ეს უკანასკნელი ძირითადად დამახასიათებელია სხმული არტეფაქტებისათვის. ტყვიის მაღალი შემცველობის ლიგატურა დაბალი მექანიკური მახასიათებლების გამო გვხვდება მხატვრულ–დეკორატიულ სხმულებში (ცხრ. 5). რთული ფორმის მხატვრული სხმული მიღებულია ცვილის მოდელით.

უკუპროპორციულად იზრდება რომაული ბრინჯაოს სხმულში ტყვიის რაოდენობა ახ.წ. I – IV საუკუნეების პერიოდში, რაც უნდა აიხსნას ნაჭედთან შერებით სხმული არტეფაქტების მომრავლებით. ფერადი ლითონწარმოების ტექნოლოგიური ცვლილებები გარკვეულად ასახავს სახელმწიფო გაერთიანებაში მიმდინარე მეტალურგიული ლითონწარმოების, ამავე დროს სოციალურ–ეკონომიკური ვითარების დინამიურობას.

ანტიკური ხანის იბერიის (ქართლის სამეფოს) ფერადლითონწარმოება წინა ანტიკურ პერიოდთან შედარებით ტექნიკურ–ტექნოლოგიური სიახლეებით ხასიათდება. ყალიბდება მეტალურგიული და ლითონდამუშავების გაერთიანება, ცალკე დარგად ყალიბდება: ბრინჯაოს წარმოების სპეციალიზებული ცენტრები.

გვიანანტიკური ხანის ფერადი ლითონდამუშავებისთვის დამახასიათებელია მაღალპროცენტული შემცველობის ორ და სამკომპონენტიანი ლიგატურის მქონე ბრინჯაოს წარმოება. გამოიყენება კალიანი, კალა–დარიშხანიანი და კალა–თუთიის სხმულები. მალეგირებელი კომპონენტების შემცველობით გაზრდილია საჩამოსხმო თვისებები, შერჩეულია მასალა ოპტიმალური ლეგირებისათვის, წარმატებით გამოიყენება წნევით დამუშავების რეჟიმში (სპილენძ–ბრინჯაოსგან მზადდება სარიტუალო და საკულტო დანიშნულების ნივთები, სამკაული. ბრინჯაოს ნაწარმის ერთი ნაწილი მხატვრული ხელოვნების ნიმუშებია მინიატურული სტილიზებული გამოსახულებით. ბრინჯაოს წარმოებაში ტიპიურია საკულტო დანიშნულების ნივთების, მცირე პლასტიკისა და სკულპტურულ გამოსახულებათა დამზადების სქემა. ამ მიმართებით საინტერესოა როგორც ადგილობრივი, ისე ელინურ–რომაული სტილის ლითონწარმოების ნიმუშები.

გვიანანტიკური ხანის იბერიის ფერადი ლითონის საწარმოებში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სხვადასხვა სახის და დანიშნულების ჭურჭლის წარმოებას, რომელიც იმეორებს წინაანტიკური პერიოდის კერამიკული მასალის ფორმებს მცირე სახეცვლილებებით. ამდენად მათი გაფორმება ხდება დროის შესაბამისი მხატვრული სტილის გამოყენებით).

თუ გავითვალისწინებთ ანტიკური ხანის სამყაროს ორმაგი შედგენილობის ლიგატურის წარმოების ტრადიციებს, სადაც ახ.წ. I – II საუკუნეებისთვის ტყვია–თუთიით, კალა–თუთიით და კალა–ტყვიით ლეგირებული ბრინჯაოს ნაწარმია დამახასიათებელი, ხოლო ახ.წ. III – IV საუკუნეების ნივთები ძირითადად კალით არის ლეგირებული, შეიძლება ვიმსჯელოთ ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არტეფაქტების დამზადების ტექნოლოგიური სქემის მრავალფეროვნების შესახებ. ჩვენს მიერ შესწავლილი ბრინჯაოს ნივთებიდან გამოიყოფა ახ.წ. I – III საუკუნეების იმპორტული ნაწარმი (ამფორა, დედოფლის გორა №27-977:958; ოინოხოია, სამთავრო №12-54:13459; პატერა, სამთავრო

№12-54: 11967; სურა, სამთავრო №12-54:10698; პატერა, ზღუდერი №190-65: 261) და ახ.წ. III – IV საუკუნეების კალით ლეგირებით შესრულებული ბრინჯაოს იმპორტი (პატერა, ბორი №9-31:14; პატერა, სამთავრო №12-54:13460;). რომაული ბრინჯაოს ლიგატურის მიბაძვით და შესრულების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით ადგილობრივ ბრინჯაოს ნაწარმს წარმოადგენს: სარკე, სამთავრო №6424; სარკე, სამთავრო №4866; ზარი, დედოფლის გორა №27–977: 6801.

სახელოსნო ნაწარმის შესრულების ტექნოლოგიური სქემის, მასალის ხარისხის, მხატვრული სხმულისა და ჭედურობის მეთოდის ტექნიკური სირთულის მიხედვით შეფასებამ, განსაზღვრა რომისა და იბერიის კულტურულ ურთიერთობათა სისტემაში იმპორტით მომდინარე იმპულსები, რომლებიც ნაკლებად ცვლიან ქართლის სამეფოს ადგილობრივი განვითარების ორიენტაციას. რომის კულტურული ზემოქმედება აისახა ცივილიზებული დონით, კულტურული დიფუზიის პროცესში მიმდინარე კონტაქტებით. ჩატარებული კვლევა კიდევ ერთხელ ადასტურებს, დიდი აბრეშუმის გზის ტრანსკავკასიური მაგისტრალის მნიშვნელოვან გავლენას ქართლის სამეფოს ინტენსიურ სავაჭრო და კულტურულ ურთიერთობაზე გვიანრომაული პერიოდის ცივილიზებულ სამყაროსთან – უპირველესად რომის იმპერიასთან. და რომ ერთის მხრივ სამხედრო – სტრატეგიული, ხოლო მეორე მხრივ სავაჭრო – ეკონომიკური ინტერესი წარმოადგენდა უმთავრეს ფაქტორს იბერიასა და რომის იმპერიას შორის კულტურული ურთიერთობის განვითარებისათვის.

ლიტერატურა:

Beck… 1985: Beck F., Menu M., Bethoud T., Hurtel, L-P. «Metallurgie des bronzes», in J. Hours (ed) Recherches gallo-romaines I, Paris: Laboratoire de Recherches de Musees de France., 69–139.

Hobbs 1997: Hobbs R. Late Roman precious metal deposits, c. ad 200– 700: changes over and space. London: IAUC, 465.

Irujo 2011: Irujo M. Catalogo de bronces romans recuperados en el territorio de Navarra. Trabajos de Arqueologia Navarra. Cobiero de Navaraa, 23, 118.

Millett 1994: Millett M. *Treasure: Interpreting Roman Hoards.* Proceedings of the Fourth Annual Theoretical Roman Archaeology Conference. Durham, England. 99-105 pp.

Picon… 1966: Picon, M., Condamin, J., Boucher S., *Recherches techniques sur les bronzes de la Gaule romaine.* Gallia, v.XXIV, 189-215.

Riederer 2002: Riederer J. I bronzi antichi: Produzione e tecnologiaAtti del XV Congresso Interazionale sui Bronzi Antichi:The use of standardised copper alloys in Roman metal technology. La pubblicazione degli Atti e stata realizzata con il contrbuto della Fondazione Cassa di Disparmio di Gorizia.

ილუსტრაციების აღწერილობა:

1. პატერა.ზღუდერი, №190 – 65:261.
2. სურა. სამთავრო, №12 -54:10698.
3. ამფორა. დედოფლის გორა, №27 – 977:958.
4. პატერა. ბორი, №9 – 31:14.
5. პატერა. სამთავრო, №12 – 54:13460.
6. ზარი. დედოფლის გორა, №27 – 977:6801.

1.

2. 3.

4.

5.

6.

ცხრილი 1

ინვ. N		Cu	Sn	Zn	Pb	Fe	Ag
პატერა. სამთავრო. **N 12 –54:11967**	ძირის ზედაპირის ზედა ფენა	78,875	8,034	4,598	0,186		
	სახელურის ზედა ფენა	62,674	16,024	8,489	2,0	0,02	
პატერა. ზღუდერი. **N 190 – 65:261**	ზედა ფენა	87,95	9,213	0,813	0,272		
	სახელურის ზედა ფენა	74,791	9,926	6,069	1,282		
	ძირის ზედა ფენა	68,94	8,576	2,886	0,472		14,13
ოინოხოია. სამთავრო. **N12– 54:13459**	ზედა ფენა	72,493	15,082	8,285			
ოინოხოია. სამთავრო. **N12 – 54:11968**	ზედა ფენა	87,189	10,911	5,006	0,702		
	სახელურის ზედა ფენა	82,732	9,464	1,346	2,439		
სურა. სამთავრო. **N 12 -54: 10698**	ზედა ფენა	89,917	9,116				
	სახელურის ზედა ფენა	79,007	10,989		11,416		
	ძირის ზედა ფენა	54,435	11,469		33,065		
ამფორა. **დედოფლისგორა, N 27–977:958**	ზედა ფენა	86,242	11,124	0,232			
	სახელურის ზედა ფენა	62,412	13,184		19,49		
	სახელური შედუღების ადგილის ზედა ფენა	59,988	13,698		21,548		

ცხრილი 2

ინვ. N	Cu	Sn	Zn	Pb	Fe
პატერა. ბორი. **N9 – 31:14**	66,30	7,32		0,04	0,20
პატერა. სამთავრო. **N12 – 54:13460**	86,10	10,20	0,64	0,01	0,02
ზარი. დედოფლის გორა. **N27 – 977:6801**	80,00	11,30	1,00	0,94	0,02
სარკე. სამთავრო. **N4866**	51,10	24,90	7,40	0,11	0,24
სარკე. სამთავრო. **N6424**	64,3	20,4	0,04	8,31	0,07

ცხრილი 3 – გვიანრომაული ბრინჯაოს სურები აუგსბურგიდან

ინვ. N	Cu	Sn	Pb	Zn	Fe	Ni	Ag	Sb
10 1995/268	82,69	3,22	0,21	13,46	0,30	0,02	0,04	0,06
7522 1991.2243	82,13	3,42	0,28	13,46	0,58	0,02	0,04	0,06
6701 1991.1420	81,51	3,20	0,14	14,24	0,77	0,03	0,04	0,07
6199 1989.937	81,86	3,20	0,18	14,27	0,37	0,02	0,04	0,05
8020 1991/2745	80,81	3,99	0,37	14,38	0,27	0,04	0,05	0,10
1434 1987.5437	81,22	3,06	0,34	14,83	0,40	0,02	0,04	0,07
3099 1988.2393	81,58	3,03	0,10	15,00	0,15	0,02	0,04	0,08
6571 1991.1290	80,68	3,23	0,13	15,54	0,31	0,02	0,03	0,06
1164 1993/5343	80,82	3,09	0,13	15,56	0,30	0,02	0,03	0,05
7027 1991.1747	80,56	2,84	0,27	15,68	0,56	0,02	0,03	0,05
1832 1989.4947	80,94	2,92	0,14	15,72	0,15	0,02	0,04	0,07
6638 1991.1357	80,00	3,20	0,25	16,03	0,40	0,02	0,04	0,06
6737 1991.1456	79,97	3,19	0,18	16,19	0,35	0,02	0,03	0,07
4698 1990.3157	78,95	2,54	0,19	16,21	1,96	0,02	0,05	0,07
6760/3 1991.1479	79,22	3,46	0,34	16,39	0,49	0,03	0,03	0,05
6956 1991.1676	79,93	3,10	0,15	16,46	0,25	0,02	0,04	0,06

ცხრილი 4 – გვიანრომაული ბრინჯაოს სურები პომპეიდან

ინვ. N	Cu	Sn	Pb	Zn	Fe	Ni	Ag	Sb	As	Bi
12689	90,38	9,12	0,07	0,002	0,12	0,03	0,03	0,04	0,19	0,010
7160	90,92	8,27	0,39	0,014	0,15	0,02	0,03	0,07	0,13	<0,050
111000	91,99	6,84	0,59	0,019	0,16	0,02	0,08	0,06	0,23	<0,050
14039	92,5	6,91	0,06	0,007	0,33	0,02	0,02	0,04	0,12	<0,050
10629	90,47	8,97	0,07	0,007	0,11	0,03	0,08	0,08	0,17	0,060
18764	92,21	7,24	0,14	0,006	0,14	0,01	0,05	0,05	0,15	0,060
3391	91,64	7,85	0,04	0,004	0,16	0,01	0,03	0,10	0,15	0,050
3328	91,77	7,54	0,15	0,015	0,16	0,02	0,04	0,06	0,25	0,070
8409	92,29	7,29	0,21	0,002	0,13	0,01	0,04	0,03	0,10	<0,050
6799	89,86	9,66	0,06	0,032	0,11	0,23	0,01	0,02	0,10	0,011

ცხრილი 5 – გვიანრომაული ბრინჯაოს სურების სხმული სახელურები კალა–ტყვიის ლეგირებით

ინვ. N	Cu	Sn	Pb	Zn	Fe	Ni	Ag	Sb	As	Bi
12689	83,48	8,58	7,41	0,170	0,07	0,03	0,05	0,05	0,14	0,005
7160	84,94	8,00	6,65	0,027	0,01	0,03	0,06	0,06	0,17	0,050
11130	79,27	7,56	11,63	0,501	0,44	0,05	0,08	0,09	0,32	0,060
14039	82,62	11,56	5,19	0,016	0,30	0,02	0,05	0,06	0,17	0,006

TACITUS PUBLIUS CORNELIUS
(**Excerpta ad Georgiam pertinentia**)
"Annales...", "Historiae..."

ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ

ლათინური ტექსტის ქართული თარგმანი, შესავალი ნარკვევითა და
კომენტარებითურთ გამოსცა ალექსანდრე გამყრელიძემ.
(1973 წ.)

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლათინური წყაროს (ახ.წ. 1-ელი ს.) რომაელი ისტორიკოსის ტაციტუსის (Publius Cornelius Tacitus; - "ანალები", "ისტორიები"- ნაწყვეტებს) ქართულ პუბლიკაციას.
რედაქტორი აკად. *სიმონ ყაუხჩიშვილი.*

***

შესავალი ნარკვევი.

ანტიკური სამყაროს ისტორიოგრაფიის უდიდესი წარმომადგენლის კორნელიუს ტაციტუსის ცხოვრების შესახებ ძალიან მცირე რამ ვიცით და, რაც ვიცით, ისიც უმთავრესად მისივე თხზულებებიდან და მისი მეგობრის პლინიუს მცირის წერილებიდანაა გამოწვლილული. მისი ცხოვრების ასე თუ ისე მტკიცედ დადგენილ თარიღებად ითვლება შემდეგი ფაქტები. ახ.წ. 78 წ., როგორც მისი თხზულების „აგრიკოლის" მე-9 თავიდან ჩანს, ცოლად შეირთო გნეუს იულიუს აგრიკოლას, მაშინდელი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწისა და სარდლის, ასული. 88 წელს მას ვხედავთ პრეტორად და სეკულარულ გართობათა თხუთმეტკაციანი კოლეგიის წევრად (ანალები, XI, II). 97 თუ 98 წლებში კონსულად ყოფილა (პლინიუს მცირე, წერილები, II, 1,6), 113-116 (თუ 111--112) წლებში კი აზიის პროვინციას გამგებლობდა, როგორც პროკონსული.

თვითონვე აღნიშნავს, *„ჩემი სასამსახურო აღზევება დაიწყო ვესპასიანუსის დროს, გრძელდებოდა ტიტუსის დროს, და კიდევ უფრო წინ წაიწია დომიციანუსის დროს*" (ისტ., I, I). ყოველივე ამის მიხედვით ასკვნიან, რომ დაახლოებით 55-56 წლებში უნდა იყოს დაბადებული. მაგრამ თვით დაბადების ადგილი უცნობია და არა თუ დაბადების ადგილი, მისი praenomen-იც ვერ დაუდგენიათ მკვლევარებს. ხელნაწერი Mediceus-ის თანახმად მისი პრენომენი არის ,,პუბლიუს", ხოლო V საუკუნის მწერალი აპოლინარის სიდონიუსი და გვიანდელი ხელნაწერები „გაიუსს" უწოდებენ. შესაძლებლად თვლიან, რომ იქნებ მისი მამა იყო ბელგიის გალიაში პროკურატორად მყოფი ის კორნელიუს ტაციტუსი, რომელსაც პლინიუს უფროსი ახსენებს თავის *„ბუნების ისტორიაში*" (VII, 76).

ჩანს, ტაციტუსი წარჩინებული და მდიდარი ოჯახის შვილი ყოფილა, რადგან მას თავისი დროის კვალობაზე შესანიშნავი განათლება აქვს მიღებული, სახელმწიფო მოღვაწეობის სარბიელზე სრული კარიერა შეუსრულებია და მაღალი წოდების მანდილოსანიც შეურთავს ადრევე. ამასთანავე აშკარად ემჩნევა არისტოკრატი რომაელის ამპარტავნობა — მდაბალი კლასის წარმომადგენლებსა და უცხოელთ ქედმაღალი წარჩინებულის თვალით დასცქერის.

ტაციტუსის ღრმა რიტორიკული განათლება აშკარად გამოსჭვივის მის ყველა თხზულებაში და დიდი სახელიც ჰქონია, როგორც ორატორს (შდრ. პლინიუს მცირეს წერილები, II,.1, 6; II, 11, 17). მისი ყველაზე ადრინდელი ნაწარმოებიც სწორედ საორატორო ხელოვნებას შეეხება. „Dialogus de oratoribus" *„დიალოგი ორატორთა შესახებ*" — წარმოადგენს ნაშრომს საორატორო ხელოვნების დაცემის მიზეზთა შესახებ იმპერიის ხანაში და ციცერონის სტილითაა გამართული. დიალოგის ამბავი თითქოს 74-75 წლებში ხდება, მაგრამ შეთხზვის თარიღი კი უცნობია. ვარაუდობენ, რომ იგი დომიციანუსის გარდაცვალებამდე (96 წ.) მაინც ვერ გამოქვეყნდებოდა. ტაციტუსის

დანარჩენი თხზულებანი ისტორიული ხასიათისაა. სანამ თავის დიდ და სახელგანთქმულ საისტორიო შრომებს „ისტორიასა" და „ანალებს" დაწერდა, ორი მომცრო ნაწარმოები კიდევ გამოუქვეყნებია. 98 წელს გამოსულად ჩანს *„აგრიკოლა“*, რომელიც მისი სიმამრის ბიოგრაფიას წარმოადგენს და სახოტბო იერი აქვს. მასში მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს ბრიტანეთის აღწერილობას, სადაც გამგებლად იყო ეს მოღვაწე. დაახლოებით იმავე ხანებში გამოქვეყნებული *„გერმანია*" აღწერილობითი ხასიათისაა და უდიდესი მნიშვნელობა აქვს გერმანელთა უძველესი ისტორიის შესწავლისთვის.

ტაციტუსის უმნიშვნელოვანესი თხზულებებია „ისტორია" (Historiae), რომელიც, უფრო სწორი იქნება, რომ ქართულად ვთარგმნოთ, როგორც „ისტორიანი“ და „ანალები“ (Annales). ისტორია იწყება ახ.წ. 69 წლის 1 იანვრიდან და აღწერილია ამბები დომიციანუსის სიკვდილამდე (96 წ.), შემდეგ კი აღუწერია ადრინდელი ხანა — ოქტავიანუს ავგუსტუსის გარდაცვალებიდან 68 წლის მიწურულამდე. ზოგიერთი მითითების საფუძველზე დაასკვნიან, რომ „ისტორია“ შეთხზულია 104-109 წლებში, ხოლო „ანალებში" უკანასკნელად 117 წლის ამბებზეა გადაკრული სიტყვა.

„ისტორია", როგორც ფიქრობენ, 14 წიგნისგან შედგებოდა, რომელთაგან ჩვენამდე სრულად მოაღწია მხოლოდ დასაწყისის ოთხმა წიგნმა და V-ს ნაწილმა. ამ თხზულებაში გადმოცემული უნდა ყოფილიყო რომის ისტორია გალბას მეორე კონსულობიდან (ახ.წ. 69 წ.) დომიციანუსის სიკვდილამდე (96 წ.), მაგრამ მოღწეულ ნაწილში მხოლოდ 69-70 წლების ამბებიღაა შემორჩენილი.

რაც შეეხება „ანალებს“, რომელიც „ისტორიის" შემდეგ დაიწერა, იგი მოიცავდა წინარე ხანას — ოქტავიანუს ავგუსტუსის გარდაცვალებიდან (ახ.წ. 14წ.) 69 წლამდე — ნერონის სიკვდილამდე და მეორე სახელად ერქვა „ღვთაებრივი ავგუსტუსის გარდაცვალების შემდგომი (ისტორია)" („Ab excessu divi Augusti”). ტაციტუსმა ალბათ ტიტუს ლივიუსის წაბაძვითაც (ლივიუსის ისტორიას ჰქვია - „Ab urbe condita librj" —„ქალაქის [ე.ი. რომის] დაარსების შემდგომი [ისტორია]" შეარქვა ეს სახელი და თანაც თითქმის იქიდან იწყებდა თავის ანალებს, სადაც ლივიუსმა შეწყვიტა თხრობა. არც ანალებს მოუღწევია ჩვენამდე სრული სახით, გვაქვს მხოლოდ პირველი 4 წიგნი, V-ს დასაწყისი, VI დასაწყისის გარეშე, რომელნიც თითქმის სრულად შეიცავენ იმპერატორ ტიბერიუსის მეფობის ხანას. შემდეგ მოღწეულია XI-XVI წიგნები, ოღონდ XI-ეს დასაწყისი აკლია, XVI-ეს კი დასასრული. XI და XII წიგნები კლავდიუსის მეფობის ბოლო წლების ამბებს შეიცავს, XIII-XVI წიგნები კი ნერონის მეფობისას 66 წლამდე, ე.ი. გვაქვს რომის ისტორია 14-29, 31-37 და 47-66 წლებისა.

ტაციტუსი თითქმის თანამედროვეა მის მიერ აღწერილი ამბებისა, ამასთანავე, როგორც დადასტურებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, იგი ეყრდნობა დიდძალ პირველ წყაროებს (მაგ., სენატის სხდომათა ოქმებს, წარმოთქმულ სიტყვათა დედნებს, სახელმწიფო საბუთებს და სხვ.) და საკმაოდ კრიტიკულადაც ეკიდება მათ. მიუხედავად იმისა, რომ ტაციტუსის თხრობის ცენტრში მხოლოდ რომია და პროვინციებისა და საგარეო ვითარების ზოგიერთ ამბავს უმეტესწილად გაკვრით ეხება, ჩვენი ქვეყნის ისტორიის საკმაოდ მნიშვნელოვანი და მოზრდილი პერიოდის მიმართ თითქმის სრულიად მოკლებული ვიქნებოდით ცნობებს, რომ ტაციტუსის ეს ზემოხსენებული თხზულებები არა.

ტაციტუსი გადმოგვცემს რომისა და იმ დროს მძლავრი პართიის ერთმანეთში ჭიდილს და ამ ჭიდილში იბერიისა და სომხეთის მონაწილეობის ამბებს ავგუსტუსის შემდეგდროინდელ ხანაში და განსაკუთრებით კი ნერონის დროს. მისი ცნობები ხელს გვიწყობს ფარდა ავხადოთ რომაელთა ექსპანსიონისტურ, ვერაგულ პოლიტიკას კავკასიასა და დაპყრობილ პროვინციებში. საგანგებოდ აღსანიშნავია მისი „ისტორიის" ცნობები ნააზატევი ანიკეტის ბელადობით მომხდარი აჯანყების შესახებ, რომელშიაც, ჩანს, მონათა ფართო მასებმა და რომაელთაგან შევიწროებულმა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე მცხოვრებმა ქართველმა ტომებმა მიიღეს ძირითადად მონაწილეობა. ტაციტუსის გარდა ამ საინტერესო აჯანყებაზე სხვა არავითარი წყარო არ მოგვეპოვება. ტაციტუსი და მისი შრომები, განსაკუთრებით აღორძინების

ხანიდან მოყოლებული, დიდი პოპულარობით სარგებლობდა ყველა ეპოქაში და უამრავი გამოკვლევა აქვს მიძღვნილი მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ტაციტუსის ტექსტი გარდა იმისა, რომ ძალიან ფრაგმენტულად არის მოღწეული ჩვენამდე, ისედაც მძიმე მდგომარეობაშია — ყველა მისი თხზულებისთვის ფაქტიურად მხოლოდ თითო სრულფასოვანი ხელნაწერი მოგვეპოვება, დანარჩენები კი მათ პირებს წარმოადგენენ. გასათვალისწინებელია ის საყოველთაოდ აღიარებული ფაქტიც, რომ ძველ ლათინურ ხელნაწერებში საერთოდ უფრო მეტი შეცდომები ჩანს, ვიდრე ძველ ბერძნულებში, რადგან შუასაუკუნეების გადამწერებმა (ძველ ბერძნულ და ლათინურ ხელნაწერთა დიდი უმრავლესობა ამ ხანას ეკუთვნის) გაცილებით უკეთ იცოდნენ ძველი ბერძნული, ვიდრე კლასიკური ლათინური. აგრეთვე სრულიად მოკლებული ვართ საშუალებას გავიგოთ, ჩვენამდე მოღწეული ესა თუ ის ტექსტი დედნის მერამდენე პირს წარმოადგენს.

საერთოდ, როგორც აღნიშნავენ, ამ მხრივ, ასეთი მძიმე ხვედრი ანტიკური ხანის თითქმის არც ერთ დიდ მწერალს არ რგებია წილად. ამიტომ იყო, რომ მრავალი შეცდომით მოღწეული ტაციტუსის ტექსტი, რომლისადმიც მისი აღმოჩენიდანვე დიდ ინტერესს იჩენდნენ, ბევრი ფილოლოგიური მანიპულაციის ობიექტი გახდა და თანამედროვე გამოცემებში მოთავსებული ტექსტი ფილოლოგთა მრავალი თაობის გულმოდგინე მუშაობის წყალობითაა გამართული, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ ეჭვს იწვევს ზოგი ბუნდოვანი ადგილის ინტერპრეტაცია.

ანალების პირველი 6 წიგნისათვის მხოლოდ ერთი ხელნაწერი არსებობს ე.წ. Codex Mediceus I ანუ Laurentianus, რომელიც ვესტფალიაში აღმოაჩინეს XVI ს-ის დასაწყისში და მიართვეს პაპა ლევ X — ჯიოვანი მედიჩის. მისი გარდაცვალების შემდეგ კი მედიჩების ბიბლიოთეკაში მოხვდა. ეს ხელნაწერი IX საუკუნეშია გადაწერილი. „ანალების" VII-X და „ისტორიის" V-XVII წიგნები დაკარგულია. ამ თხზულებათა დანარჩენი ნაწილებიც მხოლოდ ერთი ხელნაწერითაა ცნობილი — Mediceus II, რომელიც, ჩანს, XI საუკუნეზე ძველი არ უნდა იყოს. „გერმანია" და „დიალოგი ორატორებისათვის“ მოღწეულია ორი ხელნაწერით — Leidensis A, რომელსაც აგრეთვე ეწოდება Perizonianus — იმ სწავლულის სახელის მიხედვით, რომელსაც ეკუთვნოდა იგი, და Vaticanus B. ორივენი გადმოუწერიათ ერთი ხელნაწერიდან, რომელიც ახლა დაკარგულია, I460 წელს კი იტალიაში ჩამოუტანიათ. „აგრიკოლასიც“ ორი ხელნაწერი არსებობს — ვატიკანის Г და D, რომლებიც აგრეთვე სხვა დაკარგული ხელნაწერიდანაა გადმოწერილი. დაახლოებით 1490 წელს კი ისიც იტალიაში ყოფილა ჩამოტანილი. ფიქრობენ, რომ ორივე ეს დაკარგული ხელნაწერი იმავე კოდექსის ნაწილებს წარმოადგენდა, რომელსაც Mediceus I ეკუთვნის.

ჩვენი მუშაობის დროს ახლაც იმავე პრინციპებით ვხელმძღვანელობდით, რომლებითაც აქამდე გვიმუშავია საქართველოს შესახებ უცხო მწერლების თხზულებათაგან ცნობების ამოკრებაზე — ვცდილობდით რაც შეიძლება სრულად გაგვეთვალისწინებინა ჩვენი ქვეყნის შესახებ ცნობები და ამიტომ მნიშვნელოვნად გავწიეთ ის ფარგლები, რომლებითაც შემოზღუდულან ვ. ლატიშევის ცნობილი კრებულის თანამშრომლები. კერძოდ, მეტი ყურადღება მივაქციეთ ტაციტუსის თხზულებებში საკმაოდ ფართოდ გაშუქებულ მაშინდელი აღმოსავლეთის ამბებს — რომისა და პართიის ურთიერთობას, აგრეთვე სომხეთისთვის დავას.

ლატიშევის ტექსტთან შედარებით, ამ რიგის შემომატებული ადგილებიდან აღსანიშნავია ანალების II წიგნის 56-ე თავში აღწერილი სომხეთის აღწერილობა, მისი პოლიტიკური მდგომარეობა — ორ დიდ სახელმწიფოს, რომსა და პართიას შორის ყოფნა და ამიტომ უთანხმოების მიზეზად გამოსვლა მათ შორის, რომაელთა მიერ იქ პონტოს მეფის პოლემონის ძის ზენონის გამეფება არტაქსიას სახელით (ტ. I, გვ.71). უფრო მეტი სისრულით ამოვწერეთ სომხეთისთვის ბრძოლის ამბები 54-55 წელს, რომელიც აღწერილია ანალების XIII წიგნის 6-9 თავებში — ნერონის მზადება პართელთა წინააღმდეგ სალაშქროდ და მისი განკარგულებანი ჯარების გადაყვანის შესახებ აღმოსავლეთის საზღვრებზე. აგრეთვე XIII წიგნის 34-41 თავები, რომელთაგან ლატიშევის კრებულში მხოლოდ ფარსმანის მიერ რადამისტის მოკვლის ეპიზოდია მოყვანილი (XIII, 37). აქ მოთხრობილია 6-9 თავებში შეწყვეტილი აღმოსავლური

ამბები არტაქსატას აღებამდე რომაელი სარდლის კორბულონის მიერ და საინტერესოა რომაელთა აღმოსავლური პოლიტიკის დახასიათებისა და ჩვენი მეზობელი სომეხი ხალხის ისტორიის გათვალისწინებისთვის.

ამოვწერეთ 60 წელს მომხდარი ამბებიც, რომლებიც უკვე XIV წიგნის 23-26 თავებშია მოთხრობილი და ლატიშევს არა აქვს გადმოცემული. აქ იბერები სახელობითაც არიან მოხსენებულნი — აღნიშნულია, რომ (XIV, 23) კორბულონმა, რომელსაც ლაშქრობის დროს თავდასხმებით აწუხებდნენ მარდები, ქურთების მოდგმის ტომი, იბერიელები შეუსია მათ ქვეყანას, მოაოხრებინა იგი და „სხვისი (გარეშე) სისხლით მტრის თავხედობა დასაჯაო“, დამპყრობლის მედიდურობით დასძენს ტაციტუსი. აქ ერთხელ კიდევ ნათლად ჩანს სხვისი ხელით ნარის გლეჯის ცნობილი რომაული პოლიტიკა.

XV წიგნის 1-I7 თავებში გადმოცემულია 62 წლის აღმოსავლური ამბები და XV წ. 24-31 თავებში მოთხრობილია 63 წლის ამბები, სადაც კვლავ რომისა და პართიის ბრძოლაა სომხეთისთვის. მაგრამ აქ ქართველების შესახებ ცნობები უკვე აღარა გვხვდება და ჯერჯერობით თავი შევიკავეთ ამ ნაწილის გადმოღებისაგან.

3. ლატიშევის კრებულში აღმოსავლური ამბები რომ შეკვეცილადაა წარმოდგენილი, ეს ორი გარემოებით უნდა აიხსნას: ერთი — რომ მათ განსაკუთრებით სკვით-სარმატთა ისტორიის მასალები უფრო აინტერესებდათ, მეორე კიდევ ალბათ ის, რომ — რუსულად არსებობს ტაციტუსის თხზულებათა სრული თარგმანებიც და დაინტერესებულ პირთ იმითაც შეუძლიათ ისარგებლონო. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს თარგმანები ხშირად სცოდავს სიზუსტის მხრივ გარეგნული ლიტერატურული გამართულობის ხარჯზე. გარდა ამისა, რომ ლატიშევის კრებულში მოთავსებულ ცნობებს მივუმატეთ ზოგი რამ, საჭიროდ ვცანით მცირე ნაწილი, ლატიშევის კრებულში მოყვანილი მასალისა ჩვენ არ მოგვეტანა, რადგან იქ ლაპარაკია ჩვენს ქვეყანაზე ტერიტორიულად ძალიან დაშორებულ ამბებზე. ასე მაგალითად, არ მოგვიტანია მოკლე ცნობა II წიგნის 65-ე თავიდან იმის შესახებ, რომ თრაკიის მეფე რესკუპორიდმა ბასტარნებსა და სკვითებთან ომის საბაბით ახალი ქვეითი და ცხენოსანი ჯარით გაიძლიერა თავი. ეს ამბავი დაახლოებით შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთი კუთხის იქით ხდება და, ჩვენის აზრით, შეიძლება შეველიოთ.

ასევე შორეული და ეპიზოდურია მეორე ცნობაც, რომელიც უყურადღებოდ დავტოვეთ და ეხება კონსულ გნეიუს ლენტულუსისთვის ახ.წ. II ს. გეტებზე გამარჯვების აღსანიშნავად ტრიუმფის გამართვას. მაგრამ ამასთანავე მოვიყვანეთ ცნობები ბოსფორის მეფის მითრიდატეს შესახებ (XII, 15-21), რომელიც ეწინააღმდეგებოდა რომაელებს და ამბები ეხება შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს — ჩვენს ქვეყანასთან ახლოს მყოფ ადგილებს.

ქართული ტომების ხსენებას პირველად ვხვდებით ტაციტუსის „ანალების“ II წიგნში: პართელების ყოფილ მეფე ვონონს (Vonones), რომელიც კილიკიაში ჰყავდათ შეპყრობილი, უცდია გაქცევა სომხეთში, მერე კი ალბანებთან, ჰ ე ნ ი ო ხ ე ბ თ ა ნ და სკვითებთან გადასვლა (II, 68). IV წიგნში, იქ, სადაც პროვინციების დასამორჩილებლად ჩაყენებულ რომის ლეგიონების რაოდენობაზეა საუბარი, ნათქვამია, რომ ოთხ ლეგიონს უჭირავს მთელი ტერიტორია სირიიდან მოყოლებული ევფრატამდე ი ბ ე რ თ ა, ალბანთა და სხვა მეფეთა მეზობლად (accolis), რომელნიც უცხოთა მბრძანებლობისგან (externa imperia) ჩვენი ძლევამოსილებით (magnitudine nostra) იფარავენ თავსო (IV, 5).

VI წიგნში ჯერ მოყვანილია ცნობა იმპერატორ ტიბერიუსის გადაწყვეტილების შესახებ, რომ მან მოინდომა სომხეთის ტახტზე დაესვა მაშინდელი იბერთა მეფის ფარსმანის ძმა მითრიდატ იბერიელი, ფარსმანისთვის (VI, 32), შემდეგ კი მომდევნო თავებში (VI, 33-36) გადმოცემულია სომხეთის ტახტისთვის ქიშპობა და ბრძოლა რომსა, იბერიასა და პართიას შორის. საინტერესოა აქ ერთი დეტალი: ფარსმან იბერთა მეფის საქმეში ჩაურევლად და დაუხმარებლად ტიბერიუსს თითქოს არა აქვს ამ წამოწყების წარმატების იმედი. იბერია ამ დროს მომძლავრებული სახელმწიფო ჩანს, რომელიც აქტიურად ებმება საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე

გამართულ ჭიდილში და, შეიძლება ითქვას, გარკვეულ ხანასა და ფარგლებში წამყვან როლსაც ასრულებს.

VI წიგნის 33-ე თავში მოთხრობილია უკვე საქმის დაწყება: მითრიდატმა ფარსმან იბერთა მეფე შეაგულიანა ხელი შეეწყო მისთვის. იბერები მართლაც დიდი ლაშქრით შეიჭრებიან სომხეთში და ხელთ იგდებენ ქალაქ არტაქსატას (არტაშატს). ამის გაგებაზე პართიის მეფე არტაბანი შურის საძიებლად გზავნის თავის მეორე ვაჟს ოროდს პართელთა ჯარით. ფარსმანი იხმარიებს ალბანელებს და სარმატებსაც მოუწოდებს, რომელნიც სწრაფად გადმოჰყავთ კასპიის გზით სომეხთა წინააღმდეგ, პართელების მიერ დაქირავებულთ კი აღარ უშვებენ, რადგან მათთვის ჩაკეტეს გადმოსასვლელები; ერთადერთი გამოსავალი ალბანთა მთასა და ზღვას შორის კი ზაფხულობით გაუვალი იყო. რადგან ზღვა ფარავდა ხოლმეო.

აქ მოხსენებული კასპიის გზის შესახებ დიდი დავაა. ბოლო დროს გამოქვეყნებული შრომის ავტორი ამ საკითხის შესახებ აკადემიკოსი ი. მანანდიანი (О местонахождении Caspia via и Caspiae Portae, Ист. Зап., XXV, 1948, с. 59) თვლის, რომ ეს კასპიის გზა და კარი იყო კოლხეთიდან სომხეთში გასასვლელი მტკვრის შენაკად აბოცის წყლის გაყოლებით, რაც, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს მართალი. ტაციტუსი ისე გარკვევით ამბობს აქ სარმატთა ერთი ნაწილის კასპიის გზით შემოშვებისა და მეორე, პართელთა მომხრე, ნაწილისთვის კი გზის ჩაკეტვის შესახებ, და ამასთანავე დარუბანდის (ალბანეთის) გასასვლელსაც ახსენებს, რომ ამნაირ აღწერილობაში საეჭვო არ უნდა იყოს ამ კასპიის გზისა და დარიალის გზის იგივეობა. ამ აზრისა იყო ჯერ კიდევ ვ. მოდესტოვი და ბევრი სხვაც, აკად. ი. მანანდიანმა კი კიდევ საკამათო გახადა, ასე რომ საჭირო იქნება კიდევ უფრო ვრცლად დასაბუთება ზემოთ მოყვანილი მოსაზრებისა.

VI წიგნის მომდევნო, 34-ე თავში აღწერილია პართელთა და იბერიელთა ბრძოლა. პართელთა სარდალი ოროდი თავს იკავებდა ბრძოლისგან, ფარსმანი კი უტევდა და იწვევდა მტერს საბრძოლველად. აქ ნათქვამია, რომ პართელთა მთავარი ძალა ცხენოსან ჯარში იყო, მთაგორიან ადგილებში მცხოვრები იბერიელები და ალბანელები კი გასაჭირსა და ამტანობას უფრო შეჩვეულნი იყვნენო. მერე ჩართულია არგონავტთა მითის ის ვერსია, რომლის მიხედვითაც ეს ხალხები თესალიელთა შთამომავლებად არიან გამოცხადებულნი. საინტერესოა მოწინააღმდეგეთა სარდლების ოროდისა და ფარსმანის სიტყვათა შინაარსი, რომელთაც მოკლედ გადმოსცემს ტაციტუსი. ოროდს ულაპარაკნია თავისი ლაშქრის წინაშე პართელთა ბატონობის შესახებ მთელ აღმოსავლეთზე, არშაკიდთა ბრწყინვალებაზე და ამის საწინააღმდეგოდ მიუთითებია იბერთა მდაბიობაზე (ignobilem) და მათ მიერ ნაქირავები ჯარის ყოლაზე. ფარსმანი კი მიმართავს თავისიანებს: აქამდე თავისუფალნი ვიყავით პართელთა ბატონობისაგან და რაც უფრო ვეცდებით, მით უფრო დიდ სახელს მოვიპოვებთ გამარჯვებულნი, ხოლო თუ ზურგი ვიბრუნეთ, სირცხვილსა და ხიფათში ჩავცვივდებითო. ამასთანავე მიუთითებს თავისიანების მრისხანე დასტას (horridam aciem) და ოქროთი მოსირმულ მედების (პართების) რაზმებს და ამბობს: აქ ვაჟკაცები არიან, იქ კი ნადავლიო. ერთი სიტყვით, იბერთა მეფე მტკიცედ და ძლიერად გრძნობს თავს და ვაგლახად არავის დაეჩაგვრინება.

შემდეგ თავში (VI, 35) სურათოვნად არის აღწერილი პართელთა ძლევა და ალბანელთა და იბერთაგან მათი ცხენებიდან ჩამოყრა და ტყვევნა; ფარსმანისა და ოროდის ორთაბრძოლა და ფარსმანისაგან პართელთა სარდლის დაჭრა, რის გამოც ხმის გავარდნა, ოროდის სიკვდილის შესახებ. ამიტომ პართელებმა კიდეც დასთმეს ბრძოლის ასპარეზი.

ამავე წიგნის 36-ე თავში მოთხრობილია პართიის მეფის არტაბანის მთელი თავისი სამეფოს ჯარებით გამოლაშქრება იბერებზე შურის საძიებლად, მაგრამ ტაციტუსი აღნიშნავს, ადგილმდებარეობის მცოდნე იბერიელები უკეთ იბრძოდნენო. ამასთანავე რომის სარდალ ვიტელიუსს ხმა დაუგდია, თითქოს მესოპოტამიაში შეჭრას აპირებდა და რომაელებთან მოსალოდნელი ომის საფრთხითაც შეუშინებია. ამიტომ არტაბანი დახსნია იბერიას და სომხეთსაც.

ამის შემდეგ იბერია-სომხეთის საქმეებს ტაციტუსი უბრუნდება კიდევ XI წიგნის მე-8 თავში, რომელშიაც მოთხრობილია, რომ ახ.წ. 47წ. მითრიდატი, რომელიც სომხეთზე მბრძანებლობდა და რომელიც იმპერატორ გაიუს კალიგულას შეპყრობილი ჰყავდა რომში (კალიგულას მიერ მითრიდატის ტყვედ ყოლის ამბავი რომში, ეტყობა, გადმოცემული ყოფილა „ანალების“ დაკარგულ ნაწილში. მითრიდატის ტყვეობის ამბავს დიონ კასიოსის (LX, 8) და სენეკას (დიალოგთა IX წიგნი, XI, 12) ცნობებიც ადასტურებს), იმპერატორ კლავდიუსის რჩევით და თავის ძმა ფარსმანის იმედით დაბრუნდა სომხეთს. ადრე ფარსმან იბერთა მეფე თურმე ატყობინებდა კიდეც მას, პართიაში არეულობა არის ტახტის მემკვიდრეთა შორის და ხელსაყრელი დროა სომხეთის კვლავ ხელში ჩასაგდებადო. მართლაც მითრიდატმა ისარგებლა ამ ხელსაყრელი შემთხვევით (XI, 9), რომაელთა და იბერთა ჯარების დახმარებით კვლავ დაეპატრონა სომხეთის ტახტს და არც თვით სომხებსაც გაუწევიათ დიდი წინააღმდეგობა.

ეტყობა რამდენიმე წელს მშვიდობიანად უმეფია მითრიდატს სომხეთში, მაგრამ XII წიგნის 44-ე თავში ტაციტუსი უკვე გადმოგვცემს სომეხთა და იბერთა შორის 51 წელს ომის ატეხის ამბავს, რომელიც პართელებსა და რომაელებს შორის აშლილობისა და უთანხმოების მიზეზიც გამხდარა. აქვე ჩართულია პართიის იმდროინდელი მეფის, ფარსმან იბერიელისა, მითრიდატის და ფარსმანის ძის რადამისტის საქმეთა ვითარებანი და ომის ატეხის მიზეზები.

ტაციტუსის თქმით, პართელთა ტომებზე მბრძანებლობდა ვოლოგეზი, ბერძენი ხარჭის შვილი და ძმების თანხმობით ჰქონდა მიღებული მეფობა. იბერიელებზე ფარსმანი მეფობდა მამაპაპური უფლებით (vetusta possessione), ხოლო სომხები (არმენია) იმისი ძმა მითრიდატს ეპყრა, რომაელთა შემწეობით (Opibus nostris). ფარსმანს ჰყავდა ვაჟიშვილი, სახელად რადამისტი (ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს წარმოადგენს ქართული „როდამი“-ს ლათინურ დამახინჯებულ ფორმას, იხ. მისი ქართ. ერის ისტ., ტ.I, მეოთხე გამ., გვ.170), ლამაზი, თვალტანადი, შესანიშნავი ძალ-ღონის მქონე და მშობლიურ ცოდნა-ხელოვნებაში (patrias artes) განსწავლული, რომელსაც მეზობლებში დიდი სახელი (Clara fama) ჰქონდა გავარდნილი. იგი ისე ცხარედ და ხშირად ჩიოდა, მამაჩემის სიბერის გამო იბერთა სამეფო დამცრობილი რჩებაო, რომ ზრახვებს ვერა მალავდა. ამიტომ ძალაუფლების ხელში ჩაგდების მოწადინე ხალხის საყვარელი ჭაბუკით შეფიქრიანებულმა (metuens) ხანში შესულმა ფარსმანმა სხვა იმედებისკენ მიმართა მისი გულისყური (aliam ad spem trahere) და სომხეთზე მიუთითა; თან გაიხსენა, რომ პართელები რომ გაჰყარეს, მან თვითონ მისცა იგი მითრიდატს. ამასთანავე ურჩია შვილს, ძალის ხმარებას მოერიდე, უკეთესია ხერხიანობა (dolum), რათა უეცრად ვძლიოთო. რადამისტი გაემგზავრა ბიძასთან და მართლაც ჩუმად მიიმხრო მისი დიდებულები.

აქ გვინდა შევჩერდეთ რადამისტ-მითრიდატის ოჯახებს შორის ნათესაობისა და ურთიერთშორის ქორწინების ფაქტების იმ ანალიზზე, რომელიც აკად. ივ. ჯავახიშვილს აქვს განხილული თავის სამართლის ისტორიაში (წიგნი I, 1928, გვ. 164). გამოჩენილი მეცნიერი, როცა ცოლქმრობისა და ქორწინების წესების შესახებ მსჯელობს საქართველოში, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ტაციტუსის ცნობებს იმის შესახებ, რომ „სამეფო საგვარეულოში მახლობელ ნათესავთა შორის ქორწინება აკრძალული არა ყოფილა და ეს „ენდოგამია" ალბათ სპარსული მაზდეანობის გავლენის შედეგი უნდა იყოსო“ და ტაციტუსს აღნიშნული აქვს იბერთა მეფე ფარსმანის ქალი ცოლად ჰყავდა მისსავე ბიძას მიჰრდატსო (ანალ. XII, 44, 46). ამ საბუთზე ისიც შეგვეძლო დაგვემატებინა, რომ ფარსმანის ძეს რადამისტს კიდევ ცოლად ჰყავდა იმავე მიჰრდატის ასული, ე.ი. თავისი ბიძაშვილი ზენობია. ახლო ნათესავთა შორის ქორწინების მაგალითების შესახებ ცნობები ჩვენი ძველი ისტორიიდან მცირეა და ტაციტუსის ცნობა ამ მხრით მნიშვნელოვანია.

ამ ჩვეულების შესახებ ცნობები დაცულია პეტრე იბერის ასურულ ცხოვრებაში და კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებაში (De administrando imperio, c.45). ივ. ჯავახიშვილი ამასთანავე დასძენს: „მაგრამ ენდოგამია მხოლოდ წარჩინებულ საგვარეულოებში იყო ხოლმე, საერთო მოვლენად იგი არ ყოფილაო" (გვ. 165). აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სისხლით ახლო

ნათესაობისა და მოყვრობისა, რადამისტმა ტახტისათვის ძიების საქმეში დიდი ვერაგობა გამოიჩინა და ამ მიზნის მისაღწევად საკუთარი და და დისწულებიც არ დაინდო.

ბიძის დიდებულთა მიმხრობის შემდეგ რადამისტი უკვე აშკარად წაუძღვა მამის მიერ მიცემულ ლაშქარს ბიძის წინააღმდეგ (XII, 45), რადგან ფარსმანმა მოიმიზეზა, მე რომ ალბანთა მეფეს ვებრძოდი და მშველელად რომაელთა მოხმობა მინდოდა, შენ დამიშალეო და ახლა სამაგიერო უნდა გადაგიხადოო. უეცარი თავდასხმით დამფრთხალი მითრიდატი გორნეასის (ახლანდელი გარნისის) ციხეში შეიკეტა, რომელიც მაგარ ადგილას იდგა და რომაელთა მეციხოვნე ჯარიც იყო შიგ პრეფექტ ცელიუს პოლიონის და ასისთავ კასპერიუსის მეთაურობით. რაკი ძალით ვერ აიღო ციხე, რადამისტმა მოისყიდა ვერცხლმოყვარე პრეფექტი, რომელმაც მოტყუებით დაიყოლია მითრიდატი ზავზე (XII, 46). ტაციტუსის ამ ადგილიდან ჩანს, რომ მითრიდატი დაქორწინებული ყოფილა თავისი უფროსი ძმის ფარსმანის ასულზე და თვითონ კიდევ სიმამრად (socer) ეკუთვნოდა რადამისტს.

მშვიდობიანად საქმის მოგვარებით დაიმედებული მითრიდატი ციხიდან რომ გამოვიდა, რადამისტმა დიდი ალერსით მიიღო და იქვე ახლოს ტყიანში შეიწვია მსხვერპლის შეწირვისა და ღვთაებათა წინაშე სამშვიდობო ხელშეკრულების დასადებად (XII, 47). აქ მოყვანილია ამბავი, რომ მეფეებს ჩვეულებად აქვთ, ხელშეკრულების დადების დროს გადააჯვარედინონ მარჯვენა ხელები, გადააბან ერთმანეთს ცერები (pollices) და როცა სისხლი მოაწვებათ ძარღვებში, ოდნავი ჩხვლეტით (levi ictu) დაიდენენ მას და მერე ერთმანეთს აულოკავენო. ამ ცერემონიის შესრულების დროს ხელების გადამბმელი კაცი განგებ დაეცა, მოეჭიდა ფეხთ მითრიდატს და ისიც დასცა. მერე სხვებიც წაესიენ, შეიპყრეს და ბორკილი დაადეს. მითრიდატი და მისი ცოლ-შვილი ე.ი. რადამისტის ბიძა, და და დისწულები, ამ ტახტის მაძიებელმა, პატივმოყვარე კაცმა, ტაციტუსის თქმით, მრავალი მძიმე ტანსაცმლის თავზე დაყრით მოახრჩობინა.

რომის პოლიტიკის დახასიათებისთვის, უცხო ქვეყნების მიმართ, ფრიად საინტერესო და რელიეფურ სურათს იძლევა ტაციტუსი მომდევნო თავში (XII, 48). როცა სირიის მმართველმა უმიდიუს კვადრატუსმა გაიგო მითრიდატის ღალატით გაცემისა და მისი სამეფოს მკვლელთა ხელში გადასვლის ამბავი, თათბირი გამართა, რა ვქნათ, უნდა ვიძიოთ შური თუ არაო. ტაციტუსის თქმით, სახელმწიფოს პატივზე ცოტა ზრუნავს, უმეტესობა თავის ტყავზე ფიქრობსო (plures tuta disserunt), და მერე მოაყოლებს რომაელთა თათბირის შემდეგ გამოტანილ დასკვნით გადაწყვეტილებას, რომელიც მტაცებლური, მონათმფლობელური რომის სახელმწიფოს შესანიშნავად გამოთქმულ კრედოს წარმოადგენს: „უცხოთა ყველა ბოროტმოქმედებას სიხარულით უნდა შევეგებოთ. ღვარძლის (Odiorum — შურის) თესლიც კი უნდა მოვაბნიოთ, როგორც ხშირად რომის ხელმწიფენი იმავე სომხეთს წყალობის სახით ბარბაროსებში შფოთის ჩამოსაგდებად გააბოძებდნენ ხოლმე. ჰქონდეს რადამისტს თავისი ხვედრი, ვინაიდან მოძულებული და შერცხვენილი უფრო მეტად ხელსაყრელი იქნება იგი ჩვენთვის, ვიდრე სახელოვნად გაძევებული (cum gloria depulsus foret)", ასე რომ, რომაელები მალე სინდისის ქენჯნის გარეშე შეურიგდნენ ამას და თავისთვის უფრო სასარგებლოდაც მიიჩნიეს. რადამისტთან გაგზავნილი ბობოლა რომაელი მოხელეები მხოლოდ საკუთარი ხელის მოთბობაზე ფიქრობენ (XII, 49).

ვოლოგეზმა, პართიის მეფემ, მოინდომა სომხეთის კვლავ უკან დაბრუნება, რათა იგი თავის ძმა ტირიდატისთვის მიეცა. შეიჭრა სომხეთში, გააძევა იბერები და დაიპყრო ქალაქები არტაქსატა და ტიგრანოკერტი. მაგრამ სუსხიანი ზამთრის, სურსათის ნაკლებობისა და დამასუსტებელი სენის (tabes) წყალობით ვოლოგეზმა ხელი აიღო განზრახვაზე. დატოვებულ სომხეთში კვლავ შეიჭრა რადამისტი და სასტიკად გაუსწორდა ქვეშევრდომ სომხებს, როგორც მოღალატეებს და ისინი თუმცა მონობას ჩვეულნი იყვნენო (quamvis servitio sueti), მოთმინების ფიალა აღევსოთ, აჯანყდნენ და შემოერტყნენ მეფის სასახლეს (XII,50). რადამისტი იძულებული გახლა ცოლითურთ ძლივს გაესწრო, მაგრამ ცხენებით ჭენების დროს მისი ფეხმძიმე მეუღლე უქეიფოდ შეიქნა, ვეღარ შესძლო სიარული და რათა ვინმეს ხელთ არ ჩავარდნოდა, თვით ქმარმა

დაჰკრა ხანჯალი და გადააგდო არაქსში, თვითონ კი საქართველოში მამასთან მოაშურა. ამასობაში მისი სულთმობრძავი ცოლი ზენობია მწყემსებმა იპოვნეს, მოასულიერეს და არტაქსატს მიიყვანეს, იქიდან კი ტირიდატს მიჰგვარეს, რომელმაც თავაზით მიიღო იგი.

XIII წიგნში (XIII, 6) ტაციტუსი გადმოსცემს: 54წ. დასასრულს გავრცელებულა ხმა, რომ პართელები კიდევ შეიჭრენ სომხეთში; რადამისტმა, რომელიც ხშირად ხან ეუფლებოდა ამ სამეფოს, ხან ილტვოდა იქიდან, ახლაც აარიდა თავი ომსო. შემდეგ თავში ლაპარაკია ნერონის მიერ გაცემულ ბრძანებაზე პართელთა წინააღმდეგ გასალაშქრებლად, მაგრამ ვოლოგოზს თავისივე შვილი ამხედრებია, პართელებს უომრად დაუცლიათ სომხეთი (XIII, 7).

ამის შემდეგ, დაახლოებით 58 წელზე ცოტა ადრე, როგორც იმავე წიგნის 37-ე თავშია მოხსენებული, ფარსმანს მოუკვლევინებია თავისი ვაჟი რადამისტი, როგორც თითქოს მოღალატე ((quasi proditore) და, როგორც ტაციტუსი ამბობს, რათა ჩვენთვის (ე.ი. რომაელებისთვის) ერთგულება დაემტკიცებინათ, ხოლო სომხებისადმი ძველ სიძულვილს (vetus odium) კი განაგრძობდაო (exercebat). მერე აბოლოებს: მაშინ იყო, რომ რომაელთადმი ყველაზე მეგობრულად განწყობილმა მოსხთა ტომმა სომხეთის მივარდნილი კუთხეები დაარბიაო.

ტაციტუსის თხზულებათა სხვა ადგილებიდან განსაკუთრებით დიდად საყურადღებოა „ისტორიის" III წიგნი, რომელშიაც გადმოცემულია ანიკეტის აჯანყების ამბავი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, ძირითადად ძველი კოლხეთის რაიონში. ეს აჯანყება, როგორც ჩანს, მიმართული იყო რომის დამპყრობელური პოლიტიკის წინააღმდეგ და სოციალური საფუძველიც უნდა ჰქონოდა. ამას ადასტურებს ნაწილობრივ ისიც, რომ აჯანყების ბელადის როლში მონა-ბარბაროსი გვევლინება და არა რომელიმე მეფე ან სატომო ბელადი.

ტაციტუსი მოგვითხრობს (ისტ., III, 47): „უცბად პონტოში იარაღი აღმართა ბარბაროსმა მონამ, ოდესმე სამეფო ფლოტის მეთაურმა. ეს იყო ანიკეტი, პოლემონის აზატი, რომელსაც წინათ დიდი გავლენა ჰქონდა (praepotens). ხოლო მას შემდეგ როცა სამეფო პროვინციად გადაიქცა, ცვლილება არ მოსწონდა (mutationis impatiens). ვიტელიუსის სახელით მიიმხრო პონტოს გარშემო მცხოვრები ტომები, ნადავლის დაპირებით გადაიბირა აგრეთვე ყველაზე ღატაკნი (egentissimo), ანაზდად შეიჭრა დიდი გუნდით პონტოს უკიდურეს სანაპიროზე (extremo orae) ბერძნების მიერ დაარსებულ ძველთაგან სახელგანთქმულ ქალაქ ტრაპეზუნტში. იქ ამოჟლიტა კოჰორტა, რომელიც წინათ მეფის შესაწევნად იდგა (regium auxilium), მერე მათ რომის მოქალაქეობა უბოძეს და ჩვენებური დროშები და იარაღი მიეცათ, ბერძნული სიზარმაცე და თავაწყვეტილობა (licentiam) კი შერჩათ. ანიკეტმა ცეცხლი წაუკიდა ფლოტს, აბუჩად აგდება დაუწყო დაცარიელებულ ზღვას, რადგან მუციანუსმა საუკეთესო ლიბურნული ხომალდები და ყველა ჯარისკაცი ბიზანტიონს გადაიყვანა. ამიტომ ბარბაროსები ამპარტავნად (contemptim) დაეხეტებოდნენ (vagabantur) სასწრაფოდ გაკეთებული ნავებით — სახელად „კამარებით“ და მერე აღწერილია ეს კამარა და ნათქვამია, რომ რკინის და სპილენძის შესაკრავების გარეშეა გაკეთებული, დაბალი გვერდები აქვს, ბრტყელი ძირი. ზღვის ღელვის დროს ფიცრებს უმატებენ სიმაღლეში და სახურავივით გადახურავენ. ხმელეთზე მიდგომა კი ორივე მხრიდან შეუძლიაო.

შემდეგ თავში გადმოცემულია (III, 48) ვესპასიანეს (ახ.წ. 69-79 წწ.) ღონისძიებანი (ვესპასიანეს დროს მოხდა ხომ ეს აჯანყება) აჯანყების ჩასაქრობად. მას საგანგებოდ ამოურჩევია ლეგიონებიდან რაზმები და მათი მეთაური ნაცადი მეომარი ვირიდიუს გემინუსი. იგი თავს დაესხა დაშლილსა და ნადავლის ძებნით გაფანტულ მტერს და ნავებში შერეკა. მერე სასწრაფოდ ააგო ლიბურნული ხომალდები და მდინარე ხობოსის შესართავში დაეწია ანიკეტს, რომელსაც სედოხეზთა მეფის მფარველობის ქვეშ უშიშრად მიაჩნდა თავი, რადგან ფულითა და საჩუქრებით მოკავშირეობაზე დაიყოლია. პირველად მეფე ანიკეტს მუქარითა და იარაღით იცავდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ღალატის ჯილდოსა და ომს შორის არჩევანი მოსთხოვეს, ბარბაროსებისათვის ჩვეული ვერაგობით შეუთანხმდა ანიკეტის დაღუპვაზე და შეხიზნულები გადასცა. მონათა ომი ასე დამთავრდა. სედოხეზების სახელით ცნობილი ტომი სხვა წყაროთი არ

ვიცით. ფიქრობენ, რომ ეს სანიგების ან სვანკოლხების ტომი უნდა იყოს. ს. ჯანაშია პირდაპირ სამეგრელოს ამბობს ანიკეტის შეხიზვნის ადგილად, მართლაც მდინარე ხობოსიც, ხომ ამ ადგილებში იგულისხმება.

ტაციტუსის, როგორც ძველი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი წყაროს, სრული შესწავლისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა მისი წინამორბედი და მომდევნო რომაელი ისტორიკოსების ცნობების გათვალისწინებასაც საქართველოს შესახებ, რომელთა მიმოხილვაზეც საკმაოდ ვრცლად მოგვიხდება შეჩერება, ოღონდ, რასაკვირველია, მეტ-ნაკლები სისრულით. ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი პირველთაგანია ოვიდიუსი (ძვ.წ. 43 — ახ.წ. 18), ავგუსტუსის თანამედროვე სახელოვანი პოეტი, რომელმაც თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე გაატარა გადასახლებაში და ჩანს, საერთოდ კარგად იცნობდა შავი ზღვისპირეთს და კერძოდ მის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ქართველი ტომების ვითარების შესახებაც საკმაოდ საინტერესო ცნობები მოეპოვება.

ოვიდიუსმა დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა, რომელშიაც დიდძალ მითოლოგიურ მასალას იყენებს და ხშირად მისდევს ისეთ ვერსიებს, რომელთა თავდაპირველ წყაროს ჩვენამდე აღარ მოუღწევია. ამ მხრით საინტერესოა შავი ზღვისპირეთის მითების მისებური ინტერპრეტაცია, განსაკუთრებით არგონავტთა და პრომეთევსის თქმულებების ზოგი ეპიზოდისა, რომელთა შესახებაც პოეტის სქოლიასტები ზოგიერთ ნაწილში კლასიკური ხანის მწერლობისგან განსხვავებულ ცნობებს გვაწვდიან. არგონავტთა და პრომეთევსის მითების ეპიზოდების ოვიდიუსისეული გადმოცემების სრულად დაფასებისთვის საჭიროა ამ საკითხის სპეციალური და გულმოდგინე შესწავლა და მისი ცნობების შეწამება ყველა მასზე ადრინდელი და შემდეგდროინდელ მწერალთა ცნობებთან. ამჟამად მხოლოდ ის შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ განსაკუთრებით არგონავტთა მითის ეპიზოდებს ძალიან ხშირად ეხება და საკმაოდ მოზრდილ ადგილებსაც უთმობს თავის თხზულებებში.

ამ მხრით პირველ ყოვლისა საყურადღებოა „ჰეროიდები" (გმირი ქალების წერილები), რომელშიაც ორი წერილის (VI -ჰიპსიპილესი იაზონისადმი და XII — მედეასი იაზონისადმი) უდიდესი ნაწილი სწორედ არგონავტთა მითის ამბებს გადმოსცემს. ასევე მთელი ეპიზოდია მიძღვნილი არგონავტთა მითისადმი „მეტამორფოზების" VII წიგნში („იაზონი და მედეა"), რომელშიაც ყურადღებას იპყრობს საკმაოდ თავისებური ცნობა მდინარე ფასისის შლამიან-ქვიშიანობის შესახებ (ნათქვამია: „მიაღწიეს შლამიანი ფაზისის სწრაფ მდინარესო“), რასაც სტრაბონიც ადასტურებს, მაგრამ აპოლონ როდოსელის „არგონოვტიკაში“ კი არ შეინიშნება. არგონავტთა მითის ეპიზოდებისადმია მიძღვნილი ოვიდიუსის „სევდიანი სიმღერების" ზოგი ადგილიც, მაგალითად III წიგნის მთელი მე-9 სიმღერა, სადაც მოთხრობილია მედეას ძმის მოკვლის ვერსია, რომელსაც უკავშირებს თავისი გადასახლების ადგილის —„ტომი"-ს ეტიმოლოგიას.

„პონტოსიდან გამოგზავნილ წერილებში“ არგონავტთა მითს ეხება I წიგნის მე-4 ლექსი; აგრეთვე „კალენდრის“ III წიგნი (ფრიქსისა და ჰელას ეპიზოდი). პრომეთევსის მითის გადმოცემასთან დაკავშირებით საყურადღებო პრომეთევსის გადასახლების ადგილად კავკასიონის მთის მოხსენიება, რაც მისი თხზულების „იბის“-ის (სტრ. 291-2) კომენტარებშია გამოთქმული. ეს ცნობა მნიშვნელოვანია პრომეთევს-ამირანის თქმულების წარმოშობის ადგილის გარკვევისათვის, ვინაიდან ასეთ მითითებას არც თუ ბევრი ძველი მწერლის თხზულებებში ვხვდებით. არგონავტთა მითის ადგილებს გაკვრით ეხება „იბის"-შიაც (სტრიქონები 435-442) და საინტერესოა, რომ ამ ადგილის განმარტებისას სქოლიასტს მოჰყავს მედეას მოკლული ძმის სახელად სხვა წყაროებით დაუმოწმებელი სახელი - ა რ პ ა გ ი, რომელიც ძველი საქართველოს ზოგიერთი ისტორიული პირის სახელთა დაბოლოებას უფრო უახლოვდება (შდრ. არტაგი, საურმაგი და სხვ.). ჩვეულებრივ მედეას ძმის სახელად ძველი მწერლები ასახელებენ აბსირტს, ეგიალიოსს, ფაეტონს და სხვ.

„ პონტოსიდან გამოგზავნილ წერილებში " მოხსენებული არიან ჰენიოხები და აქაელები (IV, 10), როგორც შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მცხოვრებნი, რომელნიც თავიანთი გაბედული თავდასხმებით შიშის ზარს სცემდნენ არა მარტო შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებს, არამედ ჩრდილოეთის მხარეში მოგზაურ მეზღვაურებსაც. ამავე წერილში ჩამოთვლილია შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეთა სახელები, მაგალითად, პენიუსი (რომელსაც სანიგთა და ჰენიოხთა საზღვარზე მომდინარედ თვლიან). ჰიპანისი, ჰალისი, ფასისი და სხვ.

დიდად საინტერესოა ოვიდიუსის ცნობები ელინისტური კოლონიების იმდროინდელი მდგომარეობის შესახებ. მართალია ეს ცნობები შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს ქალაქ-ახალშენებს ეხება, მაგრამ, ჩვენის აზრით, ბევრი რამ მათ ცხოვრებაში ანალოგიური უნდა ყოფილიყო შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროების მსგავსი ქალაქებისთვისაც, რომელნიც ადგილობრივი ტომებით მჭიდროდ გარემოცულნი ნელ-ნელა ითქვიფებოდნენ მათში როგორც ეთნიკური, ისე კულტურულ-პოლიტიკური მიმართულებით.

ოვიდიუსი ჩივის, რომ მას ბარბაროსთა შორის გადაავიწყდა თავისი დედაენა — ლათინური, რადგან გეტური და სარმატული ისწავლა („სევდიანი სიმღერები", V, 12); რომ მხოლოდ ცოტასღა შემორჩა ბერძნული ენის მცირეოდენი ცოდნა (იქვე, V, 7); რომ მის გარშემო მხოლოდ თრაკიული და სკვითური ლაპარაკი ისმის და მას ალბათ ახლა გეტურად უფრო შეეძლება ლექსების წერა (იქვე, III, 14); რომ ომის მოყვარულ ტომებით გარშემორტყმულ ქალაქში შიშითა ძრწის იგი (იქვე, III, 11); რომ მართალია ქალაქს გალავანი არტყია, მაინც ეშინიათ თვით ქალაქის შიგნით მყოფი, ბერძნებთან შერეული, ადგილობრივი მცხოვრებლებისა და რომ ,,ბარბაროსები" მათთან სრულიად გაუცალკევებლად ცხოვრობენ და სახლების უმეტესობაც მათ ეკუთვნის (იქვე, V, 10). ოვიდიუსი გარკვევით აღნიშნავს, რომ იქაურები დიდად არაფრად აგდებენ რომის ძლიერებას და რომ არ ეშინიათ რომის იარაღისა („პონტოსიდან გამოგზავნილი წერილები“, I,2).

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ოვიდიუსის „ს ე ვ დ ი ა ნ ი ს ი მ ღ ე რ ე ბ ი ს" ერთი ადგილი (II, 196-200), რომლის წაკითხვაც სადავოდ არის გამხდარი. მოხსენიებული არიან ხალხები, რომელთაც ძლივს აკავებს მდინარე დუნაი და დასძენს: მე რომ ვცხოვრობ, ეს ყველაზე უკიდურესი ქვეყანაა, სადაც რომის კანონები ძლივს ბოგინებსო. ჩამოთვლილ ხალხებში იხსენება სიდონები, კოლები და ტიბარენთა ურდოები. ეს ადგილი სპეციალურ ჩაკვირვებას მოითხოვს და ძნელია საკითხის საფუძვლიანად შესწავლის გარეშე ზოგი მეცნიერის მიერ ამ ორი უკანასკნელი ხალხის სახელების ასეთნაირად ამოკითხვას ვერწმუნოთ.

პომპეიუს ტროგუსი (ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნის მოღვაწე, ტიტუს ლივიუსის თანამედროვე) ავტორია 44 წიგნიანი „ფილიპეს ისტორიისა", რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. შემორჩენილია მხოლოდ ზოგიერთი წიგნის მოკლე შინაარსის გადმომცემი შესავალი და მ ა რ კ უ ს ი უ მ ი ა ნ უ ს ი უ ს ტ ი ნ უ ს ი ს მ ი ე რ (ზოგი მკვლევრის აზრით ახ.წ. II ს-ის, ზოგის აზრით III ს-ის მოღვაწე) შემოკლებული ტექსტი. პომპეიუს ტროგუსის თუნდაც ასეთ მდგომარეობაში მოღწეული ტექსტი განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობისაა სკვითების ისტორიისთვის. სკვითების შესახებ ჰეროდოტეს მიხედვით ცნობილი ამბების გარდა ტროგუსი გადმოსცემს სხვა ცნობებსაც, რომლებიც უკვე დაკარგული ისტორიული თხზულებებიდან უნდა ჰქონდეს ამოღებული. რაც შეეხება ელინისტურ და შემდეგდროინდელი ამბების აღწერას, ეტყობა, იგი იყენებს ადგილობრივი — მაგ., მაკედონური და პონტოსური — ქრონიკების მასალას. გარდა სკვითებისა მის თხზულებაში დიდი ადგილი ჰქონია დათმობილი მითრიდატის ომების ამბავს და ამასთანავე არგონავტთა მითის ეპიზოდებს.

ზოგი სხვა ძველი მწერლის მსგავსად, კავკასიის ხალხთა ეთნარქებს ბერძნულ-რომაული თქმულებების ამბებსა და გმირებს უკავშირებს. დაკარგულ 37-ე წიგნში ჩვენამდე მოღწეული მოკლე შესავლის მიხედვით ჩანს, მოთხრობილი ყოფილა პონტოსის მეფეთა შთამომავლობის ამბავი, როგორ ერგო ტახტი მითრიდატ ევპატორს და მან რომთან ომის დაწყებამდე როგორ დაიპყრო პონტოსი და პაფლაგონია. აგრეთვე ჩართული ყოფილა ბოსფორისა და, რაც უფრო

საინტერესო უნდა იყოს ჩვენთვის, კოლხეთის მეფეთა შთამომავლობისა და მოღვაწეობის ამბები.

იუსტინუსის შემოკლებულ მოთხრობაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სკვითებს და, შეიძლება ითქვას, სკვითოფილურ ტენდენციასაც იჩენს. მისი გადმოცემით, სკვითების შთამომავალნი არიან პართიელები და ბაქტრიელები, ხოლო სკვითთა ცოლების მიერ დაარსებულია ამაზონელთა სახელმწიფო (II, 3). სკვითების საზღვარი ტროგუსს (და მისი მიხედვით იუსტინუსს) მდინარე ფასისამდე ჩამოჰყავთ. აქვეა ნახსენები სკვითების ნაწილის ჩამოსახლების ამბავი კაპადოკიაში მდინარე თერმოდონტის ნაპირებზე და მერე მათი ეს ამბავი გადანასკვულია ამაზონთა სახელმწიფოს გაჩენასთან.

XII წიგნში მოთხრობილი ყოფილა ალექსანდრე მაკედონელის სარდლის ზოპირიონის დამარცხება სკვითების მიერ. ეს ზოპირიონი დასახელებულია, როგორც ალექსანდრე მაკედონელის მიერ დანიშნული გამგებელი პონტოსისა. აქვეა გადმოცემული, რომ ალექსანდრემ დაიპყრო ხალხები, რომლებიც კავკასიონის ძირში ცხოვრობენ, მაგრამ ამ კავკასიონის სახელის ქვეშ აქ ჰინდუკუშისა და ჰიმალაის მთები იგულისხმება. 32-ე წიგნში ჩართული ყოფილა არგონავტების მითის ის ეპიზოდი, რომელიც ეხება არგონავტებისთვის აეტის მიერ დადევნებულ კოლხთა დასახლებას მედეას ძმის აბსირტის მოკვლის ადგილას და ისტორიული ხალხის მათგან შთამომავლობას.

38-ე წიგნში მითრიდატ ევპატორის ფართო საომარ გეგმებსა და რომაელთა წინააღმდეგ კოალიციების მოწყობის ამბებზეა ლაპარაკი და ხაზგასმულია, რომ იგი რომაელთა წინააღმდეგ აამხედრებს მთელ აღმოსავლეთს. მითრიდატი აღიარებულია ერთადერთ სიკვდილის შვილად, რომელმაც დაიმორჩილა პონტოსი და სკვითეთი, რომლის გავლა და თვით შიგ შესვლაც კი არავის შეეძლო უხიფათოდ. მწერალი აღნიშნავს მითრიდატის სამართლიანობასა და უხვობას და ამბობს, რომ მხოლოდ ის ფლობს არა მარტო მამისეულ სამეფოს, არამედ სხვასაც, მაგალითად, კ ო ლ ხ ი დ ა ს, პ ა ფ ლ ა გ ო ნ ი ა ს და ბოსფორს, რომლებიც მოპოვებული აქვს თავისი გულუხვობით

42-ე წიგნში, სტრაბონის მსგავსად, სომხები — არმენიელები იაზონის თანამგზავრ არმენის შთამომავლებად მიაჩნია და აქვეა ჩართული არგონავტთა მითის მოკლე შინაარსი, რომელშიაც ყურადღებას იქცევს. მედეას ძმის სახელად ეგიანეოსის ანუ აიგიალეოსის ხსენება, ნაცვლად ჩვეულებრივ ცნობილი აბსირტისა. სომხეთის შესახებ ნათქვამია, რომ იგი კაპადოკიიდან კასპიის ზღვამდე აღწევს. ამავე წიგნშია გადმოცემული, თითქოს ალბანელები იტალიიდან, ალბის მთიდან იყვნენ აქ ჩამოსულნი ჰერაკლესთან ერთად და რომ ალბანელთა მეზობლად ბინადრობენ ამაზონები, რომელთა დედოფალმა ტელესტრიამ დაიყოლია ალექსანდრე მაკედონელი მასთან კავშირი დაეჭირა. ამ მაგალითზედაც კარგად ჩანს, რომ პომპეიუს ტროგუსი სხვადასხვა წყაროებით სარგებლობს და უკრიტიკოდაც ეკიდება მათ, რადგან მე-2 წიგნში ამაზონთა ამბავი, ოღონდ სახელის უხსენებლად, საკმაოდ დაწვრილებით აქვს გადმოცემული და თერმოდონტის სანახებში, კაპადოკიაში მცხოვრებლებლად მიაჩნია, რაც უფრო ახლოა ჩვეულებრივ გავრცელებულ ვერსიასთან.

გ ა ი უ ს ვ ე ლ ე ი უ ს პ ა ტ ე რ კ უ ლ უ ს (ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევრისა და ახ.წ. I ს. პირველი ნახევრის მოღვაწე) ორწიგნიანი „რომის ისტორია" ჰქონია დაწერილი, რომლის მხოლოდ ნაწილია მოღწეული. ამ თხზულებაში რომის ისტორია მოყვანილია ახ. წ. I ს-ის 30 წლამდე. პატერკულუსის ისტორიის მეორე წიგნში (II, 40, 1) მოკლე, მაგრამ მნიშვნელოვანი ცნობაა გადმოცემული პომპეუსის კავკასიაში ლაშქრობის შესახებ. მასში ნათქვამით პომპეუსმა გამარჯვებით განვლო მიდია, ალბანია და იბერია, შემდეგ თავისი ჯარი მიაბრუნა იმ ხალხებისაკენ, რომელნიც პონტოსის მარჯვენა და უკიდურეს ნაწილში ცხოვრობენ — კოლხების, ჰენიოხებისა და აქაელებისკენ. შემდეგ აღნიშნულია, რომ თავისი შვილის ფარნაკის ღალატით დაიღუპა მითრიდატი. ეს ცნობები სხვა ძველი მწერლების ცნობებს კარგად ეთანხმება.

მ ა რ კ უ ს მ ა ნ ი ლ ი უ ს ი ს სახელით ჩვენამდე მოაღწია ხუთწიგნიანმა პოემამ ასტრონომიის შესახებ. ზოგი მკვლევრის აზრით, ეს პოემა დაწერილი უნდა იყოს ტიბერიუსის დროს (ახ.წ. 14-37). რამდენჯერმე გადაკვრით ახსენებს არგონავტთა თქმულებასთან დაკავშირებულ ამბებს. ერთგან მოხსენებულია (IV, 671...) აზიის ხალხები და ყველაფრით მდიდარი ქვეყანა, სადაც ოქროიანი მდინარეები დიან და პატიოსანი თვლებით ბრწყინავს პონტოსი, სურნელოვანი ტყეები აფრქვევენ წამლეულის (სუნს). აქ ოქროს საწმისიანი ვერძის ამბავი რეალური ოქროს ძიების საქმესთანაა დაკავშირებული და ხაზი აქვს გასმული პონტოსის (რომელშიაც ეტყობა კოლხეთიც იგულისხმება) ზღაპრულ სიმდიდრეს. იმავე წიგნში საყურადღებო დეტალია პონტოსელთაგან მზის თაყვანისცემის ამბავი (IV, 755-56): სკვითური შვილდივით მოხრილი ევქსინოს პონტოსი თაყვანს გცემს შენ, ფებო, (ე.ი. აპოლონ, მზის ღმერთს ანუ მზეს) ტყუპების ქვეშ (აქ უნდა იგულისხმებოდეს ტყუპეის თანავარსკვლავედი ანუ ზოდიაკო მარჩბივი, რომელსაც მაისში უთანასწორდება მზე). ფრიად საინტერესოა აგრეთვე მეხუთე წიგნში (V, 377) გადმოცემული ცნობა, რომ რომაელებს კვებავს ნუმიდიელთა სანაპირო და ფასისის ჭალები და რომ სურსათი გამოაქვთ იქიდან, საიდანაც უცნობი ზღვით ოქროს საწმისი გამოიტანეს (ე.ი. კოლხეთიდან).

ლ უ ც ი უ ს ა ნ ე უ ს ს ე ნ ე კ ა ს (დაახ. ძვ.წ. 4 წ. — ახ.წ. 65 წ.), ცნობილი ფილოსოფოსის, პოეტისა და სახელმწიფო მოღვაწის თხზულებათგან ჩვენამდე მოაღწია ფილოსოფიური ხასიათის მისმა დიალოგებმა და ტრაქტატებმა, აგრეთვე 9 ტრაგედიამ. როგორც ფილოსოფიურ, ისე მხატვრულ თხზულებებში იგი უხვად იყენებს მითოლოგიურ მასალას და ამიტომ ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებულ არგონავტთა და პრომეთევსის მითების ცალკე ეპიზოდები და მათი ანარეკლი ხშირად გვხვდება. ერთი ტრაგედია სულაც მედეასადმია მიძღვნილი და მისი სახელიცა ჰქვია. თავის ტრაგედიებში აშკარად ბერძნული მწერლობის გავლენას განიცდის, როგორც დიდი ტრაგიკოსებისა, ისე უფრო გვიანდელი ხანის პოეტებისას, მაგრამ მისი ტრაგედიები დამძიმებულია ფილოსოფიურ-რიტორიკული მსჯელობებით და სასცენო მოქნილობა აკლიათ. აქა-იქ მის დიალოგებსა და წერილებში თანამედროვე ან წარსული ისტორიული ფაქტების ანარეკლსაც ვხვდებით დიალოგების IX წიგნში (IX, 11) გადაკვრითაა ნახსენები ტაციტუსის ანალების მიხედვით საკმაოდ კარგად ცნობილი სომეხთა მეფე მითრიდატი, როგორც იმპერატორ გაიუს კალიგულას ამალის თუ მცველთა რაზმის წევრი. ეს მითრიდატი ხომ იბერთა მეფის მითრიდატის ძეა და ფარსმან მეფის ძმა, რომელიც შემდეგ (დაახლოებით ახ.წ. 51 წ.) თავისმავე ძმისწულმა რადამისტმა ჩამოაგდო ტახტიდან, მოაკვლევინა და თვითონ გამეფდა. *დიალოგების* XII წიგნში (XII, 7) საინტერესო დეტალი შეინიშნება. იქ ნათქვამია: სკვითეთში და ნადირებისა და შფოთიანი ტომების მთელ იმ მხარეში მოიპოვებიან პონტოსის ნაპირებზე დაფუძნებული *ა ქ ა ე ლ თ ა* სამოქალაქო მოსახლეობანიო. მერე ავტორი დასძენს: ვერც მარადიული ზამთრის სიმკაცრემ და ვერც (ადგილობრივი) მოსახლეობის იქაურ ჰავასავით შემაძრწუნებელმა ზნე-ჩვეულებებმა ვერ შეუშალეს ხელი იქ გადასახლების მოსურნეებსო. აგრეთვე ნათქვამია, რომ მილეტმა სხვადასხვა მხარეს 75 ქალაქის მოსახლეობა გააბნიაო. საჭიროა აქ მოხსენიებული აქაელების საკითხის კარგად ჩაკვირვება და შესწავლა, რა ურთიერთობაშია ეს ცნობა იმ აქაელთა შესახებ მოღწეულ ცნობებთან, რომელნიც ჩვეულებრივ ჰენიოხების ახლოს მობინადრე ქართულ ტომებად იგულისხმებიან და რომელთაც შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში უნდა ეცხოვრათ. რაც შეეხება მილეტის მიერ ასე ბევრი კოლონიის დაარსებას, პლინიუს უფროსი კიდევ მეტს ანგარიშობს (90-მდე); საერთოდ კი გამოკვლევების მიხედვით, ორმოცზე მეტი ახალშენი არ ჩანს შავი ზღვის სანაპიროებზე.

ამავე წიგნში (XII, 10) მწერალი გულისწყრომას გამოთქვამს; ფუფუნებით განებივრებულ ხალხს ნებავს, რომ ფასისს იქითა მხრიდან მოტანილით მარაგდებოდნენ მდიდრული დუქნები. ჩანს ფუფუნებად ითვლებოდა და ალბათ ძვირადაც ფასობდა აქედან გატანილი სასურსათო საქონელი. მნიშვნელობას არაა მოკლებული თეოფრასტის (ძვ.წ. 372-287) დამოწმებით მოყვანილი ცნობა, რომელსაც „ბუნების შესახებ“ ნარკვევებში გადმოგვცემს სენეკა: პონტოსშიაც

ზოგი მდინარე ზაფხულის პერიოდში უფრო წყალუხვი არისო. მაგრამ შემდეგ საკუთარი მსჯელობით დაასკვნის, რომ ზაფხულში თოვლიანი მთებიდან მომდინარე მდინარეები ძალიან არ არიან ადიდებულნი, მათი ადიდება გაზაფხულზე და ადრე გაზაფხულზევე ჩაივლის, რადგან, რაც დასადნობია თოვლი, მაშინვე დნებაო. მერე დასძენს, ფასისიცა და ბორისთენიც ნილოსივით სადიდებელნი იქნებიან ზაფხულში, რომ ნილოსის ადიდება ძველი მწერლების ცნობათა თანახმად, მის სათავეებში ზაფხულში თოვლის დნობასთან იყოს დაკავშირებულიო.

ტრაგედიებში აქა-იქ არის გაბნეული ჩვენი ქვეყნის ძველ სინამდვილესთან დაკავშირებული რეალიები, „გაშმაგებულ ჰერკულესში" საინტერესოა ჰერკულესის ნათქვამი, რომელშიაც არეკლილია პრომეთევსის მითის დეტალი. ამ ადგილის მიხედვით პრომეთევსის მიჯაჭვის ადგილიდან ნახსენებია „კასპიის კლდეები", რომელშიაც, ჩანს, იგულისხმება სწორედ კავკასიონის მთები. კასპიის მთებად რომ კავკასიონის მთები მიაჩნია, დასტურდება სენეკას მეორე ტრაგედიის — „თიესტეს" — ადგილითაც, რომელშიაც, უმდიდრეს მეფეთა შორის მოხსენიებულია აგრეთვე ის, ვინც კასპიის მთიან გზებს უკეტავს მამაც სარმატებს. აქ ცხადია სარმატთა მთიანი გზის, ე. ი. დარიალის გასასვლელის ჩამკეტად იბერიის მეფე უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც სხვათა ცნობებითაც დასტურდება, რომ იმ ხანად ძლიერი ხელმწიფე ყოფილა (მითზე დამყარებულ ამ ტრაგედიაში, რასაკვირველია, აქ სენეკას დროინდელი ვითარების ანარეკლი ჩანს).

ტრაგედიაში — „მედეა“ — ძირითადად ცნობილი ვერსიების მიხედვით არის არგონავტთა მითის ეპიზოდები მოყვანილი. ყურადღებას იპყრობს ერთხელ კიდევ ხსენება მარადიული თოვლით დაფარული კავკასიონის კლდეებისა, როგორც პრომეთევსის მიჯაჭვის ადგილისა, რომელზედაც „მოსხურებულია პრომეთევსის სისხლი". ასევე, ოღონდ სიტყვის გადაკვრით, არის დადასტურებული პრომეთევსის მიჯაჭვის ადგილად კიდევ კავკასიონი ტრაგედიაში — „ეტეელი ჰერკულესი“ (ტაეპები 1377-78), რომელშიაც ჰერკულესი ამბობს: მე რომ შემაძრწუნებელმა კავკასიონმა შემჯაჭვოს თავისი ბორკილებით და მიმცეს ხარბ ფრინველს საძიძგნად, ჩივილის კვნესა არ ამომხდებოდა პირიდანაო.

კ ვ ი ნ ტ უ ს კ უ რ ც ი უ ს რ უ ფ უ ს ი ს (დაახლ. ახ.წ. I ს-ის შუა ხანებში) „ალექსანდრე დიდის თავგადასავალი“, რომელიც დაწერილი უნდა იყოს 37-65 წლებში, უფრო — 41 წლის ახლო ხანებში და არასრული სახითაა ჩვენამდე მოღწეული, წარმოადგენს ელინისტური ხანის მწერლების შრომაზე დაფუძნებულ კომპილაციას. ალექსანდრე მაკედონელის ღვაწლის განდიდების მიზნით ბევრ ზღაპრულ ამბავს შეიცავს და ამ მეფეს ისეთ ლაშქრობებსაც მიაწერს, რომელიც ნამდვილად არ ჩაუტარებია. ამ ტენდენციის გამოა, რომ ალექსანდრე მაკედონელს კავკასიას დაალაშქვრინებს და თვით ტანაისამდე და სკვითებამდეც მიჰყავს, რაც რასაკვირველია სიმართლეს არ შეეფერება; მაგრამ რადგან თუნდაც ამ ფანტასტიკურ გარემოში ზოგი ქართველი ტომი და მათთან დაკავშირებული ამბები იხსენიება, ამდენად მაინც საინტერესოა ჩვენთვის. VI წიგნში (სულ რუფუსის თხზულება 10 წიგნისგან შედგებოდა) გადმოცემულია ალექსანდრეს ლაშქრობა ჰირკანიაში და ამასთან დაკავშირებით კასპიის ზღვის მარცხნივ (თუ სამხრეთის მხრიდან ვივარაუდებთ) მცხოვრებლებად მოხსენებული ჰყავს კერკეტები, მოსინები და ხალიბები, ე.ი. შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს მცხოვრებნი, მათ შემდეგ კი ლევსკოსირები (ანუ თეთრი სირიელები — ასე უწოდებს ზოგი ძველი მწერალი ჩრდილო კაპადოკიის მცხოვრებთ) და ამაზონები. მერე ნაამბობია (VI, 5, 24-32), ამაზონთა დედოფალმა ტელესტრიამ, რომელიც მბრძანებლობდა ქვეყნებს კავკასიონის მთასა და მდინარე ფასისს შორის, როგორ დაიყოლია ალექსანდრე მაკედონელი მასთან შვილის ყოლაზე.

VII წიგნში აღწერილია ალექსანდრეს მიერ I7 დღეში გადალახვა კავკასიონის მთებისა, რომლის სახელის ქვეშ ტავროსის მთებსა და შემდეგ ინდოეთის მთებს ჰინდუკუშსა და ჰიმალაის გულისხმობს რუფუსი და ამასთანავე გაკვრით ახსენებს: ამ მთის ერთ კლდეზე, რომელიც ირგვლივ 10 სტადიონია, ხოლო სიმაღლით — 4, ძველი გადმოცემით პრომეთევსი იყო მიჯაჭვულიო. აქვე დასძენს, რომ ამ მთების ძირში დააარსა მეფემ კიდევ ერთი ალექსანდრია.

როგორც ვხედავთ რუფუსის ცნობები მეტად აბნეულ-დაბნეულია და დიდი არაფერი მეცნიერული ღირებულებისაა.

გ ა ი უ ს პ ლ ი ნ ი უ ს ს ე კ უ ნ დ უ ს ი (ახ. წ. 23-79) ანუ პლინიუს უფროსი ცნობილი რომაელი სახელმწიფო მოღვაწე, სამხედრო პირი და მწერალია. იგი დაიღუპა ვეზუვის დიდი ამოხეთქვის დროს ახ.წ. 79 წ., როცა ვულკანის ლავამ დაანგრია და დამარხა ქალაქები: პომპეუმი, ჰერკულანუმი და სტაბია. პლინიუს უფროსს უწერია ისტორიულ-საბუნებისმეტყველო, გრამატიკული და რიტორიკული ხასიათის თხზულებანი. მათგან ჩვენთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ენციკლოპედიური ხასიათის უზარმაზარ კომპილაციურ ნაშრომს — „ბუნების ისტორიას“, რომლის 37 წიგნმაც ჩვენამდე მოაღწია. ეს ნაშრომი დაფუძნებულია 2000-მდე სხვადასხვა თხზულების 20.000-მდე ამონაწერზე და დიდძალ მასალას შეიცავს. I წიგნი მიძღვნილი აქვს საერთო შესავალსა და წყაროთა მიმოხილვას, II სამყაროს მათემატიკურ-ფიზიკურ აღწერილობას, III-VI — გეოგრაფიასა და ეთნოგრაფიას, VII — ანთროპოლოგიას, VIII-XI — ზოოლოგიას, XII-XVII — ბოტანიკას, XXVIII-XXXII — სამედიცინო ზოოლოგიას, XXXIII-XXXVII — მინერალოგიას, მეტალურგიას და მათ გამოყენებას ხელოვნებაში.

პლინიუს უფროსი, როგორც ეტყობა, დიდი ნიჭითა და გამჭრიახობით არ გამოირჩეოდა და ხშირად სრულიად უკრიტიკოდ იმეორებს სხვათა ბევრ ზღაპრულ და ძნელად დასაჯერებელ ცნობას, გვხვდება არასწორი ფაქტები და მსჯელობაც, ბევრგან (განსაკუთრებით გეოგრაფიულ ნაწილში) სახელთა უბრალო ჩამოთვლას ჯერდება და არაიშვიათად ერთმანეთის საწინააღმდეგოდაც, რადგან სხვადასხვა წყაროებიდან აქვს ხოლმე სხვადასხვა ცნობა ამოღებული. მიუხედავად ასეთი ნაკლისა, პლინიუს უფროსის ცნობებს საქართველოს და კავკასიის ძველი ტომების შესახებ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის და სტრაბონთან და პტოლემაიოსთან ერთად განსაკუთრებით შავიზღვისპირეთის ძველი გეოგრაფიის შესწავლისთვის დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია. საბედნიეროდ, ბევრ შემთხვევაში, პლინიუს უფროსი თვითონვე მიუთითებს გამოყენებულ წყაროებს და ამით საკმაოდ აადვილებს მის მიერ გადმოცემულ ცნობებში ორიენტაციას. როგორც ეტყობა, ძველი მწერლობის შრომებთან ერთად შავიზღვისპირეთის აღწერისათვის პლინიუსს გამოუყენებია მაშინდელი პერიპლუსები და მეგზურები, როგორც ოფიციალური, სახელმწიფო-სამხედრო საჭიროებისთვის შედგენილი, ისე კერძო პირთა მიერ დაწერილი. განსაკუთრებით ჩანს ვიპსანიუს აგრიპას ცნობილი რუკის კვალი. პლინიუსის ცნობები, როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ კიდეც, ბევრგან ემთხვევა პომპონიუს მელას ცნობებს და ერთი მხრით ავსებს მათ, მეორე მხრით კი მელას ზოგიერთი ადგილის მიხედვით პლინიუსის ტექსტის შემოწმება-შესწორებაც ხერხდება, ამ უკანასკნელ გარემოებას კი დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ადგილთა და ხალხთა სახელები ძალიან ცუდად არის შემონახული პლინიუსის შრომაში და შესაჯერებელი მასალის ჩვენამდე არ მოღწევის გამო ფრიად გაძნელებულია მათი სათანადო ამოკითხვის საქმე.

პლინიუს უფროსს თავის *„ბუნების ისტორიის“* II წიგნში (II, 173) კასპიისა და შავ ზღვას შორის მანძილად 375 ათასი ნაბიჯი გამოჰყავს ე.ი. დაახლოებით 550 კმ (რომაული სიგრძის საზომი ერთეული ნაბიჯი 1.479 მეტრს უდრის) და ამავე ცნობას იმეორებს VI წიგნშიაც (VI, 31), როგორც ეტყობა, ამ მანძილს ვარაუდობს მტკვრის შესართავიდან რიონის შესართავამდე, მაგრამ ცხადია სინამდვილემდე ბევრი აკლია. სხვათა შორის ამ ზღვებს შორის მანძილის ჩვენების საქმეში ძველი მწერლების ცნობები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც, ზოგი მკვლევრის დაკვირვებით, იმით არის გამოწვეული, რომ ზოგი ძველი მწერალი კავკასიის ყელის ყველაზე ვიწრო ადგილად აზოვისა და კასპიის ზღვას შორის მოქცეულ მანძილს თვლიდა და ყველა სხვადასხვანაირად ვარაუდობდა.

ამავე წიგნში (II, 224) ნახსენებია, რომ პონტოსში, კორაქსთა ტომის გასწვრივ, ხმელეთიდან 300 სტადიონის მანძილზე (სტადიონი 177 მეტრსა და 40სმ უდრის) ზღვა განუზომელი სიღრმისაა და რომ ჯერ ფსკერამდე ვერ დაუწვდენიათ საზომი. III წიგნში სამი ქალაქია მოხსენებული, რომელთა დაარსებაც კოლხებს მიეწერება. ეს ვერსიები მომდინარეობს

ელინისტური ხანის მწერლებისაგან (კალიმაქე, აპოლონიოს როდოსელი და სხვ.), რომელნიც არგონავტთა სამშობლოში დაბრუნებისა და კოლხთა მდევრის მარშრუტად შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროსა და მდინარე ისტროსს, ანუ დუნაის, ვარაუდობდნენ. ერთგან ნათქვამია (III, 129): ისტრიაში მდებარეობს კოლონია *ჰოლა*, რომელსაც ახლა Pietas Julia-ს ეძახიან და ოდესღაც კოლხებს დაუარსებიათო. საინტერესოა, რომ კალიმაქეს ცნობაზე დაყრდნობით ამასვე იმეორებს სტრაბონიც (I, 2, 39, და V, I, 9) და თვით კალიმაქეს სიტყვებიც მოჰყავს; ამ ქალაქისთვის ბერძნებს შეეძლოთ ლტოლვილთა ქალაქი დაერქმიათ, თვით თავიანთ ენაზე (ე.ი. კოლხურად) კი *„ჰოლა"* ეწოდებაო. დალმაციაში მოხსენებულია (II, 144) ქალაქი ოლკინიუმი, რომელზედაც ნათქვამია, წინათ კოლხინიუმი ეწოდებოდა და კოლხების დაარსებულიაო; ხოლო ილირიაში (II, 145) ქალაქ ორიკუმს ასახელებს, აგრეთვე კოლხთა მიერ დაარსებულად.

IV წიგნში პლინიუსი გადმოგვცემს ცნობას ერთ დროს მაკედონიის მთელ მსოფლიოზე გაბატონებისა და მაკედონელთა მიერ დაპყრობილი ქვეყნების შესახებ (II, 39), რომელთა შორის მოქცეულია არმენია, იბერია, ალბანია და კაპადოკიაც. როგორც სხვა წყაროთა უმრავლესობიდან ვიცით, იბერიასა და ალბანიაში ალექსანდრე მაკედონელს და მაკედონელთა სარდლებს თითქოს არ ულაშქრიათ. აქვე მოხსენებულია მაკედონელთა მისვლა კავკასიონამდე, მაგრამ ამ კავკასიონში, ზოგი სხვა ძველი მწერლის მსგავსად, ინდოეთის კავკასიონი, ცენტრალური აზიის მთები, ჰინდუკუში და ჰიმალაი უნდა იგულისხმებოდეს.

V წიგნში (V, 97) პლინიუს უფროსი ეხება აზიის მთაგრეხილების განლაგებას და ალექსანდრიელი გეოგრაფოსების მიბაძვით მთელ მთათა სისტემებს, დაწყებულს ინდოეთის მთებიდან — ჰიმალაიდან და ჰინდუკუშიდან ჩვენს კავკასიონამდე, სულ ტავროსის მთების სახელით ნათლავს; მაგრამ ცოტა ქვემოთ (V, 98) აღიარებს, რომ თავის სიგრძეზე ეს მთაგრეხილები მრავალ სხვადასხვა ახალ სახეს იღებდენო და ჩამოთვლის კიდეც. ესენია: ჯერ იმაოსი (ჩამოთვლას ინდოეთის მხრიდან დასავლეთისაკენ აწარმოებს), მერე ემოდოსი, პაროპანისი, კირკიოსი, კამბადი, პარიადი, ხოატრი, ორეგი, ოროანდი, ნიფატი, ტავროსი, კავკასიონი; მერე სარპედონი, კორაკესიოსი, კრაგოსი და კვლავ ტავროსი. ამ ჩამოთვლილი მთების სახელებიდან პირველ სამს ახლანდელი ჰიმალაის მთებში ვარაუდობენ. პარიადი ანუ პარიადრი მცირე აზიის ტავროსის ჩრდილო აღმოსავლეთი ნაწილის განშტოება უნდა იყოს, ხოლო ხოატრი — იმავე ტავროსის აღმოსავლეთი განშტოება; ნიფატი — ტავროსის განშტოებანია სომხეთში. სარპედონი — კილიკიის სანაპიროზე მყოფ კონცხთან არის გაიგივებული და მერე ეტყობა პლინიუსი მის ახლო მდებარე ტავროსის ნაწილზეც ავრცელებს; კორაკიოსი ტავროსის განშტოებაა — პამფილიასა და დასავლეთ კილიკიაში, კრაგოსი — ლიკიაში.

შემდეგ (V, 99) ჩამოთვლის ამ მთაგრეხილებში არსებული სამი კარის, სამი საუღელტეხილო გადასასვლელის სახელებს: არმენიის, კასპიის და კილიკიის კარებს, რომელთაგან კასპიის კარი ამ ადგილის კომენტატორებს ესმით, როგორც კასპიის ზღვის სამხრეთით მდებარე გადასასვლელი. ამის შემდეგ აღნიშნავს, რომ მარჯვენა მხრით (კომენტატორთა აზრით გამოდის, თითქოს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ პირმიქცეული კაცის მიხედვით მსჯელობს პლინიუსი, მაგრამ ეს ადგილი მეტ ჩაკვირვებას მოითხოვს, რადგან ცოტა ზემოთ — V, 97 — მარჯვენა და მარცხენა მხარეები ამ მთების მიმართ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ პირმოქცეული კაცის მიხედვით აქვს ნავარაუდევი თვით ავტორს) მთებს ეწოდება ჰირკანიისა და კასპიის მთები, ხოლო მარცხნით — პარიედრი, მოსხების, ამაზონთა, კორაქსთა და სკვითთა მთები, საერთოდ კი ბერძნები კერავნის მთებს ეძახიანო. აქ ჩამოთვლილი მთების სახელებიდან სხვები ასე თუ ისე უდგება საერთოდ კავკასიის სამხრეთით მდებარე მთიანეთსა და მცირე აზიაში ლოკალიზებას, ეს არ შეიძლება ითქვას კორაქსების მთებზე, რომელიც წყაროთა უმეტესობის ჩვენების თანახმად კავკასიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ივარაუდება. რაც შეეხება კერავნის სახელის მიკუთვნებას ზემოთ ჩამოთვლილი მთაგრეხილების ჯგუფისთვის, უნდა

აღინიშნოს, რთმ სხვა ავტორები ამ სახელს უფრო ნამდვილ კავკასიონს უკავშირებენ (მაგ. სტრაბონი —II, 4, 1; პტოლემაიოსი, გეოგრ. V, 8, 14; პომპ. მელა — I, 109, III, 39).

***

ქართველი ტომებისა და მათი ძველი ადგილსამყოფელის შესახებ ცნობები ძირითადად თავმოყრილია თხზულების VI წიგნში. შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ტომებს მიყოლებით ჩამოთვლის და ზოგან პუნქტებს შორის მანძილებსაც მიუთითებს. ჩამოთვლის დროს ძალიან ძუნწად ორი-სამი სიტყვით თუ ახასიათებს ზოგ ტომს, გეოგრაფიულ პუნქტს ან კუთხეს; უფრო ხშირად კი სრულიად მშრალ დასახელებას ჯერდება და გარდა სახელისა, არავითარ სხვა მასალას არ იძლევა. მდინარე თერმოდონტს აქეთ, პლინიუსის გადმოცემით, შემდეგი ტომები ცხოვრობენ და შემდეგი პუნქტები მდებარეობს (VI, 11): კენები, ხალიბები, ქალაქი კატიორა, ტიბარენები, ტანმოხატული მასინები (ე. ი. მოსინები ანუ მოსინიკები), მაკროკეფალები, ქალაქი კერასუნტი, ნავთსადგური კორდულა, ბეხირები, ბუქსერები, შავი მდინარე, მახორონებისა და სიდონების ტომები, მდინარე სიდენი, რომელიც უვლის ქალაქ პოლემონიონს ამისიდან 120.000 ნაბიჯზე (ე.ი. დაახლ. 170 კმ-ზე), შემდეგ მდინარეები იაზონიონი და მელანთიონი და ამისიდან 80.000 ნაბიჯზე ქალაქი ფარნაკეა, ციხე-სიმაგრე და მდინარე ტრიპოლისი, აგრეთვე ფილოკალია, ლივიოპოლისი, მერე ფარნაკეადან 100.000 ნაბიჯზე თავისუფალი ქალაქი ტრაპეზუნტი, უზარმაზარი მთებით შემოზღუდული. მერე აღნიშნავს, რომ მათ გადაღმა არის არმენო-ხალიბების ტომი (VI, 12) და დიდი არმენია (სომხეთი) 30.000 ნაბიჯის მანძილზე. ტრაპეზუნტამდე სანაპიროზე მდინარეა პიკსიპესი, იმის იქით კი სან-ჰენიოხთა ტომი. ტრაპეზუნტიდან 140.000 ნაბიჯზე მდინარე აბსაროსია იმავე სახელის ციხე-სიმაგრით შესართავიდან. იმ ადგილში მთებს გადაღმა იბერიაა, სანაპიროზე კი — ჰენიოხები, ამპრევტები, ლაზები, მდინარეები აკამპსეონი, ისისი, მოგრუსი, ბათისი, კოლხთა ტომები, ქალაქი მატიუმი მდინარე ჰერაკლეონი იმავე სახელწოდების კონცხით და პონტოსის ყველაზე სახელგანთქმული მდინარე ფაზისი.

შემდეგ შედარებით უფრო მრავალსიტყვიერად აღწერილია მდ. ფასისის გარემოებანი, შენაკადები და მის ხეობაში თუ მის ახლოს მდებარე დასახლებული პუნქტები (VI, 13). ნათქვამია, რომ ფასისი გამოდის მოსხებში, სანაოსნოა მოზრდილი ხომალდებისთვის 38.500 ნაბიჯზე, მერე პატარებისთვის კი უფრო დიდ მანძილზე; გადასასვლელებად 120 ხიდი აქვს. მის ნაპირებზე იყო მრავალი ქალაქი, მათგან ყველაზე სახელგანთქმულები — კინდარიდა, კირკეუმი, კიგნოსი და შესართავთან — ფასისი. მაგრამ ყველაზე სახელგანთქმული იყო ეა, ზღვიდან 15.000 ნაბიჯზე მდებარე, სადაც ფასისს სხვადასხვა მხრიდან ერთვის დიდი მდინარეები ჰიპოსი და კიანეოსი. ახლა მხოლოდ სურიუმიღა არის, რომელსაც ეს სახელი იმ მდინარისგან ჰქვია ფასისს რომ ერთვის იქ, სადამდეც დიდ ხომალდებს ნაოსნობა შეუძლია. ფაზისს უერთდება სხვა მრავალი სიდიდის შესანიშნავი მდინარე, მათ შორის გლავკოსი. მის შესართავში უსახელო კუნძულებია. აბსაროსიდან 70.000 ნაბიჯზეა. მერე (VI, 14) სხვა მდინარეა — ხარიენტი, სალტიების ტომი, ძველები რომ ფთიროფაგებს ეძახდნენ და სხვა სანები. მდინარე ხობისი კავკასიონიდან სვანებზე ჩამოდის. შემდეგ როანია, კეგრიტიკის მხარეს, მდინარეები სიგანია, თერხოსი, ასტელფოსი, ქრისოროსი, აბსილების ტომი, ციხესიმაგრე სებასტოპოლისი 100.000 ნაბიჯზე ფასისიდან, სანიკების ტომი, ქალაქი პიგნოსი, მდინარე და ქალაქი პენიუსი; მერე ჰენიოხების სახელმრავალი ტომები.

უბრალო თვალის გადავლებითაც კი შეიძლება მიხვედრა, რომ აქ ჩამოთვლილი ტომები და გეოგრაფიული მონაცემები ბევრგან თავის რიგზე არ არის და შეუსაბამობას აქვს ადგილი. ერთსა და იმავე ტომებს (მაგ., სანებს, ჰენიოხებს) ან ერთსა და იგივე ქალქს (მაგ., კიგნოსს) სხვადასხვა ადგილებში ათავსებს და თავის ასეთ ქცევას არც არაფრით განმარტავს. ასეთი გარემოებანი ნაწილობრივ იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ავტორი ბევრი სხვადასხვა წყაროთი სარგებლობს და მათ ერთმანეთთან შეჯერებაზე კი ნაკლებად ზრუნავს. მიუხედავად ამ დიდი ნაკლისა, ამ ადგილებშიაც რამდენიმე საინტერესო ცნობას შეიძლება გაესვას ხაზი.

აღსანიშნავია, რომ აქ პირველად არიან მოხსენებულნი ლაზები, რომლებიც ტრაპიზონის აღმოსავლეთით იგულისხმებიან ამ ტექსტის მიხედვით.

საყურადღებოა, რომ პლინიუსი გადმოსცემს სომხების ზემოთ ამოწევას და მათს დაახლოვებას შავი ზღვის სანაპიროსთან (მხოლოდ 30 რომაული მილითღა არიან დაშორებულნი ნაპირს), რაც მიუთითებს ზოგი ქართველი ტომის მაგ., ხალიბების ტერიტორიის ნაწილობრივ სომხეთის ფარგლებში მოქცევაზე თუ საერთოდ ხალიბთა შევიწროვებაზე. ყურადღებას იქცევს ჰენიოხების მრავალსახელიან ტომებზე მითითება და აგრეთვე კრებითად კოლხთა ტომების ხსენება. ძველ მწერალთა ცნობებში ბევრი აღრევის მიზეზები შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპიროს ტომების ჩამოთვლის დროს, უფრო აქ უნდა ვეძიოთ. ერთი და იგივე ტომი, რომელიც ვთქვათ ჰენიოხთა ან კოლხთა ტომის რომელიმე შტოს წარმოადგენდა, ზოგიერთ მწერალს დამოუკიდებელ ეთნიკურ ერთეულად წარმოუდგენია და ხშირად ამ საფუძველზე მათი ლოკალიზაციის საქმე დიდ ბუნდოვანებას იწვევს. პლინიუსის ეს მითითება კი საშუალებას გვაძლევს უფრო დაკვირვებით შევხედოთ ტომების ადგილსამყოფელთა განსაზღვრის საკითხებს. საკმაოდ ვრცელ ცნობებს იძლევა პლინიუსი ფასისის შესახებ, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ჭეშმარიტებას ღალატობს. მას ფასისის სათავე მოსხებში ჰგონია. ამ მხრივ ერთგან სტრაბონიც სცოდავს: სომხეთშიაც კი ჰგონია მას ფასისის სათავე (გეოგრ., XI, 2, 17). მათი შეცდომა იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ, ეტყობა, მდინარე ყვირილა მიაჩნდათ ფასისის ანუ რიონის ზემო ნაწილად. ხიდების ასე დიდ რაოდენობას სტრაბონიც უჭერს მხარს (გეოგრ. XI, 3, 4). რაც შეეხება ფასისის ნაპირებზე ძველი სახელგანთქმული ქალაქების ჩამოთვლას (ტინდარიდა, კირკეუმი, კიგნოსი), სხვა წყაროებით არ დასტურდება, გარდა უკანასკნელისა, რომელსაც თვითონვე პლინიუსი მეორე სხვა ადგილას (დაახლოებით იქ, სადაც პომპონიუს მელასა აქვს აღნიშნული) მდებარედ ახსენებს.

ზღაპრული ეას ლოკალიზაციისათვის მნიშვნელოვანია პლინიუსის მიერ მოყვანილი ნიშანდობლივი ცნობაც, მაგრამ მიუხედავად ამ საკითხის არაერთგზის დაყენებისა და მრავალი მოსაზრების გამოთქმისა საბოლოო გადაწყვეტა ჯერ კიდევ არ ხერხდება. მანძილების აღნიშვნა ზოგ შემთხვევაში სიმართლესთან საკმაოდ ახლოს უნდა იდგეს. ასე ჩანს, მაგ., ციხესიმაგრე სებასტოპოლისსა და ფასისს შორის მანძილის აღნიშვნისას, 100.000 ნაბიჯი ანუ 100 რომაული მილი დაახლოებით 148 კმ-დე გამოდის, რაც თითქმის უახლოვდება ახლანდელ ფოთსა და სუხუმს შორის არსებულ მანძილს და ამით ნაწილობრივ ადასტურებს ფასისისა და სებასტოპოლისის ლოკალიზაციის შესახებ ბოლო ხანებში განმტკიცებულ აზრს. ჰეროდოტესთან, სტრაბონთან და პომპონიუს მელასთან ერთად პლინიუსიც ახსენებს ფასისის ჩრდილოეთის მხარეს ფთიროფაგებს, რომელთაც, მისი თქმით, ახლა სალტიები ეწოდებათ. ფთიროფაგების გირჩიჭამიებად და არა ტილიჭამიებად გაგების შესახებ პომპონიუს მელას ცნობასთან დაკავშირებითაც გვქონდა ლაპარაკი. სხვათა შორის ეს აზრი უკვე განმტკიცდა და ბოლო ხანებში შესრულებულ თარგმანებში უკვე აღარ გამოუყენებიათ ამ სახელის სხვაგვარი ინტერპრეტაცია. პლინიუსის ლათინურ-ინგლისური პარალელური ტექსტის გამომცემელ ჰ. რეკემსაც გირჩიჭამიებად უთარგმნია ეს სახელი. ტილიჭამიებად ამ სახელის გაგება უფრო სტრაბონთან არის დაკავშირებული, ჰეროდოტეს ტექსტი არც იძლევა საბუთს სტრაბონისეული გაგების სასარგებლოდ.

როგორც ეტყობა, ავტორი ქვემოთ (VI, 15) კიდევ სხვა წყაროს იშველიებს, ნაწილობრივ კვლავ უბრუნდება ზემოთ აღწერილ ტერიტორიის აღწერილობას და დამატებითსა და ზოგ შემთხვევაში განსხვავებულ ცნობებს იძლევა. ამ თავში (VI, 15) პლინიუს უფროსი გადმოგვცემს, რომ ზემოთ (VI, 14) აღწერილ ხალხებსა და ტერიტორიას ესაზღვრება მხარე კოლიკა, სადაც კავკასიონის ქედი (აქ უკვე ამ სახელს საკუთრივ კავკასიონის მიმართ უნდა ხმარობდეს) ერთი მხრით ევქსინისა და მეოტიდისკენ არის დაშვებული, მეორეთი კასპიისა და ჰირკანიის ზღვისაკენ. დანარჩენი ნაპირები უჭირავთ ველურ ხალხებს (მელანხლენებს და კორაქსებს კოლხების ქალაქ დიოსკურიით, რომელიც მდინარე ანთემუნტასთან მდებარეობს და ახლა

მიყრუებულია, მაგრამ ოდესმე ისე ბრწყინვალე ყოფილა, რომ, ტიმოსთენესის თქმით, იქ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე 300 ხალხი ჩამოდიოდა და შემდეგაც ჩვენები მოლაპარაკებებს 130 თარჯიმნის მეშვეობით აწარმოებდნენო.

აქ მოყვანილი ცნობები იონიურ ან იონიურიდან მომდინარე წყაროებიდან უნდა ჰქონდეს ამოღებული პლინიუსს, რადგან, მაგ., მელანხლენებს სწორედ იქაური წყაროები ახსენებენ. ამასთანავე დიოსკურიის ხსენებაც წინა თავში მოხსენებული სებასტოპოლისის მაგიერ აქეთკენვე მიგვითითებს. დიოსკურია სებასტოპოლისის აყვავების ხანის აღწერა, რაც ტიმოსთენესის ძვ.წ. III ს. ალექსანდრიელი გეოგრაფოსის მიხედვით მოაქვს, ზოგ მკვლევარს გაზვიადებული ეჩვენება და საამისოდ იმოწმებენ სტრაბონს (გეოგრ. XI 2, 16), რომელსაც დიოსკურიაში ჩამომსვლელ ხალხთა რიცხვად მხოლოდ 70 აქვს მოყვანილი და, ალბათ ტიმოსთენესის მისამართით დასძენს: ზოგის თქმით, რომელნიც სულაც არ დაგიდევენ სიმართლეს, 300 ხალხის წარმომადგენლები ჩამოდიანო. ასეა თუ ისე დიოსკურია ერთ დროს დიდ სავაჭრო-ეკონომიურ ცენტრად წარმოგვიდგება, მაგრამ პლინიუსის დროს უკვე დაცემულ-დაძაბუნებული ჩანს.

შემდეგ პლინიუსს მოყავს (VI, 16) საკმაოდ ცნობილი ვერსია ლეგენდისა ამ ქალაქის დაარსების შესახებ კასტორისა და პოლუქსის მეეტლეთა მიერ და დაასკვნის: თითქმის დადასტურებულად უნდა ითქვას, რომ მათგან არის წარმოშობილი ჰენიოხთა ტომიო. ამ ვერსიის საფუძველი უნდა ვეძიოთ მეეტლეთა ბერძნულ სახელში. დიოსკურიის შემდეგ ასახელებს ქალაქ ჰერაკლეონს, როგორც მისგან (ამ ადგილას დიოსკურიის მაგიერ ისევ სევასტოპოლისს ახსენებს) 70.000 ნაბიჯზე მდებარეს. ეს ჰერაკლეონი ჩრდილოეთის მხარეს იგულისხმება და არ უდგება ცოტა ზემოთ (VI, I2) ფასისის სიახლოვეს მოხსენებულ ჰერაკლეონის სახელის მქონე მდინარისა და კონცხის ლოკალიზაციას.

ამ მიდამოებში მცხოვრებლებად თვლის პლინიუსი აქაელებს, მარდებს, კერკეტებს, მათ იქით სერებს და კეფალოტომებს. ეს ორი უკანასკნელი ტომი სხვა წყაროებში არ ჩანან. კეფალოტომების სახელი კომენტატორებს შერქმეულ სახელად მიაჩნიათ რომელიღაც მოყაჩაღე ტომისათვის, რადგან სიტყვასიტყვით „თავიკვეთიებს", „თავების მომჭრელებს" უნდა ნიშნავდეს თითქოს. ივ. ჯავახიშვილი სერების სახელს სარმატ-სირმატების სახელს უკავშირებს და „დაახლოებით სოჭ-გაგრისა და ბიჭვინთის შუამდებარე მიწა-წყლის მფლობელად გულისხმობს (იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ.104). აქვეა ნახსენები უმდიდრესი ქალაქი პიტიუნტი (ე.ი. ბიჭვინთა), როგორც ჰენიოხებისაგან გაძარცული. მის გაძარცვას ზოგი მკვლევარი ახ.წ. I ს-ის პირველ ნახევარში ვარაუდობს.

ფრიად საინტერესოდ იყენებს პლინიუს უფროსის ცნობას (VI, 20) ტანაისის ანუ მდ. დონის სკვითური სახელის „სინ"-ის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი (იხ. მისი ზემოხსენებული წიგნი, გვ. 110-11), რომელიც ამას წყალის აღმნიშვნელ კუმუხურ-ლეკურ „სინ“-ს სხვა კავკასიური ენების მონაცემებს უკავშირებს, „სინოპი“-ს ანუ „სინოპე"-ს შემადგენელ ნაწილად ვარაუდობს და ამ ქალაქის სახელს განმარტავს როგორც „წყლის-პირს“. ამავე წიგნის 26-ე თავში (VI, 26) პლინიუსი უკვე აღმოსავლეთ საქართველოს გეოგრაფიის საკითხებს ეხება. თავდაპირველად მდინარე მტკვრისა და არაქსის დინების შესახებ ლაპარაკობს. მისი გადმოცემით მტკვარი გამოდის ჰენიოხთა მთებში, რომელთაც ზოგი კარაქსთა მთებს უწოდებს, არაქსი კი იმავე მთიდან, საიდანაც ევფრატიო. ჰენიოხთა ანუ კარაქსთა მთებად ჩვეულებრივ იგულისხმება კავკასიონის დასავლეთი ნაწილი, დაახლოებით ახლანდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გასწვრივ მდებარე, საიდანაც მდინარე კარაქსი ანუ კოდორი გამოდის და რომელსაც კარაქსთა ტომის ტერიტორია ეკვროდა. მაშასადამე მტკვრის სათავის შესახებ ეს ცნობა რაღაც გაუგებრობაზე აქვს დაფუძნებული ჩვენს ავტორს. ზოგი მკვლევრის აზრით, პლინიუსის ამ აღწერილობას მტკვრის სათავედ მდინარე ლიახვი თუ შეესაბამებოდაო, მაგრამ საეჭვოა, რომ

მართლაც ეს ქონოდა მხედველობაში მწერალს, რადგან კარაქსთა მთების სახელი აქამდეც თითქოს არ მისწვდებოდა.

მტკვრიდან მოყოლებულ მთელ ველზე, პლინიუსის თქმით (IV, 29), ჯერ ალბანთა ტომები სახლობენ, შემდეგ კი — იბერებისა, რომლებსაც ერთმანეთისაგან ყოფს მდინარე ოკაზანი, ანუ ზოგი ხელნაწერის წაკითხვით — ალაზანი, კავკასიონის მთებიდან რომ ჩამოდის და მტკვარს ერთვის; ე.ი. საკმაოდ ბეჯითად შეიძლება ითქვას, რომ ეს თანამედროვე მდინარე ალაზანია. ალბანიის მთავარ ქალაქად დასახელებულია კაბალაკა, ხოლო იბერიის — ჰერმასტუსი მდინარის პირად, რომელიც არმაზს ანუ არმაზციხეს უნდა შეესაბამებოდეს, მით უფრო, რომ ერთ-ერთი ხელნაწერის წაკითხვა კიდევ უფრო უახლოვდება მის ქართულ გამოთქმას — და უდგება სტრაბონის მიერ აღნიშნულ არმოზიკის ადგილმდებარეობასაც (გეოგრ., XI, 3, 5).

მერე პლინიუსი ახსენებს პარიჰედროსის მთებამდე მდებარე თასიეს და თრიარეს მხარეებს (თრიარეს მხარეში საკმაოდ დაბეჯითებით შეიძლება თრიალეთი ვიგულისხმოთ). მათ იქით კი კოლხიდის უდაბნოებს, რომლებშიაც კერავნის მთების მხარეს არმენოხალიბები ცხოვრობენ და მოსხების მიწებია მდინარე იბერამდე, რომელიც მტკვარს ერთვისო. ქვემოთ საკასანები და მერე მაკერონები ჰყავს მოხსენიებული მდინარე აბსაროსამდე. როგორც ვხედავთ, პლინიუსი, სხვა წყაროს მიხედვით, ახლა უკვე აღმოსავლეთიდან გადმოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველს ტომებში. მდინარე იბერი, ზოგის ვარაუდით, ფოცხოვი უნდა იყოს. რაც შეეხება მაკერონებს, კომენტატორებს ეს სახელი მახორონების თუ მელანხლენების ბადლად მიაჩნიათ, მაგრამ, ჩვენის აზრით, ძველ მაკრონებს რომ დავუახლოვოთ, უფრო სწორი იქნებოდა.

ფრიად საინტერესოა პლინიუს უფროსის მიერ გადმოცემული ცნობები კავკასიის კარის შესახებ, რომელიც აღწერილობის მიხედვით დარიალის გასასვლელი უნდა იყოს (VI, 30). ამ კარს ძველი მწერლები სხვადასხვა სახელს ეძახდნენ, მაგალითად პტოლემაიოსი თავის გეოგრაფიის სახელმძღვანელოში სარმატთა კარს უწოდებს (გეოგრ., V, 8, 11). ზოგი მწერალი კასპიის კარსაც არქმევდა, ამიტომაა, რომ პლინიუსი ამ ადგილას საგანგებოდ ჩერდება ამ საკითხზე და აღნიშნავს, რომ ბევრი შეცდომით უწოდებს ამ კარს კასპიის კარსაო. კასპიის კარის სახელით, როგორც ზემოთაც ითქვა, ჩვეულებრივ კასპიის ზღვის სამხრეთით მდებარე გასასვლელი იგულისხმებოდა (მიდიიდან ჰირკანიასა და პართიაში) და ზოგჯერ დარუბანდის გასასვლელსაც ამ სახელით იხსენიებდნენ. ტაციტუსის მიერ ნახსენები კასპიის კარისა (ისტ., 1, 6) და კასპიის გზის (ანალ., VI, 33) ლოკალიზაცია ჯერაც ნაწილობრივ სადავოდ ითვლება თვით ტაციტუსის ტექსტის ამ ადგილის ბუნდოვანების გამო.

ამ კავკასიის კარის ანუ დარიალის აღწერილობაში პლინიუსი ამბობს, რომ იგი წარმოშობილია მთათა შუა გაპობით (ხეობას გულისხმობს) და რომ თვით გამოსასვლელი გადაკეტილია რკინით შეჭედილი ძელებით. მისი თქმით, ხეობაში დის საძაგელი სუნის მქონე მდინარე, კარის აქეთა მხარეს კედელზე კი მდებარეობს ციხე-სიმაგრე კუმანია, რომელიც აგებულია ურიცხვი ტომების გადასვლის დასაბრკოლებლადო და დასძენს: ამ ადგილას, სწორედ იბერიის ქალაქ ჰერმატუსის გასწვრივ, კარით არის გაყოფილი სამყაროს ნაწილებიო. აქვე პლინიუს უფროსი გვაწვდის საინტერესო ცნობას, როგორც ჩანს, სვანების მიერ ოქროს მოპოვების შესახებ. იგი წერს კავკასიის კარიდან აქეთ, გუსდინთა მთებში, ვალები და სუავები ცხოვრობენ, მოუხეშავი ტომები, მაგრამ ოქროს მადანს კი თხრიანო. აღსანიშნავია, რომ ზოგი მკვლევარი ამ ადგილას მოხსენიებულ სუავებს თითქოს სერბებთან აიგივებს, ვალები კი პტოლეიმაიოსის მიხედვით სადღაც ვოლგასა და კავკასიონს შორის ივარაუდება. მაგრამ სუავების ორი სხვა წაკითხვა და ის გარემოება, რომ ისინი ჰენიოხების მეზობლად იხსენიებიან (აქვე მოაყოლებს: „მათ შემდეგ — ე.ი. ვალებისა და სუავების შემდეგ — თვით პონტოსამდე ჯერ ჰენიოხთა მრავალი ტომია, მერე კი აქაელთაო") და ოქროს მომპოვებელნი არიან, სვანების სასარგებლოდ სწყვეტს საკითხს; მით უმეტეს ამასვე უჭერს მხარს სტრაბონის მსგავსი კონტექსტიც (გეოგრ., XI, 2, 12) სვანების შესახებ. ამ თავს (VI, 30) პლინიუსი ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: *„ასეთია ქვეყნიერების ეს ერთი ყველაზე სახელგანთქმული კუთხეთაგანიო“*. ამის

შემდეგ გადადის (VI, 31) პონტოსსა და კასპიის ზღვას შორის არსებული მანძილის შესახებ სხვადასხვა მწერალთა ცნობების მიმოხილვაზე, რაზედაც ზემოთაც გვქონდა საუბარი და ბოლოს აღნიშნავს: კავკასიის კარიდან პონტოსამდე თითქმის დადასტურებულია, რომ 200.000 ნაბიჯიაო, რაც დაახლოებით 300 კმ-დე მანძილი გამოდის.

კავკასიონს გადაღმა სკვითების, კიმერიელების და კისიანტების გვერდით იხსენიებიან (VI, 35) გეორგები და ამაზონთა ტომი და ბოლოს ნათქვამია ამაზონთა ტომზე: ეს ტომი კასპიისა და ჰირკანიის ზღვამდე ცხოვრობსო. ამაზონთა ამ ადგილებში მოთავსების ვერსია ელინისტურ ხანას უფრო ეკუთვნის. რაც შეეხება გეორგებს, რომელიც, მკვლევართა აზრით, შემდეგში ქართველთა საერთო სახელად იკიდებს ფეხს, გეორგილების სახით პომპონიუს მელას თხზულებაშიაც (I,13) ვხვდებით და იმასთან დაკავშირებითაც გვქონდა ნაწილობრი საუბარი ამ საკითხზე. როგორც სჩვევია, პლინიუს უფროსი ერთხელ კიდევ უბრუნდება, ალბათ კიდევ სხვა წყაროს მიხედვით, კასპიის ზღვისა და მისი სანაპიროების ახლოს მცხოვრები ხალხების აღწერას და სხვა ხალხებთან ერთად აღნიშნავს, რომ კასპიის ზღვის დასავლეთ ნაპირი უჭირავთ სკვითების ხალხს უდინებს, შემდეგ კი სანაპიროზე ალბანები არიან, როგორც ამბობენ, იაზონის შთამომავალნიო. უდინები უდების სახით პტოლემაიოსის თხზულებაშიც გვხვდება (V, 8, 17-25) დაახლოებით ამავე ადგილებში. კახეთის აღმოსავლეთ კუთხეში ჩამოსახლებული ახლანდელი უდები ამ უდების ნაშთად შეიძლება ვივარაუდოთ.

ალბანთა ტომის შესახებ ნათქვამია (VI, 39), რომ იგი მოდებულია კავკასიის მთებს და აღწევს მდინარე მტკვარს, რომელიც სომხეთისა და იბერიის საზღვარს წარმოადგენსო, მაგრამ ეს უკანასკნელი ცნობა მტკვრის სამხრეთ-საქართველოს საზღვრების შესახებ ვერ პოულობს მხარდაჭერას სხვა წყაროებში. პირიქით, სტრაბონის მიხედვით (გეოგრ., XI, 3,2) გამოდის, რომ მტკვრის ორივე მხარე ამ მიდამოებში (ალბანია-იბერია-სომხეთის შესაყარში) იბერიას ეკუთვნოდა. ალბანიაზე ჩამომდინარ მდინარეებად დასახელებული არიან (იქვე) კაზუსი, ალბანუსი და მერე კამბისი (კავკასიონის მთებში გამოსული); შემდეგ ნახსენებია კიროსი (მტკვარი), როგორც ზემოთ ითქვა, კარაქსთა მთებიდან მომდინარეო. ცოტა ქვემოთ (VI, 40) პლინიუსი კვლავ იმეორებს ზემოთ (VI,30) გამოთქმულ მოსაზრებას კავკასიის კარისა და კასპიის კარის სახელთა ერთმანეთთან დამოკიდებულების შესახებ და აღნიშნავს: აქ უნდა შევასწოროთ ბევრის შეცდომა, თვით იმათიც, ვინც ბოლო ხანებში მონაწილეობდნენ კორბულონის (პართიელთა წინააღმდეგ მებრძოლი რომაელი სარდალი ნერონის დროს, დაახლ. 57 წელს ულაშქრია ამ ადგილებში) ლაშქრობაში სომხეთს. ისინი კასპიის კარს უწოდებენ იბერიაში არსებულ იმ კარს, რომელსაც, როგორც ვთქვით, კავკასიის კარი ეწოდება; ეს სახელი წერია იქიდან გამოგზავნილ რუკებზედაცო. მერე დასძენს: ნერონის მუქარა კასპიის კარის ჩაკეტვის შესახებ ნამდვილ კასპიის კარს კი არ შეეხებოდა, იმ კარს გულისხმობდა, რომელიც იბერიიდან სარმატებში გადისო.

აქავე (მეექვსე) წიგნში ფრიად საყურადღებოა ინდოეთის სავაჭრო გზის აღწერა, რომელიც მნიშვნელოვან ცნობას წარმოადგენს ძველი საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის შესწავლისთვის. ვარონის (ძვ.წ. 116-27) ცნობაზე დაყრდნობით, პლინიუსი გადმოგვცემს (VI, 52): პომპეუსის ლაშქრობის დროს გამოირკვა, რომ ინდოეთიდან შვიდ დღეში შეიძლება ჩამოსვლა ბაქტრიაში, მდინარე ბაქტრისთან, რომელიც მდინარე ოქსს (ე.ი. ამუდარიას) ერთვის; ამ მდინარიდან კი კასპიის ზღვით მდინარე კიროსამდე (მტკვრამდე) მიისვლება და რომ ინდოეთის სავაჭრო საქონელი ხუთ დღეზე არა უმეტეს დროში ხმელეთის გზით პონტოში, ფასისს, ჩაიტანებაო.

VII წიგნში მითრიდატ ევპატორის შესახებ ნათქვამია (VII, 88): ოცდაორი ტომის მეფე იყო, ამდენივე ენაზე სჯიდა სამართალს და კრებაში ყველა ტომის წევრს უთარჯიმნოდ მიმართავდაო. ამასვე იმეორებს პლინიუსი XXV წიგნი (XXV, 6): დანამდვილებით არის ცნობილი, რომ მითრიდატი სიკვდილის ერთადერთი შვილი იყო, რომელიც 22 ენაზე ლაპარაკობდა და

რომ მისი 56 წლიანი მეფობის განმავლობაში თავისი ქვეშევრდომი ტომების არც ერთ კაცს არ დალაპარაკებია თარჯიმნის მეშვეობითო.

XXI წიგნში (XXI, 77) ყურადღებას იპყრობს ქსენოფონტის ანაბაზისის მიხედვითაც ცნობილი მაკრონების მათრობელა თაფლის ამბავი (ანაბ., IV, 8, 20). პლინიუსი აქ გადმოგვცემს, რომ პონტოსში სანების (ყოფილი მაკრონების) ტომში მოიპოვება სხვა ჯურის თაფლი, რომელსაც გამაგიჟებელს ეძახიან შეშლილობის გამოწვევის გამო და ფიქრობენ, რომ ეს თაფლი ამოწოვილია როდოდენდრონის ყვავილიდან, რომელიც უხვად არის ტყეებშიო. მერე დასძენს ძველი ქართველი ტომების ეკონომიური ისტორიისათვის საინტერესო დეტალს: ეს ტომი (ე.ი. სანები) რომაელებს ხარკად ცვილს კი მოართმევს, მაგრამ თაფლით, მისი მაწყინარობის გამო, არ ვაჭრობსო. იმავე წიგნის 83-ე თავში პირველხარისხოვან პუნიურ ცვილთან ყველაზე ახლო მდგომად თვლის მუქი ყვითელი ფერის თაფლის სუნიან, სუფთა პონტოსურ ცვილს და უკვირს თვით თაფლის შხამიანობა. პონტოსური თაფლის შხამიანობის შესახებ სტრაბონიც ლაპარაკობს (გეოგრ. XI, 2, 17). ცხადია მეფუტკრეობა ქართველთა ამ ტომში ისე განვითარებული და მაღალ საფეხურზე მდგომი ყოფილა, რომ მისი პროდუქტი ცვილი საერთაშორისო ვაჭრობის საგნადაც კი ქცეულა და ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი როლი ჰკუთვნებია.

პლინიუს უფროსის სხვა მასალიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ცნობა ზღაპრული აეტის შთამომავალ კოლხეთის მეფე სავლაკის შესახებ (XXXIII, 52), რომლის ხსენება ამას გარდა სხვა წყაროებში არ გვხვდებ. პლინიუსის გადმოცემით, სავლაკმა მიიღო რა სამკვიდროდ ხელუხლებელი მიწა, ამბობენ, მოიპოვა მრავალზე მრავალი ოქრო და ვერცხლი სვანების ტომსა და საერთოდ ოქროს საწარმოებით სახელგანთქმულ სახელმწიფოში. მოუთხრობდნენ აგრეთვე მისი ოქროს პალატების, ვერცხლის კოჭების, სვეტებისა და სხვათა შესახებ. სავლაკის სახელს სამეცნიერო ლიტერატურაში უკავშირებენ ბოსფორის მეფის სკვითთა ბელადის სავმაკის სახელს და ნუმიზმატიკური მასალის საფუძველზე ნაწილობრივი ცდაც არის მისი დაახლოებისთვის მეფე „აკეს“ ანუ „აკის" სახელთან, რომელიც აწერია ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ორ ოქროს მონეტას (ამ საკითხების შესახებ იხ. Д. Капанадзе. Новые материалы к изучению статеров Царя Аки. ВДИ, 1948, №1, გვ. 152).

მ ა რ კ უ ს ა ნ ე უ ს ლ უ კ ა ნ უ ს ი (ახ. წ. 39-65), ცნობილი რომაელი პოეტი, რომლის ბიძაც იყო ფილოსოფოსი სენეკა, ბიძის მსგავსადვე დაიღუპა იმპერატორ ნერონის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის — ისიც სიკვდილით დაისაჯა. მისი მთავარი ნაწარმოებია 10 წიგნიანი პოემა „ფარსალია“ ანუ „სამოქალაქო ომი", რომელშიაც აღწერილია იულიუს კეისრისა და პომპეუსის ბრძოლა, რესპუბლიკური სულითაა გაჟღენთილი და განსაკუთრებით მეორე ნაწილში დიდი თავგამოდებით არის დაგმობილი ტირანია. ამ ვრცელ პოემაში, რომელიც, ეტყობა, დაუსრულებელია (იულიუს კეისრის ალექსანდრიაში ყოფნის ამბავზე წყდება), ჩვენთვის საინტერესო მასალა აქა-იქ არის გაბნეული და ერთი მხრით წმინდა ისტორიულ ამბავს ეხება — პომპეუსის კავკასიაში ლაშქრობის შესახებ გაკვრით ნათქვამი ცნობების სახით, მეორე მხრით კი მდიდარ მითოლოგიურ (განსაკუთრებით არგონავტთა ციკლის) სურათოვან მასალას იყენებს. ორივე ამ სახის მასალა კი არაერთგზის არის აგრეთვე თავისებურად განმარტებული, ახსნილი და გავრცობილი ამ პოემის დართულ შემდეგდროინდელ სხვადასხვა სქოლიოებში, რომელთაც თავის მხრივ გარკვეული დამოუკიდებელი ღირებულებაც კი მოეპოვებათ ამა თუ იმ მითოლოგიური ეპიზოდის ინტერპრეტაციის საქმეში.

II წიგნში პოეტი პომპეუსს ალაპარაკებს თავისი ძლევამოსილი ომების შესახებ მითრიდატ ევპატორის წინააღმდეგ და აღნიშნავს: ქვეყნის ყველა მხარეს მივწვდი, ჩრდილოეთით თვით ფასისის ცივ ტალღებამდეც მივედიო (II, 585) და მერე: მე გამიცნეს შეუპოვარმა ჰენიოხებმა და საწმისის გატაცებით ცნობილმა კოლხებმაო (II, 591-2). III წიგნში იმ ადგილას, სადაც ლაპარაკია სამოქალაქო ომში ჩაბმულ რომის ქვეშევრდომ თუ მოკავშირე ხალხებზე, ნახსენები არიან ლაკედემონელი ჰენიოხები, თავზე ხელაღებული ტომი მალი მოჯირითეებისა და სარმაკები, მეზობელი სასტიკი მოსხებისა იქ, სადაც ფასისი მიაპობს კოლხთა დოვლათიან ყანებს, სადაც

არის კრეზოსისთვის საბედისწერო ჰალისი (III, 269-72). ჰენიოხებს ლაკედემონელებს იმ აზრით უწოდებს, რომ ლეგენდის მიხედვით დიოსკურები, რომელნიც (თუ რომელთა მეეტლეებიც) ჰენიოხების წინაპრებად ითვლებიან, სპარტის მეფის ტინდარეოსის ვაჟები იყვნენ. კრეზოსისთვის საბედისწეროდ კი იმიტომ არის ნახსენები ეს მდინარე, რომ აქ დაამარცხა ლიდიის ეს მეფე ძვ.წ. 548წ. სპარსეთის მეფე კიროსმა. საყურადღებოა, რომ მოსხები კოლხთა მიწა-წყლის მახლობლებლად არიან გამოყვანილნი და მოხსენებულ ქართველ ტომთა, ჰენიოხებისა და მოსხების, შეუპოვრობა-შეუდრეკლობაზეა ლაპარაკი.

IV წიგნში (IV, 552-56) გაკვრით, მხატვრული შედარებისთვის, მოყვანილია არგონავტთა ლაშქრობის ის ეპიზოდი, რომელიც გველეშაპის კბილების დათესვას ეხება. VI წიგნში კი (VI, 400-401) ნათქვამია არგონავტთა ხომალდზე, რომ მან პირველად გაჰკვეთა ზღვა და გადაისროლა კაცი უცნობ ტალღებში. VIII წიგნში საინტერესოა პომპეუსის სიტყვები კასპიის კარის ლოკალიზაციის საკითხისთვის. პომპეუსი პართიელებს მიმართავს: მე როცა მივეშურებოდი კასპიის ურდულისაკენ (ასე ეძახის კასპიის კარს) და ვდევნიდი მკაცრსა და მუდამ მეომარ ალანებს, თქვენ საშუალება მოგეცათ აქემენთა ველებზე გაშლილიყავითო (VIII, 222-24).

აქ ლუკანუსის მიხედვით კასპიის კარში თითქოს დარიალი უფრო უნდა იგულისხმებოდეს, რადგან ალანები ჩვეულებრივ სწორედ მის გადასწვრივ მცხოვრებლებად იგულებიან. ლუკანუსის პოემას დართულ სხვადასხვა სქოლიოების (ე.წ. ბერნის, მონტეპესულანის და სხვ.) სათანადო ადგილებში საკმაოდ ვრცლად არის საუბარი პოემაში ნახსენებ ჰენიოხებსა, კოლხეთსა, მოსხებსა და არგონავტთა ცალკე ეპიზოდების შესახებ, აგრეთვე ფასისის, არაქსის და სხვათა შესახებ, მაგრამ განსაკუთრებით თავისებური და გამოსარჩევი თითქოს არაფერი შეინიშნება — განმარტებანი უმთავრესად დამყარებულია ელინისტურ და რომაულ ხანაში საერთოდ ცნობილ ამბებზე. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ დიდი მასალაა გამოყენებული და შესაძლოა სპეციალურმა ჩაკვირვებამ ზოგი საინტერესო დეტალიც გამოამჟღავნოს.

შესავალ ნარკვევში ტაციტუსის ცნობების განხილვასთან ერთად ვცადეთ ეს ცნობები შეგვეპირისპირებინა სხვა ანტიკური, ძირითადად რომაელი მწერლების ცნობებთანაც, რომლებსაც ისინი იძლევიან საქართველოსა და მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველ ტომთა შესახებ. როგორც ტაციტუსი, ისე სხვა ანტიკური მწერლები იქნებიან ისინი წმინდა ისტორიკოსები თუ მხატვრული სიტყვის ოსტატები, თავიანთ თხზულებებში ძირითადად ორი სახის მასალას იძლევიან ჩვენი ქვეყნის წარსულის შესახებ. ერთია საკმაოდ მრავალფეროვანი და ამავე დროს არათანაბარი ღირებულების მქონე გადმოცემები, რომლებიც უმთავრესად ანტიკური მითოლოგიის ისეთ ცნობილ ციკლებთან არის გადანასკვული, როგორიც არის არგონავტთა ციკლი და პრომეთევსის ციკლი; ამასთანავე ის ცნობები, რომელთაც ესა თუ ის ავტორი არა თავისი უშუალო დაკვირვებებისა და თავისი თანამედროვე ეპოქის მონაცემებიდან იღებს, არამედ სხვათა წერილობით და ზეპირ გადმოცემებს ეყრდნობა და ხშირად საკმაოდ შორეული წარსულის სურათსაც მისი თანამედროვე ვითარების ამსახველად წარმოგვიდგენს. სამწუხაროდ, ანტიკური, კერძოდ რომაული ისტორიოგრაფიისა და მწერლობის დიდი ნაწილი ამ ჯურის მასალას უფრო შეიცავს ჩვენი ქვეყნის შესახებ და ამიტომაა საჭირო ამ მასალების, ამ შემთხვევაში ტაციტუსის მასალების, პარალელურად სხვათა ცნობების მოყვანა და შეძლებისდაგვარად გაანალიზებაც, რაც ნაწილობრივ კომენტარების სახითაცაა წარმოდგენილი ამ წიგნში.

მეორე სახის მასალა, შედარებით უფრო მცირე რაოდენობისა, მაგრამ თავისი მნიშვნელობით გაცილებით უფრო დიდი და ღირებული, არის მწერალთა თანამედროვე ვითარების ამსახველი მასალა, როგორც წმინდა ისტორიული ხასიათისა, ისე გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული ხასიათისაც.

ტაციტუსს, როგორც მკითხველიც შენიშნავს, ორივე ზემოხსენებული ხასიათის ცნობები მოეპოვება ჩვენი ერის უძველესი ისტორიის შესახებ — ნაწილობრივ მითოლოგიური სიუჟეტების ზოგი რეალიებიც აქვს მოტანილი ჩვენი ქვეყნის შესახებ, განსაკუთრებით არგონავტთა

ციკლიდან; მეორე მხრით კი სრულიად უნიკალურ ისტორიულ, მართლაც რეალურ ფაქტებსაც მოგვითხრობს განსაკუთრებით მისი დროის (უფრო სწორად, მისი ახალგაზრდობისა და შედარებით ცოტა უფრო წინარე ხანის) — ახ. წ. I საუკუნის მეოთხე-მეექვსე ათეული წლების ისტორიული სინამდვილიდან.

მითოლოგიურ და ნაწილობრივ ეთნოგრაფიულ-გეოგრაფიულ აღწერილობებში (რომლებიც ტაციტუსის ნაშრომთა საერთოდ ნაკლულად მოღწეულობის გამო ძირითადად ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი) ტაციტუსის მიერ მოწოდებული ცნობები დადასტურებას ჰპოვებს სხვა მისი თანამედროვე მწერლების ცნობებშიაც, ამიტომაცაა, რომ ძირითადად ჩვენ უფრო მისი უფროსი თანამედროვე და ნაწილობრივ კი მისი წინამორბედი მწერლების ნაშრომთა შეპირისპირებას მივაქციეთ ყურადღება. ასეთები არიან წინამორბედთაგან, მაგალითად, სახელოვანი პოეტი ოვიდიუსი, ისტორიკოსები პომპეიუს ტროგუსი და პატერკულუსი, უფროს თანამედროვეთაგან კი ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოღვაწე სენეკა, ცნობილი ბუნებისმეტყველი და ისტორიკოსი პლინიუს უფროსი, პოეტი ლუკანუსი და სხვანი. განსაკუთრებით უხვი, მაგრამ არაერთგვაროვანი და არაერთფეროვანი მასალა მოეპოვება, რასაკვირველია, პლინიუს უფროსს თავის ენციკლოპედიურ ნაშრომში — *„ბუნების ისტორია*".

სწორედ ამ პარალელური მასალის გათვალისწინება გვაძლევს საშუალებას უფრო რელიეფურად წარმოვიდგინოთ, რა დიდი ღირებულების ისტორიულ მასალასთან გვაქვს საქმე ტაციტუსის შესანიშნავი საისტორიო თხზულებების სახით, რომლებშიაც ჭეშმარიტად დიდი ისტორიკოსის ალღოთია განჭვრეტილ-გაანალიზებული მაშინდელი რომის ბობოქარი ისტორიის ფაქტები და ამასთანავე რომაელთა ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან, კერძოდ ჩვენს ქვეყანასთან, რომელიც როგორც თვით ტაციტუსის მასალებიდან მკაფიოდ ჩანს და ბოლოდროინდელი არქეოლოგიური გათხრებიც აშკარად მოწმობს, ერთ-ერთი მძლავრი სახელმწიფოთაგანი იყო წინა აზიაში და ტოლს არ უდებდა მაშინდელ ისეთ ორ უდიდეს სახელმწიფოსაც კი, როგორიც იყვნენ რომი და პართია; თამამად ერეოდა მათ გოლიათურ ჭიდილში და ხშირად გამარჯვებულიც გამოდიოდა ამ ბრძოლიდან.

ტაციტუსის ეს ცნობები კი, მართლაც უნიკალური თავისი ხასიათით, სხვა მწერალთა თხზულებებში თითქმის არსად გვხვდება. თუ მხედველობაში არ მივიღებთ დიონ კასიოსის და ნაწილობრივ ზოგი სხვა მწერლის ნაწარმოებებში შემორჩენილ ერთ-ორ გადაკრულ ფრაზას ტაციტუსის ნაშრომებში აღწერილი ამბების შესახებ. ამ გარემოებებმა შეაპირობა დიდი ინტერესი საერთოდ ტაციტუსის, როგორც ისტორიკოსისადმი და კერძოდ ქართული ისტორიოგრაფიისა მისი თხზულებების იმ ნაწილებისადმი, სადაც ჩვენი ქვეყნის შესახებ არის ლაპარაკი. მის ცნობებს გვერდს ვერ აუვლის ქართველი ერის უძველესი ისტორიის ვერც ერთი მკვლევარი. ამასთანავე ტაციტუსის მიერ აღწერილი ეპოქა — ახ.წ. I ს. — თანდათან უფრო და უფრო დიდ ინტერესს იწვევს სამეცნიერო წრეებში იმითაც, რომ მცხეთა-არმაზის არქეოლოგიური გათხრების მასალის დიდი ნაწილი სწორედ ამ ხანას განეკუთვნება და მასალათა შორის კი, როგორც ცნობილია, პირველხარისხოვანი ისტორიული ღირებულების მქონე ეპიგრაფიკული ძეგლებიც იქნა მიკვლეული.

ტაციტუსის ტექსტის გამართვისას ძირითადად დავეყრდენით ტოიბნერის ცნობილ სერიაში გამოცემულ ტექსტს, რომელიც ჰალმ-ანდრეზენის მიერ ნარედაქციევი მასალის მიხედვით მეშვიდედ გამოაქვეყნა ერიკ კესტერმანმა, და რომელიც ახლა ყველაზე უკეთეს კრიტიკულ გამოცემად ითვლება. ამასთანავე გამოვიყენეთ ბევრი სხვა კრიტიკული და კომენტირებული გამოცემა და თარგმანებიც სხვადასხვა ენებზე. ჩვენი ტექსტი ძირითადად სწორედ ჰალმ-ანდრეზენ-კესტერმანის გამოცემას მისდევს და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ვუხვევთ ამ გამოცემის წაკითხვებიდან. თანაც ტექსტის გაგებისათვის ყველა მნიშვნელოვანი კითხვა-სხვაობა სქოლიოში მოგვყავს, როგორც ხელნაწერებისა, რომელთა რიცხვი, როგორც აღვნიშნეთ, ძალიან მცირეა, ისე გამოცემებისა, რომლებიც უმეტესად გვიანდელი ხელნაწერებით მოღწეული დამახინჯებული ადგილების გასწორებას წარმოადგენს. უახლესი გამოცემებიდან ხელთ

გვქონდა აგრეთვე ე.წ. ლობის კლასიკური ბიბლიოთეკის სერიაში გამოქვეყნებული ტექსტები „ისტორიანი“-სა კლიფორდ მურის და „ანალებისა" ჯონ ჯეკსონის რედაქციითა და პარალელური თარგმანით, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ გამოცემებში საერთოდ ძუნწადაა მოცემული კრიტიკული აპარატი, ვარიანტებში მხოლოდ მნიშვნელოვანი სხვაობანია აღნიშნული. უმთავრესი გადახვევებიდან აღსანიშნავია ის, რომ ტოიბნერის ამ კრიტიკულ გამოცემაში V და U ბგერები ძველი ხელნაწერების ტრადიციის მიხედვით მარტო ერთი U ნიშნით არის გადმოცემული, ჩვენსაში კი გვიანდელი წესის მიხედვით განვასხვავეთ, რადგან არასპეციალისტი მკითხველისთვის ეს უფრო მოსახერხებელია. თვით ტაციტუსის ტექსტებისა და მის პიროვნებასა და ეპოქასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა რენესანსის ხანაში დაიწყო და მისი სრული ბიბლიოგრაფია ახლა ალბათ რამდენიმე ათას ერთეულს მაინც მოიცავს, მათ შორის ასობით გამოცემასა და თარგმანს სხვადასხვა ენებზე. „ანალების" XI-XVI წიგნები, „ისტორია", „გერმანია“ და „დიალოგი ორატორთა შესახებ“ პირველად ვინდელინუს დე სპირამ გამოაქვეყნა ვენეციაში 1470 წ. პირველი სრული კრებულის გამოცემა კი ცნობილმა ბეროალდუსმა განახორციელა 1515 წ. რომში. მას შემდეგ უამრავი გამოცემა გამოვიდა, როგორც ორიგინალის, ისე სხვა ენებზე; ზოგ ენაზე რამდენიმე თარგმანის სახითაც. სხვა გამოცემებიდან აღსანიშნავია გრონოვიუსის (I670), ლიპსიუსის (I574), კ. ჰალმის (1850), ე. ვოლფის (I886), კ. ჰერეუსის (I904), გოდლის (I887), უ. სპუნერის (I89I), ფიშერის (I9I0), ნიპერდეის (I87I-74), დრეგერის (I868) და სხვათა გამოცემები. უკვე არსებობს აგრეთვე თითქმის მთელი ტაციტუსის ხელნაწერთა ფოტოტიპიური გამოცემებიც და სხვ. მაგრამ ძირითადია, როგორც ითქვა ე. კესტერმანის უკანასკნელი გამოცემა, მოკლე რჩეული ბიბლიოგრაფიული ცნობებითა და ლიტერატურის მითითებებით: P. Cornelii Taciti libri qui supersunt. Post C. Halm — G. Andresen septimum edidit E. Koestermann, I-II, Lipsiae, in aIdibus B. G. Teubneri, I952.

სხვა მნიშვნელოვანი გამოცემები:

Taciti opera. Ex recensione I. A. Ernesti denuo curavit Ier. Iac. oberblinus, I-II, Lipsiae, I801.

Taciti opera minora. Recensuit et commentarios suos adiecit G. H. Walther, Halis Saxonum, 1833.

Taciti omnia, quae extant opera, Juxta accuratissimam Burnouf editionem cum notulis, Parisiis, I842.

Taciti opera omnia. Ab Lipsio Gronovio Heinsio Ernestio Wolfio emendatus et illustratus ab J. Bekkero ad codices antiquissimos recognitus, I--II, Lipsiae, 1831.

C. Cornelii Taciti opera. Ad. Optimarum librorum fidem recognovit et annotatione perpetua triplicique indice instruxit G. Ruperti, I-IV, Hanoverae, 1834.

Taciti opera. Ed. Fr. Haase, Lipsiae, I-III 1855.

Taciti opera. recognitus ab J. Bekkero, I-II, Lipsiae, 1831.

Taciti opera, erklärt von K. Nipperdey, I-III, Beriin, 1864.

Tacitus, Die Annalen, ausgegeben von A. Draeger, I- III, Lipsiae, 1873.

Taciti 0pera quae supersunt ab I. G. Baterio recensuit atque interpretatus est. I. 0rellius, I-II, Turici, 1859.

Taciti historiarum libri qui supersunt. Erklärt von. E. Wolff, I-II, 1914-1926, Berlin.

Taciti libri qui supersunt. Recognovit C. Halm. Editionem quintam curavit G. Andresen, I-II, Lipsiae, 1920.

Tacite, Oeuvres. Texte etabli et traduit par h. Gcelzer, H. Bornicque, G. Rabaud, I-IV, 1921-1924, Paris.

Codices graeci et latini photogr. Depicti VII 1-2, praefatus est E. Rostagno, Leiden, 1902. (Taciti Cod. Laurent. Med. 68, I et 68,2).

თარგმანები:

Тацит, Полное собрание сочинений, пер. В. Модестова, т. I-II, СПб., 1885.

Тацит, Собрания в I-II т., Издание подготовили А. Бобович, Я. Боровский, М. Сергеенко, Лен, 1969.

Tacite, Oeuvres complétes, traduites en français par J. L. Burnouf, Paris, 1933-4.

C. Tacitus Werke, übersetzt von H. Gutmann, Stuttgart, 1831.

Tacitus Werke, übersetzt von K. L. Woltmann, Berlin, 1811.

Tacitus, The Works. The Oxford translation, revised, with notes, I-II, London, 1854.

Tacitus, Histories and Annals, Translated by C. Moore, J. Jackson, I-IV, Loeb classical Library, London, 1952.
Tacitus, Dialogus, Agricola, Germania, translated by W. Peterson and M. Hutton, London, 1952.
ტაციტუსის ცხოვრება და შემოქმედება:
Schanz-Hosius, Geschichte der römischen Litteratur, II, München, 1935.
Teuffel, Geschichte der römischen Litteratur, bearbeitet von W. Kroll und F. Skutsch, III, Leipzig, 1913.
Peter H., Die geschichtliche Litteratur über die römische Kaizerzeit, Leipzig, 1897.
Boissier G., Tacite, Paris, 1903.
Fabia P., Les sources de Tacite dans les Annales et les Histoires, Paris, 1893.
Bötticher G., Lexicon Taciteum, Berolini, 1831.
Gerber A. Greef, Lexicon Taciteum, Lipsiae, 1903.
Модестов В., Лекции по истории римской литературы, СПб., 1888.
Модестов В. И., Тацит, СПб., 1864.
Корнелий Тасит, Сочинения в двух томах, I, Анналы; Малые произведения, II, История. Лен., 1969.
Domaszewski A., Geschichte der römische Kaiser, I-II, Leipzig, 1909.
Norden E., Antike Kunstprosa, I, Leipzig-Berlin.
Mendel C. W., Tacitus. The Man and his Work, London, 1957.

***

ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ

(ქართული თარგმანი ლათინური ტექსტიდან)

ა ნ ა ლ ე ბ ი

წიგნი II.

55. ამასობაში გნეუს პიზონი (გნეუს კალპერნიუს პიზონი — კონსული ძვ.წ. 7 წ., სირიის პროკონსული ახ.წ. 17 წ. გერმანიკუსის მტერი), რომელიც ჩქარობდა განზრახულის განხორციელებას შედგომოდა, მისი შმაგი შეჭრით დამფრთხალ ათენელთა სახელმწიფოს სასტიკი სიტყვით ლანძღავს, ხოლო გადაკვრით გერმანიკუსსაც კიცხავს, წინააღმდეგ რომის სახელის დიდებისა ნამეტანი ალერსით რომ პატივი სცა არა იმდენი უბედურებებით განადგურებულ ათენელებს, არამედ [სხვადასხვა] ხალხთაგან [შეყრილ] ამ ბინძური ნაძირალების ბრბოს; ვინაიდან ხომ ესენი იყვნენ მითრიდატის მოკავშირენი სულას წინააღმდეგ, ანტონიუსის მოკავშირენი ღვთაებრრივი ავგუსტუსის წინააღმდეგ. ...საქმეთა ეს ვითარება იცოდა გერმანიკუსმა **(1)**, მაგრამ მისი გადაუდებელი საზრუნავი იყო არმენიელებისათვის მიეხედა.

56. ამ ერს **(2)**, ადამიანთა ბუნებისა და ქვეყნების მდებარეობის მიხედვით, ადრიდანვე ორაზროვანი (ორბუნებოვანი) ხასიათი ჰქონდა, რადგან, მართალია, დიდ მანძილზე ეკვრის ჩვენი პროვინციების საზღვრებს, მიდიაშიც დიდ მანძილზე იჭრება. ასე რომ ისინი, ორ უზარმაზარ სახელმწიფოს შორის მოქცეულნი, რომლებთანაც, რაკი რომაელები ეზიზღებათ, პართელებისა კი შურთ, ხშირად არიან მათთან უთანხმოებაში. იმ ხანად მეფე არ ყავდათ, ვონონის **(3)** მოშორების შემდეგ, მაგრამ ხალხის სურვილი პონტოს მეფის პოლემონის ძის ზენონისკენ **(4)** იხრებოდა; რადგან ამ უფლისწულმა, ადრე ბავშვობიდანვე სომხური წესრიგისა და ჩაცმულობის მიმყოლმა, ერთნაირად მოინადირა მაღალი და დაბალი ფენების გული ნადირობის, ქეიფისა და ბარბაროსთათვის სხვა საყვარელი დროსტარებებით. ამიტომ ქალაქ არტაქსატაში **(5)**, წარჩინებულთა თანხმობით, დიდძალი ხალხის წინაშე გერმანიკუსმა თავს დაადგა სამეფო გვირგვინი. სხვებმა (ე.ი. არა რომაელებმა) თაყვანი სცეს და მიესალმენ, როგორც არტაქსიას. ეს სახელი კი ქალაქის სახელის მიხედვით დაარქვეს.

60. ... შემდეგ [გერმანიკუსმა] ნახა ძველი თებეს **(6)** უზარმაზარი ნაშთები. ნანგრევებზე კიდევ იყო შემორჩენილი ეგვიპტური წარწერები (ასოები), რომელნიც ძველი დიდების [ამბავს]

შეიცავდა. როცა ერთ მოხუც ქურუმს უბრძანეს, გადმოეთარგმნა თავის მშობლიური ენიდან, მოუთხროთ, რომ ოდესმე ამ ქალაქში ბინადრობდა სამხედრო ასაკის შვიდასი ათასი კაცი და ამ ჯარით მეფე რამზესმა **(7)** დაიპყრო ლიბია, ეთიოპია, მიდიელები და სპარსელები, ბაქტრიელები და სკვითები და ის ქვეყნები, სადაც სირიელები და არმენიელები და მათი მეზობელი კაპადოკიელები ცხოვრობდნენ და ეპყრა მთელი [ტერიტორია] იქით ბითინიის ზღვიდან აქეთ ლიკიის ზღვამდე **(8)**. კიდევ ამოიკითხებოდა ამ ხალხებისათვის განკუთვნილი ხარკის სიაც — ვერცხლისა და ოქროს რაოდენობა, იარაღისა და ცხენების რიცხვი. ტაძრებისთვის შესაწირავი სპილოს ძვალი და ნელსურნელებანი, აგრეთვე ხორბლეულისა და სხვა სახმარის რაოდენობა, რაც ყოველ ერს უნდა გადაეხადა — ხარკი არა ნაკლებ საგრძნობი, ვიდრე ის, რომელსაც ახლა იღებენ ძალით პართელები ანდა რომაელთა ხელისუფლება.

68. ამ დროს ვონონმა **(9)**, რომლის წაყვანის ამბავი კილიკიაში უკვე მოვიხსენიე, მოისყიდა მცველები და სცადა გაქცეულიყო არმენიაში, მერე ალბანებთან, ჰენიოხებთან და თავის ნათესავ სკვითიის მეფესთან. სანადიროდ წასვლის საბაბით დასტოვა სანაპირო, შევიდა დაბურულ ტყეში, მიენდო ცხენის სისწრაფეს და მიაშურა მდინარე პირამოსს, სადაც მისი გაქცევის ამბის შემტყობმა იქაურმა მცხოვრებლებმა ხიდი ჩაშალეს, ფონით გასვლა კი არ შეეძლო. ამიტომ მდინარის ნაპირას იგი შეიპყრო მხედართა პრეფექტმა ვიბიუს ფრონტონმა. მერე რემიუსმა, რომელიც წინათ მეფის მცველთა უფროსად იყო, მახვილი გაუყარა, ვითომცდა გაბრაზებულმა, რითაც უფრო მეტი სარწმუნო ხდება, რომ დანაშაულის შეგნებისა და სასჯელის შიშით მოკლა მან ვონონი **(10)**.

წიგნი IV.

5, (1). იტალიის ორივე მხარეს ზღვას მიზენუმსა და რავენაში მდგარი ორი ფლოტი, ხოლო გალიის უახლოეს სანაპიროს ცხვირებიანი ხომალდები იცავდნენ, რომლებიც აქციუმის [ბრძოლებში] გამარჯვების მემდეგ ხელთ იგდო ავგუსტუსმა და ქალაქ ფორუმიულიუმს გაგზავნა მძლავრი ეკიპაჟებითურთ. მაგრამ მთავარი ძალა, რვა ლეგიონი, რაინთან იდგა გერმანელებისა და გალებისგან თანაბრად დასაცავად. ახლახან დამორჩილებული ესპანეთის **(11)** სამ [ლეგიონს] ეჭირა. მავრები მეფე იუბამ **(12)** მიიღო, როგორც რომაელი ხალხის ძღვენი.

(2) დანარჩენ აფრიკას იცავდა ორი ლეგიონი და ამდენივე — ეგვიპტესაც; ამის შემდეგ ოთხი ლეგიონი იცავდა სირიიდან მოყოლებული მდინარე ევფრატამდე უზარმაზარ ტერიტორიაზე რაც ქვეყნებია მოქცეული, მეზობლად იბერთა, ალბანთა და სხვა მეფეებისა, რომელნიც ჩვენი ძლევამოსილებითა და დიდებით უმკლავდებიან უცხო ძალაუფლებას **(13)**.

(3) თრაკია რემეტალკოსსა **(14)** და კოტისის შვილებს ეჭირა, ხოლო დანუვიუსის ნაპირი — ორ ლეგიონს პანონიაში, ორს კი მეზიაში...

წიგნი VI.

31. გაიუს ცესტიუსისა და მარკუს-სერვილიუსის კონსულობის დროს **(15)** პართი დიდებულები მოვიდნენ ქალაქს მეფე არტაბანის **(16)** ნამალავად. მან, გერმანიკუსის შიშით ერთგულმა რომაელებისა და სამართლიანმა თავისიანებისადმი, მალე გამოიჩინა ამპარტავნობა ჩვენდამი და სისასტიკე ხალხის მიმართ, რადგან იგი გააამაყა მეზობელი ხალხების წინააღმდეგ წარმატებით ჩატარებულმა ომებმა და ტიბერიუსის, როგორც ომისთვის უძლურის მოხუცებულობამ; და ცდილობდა არმენიის დაპყრობას, რომლის ტახტზეც, მეფე არტაქსიას **(17)** სიკვდილის შემდგომ, თავისი უფროსი ძე არშაკი **(18)** დასვა. ამას დაურთო შეურაცხყოფაც და გაუგზავნა მოთხოვნა, დამიბრუნე ვონონის მიერ სირიასა და კილიკიაში დატოვებული განძი, ამასთანავე აღადგინე სპარსელთა და მაკედონელთა ძველი საზღვრებიო; თანაც თავხედურად იმუქრებოდა, შემოვიჭრები ჯერ კიროსისა და მერე ალექსანდრეს მიერ დაპყრობილ ადგილებშიო. მაგრამ საიდუმლო მოციქულთა გამოგზავნის ყველაზე უფრო თავგამოდებული მოწადინე პართებში იყო სინაკესი, წარჩინებული ოჯახიშვილი და მდიდარი, და მასთან უახლოესი — აბდუსი, კაცობას მოკლებული. ოღონდ ეს არ ითვლება სამარცხვინოდ ბარბაროსებში და უფრო მეტი ძალაც აქვთ. მათ სხვა წარჩინებულნიც მიიმხრეს და რადგან არ

შეეძლოთ დაესვათ ტახტზე არშაკიდების ვინმე ჩამომავალი, ვინაიდან უმრავლესობა არტაბანმა გასწყვიტა, სხვები კი უასაკონი იყვნენ, რომიდან ითხოვეს ფრაატი, მეფე ფრაატის **(19)** ძე: საჭიროა მხოლოდ სახელი და ხელის შემწყობი, რათა კეისრის ნებით არშაკის შთამომავალი იხილონ ევფრატის ნაპირზეო.

32. ტიბერიუსსაც ეს უნდოდა: მოამზადა ფრაატი და დანიშნა მამეულ ტახტზე, ერთგულმა თავისი წესისა — უომრად, თათბირითა და ეშმაკობით, მოეგვარებინა საგარეო საქმეები. ამასობაში არტაბანმა შეიტყო შეთქმულების [ამბავი] და ხან შიშით იკავებდა თავს, ხან კი შურისძიების წყურვილით იწვოდა. ბარბაროსებში ყოყმანი მონურ, ხოლო სწრაფად აღსრულება მეფურ ქცევად ითვლება. მაგრამ მაინც იმდენად სძლია სარგებლიანობის ფიქრმა, რომ მეგობრობის ნიშნად აბდუსი ლხინზე მოიწვია და ნელა მოქმედი შხამით მოაწამლინა, სინაკესი კი დააბრკოლა თავის მოჩვენებით, საჩუქრებით და აგრეთვე საქმეებითაც. სირიაშიც ფრაატი, რომელმაც ამდენ წელს ნაჩვევ რომაული ცხოვრების წესრიგს მოკლებულმა პართთა ზნეჩვეულებანი მიიღო. მშობლიურ ადათებს კი ვერ გაუძლო, ავადმყოფობით გარდაიცვალა. მაგრამ ტიბერიუსი არ მოეშვა დაწყებულ საქმეს: არტაბანის მოქიშპედ იმავე სისხლის შთამომავალ ტირიდატს **(20)** ირჩევს, ხოლო სომხეთის დასაბრუნებლად იბერიელ მითრიდატს **(21)** და თანაც შეარიგებს ძმა ფარსმანთან, რომელსაც საგვარეულო სახელმწიფო ეპყრა; ხოლო ყველაფრის, რაც აღმოსავლეთში ხდებოდა, გამგებლად ლუციუს ვიტელიუსი **(22)** დანიშნა. იმ კაცის შესახებ, მე ვიცი, ავი ხმა დადიოდა და ახსოვდათ ბევრი [მისი] ცუდი; თუმცა პროვინციებში გამგებლობის დროს კი ძველებური სიქველით უძღვებოდა საქმეს. იქიდან დაბრუნების შემდეგ, გაიუს კეისრის შიშითა და კლავდიუსის მახლობლობით, იგი საზიზღარ მონად იქცა და შთამომავლობაში პირმოთნეობის საძაგელ ნიმუშად ითვლებოდა. პირველი ადგილი შემდეგდროინდელმა [მისმა საქმეებმა) დაიჭირა და კარგი ახალგაზრდობა სამარცხვინო მოხუცებულობამ წაშალა.

33. უფლისწულთა შორის პირველად მითრიდატმა წააქეზა ფარსმანი, ხერხითა და ძალით ხელი შეეწყო მისი ცდისთვის და გამონახული მექრთამეები ბევრი ოქროთი არშაკის მსახურთ დაიყოლიებენ ბოროტმოქმედებაზე; ამასთანავე იბერიელები დიდძალი ლაშქრით არმენიაში შეიჭრებიან და ქალაქ არტაქსატას დაიპყრობენ. ეს რომ არტაბანმა შეიტყო, შურის საძიებლად ძეს, ოროდს ამზადებს: აძლევს პართთა ლაშქარს და გზავნის [კაცებს] დამხმარე ჯარის დასაქირავებლად. საწინააღმდეგოდ, ფარსმანმა მოირთო ალბანები, მოუწოდა სარმატებს, რომელთა სკეპტუქოსები, იღებენ რა საჩუქრებს (სასყიდელს, ქირას?) ორივე მხრიდან, მამაპაპური ჩვეულების თანახმად, ორივე მხარეს ემხრობიან. მაგრამ ადგილების მფლობელი იბერები კასპიის გზით **(23)** სასწრაფოდ შეუშვებენ არმენიელების წინააღმდეგ სარმატებს; ხოლო მათ, ვინც პართებთან მიდიოდნენ, ადვილად აჩერებდნენ, რადგან სხვა გასასვლელები მტერმა ჩაკეტა, ხოლო ერთადერთი დარჩენილი [გასასვლელი) ზღვასა და ალბანთა მთის კიდეს შორის **(24)** ზაფხულში გაუვალია, ვინაიდან პასატის ქარები წყლით ფარავენ (მეჩეჩოვან) ნაპირს, ხოლო ზამთარში სამხრეთის ქარი უკან ერეკება ტალღებს და როცა წყალი დაიწევს, სანაპიროს ვიწრო გასასვლელი შიშვლდება.

34. ამასობაში მოკავშირეებს მოკლებულ ოროდს დამხმარე ჯარით გაძლიერებული ფარსმანი საბრძოლველად იწვევს და რაკი იგი თავს იკავებს, თავს ესხმის: ამხედრებული მიადგება ბანაკს, არბევს საფურაჟე ადგილებს და ხშირად ალყის მსგავსად არტყამს საგუშაგოებს, ვიდრე პართებმა ვეღარ აიტანეს შეურაცხყოფა, შემოეხვივნენ მეფეს და მოითხოვეს ბრძოლა. მათი ერთადერთი ძალა მხედრობა იყო, ფარსმანი კი ძლიერი იყო ქვეითითაც, ვინაიდან იბერები და ალბანები, რაკი მთაგორიან ადგილებში ცხოვრობენ, ატანასა და მოთმენას უფრო მეტად არიან შეჩვეულნი. ამბობენ, რომ თესალიელებისგან არიან წარმოშობილნი **(25)** იმ დროს, როცა იასონი მედეას წაყვანასა და მასთან შვილების გაჩენის შემდეგ დაბრუნდა უკან აიეტის ცარიელ სასახლესა და თავისუფალ (უმეფო) კოლხებში. ბევრიც მოგვაგონებს მის სახელსა და ფრიქსოსის ორაკულს **(26)**; არც ვინმე სწირავს ვერძს, რადგან

სჯერათ, რომ მან ჩამოიყვანა ფრიქსოსი, იყო ის პირუტყვი თუ ხომალდის ნიშანი. როდესაც დასტები ორივე მხარეს საომრად განეწყვნენ, პართმა ბევრი ილაპარაკა აღმოსავლეთზე მბრძანებლობასა და არშაკიდების ბრწყინვალებაზე; თანაც დაუპირისპირა მდაბიო იბერიელს [მისი] როქის სპით. ფარსმანმა კი უთხრა თავისიანებს: პართთა ბატონობა არ გვიწვნევია და, რაც უფრო ვეცდებით, მით მეტ სახელს მოვიხვეჭთ გამარჯვებით; ხოლო თუ [მტერს] ზურგი ვუჩვენეთ, სირცხვილსა და ხიფათში ჩავცვივდებითო. ამასთანავე თავიანთ მრისხანე საომარ წყობასა და მიდიელების ოქროში დაკაზმულ რაზმებზე მიუთითა: აქ ვაჟკაცები არიან, იქ კი საშოვარიაო.

35. მაგრამ სარმატებში მარტო სარდლის სიტყვა არ [გაისმის], თვითონაც აქეზებენ ერთმანეთს, რომ მშვილდოსნებს ბრძოლა არ დაანებონ, არამედ დაასწრონ შეტევით და ხელჩართული ბრძოლით. ამიტომ მებრძოლთა სხვადასხვა სახეობანიც იყო: მაშინ როდესაც პართმა, ერთნაირად ნაჩვევმა დევნას ანდა გაქცევას, გაშალა მხედართა რაზმები და ეძიებდა შესატევ სივრცეს, სარმატებმა თავი მიანებეს მშვილდს, რომლითანაც უფრო ახლო მანძილზე მძლავრობენ და შუბებითა და მახვილებით ეძგერენ. ცხენოსანთა ბრძოლის წესის მიხედვით ხან პირდაპირ უტევდნენ, ანდა ზურგს უბრუნებდნენ, ხან კი შეჯგუფებული დასტები სხეულისა და იარაღის ძალით აწვებოდნენ მტერს, ანდა მისგან განიცდიდნენ მოწოლას. უკვე ალბანებმა და იბერებმა დაუწყეს ხელის ტაცება და ჩამოყრა და საეჭვო გახადეს ბრძოლის [ბედი] მტრებისთვის., რომელთაც ზემოდან მხედრები, უფრო ახლოს კი ქვეითები აყენებდნენ ჭრილობებს. ამასობაში ფარსმანი და ოროდი, რომელნიც მამაცებს აგულიანებდნენ, ხოლო შემკრთალთ შეეწეოდნენ, შესამჩნევნი და ამით შეცნობილნი, ყიჟინითა და შებების [სროლით] ცხენდაცხენ მიაშურებენ ერთმანეთს. ოღონდ ფარსმანი უფრო ფიცხად — რადგან ჩაჩქანი გაუხეთქა და დასჭრა [ოროდი]. ოღონდ დარტყმის მონაცვლება ვეღარ შესძლო, ვინაიდან ცხენმა გაიტაცა დაჭრილი და თანაც უმამაცესმა მხლებლებმა დაიფარეს. მაგრამ მოკვლის შესახებ გავარდნილმა ყალბმა ხმამ, რომელიც ირწმუნეს, დააფრთხო პართები და დასთმეს გამარჯვება.

36. მალე **(27)** არტაბანი მთელი სამეფოს ძალით წამოვიდა შურის საძიებლად. ადგილმდებარეობის ცოდნის წყალობით იბერები უკეთ იბრძოდნენ. [არტაბანი] მაინც არ დაიხევდა უკან, რომ ვიტელიუსს თავი არ მოეყარა ლეგიონებისთვის და ხმა არ დაეგდო, მესოპოტამიაში შეჭრას ვაპირებო, და [ამით არტაბანს] რომაელებთან ომის ატეხისა არ შეშინებოდა. მაშინ დატოვეს არმენია და არტაბანის ბედი უკუღმა დატრიალდა, ვინაიდან ვიტელიუსი ჩააგონებდა [მის ქვეშევრდომებს], მიეტოვებინათ მშვიდობიანობის დროს სასტიკი და ომიანობის დროს [მათი] დამღუპველი უბედური მეფე. ამიტომ სინაკესმა, რომელიც როგორც წინათ მოვიხსენიე, განაწყენებული იყო, ღალატში ჩაითრია მამა აბდაგეზესი და სხვანი, რომელნიც [უწინ] ზრახვებს მალავდნენ, ახლა კი, განუწყვეტელი მარცხების შემდეგ, უფრო გათამამდნენ. ნელ-ნელა [მათ] შემოუერთდნენ ისინი, ვინც უფრო მეტად შიშით, ვიდრე კეთილი ნებით მორჩილებდნენ [მეფეს] და როცა წამქეზებლები გამოჩნდნენ, [უფრო] მოიცეს გული (გამხნევდნენ). არტაბანს აღარც აღარავინ შემორჩა გარდა უცხოელი პირადი მცველებისა, თავიანთი სამშობლოდან გამოძევებულებისა, რომელთაც ვერც სიკეთე შეუგნიათ და არც ბოროტებას დაგიდევენ, ქირით კი ხელს უწყობენ ბოროტმოქმედებებს. წაიყვანა რა ესენი, სასწრაფოდ გაიქცა შორეულ, სკვითიის მომიჯნავე [მხარეში], დახმარების [შოვნის] იმედით, ვინაიდან ჰირკანიელებთან და კარმანიელებთან დანათესავებული იყო; ხოლო ამასობაში პართები, რომელნიც შორს მყოფ [ხელმწიფეებს] იწყნარებენ, იქ მყოფთ კი აუხირდებიან ხოლმე, იქნებ მონანიებისკენ გადახრილიყვნენ.

37. მას შემდეგ რაც არტაბანი გაიქცა და ხალხის განწყობილება ახალი მეფისაკენ გადაიხარა, ვიტელიუსმა დაარწმუნა ტირიდატი, შემზადებული [ტახტი] დაეპყრო და ლეგიონებისა და მოკავშირეთა რჩეული ჯარი ევფრატის ნაპირს მიაყენა. მდინარის დასაწყნარებლად მსხვერპლის შეწირვის დროს, როცა ეს (ე.ი. ვიტელიუსი) რომაული ადათისამებრ ცხვარ-ღორ-ხარს წირავდა, ის (ე.ი. ტირიდატი) კი ცხენს უძღვნიდა, იქაურებმა შეატყობინეს, ევფრატმა

სრულიად უწვიმრად თავისთავად მოიმატა უზომოდო. ამასთანავე თეთრი ქაფით დიადემისებურ წრეებს იკეთებს და [ეს მისი] წარმატებით გადალახვის ნიშანიაო. ზოგი უფრო ჭკვიანურად განმარტავდა, რომ პირველი ცდა წარმატებული და არც თუ ხანგრძლივი იქნება, ვინაიდან ის [ნიშნები], რომელთაც მიწა და ზეცა გვიწინასწარმეტყველებენ, უფრო სარწმუნონი არიან, მდინარეთა დაუდეგარი (ცვალებადი) ბუნება კი გამოჩენისთანავე წარიტაცებს [კეთილ] ნიშნებსო, მაგრამ როცა ნავების ხიდი გამართეს და ჯარი გადაიყვანეს, პირველად ბანაკში ორნოსპადესი მოვიდა მრავალი ათასი მხედრითურთ. იგი ოდესმე გადმოხვეწილი იყო, ტიბერიუსს დალმატიის ომის დამთავრებაში წარმატებით მოეხმარა და მას რომის მოქალაქეობა ებოძა; შემდეგ მალე კვლავ მოიპოვა მეფის მეგობრობა, დიდი პატივი მის წინაშე და პრეფექტობა [იმ] ველისა, რომელსაც სახელოვანი მდინარეები ევფრატი და ტიგრი ჩამოუდის აქეთ-იქიდან და სახელად მესოპოტამია ეწოდება. მცირე ხნის შემდეგ სინაკესი ამრავლებს ჯარს და პატრიის სვეტი აბდაგეზესი სამეფო ხაზინასა და მოკაზმულობას უმეტებს. ვიტელიუსმა ჩასთვალა რა საკმაოდ რომაული იარაღის წარმოჩენა, მოაგონა ტირიდატს და უპირველესთ — ამას (ე.ი. ტირიდატს) რათა მოეგონებინა პაპა ფრაატი და გამზრდელი კეისარი და რაც ორთავეს მშვენიერი [მოეპოვებოდათ], იმათ კი — შეენარჩუნებინათ მორჩილება მეფისადმი, პატივისცემა ჩვენდამი და თავიანთი სინდის-ნამუსი, ამის შემდეგ ლეგიონებიანად სირიაში დაბრუნდა.

წიგნი XI.

8. ამავე დროს მითრიდატი **(28)**, რომელიც, როგორც მოვიხსენიე, არმენიაში მეფობდა და გაიუს კეისრის **(29)** [ბრძანებით] ბორკილდადებული იყო, კლავდიუსის ჩაგონებით სამეფოში დაბრუნდა, დაიმედებული ფარსმანის შემწეობაში. იბერთა ეს მეფე და თანაც ძმა მითრიდატს ატყობინებდა: პართებში არეულობაა, უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება (ე.ი. სამეფო ტახტი) ორჭოფულ [მდგომარეობაშია], მცირე საქმეები კი უყურადღებოდ არის დაყრილიო. ვინაიდან გოტარზმა სხვა მრავალ სისასტიკეთა შორის ძმის, არტაბანისა და მისი ცოლშვილის დახოცვაც ჩაიდინა, შიშმა შეიპყრო დანარჩენი [ხალხი] და ვარდანი მოიწვიეს. მან, როგორც დიდ და სახიფათო საქმეებში ფიცხმა, ორ დღეში სამი ათასი სტადიონი გადალახა და გაოგნებული და დამფრთხალი გოტარზი **(30)** განდევნა. დაუყოვნებლივ უახლოესი ოლქებიც ხელთ იგდო, ოღონდ მარტო სელევკიელებმა უარჰყვეს მისი ბატონობა. მათ, როგორც აგრეთვე მისი მამის წინააღმდეგ განდგომილებს, უფრო მეტად განურისხდა, ვიდრე ამჟამად საქმის ვითარება ითხოვდა და ჩაება ძლიერი, მდინარითა და გალავნით გამაგრებული და სურსათიანი ქალაქის **(31)** წინააღმდეგ ალყაში. ამასობაში გოტარზე დაჰებისა და ჰირკანების შემწეობით ომს ანახლებს და ვარდანი იძულებული ხდება სელევკიას თავი დაანებოს და ბაქტრიის ველზე დასცეს ბანაკი.

9. ახლა ვინაიდან აღმოსავლეთის ძალები დაქსაქსული იყო და ბუნდოვანი ჩანდა, რომელი მხარე გაიმარჯვებდა, მითრიდატს ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა არმენიის დასაპყრობად — რომაელთა სამხედრო ძალით ხელთ იგდო მთის ციხე-სიმაგრეები, ხოლო იბერიელთა ჯარი კი ბარად დათარეშობდა; აღარც არმენიელებს გაუწევიათ წინააღმდეგობა მას შემდეგ, რაც სარდალი დემონაქტი **(32)**, რომელმაც ხელის გამოღება გაბედა, ივლტო. ცოტაოდენი შეფერხება გამოიწვია მცირე არმენიის მეფე კოტისმა **(33)**, რომელსაც ზოგიერთი წარჩინებული მიუდგა. მერმე ისიც დაემორჩილა კეისრის **(34)** წერილს და მთელი [არმენია] მითრიდატის ხელთ გადავიდა, რომელიც უფრო სასტიკად იქცეოდა, ვიდრე ეს მის ახალ ხელისუფლობას შეშვენოდა. ამასობაში, პართთა ხელმწიფენი რომ საბრძოლველად ემზადებოდნენ, ანაზდად შერიგდებიან, როცა შეიტყობენ ხალხის შეთქმულების ამბავს, რომელიც გოტარზმა აცნობა ძმას. ერთმანეთს რომ შეხვდნენ, ჯერ ყოყმანით, მერმე კი უფრო მტკიცედ გაუწოდეს მარჯვენა ხელი ერთურთს და ღმერთების საკურთხევლის წინაშე დაიფიცეს, ღალატისთვის შური ეძიათ მტრებზე და ერთმანეთში შეთანხმებულიყვნენ. რაკი სამეფო ხელისუფლების შესანარჩუნებლად ვარდანი უფრო ძლიერ პიროვნებად იქნა მიჩნეული, გოტარზი, რათა ქიშპობას გასცლოდა, შიდა

ჰირკანიაში გაერიდა. ვარდანი რომ დაბრუნდა, განდგომის მეშვიდე წელს მას დაემორჩილა სელევკია, პართთა სამარცხვინოდ, რომელთაც ერთი ქალაქი ამდენ ხანს მასხარად იგდებდა.

10. შემდეგ [ვარდანმა] უძლიერესი პრეფექტურები მოიარა; არმენიის ხელახლა დაპყრობისკენ ისწრაფოდა, ომის მუქარით რომ არ დაებრკოლებინა ვიბიუს მარსუსს — სირიის ლეგატს. ამასობაში გოტარზე თავს უყრის ლაშქარს, რადგან ნანობს სამეფოს დათმობას, თანაც საომრად მოუწოდებენ წარჩინებულნი, რომელთაც მშვიდობიან დროს უფრო უმძიმთ მონური მორჩილება; მერე მდინარე ერინდესთან დახვდება. ეს მდინარე ვარდანმა დიდი ბრძოლით გადალახა, წარმატებით გადახდილი ბრძოლების შედეგად დაიპყრო ხალხები, რომლებიც მდინარეებს — ერინდესა და სინდეს — შორის ცხოვრობენ (სინდე დაჰებსა და არიელებს ჰყოფს ერთმანეთისაგან). იქ საზღვარი დაედო წარმატებებს, რადგან პართელები, გამარჯვებათა მიუხედავად, უარჰყოფდნენ ომს შორეულ მიწაზე. ამრიგად, ძეგლები აღმართა რა თავისი ძლიერების დასტურად და იმის აღსანუსხავად, რომ ადრე არც ერთ არსაკიდს არ დაუხარკავს ის ტომები, [ვარდანი] უკან დაბრუნდა, დიდებით მოსილი, ხოლო მით უფრო აღვირახსნილი და გაუსაძლისი ქვეშევრდომთათვის. იგი მოკლეს ნადირობით გატაცებული, ისე რომ არც კი შეუწუხებია ფიქრს მისთვის წინასწარ განმზადებულ მზაკვრულ საფრთხეზე. მოკლეს თუმცაღა მთლად ჭაბუკი, მაინც ისეთი ბრწყინვალე სახელი უნდა ჰქონოდა, როგორიც ცოტას ღირსებია მხცოვან მეფეთაგან, ისევე რომ ეძია თავისი ხალხის სიყვარული, როგორც ლამობდა შიშისზარის გავრცელებას მტრებში. ვარდანის მოკვლის შემდეგ **(35)** პართელებში არეულობა დაიწყო, ვერ გადაეწყვიტათ, ვისთვის მიეცათ სამეფო ძალაუფლება; ბევრნი გოტარზესკენ იხრებოდნენ, ზოგნიც — ფრაატეს შთამომავალ მეჰერდატესკენ, მძევლად რომ მოგვცეს. ბოლოს გოტარზემ სძლია, მაგრამ სამეფო ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ თავისი აღვირახსნილობითა და მძვინვარებით პართელები აიძულა ფარულად შევედრებოდნენ რომაელ პრინცეპსს, რომ ნება დაერთო მეჰერდატესთვის მამისეული პატივისა და ღირსების მისაღებად.

წიგნი XII.

15. როცა ძალაუფლების დაკარგვის **(36)** შემდეგ მყარ საფუძველს მოკლებულმა მითრიდატე ბოსფორელმა შეიტყო, რომ დიდიუსი **(37)** — რომაელი სარდალი — მთავარი ძალებითურთ წავიდა, ხოლო ახალ სამეფოში დარჩნენ სიჭაბუკის გამო ჯერ გამოუცდელი კოტისი და მცირერიცხოვანი კოჰორტები რომაელი მხედრის იულიუს აქვილას მეთაურობით, — არად შერაცხა ისინი, იწყო ხალხთა აღელვება და ლტოლვილთა გადმობირება. ბოლოს შეკრიბა ჯარი, დანდარიდების მეფე განდევნა და ხელთ იგდო მისი სამფლობელო. მას შემდეგ, რაც ეს ყველაფერი ცნობილი გახდა და უკვე საფიქრებელი იყო, რომ მითრიდატე შეიჭრებოდა, კოტისი და აქვილა არ ენდვნენ საკუთარ ძალებს და თავად მათაც გარეთ ეძიეს შველა იმის გამო, რომ სირაკების მეფე ზორსინემ განაახლა მტრული მოქმედება. ელჩები იქნენ გაგზავნილი ევნონესთან, რომელიც [ჯარის სათავეში მდგომი] აორსების ტომზე ბატონობდა. არც გასჭირვებიათ მასთან კავშირის დამყარება, რაკი აჩვენეს რომის ძლიერება მეამბოხე მითრიდატეს ძალთა საპირისპიროდ. ამრიგად, შეთანხმდნენ, რომ ევნონე ცხენოსანი ჯარით ჩაებმებოდა ბრძოლაში, ხოლო რომაელები ალყას შემოარტყამდნენ ქალაქებს.

16. მაშინ დაეწყო ლაშქარი და გაემართა; წინა ხაზზე და ზურგში აორსები იყვნენ, შუაში — კოჰორტები და ჩვენი (ე.ი. რომაელთა) იარაღით შეჭურვილი ბოსფორელები. ასე უკუაქციეს მტერი. მერე დანდარიკის ქალაქ სოზას მიაღწიეს, რომელიც მითრიდატემ დათმო მოქალაქეთა ცვალებადი განწყობილების გამო. განიზრახეს დაეპყროთ სოზა და შიგ დამცველი ჯარი დაეტოვებინათ. აქედან სირაკებისკენ მიიწევენ, გადალახავენ მდინარე პანდას და გარს შემოერტყმიან ქალაქ უსპეს, რომელიც მაღლობზე მდებარეობდა, თან გამაგრებული იყო კედლებითა და თხრილებით; მაგრამ ქვის კედლები კი არ ჰქონდათ ამოყვანილი, არამედ წნელებით ამოეწნათ და მიწით ამოევსოთ, — ამის გამო მომხვდურთა წინაშე უძლური აღმოჩნდნენ ქალაქის კედლები; მათზე უფრო მაღლა აღმართული კოშკები მუგუზლებითა და

შუბებით თავზარს სცემდნენ ალყაში მოქცეულებს. და ღამეს რომ არ შეეწყვიტა ბრძოლა, იმ დღით დაწყებული იერიში იმავე დღეს დამთავრდებოდა ქალაქის აღებით.

17. მეორე დღეს მოიერიშეებს ელჩები გაუგზავნეს, რომლებმაც თავისუფალ მოქალაქეთა შეწყნარება ითხოვეს და ათი ათასი მონა შესთავაზეს. გამარჯვებულებმა უარჰყვეს ეს პირობები, რადგან დანებებულთა გაჟლეტა მძაფრი მძვინვარება იქნებოდა, ამდენის მოვლა და დარაჯობა კი სამძიმო იყო; სჯობდა ომის წესით დაცემულიყვნენ და მოლაშქრეებს, რომლებმაც შიგ შეაღწიეს კიბეების საშუალებით, ხოცვა-ჟლეტის ნიშანი მიეცათ. უსპელთა მოსრვის გამო სხვები შიშის ზარმა აიტანა, აღარაფერი არ ეგულებოდათ საიმედოდ, რაკი ვეღარ უძლებდნენ მტერს სიმაგრეები, იარაღი, მიუვალი ადგილები თუ სიმაღლენი, მდინარეები და ქალაქები. ზორზინემ, რომელიც დიდხანს ყოყმანობდა, არ იცოდა — მითრიდატეს გასაჭირზე ეზრუნა თუ მამისეულ სამეფოზე, ბოლოს თავისი საგვარტომოს კეთილდღეობა ამჯობინა, მძევლები გაიღო და ძირს განერთხა კეისრის გამოსახულების წინაშე, რითაც სახელი და დიდება განუმრავლა რომაელთა ჯარს; როგორც ცნობილი იყო, სისხლის დაუღვრელად გამარჯვებული რომაელები მდინარე ტანაისიდან სამი დღის სავალზე გაჩერდნენ. მაგრამ უკან დაბრუნებისას მათ სხვა ბედი ეწიათ: რამდენიმე ხომალდი (რასაკვირველია, ზღვით ბრუნდებოდნენ უკან) ტავრების სანაპიროებს მიადგა; რომაელებს გარს შემოერტყნენ ბარბაროსები, მოკლეს კოჰორტის პრეფექტი, აგრეთვე მაშველი ჯარის დიდი ნაწილი გაანადგურეს.

18. ამასობაში მითრიდატე, იარაღს რომ ვეღარ იგულებდა საყრდენად, ფიქრობდა — ვისი გულმოწყალება ეცადა. ოდესღაც გამცემს, შემდეგ მტრად ქცეულ ძმას — კოტისს — უფრთხოდა; რომაელთაგანი არავინ ჩანდა იმდენად გავლენიანი, რომ მისი დაპირებები დიდად ანგარიშგასაწევი ყოფილიყო. ბოლოს ევნონეს მიმართა, რომელსაც მისდამი პირადი სიძულვილი და მტრობა არ ჰქონდა, ამავე დროს გავლენა მოეპოვებინა ჩვენთან ახლად დამყარებული მეგობრული კავშირის წყალობით. და აი, თავისი მდგომარეობისდა კვალად განსაკუთრებით შესაფერის სამოსელში გამოწყობილთ ასევე შესაფერისი გამომეტყველებით შედის სასახლეში და, მეფის მუხლებთან დამხობილი, მიმართავს მას: „მითრიდატე გეახელ ნებით. ეგზომ დიდხანს დევნილი რომაელთაგან ზღვასა და ხმელზე. როგორც ინებებ, ისე მომექეც დიდი აქემენეს ნაშიერს; ესღა დამრჩენია, რაიც ვერ წამართვეს მტერთა“.

19. ევნონესაც შეძრავს და ააღელვებს ვაჟკაცის ბრწყინვალე სახელი, გარემოებათა ცვალება და კეთილშობილური ვედრება. წამოაყენებს მომუდარეს და მოუწონებს, რომ აორსების ტომთან კავშირი და ევნონეს შემწეობა ირჩია მან, რათა ითხოვოს პატიება და შერიგება; მაშინვე უგზავნის კეისარს ელჩებს და ასეთ წერილს სწერს: „რომაელთა იმპერატორებსა და დიდ ხალხთა მეფეებს პირველად მეგობრობა აკავშირებს ერთნაირი ბედისა და მდგომარეობის გამო. თავად მას და კლავდიუსს კი გამარჯვებაც მოუპოვებიათ ერთად. ომის ბოლო შესანიშნავია, როცა შეწყნარებით სრულდება. აი, დამარცხებულ ზორზინეს არაფერი წაართვეს. ხოლო მითრიდატესთვის, რაკი იგი უფრო მძიმე ხვედრს იმსახურებს, [ევნონე] აღარც ძალაუფლებას თხოულობს, აღარც სამეფოს, არამედ იმასღა ევედრება, რომ ასცდეს მას ტრიუმფატი და თავით არ გადაიხადოს სასჯელი“.

20. თუმცა კლავდიუსი ლმობიერი იყო უცხო წარჩინებულთა მიმართ, მაინც ვერ გადაეწყვიტა, რა უფრო სწორი იქნებოდა: დახსნის პირობით მიეღო ტყვე, თუ ისევ იარაღით დაემორჩილებინა იგი; აქეთ უბიძგებდა ურვა შეურაცხყოფის გამო და შურისძიების მძაფრი სურვილი. მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ სხვა აზრიც უტრიალებდა თავში; უვალ ადგილას მოუხდებოდა ომი, — ზღვაზე, სადაც არ ეგულებოდა ნავთსაყუდელი; თანაც მეფეები მამაცნი იყვნენ, ხალხნი — მომთაბარენი, მიწა — უნაყოფო, დაყოვნება სავალალო იქნებოდა, აჩქარებითაც მრავალ საფრთხეს უნდა გადაჰყროდა, გამარჯვებულებს არც თუ ისე დიდ ქებას მიუძღვნიდნენ, ხოლო დიდი უპატიობა ერგებოდათ დამარცხებულთ. რა მოხდებოდა, რომ მიეღო, რასაც სთავაზობდნენ, და დაეცვა დევნილი; იგი, უმწეო, რაც უფრო დიდხანს იცოცხლებდა, მით მეტ წამებასა და დამცირებას გადაიტანდა. ამ გარემოებათა გამო ევნონეს მისწერა, რომ, მართალია, მითრიდატემ უაღრესად

სამაგალითო სასჯელი დაიმსახურა და თავად მას, კლავდიუსს, შესაძლებლობა აქვს დასაჯოს იგი, მაგრამ ასე დაუწესებიათ წინაპრებს — რაოდენი შეუპოვრობაც საჭიროა მტრის წინააღმდეგ, იმდენად შემწყნარებლობა გვმართებს მავედრებელთა მიმართ, რადგან სატრიუმფო მსვლელობის უფლებას იძლევა დიდი გამარჯვება ძლიერ ხალხთა და დაურღვეველ სამეფოთა ზედა.

21. ამის შემდგომად მითრიდატე რომაელებს გადასცეს და იგი რომს ჩაიყვანა იუნიუს ცილონემ — პონტოს პროკურატორმა. როგორც ამბობდნენ, კეისრის წინაშე უფრო ქედმაღლურად ულაპარაკია, ვიდრე მის ხვედრს შეფეროდა, ხალხში კი ამ სიტყვებით გავრცელდა მისი ნათქვამი: „მე არავის არ წარმოვუგზავნივარ შენთან, თავად მოვედი. და, თუ არ გჯერა, გამიშვი და იძიე". მერე უშფოთველი გამომეტყველება შეინარჩუნა, როცა დარაჯებით გარშემორტყმული გამოიყვანეს როსტრაზე, რათა ხალხისათვის ეჩვენებინათ. ცილონეს კონსულის სახელი და პატივი მიენიჭა, აქვილას კი — პრეტორისა.

44. ამავე **(38)** წელს არმენიელებსა და იბერებს შორის ამტყდარი ომი პართებსა და რომაელებს შორის სასტიკი განხეთქილების მიზეზიც გახდა. პართებზე ვოლოგეზი **(39)** ხელმწიფობდა, დედით ბერძენი ხარჭის შვილი, რომელსაც მეფობა ძმების თანხმობით ჰქონდა მიღებული. იბერებზე ფარსმანი მეფობდა ძველთაგანვე, არმენიელები მის ძმას მითრიდატს ეპყრა ჩვენი შეწევნით. ფარსმანს ჰყავდა ძე, სახელად რადამისტი **(40)**, ლამაზი, წარმოსადეგი, შესანიშნავი ძალ-ღონის პატრონი, მშობლიურ ხელოვნებებში გაწვრთნილი, მეზობლებშიაც დიდი სახელის მქონე. იგი ისე გაცხარებით და ხშირად ლაპარაკობდა, მამის მოხუცებულობის წყალობით იბერია უმნიშვნელო სახელმწიფოდ რჩებაო, რომ გულის წადილის დაფარვას ვერ ახერხებდა. ამიტომ უკვე თავისი ხანშიშესულობით შეფიქრიანებულმა ფარსმანმა ძალაუფლების ხელში ჩაგდების მოსურნე და ხალხის მხარდაჭერით შეგულიანებულ ჭაბუკს სხვა იმედი შთააგონა და არმენიისაკენ მიუთითა, გაიხსენა რა პართების გაძევების შემდგომ თვით მანვე რომ მისცა იგი მითრიდატს; ოღონდ [შვილს ურჩია], ძალის ხმარებისაგან თავი შევიკავოთ, უფრო მზაკვრობა გამოვიყენოთ, რათა უდარდელად მყოფი [მითრიდატი] ანაზდეული [თავდასხმით] დავამარცხოთო. ამგვარად რადამისტი, რომელსაც ვითომდა მამასთან უთანხმოება მოუვიდა, რადგან დედინაცვლის სიძულვილს ვეღარ გაუძლო, ბიძას მიაშურებს. მითრიდატმა დიდი ალერსით მიიღო იგი, როგორც საკუთარი შვილი, ამან კი არმენიელთა წარჩინებულებს დაუწყო შეგულიანება სახელმწიფო გადატრიალების მოსახდენად ისე, რომ მითრიდატმა არათუ ვერაფერი შეატყო, არამედ კიდევ უფრო მეტი პატივითაც ეპყრობოდა.

45. ვითომდა შერიგება მიანდო, რადამისტი მამასთან დაბრუნდა და აცნობა; რაც მზაკვრობით შეიძლებოდა გაკეთებულიყო, გაკეთებულია, დანარჩენი იარაღით უნდა აღსრულდესო. ამასობაში ფარსმანმა ომის საბაბიც მოიგონა: ალბანთა მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში რომაელებს დასახმარებლად რომ მოვუწოდებდი, ძმამ წინააღმდეგობა გამიწია და ამ წყენინებისთვის ვილაშქრებ მის დასარბევადო, და ამასთან ერთად ვაჟიშვილს დიდი ლაშქარი მისცა. მისი ანაზდეული თავდასხმით შეშინებულმა და დაბლობიდან გაძევებულმა მითრიდატმა ციხე-სიმაგრე გორნეაში **(41)** შეასწრო, ადგილმდებარეობით უშიშარსა და მეციხოვნე ჯარით დაცულში, რომელსაც პრეფექტი ცელიუს პოლიონი **(42)** და ცენტურიონი კასპერიუსი სარდლობდნენ. ისე უბირნი არაფერში არიან ბარბაროსები, როგორც მანქანების საქმესა და ციხე-სიმაგრეთა აღების ოსტატობაში, ამიტომ რადამისტი ფუჭად და ზარალიანად ციხე-სიმაგრის აღების ცდის შემდგომ, ალყას შეუდგა და რაკი ძალით ვერა გააწყო რა, ანგარ პრეფექტს მოისყიდის, რომელსაც კასპერიუსი **(43**) ეხვეწებოდა, ნურც მოკავშირე მეფეს და ნურც მისთვის რომაელი ხალხისაგან მინიჭებულ არმენიას ბოროტმოქმედებით ფულის გულისთვის ნუ დაღუპავო. დაბოლოს, ვინაიდან პოლიონი მტრის მრავალრიცხოვნებას, ხოლო რადამისტი კი მამის ბრძანებას იმიზეზებდნენ, კასპერიუსმა ზავი დადო, რათა თუ ფარსმანი ომს ვერ გადაათქმევინებდა, სირიის გამგებელის უმიდიუს კვადრატუსისთვის **(44)** მაინც შეეტყობინებინა, რა მდგომარეობაში იყო არმენია.

46. ცენტურიონის წასვლით თითქმის დარაჯისაგან გათავისუფლებულმა პრეფექტმა მითრიდატს დარწმუნება დაუწყო, ზავი დადეო. თან მოაგონებდა მათ ძმურ ნათესაობას, ფარსმანის ხნით უფროსობას და სხვა ნათესაურ კავშირებს მისი ასული რომ ცოლად ჰყავდა, აგრეთვე თვითონაც რომ რადამისტის სიმამრი იყო. იბერებიც უარს არ ამბობენ ზავზე, თუმცა ამჟამად ისინი უფრო ძლიერები არიანო; ხომ საკმაოდ იცი არმენიელთა გაუტანლობა და სხვა სახსარი ან თავშესაფარი რომ არ გაგვაჩნია ამ უსურსათო ციხე-სიმაგრის გარდაო; განა უსისხლოდ საქმის გარიგება არ გირჩევნია იარაღის ძალით საქმის გადაწყვეტის საეჭვო ცდასაო? მითრიდატი ამაზე ყოყმანობდა და ეჭვით უყურებდა პრეფექტის რჩევას, ვინაიდან [პრეფექტმა] გააუპატიურა მეფის ხარჭა და ყოველნაირი ანგარებიანი საქმისადმი დიდი მიდრეკილება ჰქონდა; ამასობაში კი კასპერიუსმა ფარსმანამდე მიაღწია და მოსთხოვა, იბერიელებს ალყა მოეხსნათ. ფარსმანი საჯაროდ ბუნდოვნად და უფრო ხშირად ალერსიანად უპასუხებს, საიდუმლო შიკრიკებით კი რადამისტს აქეზებს, ყოველის ღონისძიებით დააჩქარე შეტევაო. სამარცხვინო საქმის საზღაური დიდდება და პოლიონი საიდუმლოდ მოისყიდის რა ჯარისკაცებს, აგულიანებს, რათა ზავი მოითხოვონ და დაემუქრონ, ციხე-სიმაგრის დაცვაზე ხელს ავიღებთო. ამ [უკიდურესი] გასაჭირით [იძულებული] მითრიდატი ხელშეკრულების დადების დღესა და ადგილს დათანხმდა და ციხე-სიმაგრიდან გამოვიდა.

47. პირველად რადამისტი, ვითომდა პატივისცემით, გულმხურვალედ მოეხვია მას — სიმამრსა და მშობელს უწოდებდა; თან ეფიცებოდა, არც მახვილის, არც შხამის ძალას არ გამოვიყენებ შენს წინააღმდეგო. ამასთანავე იქვე ახლო კორომში შეიტყუებს — ეუბნება, აქ შესაწირავი მსხვერპლია გამზადებული, რათა ღმერთების წინაშე დავამტკიცოთ ზავიო. მეფეთა ჩვეულება გახლავთ ხელშეკრულების დადების დროს ყოველთვის მარჯვენა ხელები და მათი ცერები ერთმანეთს მიადონ და მაგრად შეჰკრან კვანძით. მერმე როცა სისხლი ფრჩხილებში მოაწვებათ, მსუბუქი ჩხვლეტით სისხლს დაიდენენ და ერთმანეთს აულოკავენ **(45)**. ასეთ კავშირს იდუმალი თვისება აქვს, თითქოს საერთო სისხლით არის განმტკიცებული. მაგრამ მაშინ კაცი, რომელიც უკრავდათ [ხელებს], ვითომდა წაიქცა, მითრიდატს ფეხებზე მოეხვია და ისიც ძირს დასცა. მაშინვე მოცვივდა კიდევ ბევრი ხალხი და ბორკილები დაადეს მას. მერმე იგი ფეხებზე დადებული ჯაჭვით წაათრიეს, რაც დიდ სირცხვილად ითვლებოდა ბარბაროსებში. მყის მდაბიო ხალხმა, რომელიც მძიმე პირობებში იყო მის ხელქვეით, ლანძღვა-გინება დაუწყო და ცემა დაუპირა. ოღონდ პირიქით, ისეთებიც გამოერივნენ, რომელთაც ბედის ასეთი შეტრიალებისთვის იგი ებრალებოდათ. უკან პატარა შვილებით [გარშემორტყმული] მისი მეუღლე მისდევდა და იქაურობას ტირილით იკლებდა. ისინი ცალკცალკე დახურულ ურმებში ჩასვეს, ვიდრე ფარსმანის ბრძანებას შეიტყობდნენ. ფარსმანს სამეფოს ხელში ჩაგდების წადილმა ძმა და ქალიშვილი [დაათმობინა] და გულში უკვე მზად იყო ბოროტმოქმედების [ჩადენისთვის]. ის კი ივარაუდა, რომ ეს საქმე მის თვალწინ არ მომხდარიყო და ისინი მის წინაშე არ დაეხოცათ. რადამისტმაც, აქაოდა [დადებული] ფიცი მახსოვსო, [მართლაც] არც მახვილი და არც შხამი არ იხმარა დისა და ბიძის წინააღმდეგ, არამედ მიწაზე დააწვენინა ისინი და ზემოდან მრავალი მძიმე სამოსის დაყრით მოაშთობინა. დახოცეს მითრიდატის ვაჟიშვილებიც, რომლებიც მშობლების დაღუპვას ხმამაღლა ტიროდნენ.

48. ხოლო კვადრატუსმა რომ შეიტყო, მითრიდატს უღალატეს და სამეფო ხელთ იგდეს მკვლელებმაო, საბჭო მოიწვია, მოახსენა მომხდარი ამბები და რჩევა ჰკითხა, შური ვიძიოთ და დავსაჯოთ ისინი თუ არაო. სახელმწიფოს სახელი და პატივი ცოტას აწუხებდა, უმეტესობა მშვიდობის სასარგებლოდ მსჯელობდა: უცხოთა ყოველ ბოროტმოქმედებას სიხარულით უნდა შევეგებოთ. სიძულვილის თესლიც კი უნდა დავთესოთ, როგორც ხშირად რომის ხელმწიფენი იმავე არმენიას უხვი წყალობის სახით ბარბაროსთა შორის შუღლის ჩამოსაგდებად გასცემდნენ ხოლმე. დაე რადამისტი შეძულებული, სახელგატეხილი ფლობდეს ბოროტად მოპოვებულ ხვედრს; ვინაიდან ეს უფრო ხელსაყრელია ჩვენთვის, ვიდრე ის, რომ მას სახელიანად და დიდებით ჰქონდეს მიღებული [ძალაუფლებაო]. ეს აზრი კიდეც მიიღეს. ოღონდ, რათა ამ

ბოროტმოქმედების მოდასტურედ არ მიეჩნიათ ისინი, თანაც [იმ შემთხვევისთვის] თუ კეისარი სხვაგვარად გადაწყვეტდა [ამ საქმეს], ფარსმანს მოციქულები გაუგზავნეს, რომ იგი სომხეთიდან გასულიყო და შვილიც თან წაეყვანა.

49. კაპადოკიის პროკურატორად იულიუს პელიგნუსი იყო, სულით მდაბალი და სხეულის სიმახინჯითაც ასევე საზიზღარი, მაგრამ კლავდიუსის ძალიან ახლობელი, როცა [კლავდიუსი] ტაკიმასხარებთან და მლიქვნელებთან ატარებდა უქმად დროს, იმ პელიგნუსმა პროვინციებში დამხმარე ლაშქარი შეკრიბა, ვითომდა არმენიის უკან დასაბრუნებლად, ოღონდ რაკი მოკავშირეებს უფრო არბევდა ვიდრე მტერს, თავისიანებმა მიატოვეს და რაკი ბარბაროსთა თავდასხმებისგანაც თავშესაფარი სჭირდებოდა, რადამისტთან მივიდა. [რადამისტის] საჩუქრებით მოსყიდული თვითონვე არწმუნებს მიიღოს სამეფო ნიშნები და ამ მიღების დროს თვითონაც ესწრება, როგორც ხელისშემწყობი და [საქმის] თანამონაწილე. როცა ამის შესახებ საზიზღარი ხმა გავარდა რათა სხვა [რომაელებიც] პელიგნუსის მსგავსად არ მიეჩნიათ, გაგზავნეს ლეგატი ჰელვიდიუს პრისკუსი ლეგიონითურთ, რათა ვითარების შესაბამისად მოეგვარებინა საქმე. ამიტომ სასწრაფოდ გადალახა რა ტავროსის მთა, უფრო ზომიერი მოქმედებით, ვიდრე ძალით, უკვე ბევრი რამ გაარიგა, როცა უბრძანეს კვლავ სირიაში დაბრუნებულიყო, რათა პართების წინააღმდეგ ომი არ გამოეწვია.

50. ვინაიდან ვოლოგეზმა მიიჩნია, რომ დადგა ხელსაყრელი შემთხვევა არმენიის დასაპყრობად, რომელიც მის წინაპრებს ეკუთვნოდა, ახლა კი უპატიოსნოდ ჩაეგდო ხელთ უცხო მეფეს. ამიტომ მან შეკრიბა ჯარი და ემზადებოდა ტახტზე თავისი ძმის ტირიდატის **(46)** დასასმელად, რათა მისი სახლის არც ერთი წევრი არ დარჩენილიყო სამეფოს გარეშე. პართების შემოჭრის შემდგომ იბერები უბრძოლველად იქნენ განდევნილი და სომხეთის ქალაქები არტაქსატი და ტიგრანოკერტაც დამორჩილდნენ. შემდეგ სასტიკმა ზამთარმა, სურსათის ნაკლებობამ და ორივე ამ მიზეზის გამო მოდებულმა სენმა ვოლოგეზი იძულებული გახადა თავი დაენებებინა ახლა ამ საქმისთვის. დაცარიელებული არმენია კი კვლავ რადამისტმა დაიპყრო, კიდევ უფრო გამძვინვარებულმა [არმენიელებზე], როგორც განდგომილებზე, რომელთაც თუ [ხელსაყრელი] დრო დაუდგებოდათ, კვლავ აჯანყდებოდნენ. მართლაც არმენიელებს, თუმცა მონობას ძალიან ნაჩვევთ, მოთმინების ფიალა აევსოთ და იარაღით შემოერტყნენ გარს მეფის სასახლეს.

51. რადამისტს ცხენების სისწრაფის გარდა სხვა აღარაფერი უშველიდა და ცოლითურთ კიდეც გაიქცა. მაგრამ მისი ფეხმძიმე მეუღლე პირველად თუ მაინც ასე თუ ისე იტანდა ჭენებით სიარულს მტრის შიშით და ქმრის სიყვარულით, მერმე შეუსვენებელი სირბილის გამო გულმუცელი და შიგნეული რომ ენჯღრეოდა, ევედრებოდა ქმარს, ტყვეობის სირცხვილისგან პატიოსანი სიკვდილით დამიხსენიო. პირველად რადამისტი ეხვეოდა, იჭერდა და ამხნევებდა; ხან მის გულადობას ჰკვირობდა, ხან შიშისაგან სასო ეკვეთებოდა, რომ დავტოვო, სხვა ვინმეს არ ჩაუვარდეს ხელშიო. დაბოლოს სიყვარულით გახელებულმა და ბოროტმოქმედებაში არცთუ გამოუცდელმა იძრო მახვილი და [დასცა ქალს]; დაჭრილი არაქსის პირას მიათრია და მდინარეში ჩააგდო, რომ მისი გვამიც წყალს წაეღო. თვითონ თავქუდმოგლეჯით მიაშურებს იბერიას, მშობლიურ სამეფოს. ამასობაში ზენობიას (ასე ერქვა ქალს) წყნარ ყურეში შეამჩნევენ მწყემსები. იგი ჯერ კიდევ სუნთქავდა და სიცოცხლის აშკარა ნიშნებს ამჟღავნებდა. მისი ღირსეული გარეგნობის მიხედვით ივარაუდეს, უბრალო ვინმე არ უნდა იყოსო; შეუხვიეს ჭრილობა, შინაურული წამლებით უწამლეს და როცა მისი ვინაობა და ამბავი შეიტყვეს, ქალაქ არტაქსატს მიიყვანეს. იქიდან კი ხელისუფალთა ზრუნვით, ტირიდატს მიჰგვარეს, რომელმაც ალერსით მიიღო იგი, როგორც მის სამეფო ღირსებას შეეფერებოდა.

წიგნი XIII. (47).

6. წლის დამლევს მოვიდა შემაშფოთებელი ამბავი, რომ პართელები კვლავ შეესივნენ არმენიას და მიიტაცეს. განდევნილ იქნა რადამისტი, რომელიც ხშირად იპყრობდა ხოლმე იქ სამეფო ძალაუფლებას და მერე გარბოდა; მაშინაც მიეტოვებინა ომი და მითქმა-მოთქმის

მოყვარულ ქალაქში ყველა ცდილობდა მიმხვდარიყო — პრინცეპსი, რომელმაც ძლივს გადააბიჯა ჩვიდმეტ წელიწადს, როგორ შეძლებდა კისრად ედო ის მძიმე ტვირთი და თავი გაერთმია, რა საშველი უნდა ეძიათ მასში, ვინც დიაცის რჩევა-დარიგებას მისდევდა, ან კიდევ შესაძლებელი იყო თუ არა, რომ მოძღვართ **(48)** წარემართათ ბრძოლები, იერიშები ქალაქთა ასაღებად და ომთან დაკავშირებული სხვა საქმეები. მაგრამ ზოგნი ასეთ ვითარებას უმჯობესად შერაცხავენ იმასთან შედარებით, სიბერისა და სულმოკლეობის გამო დაუძლურებული კლავდიუსი რომ მოიწვიონ სამხედრო საქმეების საწარმოებლად და მონებისთვის ჩვეული ნებასურვილის დასამორჩილებლად; ხოლო ბურრუსი და სენეკა ცნობილი არიან დიდი გამოცდილებით. როგორ არ ეყოფა იმპერატორს სიმტკიცე, როცა თვრამეტი წლის გნეიუს პომპეიუსმა და ცხრამეტი წლის ოქტავიანუს კეისარმა სამოქალაქო ომები გადაიხადეს უმაღლესი წოდებისა და პატივის პირობებში საქმეებს წარმართავენ უფრო ხშირად აუსპიციები **(49)** და განზრახვანი, ვიდრე შუბები და ხელები. რაკი პრინცეპსი უგულებელჰყოფს მოშურნეობას და სარდლად უმალ შეარჩევს შესანიშნავს, ვიდრე შეძლებულს, რომელსაც ძირს უმაგრებს მოსყიდვის გზით მოპოვებული გავლენა, — ცხადია, თავად დაამტკიცებს, პატიოსანი მეგობრები ჰყავს, თუ პირიქით.

7. სანამ ასეთ ამბებს ავრცელებენ, ნერონი ბრძანებს — უახლოეს პროვინციებში მოიძიონ ახალგაზრდები და გაგზავნონ აღმოსავლეთის ლეგიონების შესავსებად, თვით ლეგიონები კი არმენიასთან უფრო ახლოს იქმნენ განლაგებულნი; ორ ნაცად მეფეს — აგრიპას და ანტიოქუსს — სალაშქროდ უნდა მოემზადებინათ ჯარები, რომლებითაც პართელთა საზღვრებში შეიჭრებოდნენ, ამავე დროს ხიდები უნდა გადებულიყო მდინარე ევფრატზე; მცირე არმენიას არისტობულუსს გადასცემს, სოფენეს ოლქს —სოჰემუსს, თან სამეფო პატივს და ღირსებასაც ანიჭებს. დროზე გამოუჩნდა ვოლოგეზეს მეტოქე — ძე ვარდანი; და განვიდნენ არმენიით პართელები, თითქოს ომი გადადესო.

8. ხოლო სენატში ყველაფერი მეტად გაზვიადებულ იქნა იმათი წინადადებების წყალობით, ვინც მოითხოვა პარაკლისები და იმ დღეებში — პრინცეპსის სატრიუმფოდ შემოსვა, რომ იგი შესულიყო ქალაქში ვითარცა ტრიუმფატორი, აგრეთვე მისი ქანდაკება, სიდიდით — შურისმაძიებელი მარსის ქანდაკების სწორი, დაედგათ მარსისავე ტაძარში. გარდა იმისა, რომ ეს იყო ჩვეულებრივი მლიქვნელობა, უხაროდათ კიდევაც, რომ დომიციუს კორბულონი ჩაუყენა ჯარს სათავეში არმენიის შესანარჩუნებლად და, როგორც ჩანდა, გზა გაეხსნა ღირსებას. აღმოსავლეთის ჯარები იმგვარად გაანაწილეს, რომ მაშველი ძალის ნაწილი, ასევე ორი ლეგიონი დარჩენილიყო სირიის პროვინციაში მის ლეგატ ქვადრატუს უმიდიუსთან ერთად, კორბულონს ეყოლებოდა თანაბარი რაოდენობის მოქალაქეები და მოკავშირენი, ამავე დროს კაპადოკიაში მოზამთრე კოჰორტები და სხვა ნაწილები. მოკავშირე მეფეებს ებრძანათ დაჰმორჩილებოდნენ მას, ვისი დაქვემდებარებაც მიზანშეწონილი იქნებოდა ომის პირობების მიხედვით, მაგრამ თავიანთი განწყობილებით ისინი უფრო კორბულონისკენ იხრებოდნენ. იგი გაეშურა დიდების მოსაპოვებლად, რაც უძლიერესი იარაღია ახლად წამოწყებულ საქმეებში, და კილიკიის ქალაქ ეგეესთან შეხვდა ქვადრატუსს, რომელიც იქ ჩასულიყო, რათა კორბულონს, თუ ის (ე.ი. კორბულონი) სირიაში შევიდოდა ჯარების მისაღებად, საყოველთაო ყურადღება არ მიექცია, რადგან, ტანად გოლიათს, დიდებულ მჭევრმეტყველს, გამოცდილებასა და სიბრძნესთან ერთად გარეგნული ბრწყინვალებით ზემოქმედების დიდი ძალაც ჰქონდა.

9. ორივემ მოციქულები გაუგზავნა მეფე ვოლოგეზეს, რომ დაიყოლიონ — ზავი არჩიოს ომს, მძევლები გაიღოს და, წინამორბედთა ჩვეულებრისამებრ, პატივი არ მოუშალოს რომაელ ხალხს. ვოლოგეზეც [მძევლებად] გადასცემს მათ არსაკიდების გვარის უწარჩინებულეს პირებს, რათა ხელსაყრელ პირობებში მომზადებულიყო ომისთვის ან, შეიძლება, იმ მიზნით, რომ მეტოქეობაში ეჭვმიტანილნი თავიდან მოეშორებინა ვითარცა მძევალნი. მათ ჩაიბარებს უმიდიუსისგან გამოგზავნილი ცენტურიონი ინსტეიუსი, რომელიც საამისოდ პირველი მიდის მეფესთან. როცა ეს კორბულონმა შეიტყო, უბრძანა კოჰორტის პრეფექტს, არიუს ვარუსს

წასულიყო და მძევლები წაერთმია. ამ მიზეზით პრეფექტსა და ცენტურიონს შორის აღძრული დავა უფრო დიდხანს რომ არ გაგრძელებულიყო გარეშეთა დასანახად, საქმის გადაწყვეტა მიენდოთ მძევლებსა დ ელჩებს, რომლებსაც ისინი მიჰყავდათ, და მათ წინ დააყენეს კორბულონი, ახლად შემოსილი დიდებით, როგორღაც მტრებსაც რომ იზიდავდა. აქედან წარმოიშვა უთანხმოება სარდლებს შორის: ერთი მხრივ, უმიდიესი ეძიებს წართმეულს, — იმას, რაც თავისი კეთილგონიერების წყალობით განუხორციელებია, მეორე მხრივ, კორბულონი ამტკიცებს, რომ მეფეს მანამდე არ უფიქრია მძევლების გაღება, სანამ თვით მხედართმთავრად არჩეულმა კორბულონმა იმედი ძრწოლად არ შეუცვალა. მოწინააღმდეგეთა დასაზავებლად ნერონმა ბრძანა გამოეცხადებინათ სახალხოდ, რომ ქვადრატუსის და კორბულონის მიერ მოპოვებული გამარჯვებებისთვის საიმპერატორო ფასციებს დაფნაც ემატებოდა. აქ მე დავურთე, რაც სხვა კონსულების პერიოდზედაც ვრცელდებოდა **(50)**.

34. ...არმენიაზე ბატონობისთვის დუნედ დაწყებული და მანამდე გაჭიანურებული ომი პართელებსა და რომაელებს შორის იმავე წლის დამდეგს გაცხარდა, რადგან, ერთი მხრივ, ვოლოგეზე ვერ დაუშვებდა, რომ მის ძმას — ტირიდატეს — ან დაეკარგა თავად ვოლოგეზესგან მიღებული სამეფო, ან ჰქონოდა როგორც უცხო ხელისუფლების მიერ ბოძებული სამფლობელო, ხოლო, მეორე მხრივ, კორბულონს მიაჩნდა, რომ უნდა დაებრუნებინა ის, რაიც ოდესღაც ლუკულუსმა და პომპეუსმა მოიპოვეს **(51)** — ასე მოითხოვდა რომაელი ხალხის სიდიადე და ღირსება. ამავე დროს უნდობლად განწყობილი არმენიელები ორივე ძალას უხმობდნენ, თანაც პართელებთან უფრო ახლოს მდგომნი ადგილმდებარეობით, ზნე-ჩვეულებათა მსგავსებით, მათთანვე აღრეულნი ქორწინებათა წყალობით, სწორედ პართელებისადმი დამონებისკენ უფრო იხრებოდნენ თავისუფლების შეუცნობლად.

35. მაგრამ კორბულონისთვის უფრო სამძიმო იყო მხედართა სულმოკლეობის წინააღმდეგ ბრძოლა, ვიდრე მტერთა ვერაგობის დაძლევა, რადგან სირიიდან გადაყვანილი ლეგიონები, მოდუნებულნი ხანგრძლივი ზავის შედეგად, მოვალეობას მეტად უხალისოდ ასრულებდნენ. ცნობილია, რომ იმ ლაშქარში საკმაოდ იყვნენ ვეტერანები, რომლებიც სადარაჯოზე არ მდგარან არც დღისით, არც ღამით; სანგარსა და თხრილს ისე უყურებდნენ, როგორც არნახულსა და საკვირველს: უმუზარადოდ, უაბჯროდ იხდიდნენ სამხედრო სამსახურს ქალაქებში, მოკოპწიავენი და ხარბები, კორბულონმა გაუშვა ისინი, რომლებიც სიბერის ან სნეულების გამო დაძაბუნებულიყვნენ და შევსება მოითხოვა. შეკრიბეს ჯარი გალატიასა და კაპადოკიაში, აგრეთვე გერმანიიდან გადასროლილ იქნა ლეგიონი **(52)** მეშველი ცხენოსანი და ქვეითი ჯარებითურთ. მთელი ლაშქარი [ტყავის] კარვებში იდგა, თუმცა ისეთი მკაცრი ზამთარი იყო, რომ მიწაზე გადაკრული ყინულის აუყრელად ადგილი აღარსად ჩანდა კარვებისთვის. ყინვისგან ბევრს დამზრალი ჰქონდა სხეულის ასონი, ზოგიც სადარაჯოზე დგომისას დაიხოცა. როგორც გადმოგვცემენ, ერთ მეომარს, რომელსაც ფიჩხის კონა მიჰქონდა, ისე გაეთოშა ხელები, რომ მკლავთაგან დასწყდა და ტვირთთან ერთად დასცვივდა, ფიჩხზე დაკრული. თავად კორბულონი, მსუბუქად ჩაცმული, თავშიშველი, მხედრებთან ერთად იყო ხშირად ომსა თუ შრომაში, თავგამოდებულთ ქებას ეტყოდა, უძლურთ ნუგეშს მისცემდა და ყველას მაგალითს უჩვენებდა. შემდეგ მრისხანება პოვა წამლად, რადგან ჰავისა და სამხედრო სამსახურის პირობათა სიმკაცრის გამო ბევრნი არ ემორჩილებოდნენ და გარბოდნენ. სხვა მხედართმთავართგან განსხვავებით, პირველად ჩადენილ შეცდომებსაც არ აპატიებდა ხოლმე; ბანაკიდან გაქცეული მეომარი მაშინვე თავით იხდიდა სასჯელს. ეს წესი სასარგებლო აღმოჩნდა და შემწყნარებლობაზე მეტად მოქმედებდა, რამდენადაც ამ სამხედრო ბანაკს უფრო ცოტანი ტოვებდნენ, ვიდრე იმ ბანაკებს, რომლებშიც მეომრებს ეპატიებოდათ.

36. კორბულონს ლეგიონები ბანაკში ჰყავდა, სანამ გაზაფხული ძალას შეიმატებდა; ამავე დროს მოხერხებულ ადგილებში განალაგებს მაშველ ძალთა კოჰორტებს და აფრთხილებს, არ გაბედონ, რომ პირველებმა დაიწყონ ბრძოლა. ამ დამცველი ჯარების მეთაურობას მიანდობს პაქციუს ორფიტუსს, უფროსი ცენტურიონის პატივის მქონეს. პაქციუსი სწერს, რომ ბარბაროსები

არ ფრთხილობენ და ამით შემთხვევა ეძლევათ წარმატებით აწარმოონ ბრძოლა, მაგრამ იღებს ბრძანებას დარჩეს გამაგრებულ სადარაჯო პოსტებზე და უფრო მნიშვნელოვან ძალებს დაელოდოს. ბრძანება მაინც დარღვეულ იქნა: როცა პაქციუს ორფიტუსთან მცირერიცხოვანი ცხენოსანი რაზმები მოვიდნენ უახლოესი სიმაგრეებიდან და გამოუცდელობის გამო ბრძოლა მოითხოვეს, იგი შეება მტერს და დამარცხდა; მისი ზარალით თავზარდაცემული რაზმები, რომლებსაც დახმარების გაწევა ჰქონდათ დავალებული, შეშფოთებით გარბოდნენ და თავთავიანთ ბანაკებში უკუიქცნენ. მძიმე იყო კორბულონისთვის ამის გაგება; ბრძანა გაკიცხული პაქციუსი, პრეფექტები და მეომრები სანგრებს გარეთ დაბანაკებულიყვნენ. ამგვარად შეურაცხყოფილებმა მხოლოდ მთელი ჯარის ვედრების შედეგად დააღწიეს თავი იმ დამცირებას.

37. ტირიდატეს მისმა ძმამ ვოლოგეზემაც დაუჭირა მხარი, იმათ გარდა, ვისაც თავად მფარველობდა. [ტირიდატე] უკვე არა მალულად, არამედ აშკარად ესხმოდა თავს არმენიას და მოსვენებას არ აძლევდა; ვისაც კი იგულებდა ჩვენდამი ერთგულად, — სპობდა, თუ ჯარები წარემართებოდნენ მის წინააღმდეგ, გაურბოდა შეყრას, ხან ერთი მხრიდან წამოუქროლებდა, ხან — მეორიდან და დარხეული ხმები უფრო თავზარდამცემი იყო, ვიდრე ბრძოლა, ასე რომ კორბულონი დიდხანს ცდილობდა პირისპირ შებმას, მაგრამ ამაოდ, ხოლო, როცა იძულებული შეიქნა ყველა მიმართულებით განევითარებინა საომარი მოქმედება, მტრების მაგალითისამებრ, — ძალები იმგვარად გაანაწილა, რომ ლეგატები და პრეფექტები ერთდროულად შეჭრილიყვნენ სხვადასხვა მხარეში; ამასთან, მეფე ანტიოქუსს ჩააგონა ხელთ ეგდო ის პრეფექტურები, რომლებიც ახლოს იყვნენ მის სამფლობელოსთან. ფარსმანემ ხომ მოკლა ძე, რადამისტი **(53)**, გამცემი ვითომ, — რათა ამით დაედასტურებინა ჩვენდამი ერთგულება; მას შემდეგ უფრო ამწვავებდა ძველითგან მომდინარე მტრობასა და სიძულვილს არმენიელების მიმართ. პირველად მაშინ გადმოიბირეს მოსხები — ხალხი, რომელიც სხვებზე უმალ ერთგულ მოკავშირეობას უწევს რომაელებს. მოსხები არმენიის უვალი მხარეებისკენ გაეშურნენ. ასე რომ ტირიდატეს გეგმები ეფუშებოდა; წარავლინა მოციქულები, რომლებიც თავად მისი და პართელების სახელით მოითხოვდნენ ახსნას, რატომ უნდა წართმეოდა [ვოლოგეზეს] არმენიის ძველი სამფლობელო, როცა ცოტ ხნის წინათ გასცა მან მძევლები **(54)** და განაახლეს მათ მეგობრობა, რომელიც თითქოს ასპარეზს გადაუშლიდა ახალ სასიკეთო საქმეებს. თავად ვოლოგეზეს აქამდე იმიტომ არ უმოქმედია, რომ მოლაპარაკება ერჩიათ ძალის გამოყენებას. ხოლო, თუ კორბულონი მაინც არ დაიშლიდა და ომში ჩაითრევდა, სიმამაცე ეყოფოდათ არსაკიდებს და ბედიც ნაცადი ჰქონდათ, რადგან უკვე მრავალგზის დაემარცხებინათ რომაელები. კორბულონმა კარგად იცის, რომ ვოლოგეზეს ჰირკანიის ჩამოშორება აკავებს და პასუხად ტირიდატეს არწმუნებს თხოვნით მიმართოს კეისარს: მას შეუძლია სამეფო ძალაუფლება მტკიცედ შეინარჩუნოს და სისხლის ღვრის გარეშე მოაგვაროს საქმე, თუ დათმობს შორეულ იმედს, რომელიც გვიანღა გაუმართლდება, და ეძიებს ნამდვილს, თანაც უმჯობესს.

38. ამის შემდეგ, რაკი მოციქულების მისვლა-მოსვლით ზავის დადება არ ხერხდებოდა, გადაწყდა დაენიშნათ დრო და ადგილი, რათა თავად მათ მოელაპარაკათ. ტირიდატე აცხადებდა რომ ათას ცხენოსანს იახლებდა მცველად; რამდენი მეომარი უნდა ჰხლებოდა კორბულონს და რომელი ჯარიდან, არ განუსაზღვრავს, ოღონდ ზავის ნიშნად და დასტურად მუზარადმოხდილნი უაბჯროდ უნდა მოსულიყვნენ. ყოველი მოკვდავი, მით უმეტეს გამოცდილი და წინდახედული სარდალი, ვერაგობას ადვილად მიუხვდებოდა ბარბაროსებს; ვერაგობის მიზეზით იყო, რომ მეომართა რიცხვი ერთი მხარისათვის მკაცრად ისაზღვრებოდა, ხოლო მეორეს ნება ეძლეოდა მეტი მეომარი წაეყვანა, რათა მახე დაჰგებოდათ. თუ ისრის ტყორცნაში ნაცად მხედრებს წინ დაუდგებიან უიარაღო ჯარისკაცები, სიმრავლე მათ ვეღარას უშველის. კორბულონმა მაინც არ შეიმჩნია გულისხმაში ჩავარდნა და უპასუხა, რომ უფრო სწორი იქნებოდა მთელი ჯარების თანდასწრებით განეხილათ ის, რაზედაც უნდა ემსჯელათ ვითარცა სახელმწიფო საქმეზე. შეარჩია ადგილი, რომლის ერთ მხარესაც აღმართულიყვნენ ბორცვები,

კარგა დაფერდებულნი, ისე რომ ქვეითი ჯარი მოხერხებულად განლაგდებოდა, მეორე მხარეს კი ივაკებდა, ამდენად ეს ადგილი ხელსაყრელი იყო ცხენოსანი რაზმების გასაშლელად. დათქმულ დღეს კორბულონმა პირველმა დააწყო იქ ჯარები: ფრთებზე განალაგა მოკავშირეთა კოჰორტები და მეფეების მაშველი ძალები, შუაში — მეექვსე ლეგიონი, რომელსაც შეუერთა ღამით სხვა ბანაკიდან გამოწვეული სამი ათასი ჯარისკაცი მესამე ლეგიონისა, თანაც ერთი არწივით წარმოადგინა, თითქოს ერთი და იგივე ლეგიონი ყოფილიყოს. როცა უკვე საღამოვდებოდა, მოვიდა ტირიდატე და იმ სიშორეზე გაჩერდა, რომ მისი დანახვა უფრო შეიძლებოდა, ვიდრე მოსმენა. ამრიგად, რომაელი სარდალი ტირიდატეს არ შეხვედრია, ისე უბრძანა ჯარებს უკან დაბრუნებულიყვნენ თავ-თავიანთ ბანაკებში.

39. მეფეს ან ეჭვი ჰქონდა თვალთმაქცობაზე, რადგან ჯარი ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა მხარეს მიემართებოდა, ან იმ მიზნით წავიდა სწრაფად, რომ გზა გადაეკეტა ჩვენი სურსათისთვის, რომელსაც ვღებულობდით პონტოს ზღვით და ქალაქ ტრაპეზუნტიდან. მაგრამ ვერც სურსათის შესაწყვეტად იღონა რაიმე, რადგან ჩვენი ჯარების მიერ დაკავებულ მთებზე გადმოდიოდნენ და ისე მოჰქონდათ; კორბულონმა კი, რათა ფუჭი ომი აღარ გაეჭიანურებინა და არმენიელები იძულებულ გაეხადა თავდაცვაზე გადასულიყვნენ, ციხე-სიმაგრეთა განადგურება განიზრახა; თავად იმ პრეფექტურაში ყველაზე ძლიერ სიმაგრეს ირჩევს, ვოლანდუმად წოდებულს, ნაკლებად მნიშვნელოვან ციხეებს კი ანდობს ლეგატ კორნელიუს ფლაკუსს და ბანაკის პრეფექტს ინსტეიუს კაპიტონს. როცა ყოველმხრივ დაათვალიერებს სიმაგრეებს და წინასწარ აწონ-დაწონის ყველაფერს, რაც საჭიროა იერიშის მისატანად, მოუწოდებს მეომრებს განდევნონ ამ ადგილებიდან მტერი, რომელიც მერყევია და მოუმზადებელი როგორც ზავისთვის, ისე ბრძოლისთვის, ხოლო გაქცევით ააშკარავებს თავის მზაკვრობას და სულმოკლეობას, — ამასთან, ერთნაირად უნდა იზრუნონ დიდებისა და ნადავლისთვის. მაშინ ლაშქარს ოთხად ჰყოფს, მეომართა კუსებრი წყობით მიჯრილ რიგებს სანგრების გადასათხრელად წარმართავს, ზოგს კედლებთან კიბეების მიზიდვას უბრძანებს, დიდ ნაწილს კი ავალებს მუგუზლები და შუბები დააყარონ მტერს სატყორცნი იარაღების საშუალებით. ადგილი მიუჩინა ქვისმსროლელთ და მეშურდულეებს, რომ შორით ეწარმოებინათ სროლა, რათა რომელიმე ნაწილს დახმარება ვეღარ გაეწია გაჭირვებაში მყოფთათვის, რაკი რომაელები ერთნაირად იმოქმედებდნენ ყოველი მხრიდან. მოლაშქრენი, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, იმდენად იყვნენ აღგზნებული, რომ მესამედი დღის განმავლობაში კედლები გაწმენდილ იქნა მცველთაგან, ჭიშკრებიდან გამოსასვლელი გზები დაუხშეს, მოახერხეს ასვლა და ხელთ იგდეს სიმაგრენი; მოწიფული — ყველა დახოცეს, თავად არც ერთი მეომარი არ დაუკარგავთ, რამდენიმე დაიჭრა მხოლოდ. ვისაც ომში ვერ გამოიყენებდნენ, მონებად გაყიდეს, დანარჩენი ნადავლი გამარჯვებულებს ხვდათ. ასევე წარმატებით სარგებლობდნენ ლეგატი და პრეფექტი; მას შემდეგ, რაც ერთ დღეში სამი ციხე-სიმაგრე აიღეს, სხვები უკეე დათმობაზე მიდიოდნენ, რადგან მცხოვრებლებს ეშინოდათ, დანარჩენი ციხე-სიმაგრენიც ხალხის სურვილის თანახმად ჰნებდებოდნენ. აქედან დაიბადა გაბედული ზრახვა ამ ქვეყნის დედაქალაქ არტაქსატაზე წასვლისა. უმოკლესი გზით მაინც არ წაუყვანია სარდალს ლეგიონები; ხიდით რომ გადაეყვანა მდინარე არაქსზე, რომელიც ქალაქის კედლებს რეცხავდა, მტრის დარტყმას მიიღებდნენ; ამიტომ შორს გავიდნენ და, სადაც მდინარე უფრო ფართო იყო, ფონით გადალახეს იგი.

40. ტირიდატეს სირცხვილი აწუხებდა და ეშინოდა, რომ, თუ მტრისაგან ალყის შემორტყმას დაუშვებდა, თავისი უძლურება არ ეჩვენებინა, ხოლო თუ წინააღმდეგობას გაუწევდა, თავად ცხენოსანი ჯარითურთ გაუვალ ადგილებში არ გახლართულიყო; ბოლოსდაბოლოს გადაწყვიტა ლაშქარი გამოეყვანა და დანიშნულ დღეს ბრძოლა დაეწყო ან, ვითომ ლტოლვილს, დრო ეხელთა მტრის ხიფათში გასაბმელად, და ასე უეცრად გარს შემოერტყა რომაელთა ჯარს, თუმცა მოუმზადებელი არ დაჰხვედრია ჩვენი მხედართმთავარი, რომელსაც სამგზავროდ და ამავე დროს ბრძოლისათვის დაეწყო ლაშქარი. მარჯვენა მხარეს მესამე ლეგიონი მიდიოდა, მარცხნივ

— მეექვსე, შუაში — მეათე ლეგიონის რჩეული ჯარისკაცი; მოლაშქრეთა რიგებს შორის აღალს ჰქონდა გზა მიცემული, ზურგს კი ათასი ცხენოსანი იფარავდა, რომლებსაც ებრძანათ მომხვდურთათვის ხელჩართული ბრძოლა გაემართათ, მაგრამ გაქცეულებს არ დასდევნებოდნენ. ფრთებზე განლაგებული იყვნენ ქვეითად მავალი მშვილდოსნები და ცხენოსანთა დანარჩენი რაზმები; მარცხენა ფრთა უფრო შორამდე იშლებოდა ბორცვების ძირას, რომ მტრის კვეთების შემთხვევაში ერთდროულად შეეტიათ წინიდანაც და გვერდიდანაც. ტირიდატე მიუხდებოდა ხოლმე მოწინააღმდეგეს, მხოლოდ იმდენად უახლოვდებოდა, რომ ნატყორცნი ისარი იქამდე ვერ მიაღწევდა, მაგრამ ხან ემუქრებოდა, ხან თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ეშინოდა, რათა შესაძლებლობა მისცემოდა დაერღვია რომაელთა რიგები და ნაწილ-ნაწილ ეოტებინა. როცა უკვე მწუხრი ახლოვდებოდა, ტირიდატე წავიდა, რადგან რომაელები წინდაუხედავობით არ მოდუნებულან და არც გაფანტულან; ცხენოსანთა დეკურიონის მეტს არავის წაუწევია წინ, ის კი, მეტად უშიშარი, ისრებით იქნა განგმირული და თავისი მაგალითით სხვებს მორჩილება განუმტკიცა.

41. კორბულონმა იმ ადგილას გაშალა ბანაკი, თან ფიქრობდა, ღამით ხომ არ წაეყვანა საბრძოლოდ მომზადებული ლეგიონები არტაქსატაზე და ალყაში ხომ არ მოექცია, რაკი, მისი აზრით, ტირიდატე იქით წავიდა. შემდეგ, როცა მზვერავებმა აცნობეს მეფის შორეული ლაშქრობის ამბავი, ხოლო მედიელებს ემუქრებოდა იგი თუ ალბანელებს, გაურკვეველი იყო, კორბულონი გათენებას დაელოდა, მერე კი წინასწარ გაგზავნა მსუბუქად შეიარაღებული ჯარი, რომელიც კედლებს გარს შემოევლებოდა და შორიდან დაიწყებდა იერიშს. მაგრამ მოქალაქეებმა ჭიშკარი ნებით გაუღეს, თავად ჩაბარდნენ რომაელებს და თავიანთი ქონებაც მათვე გადასცეს, — ამან იხსნა ქალაქის მცხოვრებნი; არტაქსატა ცეცხლს მივეცით, განადგურდა და მიწასთან იქნა გასწორებული, რადგან ძლიერი ჯარის ჩაუყენებლად, მაშინ როდესაც სიმაგრეებს დიდი ადგილი ეკავათ, შეუძლებელი იყო ქალაქის შენარჩუნება, ხოლო ჩვენ ძალები არ გვყოფნიდა საიმისოდ, რომ გაგვენაწილებინა დაცვის გასამაგრებლად და ომის საწარმოებლად, — თუ კიდევ მეციხოვნეთა გარეშე ხელუხლებლად დავტოვებდით არტაქსატას, ვერავითარ სარგებლობას ვერ ვნახავდით და ვერც დიდებას მოვიხვეჭდით იმით, რომ ხელთ ვიგდეთ ქალაქი. ამას ზედ დაერთო თითქოს ღმერთების ნებით მოვლენილი სასწაული: არტაქსატის კედლებს გარეთ ყველაფერი განათებული იყო მზით, ხოლო ზღუდეშემოვლებული ადგილი უეცრად ისე დაიფარა ღრუბლით და გამოეყო აელვარებულ სივრცეს, რომ იწამეს, თითქოს ღმერთების მტრული განწყობის გამო ქალაქი დასაღუპად იყო განწირული. ყოველივე ამის წყალობით აღიარებულ იქნა იმპერატორი ნერონი, რომელსაც მიესალმა ჯარი; სენატის დადგენილებით, სუპლიკაციები მოეწყო, აღმართეს ქანდაკებანი და თაღი, პრინცეპსს კონსულობა ელოდა, დღესასწაულად უნდა შეერაცხათ ის დღე, როცა გამარჯვება მოიპოვეს, აგრეთვე — რა დღითაც ამცნეს და რა დღითაც გამოცხადდა მის შესახებ; სხვა ამგვარი გადაწყვეტილებებიც იქნა მიღებული და ისინი იმდენად სცილდებოდნენ ზომიერების ფარგლებს, რომ გაიუს კასიუსმა, რომელიც დანარჩენ პატივთა მიზღვაზე თანახმა იყო, აღნიშნა: თუ ბედის წყალობისთვის ღმერთებს შესწირავდნენ მადლს, მთელი წელიწადიც კი არ ეყოფოდათ სუპლიკაციებისთვის, რის გამოც უნდა განესხვავებინათ საუქმო და სადაგი დღეები, როცა ღვთისმსახურებას აღასრულებდნენ და ადამიანურ საქმეებშიც ხელი არ შეეშლებოდათ.

წიგნი XIV.

23. მას შემდეგ, რაც არტაქსატა განადგურებულ იქნა **(55)**, კორბულონმა გადაწყვიტა ესარგებლა შიშის ზარით, რომელმაც ახლად მოიცვა მოწინააღმდეგე, და დაეპყრო ტიგრანოკერტი; მისი მოსრვითა და განადგურებით მტრებს კიდევ უფრო შეაძრწუნებდა ან, დანდობის შემთხვევაში, გულმოწყალე მბრძანებლის სახელს განიგდებდა. იქით მიიწევს ისე, რომ თავდასხმებს არ აწყობს, რათა შეწყნარების იმედი არ წაერთვათ, მაგრამ არც სიფხიზლეს კარგავს, რადგან იცნობს ამ ხალხს, რომელსაც ორპირობა სჩვევია და იმდენადვე მძიმეა საფრთხეში, რამდენადაც გაუტანელი — ბედკეთილობის ჟამს. ბარბაროსთაგან, თავ-თავიანთი

ხასიათის და ზნე-ჩვეულებების შესაბამისად, ზოგნი ვედრებით მიმართავენ, ზოგნიც ტოვებენ სოფლებს და უდაბური ადგილებისკენ მიილტვიან; იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც უძვირფასესი ნივთები თან წაიღეს და გამოქვაბულებს შეაფარეს თავი. ამდენად, რომაელი სარდალიც სხვადასხვა ხერხს ხმარობდა: შემწყნარებელი იყო მავედრებელთა მიმართ, სწრაფად აოტებდა დევნილთ, ულმობლად უსწორდებოდა მათ, ვინც თავშესაფრებში ჩაიკეტებოდნენ: გამოქვაბულთა შესასვლელ-გასასვლელს ფიჩხით ამოავსებდა ხოლმე და ცეცხლში დანთქამდა. ხოლო მარდთა საზღვრების ახლოს რომ მიემართებოდა, მას თავს დაესხნენ თარეშსა და რბევაში გაწვრთნილი მარდები, რომლებსაც მთები იცავდნენ შემოსევისგან: კორბულონმა იბერები მიუშვა მათ წინააღმდეგ, გააცამტვერა მტერი და მის სითამამეზე უცხო სისხლით იძია შური.

24. თუმცა თავად მას და ლაშქარს არავითარი ზიანი არ განუცდიათ ბრძოლისაგან, მაინც ილაჯი გაუწყდათ გაჭირვებისა და დიდი სიძნელეების გამო იძულებულნი იყვნენ მარტოოდენ ხორცით მოეკლათ შიმშილი; ამასთან უწყლობა, ზაფხულის ხვატი, შორი გზების გადალახვა — უმსუბუქდებოდათ მხოლოდ სარდლის მოთმინების წყალობით, — სარდლისა, რომელიც უბრალო ჯარისკაცის გასაჭირს და კიდევ მეტსაც ითმენდა. შემდეგ დასახლებულ მხარეს მიადგნენ და მოსავალი აიღეს. ორი ციხე-სიმაგრიდან, სადაც არმენიელებს შეეფარებინათ თავი, ერთზე იერიში მიიტანეს და ხელთ იგდეს; ისინი, რომლებმაც პირველი შეტევა მოიგერიეს, ალყაში იქნენ მომწყვდეულნი. აქედან ტავრანიტების ქვეყანაში გადასული კორბულონი მოულოდნელ საფრთხეს გადაურჩა: მისი კარვის ახლოს ნახეს შუბოსანი ბარბაროსი, წარჩინებული გვარისა, და წამებით გაამჟღავნებინეს ბარბაროსების მიერ მოწყობილი მზაკვრობა, მან იკისრა შეთქმულების მოთავეობა და მოკავშირეებიც გასცა. მხილებულ იქნენ და დაისაჯნენ მახის დამგებნი, რომლებსაც მეგობრობის ნიღაბი ჰქონდათ აფარებული. მცირე ხნის შემდეგ ტიგრანოკერტიდან გამოგზავნილი ელჩები აუწყებენ, რომ ციხე-ქალაქის კარები გახსნილია და მოქალაქენი მზად არიან ბრძანებათა შესასრულებლად. ამასთან, ელჩებმა ოქროს გვირგვინი მოართვეს ვითარცა სამასპინძლო ძღვენი. პატივისცემით მიიღო კორბულონმა, არც რაიმე ზიანი მიუყენებია ქალაქისათვის, რათა უვნებლად დაცულ მოქალაქეებს მით უფრო ერთგულად შეენახათ მორჩილების გრძნობა.

25. ლეგერდის ციხე-სიმაგრე, რომელშიც ჩაიკეტა შეუპოვარი ახალგაზრდობა, უბრძოლველად არ აუღიათ; მეციხოვნეებმა ციხის კედლების წინ შებმაც გაუბედეს და, სიმაგრეში უკუქცეულთ, მაშინღა დაყარეს იარაღი, როცა მოლაშქრენი შიგ შეიჭრნენ და შეუტიეს; ეს კი შედარებით ადვილად მოხერხდა იმის გამო, რომ პართელები ჰირკანებთან ომში იყვნენ ჩაბმულნი. ჰირკანებმა მოციქულები გაუგზავნეს რომაელ პრინცეპსს მოკავშირეობის სათხოვნელად, თან უთითებდნენ, რომ თავად ისინი (ჰირკანები) მეგობრობის საწინდრად აკავებდნენ ვოლოგეზეს. უკან მიმავალ მოციქულებს კორბულონმა მცველები აახლა, რომლებმაც წითელი ზღვის ნაპირებამდე ჩაიყვანეს, რათა ევფრატის გადალახვის შემდეგ მტრის მოდარაჯე რაზმებს არ შეეპყროთ. მერე კი, თავი დააღწიეს რა პართელთა საზღვრებს, მშობლიურ ადგილსამყოფელს დაუბრუნდნენ.

26. როცა ტირიდატე მედების მიწაწყლის გავლით არმენიის მოსაზღვრე მხარეებში შეიჭრა, წინასწარ გაგზავნილ იქნა ლეგატი ვერულანუსი მაშველ ჯარებთან ერთად, თავად კორბულონიც გაეშურა ლეგიონებითურთ და აიძულა ტირიდატე შორს გასცლოდა, ომის იმედგადაწყვეტილი. ვისზედაც კი შეიტყო, რომ მტრულად იყო განწყობილი ჩვენდამი, [კორბულონმა] ყველანი ცეცხლითა და მახვილით აღგავა პირისგან მიწისა და არმენიის სამფლობელო ხელთ ეპყრა, როცა მოვიდა ტიგრანი, ნერონისგან გამორჩეული — ძალაუფლების დასაპყრობად, კაპადოკიელ წარჩინებულთაგანი, მეფე არქელაუსის შთამომავალი, მაგრამ დიდხანს მძევლად ნამყოფი რომში და ამის გამო დამდაბლებული მონურ ქედმოხრილობამდე. ერთპირობით არ მიუღიათ იგი, რადგან ზოგი კვლავ დიდად თანაუგრძნობდა არსაკიდებს, ხოლო უმეტესთ, მოძულეებს პართელთა მზვაობრობისა, რომაელებისგან გამოგზავნილი მეფე ერჩიათ. აახლეს მცველებიც —

ათასი ლეგიონერი, მოკავშირეთა სამი კოჰორტა და ორი ცხენოსანი რაზმი, რომელიც ლეგიონის ფრთებს დაიფარავდა. ამასთან, ტიგრანს რომ უფრო ადვილად შეენარჩუნებინა ახლად მიღებული სამეფო ტახტი, ნაბრძანები იყო არმენიის გარკვეული ნაწილები დამორჩილებოდნენ ფარასმანეს, პოლემონს, არისტობულუსს და ანტიოქუსს იმის მიხედვით, თუ ვის სამფლობელოს ესაზღვრებოდნენ. კორბულონი წავიდა სირიაში, რომელიც ლეგატ უმიდიუსის სიკვდილის შემდეგ უგამგებლოდ დარჩა და მას ჩააბარეს.

27. იმავე წელს აზიის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ქალაქი ლაოდიკეა მიწისძვრის შედეგად განადგურდა და ჩვენგან სრულიად დამოუკიდებლად საკუთარი ძალებით აღდგა.

წიგნი XV.

1. როცა პართელთა მეფემ — ვოლოგეზემ — შეიტყო კორბულონის საქმენი, შეიტყო, რომ არმენიის მეფედ დასვეს უცხოქვეყნელი ტიგრანი და განდევნილ იქნა მისი ძმა (ვოლოგეზე) — ტირიდატე, წასვლა ინება არსაკიდთა შეურაცხყოფილი ღირსებისთვის შურისსაძიებლად, მაგრამ თან ყოყმანობდა, რადგან იმხანად რომი ხელახლა გაძლიერდა და სამუდამო ხელშეკრულების დარღვევა საფრთხილო იყო, — ასე რომ სხვადასხვა საზრუნავი აწუხებდა ვოლოგეზეს, ბუნებით ფრთხილს და ხანგრძლივი ომით შებოჭილს ძლიერი ტომის — ჰირკანების — ჩამოშორების შემდეგ. ამგვარად გაორებული, გარდამეტებით ააღელვა უპატიობისა და შეურაცხყოფის ახალმა ცნობამ: არმენიის საზღვრებიდან გამოსულმა ტიგრანმა მეზობელი ხალხი — ადიაბენები — გაანადგურა. ეს თავდასხმა ყაჩაღურ რბევასა და თარეშთან შედარებით უფრო ვრცელ ტერიტორიაზე მოხდა და მეტ ხანს გასტანა. მძიმედ განიცდიდნენ დიდგვაროვანნი: უპატიობამ იქამდის მიაღწია, რომ თავს ესხმოდნენ და შემოსეულთ არამცთუ რომაელი სარდალი არ უძღოდათ წინ, არამედ ახირება ამოქმედებდათ მძევლისა, რომელიც ამდენი წლის განმავლობაში მონურ საკუთრებას შეადგენდა. წარჩინებულთა მწუხარებას ამძაფრებდა მონაბაზუსი, რომლის ხელშიც იყო ადიაბენთა გამგებლობა: იგი ეძიებდა, რა დახმარებას გაუწევდნენ ან საიდან; არმენია უკვე დათმეს, უახლოეს ქვეყნებსაც იტაცებს მტერი და, თუ პართელები არ დაიცავენ, — რომაელთა მონობა ნებით დამორჩილებულთ უფრო ეადვილებათ, ვიდრე დაპყრობილთ. დიდგვაროვანთ კიდევ უფრო მძიმე ტვირთად ეწვათ სამეფოდან დევნილი ტირიდატე, მდუმარე ან მორიდებულად მოჩივარი: დიდი სახელმწიფოები ხომ ვერ ძლებენ უმოქმედოდ; ვაჟკაცთა და მეომართა საქმეა ბრძოლა; ღირსებისა და პატივის უმაღლეს საფეხურზე ის უფრო სამართლიანია, რასაც მეტი ძალა აქვს; ქება შეჰფერის კერძო სახლს, როცა იგი თავისას იცავს, ხოლო სამეფო სასახლე სადიდებელია მაშინ, როცა იბრძვის სხვათა სიმდიდრის მოსაპოვებლად.

2. ამით წაქეზებული ვოლოგეზე თათბირს მოიწვევს, ტირიდატეს გვერდით მოისვამს და შემდეგი სიტყვებით იწყებს: „აჰა, მამის ჩემისგან ჩემთანავე შობილს, რაკი მან უმაღლესი ღირსება დამითმო უმრწემესობით, მივეც არმენიის სამფლობელო; ეს ძალაუფლების მესამე საფეხურად ითვლება, რადგან მედებს უფრო ადრე დაეპატრონა პაკორუსი. ასე წარმოვდექ: ძმათა ძველი მტრობისა და ურთიერთშეტაკებების წინააღმდეგ **(56)**, შესაფერისად ვაამე ჩვენი სახლობის მფარველ ღმერთებს. რომაელები წინ გვეღობებიან, მაგრამ ზავი დარღვეულია არა მათდა სასიკეთოდ, სრულიადაც არა, კვლავ თავიანთი თავის დასაღუპად არღვევენ მას. არ დავიწყებ უარყოფას; ვამჯობინე წინაპართა მონაპოვარი უფრო სამართლიანობით დამეცვა, ვიდრე სისხლით, უფრო სამართლის ძალით შემენარჩუნებინა, ვიდრე იარაღით, თუ დაყოვნებით დავაშავე, სიმამაცით გამოვისყიდი. ხოლო თქვენი ძალა და დიდება მოუკლებელია, ამას ემატება კეთილგონიერებითა და თავდაჭერილობით მოპოვებული სახელიც, მოკვდავთა შორის უმაღლესი მბრძანებლებისგანაც რომ არ არის უარსაყოფი და ღმერთებიც რომ აფასებენ დიდად". მაშინ დიადემა შემოახვია თავზე ტირიდატეს, საბრძოლოდ მომზადებული ცხენოსანთა რაზმი, რომელიც, ჩვეულებრივ, განუშორებლად თან ახლდა მეფეს, ჩააბარა წარჩინებულ კაცს — მონეზეს, შეუერთა ადიაბენების მაშველი ძალებიც და მიანდო ტიგრანის განდევნა არმენიიდან, სანამ თავად ბოლოს მოუღებდა ჰირკანებთან უთანხმოებას,

აამოქმედებდა ძირითად ძალებს, უზარმაზარ ლაშქარს — და საფრთხეს შეუქმნიდა რომაელთა პროვინციებს.

3. როცა ეს სარწმუნო ცნობების საშუალებით კორბულონს ეუწყა, ტიგრანის დასახმარებლად გაგზავნა ორი ლეგიონი ვერულანუს სევერუსის და ვეტციუს ბოლანუსის წინამძღოლობით და საიდუმლოდ დაავალა საერთოდ უფრო მშვიდად ემოქმედათ, და არა აჩქარებით, რადგან საომარ ვითარებაში ყოფნას არჩევდა ომის წარმოებას; კეისარს კი მისწერა, რომ საჭირო იყო იშვიათი სარდალი, რომელიც არმენიას დაიცავდა: ვოლოგეზეს შეჭრა სირიაში ამ ქვეყანას უფრო მძიმე საფრთხეს უქმნიდა. ამასობაში დანარჩენ ლეგიონებს ევფრატის ნაპირას განალაგებს, პროვინციების მცხოვრებთაგან სახელდახელოდ შეყრილ ჯარს საჭურველს აასხამს და დამცველი რაზმებით მტრის თავდასხმებს მოიგერიებს. რადგან ეს ქვეყანა უწყლოა, გასამაგრებლად წყაროების ახლოს მდებარე ადგილებს ირჩევს; ზოგ ნაკადულში ქვიშას ჩაყრის და მით დაფარავს წყალს.

4. სანამ კორბულონი თადარიგს იჭერს სირიის დასაცავად, მონეზეს სწრაფად მიჰყავს წინ ლაშქარი და იმისათვის, რომ თავისსავე ამბავს დაასწროს, ეკვეთება ტიგრანს, მაგრამ [ტიგრანი] მაინც უფრო ადრე იღებს ცნობას მოსალოდნელი შეტაკების შესახებ და წინდახედულად იქცევა; იკავებს ტიგრანოკერტას. ეს ძლიერ გამაგრებული ქალაქია, რადგან მრავალი მცველი ჰყავს და მაღალი კედლები იფარავს; ამასთან სიმაგრეთა ერთ ნაწილს გარს უვლის სიგანით არც თუ მცირე მდინარე ნიკეფორიუსი, იქ კი, სადაც მდინარის საფარი სანდო არ არის, უშველებელი თხრილია გაყვანილი. ქალაქში იმყოფებოდნენ მეომრები, ადრევე მოემარაგებინათ სურსათი, რომლის მოზიდვის დროსაც რამდენიმე ჯარისკაცმა სხვებთან შედარებით უფრო გახარბებულად წაიწია წინ და მოულოდნელად მტრებით გარშემორტყმული აღმოჩნდა, — ამის გამო დანარჩენები უფრო რისხვამ მოიცვა, ვიდრე ძრწოლამ. მაგრამ პართელს ალყის პირობებისთვის სრულიადაც არ ჰყოფნის გაბედულება ხელჩართულ ბრძოლებში: იშვიათად გასროლილი ისრებით ვერც საფარში მყოფთ აშინებს, თავსაც იტყუებს ამაოდ. როცა ადიაბენებმა კიბეებისა და საალყო მანქანების ახლოს მოზიდვა იწყეს, ადვილად ოტებულ იქნენ, მერე კი ჩვენები ერთბაშად თავს დაესხნენ და გაჟლიტეს.

5. მაგრამ კორბულონი, წარმატებათა მიუხედავად, ფიქრობდა ზომიერად მიეღო ბედის წყალობა; მან ვოლოგეზესთან გაგზავნა კაცნი, რომლებსაც ახსნა უნდა მოეთხოვათ: რატომ შევიდნენ ჯარები პროვინციაში და რატომ შემოერტყნენ გარს მოკავშირე და მეგობარ მეფეს, მასთან რომაელთა კოჰორტებს. ვოლოგეზეს უჯობს მოხსნას ალყა, თორემ თავად კორბულონი დაიბანაკებს მტრის მიწაწყალზე. ამ დავალებით ელჩად გაგზავნილი ცენტურიონი კასპერიუსი მეფეს შეხვდა ქალაქ ნიზიბისთან, ოცდაჩვიდმეტი ათასი ნაბიჯით რომ იყო დაშორებული ტიგრანოკერტიდან და ქედმაღლურად გადასცა დანაბარები. ვოლოგეზეს ძველიდანვე ღრმად ჰქონდა ჩაბეჭდილი მორიდებოდა რომაელებთან ბრძოლას, არც საქმე მიდიოდა მისდა სასიკეთოდ. ალყას აზრი დაეკარგა, ტიგრანი ჯარითა და სურსათით უზრუნველყოფილი იყო, მოიერიშენი აოტეს, ლეგიონები გაგზავნეს არმენიაში, სხვები კი სირიის საზღვრებთან იდგნენ მომზადებულნი შემოსევისთვის; ცხენოსან ჯარს, რომელიც თავად მას ახლდა, ძალა გამოელია საკვების ნაკლებობისგან, რადგან დიდძალი კალია გაჩნდა და აღარ იპოვებოდა აღარც ბალახი, აღარც ფოთლეული. ვოლოგეზეც ფარული შიშის გამო მეტ სირბილეს იჩენს და პასუხად ჰპირდება, რომ ელჩებს გაგზავნის რომის იმპერატორთან არმენიის მოთხოვნისა და ზავის განმტკიცების თაობაზე, მონეზეს უბრძანებს დატოვოს ტიგრანოკერტა, თავადაც უკან იხევს.

6. ბევრნი ამას აფასებდნენ როგორც მეფის შიშისა და კორბულონის მუქარის შედეგს და მეტად აზვიადებდნენ. სხვებს კი საიდუმლო შეთქმულებად მიაჩნდათ, თითქოს განზრახული იყო — რაკი ორივე მხარე უარს იტყოდა ომზე და ვოლოგეზე წავიდოდა, ტიგრანსაც დაეტოვებინა არმენია. მაშ რატომ იქნა გამოყვანილი რომაელთა ჯარი ტიგრანოკერტიდან? მშვიდობიანობის დროს რაღად დათმეს ის, რაც ბრძოლით დაიცვეს? იქნებ კაპადოკიის განაპირა მხარეს სახელდახელოდ აგებულ ქოხმახებში დაზამთრება ჯობდა ეხლახან კვლავ შენარჩუნებული

სამეფოს სატახტო ქალაქში დგომას? ომი უთუოდ იმისათვის გადაიდო, რომ ვოლოგეზეს ვინმე სხვასთან ებრძოლა, ოღონდაც არა კორბულონთან, და რომ კორბულონს საფრთხეში არ ჩაეგდო თავისი დიდება, რომელსაც ამდენი წლის განმავლობაში იხვეჭდა. დიახ, როგორც მოგახსენეთ, არმენიის დასაცავად განსაკუთრებული სარდალი მოითხოვა და ამბობდნენ, რომ მიდიოდა ცეზენიუს პეტუსი. უკვე იქ იმყოფებოდა, როცა ჯარები გაანაწილეს: მეოთხე და მეთორმეტე ლეგიონები, აგრეთვე მეხუთე, რომელიც მეზიელების ქვეყნიდან ახლად იყო გამოწვეული, პონტოს, გალატელთა და კაპადოკიელთა მაშველ ძალებთან ერთად ექვემდებარებოდნენ პეტუსს, ხოლო მესამე, მეექვსე და მეათე ლეგიონები და ის ნაწილები, რომლებიც იმთავითვე სირიაში იდგნენ, კორბულონთან უნდა დარჩენილიყვნენ; სხვანი გაერთიანდებოდნენ ან დანაწილდებოდნენ იმის მიხედვით, თუ როგორ მოითხოვდა საქმის ვითარება. მაგრამ კორბულონი ვერ ითმენდა მეტოქეს; პეტუსი, ვის სადიდებლადაც საკმარისი იქნებოდა უახლოესი ყოფილიყო კორბულონისა, არად აგდებდა მის საქმეებს და ამბობდა ხოლმე, თითქოს არც მტერი გაეჟლიტოთ, არც ნადავლი ეგდოთ ხელთ და ქალაქთა იერიშით აღებაც ფუჭი სიტყვები ყოფილიყოს მხოლოდ; თავად კი დახარკავს დამარცხებულებს, კანონებსაც დაუდგენს და მეფის ჩრდილის ნაცვლად რომაელთა ძალაუფლებასაც აჩვენებს.

7. სწორედ იმ დროისათვის ვოლოგეზეს ელჩები, რომლებიც გაგზავნილ იქნენ პრინცეპსთან, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, — უკან დაბრუნდნენ ხელმოცარულნი და პართელებმა აშკარად დაიწყეს ომი. არც პეტუსმა დაიჭირა შორს; ორი ლეგიონით, რომელთაგან მეოთხეს იმ დროს ფუნიზულანუს ვეტონიანუსი ედგა სათავეში, ხოლო მეთორმეტეს — კალავიუს საბინუსი, პეტუსი არმენიაში შევიდა, თუმცა ავად ენიშნა წინასწარ; ევფრატის გადალახვისას, ხიდზე რომ გადადიოდნენ, ცხენი, რომლითაც მიჰქონდათ საკონსულო ღირსების ნიშნები, ცხადლივ უმიზეზოდ დაფრთხა და უკან გაიჭრა. როცა საზამთროდ ბანაკს ამაგრებდნენ, სამსხვერპლო ცხოველიც იქვე ჰყავდათ და, ნახევრად რომ გაამაგრეს ბანაკი, სირბილით გაექანა და სანგარს გასცდა; მეომართა შუბები კი აღენთნენ, რაც უფრო ნიშნეულად მომასწავებელი იყო, რადგან მოწინააღმდეგე პართელი სატყორცნი შუბებით შეუტევდა მათ.

8. მაგრამ პეტუსმა, რომელიც სასწაულებს აგდებულად უყურებდა და რომელსაც ჯერ არც საზამთრო ბანაკი გაემაგრებინა შესაფერისად, არც სურსათი ჰქონდა მომარაგებული, სწრაფად გადაიყვანა ჯარი ტავრის მთებზე, რათა, როგორც ამბობდა, კვლავ ხელთ ეგდო ტიგრანოკერტა და გაეპარტახებინა ქვეყნები, რომლებიც კორბულონმა ხელუხლებლად დატოვა. დაიპყრეს ზოგიერთი ციხე-სიმაგრე. ეს გარემოება კი უმნიშვნელო არ ყოფილა დიდებისა და ნადავლის მოსახვეჭად, ან დიდება რომ ეძია ზომიერად, ან კიდევ ნადავლზე ეზრუნა: შორი გზების გავლით მოიარა ის ადგილები, რომელთა შენარჩუნებაც შეუძლებელი იყო. ამასთან, გაუფუჭდა მოპოვებული სურსათი და, რაკი ზამთარიც უკვე კარზე იდგა, ჯარი უკან წაიყვანა, ხოლო კეისართან გასაგზავნად დიდებული, ოღონდ ცარიელი სიტყვებით შეთხზა წერილი, თითქოს ომი კარგად დამთავრებულიყოს.

9. ამასობაში კორბულონმა უფრო გაახშირა მცველები და სადარაჯოები ევფრატის სანაპიროზე, რომელიც არასოდეს დაუტოვებია უყურადღებოდ. გარდა ამისა, მტრის ცხენოსან რაზმებს ხელი რომ არ შეეშალათ ხიდის აგებაში (რადგან გაღმით მოსაზღვრე ველებზე მოწინააღმდეგენი უკვე დაჰქროდნენ მოზრდილი რაზმების სახით), მდინარეზე დაძრა ყველაზე დიდი, მორებით ერთმანეთთან დაკავშირებული ხომალდები ზედ აღმართული კოშკებითურთ და უკუაქცია ბარბაროსები კატაპულტებისა და სხვა სატყორცნი იარაღების საშუალებით. ამგვარად ნასროლი ქვები და შუბები უფრო შორამდე აღწევდა, ვიდრე მოწინააღმდეგეთა მხრიდან გამოტყორცნილი ისრები. შემდეგ ხიდი აგებულ იქნა და გაღმა ბორცვები მოკავშირეთა კოჰორტებმა დაიკავეს, მერე კი ლეგიონები დაბანაკდნენ, თანაც ეს ისე სწრაფად მოიმოქმედეს და ძალები იმგვარად დაუსახეს პართელებს, რომ მათ სირიაში შეჭრის სამზადისი გაუუქმდათ და მთელ იმედს არმენიაზეღა ამყარებდნენ, მაშინ როცა პეტუსს, რომელმაც არ იცოდა, თუ რა საფრთხე ემუქრებოდა, მეხუთე ლეგიონი შორს, პონტოში, ჰყავდა, დანარჩენებს კი

ძალა გამოაცალა მეომართა უანგარიშო შვებულებებით, სანამ არ შეიტყო, რომ ვოლოგეზე უახლოვდებოდა დიდი, საომრად შემართული ლაშქრით.

10. გამოწვეულ იქნა მეთორმეტე ლეგიონი და პეტუსს იმედი ჰქონდა, რომ ამის შედეგად ჯარის გაძლიერების ამბავი გავრცელდებოდა, მაგრამ სწორედ ამან გასცა ძალთა სიმცირე. ასეც შეეძლო შეენარჩუნებინა ბანაკი და პართელს ხელიდან გასხლტომოდა ომის გაჭიანურების გზით, სიმტკიცე რომ გამოეჩინა ან თავისივე გეგმების, ან სხვათა რჩევის შესრულებისას. ის კი, გაჭირვების დროს გამაგრდებოდა რა სამხედრო საქმეში ნაცად კაცთა დახმარებით, მაშინვე საპირისპიროსა და უარეს გზას დაადგებოდა ხოლმე, რომ არ ეფიქრათ, თითქოს გარეშეთა რჩევა ისაჭიროვა. ახლაც დატოვა საზამთრო ბანაკი; პირდაპირ განაცხადა, რომ მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად არც თხრილი მიუღია, არც სანგარი, არამედ მიიღო ცოცხალი ძალა და იარაღი, — და წაიყვანა ლეგიონები, თითქოს ბრძოლის გაჩაღებას აპირებდა. შემდეგ, როცა დაკარგა ცენტურიონი და მცირე რიცხვი მეომართა, რომლებიც წინასწარ გაეგზავნა მტრის ჯარების დასაზვერად, შეშფოთებულმა უკან დაიხია და, რადგან ვოლოგეზე ნაკლებად გაცხარებული სდევნიდა, კვლავ ამაოდ თავდაჯერებულმა, სამი ათასი რჩეული ქვეითი ტავრის ქედის უახლოეს უღელტეხილთან ჩააყენა, რათა მეფის გადასვლა შეეფერხებინათ; ამასთან, პანონიელი მეომარნი, ცხენოსანი ჯარის საუკეთესო ნაწილი, ველის ერთ მხარეს განალაგა. მეუღლე და ძე თვისი შეაფარა ციხე-სიმაგრეს, არსამოზატა რომ ჰქვია სახელად, მცველად მიუჩინა კოჰორტა და ასე გაფანტა მეომრები, რომლებსაც უფრო გაბედულად დახვდებოდნენ უთავბოლოდ წამოსულ მტერს, ერთ ადგილას რომ ყოფილიყვნენ თავმოყრილნი. ამბობენ, ძლივს მიიყვანეს იმ გადაწყვეტილებამდე, რომ კორბულონისთვის ეუწყებინა მტრის კარზე მოდგომა, და არც კორბულონი აჩქარებულა: რაც უფრო გაიზრდებოდა საფრთხე, მით მეტ ქება-დიდებას შეასხამდნენ დახმარებისთვის. მაინც ბრძანა სალაშქროდ მოემზადებინათ ათას-ათასი მეომარი სამი ლეგიონიდან, რვაასი — მოკავშირეთა ცხენოსანი ჯარიდან და ამდენი —კოჰორტებიდან.

11. მართალია, ვოლოგეზემ გაიგო, რომ პეტუსს გზები შეეკრა აქედან ქვეითი ჯარით, იქიდან კი — ცხენოსნებით, მაგრამ სრულიადაც არ შეუცვლია განზრახვა: კვეთებით და მუქარით დააშინა ცხენოსნები და ლეგიონერები გაჟლიტა; მხოლოდ ერთმა — ცენტურიონმა ტარქვიტიუს კრესცენტმა-ღა გაბედა დაეცვა ციხე-კოშკი, სადაც ჩაეყენებინა მეციხოვნენი, უფრო ხშირად გამოუხტებოდა და მუსრს ავლებდა ხოლმე ბარბაროსებს, რომლებიც ახლოს მივიდოდნენ, — სანამ ყოველი მხრიდან მუგუზლები არ დაუშინეს. ფეხოსანთაგან თუკი ვინმე უვნებლად გადარჩა, შორეულსა და უდაბურ ადგილებს მიაშურა; დაჭრილები ბანაკში დაბრუნდნენ და შიშისაგან მთლად გააზვიადეს მეფის სიმამაცე, მოლაშქრე ხალხთა შეუპოვრობა და სიმრავლე, თანაც ადვილად აჯერებდნენ იმავე მიზეზით თავზარდაცემულთ. სარდალიც წინააღმდეგობას კი აღარ უწევდა მტერს, არამედ სრულიად უგულებელეყო თავისი სამხედრო მოვალეობა და კვლავ შეევედრა კორბულონს მალე მოსულიყო, რათა დაეცვა ნიშნები, არწივნი და შთენილი სახელი ბედუკუღმართი ლაშქრისა; თავად ჰპირდებოდა, რომ ერთგულებას შეინახავდნენ მთელი სიცოცხლის მანძილზე.

12. კორბულონმა, ვისთვისაც უცხო იყო შიში, ჯარის ნაწილი სირიაში დატოვა ევფრატზე აგებული სიმაგრეების შესანარჩუნებლად და კომაგენის მხარეში გაემართა უმოკლესი გზით, რომელიც ისე განვლო, რომ სურსათის შოვნა არ გასჭირვებია, მერე კაპადოკიას მიადგა, იქიდან, კი არმენიელთა ქვეყანაში გადავიდა. სხვა ყველაფერთან ერთად, რაც ჩვეულებრივ, საჭიროა ომისთვის, ლაშქარს თან ახლდა პურით დატვირთული აქლემების დიდი რაოდენობა, რათა მტერიც უკუეგდო და შიმშილიც. დამარცხებულთაგან პირველად უფროსი ცენტურიონი პაქციუსი შეხვდა კორბულონს, შემდეგ კი — მეომართა დიდი ნაწილი. მათ სხვადასხვა მიზეზი მოჰყავდათ ლტოლვილობის გასამართლებლად, ხოლო კორბულონი შეაგონებდა დაბრუნებოდნენ თავიანთ სამხედრო ნიშნებს და პეტუსისგან ეძიათ შეწყნარება, რაკი თავად კორბულონი არავის ინდობდა, გარდა გამარჯვებულთა. ამასთან, თავის ლეგიონებს დაუვლიდა ხოლმე, ამხნევებდა, ახსენებდა გარდასულ ბრძოლებს და ახალ დიდებას ჰპირდებოდა. არა არმენიელთა სოფლები

და ქალაქები, არამედ რომაელების ბანაკი და შიგ ორი ლეგიონი იყო აღთქმული ჯილდოდ ღვაწლისა. თუ ცალკეულ რიგითს მეომრებს მოქალაქის გადარჩენისთვის იმპერატორი **(57)** განსაკუთრებულ გვირგვინს ადგამს თავისი ხელით, რარიგს ან რაოდენ პატივს მიემთხვევიან, ხსნის მომტანთა და გადარჩენილთა თანაბარი რაოდენობა რომ იპოვებოდეს! ამგვარი სიტყვებით ერთიანად გამხნევებულნი (ხოლო იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ძმათა ან ნათესავთა საფრთხე განსაკუთრებული ძალით შეძრავდა და აღანთებდა) დღითა და ღამით შეუჩერებლივ გზად ეშურებოდნენ.

13. ვოლოგეზე მით მეტი გამძლეობით ავიწროებდა ალყაში მოქცეულთ, ხან ლეგიონთა სანგრებს ეკვეთებოდა, ხან — ციხე-სიმაგრეს, სადაც თავს აფარებდნენ ომისათვის უსარგებლონი, უფრო ახლოდან უტევდა, ვიდრე პართელებს სჩვეოდათ, რათა ამ თავაშვებულობით მტრები საბრძოლველად გამოეტყუებინა. ისინი ძლივსღა სცილდებოდნენ საერთო კარვებს, სხვა არავითარი მიზანი აღარ ჰქონდა მათ ბრძოლას, მხოლოდ სიმაგრეებს იცავდნენ: ზოგნი — სარდლის ბრძანებით, სხვებიც — ჩვეული სულმოკლეობის გამო, ან კორბულონს უცდიდნენ; ვინიცობაა, მტერი დასცემოდათ თავს, წინასწარ ითვალისწინებდნენ კავდინის ხევსა და ნუმანციაში [მარცხის] მაგალითებს; თანაბარი ძალასანიც ხომ არ იყვნენ იტალიელი სამნიტები და პართელები — რომის სახელმწიფოს მეტოქენი. ძლიერი და ხოტბა-დიდების ღირსი ძველი ხალხებიც, როცა კი ბედის ჩარხი უკუღმა დაუტრიალდებოდათ, თავიანთი თავის გადარჩენაზე ფიქრობდნენ. ლაშქრის ასეთ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნამ აიძულა სარდალი ბოლოსდაბოლოს მიეწერა ვოლოგეზესთვის პირველი წერილი, ოღონდ არა სავედრებელი, არამედ ვითარცა საჩივარი. იგი სწერს, რომ [ვოლოგეზე] საომარი მოქმედებას აწარმოებს არმენიელთა გულისთვის, რომლებიც მუდამ რომის ბატონობის ქვეშ იმყოფებოდნენ, ან ემორჩილებოდნენ იმპერატორისგან რჩეულ მეფეს. ზავი თანაბარ სარგებლობას მოუტანს ორივე მხარეს. მხოლოდ ახლანდელ ვითარებას ნუ უყურებს: მან სახელმწიფოს მთელი ძალები ორი ლეგიონის წინააღმდეგ წარმართა; რომაელებს უპყრიათ ქვეყნიერების დანარჩენი ნაწილი და მხარსაც დაუჭერენ ომში.

14. ამაზე ვოლოგეზეს ისეთი არაფერი უპასუხია, რაც საქმეს შეეხებოდა. მისწერა, რომ თავად ძმებს დაუცდიდა, პაკორუსს და ტირიდატეს. ეს ადგილი და დრო დანიშნული იყო სათათბიროდ, რათა რაიმე ეღონათ არმენიის თაობაზე. ღმერთებმა მიანიჭეს ღირსება არსაკიდთა, რომ ამავე დროს რომის ლეგიონებზედაც მიიღონ გადაწყვეტილება. ამის შემდეგ პეტუსმა მოციქულები წარავლინა და მოლაპარაკება სთხოვა მეფეს, რომელმაც ცხენოსანი ჯარის მეთაურს — ვაზაკეს — უბრძანა წასვლა. მაშინ პეტუსი იხსენებს ლუკულუსს, პომპეიუსს **(58)** და იმას, თუ როგორ იქცეოდნენ კეისრები, რათა დაეპყროთ არმენია ან გაეღოთ ვითარცა საბოძვარი; ხოლო ვაზაკემ თქვა, რომ ჩვენ მხოლოდ მოჩვენებითად ვიცავდით ან ვუბოძებდით, ძალაუფლება კი პართელებს ჰქონდათ. დიდი სჯა-ბაასის შემდეგ, მეორე დღეს, ადიაბენელი მონობაზუსი იქნა მიწვეული იმის დასამოწმებლად, რაშიც შეთანხმდნენ. გადაწყდა, ლეგიონები გაეთავისუფლებინათ ალყისგან, მთელი ლაშქარი უნდა გასულიყო არმენიელთა საზღვრებიდან, ციხე-სიმაგრეებს და სურსათს პართელებს გადასცემდნენ, ყოველივე ამის შესრულების შედეგად კი ვოლოგეზეს შესაძლებლობა მიეცემოდა ელჩები გაეგზავნა ნერონთან.

15. ამასობაში [პეტუსმა] ხიდი ააგო მდინარე არსანიაზე (იგი ბანაკს წინ ჩამოუდიოდა) და თითქოს ამ გზით წასასვლელად ემზადებოდა, [სინამდვილეში კი] პართელებს ებრძანებინათ ხიდის აგება გამარჯვების ნიშნად და დასტურად; ხომ გამოადგათ კიდევაც, ხოლო ჩვენები აქეთ არ წასულან. მეტსაც ლაპარაკობდნენ — უღელქვეშ გაატარესო ლეგიონები და სხვა ჭირ-ვარამიც გადახდათო. მსგავსი უბედურება არმენიელებმა მართლაც დაატეხეს თავს. ისინი სიმაგრეებში შევიდნენ მანამდე, სანამ რომაელთა ჯარი გამოვიდოდა იქიდან; გზების გაყოლებით ჩადგნენ და, შენიშნავდნენ თუ არა მოწინააღმდეგის ხელში ოდესმე ჩაცვივნულ მონებს ან საქონელს, უკანვე იტაცებდნენ, ართმევდნენ აგრეთვე ტანსაცმელს. იბრუნებდნენ იარაღს; დამფრთხალი მეომრებიც უთმობდნენ, რომ ბრძოლისთვის რაიმე საბაბი არ მიეცათ. ვოლოგეზემ იარაღი და

დახოცილთა გვამები ერთად დააგროვა, რათა ამით ჩვენი დამარცხება ცხადლივ დაედასტურებინა, და თავი შორს დაიჭირა სწრაფად მიმავალი ლეგიონების ყურებისაგან: ცდილობდა — ზომიერი და თავშეკავებული მბრძანებლის სახელი გავარდნოდა, მას შემდეგ რაც სიამაყე დაიცხრო. არსანიაზე გადასვლისას იგი სპილოზე იჯდა, ხოლო მეფის ახლობლებმა ცხენების საშუალებით გადალახეს მდინარე, რადგან უფრო ადრე ხმა გავრცელდა, რომ ხიდი ვერ გაუძლებდა სიმძიმეს მშენებელთა მზაკვრობის გამო; მაგრამ, ვინც გაბედა გავლა, ნახა, რომ იგი მაგარი და სანდო იყო.

16. როგორც ცნობილი გახდა, ალყაშემორტყმულებს საკმარისი სურსათი ჰქონდათ, ისე რომ შემდეგ ბეღლებს ცეცხლს უკიდებდნენ; პართელებზე კი, პირიქით, კორბულონი ამბობდა **(59)**, რომ არ გააჩნდათ სურსათის მარაგი, ცხენების საკვებიც გადათქერილი იყო — ამის გამო აპირებდნენ ხელი აეღოთ იერიშზე; თავად კორბულონსაც სამი დღის სავალზე მეტი აღარ აშორებდა მათგან. იგი გადმოგვცემს აგრეთვე, რომ პეტუსმა სამხედრო ნიშნების წინაშე, დასამოწმებლად მეფისაგან გამოგზავნილი პირების თანდასწრებით, ფიცი დადო, არც ერთი რომაელი არ შესულიყო არმენიაში მანამდე, სანამ ნერონის წერილი არ მოვიდოდა და არ შეიტყობდნენ, თანახმა იყო თუ არა ზავზე. ეს შეითხზა იმისათვის, რომ პეტუსს მეტი უპატიობა რგებოდა წილად, მაგრამ დანარჩენ ამბებს არ აკლია სიცხადე და დამაჯერებლობა; ერთ დღეში პეტუსმა გაიარა მანძილი, რომელიც ორმოცი ათასი ნაბიჯით იზომებოდა, თან დაჭრილებს ტოვებს აქა-იქ; ლტოლვილთა ის შიში და ძრწოლა კი არა ნაკლებ სამარცხვინო იყო, ვიდრე — ბრძოლაში ზურგი რომ შეექციათ მტრისთვის კორბულონს, რომელიც თავისი ლაშქრით ევფრატის ნაპირას შეხვდა, არ უჩვენებია წარჩინების ნიშანთა და იარაღის ბრწყინვალება, რათა თვალში საცემი განსხვავება ყვედრებად არ მიეღოთ: მწუხარებით მოცული მანიპულები, რომელთა სიბრალულსა და თანაგრძნობასაც იწვევდა თანამებრძოლთა ხვედრი, ცრემლსაც ვერ იკავებდნენ; ტირილისგან ძლივსღა შეძლეს მისალმებოდნენ ერთმანეთს. შეწყდა ასპარეზობა სიმამაცისა და ძიება დიდებისა, ვითარცა ბედნიერ ადამიანთა გატაცება: მხოლოდ სიბრალული სუფევდა და ისიც — უფრო ქვედა ფენებში.

17. შემდეგ სარდლებმა ერთმანეთს მიმართეს მოკლე სიტყვებით; ერთი ჩიოდა, რომ უქმი აღმოჩნდა მისი შრომა და წვალება, თუმცა შეიძლებოდა ომი პართელების განადგურებით დამთავრებულიყო: მეორემ უპასუხა, რომ ორთავ სრულად და უვნებლად შეინარჩუნეს ჯარები: შემოაბრუნონ არწივები და შეერთებული ძალით შეიჭრან არმენიაში, რომელიც დასუსტდა ვოლოგეზეს წასვლის შემდეგ. კორბულონმა განუცხადა, რომ ეს არ უბრძანებია მისთვის იმპერატორს: შეძრული და აღელვებული იმ საფრთხის გამო, რომლის წინაშეც იდგნენ ლეგიონები, იგი გამოვიდა პროვინციიდან; რამდენადაც პართელთა მისწრაფებები მისთვის გაურკვეველია, სირიაში დაბრუნებას აპირებს. ამ პირობებშიც, როგორც უმჯობესი ხვედრი, სავედრებელი გაუხდა ის, რომ გრძელ გზებზე დაქანცულმა ქვეითმა ჯარმა მოასწრონ მხნე ცხენოსანთა ჯარს, რომელიც წინ მიდის, რადგან გზა ადვილად სავალ ველებზე უდევს: პეტუსმა კაპადოკიაში დაიზამთრა. ვოლოგეზემ მოციქულები წარავლინა კორბულონთან, რათა დაერღვია სიმაგრეები ევფრატს გადაღმა და მდინარე საზღვრად ექცია, როგორც უწინ იყო; ის კი გადაჭრით მოითხოვდა ამავე დროს მტრის ჯარებისგან არმენია განთავისუფლებულიყო. ბოლოს მეფე დაეთანხმა. განადგურებულ იქნა სიმაგრეები, რომლებიც კორბულონმა ააგო ევფრატის გაღმა ნაპირზე, არმენიელებმა კი უგანმგებლოდ დატოვეს.

24. ამასობაში, ადრე გაზაფხულზე, პართელმა ელჩებმა, მეფე ვოლოგეზის დავალებით, ასეთი შინაარსის წერილი მოიტანეს: იგი ხელს იღებდა არმენიის დაპყრობაზე, რომლისთვისაც დავა კარგა ხანია მიმდინარეობდა, რადგან ღმერთებმა, რომლებიც უმამაცეს ხალხთა გამგებელნი არიან, პართიის საკუთრებად გახადეს იგი, რამაც რომს სირცხვილი არ ააცდინა. დიდი ხანი არ არის, რაც ტიგრანი ალყაში იყო, შემდეგ პეტუსი და მისი ლეგიონი, რომლის განადგურება ვოლოგეზეს შეეძლო, უვნებელნი გაუშვა. მან თავისი ძალაც საკმაოდ დაამტკიცა და შეწყალებაც. არც ტირიდატე იტყოდა უარს რომში წასვლაზე დიადემის მისაღებად, ქურუმთა

წესს რომ არ შეეჩერებინა. არც იმის წინააღმდეგი იქნებოდა, გზას გადგომოდა პრინცეპსის გამოსახულებით, რომ იქ ლეგიონის თანდასწრებით მეფობა მიეღო.

25. ვოლოგეზეს ასეთი წერილის მიღების გამო (რადგან პეტუსი სულ სხვას იწერებოდა, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო) დაჰკითხეს ცენტურიონი, რომელიც ელჩებს მოჰყვა, თუ როგორ მდგომარეობაში იყო არმენია. მათ უპასუხებს, რომ იქიდან ყველა რომაელი წამოვიდა. ბარბაროსთა ასეთი დაცინვა რომ მოისმინეს, რომლებიც იმას ითხოვდნენ, რაც ძალით დაიპყრეს. ნერონმა მოიწვია სახელმწიფოს წარჩინებულნი სათათბიროდ, საშიში ბრძოლა მიეღოთ, თუ სამარცხვინო ზავი. ყველამ უყოყმანოდ ომი არჩია. ამ საქმის წარმოება დაევალა კორბულონს, რომელიც უკვე რამდენიმე წელია კარგად იცნობდა საკუთარ ჯარებსა და მტრის ძალებსაც. მას აღარ მოუვიდოდა ის შეცდომები, რაც გამოუცდელობით დაემართა პეტუსს. ამრიგად, ელჩები იმედგაცრუებულნი დაბრუნდნენ, თუმცა დასაჩუქრებულებს იმედი აღეძრათ, რომ ამაოდ არ ჩაივლიდა ტირიდატეს თხოვნა, თუ კი პირადად წამოვიდოდა სათხოვნელად. სირიის გამგებლობა გაიუს ცესტიუსს დაევალა, ხოლო ლაშქრისა — კორბულონს. მათ შეუერთდა მეთხუთმეტე ლეგიონი, პანონიიდან წამოსული, მარიუს ცელსუსის მეთაურობით. ტეტრარქებს **(60)**, მეფეებს, პრეფექტებსა და პროკურატორებს, პრეტორებს, ვინც მეზობელ პროვინციებს განაგებდნენ, მისწერეს, რომ კორბულონის ბრძანებას დამორჩილებოდნენ. მას ისეთივე განუზომელი უფლება მისცეს, როგორიც პომპეუსს მისცა რომაელმა ხალხმა მეკობრეებთან ბრძოლისთვის **(61)**. უკანდაბრუნებულ პეტუსს ეშინოდა სასჯელისა. კეისარმა იგი საკმაოდ ენამახვილურად გაკიცხა: „მზად ვარ გაპატიო დანაშაული, რადგან ასეთმა ხანგრძლივმა შიშმა და ღელვამ ავად არ გაგხადა".

26. კორბულონმა სირიაში გადაისროლა მეოთხე და მეხუთე ლეგიონები, როგორც ნაკლებგამოსადეგნი საომარი საქმიანობისთვის, რადგან მათი უმამაცესი მეომრები დაიღუპნენ, ხოლო დანარჩენები შიშისგან იყვნენ დადამბლავებული, ხოლო იქიდან არმენიაში მეექვსე და მესამე ლეგიონები წაიყვანა, რომელთაც ჯერ არ გამოჰკლებოდათ [მეომრები] და ამასთანავე გამოწვრთნილები იყვნენ ხშირ და წარმატებულ ბრძოლებში: ამათ მიუმატა ის მეხუთე ლეგიონი, რომელიც პონტოში იმყოფებოდა და მარცხი ჯერ არ განეცადა, ახლახან მოსული მეთხუთმეტე ლეგიონის მხედრები, რჩეული რაზმები ილირიიდან და ეგვიპტიდან, მის განკარგულებაში მყოფი ყველა მხედარი რაზმი, მოკავშირეთა კოჰორტები და მეფეთა მიერ გამოგზავნილი მაშველი ჯარები. ამ ძალებს თავი მოუყარა მელიტენეში, საიდანაც აპირებდა ევფრატზე გადასვლას. მას მერე რაც წესისამებრ მოახდინა მსხვერპლშეწირვა, შეჰკრიბა მთელი ლაშქარი და მას მეტად საზეიმო სიტყვით მიმართა, უთხრა, რომ ისინი თვით იმპერატორის (ნერონის) უზენაესი ხელმძღვანელობით იბრძოლებენ, შეახსენა თავისი წარსული მოღვაწეობა და ახლანდელი წარუმატებლობის მიზეზად პეტუსის გამოუცდელობა დასახა: [ამ სიტყვაში) სიმტკიცე და რწმენა გამოსჭვიოდა, რაც ამ მამაცი მხედრისთვის მჭერმეტყველების მაგიერი იყო.

27. მალე კორბულონი ლუკულუსის მიერ ოდესღაც გაკვალულ გზას გაუდგა **(62)**, გაწმინდა რა იგი დროთა განმავლობაში დაგროვილი ზვავისგან. იგი დაეთანხმა ტირიდატესგან და ვოლოგეზესგან გამოგზავნილ ელჩებს ზავზე, შეუერთა ისინი ცენტურიონებს, რომელთაც არც თუ მკაცრ დავალებას ატანს. ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო, რომ საჭირო იყოს თავგანწირვით ბრძოლა. რომაელებს მრავალი წარმატება ხვდათ წილად, მეტისმეტად რომ არ გადიდგულებულაყვნენ, ზოგჯერ პართელებთანაც მიდიოდა გამარჯვება. ტირიდატესთვის ხელსაყრელი იქნებოდა მიეღო საჩუქრად დაურბეველი, უვნებელი სამეფო, ვოლოგეზესთვისაც უმჯობესი იყო პართელი ტომების საკეთილდღეოდ, ურთიერთობა რომაელებთან, ვიდრე ორივე მხარისთვის საზიანო მოქმედება. ცნობილი იყო, რა შინაგანი უთანხმოება ჰქონდათ და რა გულფიცხ, თავაშვებულ ტომებს განაგებდა ვოლოგეზე. იმპერატორს კი ყველასთან მტკიცე ზავი ჰქონდა დადებული და მხოლოდ ეს ერთი ომი ექნებოდა. ამ რჩევასთან ერთად ისიც გაახსენა, რომ მოსალოდნელი იყო საფრთხე არმენიელ დიდებულთაგან, რომლებიც პირველი

ჩამოგვშორდნენ, დაამარცხეს ისინი ადგილზევე, გაუნადგურეს თავშესაფარი, თანაბრად თესდნენ შიშს მთაში და ბარში.

28. კორბულონის სახელი ბარბაროსებში არ იწვევდა მტრულ სიძულვილსა და ღვარძლს, ამიტომ ისინი ენდობოდნენ მის რჩევას. ვოლოგეზე არსებით საკითხებში დათმობაზე წავიდა, ზოგიერთ პრეფექტურებთან ზავსაც კი მიაღწია. ტირიდატემ ადგილი და დღე მოითხოვა მოსალაპარაკებლად, რომ უმოკლეს ხანში იმ ადგილას, სადაც პეტუსთან ერთად ალყაში იყვნენ ლეგიონები, დანიშნულიყო შეხვედრა. ეს ადგილი ბარბაროსებს ბევრ სასიამოვნო მოგონებას უღვიძებდა, კორბულონმაც არ გაუწია წინააღმდეგობა იმ ვარაუდით, რომ შეიძლება ბედის ამ სხვადასხვაობას დიდება მოეტანა. მას არც პეტუსის სირცხვილი აშინებდა, ეს მით უფრო გამოამჟღავნა, რომ უბრძანა თავის ვაჟს, ტრიბუნს, წაეყვანა მანიპულები და ამ სამარცხვინო ბრძოლაში დაცემულები დაემარხათ. დანიშნულ დღეს ტიბერიუს ალექსანდრე, ბრწყინვალე რომაელი მხედარი, რომელიც ამ ბრძოლაში კორბულონის თანაშემწე იყო და ანიუს ვინიციანუსი, კორბულონის სიძე, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო სენატორისთვის შესაფერისი ასაკისა და რომელსაც მეხუთე ლეგიონის ელჩობა ევალებოდა, ტირიდატეს ბანაკში მივიდნენ, რომ პატივი ეცათ მისთვის და თან [ჩაენერგათ], შიში არ ჰქონოდა, რომ ასეთი მძევლები რაიმე ხიფათს შეამთხვევდნენ. ოც-ოცი მხედარი გამოჰყვეს ორივე მხრიდან. კორბულონის დანახვისას, მეფე უმალვე ჩამოხდა ცხენიდან, არც ქვეითად მყოფმა კორბულონმა დაახანა, და ორივემ მარჯვენა გაუწოდეს ერთმანეთს.

29. შემდეგ რომაელი აქებს ჭაბუკს, რომ მან ხსნა და იმედი მოიპოვა იმით, რომ ჩამოიშორა საფრთხე. ტირიდატემ კი ბევრი ილაპარაკა თავისი წარჩინებული გვარის შესახებ, დანარჩენებზე უფრო თავშეკავებულად თქვა: რომში წასვლაზე და ამით კეისრისთვის ახალი წარმატებების მოპოვებაზე, რადგან მართალია, არც ისე ცუდად იყო პართელების საქმე, მაგრამ მასთან მაინც ქედმოხრილი არსაკიდი მიდიოდა. ბოლოს ტირიდატე დათანხმდა იმაზე, რომ იგი კეისრის ქანდაკებასთან დადებდა თავის სამეფო გვირგვინს და მიიღებდა მას უკანვე თვით ნერონის ხელით. ამით დაამთავრეს მოლაპარაკება და გადაკოცნეს ერთმანეთი. რამდენიმე დღის გავლის შემდეგ ორივე ლაშქარი ერთმანეთის პირდაპირ იყო ჩამწკრივებული მთელი თავისი ბრწყინვალებით. ერთ მხარეს ტურმებად განლაგებული მხედრები სამამულო ნიშნებით, მეორე მხრივ ლეგიონთა რაზმი ელვარე არწივებისა და ღმერთების გამოსახულებით, ისე როგორც ტაძრებში. შუაში აღმართული იყო ტრიბუნალი, იდგა სავარძელი ნერონის გამოსახულებით. როცა, მსხვერპლების შეწირვის შემდეგ, ტირიდატე წამოვიდა წინ, მოიხსნა თავიდან დიადემა და ქანდაკებასთან დადო, ყველა ძლიერ აღელდა, რადგან ჯერ კიდევ ცოცხლად ედგათ თვალწინ რომაელთა ლაშქრის ალყა და ხოცვა-ჟლეტა. ახლა კი შემოტრიალდა ჩარხი. მთელი ხალხის თვალწინ მიმავალი ტირიდატეს მდგომარეობა ოდნავ თუ განსხვავდებოდა ტყვის მდგომარეობისგან.

30. ამ დიდებას კორბულონმა თან თავაზიანობა დაურთო, გამართა ნადიმები. როცა მეფემ ბევრი ახალი რამ შეამჩნია (მაგ. გუშაგების ცვლას ცენტურიონები აუწყებდნენ, ნადიმის დამთავრებას ბუკის ხმა ანიშნებდათ და ავგურალის **(63)** წინ საკურთხეველი ჩირაღდნით ინთებოდა), იკითხა ყველაფრის მიზეზი და გაოცდა, რომ ეს განდიდების მიზნით, ძველი წესების თანახმად ხდებოდა. მეორე დღეს ტირიდატე მას დაეთხოვა, რომ ამოდენა მგზავრობის წინ შეხვედროდა ძმებს და გამოსთხოვებოდა დედას. მაშინ მისცა მან კორბულონს მძევლად თავისი ასული და გადასცა თხოვნის წერილი ნერონთან.

31. იქიდან წამოსული პაკორუსს მედებთან, ხოლო ძმაზე მზრუნველ ვოლოგეზეს ეკბატანასთან პოულობს. [ვოლოგეზემ] კორბულონს განსაკუთრებული დავალებით გაუგზავნა კაცები, სთხოვა რომ ტირიდატეს არ ეგრძნო თავი ტყვის მდგომარეობაში, ვინმეს არ ჩამოერთვა მისთვის იარაღი, რომ პროვინციის რომელიმე მფლობელს უარი არ ეთქვა მისი პატივით მიღებაზე და კარები არ დაეკეტათ მისთვის. რომ რომში ისე მიეღოთ, როგორც კონსულებს ღებულობენ. ისეთი პატივით მიგებებოდნენ, როგორც შეეფერებოდა უცხოელი სტუმრის

სიამაყეს, ვისთვისაც მხოლოდ გარეგნულ ეფექტს აქვს მნიშვნელობა, და ჩვენთვის კი, იმპერიის ძალას.

ი ს ტ ო რ ი ა

წიგნი I.

2, 1. ვიწყებ თხზულებას აღსავსეს უბედური ამბებით, შემაძრწუნებელი ბრძოლებით, შეურიგებელი განხეთქილებებით, როცა თვით მშვიდობიანი დროც კი საზარელი იყო. ოთხი ხელმწიფე **(64)** მახვილით დაიხოცა; სამი სამოქალაქო, უფრო მეტი საგარეო და მრავალი შერეული ომი მოხდა: წარმატებანი მოვიპოვეთ აღმოსავლეთში და მარცხი განვიცადეთ დასავლეთში: აჯანყდა ილირია; შეირყა გალია, დამორჩილებულ და მყის განთავისუფლებულ იქნა ბრიტანეთი; აღდგნენ ჩვენზე სარმატთა და სვებთა ტომები: დაკიამ სახელი გაითქვა საერთო [ჩვენი და მათი] დამარცხებებით; კინაღამ პართელებიც აღიძრნენ საომრად ცრუ-ნერონის ხრიკების წყალობით.

6. 2. გალბას შესვლა ქალაქში ამდენი ათასი უიარაღო ჯარისკაცის გაჟლეტის შემდგომ ბედითი ნიშანი იყო და თვით მათთვისაც, ვინც ჯარისკაცები დახოცა, თავზარდამცემი. რაკი ესპანეთის ლეგიონი იქნა შემოყვანილი და ის ლეგიონიც იქვე რჩებოდა, რომელიც ნერონმა მოჰკრიბა ფლოტში, ქალაქი უჩვეულო ჯარით იყო სავსე. ამათ ერთვოდა გერმანიიდან, ბრიტანეთიდან და ილირიიდან ჩამოყვანილი ბევრი რაზმი, რომლებიც იმავე ნერონმა შეარჩია და კასპიის ბჭეებთან გაგზავნა იმ ომისთვის, რომელსაც ალანთა წინააღმდეგ ამზადებდა **(65)**, მაგრამ ვინდექსის მიერ წამოწყებული ამბოხების ჩასაქრობად გამოიწვია უკან. გადატრიალებისთვის დიდი მიზეზი არსებობდა, ოღონდ ერთ რომელიმესკენ კი არ იხრებოდა ჯარისკაცთა კეთილგანწყობილება, არამედ მზად იყო ვინმე გამბედავს მისდგომოდა.

79. ყველას გონება სამოქალაქო ომისკენ იყო მიპყრობილი და ნაკლებად ფიქრობდნენ გარეშე ომებისგან მოსალოდნელ საფრთხეზე. ამით გათამამებული როქსოლანების ტომი, სარმატები, რომლებმაც გასულ ზამთარს ორი კოჰორტი გაჟლიტეს, დიდი იმედით შეიჭრნენ მეზიაში 9 ათასამდე ცხენოსნით. ეს იერიში და თავგასულობა უფრო ნადავლის მოპოვების სურვილით იყო გამოწვეული, ვიდრე ბრძოლის. ასე უდარდელად, უმიზნოდ მოხეტიალეებს უცაბედად მესამე ლეგიონი დაესხა თავს დამხმარე ძალით **(66)**. რომაელები მზად იყვნენ ბრძოლისთვის. სარმატები კი მიმოფანტული იყვნენ ნადავლის ძებნაში. ზოგიც საბარგო ტვირთით იყო დამძიმებული, ცხენები ციცაბო კლდეებზე ძლივს მიბობღავდნენ, და ისინი თვითონ თითქოსდა ხელ-ფეხშებორკილები იყვნენ, ისე ეცემოდნენ მტრის მახვილისგან. საოცარია, მაგრამ სარმატების სიმამაცე თვით მათზე არ იყო დამოკიდებული. ქვეით ბრძოლაში ისინი მოუქნელნი იყვნენ, მაგრამ მათ 30 კაციან ცხენოსანთა რაზმს ვერავინ გაუწევდა წინააღმდეგობას. მაგრამ იმ დღეს, ნისლი იდგა, დნებოდა თოვლი და სარმატებს არ შეეძლოთ არც შუბების, არც გრძელი მახვილების გამოყენება, რომლებიც მათ ორივე ხელით უჭირავთ, მათი ცხენები ეცემოდნენ და თვითონაც ჯავშნები ამძიმებდათ. ეს ჯავშნები, რომლებსაც მეთაურები და წარჩინებულები ატარებდნენ, გაკეთებული იყო რკინის ფირფიტებისა და მაგარი ტყავისაგან. ის იერიშის დროს გამოსადეგი იყო, რადგან მასში მტრის იარაღი ვერ აღწევდა. მაგრამ თავდასხმისას ასეთი ჯავშნით წაქცეულებს წამოდგომა აღარ შეეძლოთ. ამასთანავე, მათი ცხენები ფაფუკ და ღრმა თოვლში ეფლობოდნენ. რომაელი ჯარისკაცები კი, მსუბუქი აბჯრით იყვნენ დაცულნი. ისინი ოროლებითა და შუბებით ესხმოდნენ მტერს თავს და როცა საჭირო ხდებოდა, ხელჩართულ ბრძოლაში მოკლე მახვილებითაც ანადგურებდნენ შეუიარაღებელ სარმატებს (რომლებიც თავისი ჩვეულების გამო, არც ფარით იყვნენ დაცული), სანამ სულ მცირენი, რომლებიც ბრძოლას გადაურჩნენ, ჭაობებში არ დაიმალნენ, სადაც მათ ზამთარმა და ჭრილობებმა მოუღო ბოლო. როდესაც ამ ცნობამ რომამდე მიაღწია, მარკუს აპონიუსი, მეზიის მფლობელი, ტრიუმფალური ქანდაკებით დაჯილდოვდა **(67)**, ხოლო ფულვიუს ავრელიუსი, იულიანუს ტეტციუსი და ნუმისიუს ლუპუსი — ლეგიონის ელჩები — საკონსულო

ნიშნებით **(68)**. გახარებული ოტონი ამ დიდებას თავის თავს მიაწერდა, თითქოს ბრძოლაში ბედმა გაუღიმა მას და მისი ლაშქრისა და მისი სარდლობის წყალობით რესპუბლიკამ სახელი მოიხვეჭა.

წიგნი III.

47. არც სხვა ერები იყვნენ წყნარად. ანაზდად იარაღი აღმართა პონტოში ბარბაროსმა მონამ, რომელიც ოდესმე სამეფო ფლოტის მეთაური იყო. ის გახლდათ ანიკეტოსი **(69)**, პოლემონის აზატი, ოდესღაც ფრიად ძლევამოსილი, ხოლო მას შემდეგ რაც პროვინციად იქცა სამეფო, ცვლილებას ვერ ითმენდა. ამიტომ ვეტელიუსის სახელით მიიმხრო ტომები, რომლებიც პონტოსთან (შავზღვასთან) ცხოვრობენ, აგრეთვე ძარცვის იმედით აცთუნა უღატაკესნი, არა მცირე რაზმს ჩაუდგა სათავეში და ანაზდად შეიჭრა ტრაპეზუნტში, ძველთაგანვე სახელგანთქმულ ქალაქში, რომელიც ბერძნებისგან არის დაარსებული შავი ზღვის უკიდურეს სანაპიროზე. იქ ამოჟლიტა კოჰორტი, რომელიც ოდესღაც სამეფო დამხმარე ჯარი იყო. შემდეგ მათ რომის მოქალაქეობა და ჩვენებური დროშები და იარაღი მიანიჭეს, მაგრამ ბერძნების სიზარმაცე და თავნებობა კი შერჩათ. ფლოტსაც ცეცხლი წაუკიდა და აბუჩად აიგდო ცარიელი ზღვა, ვინაიდან რჩეული ლიბურნული ხომალდები და მთელი ჯარი მუციანუსმა ბიზანტიონს წაიყვანა. ამიტომაც ბარბაროსები თავხედურად დაძრწოდნენ სახელდახელოდ გაკეთებული ნავებით. [მათ] კამარებს უწოდებენ **(70)**, [აქვთ] დაბალი გვერდები, განიერი მუცლები; შეკრულნი არიან ბრინჯაოს ანდა რკინის სამაგრების გარეშე და როცა ზღვა ღელავს, ტალღების სიმაღლისდა მიხედვით, ნავებსაც სიმაღლეს უმატებენ ფიცრებით, ვიდრე [სახლის] სახურავივით არ გადაიხურება. ასე დალივლივებენ ტალღებში, აქვთ რა ორივე მხარეს ერთნაირი ცხვირები და ერთნაირი მოსასმელი ნიჩბები, ისე რომ ორივე ცხვირით თანაბრად და უვნებლად [შეუძლიათ] ნაპირს მიადგნენ.

48. ამ საქმემ იმდენადაც [მიიქცია] ვესპასიანეს ყურადღება, რომ ლეგიონებიდან გამობრძმედილი სათადარიგო ჯარისკაცები და ომში გამოცდილი სარდალი ვირდიუს გემინუსი ამოირჩია. იგი თავს დაესხა გაბნეულ და ალაფობის წადილით გაფანტულ მტერს და ხომალდებზე შერეკა; [მერმე] მსწრაფლ ააგო ლიბურნული ხომალდები **(71)** და ანიკეტოსს მდინარე ხობის **(72)** შესართავში დაეწია, სადაც იგი უშიშრად იყო სედოხეზების **(73)** მეფის შემწეობით, რომელიც მოკავშირეობაზე ფულითა და საჩუქრებით დაითანხმა. პირველად მეფე მუქარითა და იარაღით იცავდა კიდეც [შეფარებულ] მავედრებელს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ღალატისთვის ჯილდო, თუ არადა ომი შესთავაზეს, ბარბაროსების ჩვეულებისამებრ რწმენამერყევი, დათანხმდა ანიკეტოსის დაღუპვას და ლტოლვილებიც გასცა. ასე მოეღო ბოლო მონათა ომს.

„ი ს ტ ო რ ი ი ს" ფრაგმენტი.

(ოროზიუსი VIII, 34, 5).

7. თეოდოსიუსი... სკვითების იმ უამრავ ტომებს, რომლებისაც მთელ ჩვენს წინაპრებს ეშინოდათ, და რომელთაც ალექსანდრე დიდიც, როგორც პომპეუსი და კორნელიუსი მოწმობენ, გაურბოდა..., ესე იგი, ალანებს, ჰუნებს და გოთებს, დაუყოვნებლივ დაესხა თავს და ბევრ დიდ ბრძოლაში დაამარცხა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1) გ ე რ მ ა ნ ი კ უ ს ი (ძვ.წ. 15 — ახ.წ. 19) — იგულისხმება მხედართმთავარი იულიუს კეისარი გერმანიკუსი — დრუზუს უფროსის ძე, იმპერატორ ტიბერიუსის ძმისწული. გერმანელთა წინააღმდეგ რამდენიმეჯერ წარმატებით ილაშქრა.

2) აქ ტაციტუსი უბრუნდება არმენიის ამბებს, რომელიც ამავე წიგნის IV თავშია მოთხრობილი.

3) ვ ო ნ ო ნ ი — მეფე ფრაატ IV-ის ძე, მძევლად მიცემული ავგუსტუსისთვის. თვით ფრაატ IV პართიელთა მეფე იყო არშაკიდების გვარისა ძვ.წ. I ს. II ნახევარში.

4) ზ ე ნ ო ნ ი — პონტოს მეფის პოლემონ I-ის ძე, რომელიც სომხეთის ტახტზე დასვა გერმანიკუსმა და სომხებში არტაქსიას სახელით იყო ცნობილი.

5) ა რ ტ ა ქ ს ა ტ ა ანუ არტაშატი — ე.წ. დიდი არმენიის დედაქალაქი, რომელიც მდ. არაქსის ჩრდილოეთ ნაპირზე მდებარეობდა.

6) აქ იგულისხმება ეგვიპტის ძველი ქალაქი თებე, რომელიც მარკუს სილანუსისა და ლუციუს ნორბანის კონსულობის დროს, ე.ი. ახ.წ. 19 წ. დაუთვალიერებია გერმანიკუსს.

7) ეგვიპტის ფარაონის რამზესის (რამზეს II, მეფობდა დაახლ. ძვ.წ. 1307-1240 წწ. იგი აგრეთვე სესოსტრისის სახელითაც არის ცნობილი) ლაშქრობის შესახებ ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, კერძოდ სკვითიასა და კავკასიაში, მოგვითხრობენ ჰეროდოტე (II, 103), იუსტინუსი (I, 1, 4) და პლინიუს უფროსი (XXXIII, 52).

8) ბითინიისა და ლიკიის ზღვებში უნდა იგულისხმებოდეს შავი და ხმელთაშუა ზღვების ის ნაწილები, რომლებიც სწორედ ბითინიისა და ლიკიის სანაპიროებს ეკვრის.

9) ვ ო ნ ო ნ ი სკვითიის მეფის ნათესავად იმ აზრით არის ნახსენები, რომ არშაკადების დინასტია, რომელსაც იგი ეკუთვნოდა თავის წარმოშობას, უკავშირებდა არშაკ I, სკვითების — დაების — ბელადს.

10) აქედან ჩანს, რომ ვონონის ერთი მკვლელთაგანი მისი გაქცევის ხელისშემწყობთაგანიც ყოფილა და რათა თავისი ბოროტმოქმედება დაეფარა, იმიტომაც მოუღია ბოლო ლტოლვილი უფლისწულისთვის.

11) ესპანეთის დამორჩილება ახ. წ. 19 წელს იგულისხმება, როცა რომაელებმა ომი დაამთავრეს კანტაბრებისა და ასტურების ტომებთან.

12) აქ იგულისხმება იუბა II, ძე ნუმიდიის მეფე იუბასი, რომელიც ძვ.წ. 46 წელს დაამარცხა იულიუს კეისარმა თაფსასთან.

13) იბერიის მეფეთა ასეთ კონტექსტში მოხსენიება სრულიად ეთანხმება სხვა წყაროების, მათ შორის უფრო გვიანი ხანის ვესპასიანუსის მცხეთურ წარწერას, რომლის მიხედვითაც იბერია რომის მიმართ მეგობრულ დამოკიდებულებაში მყოფად ითვლებოდა, რაც გარკვეულ ვალდებულებებსაც აკისრებდა ორივე მხარეს, განსაკუთრებით გარეშე ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხებში.

14) რემეტალკოსი, რესკუპორიდის ძე, მეფობდა თრაკიის ნაწილში ახ.წ. 19 წლიდან. ამის შესახებ იხ. აგრეთვე *ანალები* II, 62 და III, 38.

15) გაიუს ცესტიუსისა და მარკუს სერვილიუსის კონსულობა უწევს ახ.წ. 35 წ.

16) ა რ ტ ა ბ ა ნ III — პართიელთა მეფე არშაკიდების დინასტიიდან, რომელიც კასპიისგადაღმა მხარის დაჰებში აღიზარდა და ახ. წ. 16 წ. ზემოხსენებულ ვონონს წაართვა სამეფო ტახტი. ამ პიროვნების შესახებ ლაპარაკია კიდევ ამავე თხზულების წინა ნაწილშიც (II, 3).

17) არტაქსიას სახელით, როგორც ითქვა, ახ. წ. 18-35 წლებში სომხეთში მეფობდა პონტოს მეფის პოლემონის ძე ზენონი, რომელიც სწორედ გერმანიკუსმა დასვა ტახტზე. შდრ. სტრაბონი XII, 3, 29.

18) ეს არშაკი მეორეა, არშაკ I-ად მიჩნეული საერთოდ პირველი არშაკიდი, რომელიც ვითომ არტაქსია I-ამდე მეფობდა, ისტორიულ პირად არ ითვლება. არშაკ მეორე სომხეთიდან მალევე გააძევა მითრიდატე იბერიელმა, ფარსმან I-ის ძმამ, რის შესახებაც იხილე აგრეთვე აქვე, VI, 33.

19) მეფე ფრაატში აქ იგულისხმება ფრაატ IV, რომელიც ძვ. წ. 37-2 წლებში მეფობდა და რომელმაც რომს გაგზავნა თავისი ოთხი ვაჟიშვილი, მათ შორის აქ მოხსენებული ფრაატიც (შდრ. ანალ. II, I).

20) ტ ი რ დ ა ტ ი — ფრაატ. IV-ის შვილიშვილი, რომელმაც რომაელთა ჯარის შემწეობით სცადა ახ. წ. 35 წ. პართიის სამეფოს ხელში ჩაგდება, მაგრამ მარცხი განიცადა. იხ. აქვე, VI, 41.

21) მ ი თ რ ი დ ა ტ ე ი ბ ე რ ი ე ლ ი — ძმა იბერიის ანუ ქართლის მეფე ფარსმან I-ისა. სომხეთის ტახტზე იჯდა ახ.წ. 35-37 და 45-51 წლებში, შუალედი ხანა კი რომის იმპერატორის კარზე იმყოფებოდა. შდრ. აგრეთვე, დიონ კასიოსი, VIII, 26. 3. 4.

22) ეს ლუციუს ვიტელიუსი, იმპერატორ ტიბერიუსის ლეგატი სირიაში, არის მომავალ იმპერატორ ვიტელიუსის მამა, რომელსაც ტაციტუსი ძალიან ცუდ ფერებში ხატავს, როგორც პირმოთნე და საძაგელ პიროვნებას.

23) აქ, რასაკვირველია, იმდენად მკაფიოდ არის აღწერილი ეს გზა, რომ ძალიან მცირე ადგილი რჩება ეჭვისთვის, რასაც ВДИ-ის კომენტატორი იჩენს (იხ. ხსენებული ჟურნ. 1949, № 3 (29, გვ. 211). აქ სწორედ დარიალის ხეობაზე უნდა იყოს ლაპარაკი, რომელსაც პლინიუსი „კავკასიის კარს" (VI, 30) ხოლო პტოლემაიოსი (გეოგრაფ., V, 8, 11), „სარმატთა კარს" უწოდებს. ამასთანავე ნიშანდობლივია, რომ პლინიუსი დასძენს კიდეც, ზოგი მწერალი ამ კარს შეცდომით კასპიის კარს უწოდებსო. თვით ტაციტუსი კი მეორე გასასვლელს, ახლანდელ დარუბანდის მიდამოებში რომ ივარაუდებოდა, ცალკე ახსენებს. ძნელი დასაჯერებელია აქ ის გადასასვლელი იგულისხმებოდეს რომელიც, სტრაბონის მიხედვით (XI,8,9), ვითომდა დასავლეთ საქართველოდან არმენიაში არსებობდა კასპიის მთებში.

24) „გასასვლელი ზღვასა და ალბანთა მთის კიდეს შორის" დარუბანდის გასასვლელს უნდა გულისხმობდეს და პლინიუს უფროსი სწორედ ამას უწოდებს კიდეც კასპიის კარს (VI, 40).

25) არგონავტთა მითის ეს ვერსია, რომლის მიხედვითაც, ვითომ იასონი შემდგომში კვლავ დაბრუნდა კოლხეთის მეფის სამფლობელოში და დაეპატრონა მის საბრძანებელს სხვადასხვა სახით სხვა მწერლებსაც აქვთ მოთხრობილი. მაგ., სტრაბონს (XI, 4, 8) და პლინიუს უფროსს (VI, 38), ოღონდ ეს უკანასკნელი იასონისგან წარმოშობილად თვლის კავკასიის ალბანელებსაც.

26) კოლხიდაში ფრიქსოსის ორაკულისა და საკურთხევლის შესახებ, სადაც აკრძალული ყოფილა მხსვერპლად ვერძის შეწირვა, აგრეთვე ფრიქსოსის მიერ აგებული ლევკოთეის ტაძრის შესახებ მოთხრობილი აქვს სტრაბონს (XI, 2, I7).

27) ეს ამბავი ხდება ახ.წ. 47 წ.

28) მითრიდატეს შესახებ ლაპარაკია აგრეთვე „ანალები-ს" წინა ნაწილშიაც — VI, 32 და სხვ.

29) როგორც ეტყობა გაიუს კალიგულას მიერ მითრიდატეს ბორკილებში ჩასმა მოთხრობილი უნდა ყოფილიყო ანალების ამ დაკარგულ ნაწილში. ამ ამბავს ეხებიან აგრეთვე დიონ კასიოსი (X, 8) და სენეკა, თავის თხზულებაში — „სულის სიმშვიდისათვის" (XI, 12).

30) გ ო ტ ა რ ძ ი — პართიის მეფის არტაბან III-ის ძე, ძმა სხვა არტაბანისა და ვარდანისა, რომელიც ახ.წ. 4O-5I წწ. მეფობდა პართიაში.

31) აქ იგულისხმება ქალაქი სელევკია, რომელიც მდ. ტიგრზე მდებარეობდა. ერთ ხანს ითვლებოდა სელევკიდების სატახტო ქალაქად და დაარსებულია სელევკოს ნიკატორის მიერ ძვ.წ. 301 წელს.

32) დ ე მ ო ნ ა კ ტ ი მარტო ტაციტუსის ამ ადგილიდან არის ცნობილი, როგორც პართელების მხედართმთავარი არმენიაში.

33) კ ო ტ ი ს ი — იგულისხმება თრაკიის მეფის კოტისის ძე, რომელსაც იმპერატორმა გაიუს კალიგულამ ჩააბარა მცირე არმენია ახ. წ. 37 წ., დიონ კასიოსი, IX, 12.

34) იგულისხმება იმპერატორი კლავდიუსი.

35) იგულისხმება ახ.წ. 45 წ.

36) ბოსფორის მეფის, მითრიდატე VII-ის ძალაუფლების დაკარგვისა და კოტისის გამეფების შესახებ ამბავი იყო „ანალების" დაკარგულ ნაწილში. ახ.წ. 49 წლის ამბები კი უფრო წინ, ანალების XII, 15 და შმდ. თავებში არის მოთხრობილი.

37) ავლუს დიდიუს გალუსი, ახ.წ. 40 წ. ყოფილა მიზიის „ ლეგატუს პრო პრეტორე". მას ჩამოუგდია ტახტიდან მითრიდატე და მის მაგიერ დაუსვამს მისი ძმა, კოტისი. იგი წყაროებით ცნობილია, აგრეთვე, როგორც სიცილიისა და აზიის პროკონსული და ბრიტანეთის ლეგატი.

38) იგულისხმება ახ.წ. 51 წ.

39) ვოლოგეზი, ანუ ვალარშ I, ვონონ II-ის ძე. პართიაში მეფობდა დაახლოებით ახ.წ. 51-77 წლებში. მის შესახებ იხ. აგრეთვე დიონ კასიოსი, XII, 19.

40) რ ა დ ა მ ი ს ტ ი — ფარსმან იბერთა მეფის უფროსი ძე. მას მარტო ტაციტუსი ახსენებს. შდრ. აგრეთვე, დიონ კასიოსი, XI, 6,6 სადაც. იბერიაში მომხდარ იმდროინდელ ამბებზეა კიდევ ლაპარაკი.

41) გ ო რ ნ ე ა — ციხე-სიმაგრე, რომელსაც თანამედროვე გარნისთან აიგივებენ. იგი მდ. გარნი-ჩაის ხეობაში მდებარეობს და არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ რომაული ხანის საინტერესო ნაგებობების ნაშთია მიკვლეული. ჩანს, ბუნებრივი მდებარეობითაც მაგარ ციხე-ქალაქს წარმოადგენდა.

42) პ ო ლ ი ო ნ ს ამ სახელით დიონ კასიოსიც ახსენებს (XI, 6,6).

43) კ ა ს პ ე რ ი უ ს ი მარტო ტაციტუსის თხზულებიდან არის ცნობილი ისტორიაში.

44) უმიდიუს დურმიუს კ ვ ა დ რ ა ტ უ ს ი რომის იმპერატორის ლეგატად ყოფილა სირიაში დაახლოებით ახ. წ. 5I წლიდან 60 წლამდე.

45) ხელშეკრულებათა დადების დროს სისხლის გამოშვებისა და ხელშეკრულების დამდებ მხარეთა წარმომადგენლების მიერ მათი შერევის ადათის შესახებ ჰეროდოტეც ლაპარაკობს, (IV, 70) ოღონდ სკვითებთან კავშირში.

46) ეს ტ ი რ ი დ ა ტ ი მხოლოდ 66 წელს იქნა დამტკიცებული არმენიის ტახტზე ნერონის დროს. შდრ. აგრეთვე დიონ კასიოსი, XIII, 5,2.

47) ამ წიგნში მოცემულია 54-58 წლების ამბები.

48) ნერონის აღმზრდელად 49 წ. დაინიშნა სენეკა, რომელიც გადასახლებიდან დაბრუნდა.

49) აქ — ღმერთების კეთილგანწყობა იმპერატორის, როგორც მხედართმთავრის მიმართ.

50) ე.ი. მომდევნო, 55 წლის კონსულების პერიოდზე.

51) მითრიდატე ევპატორთან III ომის დროს (ძვ.წ. 74-65 წწ-ში).

52) XII ლეგიონი, რომელიც ადრე სირიაში იყო, შემდეგ მონაწილეობდა ბრიტანეთის ექსპედიციაში, ხოლო ბოლოს მდ. რაინის ნაპირებზე იყო დაბანაკებული.

53) რადამისტის მოკვლა, როგორც ჩანს, რომაელი სარდლის, კორბულონის მიერ პართელებზე გალაშქრებაზე ადრე, ე.ი. ახ. წ. 58 წ-ზე უწინ უნდა მომხარიყო.

54) ამის შესახებ იხ. XIII წიგნის მეცხრე თავი.

55) 23-26 თავებში მოთხრობილია 59-60 წლების ამბავი.

56) ძმათა შორის მტრობა — გულისხმობს უზენაესი ხელისუფლებისთვის ბრძოლას ერთი ოჯახის ფარგლებში, რაც განსაკუთრებით, ხშირი და მწვავე იყო საერთოდ აღმოსავლეთის (და კერძოდ პართიის) ქვეყნებში პოლიგამიის გამო.

57) იმპერატორი, იგივე პრინცეპსი. იმპერატორი კალიგულას დროიდან უზენაესი მხედართმთავრობა ფორმალურად ეკუთვნოდა პრინცეპსს, ის იყო ჯილდოს გამღები, იმისდამიუხედავად თუ გამარჯვება ომის რომელ უბანზე ხდებოდა. მანამდე კი ჯილდოს საკუთრივ იმ ლაშქრის მხედართმთავარი იძლეოდა, რომლის მონაწილეც ჩაიდენდა გარკვეულ გმირობას.

58) ლუკულუსი, ლუციუს ლიცინიუსი; მან 69 და 68 წწ-ში გაიმარჯვა არმენიის მეფეზე, ტიგრანე II-ზე; გნეუს პომპეიუსმა 66 წელს ტიგრანე II დაუმორჩილა რომს.

59) კორბულონი ამის შესახებ ლაპარაკობდა წერილებში, სადაც აღწერილი იყო, პართელთა წინააღმდეგ ლაშქრობები 55-63 წწ.; ეს წერილები ჩვენამდე არაა მოღწეული, მაგრამ არის გამოყენებული პლინიუსის „ბუნების ისტორიაში" (II, 70, 18O; V, 24, 83; VI, 8, 23).

60). რომაელები რომელიმე სახელმწიფოს რომ დაიპყრობდნენ, მისი ტერიტორიის 3/4-ს თვითონ ეპატრონებოდნენ, ხოლო 1/4-ს უტოვებდნენ რომელიმე ადგილობრივ ხელისუფალს, ჩვეულებრივ ყოფილ მეფეს. ამ მეფეებს ეწოდებოდათ ტეტრარქები (ანუ მეოთხედმთავრები).

61) გნეუს პომპეუსს ძვ. წ. 67 წელს გაბინიუსის კანონის თანახმად მიეცა სრულიად შეუზღუდავი უფლებები მეკობრეებთან ბრძოლისათვის.

62) ლუკულუსმა ეს გზა განვლო ძვ. წ. 69 წ.

63) ავგურალი — ადგილი, სადაც აუსპიციები (ფრინველებზე მკითხაობა) ხდებოდა, ლაშქრობის დროს ავგურალი სრულდებოდა ცალკე კარავში, რომელიც მხედართმთავრის კარვის გვერდით იდგა.

64) ოთხ ხელმწიფეში რომის ოთხი იმპერატორი იგულისხმება — გალბა, ოტონი, ვიტელიუსი და დომიციანუსი.

65) ნერონის ეს განზრახვა ახ.წ. 68 წ. უნდა ეკუთვნოდეს. კავკასიის ალბანებზე გამოლაშქრებასთან ერთად მას, შესაძლოა, იბერიის დალაშქვრაც ჰქონდა მიზნად, მაგრამ ნაადრევმა სიკვდილმა მოუსწრო.

66) ესაა მესამე, გალებისაგან შემდგარი ლეგიონი, რომელიც 68 წელს გამოიძახეს იტალიაში და მეზიაზე გავლისას შეებრძოლა სარმატებს.

67) იმპერატორთა ხანაში ბრწყინვალე გამარჯვების მომპოვებელ მხედართმთავრებს ტრიუმფს კი არ უმართავდნენ, არამედ ანიჭებდნენ ტრიუმფის აღსანიშნავად მაგალითად იმას, რომ დგამდნენ მის ქანდაკებას, სადაც ის დაფნის გვირგვინით იყო შემკული და ტრიუმფატორის ტანისამოსით მორთული. ამ დროს ტრიუმფი იმართებოდა მხოლოდ იმპერატორთა პატივსაცემად.

68) ფულვიუს ავრელიუსი იყო III ლეგიონის ლეგატი, იულიანუს ტეტციუსი — VII ლეგიონის მხედართმთავარი, ნუმისიუს ლუპუსი - VIII ლეგიონის მხედართმთავარი. საკონსულო ნიშნები გულისხმობდა — ტოგას ფართო ძოწეული ზოლით კიდეზე და კურულის სავარძელს.

69) ა ნ ი კ ე ტ ი ს აჯანყების შესახებ ვრცელი ნაშრომი აქვს ა. ბოლტუნოვას — Восстание Аникета, ВДИ, 1934, N2. გვ. 59. აგრეთვე ს. ჯანაშიას, რომელსაც ეს ამბავი რომაელთა წინააღმდეგ ქართველ ტომთა აჯანყების ერთ პირველ შემთხვევად მიაჩნია.

70) კ ა მ ა რ ე ბ ი ს შესახებ სტრაბონიც ლაპარაკობს (XI, 2, 12), როგორც შავიზღვისპირეთის მცხოვრები ავაზაკი ტომის აქეების კუთვნილ ნავებზე. ზოგი მკვლევარი თვლის, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ტომების კამარიტების სახელით მონათვლა დიონისიოს პერიეგეტის მიერ (იხ. მისი თხზულების 721 სტრ.) სწორედ ამ ნავების სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული.

71) ლ ი ბ უ რ ნ ი უ ლ ი ხომალდები ლიბურნების, ილირიის სანაპიროს მცხოვრებლების, კუთვნილება იყო — მსუბუქ სანიჩბე ნავებს წარმოადგენდნენ.

72) ხობოსის ლოკალიზაციის საკითხში საკმაოდ დიდი კამათი იყო ერთ ხანს. ჩვეულებრივ მას ახლანდელ მდინარე ხობთან აიგივებდნენ. იხ. აგრეთვე, ВДИ, 1938, № 2. გვ. 315.

73) ს ე დ ო ხ ე ზ ე ბ ი ტაციტუსის გარდა სხვას არავის აქვს ნახსენები. კომენტატორებს სანებისა ან სვანკოლხების ტომების ნაწილად მიაჩნიათ, უფრო საფიქრებელია, რომ აქ ტაციტუსის.ტექსტი ძალიან დამახინჯებულია და ეს სიტყვა ლაზების რომელიღაცა შტოს შეიძლება გულისხმობდეს. იხ. ლათინური ტექსტის შესაბამისი ადგილის ვარიანტები.



C. CORNELII TACITI
EQVITIS ROMANI AB EXCESSV DIVI AVGVSTI ANNALIVM LIBRI QVATVOR PRIORES,

ET IN HOS OBSERVATIONES
CAROLI PASCHALII CVNEATIS.

His obseruationibus obscura illustrantur, pressa & concinna ὀξυτέρως explicantur, scitu digna, atque adeò ea, quæ in ima præcordia demitti ab iis, qui publica munia capessunt, debent, in breues præceptiones redacta sunt.

PARISIIS,
Apud Robertum Colombellum via ad D. Ioannem Lateranensem in Aldina Bibliotheca.
M. D. LXXXI.
CVM PRIVILEGIO REGIS.

რეცენზია ნაშრომზე — „ბორჯომის ხეობა ძვ.წ. VIII-VII სს-ში“

2023 წელს, გამომცემლობა *აკადემიური წიგნის* მიერ დაიბეჭდა არქეოლოგიის დოქტორის რევაზ კვირკვაიას მონოგრაფიული გამოკვლევა ბორჯომის ხეობა ძვ.წ. VIII—VII სს-ში. ხსენებულ ნაშრომს საფუძვლად დაედო მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი ისტორიის დოქტორი ო.ღამბაშიძე) ბორჯომის ხეობაში წარმოებული გათხრებისას რველის, ჩითახევის, კვირაცხოველის და ბორნიღელეს მრავალიარუსიანი სამაროვნებიდან მომდინარე ძვ.წ. VIII—VII სს-ების მასალა. ბ-ნი რევაზი გარკვეული წლების განმავლობაში აღნიშნულ ექსპედიციაში მუშაობდა და ხსენებული ძეგლების შესწავლაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა.

შესავალ ნაწილში მოცემულია ბორჯომის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, ამ მხარეში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის ისტორია და საკვლევი ეპოქის მოკლე დახასიათება. ავტორი დეტალურად ეხება თავის კვლევის სფეროში შემავალი სამაროვნების აგებულობას და დაკრძალვის წესებს, რომლის მიხედვით სამი ჯგუფის სამარხებს გამოყოფს: ინჰუმაციურ, კრემაციულ და, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ბირიტუალურს, ანუ ისეთ სამარხებს, სადაც დაკრძალვის ორივე წესია დადასტურებული. სიღრმისეულად განიხილავს მათთვის დამახასიათებელ კომპონეტებს. მისი დაკვირებით, კრემაციულ ურნებად ყოველთვის გამოიყენებოდა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ჭურჭელი. საუბრობს მიცვალებულთა დამხრობაზე და დაკრძალვის პოზაზე. მათ შორის ყურადღებას ამახვილებს მჯდომარე პოზაში დაკრძალვაზე, რომელიც დაფიქსირდა ბორჯომის ხეობაში. უხვად მოყავს პარალელური მასალები შიდა ქართლის ტერიტორიიდან და თვლის, რომ მჯდომარე პოზაში დაკრძალვა მაინც იშვიათია საქართველოს ტერიტორიისათვის და იგი უფრო დამახასიათებელი ჩანს განჯა-ყარაბაღული კულტურისათვის.

აღსანიშნავია, რომ რევაზ კვირკვაია არ იფარგლება მარტო ბორჯომის ხეობის სამაროვნებზე არსებული დაკრძალვის თავისებურებებით. იგი ფართო სპექტრში განიხილავს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მეორადი დაკრძალვის წესს სხვადასხვა ქრონოლოგიური პერიოდის ძეგლებზე, როგორიცაა: რკინისკალოს სამაროვანი, ახალციხის ამირანის გორა, ტაშ-ბაში და სხვ. ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს მოლითის სამაროვანზე. ფიქრობენ, რომ ეს ძეგლი მთელი რიგი ნიშნებით ახლოს დგას მალაქლუს (იგდირი) კოლუმბარიუმთან. ამ ფაქტის გათვალისწინებით ამ ძეგლს ურარტული კულტურის წრეს აკუთვნებენ (ბ.კუფტინი). ამის თაობაზე რევაზ კვირკვაია გამოთქვამს საინტერესო მოსაზრებას. კერძოდ, მას დასაშვებად მიაჩნია მოლითის სამაროვნის ურარტულ სამყაროსთან დაკავშირება იმ განსხვავებით, რომ აქ ურარტუდან დევნილი, ან სხვა მიგრაციული პროცესების შედეგად გადმოხვეწილი ადამიანები უნდა იყვნენ დაკრძალული. ამასთან ერთად არ გამორიცხავს იმასაც, რომ ისინი კოლხურ კულტურასთან იყვნენ ნაზიარები.

ავტორი მართებულად შენიშნავს, რომ აღმოსავლეთ საქართველოსგან შედარებით მკვეთრად განსხვავებული სურათია ამ პერიოდის კოლხეთში, სადაც გავრცელებულია სხვადასხვა სახის სამაროვნები, სამარხთა განსხვავებული ტიპებითა და დაკრძალვის სხვადასხვა წესით. იგი სწორად აღნიშნავს, რომ ამ მხრივ კოლხეთის ცალკეული რეგიონებიც მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ვრცლად ეხება ცენტრალური კოლხეთის სამაროვნებს თავისი დამახასიათებელი კოლექტიური სამარხებითა და შემადგენელი კომპონენტებით, როგორიცაა საკულტო მოედნები და სამარხი ორმოები. მოყავს მათთვის დამახასითებელ ელემენტები.

საუბრობს ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთსა (თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია) და დასავლეთ საქართველოს მთისწინა ზოლში - ბრილის სამაროვანზე არსებულ დაკრძალვის წესებზე, მათ შორის აქ დასატურებულ მიცვალებულთა კრემაციაზე.

დაკრძალვის ამ თავისებურებების არსებობით გარკვეული პარალელებია გავლებული ბორჯომის ხეობაში რკინის ფართო ათვისების ხანაში ერთ სამაროვანზე და სამარხში დადასტურებულ დაკრძალვის ორგვარი სახეობის ინჰუმაციურისა და კრემაციულის არსებობასთან.

იგი ცდილობს ახსნას ამ თავისებურებების გამომწვევი მიზეზები. ამ მიზნით მოყავს ზოგიერთი მკვლევარის (ო. ღამბაშიძე, ი. ღამბაშიძე) გამოთქმული მოსაზრება, რომლებიც ბორჯომის ხეობაში ძვ.წ. VII ს-ში, კრემაციული სამარხების გამოჩენას უკავშირებენ ფრიგიის სამეფოს, ანუ მუშქების ქვეყნის განადგურებას, რასაც მოყვა ამ ხალხის, ანუ ხეთიზირებული მესხური ტომების ჩრდილოეთით გადმონაცვლება და შერწყმა ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობასთან. განიხილავს ცნობილ მეცნიერთა მიერ გამოთქმულ არაერთ მოსაზრებას მუშქების ეთნიკური კუთვნილების შესახებ. ეთანხმება იმ მკვლევარებს, რომლებიც ამ ხალხს მიიჩნევენ ქართველურ ტომებად; თუმცა იმ განსხვავებით, რომ იგი კრემაციულ წესს უფრო უკავშირებს კოლხურ სამყაროს. ამასთან დაკავშირებით მოყავს თავისი არგუმენტები, რომელებიც შესაძლოა საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებოდეს. ავტორი ბერძნულ-რომაულ წყაროებზე დაყრდნობით ეხება კოლხურ ტომებში გავრცელებული მეორადი დაკრძლვის ტრადიციის არსებობას და ვრცლად განიხილავს კავკასიაში გავრცელებული კრემაციული წესის გენეზისისა და

გავრცელების გზებს. მოყავს ცნობილ მეცნიერთა მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რომელზეც მსჯელობისას ამჟღავნებს კარგ ცოდნას. იგი უარყოფს სხვადასხვა მეცნიერთა მიერ შემოთავაზებულ ვერსიას დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დაკრძალვის ამ წესის ჩრდილო კავკასიის ტერიტორიიდან გავრცელებაზე. თუმცა, ამ საკითხზე გარკვეულ სიახლეს ვერ გვთავაზობს.

მონოგრაფიის შემდეგ თავში დახასიათებულია ბორჯომის ხეობის მრავალიარუსიან სამაროვნებზე აღმოჩენილი ძვ.წ. VIII—VII სს-ების ლითონის იარაღი. ავტორი კიდევ ერთხელ გვახსენებს ამ პერიოდში საქართველოში იარაღის წარმოებაში მომხდარ მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომელიც ბორჯომის ხეობაშიც აისახა. მართალია აღნიშნულ ხანაში იარაღის დასამზადებლად მთავარი მასალა რკინაა, მაგრამ ჯერ კიდევ მზადდება ბრინჯაოსგან დამზადებული ამ რიგის არტეფაქტები, მათ შორის ბიმეტალური იარაღები. დახასიათებულია სამაროვნიდან მომდინარე საბრძოლო იარაღები - მახვილები, მოცემულია მათი დეტალური აღწერილობა, ტიპოლოგია, გენეზისის საკითხები და ა.შ. მას მხედველობის არედან არ რჩება ის მკვლევარები, რომელთაც დიდი დამსახურება მიუძღვით მახვილების შესწავლის საქმეში. უხვადაა მოყვანილი პარალელური მასალები საქართველოდან, ასევე გარე საამყაროდან. მკვლევარი საკმაოდ ვრცლად ჩერდება ბორჯომის ხეობაში აღმოჩენილ სატევრებზე. ასევე ყურადღებას ამახვილებს ბიმეტალურ ამ რიგის სატევრებზე. დეტალურად განხილულია როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ასევე კოლხეთის, უპირატესად დაბლობ ზოლში არსებულ მეორადი დაკრძალვის სამაროვნებზე შემუშავებული ბრინჯაოსა და რკინის სატევრების კლასიფიკაცია. ამ მხრივ არ ივიწყებს ბ.ტეხოვის მიერ თლიას სამაროვნის მასალებზე დაყრდნობით არსებულ სატევრების კლასიფიკაციას. ავტორს ბორჯომის ხეობის ძვ.წ.VIII—VII სს-ების სატევრებისათვის ყველაზე მისაღებ და ოპტიმალურ ვარიანტად მიაჩნია პროფ. თ. მიქელაძის კლასიფიკაცია.

ავტორი განიხილავს შუბისპირებს, რომლებიც რაოდენობით ჭარბობს ბორჯომის ხეობის სამაროვნების ძვ.წ. VIII—VII სს-ების მასალებში აღმოჩენილ ყველა საბრძოლო იარაღს. მოტანილი აქვს მათი სტატისტიკური მონაცემები და კლასიფიკაცია. ავტორის დაკვირებით ბორჯომის ხეობაში ძვ.წ. VIII სს-ებში არსებობას წყვეტს ბრინჯაოს შუბისპირები და ხმარებაში შემოდის რკინის ამ რიგის იარაღები. ბ-ნი რევაზის აღნიშვნით, ბორჯომის ხეობის სამროვნებზე აღმოჩენილი ყველა შუბისპირის მასრა გახსნილია და განეკუთვნება ლ.სახაროვსეულ II ტიპს. ასევე შენიშნავს, რომ ლ. სახაროვას III ტიპის ალისებურპირიანი შუბისპირები, რომელიც ძირითადი დამახასიათებელი იარაღია კოლხური გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურისათვის, გვხვდება მესხეთ-ჯავახეთშიც, სადაც ძლიერი იყო კოლხური კულტურის გავლენები. განიხილავს ბორჯომის ხეობაში აღმოჩენილი შუბისპირების ფესვების ძიებას წინარე კულტურაში. მოყავს ფართო პარალელები საქართველოს ტერიტორიიდან და საერთოდ კავკასიიდან.

მისი აღნიშვნით ბორჯომის ხეობაში შედარებით მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი ისრისპირები, რომელთაგან უმრავლესობას წარმოადგენს ბრინჯაოს, ხოლო რკინის კი შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება. ისინი ძირითადად განეკუთვნებიან ყუნწიან-ფრთებდაშვებულს, თუმცა გვხვდება ფუძეამოღარული ნიმუშებიც. ყუნწიანი ისრიპირების დახასიათებისას მოყვანილი აქვს ვრცელი პარალელები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან მათ შორის კოლხეთის დაბლობის მეორადი დაკრძალვის სამაროვნებიდან (ურეკი, პალური, მუხურჩა). ასევე სოფ. დაბლაგომიდან. მხედველობის არედან არ რჩება მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებები იმ განსხვავებებზე, რაც შეინიშნება აღმოსავლეთ ამიერკავკასიურსა და კოლხურ ყუნწიან ისრისპირებს შორის. მოყავს პარალელური მასალები გარე სამყაროდან. ასევე საუბრობს სკვითურ ისრისპირებზე, რომელიც ბორჯომის ხეობაში

აღმოჩენილია რველის სამაროვანზე და სოფ ქვაბისხევში. განიხილავს სკვითური სამფრთიანი ისრისპირების გავრცელების ქრონოლოგიურ ჩარჩოებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

ნაშრომში დახასიათებულია ძირითადად რკინისაგან დამზადებული ცულები, რომელსაც ყოფს ოთხ ტიპად. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ბორნიღელეს სამაროვნის ერთ-ერთ სამარხის თავზე აღმოჩენილ რკინის ბრტყელ ცულზე, მოყავს მისი ტიპოლოგიური დახასიათება და გავრცელების არეალები. საკმაოდ ვრცლად ეხება საქართველოში გავრცელებული ბრტყელი ცულების ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას. ამ მიზნით იყენებს ბ.კუფტინის, ო.ჯაფარიძის, დ.ქორიძის ამ იარაღზე არსებულ სქემებს. თუმცა შენიშნავს, რომ მათგან არცერთი მკვლევარი არ ეხება რკინის ბრტყელ ცულებს. განიხილავს ყველაზე ადრეულ ბრტყელ ცულებს საქართველოს ტერიტორიაზე. იძლევა ბორნიღელეს ბრტყელი ცულის დეტალურ ტიპოლოგიურ დახასიათებას, მოტანილი აქვს მისი უახლესი პარალელები. ბორნიღელეს ნიმუშის გათვალისწინებით გამოთქვამს არაერთი მკვლევარის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ამ ტიპის ცულების ფუნქციონურ დანიშნულებაზე.

ავტორი განიხილავს ბორნიღელეს №92 და ჩითახევის №26 სამარხებში აღმოჩენილ ბრინჯაოს ცულებს კომპლექსში დაფიქსირებულ სხვა ნივთებთან ერთად. ყურადღების მიღმა არ რჩება ჩითახევის №58 სამარხში გამოვლენილი უფრო ადრეული ბრინჯაოს ცული, რომელშიც გაერთიანებულია კოლხური და აღმოსავლურ ამიერკავკასიულ ელემენტები. მოყავს მისი პარალელები ძირითადად კოლხეთიდან. ავტორს ყურადღების მიღმა არ რჩება ბორჯომის ხეობიდან მომდინარე რკინის ცულები, მოცემული აქვს მათი კლასიფიკაცია და პარალელები, განსაკუთრებით კოლხეთიდან.

ბორჯომის ხეობის ძვ.წ.VIII—VII სს-ის მასალებში მრავლადაა გამოვლენილი სამკაული და სამკაულთან დაკავშირებული ნივთები, მათ შორის ვერცხლის ნივთები. ავტორი, როგორც წინა თავებში, აქაც ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს სტატისტიკურ მონაცემებს, რაც უდაოდ საყურადღებოა. მოყვანილი აქვს იმ სამარხების რაოდენობა, სადაც აღმოჩენილია აღნიშნული დანიშნულების ნივთები. განხილულია თითოეული არტეფაქტის სტატისტიკური მონაცემები, ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, გავრცელების არეალები, განსაზღვრულია ქრონოლოგიური ჩარჩოები. მოხსენიებულია ყველა ის მკვლევარი, რომელთაც დიდი დამსახურება მიუძღვით სამკაულისა და სამკაულთან დაკავშივრებული არტეფაქტის შესწავლის საქმეში.

საუბარია ბორნიღელეს №32 სამარხში აღმოჩენილ სამი პატარა ზომის ბრინჯაოს მხედრის, მამაკაცის, მცურავი ფრინველის ქანდაკებაზე. მოცემულია თითეული მათგანის ვრცელი აღწერილობა. ავტორი ასკვნის, რომ ბრინჯაოს პატარა ზომის ანთროპომორფული ქანდაკებები გარე სამყაროში (კავკასია, მცირე აზია, ახლო აღმოსავლეთი, ხმელთაშუაზღვისპირეთი და ა.შ.) ძვ.წ.VIII—VII სს-ებში, ძალზე გავრცელებულ ფორმას წარადგენდა. მწყობრად გადმოგვცემს ამ სახის ნივთების შესწავლის ხანგრძლივ ისტორიას; განიხილავს იმ მოსაზრებებს, რომლებიც გამოთქმულია ბრინჯაოს მცირე ზომის პლასტიკის ნიმუშებთან დაკავშირებით. ყურადღებას უთმობს მათ წარმომავლობისა და ფუნქციონალური დანიშნულების გარკვევას. საუბრობს როგორც კავკასიაში, ასევე გარე სამყაროში ბრინჯაოს მცირე პლასტიკის ნიმუშებზე არსებულ კლასიფიკაციებზე. იგი ფიქრობს, რომ ბრინჯაოს ანთროპომორფული ქანდაკებები მაინც წარმართულ კერპებს წარმოადგენდნენ. ეხება რა ბორნიღელეს №32 სამარხიდან მომდინარე მცურავი ფრინველის ბრინჯაოს ფიგურას, მიიჩნევს, რომ მცურავი ფრინველები რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს უნდა უკავშირდებოდეს. მოყავს ამ ნივთის პარალელები როგორც საქართველოდან, ასევე გარე სამყაროდან.

მისი აღნიშვნით №32 სამარხი ერთ-ერთ ყველაზე მდიდრულია ბორნიღელეს სამარხთა შორის. იქნებ მისაღები იყოს ავტორისეული მოსაზრება, რომლის თანახმად აქ დადასტურებული ინვეტარის სიმრავლე მიუთითებდეს დაკრძალული ადამიანების სოციალურ და ქონებრივ დაწინაურებაზე.

რევაზ კვირკვაიას მონოგრაფიულ გამოკვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბორჯომის ხეობის ძვ.წ.VIII—VII სს-ების სამაროვნებზე აღმოჩენილი კერამიკული მასალის დახასიათებას, რომელთა უდიდესი ნაწილი ჩარხზეა დამზადებული. ავტორის აღნიშვნით, აქ გვხვდება ყველა სახის თიხის ჭურჭელი, გარდა საგზაო და რძის პროდუქტებისათვის განკუთვნილისა. ბ-ნი რევაზი საუბრობს მათ სტატისტიკურ მონაცემებზე, ტიპოლოგიაზე, გავრცელების არეალებზე და საწყისების ძიებაზე. ყურადღებას ამახვილებენ სარკმლიან ჭურჭელზე, რომელიც გამოვლენილია ბორნიღელეს სამაროვნის №23,25 სამარხებში. მოყავს შესაბამისი პარალელები საქართველოდან და გარე სამყაროდან. განიხილავს ამ სახის ჭურჭლის ფუნქციონალურ დანიშნულებაზე სხვადასხვა მეცნიერთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. საუბარია ბორჯომის ხეობის სამაროვნებიდან მომდინარე ძვ.წ. VIII—VII სს-ების თიხის ჭურჭლის შემკობასა და ყურების სახეებზე.

დასკვნით ნაწილში ავტორი საუბრობს ბორჯომის ხეობის, როგორც ისტორიული სამცხის შემადგენილი ნაწილის, როლსა და ადგილზე სამხრეთ კავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურათა სისტემაში. ამ მიზნით განიხილავს არაერთი ცნობილი მეცნიერის გამოთქმულ მოსაზრებებს ამ კუთხის არქეოლოგიური გამოკვლევების შესახებ. რ.კვირკვაია მიდის იმ დასკვნამდე, რომ ძვ.წ. VIII—VII სს-ების ბორჯომის ხეობა წარმოადგენდა ცენტრალურ-ამიერკავკასიური და აღმოსავლურ-ქართული, სამთავრული) და კოლხური კულტურების შეხვედრებისა და თანაარსებობის ზონას. მას უძნელდება იმის გარკვევა, თუ რომელი კულტურა იყო აქ დომინანტი. მისი აზრით, ამას აძნელებს ის გარემოებაც, რომ ამ პერიოდის ნამოსახლარები არ არის გამოვლენილი ბორჯომის ხეობაში. გარდა ამისა მიუხედავად იმისა, რომ კოლხური კულტურის ელემენტები უხვადაა წარმოდგენილი ბორჯომის ხეობაში, არ არის ცნობილი კოლხური კულტურის მთავარი ელემენტები: თოხი, სეგმენტისებური იარაღი და წალდი. ნაშრომს თანდართული აქვს ინგლისურენოვანი რეზიუმე და ტაბულები.

ამრიგად, რევაზ კვირკვაიას მონოგრაფიული გამოკვლევა ბორჯომის ხეობა ძვ.წ. VIII—VII სს-ში შესრულებულია კეთილსინდისიერად, გამოირჩევა აკადემიზმითა და საქმისადმი მაღალპროფესიონალური მიდგომით. ნაშრომი დაწერილია გამართული ქართული ენით. აშკარაა, რომ ეს ნაშრომი სამაგიდო წიგნად იქცევა ყველასთვის ვინც იკვლევს საქართველოს ამ უძველესი მხარის ისტორიასა და არქეოლოგიას. ჩვენ ვიტყოდით, რომ წარმოდგენილი მონოგრაფია დიდ და მრავალმხრივ, ენციკლოპედიური საცნობარო ხასიათის ინფორმაციას შეიცავს. ვფიქრობთ, რომ რევაზ კვირკვაიას მონოგრაფიული გამოკვლევა *„ბორჯომის ხეობა ძვ.წ. VIII—VII სს-ში“* მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული საისტორიო მეცნიერებისა და ამ საკითხებით დაინტერესებული მკითხველისთვის.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის
არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტის
უფროსი მეცნირ თანამშრომელი,
ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფ. **ლერი ჯიბლაძე.**

რეცენზია ნაშრომზე — "ციხიაგორა"

2023 წელს საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა გამოსცა ზურაბ მახარაძის, ნინო კალანდაძის და ანა სახვაძის მონოგრაფია "*ციხიაგორა*", რომელიც წარმოდგენს საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების კონკურსში გამარჯვებულ პროექტს და შესაბამისად, მონოგრაფიაც ამ პროექტის ფარგლებშია დაწერილი.

თავიდანვე აღვნიშნავ, რომ ციხიაგორა ქართული არქეოლოგიის კლასიკური მრავალფენიანი ძეგლია და მის მეცნიერულ შესწავლას (როგორც გათხრას, ასევე პუბლიკაციას) დიდი დაკვირვება და პროფესიონალიზმი სჭირდება. ავტორებმა თვალსაჩინოდ აჩვენეს, რომ ამ მხრივ პრობლემა არ არსებობს და როგორც ძეგლის საველე სამუშაოები, ასევე მისი მეცნიერული გააზრება მაღალ დონეზეა წარმოდგენილი.

დასამალი არ არის ის ფაქტიც, რომ არქეოლოგიური ძეგლი დღემდე მხოლოდ ფრაგმენტულად იყო გამოქვეყნებული და მის შესახებ ინფორმაციები გაბნეული იყო გ.ცქიტიშვილის, ზ.მახარაძის თუ სხვა ავტორთა ცალკეულ ანგარიშებში, სტატიებსა თუ მონოგრაფიებში და, რა თქმა უნდა, მისასალმებელია ციხიაგორას ყველა პერიოდის ერთი მონოგრაფიის სახით გამოქვეყნება, რადგან დაინტერესებულ მკითხველისთვის ხელმისაწვდომი ხდება ამ არქეოლოგიური ძეგლის მთლიანი სურათი, სტრატიგრაფიის, გავრცელების ტოპოგრაფიისა და არქეოლოგიური მასალის ჩვენებით.

ნაშრომი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ქმნის კარგ პრეცედენტს, თუ როგორ შეიძლება დიდი ხნის წინათ გათხრილი არქეოლოგიური ძეგლი თანამედროვე პირობებში გამოქვეყნდეს სრული სახით და ყველა ნიუანსის გათვალისწინებით. ციხიაგორას არქეოლოგიური ძეგლის შესწავლა ჯერ კიდევ 1971 წელს დაიწყო გ. ცქიტიშვილის ხელმძღვანელობით და მიმდინარეობდა 1993 წლამდე. 1995-2003 წლებში კი იგი ითხრებოდა ზურაბ მახარაძის ხელმძღვანელობით და გათხრების დასრულებიდან 20 წლის შემდეგ სახეზეა მაღალმეცნიერული გამოკვლევა ციხიაგორას არქეოლოგიური ძეგლების შესახებ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ "გათხრების დასრულება" აქ მხოლოდ პირობითი ცნებაა, რადგან ციხიაგორას სრულ არქეოლოგიურ საველე კვლევას კიდევ არაერთი სეზონი დასჭირდება, რადგან ძეგლების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ელის გამომზეურებას. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მონოგრაფიით დასრულდა ციხიაგორას კვლევის ერთი კონკრეტული ეტაპი და დაისახა სამომავლო ამოცანები. იმედი დავიტოვოთ, რომ ამ ძეგლზე ისევ დაბრუნდებიან არქეოლოგები და მოხერხდება მისი ბოლომდე შესწავლა.

ზემოთ აღვნიშნე, რომ მონოგრაფია "ციხიაგორა" ქმნის იმის კარგ პრეცენდენტს, თუ როგორ შეიძლება რამდენიმე ათეული წლის წინათ გათხრილი არქეოლოგიური ძეგლი გამოქვეყნდეს თანამედროვე პირობებში, თანამედროვე მეთოდოლოგიით. არავისთვის სიახლე არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ წინა საუკუნეში გათხრილი კიდევ ბევრი არქეოლოგიური ძეგლი ელის სრულფასოვან პუბლიკაციას და ჩემი აზრით, სარეცენზიო ნაშრომი გარკვეული სტიმული შეიძლება იყოს ამ მიმართულებით.

ბუნებრივია, დეტალურად არ შევუდგები მონოგრაფიის სრული შინაარსის გადმოცემას, რადგან მკითხველი მას თავად გაეცნობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად ციხაიგორაზე დადასტურებულია ხუთი კულტურულ-ქრონოლოგიური ფენა. ესენია: ადრებრინჯაოს, შუაბრინჯაოს, გვიანბრინჯაოს, ადრეანტიკური და ელინისტური ხანის, რომელთა საერთო სიმძლავრე აღემატებოდა ექვს მეტრს. ეს რეალობა კი თავისთავად აჩვენებს, რა სირთულის ძეგლთან გვაქვს საქმე, რადგან აქ ფიქსირდება არქეოლოგიური მასალები ადრებრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ელინისტური ხანის ჩათვლით.

ნაშრომში ცალკ-ცალკეა დახასიათებული თითოეული არქეოლოგიური პერიოდი და შესაბამისი არქეოლოგიური მასალა. ავტორთა სასახელოდ უნდა აღნიშნოს, რომ ციხიაგორის თითქმის ოცდაათწლიანი შესწავლის შედეგად მოპოვებული მასალების ანალიზის საფუძველზე და დათარიღების ახალი მეთოდების გამოყენებით, ახლებურად გააშუქეს არაერთი საკითხი, დააზუსტეს ძეგლის სტრატიგრაფია და ქრონოლოგია, რის შედეგადაც სახეზეა ციხიაგორის კულტურული ფენების და დონეების შემდეგი თანმიმდევრობა:



I ფენა – ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, 2 დონე, 5 სამშენებლო ჰორიზონტით. ძვ.წ. XXVIII-XXV საუკუნეები.

II ფენა – შუაბრინჯაოს ხანის ყორღანები. ძვ.წ. XVII—XVI საუკუნეები.

III ფენა – გვიანბრინჯაოს ხანის ნასახლარი – 2 დონე. ძვ.წ. XV—XII საუკუნეები.

IV ფენა – ადრეანტიკური/აქემენიდური ხანის –3 დონე. ძვ.წ. VI საუკუნის მიწურული – ძვ.წ. IV საუკუნე.

V ფენა – ელინისტური/პოსტაქემენიდური ხანის, 8 სამშენებლო დონე. ძვ.წ. III—I საუკუნეები (3-8 დონეები - სატაძრო კომპლექსი. ძვ.წ. III-II საუკუნეები).

ამასთან ერთად, ავტორებს აქვთ მცდელობა, ცალკეული ეპოქების მიხედვით გაარკვიონ ძეგლის მნიშვნელობა, მისი როლი და ადგილი ზოგადქართულ არქეოლოგიურ კონტექსტში და ახალი მონაცემების შუქზე დააზუსტონ ქრონოლოგიის საკითხები და

აქედან გამომდინარე, გააშუქონ ქართული არქეოლოგიის ზოგიერთი აქტუალური პრობლემა, რასაც წარმატებით ართმევენ თავს.

მონოგრაფიის ავტორები სავსებით მართლები არიან, როდესაც აღნიშნავენ, რომ ციხიაგორის ყველა ფენა და ამ ფენებიდან მომდინარე მასალები იმდენად მრავალფეროვანია და სხვადასხვა ეპოქის იმდენ პრობლემას უკავშირდება, რომ მათი განხილვა ერთ ნაშრომში შეუძლებელია.

ძნელია, არ დაეთანხმო ამ რეალობას და ისიც არ აღინიშნოს, რომ მონოგრაფიაში ადრე ბრინჯაოს, შუა ბრინჯაოს, გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის, ადრე ანტიკური თუ ელინისტური ხანის მკვლევარებისთვის ძვირფასი მასალებია თავმოყრილი. ასე რომ ნაშრომი არ არის მხოლოდ ერთი კონკრეტული ეპოქით შემოფარგლული და მასში ყველა ეპოქის მკვლევარი იპოვის მისთვის საინტერესო მასალას. აქედან გამომდინარე ვიტყვი, რომ პირადად ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა აქემენიდური და ელინისტური პერიოდის ძეგლები და არტეფაქტები. განსაკუთრებით, სატაძრო კომპლექსი, რომელიც დეტალურად არის განხილული და მკითხველს არ უტოვებს უკმარისობის განცდას, რომ მას რაღაც დააკლდა.

მე მხოლოდ ანტიკური ხანის (ძვ.წ. VI—III სს.) მონაკვეთზე ვაკეთებ აქცენტს, რადგან უფრო ადრეული პერიოდების შეფასება ჩემგან არ იქნებოდა მთლად სამართლიანი, რადგან ამ სფეროში ჩემი კომპეტენცია შეზღუდულია, თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ციხიაგორას ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები ნაკლებად საინტერესო და მნიშვნელოვანია. ამიტომ უმჯობესი იქნება ამ ეპოქებზე ბრინჯაოს ხანის სპეციალისტებმა იმსჯელონ.

მთლიანდ ვიზიარებ ნაშრომში გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ციხიაგორის, ხოვლეს და ნარეკვავის არქეოლოგიური მასალის ანალიზის შედეგად ჩანს, რომ აქემენიდური ხანის ქართლში მთელი რიგი ახალი მოვლენები ფიქსირდება, რაც ამ ეპოქის ქართლის კულტურულ-ისტორიული ვითარების ახლებურ გააზრებას მოითხოვს.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას ამ ნაშრომის სახით ერთი კარგი, მაღალმეცნიერული გამოკვლევა შეემატა. კარგია, როდესაც კარგი ნაშრომი ქვეყნდება, მაგრამ უფრო კარგია, თუ ეს ნაშრომი გამოცემულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე და ახლავს სრულყოფილი სამეცნიერო აპარატი, მაღალი ხარისხის ილუსტრაციები და ა.შ. ამ მხრივ ზ.მახარაძის, ნ.კალანდაძის და ან. სახვაძის მონოგრაფიას არაფერი დაეწუნება, რადგან ტექსტი გამყარებულია 173 შავ-თეთრი და 155 ფერადი ტაბულით. განსაკუთრებული შრომაა ჩადებული გასული საუკუნის 70-80-იან წლებში გადაღებული ფერადი სლაიდებისა თუ ფოტოების გაციფრულებაში. მონოგრაფიას, ბუნებრივია, ახლავს ტაბულების აღწერილობა, ბიბლიოგრაფია და დამატების სახით ნ.რუსიშვილის გამოკვლევა ტაბულებითურთ ციახიაგორის პალეობოტანიკის შესახებ.

დღევანდელი ქართული მეცნიერების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის კვლევების ინტერნაციონალიზაცია და ქართველ მკვლევართა ნაშრომების ხელმისაწვდომობა არაქართულენოვანი მკითხველისთვის. მონოგრაფია "ციხიაგორა" ამ მხრივაც გამორჩეულია, რადგან ყველა თავი თუ ქვეთავი თარგმნილი და გამოქვეყნებულია ინგლისურადაც (მათ შორის ტაბულების აღწერილობაც), რაც აუცილებლად შეუწყობს ხელს საქართველოს ფარგლებს გარეთ ამ კონკრეტული ძეგლით და, ზოგადად, ქართული არქეოლოგიით, დაინტერესებას.

სემ-ს არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტის
უფროსი მეცნირ თანამშრომელი, პროფ. - ***ზურაბ ბრაგვაძე*** †.

ხსოვნა:

- ამირან კახიძე -

საქართველოს კიდევ ერთი გამორჩეული არქეოლოგი დააკლდა, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ფუძემდებელის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორის, ღირსების ორდენის და ტბელ აბუსერისძის სახელობის პრემიის მფლობელის, აჭარის მუზეუმის გაერთიანების დირექტორის მრჩეველის, ბატონი ამირან კახიძის გარდაცვალებით. ბ-ნ ამირან კახიძე იყო მრავალი სამეცნიერო აღმოჩენისა და ნაშრომის ავტორი.

ამირან იუსუფის ძე კახიძე, დაიბადა 1935 წლის 8 ივნისს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვედა ჩხუტუნეთში (მაჭახლის ხეობა). ზედა ჩხუტუნეთის 8-წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ 1949 წელს სწავლა განაგრძო აჭარისწყლის სახელმწიფო პედაგოგიურ სასწავლებელში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ერთი წელი იმუშავა ბათუმთან სოფ. ჩიქუნეთის 8-წლიანი სკოლის მასწავლებლად. 1954 წლიდან სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1959 წელს. იყო ნ. ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიანტი; ამზადებდა მოხსენებებს სამეცნიერო კონფერენციებისთვის. სამი წელი იმუშავა ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარედ.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი კვლავ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. 1959-1960 სასწავლო წელს მუშაობდა სოფ. ქვედა ჩხუტუნეთის საშუალო სკოლის მასწავლებლად. 1960 წელს დაინიშნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლაბორანტად. პარალელურად კვლავ აგრძელებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ბათუმთან სოფ. ურეხის საღამოს სკოლის ისტორიის მასწავლებლად.

1961-64 წწ უკავშირდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლის პერიოდს, აკადემიკოს ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით. სწორედ ამ

დროიდან ერთვება სხვადასხვა არქეოლოგიურ ექსპედიციაში. საკვალიფიკაციო ნაშრომისთვის ახალი მასალების შეგროვება და პირველი სადაზვერვო-გათხრითი სამუშაოების წარმოებას ჩაუდგა სათავეში ქობულეთ-ფიჭვნარის ნაქალაქარზე.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ანტიკური ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში. 1966 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „*საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები (ქობულეთი-ფიჭვნარი)*“. ამავე წელს სამუშაოდ გადმოვიდა საქართვლეოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. 1981 წლიდან კი ამავე ინსტიტუტში არქეოლოგიის განყოფილებას ხელმძღვანელობს.

1969 წლიდან პროფ. ამირან კახიძე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2002-2005 წლებში იყო ამავე უნივერსიტეტის რექტორი. 2010 წლიდან კი მიენიჭა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსის წოდება.

პროფ. ამ. კახიძემ მონაწილეობდა სხვადასხვა არქეოლოგიურ ექსპედიციაში (პეტრა-ციხისძირი, ლეღვა-ჯიხანჯური, ხუცუბანი, ჩაქვისწყლის ხეობა, ბათუმის ციხე, მახვილაური, გონიო-აფსაროსი, კოლოტაური, კვაშტა, ჭვანისციხე, სხალთის ეკლესია, ვერნები, ხიხაძირი, კალოთა, თხილვანა, ციხისფერდი, ვანაძეები, კაპანდიბი, მახო, კაპნისთავი, ჩაისუბანი და სხვ.)

ბ-ნ ამირან კახიძის კვლევის ძირითად ობიექტს ფიჭვნარის ნაქალაქარი და მისი ვრცელი სამაროვნები წარმოადგენდა. 1998 – 2011 წლებში პროფ. ამირან კახიძე ხელმძღვანელობს საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის ერთობლივ საერთაშორისო ექსპედიციებს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის, პროფ. დავით ხახუტაიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1999 წლიდან ამირან კახიძე გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელიცაა. ასე, რომ მისი ხელმძღვანელობით მოწყობილმა ექსპედიციებმა ჩვენი ქვეყნის საგანძური გაამდიდრა უახლესი, ბევრ შემთხვევაში უნიკალური აღმოჩენებით.

ქობულეთის ფიჭვნარში მოპოვებული არქეოლოგიური ინფორმაციის საფუძველზე დაიწერა და გამოიცა მონუმენტური მონოგრაფიები: „ფიჭვნარი I — კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში“ (2004 წ. თანაავტ. მ. ვიკერსი); „ფიჭვნარი II — ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში“ (2007 წ. თანაავტ. მ. ვიკერსი); „ფიჭვნარი IV“ (2009 წ. თანაავტ. თ. შალიკაძე), „ფიჭვნარი III“ (2010 წ. თანაავტ. ნ. ვაშაკიძე); „ფიჭვნარი V“ (2014 წ. თანაავტ. ე. კახიძე); „ფიჭვნარი VI“ (2014 წ. თანაავტ. მ. ვიკერსი); „ფიჭვნარი VII“ (2015 წ).

სწორედ ამ კვლევების შედეგად პროფ. ამირან კახიძემ შექმნა საკმაოდ მდიდარი და მრავალი ასპექტის მომცველი მეცნიერული მემკვიდრეობა. შესაბამისად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში შექმნა ახალი მეცნიერული მიმართულებანი.

პროფ. ამირან კახიძის ნაშრომებში ნაჩვენებია, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო განეკუთვნება საკაცობრიო ცივილიზაციის იმ კერათა რიცხვს, სადაც პირველად დაიწყო მითვისებითი მეურნეობიდან (შემგროვებლობა, ნადირობა, თევზჭერა) მწარმოებლურ, კულტურულ მეურნეობაზე გადასვლა (მხედველობაშია მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, ფეიქრობისა და მეთუნეობის ადრეული ფორმები).

აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძვ.წ. VIII-VI ათასწლეულების ნეოლითური ხანის ძეგლების მიხედვით (ბეშუმი, ყიშლა, მახვილაური, ჩაისუბანი, სახალვაშო, ჩოლოქი, ჯიხანჯური, ხუცუბანი, სოფ. ქობულეთი, კვირიკე და სხვ.) ირკვევა, რომ შესაბამისად

ნოვატორული ცვლილებები მოხდა ქვის იარაღთა დამზადების ტექნოლოგიაში (გაპრიალება, გახეხვა, გახვრეტა და ა.შ.).

უახლესი აღმოჩენების მიხედვით პროფ. ამ.კახიძე მიდის დასკვნამდე, რომ საკვლევი ტერიტორიის მცხოვრებთა მორიგი პროგრესი ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანას უკავშირდება (ძვ.წ. V-III ათასწლეულები). სათავე დაედო ქვის ხანიდან ლითონის საუკუნეზე გადასვლას. რომ ჭოროხის აუზი მსოფლიოში ცნობილი სხვა ცენტრების მსგავსად (კარპატები, ურალი, ტიან-შანი და სხვ.) განეკუთვნება უძველესი მეტალოგენური კერების რიცხვს. ამავე საკითხებს ეთმობა ბოლო წლების კვლევები, მის მიერ ახლადაღმოჩენილი არქეოლოგიური კულტურა, რომელიც უკავშირდება პოლიმეტალების მეტალურგიის აქტუალურ-ნოვაციურ პრობლემებს აჭარისა და მეზობელი თურქეთის მაგალითზე. მკვლევარმა ამ მიზნით აწარმოა საველე და დაზვერვითი ექსპედიციები, როგორც რეგიონის, ასევე ქვეყნის მასშტაბით (მურვანეთი, თხილნარი, ქოქოლეთი, ქვედა ჩხუტუნეთი, სკურდიდი, ძაბლავეთი, მარადიდი, სიმონეთი, დაგვა, კვირიკე ორცვა, ზედა მახუნცეთი, გაჭედილი, აბასთუმანი, მუხური და სხვა). ახლად აღმოჩენილი კულტურის გავრცელების საზღვრების ძიების მიზნით აღსანიშნავია სადაზვერვო სამუშაოები ბორჩხა-მურღულიდან დაწყებული სამსუნ-ამასია-თოქათამის ჩათვლით.

მნიშვნელოვანი წვლილია შეტანილი მომდევნო ეპოქების, კერძოდ, შუა და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კვლევის სფეროშიც (ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარი — ძვ.წ. VIII-VII სს.). ადასტურებს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, გურია-აჭარა და მდ. ჭოროხის აუზი წარმოადგენდა ტომობრივი კოლხური კულტურის დედა-სამშობლოს, ამიერკავკასიის უძველესი სახელმწიფოებრივი გაერთიანებების (დიაოხი, კოლხა) აკვანს. მკვლევარი ფიქრობს, რომ სწორედ ამ ადგილებს უკავშირდება უძველესი ბერძნული მითი არგონავტების შესახებ.

მაგრამ მაინც, პროფ. ამ. კახიძემ ფუნდამენტური, თანმიმდევრული საველე არქეოლოგიური და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები განახორციელა ანტიკური ხანის (ძვ.წ. VI - ახ.წ. IV სს) ისტორიისა და კულტურის კვლევის თვალსაზრისით. ასპირანტობის წლებიდან დაწყებული მეცნიერის კვლევის ძირითად ობიექტს ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარი და სამაროვნები წარმოადგენდა. „*მდინარე ჩოლოქისა და ოჩხამურის ხერთვისში, იქ, სადაც ღვაწლმოსილი არქეოლოგის, ამირან კახიძის მთავარი მონაპოვარი და მისი ცხოვრების ამოუწურავი ელდორადო — ფიჭვნარი მდებარეობს*“ (იხ. „*არქეოსპექტრის*“ რეპორტაჟი, არქეოლოგ ამ. კახიძეზე).

ფიჭვნარი პონტოსპირეთის ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლთაგანია, რომელიც ბევრი ქვეყნის სპეციალისტ-არქეოლოგთა ყურადღების ცენტრში მოექცა. ვფიქრობთ, საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ ამირან კახიძის ხელმძღვანელობით 1998 წლიდან მეტად საინტერესო საველე და სამეცნიერო სამუშაოები წარმოებს ქ. ოქსფორდის უნივერსიტეტის აშმოლის მუზეუმის ბერძნულ-რომაული დეპარატამენტის თანამშრომლებთან ერთად მაიკლ ვიკერსის თაოსნობით. 11 წლის მანძილზე ოქსფორდ-ფიჭვნარის ერთობლივ ექსპედიციებში მონაწილეობდნენ როგორც ჩვენი, ისე სხვადასხვა ქვეყნის ის სტუდენტები, მაგისტრანტები და დოქტორანტები, რომლებიც სწავლების კურსს ოქსფორდის უნივერსიტეტში გადიან. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ფიჭვნარი იქცა საერთაშორისო ფენომენად. პირველ ხანებში ამირან კახიძის კვლევის საგანს წარმოადგენდა ფიჭვნარის ნაქალაქარი, რომლის თითქმის 100 ჰექტარზე შესანიშნავადაა შემონახული გვიანბრინჯაო- -ადრერკინის, კლასიკური, ელინისტური და ადრეშუასაუკუნეების მძლავრი კულტურული ფენები. კვლევის შედეგებს მიეძღვნა ცალკეული სამეცნიერო სტატიები და მონოგრაფია.

ნაქალაქარის პარალელურად გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დღემდე ფართო სამუშაოები განხორციელდა თვით ამირან კახიძის მიერ მიკვლეული სამაროვნების

შესასწავლად. პირველ რიგში აღსანიშნავია ძვ.წ. V საუკუნის კოლხური სამაროვანი (შესწავლილია 500 სამარხი). მდიდარი და მრავალფეროვანი სამარხეული ინვენტარის შესწავლის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის შუახანებისთვის დასრულებულია საზოგადოების, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების, ვაჭართა ფენის ფორმირების პროცესი; რომ ადგილობრივი კოლხური მოსახლეობა ჩაბმულია მსოფლიო ისტორიულ პროცესებში. მჭიდრო კონტაქტები აქვს დამყარებული ანტიკურ, კერძოდ, ბერძნული სამყაროს სხვადასხვა საყოველთაოდ ცნობილ ცენტრებთან. დასტურდება, რომ კლასიკურ ხანაში კოლხური კულტურა თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევს. ამ აღმოჩენებით კიდევ უფრო გამდიდრდა ჩვენი ეროვნული კულტურის საგანძური.

რაც შეეხება ფიჭვნარის ძვ.წ. V-IV საუკუნეების ბერძნულ ნეკროპოლს, როგორც პროფ. ამ. კახიძე აღნიშნავდა ელინურ ეთნოსთან უშუალოდ დაკავშირებული მეორე სამაროვანი ამიერკავკასიაში ჯერჯერობით არაა ცნობილი. პროფესორმა ამირან კახიძემ შეისწავლა შესანიშნავად დაცული სამარხეული კომპლექსები თუ სააღაპო მოედნები (გათხრილია 450 სამარხი და ათეულობით სარიტუალო მოედანი) სამეცნიერო მიმოქცევაში შესულია უმდიდრესი ნივთიერი მასალა ლეგენდარული კოლხეთისა და ელინური სამყაროს კონტაქტების კვლევისთვის. ამ მონაცემების მიხედვით ამირან კახიძემ საგანგებოდ შეისწავლა ბერძნული კოლონიზაციის ხასიათი და გამოყო იონიური და ატიკური ეტაპები. ფიჭვნარის ელინური დასახლება დაუკავშირა საბერძნეთის მატერიკულ ცენტრ ათენს.

უნიკალური შემთხვევაა არქეოლოგიური სინამდვილისთვის, როდესაც მთელი კლასიკური ხანის განმავლობაში ადგილობრივ თემებსა და ფიჭვნარელ ელინებს შორის არსებობს მჭიდრო მშვიდობიანი ურთიერთობა.

საგანგებო ყურადღებას უთმობდა კიდევ უფრო ვრცელ ტერიტორიაზე გაშლილ ელინიზმის ეპოქის (ძვ.წ. IV-II სს) ფიჭვნარის სამაროვანს (შესწავლილია 360 სამარხი და ათეულობით სააღაპო მოედანი). აქაც სახეზეა მეტად საინტერესო, მდიდარი, მრავალფეროვანი და ბევრი ნოვაციის შემცველი არქეოლოგიური მასალა; მათი კვლევის შედეგად პროფ. ამირან კახიძე მიდის დასკვნამდე, რომ ბერძენ-მაკედონელთა ექსპანსია პირველ ქართულ სახელმწიფოებს კოლხეთსა და იბერიას უშუალოდ არ შეხებია. მიუხედავად ამისა, ელინისტურ სახელმწიფოებთან მეტ-ნაკლებმა საშუამავლო კონტაქტებმა ჩვენი ქვეყანაც მოაქცია ელინიზმის სფეროში.

სწორედ ამ ეპოქისათვის აღმავლობას განიცდიან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საქალაქო ცენტრები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი კვლავაც მსოფლიო ისტორიული პროცესების აქტიური მონაწილეა. გაიზარდა სავაჭრო-ეკონომიკური თუ კულტურული კონტაქტები ხმელთაშუა თუ პონტოსპირეთის ქვეყნებთან.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ფიჭვნარში მიკვლეული ადრექრისტიანული ხანის ბაზილიკური ეკლესიის ნაშთები და სამარხეული კომპლექსები. მსგავსი ხასიათის თანადროული ძეგლი საქართველოს ზღვისპირეთიდან ადრე უცნობი იყო. სიტყვას აღარ განვავრცობთ პროფ. ამირან კახიძის წვლილზე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის სხვა ძეგლების კვლევის საქმეში. ამათ რიცხვს მიეკუთვნება ბათუმისციხის ურბანიზებული სამოსახლო, მახვილაურის, კოლოტაურისა და კვაშტის უძველესი საფორტიფიკაციო დასახლებები, გონიო-აფსაროსის რომაული ხანის კასტელის ტიპის ციხე-ქალაქი და ა.შ.

ბატონ ამირანთან მრავალწლიანი საექსპედიციო თანამშრომლობა უფლებას მაძლევს აღვნიშნო, რომ ის იყო იშვიათი თვისებების მატარებელი ხელმძღვანელი. ექსპედიციის წევრებისა და რეგიონის მცხოვრებლებთან მისი გულთბილი და კეთილგონივრული დამოკიდებულება მუდამ თბილ გარემოს ქმნიდა. მეც და ჩემი თაობის ბევრ კოლეგას

შესაძლებლობა მოგვეცა შეგვეძინა საველე კვლევა-ძიებისათვის საჭირო უნარები და გამოცდილება.

საველე არქეოლოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პარალელურად პროფ. ამ.კახიძის მიერ განხორციელებულია სხვა სახის არანაკლებ მნიშვნელოვანი სამუშაოები. აღსანიშნავია, რომ პროფ. ამ. კახიძის ხელმძღვანელობით გაიზარდა სპეციალისტ–არქეოლოგთა არაერთი თაობა, რომლებიც წარმატებულ საქმიანობას ეწევიან სამეცნიერო, სასწავლო თუ სხვადასხვა სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში.

პროფ. ამ. კახიძე 1994 წლიდან სათავეში უდგას ახლად დაფუძნებულ ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმს; მის სახელთანაა დაკავშირებული ამ მეტად მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულების სტრუქტურული ორგანიზაცია, აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სხვადასხვა ეპოქის ნივთიერი კულტურის ძეგლების ფონდებში განთავსება, ექსპონატების მეცნიერული დამუშავება და კატალოგიზაცია, საექსპედიციო და საგამომცემლო საქმის ორგანიზაცია და ა.შ. რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, 2007 წლის დეკემბერში ბ-ნ ამირან კახიძის კონცეფციის მიხედვით ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში გაიხსნა გამოფენა, რომელმაც როგორც სპეციალისტებს, ასევე სტუმარ-დამთვალიერებელს შორის დიდი მოწონება დაიმსახურა. ასევე შეიძლება ითქვას შემთხვევით მოპოვებული წყალქვეშა მონაპოვრების და ოქროს საგანძურის საგამოფენო დარბაზების მოწყობისა და მათან დაკავშირებული კატალოგების გამოცემის შესახებაც.

ბატონი ამირანის სახელს უკავშირდება მუზეუმში სპეციალიზირებული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შექმნა. ყურადღებას აქცევდა ფონდებში დაცული მასალის სისტემატიზაციას, მათ გრაფიკულ ჩახატვასა და ფოტოფიქსაციას.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მუზეუმში სხვადასხვა ასაკის ბავშვებისა და ახალგაზრდების ჩართვას სამუზეუმო საქმიანობაში საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით. დღემდე აქტიურად მუშაობს მის მიერ შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამა „*საბავშვო სახალისო არქეოლოგია*“.

მისთვის მუზეუმის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა ტურისტული პოტენციალის სრულყოფილად გამოყენება, სამუზეუმო მომსახურების სხვადასხვა ფორმის შეთავაზების გზით; ამიტომაც საფუძველი ჩაუყარა მუზეუმის კერამიკულ სახელოსნოს, სადაც მზადდებოდა მუზეუმში დაცულია არტეფაქტების ასლები. კულტურული ტურიზმის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მიენიჭა "მაგნოლია" 2023. დღემდე ფუნქციონირებს ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მაღაზია-სალონი. ერთერთი მნიშვნელოვანი სერვისი ვიზოტორებისთვის, რომელთაც ეძლევა შესაძლებლობა არამარტო წარმოდგენილი ექსპონატების ნახვისა და მათ შესახებ ისტორიების მოსმენის, არამედ შეუძლიათ სამახსოვროდ შეიძინონ ისინი შესაბამისი მოკლე ისტორიით და შეფუთვით.

ბატონ ამირანს ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გამო მინიჭებული აქვს სხვადასხვა ჯილდოები. არაერთხელ მიუღია მადლობის სიგელი სამუზეუმო საქმის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის. იყო აბუსერისძე ტბელის სახელობის პრემიის ლაურეატი. მინიჭებული ქონდა ღირსების ორდენი და საპატიო ბათუმელის წოდება.

ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ქართული არქეოლოგიის განვითარებისთვის.

ისტ. დოქტორი — ***თამარ შალიკაძე.***

-შოთა მამულაძე -

ჟურნალ *იბერია-კოლხეთის* რედკოლეგია და კოლეგა არქეოლოგები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ცნობილი არქეოლოგის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორის, გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსის მმართველის ბატონი შოთა მამულაძის გარდაცვალების გამო.

ბატონი შოთა წლების მანძილზე წარმატებით ეწეოდა, როგორც სამეცნიერო, ისე პედაგოგიურ საქმიანობას. ქართულ თუ უცხოურ გამოცემებში ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და არქეოლოგიის არაერთ მნიშვნელოვან საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს 200-მდე ნაშრომი. მათ შორის 20-მდე მონოგრაფია. სხვადასხვა დროს საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობდა. იყო სხვადასხვა საგრანტო პროექტის მონაწილე. 1973 წლიდან ხელმძღვანელობდა აჭარისწყლის ხეობის შემსწავლელ არქეოლოგიურ ექსპედიციას, ხოლო 2005 წლიდან დღემდე გონიო-აფსაროსის ციხის ქართულ-გერმანულ, ქართულ-იტალიურ და ქართულ-პოლონურ საერთაშორისო არქეოლოგიურ ექსპედიციას. ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობის გამო დაჯილდოებულია ტბელ აბუსერისძის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიებით.

სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად ბატონი შოთა ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი ხელმძღვანელობით სტუდენტების მიერ მომზადდა არაერთი საკონფერენციო, საბაკალავრო, სამაგისტრო თუ სადოქტორო ნაშრომი. მკვლევარის მიერ დატოვებული სამეცნიერო მემკვიდრეობიდან მნიშვნელოვანია ყველა გამოკვლევა, რომელთაც ვერ გამოვარჩევდით. ბ-ნ შოთა, წლების განმავლობაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის იყო არქეოლოგია-ეთნოლოგიის კათედრის გამგე, ისტორიის, არქეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

ბატონი შოთა იყო უღალატო, პრინციპული, საოცრად ყურადღებიანი, გაჭირვების დროს ყოველთვის გვერდზე მდგომი პიროვნება. გულსატკენია, რომ ჯერ კიდევ ჯანღონით აღსავსე საქართველოს არქეოლოგიის მკვლევარი და პედაგოგი დააკლდა სამეცნიერო საზოგადოებას და ოჯახს. მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა.

კოლეგები.

-ზურაბ ბრაგვაძე -

2023 წელს ქართველ არქეოლოგთა რიგებს და სამეცნიერო საზოგადოებას მოულოდნელად გამოაკლდა კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის დოქტორი ზურაბ ბრაგვაძე. ჟურნალ *იბერია-კოლხეთის* რედკოლეგია და ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ კოლეგის, ცნობილი არქეოლოგის, გარდაცვალების გამო.

ბ-ნი ზურაბი, კახეთში გურჯაანის რ-ნის სოფელ ვაზისუბანში 1961 წელის 17 ივლისს დაიბადა **და** საშუალო სკოლაც იქვე დაამთავრა. 1981 წელს ჩაირიცხა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც 1985 წელს დაამთავრა და აკად. შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაიწყო მუშაობა.

ბ-ნი ზურაბი 1986-2004 წწ-ში შალვა ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი, წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, სწავლული მდივანი, წინაქრისტიანული ხანის ხელოვნებისა და არქეოლოგიის განყოფილების გამგე იყო. 2005-2006 წწ-ში „*არქეოლოგიური ჟურნალის*“ რედაქტორი და 2006 წლიდან ჟურ. „*იბერია-კოლხეთის*“ სარედაქციო საბჭოს წევრი იყო.

2007 წლიდან საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი იყო. 2011 წლიდან დღემდე - კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი. 2013-2015 წწ-ში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის თანამშრომელი. 2017-2021 წლებში იყო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქეოლოგიური საბჭოს წევრი.

ბ-ნი ზურაბი 1981 წელს ჟინვალის ნაქალაქარიდან დაწყებული მრავალი არქეოლოგიური ექსპედიციის მონაწილე და ხელმძღვანელიც იყო – ითხვისი, ღვანკითი,

საირხე, სვერისციხე, რგანი, ძევრი, ჟინვალი, დილიკაური, სკანდეს ციხე, ჩხარი და სხვ. სადაც მან მრავალი საინტერესო არტეფაქტი გამოავლინა. 1986-1992 წწ-ში მონაწილეობდა საირხის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში. 1988-1991 წწ-ში ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ გათხრებს სოფელ რგანში (ჭიათურის რ-ნი). 1994-2007 წწ-ში აღმოსავლეთ კოლხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა და გათხრებს აწარმოებდა თერჯოლისა და ზესტაფონის რაიონებში (ჩხარი, ძევრი, ღვანკითი, დილიკაური, სკანდა). 2005-2016 წწ-ში მონაწილებდა სხვადასხვა არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში (თისელი, არმაზისხევი, ბაგინეთი, თრიალეთი). 2017 წელს არქეოლოგიურად შეისწავლა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვლის ომის ტაბახმელის 4 სანგარი.

ზურაბ ბრაგვაძემ 1992 წელს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სადისერტაციო საბჭოზე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმატებით დაიცვა დისერტაცია. ბ-ნ ზურაბის ცხოვრების გზა არ ყოფილა იოლად გასავლელი. საზოგადოებრივი წარმატებები და სამეცნიერო წინსვლა თავდადებული შრომის შედეგს წარმოადგენდა.

კავკასიის უნივერსიტეტში მისი მოღვაწეობისას აღსანიშნავია განსაკუთრებული დამოკიდებულება სტუდენტების მიმართ. იგი მუდამ ყურადღებიანი იყო მათ მიმართ, ეხმარებოდა და სწორ მიმართულებას აძლევდა მომავალ საქმიანობაში.

ბ-ნი ზურაბი, გარდაცვალებამდე ერთგულად ემსახურა ქვეყანას, კავკასიის უნივერსიტეტსა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტს. ბატონი ზურაბის საქმიანობა მრავალმხრივი იყო. არქეოლოგიის ცენტრში მუშაობისას იგი ერთმანეთში კარგად უთავსებდა პედაგოგიურ და საველე არქეოლოგიურ საქმიანობას.

მრავალმხრივია ბ-ნ ზურაბის სამეცნიერო მემკვიდრეობა. მას ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და არქეოლოგიის არაერთ მნიშვნელოვან საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს ასამდე ნაშრომი. მათ შორის 9 მონოგრაფია. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ინტერესების სფერო იყო — საქართველოს ბრინჯაოს, ანტიკური და ადრეული შუასაუკუნეების არქეოლოგიისა და ისტორიის საკითხები.

იგი სხვადასხვა დროს საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობდა. იყო სხვადასხვა საგრანტო პროექტის მონაწილე. მას გააჩნდა საოცარი ანალიტიკური კვლევისა და სწორი დასკვნების გამოტანის უნარი. სწორედ ამიტომაცაა მისი გამოკვლევები უაღრესად საყურადღებო. მკვლევარის მიერ დატოვებული სამეცნიერო მემკვიდრეობიდან მნიშვნელოვანია ყველა გამოკვლევა, რომელთაც ვერ გამოვარჩევდით. იგი იყო პრინციპული, გაჭირვების დროს ყოველთვის გვერდზე მდგომი პიროვნება.

ბატონი ზურაბის გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული არქეოლოგიისთვის. გულსატკენია, რომ ჯერ კიდევ ჯანღონით აღსავსე საქართველოს ისტორიის მკვლევარი, არქეოლოგი და პედაგოგი დააკლდა სამეცნიერო საზოგადოებას და ოჯახს. იგი მარად დარჩება ახლობლებისა და კოლეგების გულებში...

კოლეგები.

PAPERS IN ENGLISH

THE GRAVE OF KARTLIAN (IBERIAN) ARISTOCRACY FROM ROMAN PERIOD SITE *KHOVLE* (GEORGIA, TRANSCAUCASIA)

Vakhtang Shatberashvili

The village *Khovle* is situated in Central Georgia, on the right side of the river *Mtkvari (Kura).* More than 30 medieval monuments – churches, towers, and an aqueduct are situated in the vicinity or in the village itself.

The Early Bronze Kurgans of *Bedeni* and *Martkopi* Archaeological Cultures excavated in the vicinity of the village are the oldest sites found in this territory [Grigolia 1958: 41]. The village and its surroundings seem to have been densely populated since the Late Bronze Age. Here, to the north-east of the village, between 1954 and 1961 a multi-layered settlement named *Khovle Gora* with 8 stratigraphic horizons from the 15th to 4th centuries BCE was excavated [Muskhelishvili 1978]. Two Late bronze settlements and two necropolises were found nearby during the archaeological campaigns of 1954-1961. The archaeological excavations at *Khovle Gora* were resumed in 2011 by the joint Georgian-Austrian expedition [Heinsch, Kuntner, Licheli 2014].

In 1960, the excavations in a field located 500-600 meters southwest of *Khovle Gora*, revealed the remains of stone walls and clay-plastered log construction destroyed by the fire. Among the findings, it is worth noting the gold bracelet-shaped ornamented item, stylized images of human hands and feet made of silver, glass, and cornelian beads and pendants, bronze bells of various shapes, as well as fragments of silver plates. The discovered material dates back to the Hellenistic period. These artifacts are believed to belong to the ritual flag [Gvasalia 1972:47-49].

In 1976, in *Khovle*, at the place called *Zesurebi*, the necropolis was damaged during plowing. The archaeological expedition of *Kavtiskhevi* revealed and excavated the graves from the Late Bronze Age to the Early Middle Ages. [Tskitishvili et.al 1979: 117-130]. One of them was a grave built with ceramic slabs which contained a golden earring, 2 silver finger rings, silver rhyton, pottery, a coin of the Roman emperor Augustus, and a silver coin of Parthian King Gotarzes. The grave dates back to the 2nd-3rd centuries CE.

In March 2004 in the south-western extremity of the village *Khovle*, a large quadrangular tomb was accidentally discovered during earthworks [Shatberashvili 2007; Shatberashvili 2009]. The finds got spread among the eyewitnesses, but Paata Khutsishvili, director of the Ivane Javakhishvili Memorial Museum and a native of the village, was able to acquire back the dispersed artifacts and got in touch with the head of the *Kaspi* Municipal Museum. It was necessary to explain the importance of the discovered artifacts to the local population. Negotiations with the inhabitants resulted in handing over several artifacts to the *Kaspi* Museum. In the face of these circumstances, the grave assemblage must be considered incomplete. When examining the regained tomb material, it became clear we were dealing with a fraction of the burial gifts of a nobleman. Urgent measures to safeguard the site against further destruction were undertaken: In order to collect the remaining artifacts in situ, the regional museum employees cleared the tomb, made drawings, and took photographs. After sieving the ground around and revealing some more artifacts, the tomb was covered again.

Most of the artifacts were conserved and restored in 2005, in the Laboratory of the Centre of Archaeology (Tbilisi) by Georgian specialists.

In 2008, the archaeological expedition of the Georgian National Museum, with the support of the Ambassador's Fund for Cultural Heritage Preservation of the US embassy in Georgia, excavated the area and restudied the tomb, where some new artifacts were found.

The tomb (Fig I) was situated on a slope on the edge of a dry ravine. It was discovered in clay soil at 0,5 m depth from the ground surface. Oriented NE –SW, it was built of vertically erected, well-cut limestone slabs (longitudinal slabs - 252 cm; transverse slabs – 160 cm), For firmness special trapezoid grooves were carved in longitudinal slabs in which transverse ones were fitted. In addition to this, also with the view of firmness of the construction, along the longitudinal walls three stones – "keystones" were vertically inserted into the ground on the exterior (size: 25 x 18 x 20 cm). They were intended to reinforce the longitudinal walls. On the floor of the tomb, there lay a flat stone slab (size: 140 x 90 x 16 cm) which was apparently put in the tomb while building the walls. It does not cover the whole area and the remaining emptiness is filled with small slabs. The upper panels and sides of the slabs are well-treated, while the lower panels are not. The grave was roofed with two flat limestone slabs, respectively measuring 1,4m x 2,5m and 0, 75 x 2,5m. A local sort of stone was used to build the tomb. It is characterized by a layered structure and is easily separated into 10-20 cm layers, which makes the process of its obtaining easier. For removing building blocks from the bedrock, an ancient method of stone processing, widely known in the ancient world, was employed. Wooden wedges were thrust into a stone mass and poured with water. The wood would enlarge, a crevice of a certain direction would appear and a slab was easily removed from the bedrock. The row of holes preserved on the floor slab and at the bottom of the southern vertical slab point to this technique of obtaining a stone [Pavlenishvili 2008].

The human remains that were removed by the local farmers, and afterward gathered by *Kaspi* Museum employees, belonged to the 25 - 30-year-old woman 1, 64 meters in height. She was buried on her spine, oriented from west to east. According to the villagers, who were participating in the process of opening the tomb in 2004, the deceased was buried in the N part of the tomb, grave goods surrounded her. No artifacts were placed in the N part of the grave. It seems this place was left for another person (a member of the family?). The cranium was badly damaged (index: hyper dolichocranic – 68, 75). The damages were concentrated in the right side of the cranial and postcranial parts of the deceased. In the area of the left shoulder, scapula, and ribs traces of wound is left. The part of the damaged bones was covered with a so-called compensation sheet, which indicates that the healing process was very short and the person could die from these wounds. The face and postcranial parameters are characteristic of the SW Asia Minor type [Lomouri -2008].

Description of the artifacts found in the tomb: 1. Pot, clay, reddish, with the handle, h- 8cm. (Fig. II 7); 2. The bottle, made of transparent greenish glass, has a wide mouth, and a cylindrical body. Two handles were attached to the neck and shoulder of the vessel. The outer side of the handles is covered with vertical grooves. The body is covered with 26 concentric lines. H- 36 cm. (Fig. II 1); 3. Bottle, identical to the one described above (Fig. II 4); 4. Unguentarium, made of transparent greenish glass, with a cylindrical neck and a cylindrical body. The handle was attached to the neck and shoulder. H- 9,5 cm. (Fig. II 5); 5. Unguentarium, made of transparent greenish glass, with a cylindrical neck and oval body. The handle is attached to the neck and shoulder. H- 9,5 cm. (Fig. II 3); 6. Unguentarium, made of greenish glass, with a cylindrical neck and spherical body H- 11,2 cm. (Fig. II 2); 7. Unguentarium, made of greenish glass, with a cylindrical neck and rounded body H- 6 cm. (Fig. II 6); 8. Unguentarium, made of greenish glass, fragments; 9. Dionysus ewer (Fig. III); 10. Bellerophon ewer (Fig. IV); 11. Bowl, silver, partially gilt. Has a small foothill. h -5 cm; Max. diameter- 18 cm. diameter of the bottom– 8 cm; Hof the foot – 1,4cm. (Fig. V -1,2); 12. Dish – silver,

forged of one sheet of silver. The vessel is ornamented. From the outside to the inside, the image of two vine leaves placed on top of each other is obtained by stamping (?) over the entire area. Diameter- 25 cm. (Fig. V-3,4). 13. Wooden legs of a funerary bed with silver covering 4 pieces, 3 are well preserved, and one fragmented (Fig. VI -1-8); 14. The mirror, bronze, consists of a frame and a polished disc. The dimensions of the frame are 33x34 cm, diameter of the disc- 30 cm. (Fig. VI; 9,10); 15. The handle of an unidentified wooden item, bronze (Fig. VI – 11, 12); 16. Stand, iron, with three legs, H-4,5 cm. (Fig.VI-13,14); 17. Lamp, iron consists of a bowl and three legs, H-28 cm., the diameter of the bowl -10 cm. (Fig. VI-15-16); 18. Knives, iron, fragments, 6 pieces; 24. Knife, iron, wood. The wooden handle (length- 6 cm). is ornamented (Fig.VI -17), and the iron blade is slightly bent; length- 16 cm. (Fig.VI-18); 19. The fragments of the bone sheath of the knife, decorated with carved vegetal ornament. Length- 17 cm. (Fig.VI-19.20); 20. Plate - gold, folded in two, with two holes for nails at the ends 2,8 x - 0,8 cm. (Fig. VII -9); 21. Plates - silver, folded in two, with a hole at the ends, fragmented. (Fig. VII-10,11); 22. The fragment of the silver artifact, with a depiction of the rosette (Fig. VII-12); 23.Tubular item, silver, h- 2,2 cm (Fig. VII-16); 24. Buckles, silver 3 pieces, 2 x1,7 cm; 1,7 x 1,6 cm; 1,6 x 1,5cm. (Fig. VII -13,14,15); 25. Nails, bronze, 5 pieces, 7 and 3 cm. (Fig. VII-17); 26. Nails, iron, 6 pieces; 27.The small fragments of wooden artifact, supposedly of the funerary bed; 28.Beads, cornelian, 18 pieces; rock crystal, 18 pieces; opaque white glass, with blue spots, 9 pieces (Fig. VII -18); 9. Coins – silver Denarii of Emperor Augustus (27 BCE - 14 CE), 2 pieces (Fig.VII 7,8); 30.Coins – silver, Drachm of the Parthian king Gotarzes (40/41-51 CE), 3 pieces (Fig VII 3-6); 31. Coin, gold, the Aureus of the Roman Emperor Elagabalus, issued in Rome in 220-222 (Fig, VII 1,2).

The most interesting artifacts are the two blown vessels with gilded and cold-painted decorations in green and red enamel (Fig. III, IV). Both were made of opaque white glass. Both glass vessels were completely restored by M.-C. Depassiot (G. Shapotat Archaeological Research and Restoration Centre Vienne, France).

Both objects were made through the same method: glass was blown initially, and then on the prepared vessel the figures were contoured roughly with brownish paint. The still hot whole surface of the vessel was covered with the golden, thinnest layer. The surplus golden particles outside of the figures were removed carefully and the contours were outlined in a reddish-brownish color on the golden surface. Afterward, the areas destined for flowers and ivy leaves were filled with green and reddish-brown melted glass. Contemporary glass masters still use this method to cover glass with a thin metal layer.

Both vessels are 23cm high and have an everted rim, a cylindrical neck widening towards the shoulder, an ovoid body, and a small base ring. A ribbed handle starts at the shoulder and ends at the rim with a folded thumb-rest. Both vessels are decorated on the lower part of the neck, on the body, and on the base. The decoration on the neck and body divides the vessels into two registers with identical borders above, between, and below. Each border consists of a continuous herringbone row of ivy leaves or volutes on a gilded band enclosed by grey lines framed with dark red bands. The upper register contains a gilded inscription in Greek capitals 'H XAPIC', *i.e.,* 'Grace'. The letters are separated by red wheel-shaped rosettes with green centers. The last letter is separated by a gilded ivy leaf and a red heart-shaped ornament.

The first of the two ewers is called the 'Dionysus ewer' (Fig. III), named after its connection to the Dionysian mythological character of the scene expressed on the vessel. Before restoration the body was broken into four big pieces and the handle was cracked into small bits. The surface suffered from iridescence and the upper thin layer flaked off easily. Small fissures were observed with the

naked eye and the gilding was in a poor state of preservation flaking off almost entirely. On the surface, lime sediments were seen.

From shoulder to bottom, the vessel is divided into five vertical, equal parts via the arches outlined with reddish-brown paint. The arches and figures are covered with a thin golden layer; the details are painted with a reddish-brown color. At the height of the columns, sun discs are painted between the arches. Per arch is one figure represented with a carved inscription at their head. Supposedly, the inscriptions were carved while the vessel was still hot. Unfortunately, it was impossible to read them completely.

The inscription close to the figure depicted in the first arch (Fig. III - a) is unreadable, however, all characteristics point towards Pan. Above his head between the two long ears, the fragmental outline of an ivy crown is observed.

The figure drawn in the second arch (Fig. III- b) looks to the left, while the body is directed to the right. The head is in full face, looking over the right shoulder, with roughly represented facial features showing large eyes and thick lips. The head is decorated with an ivy crown. The figure is wearing a cloak reaching up to the knees. On the back, a cloak is waving. The oval object in red paint between the head and the uplifted left hand probably represents a vessel. The right hand is stretched downward and is holding a blooming *thyrsus*. Between the feet and at the left of the figure green stems with leaves and quatrefoils are depicted. From the Greek inscription to the left of the figure only two letters, Δ and H remain. The inscription and iconography inspire us to consider this figure to be one of Maenads – female followers of Dionysus, but the problem of identification of the figure in the third arch remains unsolved.

The figure depicted in the third arch (Fig. III-c) represents a man wearing short clothes. He is turned to the left and adorned with the ivy crown. The cloak is spread over his left hand holding a truncheon and the right hand is stretched out. Between the feet and at the left of the figure green stems with leaves and quatrefoils are depicted. The inscription in Greek is carved in two lines on the left of the head. The upper line preserved the letters T and P; the lower line Greek Lunate Epsilon symbol - ϵ, Y, and Lunate Sigma - C. I think that the inscription on the arch described above can be deciphered as Tropheus, the tutor of young Dionysus. It is to be noted that one of the mosaics from Paphos (Cyprus), the house of Aion, which is dated to the mid-4th century CE, depicts the birth of Dionysus, who is portrayed as a child sitting on Hermes' lap. Tree Nymphs - Teogonia, Nectar, and Ambrosia prepare the bath, which Tropheus reaches out to receive [Olszewsky 2013: 213, Fig 9].

The figure expressed in the fourth arch (Fig. III-d) is dressed in a cloak pulled down to the feet. It is standing full face, with an ivy crown on his head. The left hand is holding the blooming *thyrsus* and leaning on the ivy tree with his elbow. In his slightly raised right hand, the figure holds a cup from which a red liquid is being poured. There are quatrefoils on either side of both feet. On the left side of the head of the figure, two Greek capital letters can be read vertically: N and C. The other graphemes are unreadable, but we suppose that – based on other iconographic data – the figure depicted in this arch must be the young, beardless Dionysus. Characteristic of the beardless Dionysus is the femininity of the body and indicated motion of hands. A similar pose can be seen on the statue of Dionysus discovered at the *Kodistskharo* village, *Kaspi* municipality [Mizandari 1988, 111-116]. Other examples are the statue preserved in the Eleusinian Museum representing Dionysus holding a *cantharus* in his left hand and leaning on the ivy tree with the right hand (the statue is dated to the Roman period); the piece of Pompeii fresco (30 BCE), now in the British Museum, depicts Dionysus together with Silenus. Dionysus holds the *cantharus* in his right hand and rests upon Silenus with his left elbow while holding the *thyrsus* in his hand. A mosaic originating from Antioch and preserved in

the Antakya Museum (2nd – 3rd cent. CE) shows a drunken Dionysus. His pose is identical to that on the ewer, with the exception that the Antakya (Antioch) Dionysus is resting upon Silenus with his left hand. Consequently, the figure depicted in this arch of the ewer can be considered as the beardless Dionysus.

Despite the preserved features it is rather difficult to identify the figure illustrated in the fifth arch (Fig. III -e). The figure is represented in full face, decorated with an ivy crown. His right arm is folded and in his raised hand he holds something that rests on his shoulder. In his stretched-hanging left hand, he holds a bunch of grapes. On his right, a short dagger is hung on its waist. He is depicted in a staggered, dancing pose, with quatrefoils between feet and at the height of the waist. Although only one single letter, Λ, can be distinguished faintly above the raised right hand, the figure must be Lycurgus, someone who is often observed in Dionysus' cortege, as seen on the mosaics of Roman age of Saint-Romain-en-Gal [Savay-Guerraz, Veysseyre 2004: 108-109] and on the so-called Lycurgus cup dated to the 4th century CE [Tait 1991: 92]. According to Apollodorus (III,5,1) Lycurgus did not recognize Dionysus as a God. Therefore, the divinity drove him mad. Thinking he was cutting the vine, the maddened king killed his own son Driante. The figure expresses the mad Lycurgus and the bunch of grapes in his left hand refers to his killed son.

Attention should be paid to the arches over the columns and the sun discs expressed between the arches on the ewer. It's worth mentioning the mold-blown glass beakers with mythological figures in relief from *Asia Minor* and dating to the 1st or the beginning of the 2nd centuries CE. The figures are separated from each other by columns, which have triangle arches superposed [Wight 1994: 24-34]. The wooden sarcophagus excavated on the Mithridates Mountain in Crimea and dated to the 2nd century CE is the model of a temple in the Ionic order. The space between the columns is decorated with colored plaster figures. In particular, should be mentioned the two narrow sides of the sarcophagus where the figures are placed between the columns decorated with bowed arches [Minns 1971: 332-333, Fig. 241-242].

The second vessel is called the 'Bellerophon ewer' (Fig. IV). Before restoration, the vessel was broken into several big pieces and numerous small bits. Like the 'Dionysus ewer', the vessel suffered iridescence that flaked off easily. It also contained small cracks, a poorly preserved gilding with a risk of its total flake-off and lime sediments on the surface.

The upper part of its decor is similar to the so-called 'Dionysus ewer', with the only difference in the ornament drawn between the two golden bands on the neck: in this case, volutes are depicted. Between the bands analogous to the 'Dionysus ewer', the gilded Greek inscription 'H XAPIC' can be read. On the lower frieze, the Bellerophon myth is illustrated. The figures are covered with a thin golden layer; the details are painted in a reddish-brown color. On the body of the ewer, two scenes are divided from each other by means of plants.

In the first scene, Bellerophon is sitting on Pegasus (Fig. IV-b) while fighting the *chimera* (Fig. IV--a). The snake-headed tail of the *chimera* is turned to Bellerophon. The head of the lion is badly preserved, though a man can be observed in his jaws. The names of Pegasus and Bellerophon are inscribed in Greek near their heads. The *chimera* must have had an inscription too, though it became unreadable.

The other scene (Fig.I-c) depicts a woman sitting on the knees of a man. Both are looking to the left, having their right hand raised up. The inscription here is obliterated and unreadable now, but the scene reminds of Dionysus with Ariadne, as on the 4th century CE Derveni crater [Benita, Ignatiadou 2000, 76;80] or on the *Dzalisi* mosaics [Bokhochadze 1981, 70-74, Fig.8, Odisheli 1995, 12-20]. Despite this, the narrative style of the image makes me think that the second scene conveys

the continuation of the myth according to which after the victory the happy end of the myth of Bellerophon: After defeating the chimera and fulfilling heroic deeds, Iobate, King of Lycia, married his daughter to the hero. We, therefore, assume that the figure of the man can be identified as Bellerophon and that the woman must be interpreted as Princess Phylonoe.

An exact parallel of *Khovle* vessels is preserved in the Corning Museum of Glass and was found at the end of the 19th century at Kerch. The vessel illustrates the Daphne myth: Cupid incites Apollo, who is naked except for a cloak and sandals, and with a quiver of arrows on his shoulder. Apollo runs toward the right, in pursuit of Daphne; Daphne is shown in the act of changing into a bay tree; her father, Ladon, sitting on a rock and supporting the horn of plenty with extended left hand, looks on. Each figure is identified by Greek inscription [Harden *et al.* 1987:261;273, Fig.150, Whitehouse 1997:266].

In 1931, in Dura Europos, the fragment of the opaque white glass vessel painted with the same technology (the combination of gilding and opaque white glass, reddish-brown, green, and black paint) was found. The half of a crowned female head was depicted on the fragment and the Greek inscription ΘETIC identifies it as Thetis, a sea-nymph and the mother of Achilles [Grossman 2002: 18, fig. 17].

The fragment of the neck and shoulder of the opaque white gilded vessel was found in 1973 at Tanais excavations. The decoration is represented by enclosed grey lines framed with dark reddish-brownish bands by the volutes painted brownish color on a gilded band. The register contains a gilded inscription in Greek Capitals H and a fragment of C. The letters are separated by red wheel-shaped rosettes with green centers [Sorokina 1975: 93-95].

All three fully preserved vessels -Daphne, Bellerophon, and Dionysus ewers have the same shapes: everted rims, cylindrical necks widening towards the shoulders, egg-shaped bodies, and small base rings. They were made through the same method: glass was blown initially, still, the hot whole surface of the vessel was covered with the golden, thinnest layer which was decorated with figures contoured with reddish-brownish paint. The process of rolling a hot glass vessel over a flat, stone surface - marveling was used to press golden decoration into the vessel wall. The surplus golden particles outside of the figures were removed carefully and the contours were outlined in a reddish-brownish color on the golden surface. Afterward, the areas destined for flowers and leaves were filled with green and reddish-brown melted glass. At last, the ribbed handle, pinched at the upper extremity to form a thumb rest, was attached to the shoulder and rim. The decoration on the neck and body divides the vessels into two registers with identical borders above, between, and below. Each border consists of a continuous herringbone row or volutes on a gilded band enclosed by grey lines framed with dark red bands. The upper register contains a gilded inscription in Greek capitals 'H XAPIC', *i.e.,* 'Grace' The letters are separated by red wheel-shaped rosettes with green centers. The last letter is separated by a gilded leaf and a red heart-shaped ornament (on the Dionysus and Bellerophon ewers, (Fig. III, IV), in the case of Daphne ewer the first and last letters are separated by wheel-like rosettes with gray fillers to right and left, all other letters are separated by red quatrefoil with gray centers.

It is assumed these vessels were made in the same workshop, even by the same master around the end of the 2nd or beginning of the 3rd century CE in Antioch-on-Orontes [Harden *et al.* 1987: 261]. Notwithstanding whether the hypothesis concerning their place of production is right or wrong, it is proved with confidence that the five vessels from Khovle, Kerch, Tanais, and Dura Europos were produced at the same workshop, if not by one single master. Not only are the vessels of

Bellerophon, Dionysus, Daphne, Thetis, and the ewer from Tanais decorated in an identical style, and their technological elaboration is similar too. [Shatberashvili 2009:217-221].

Partially gilt, silver bowl (Fig. V- 1,2) is practically a copy of the bowl found in tomb #1 excavated at *Ertso*, *Kushanaant Gora* (east Georgia), which is dated to the 3rd century CE. According to R. Ramishvili, it may be a local product created under the influence of Iranian toreutics [Ramishvili 1979: 32-33, 79]. According to K. Machabeli, the bowl from *Ertso* is related to the Sasanian toreutics and should probably be imported from Iran [Machabeli 1978: 121-128]. We share the first opinion, because such items have not yet been found elsewhere, and two copies have already been attested in Georgia.

The legs of the funerary bed (Fig. V- 1-8) found in *Khovle* are similar to those found in tombs ## 1, 3, 6 of *Armaziskhevi* and *Zhinvali.* K. Machabeli believes that this type of legs from *Armaziskhevi* and *Zhinvali*, despite the similarity with the Roman ones, were manufactured in local workshops [Machabeli 1978: 91.99].

Identical to two two-handled glass bottles (Fig II-1,4) were found in Ureki in Georgia [Khoshtaria 1955: 52, Fig. XVII]. Apparently, such vessels were made in Cologne in the 3rd - 4th centuries [Kunina1997: cat. #400]. However, it is not excluded that it originates from other places as well, namely from Egyptian workshops. The bottle of a similar shape to Dionysiac scenes (Dionysus, satyrs, Maenads, panthers, and Lycurgus) made in the workshop of Lincaeus in the third century is preserved in the Landesmuseum in Mainz is also [Klein 2006: 79].

The glass unguentariae (Fig II- 2,3, 5,6) found in the *Khovle* tomb are similar to similar vessels found in the tombs dating to the 3rd- 4th century CE from *Samtavro* necropolis. Similar vessels were found in Northern Italy and date back to the 3rd century [Larese, Zerbinati 1998:177, fig. 131], also in Avenches, Switzerland, in the 4th-century tomb [Bonnet Borel 1997: 137]. The Aureus of Elagabalus issued in Rome in 220-222 can act as a *terminus post quem* from the second quarter of the 3rd century CE. The impressive burial assemblage makes it possible to date the grave around the second quarter or middle of the 3rd century CE. During the Middle Ages and probably also throughout the Roman Period, roads connecting the provinces of the Iberian-Kartli Kingdom - *Shida Kartli* and *Trialeti* passed through *Khovle*, and on the other hand, the *Khovle Gora* settlement was very close to the main transport artery along the river Mtkvari (Kura), which at that time followed the right bank of the river.

The discovery of a luxurious 3rd-century tomb indicates that a representative of the local aristocracy lived in these areas. Today, it is very difficult to discuss the status of the nobles of *Khovle* in the Kingdom of Kartli. It should be emphasized that the inventory of the woman buried in *Khovle* tomb (despite the fact that the grave assemblage is incomplete) is in no way inferior to the material of the luxurious tombs of the Roman period, such as those of *Zghuderi* [Braund, Javakhishvili, Nemsadze 2009], *Akhali Zhinvali* [Ramishvili 1983:82-86, 119 -121], *Ertso* [Ramishvili 1979:30-37], *Kldeeti* [Lomtatidze 1957:161-190].

Thus, the research conducted in the village of Khovle over the years showed us that: it was intensively inhabited from the Late Bronze Age to the Middle Ages; In some periods, in particular, in the Roman period, there should be the residence of one of the dignitaries of Kartli and probably the center of a small administrative area (*Khevkhmela valley*).

REFERENCES:

Benita, Ignatiadou 2000: Benita, T., Ignatiadou, D., *The Gold of Macedon, Archaeological Museum of Thessaloniki*. Athens, Archaeological Receipts Fund.

Bokhochadze 1981: ბოხოჩაძე ალ., არქეოლოგიური გათხრები აღაიანსა და ძალისში, თბ., Bokhochadze Al., Archaeological Excavations in Agaiani and Dzalisi, Tb.

Bonnet Borel 1997 : Bonnet Borel Francoise, Le Verre D Epoque Romanie A Avenches – Aventicum, Typologie Generale, Documents du Musee Romain, v. 3, Avenches.

Braund, Javakhishvili, Nemsadze 2009: Braund D., Javakhishvili K., Nemsadze G**.** The Treasures from Zghuderi, Elite Burials of Caucasian Iberia of Roman Period 200-250 AD.

Charkviani 2008: Charkviani M., Coins from Richly Furnished Burial of the v. *Khovle*, jur. *Iberia-Colchis* (ed. G. Gamkrelidze), #4.

Dundua 2005: დუნდუა გ., სამონეტო მიმოქცევა იბერიაში, ჟურ. *იბერია–კოლხეთი*, №2, 2005**;** Dundua, G., 2005. Coin circulation in Iberia in the 1st-4thc.(General review), jour. *Iberia-Colchis*, Researches on the Archaeology of Georgia in the Classical Period (ed. G. Gamkrelidze). *The Journal of the Center for Archaeological Studies*, Georgian Academy of Sciences, supplement XIV, Tb., 161-169.

Grossman 2002: Grossman, R.A., Ancient Glass, A Guide to The Yale Collection. New Haven (Connecticut), Yale University Art Gallery.

Gvasalia 1972: გვასალია ჯ., ელინისტური ხანის საკულტო ხასიათის არქეოლოგიური მასალა სოფ. ხოვლედან, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XVI-XVII. Gvasalia J., The material of Hellenistic period Cultic Archaeological site from Khovle, Materials for the Ethnography of Georgia, v. 16-17, pp 42-50;

Grigolia 1958: გრიგოლია გ., ყორღანი სოფ. ხოვლესთან, თსუ-ის ასპირანტთა IX კონფერენცია. Grigolia g., the kurgan near the village of Khovle, The 9th conference of young scientists of Tbilisi State University;

Harden et al. 1987: Harden, D.B., Hellenkemper, H., Painter, K., Whitehouse, D., Glass of the Caesars. Milan, Olivetti;

Heinsch, Kuntner, Licheli 2014: Heinsch S., Kuntner W., Licheli V. Some remarks on the first two Georgian-Austrian excavation Campaigns at Khovle Gora, Shida Kartli, Proceedings of the 8th Congress on the Archaeology of the Ancient Near East 30 April – 4 May 2012, University of Warsaw;

Klein 2006: Klein, M. J., The Hohen-Sulzen Bottle from the Lynkeus Workshop. An Iconographic and Styllistic Analysis, International Society for the History of Glass, AIHV -17, Book of abstracts, Antverp;

Khoshtaria 1955: Хоштариа Н., Археологическое исследование Уреки, მასალები საქათველოს და კავკასიის არქეოლოგიისთვის, I. Khoshtaria N., Archaeological investigations in Ureki. Materials for Georgian and Caucasian Archaeology, I, Tb, pp. 25-78.

Kunina 1997: Кунина Н., Античное стекло в собрании Государственного Эрмитажа, Москва, Kunina N., The Antique glass in the State Hermitage, Moscow.

Larese, Zerbinati 1998: Larese Annamaria, Zerbinati Enriko, Vetri Antichi di Raccolte Concordiesi e polesiane, Guinta Regionale Veneto, Corpus Delle Collezioni 4.

Lomouri 2008: ლომოური ქ, ანთროპოლოგიური მასალა ხოვლედან, ანგარიში. Lomouri K., Anthropological Material from the Khovle Site**,** report**.**

Lomtatidze 1957: ლომთათიძე გ., კლდეეთის სამაროვანი, Lomtatidze G., Kldeeti Cemetery

Machabeli 1976: Мачабели К. Позднеантичная торевтика Грузии, Toreutics of Georgia.

Minns 1971: Minns, E.H., Scythians and Greeks, Survey of Ancient History and Archaeology on the North Coast of the Euxine from The Danube to The Caucasus. New-York, *Biblo & Tannen*.

Mizandari 1988: მიზანდარი მ., დიონისეს ქანდაკება ქართლის მიწაზე, საბჭოთა ხელოვნება, #8; The sculpture of Dionysus from Kartli, Journal *Sabch. Khelovneba,* pp.111- 116, # 8, Tb.

Muskhelishvili 1978: მუსხელიშვილი დ., ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ.; Muskhelishvili, D., *Archaeological data from Khovle settlement*. Tb.

Odisheli 1995: Odisheli, M, Spätantike und frühchristliche Mosaike in Georgien, Wien.
Olszewsky 2013: Marek T**.** Olszewsky, The iconographic programme of the Cyprus mosaic from the House of Aion reinterpreted as an anti-Christian polemic; Et in Arcadia Ego. Studia memoriae professoris Thomae Mikocki dicata, W. Dobrowolski, T. Płóciennik (ed. by), Warsaw: Institute of Archaeology, University of Warsaw, Warsaw 2013, pp. 207-239, Pls 74-86.
Ramishvili 1979: რამიშვილი რ., ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში, თბ, 1979. Ramishvili R., Ertso valley in the Late Armazi period, Tbilisi.
Ramishvili 1983: რამიშვილი რ., (რედ.), ჟინვალი I, არქეოლოგიური კვლევა- ძიება არაგვის ხეობაში, თბ. Ramishvili R. (ed), Jhinvali I, Archaeological researches in the Aragvi valley, Tb.
Pavlenishvili 2008: ფავლენიშვილი ლ., ხოვლეს აკლდამის არქიტექტურა, ანგარიში. Pavlenishvili L., The architecture of Khovle tomb. Report.
Savay-Guerraz, Veysseyre 2004: Savay-Guerraz, H., Veysseyre, P., Des objets qui racontent l'histoire, St-Romain-en-Gal, Lyon.
Shatberashvili 2007: შატბერაშვილი ვ., სამარხი ხოვლედან, ჟურ. *იბერია-კოლხეთი* №3; The Rich Furnished Burial from the Village Khovle. jour. *Iberia-Colchis* (ed. G. Gamkrelidze) #3, pp. 87-96.
Shatberashvili 2005: Two Painted Glass Jugs from the Village Khovle (Georgia), Annales of the 17th Congress of the International Association for the History of Glass, Antwerp, pp 217-221.
Sorokina 1975: Сорокина Н.П., Антиохский расписной сосуд из Танаиса, Античная Археология, Краткие Сообщения, 143, Москва, сс. 93-95 ; A Painted Antiochian Glass Jug from Tanais', Jour. Ancient Archaeology, Breef Communications, 143. Moscow, pp. 93-95.
Tait 1991: Tait, H. ed., Five Thousand Years of Glass. London, British Museum Press.
Tskitishvili et al., 1979: Цкитишвили Г., Гветадзе Д., Накаидзе Н., Берадзе Э., Квиташвили Р., Рамишвили А., Нуцубидзе А., Итоги Работ Кавтисхевской Археологической Экспедиции, ПАИ в 1976 г., Тб., с. 117-130.Tskitishvili G., Gvetadze D., Nakaidze N., Ramishvili A., The results of archaeological expedition of Kavtiskhevi, Field archaeological works in 1976.
Wight 1994: Wight, K., Mythological Beakers, A Re-examination. *Journal of Glass Studies* 36, p.24-55.
Whitehouse 1997: Whitehouse, D. Roman Glass in the Corning Museum of Glass, v. 2.

ILLUSTRATIONS:

Fig. I – The Khovle tomb, drawing, and photo.

Fig. II – 1. The bottle, made of transparent greenish glass; 4. The bottle, made of transparent greenish glass; 2, 3, 5 6. Unguentariae, transparent greenish glass; 7. Pot, clay.

Fig. III - Dionysus ewer.

Fig. IV - Bellerophon ewer.

Fig. V- 1,2. Bowl, silver; 3,4. Dish, silver.

Fig. VI- 1-8. Wooden legs of a funerary bed with silver covering; 9,10. The mirror, bronze; 11, 12. The handle of an unidentified item, bronze; 13,14. Stand, iron; 15-16. Lamp, iron; 17. The wooden handle of the knife; 18. Knife, iron; 19.20. The fragments of the bone sheath of the knife.

Fig. VII – 1,2. The Aureus of the Roman Emperor Elagabalus; 3-6. Silver Drachm of the Parthian king Gotarzes; 7,8. Silver Denarii of Emperor Augustus; 9. Golden plate;10,11. Silver Plates; 12. The fragment of the silver artifact; 13,14,15. Silver buckles; 16. Silver tubular item, silver; 17. Bronze nails; 18. Cornelian, rock crystal, and opaque white glass, beads.

I



II



III

a b c d e

a b c d e

IV

a b c



V





1

2

3



4

0 5

VI



VII

SUMMARIES

NECROPOLISES OF FIRST CENTURIES OF CHRISTIANITY FROM ABKHAZIA

Irma Berdzenshvili

Among the Late Classical and early medieval sites in Abkhazia, the *Bichvinta* and *Tsebelda* necropolis have been studied in the most planned and complete way *Bichvinta* necropolis is distinguished by the diversity of tomb types. In fact, *Khahsufse, Achmarda and Lapsta* necropolises (in the *Khahsufse* river valley) are unexplored. Small-scale excavations were held near churches in *Ochamchire* and *Gantiadi*. The grave of 4th - 5th centuries was excavated in 2002 in *Achandara, at Tsoukhua* Hill.

The following types of Early Christian burials have been identified in Abkhazia: 1. Pit burials. This type is common almost everywhere and is the leading type of burial. Cremation and inhumation forms of this type are present in *Tsebelda and Bichvinta*; 2. Clay (brick) slab tombs (*Bichvinta, Sokhumi, Ochamchire, Gantiadi*); 3. Tile-tombs (*Bichvinta*); 4. Amphora tombs (*Bichvinta*); 5. Lime mortar tombs (*Bichvinta*); Similar tombs were excavated in 2003-2009 within the framework of the rehabilitation project of the *Bagrati* Cathedral in *Kutais*i, where a luxurious tomb of a noble woman was found. The burial ritual of *Bagrati* graves is analogous to those of Tsebelda (*Abgidzrahu*). 6. Tombs built with stone slabs, bricks, tiles and mortar (*Sokhumi, Gantiadi, Shapka*); 7. Circular in plan tombs built with conglomerate and big stones, so-called Well-graves (*Bichvina*); 8. Rectangular in plan, built with conglomerate and blocks pit tombs (*Bichvina*). 9. Tombs built with stone slabs (*Gantiadi*); 10. Stone sarcophagi (*Bichvinta, Sokhumi, Mramba, Kamani*); Two of them (*Sokhumi, Bichvinta*) have anthropomorphic shapes. Their closest analogue is the sarcophagus found in the 20s of the 20th century in Kutaisi, in the vicinity of the *Bagrati* temple, which is now preserved at the historical-ethnographic museum of Kutaisi.

The archaeological data indicates that there were various types of burials in the territory of today's Abkhazia during the pre-Christian era. It's likely that the ethnic and religious diversity of the population, social status, gender, and in some cases, the peculiarities of geography and terrain were the reasons for this. Despite the spread of the new belief, some of the population, particularly in the mountainous region, continued to observe the old customs. Most Christian tombs can be found in coastal areas (*Bichvinta, Gantiadi, Ochamchire*). This is a natural consequence of the fact that ideas from the East or the West were easier to establish here. **Illustrations:**

Fig I. 1. *Sokhumi* sarcophagus (photo by l. Khushkova 2018); 2. *Bichvinta* sarcophagus (l. Khushkova 2002); 3. *Kutaisi* sarcophagus (Ir. Berdzenishvili).

***

BRONZE SITULAE, BOWLS AND CALDRONS WITH "ZOOMORPHIC "HANDLES FROM GEORGIA

Nino Sulava

In the Georgian archaeological literature, the term - Situla - mainly refers to the bronze cup-shaped vessel, which is widespread in 8th-7th BCE centuries in the Caucasus, in the areas of Colchian Bronze and the so-called Koban Bronze Cultures.

The *situlae* with zoomorphic handles found in the territory of Georgia have different sizes. The main typological feature of those vessels is a zoomorphic handle (one or rarely two handles, the upper part of which is an imitation of the sharpened ears of an animal and the back side is either not

ornamented or is decorated with a braided ornament). They have wide, everted rims and wide bodies. The body is either not ornamented (type I a) or covered with vertical curved grooves -flutes (type I b), sometimes the flutes are decorating only the upper part of the body (type I c). The bottom of the vessel has the shape of an overturned saucer.

Bronze *situlae* with zoomorphic handles are known from*: Brili, Kvishari, Lechkhumi, Zekari, Vani, Kurzu, Kobuleti, Tlia, Shuakhevi*. Outside the borders of Georgia, they were found in Ossetia, Kabarda, Uckraine (*Zhabotino, Tagancha*), Azerbaijan (*Chaili*) and Armenia (*Malakhlu*).

According to the chronology developed for the Tlia tombs which contain fibulae, zoomorphic handled cups began to exist from the late 9th -early 8th centuries BCE.

Cups: I a type -. Including 8th-7th centuries BCE; type I b - 7th century BCE- until the second half of the 6th century BCE; type I c- from the second half of the 8th century until the first half of the 7th century BCE.

Cauldrons: I a type - From the first half of the 7th to the first half of the 6th century BCE; I b type- from the second half of the 8th to the first half of the 7th century BCE; ; I c type- From the second half of the 7th to the first half of the 6th century BCE.

Bowls: types I a, I b, I c, I d - exist from the second half of the 7th century to the first half of the 6th century BCE.

Bronze vessels are especially characteristic of the sites found on the southern slope of the central part of the Caucasus, which are included in the area of the Colchian bronze culture (with its local variants and infiltration zones) that originated on the basis of well-developed copper-bronze metallurgy.

The formation of their morphological features was greatly influenced by local pottery shapes and decorative motifs, as well as the contacts between Southern Europe and the Caucasus. The tradition of making bronze vessels in Georgia lasted until the end of the 19th century. Imported vases and fluted bowls appear in the Caucasus in the 6th century BCE. **Illustrations:**

Fig. I – Typological-chronological table of bronze situlae according to the materials from *Tlia* necropolis. The artifacts are labeled with the numbers of *Tlia* necropolis assemblages [Техов 1980: fig. 114, grave # 264; Техов 1985: fig. 104, grave 41; Техов 1980: fig. 108, grave # 254; Техов 1981: fig. 53, grave 51; Техов 1980: fig. 113, grave # 262; Техов 1981: fig. 86, grave 302]).

Fig. II – Typological-chronological table of bronze caldrons according to the materials from *Tlia* necropolis. The artifacts are labeled with the numbers of *Tlia* necropolis assemblages [Техов 1981: fig. 111, grave # 161; Техов 1985: fig. 7, 213, grave # 68; Техов 1985: fig. 189, grave # 300]).

Fig. III – Typological-chronological table of bronze bowls according to the materials from *Tlia* necropolis. The artifacts are labeled with the numbers of *Tlia* necropolis assemblages) [Техов 1981: fig. 52, gravei # 242; Техов 1981: fig. 77, grave # 271; Техов 1985: fig. 194, grave #306; Техов 1985: fig. 172, grave # 253].

***

GLAZED POTTERY VESSELS OF 1ST-4TH CENTURIES CE DISCOVERED ON THE TERRITORY OF THE *KARTLI* (*IBERIA*) KINGDOM

Koba Koberidze

Glazed pottery amphoriskoe and glazed miniature vessels have been rarely discovered in the assemblages dated to the Roman period on the territory of eastern Georgia, which is known as

Iberian kingdom from the Roman and Greek written sources and Kartli Kingdom from Georgian sources. Such glazed vessels were available only for the nobles of Iberian kingdom during 1st-4th centuries. Wholly, only 34 Roman period glazed vessels were discovered on the territtory of eastern Georgia. They are made by white, kaolin clay, either by hand or by potter's wheel. Mostly, they are glazed in green, and fully glazed except the orifice and the foot.

It can be suggested, that such a small number of these vessels indicates that they don't belong to the local production. Supposedly there was no knowledge or tradition of producing of glazed pottery in Iberia during Roman period. Still, there are different versions of their origins: some of the scientists argue that they were locally produced, while others suggest that they were imported.

There is a completely different situation on the territory of the Near East comparing the Georgia. For instance, green glazed pottery vessels were widespread among the population and they were available even for the very poor people in Parthia and Mesopotamia (in Kish, Babylon, Nippur etc.), and also in minor Asia during 1st-3rd cent. CE.

Similar glazed amphoriskoe were widespread in Iran during the Parthian and Early Sasanian period. They were also discovered is Seleucia (modern Iraq) and in Dura-Europos (Syria) in the Late Parthian cultural layers.

It is obvious, that the glazed amphoriskoe from Georgia are identical to the glazed vessels, which were widespread during the Parthian and Early Sasanian periods (1st-3rd centuries CE.) in Dura-Europos, and in Seleucia on Tigris. Glazed vessels from Mesopotamia are of low quality, as well as in Georgia. Some of the glazed vessels' rims and base were remained unglazed in Dura-Europos (Similar glazed vessels were attested in Georgia also).

Abundant glazed pottery vessels were discovered alongside the common ceramic ware in Mesopotamia. It means, that glazed vessels did not represent luxury items there and were made for daily uses only. Exactly such low qualitiy glazed vessels were imported from Mesopotamia into the eastern Georgia.

Green glazed pottery vessels became the most widely used ware after the common ceramic ware in Mesopotamia from the first century BC. Chronologically, the spreading of green glazed pottery in Dura-Europos and in Seleucia, as well as in Georgia, coincides with the expansion of the Parthian Empire, although most forms of these vessels had, probably, been already developed in Hellenistic times. The types of glazed vessels became much more varied during the 1st-2nd centuries CE. Among them two handled amphoriskoe should be mentioned.

We can assume after the investigation that glazed pottery vessels were imported from Parthia, Seleucia, and Dura-Europos in Kartli kingdom during the 1st-4th centuries. Imported vessels are of a low quality. Therefore, archaeological materials proof, that Iberian kingdom had close cultural-economical relations with Iran and Mesopotamia during the 1st-4th centuries CE. **Illustrations:**

Fig. I. 1. Glazed amphoriskos from *Beshtasheni* Necropolis. 1st century CE. 2. Glazed amphoriscos from *Armaziskhevi* Necropolis, 2nd century CE. 3,4. Glazed pot from *Samtavro* Necropolis. 3rd-4th cent CE. 5-7. Glazed amphoriscoe from *Samtavro* Necropolis, 3rd-4th cent CE. 8. Glazed amphoriscoe from *Aragvispiri* Necropolis, 3rd-4th cent CE

Fig. II. 1.2. Glazed amphoriscoe from *Koghoto* Necropolis. 3rd-4th cent CE . 3. Glazed pot from *Akhali Jhinvali* settlement, 3rd century CE. 4.5. Glazed pot from *Urbnisi* Necropolis. 4th century CE. 6. Glazed amphoriscos. Seleukia. Late Parthian period. 7. Lead-Glazed ceramic vessel: the skyphos from east Anatolia and the askos from Italy. 1st century CE.

Fig. III. 1-2. Glazed amphoriscoe Dura Europos (Syria). 1st-3rd cent CE.

***

TERRACOTTA FIGURINES DISCOVERED ON THE TERRITORY OF GEORGIA
(5th cent. BCE – 4th cent. CE)

Anna Davitashvili, Maia Charkviani

The article deals with terracotta figurines dating from the 5th cent. BCE – 4th cent. CE that have been unearthed on the territory of Georgia and published in scholarly literature. The primary goal of the study was cataloguing of terracotta figurines and their classification according to their function, chronological order and geography of finds. Obtained data enabled us to present terracotta figurines as one of the valuable sources for the study of ancient Iberia and Colchis, as well as their extensive cultural exchanges with ancient Greece and Rome.

In total, 84 terracotta objects have been discovered on the territory of Georgia. They consist of 18 anthropomorphic figurines, 13 zoomorphic ones, 10 figurines representing deities, 4 tiny altars, 10 masks, 26 pieces of architectural details (antefixes and exterior decoration tiles) and 3 molds.

We can distinguish three chronological periods the figurines can be attributed to. The first one starts from the end of 6th cent. BCE and lasts until the first half of the 3rd cent. BCE and is represented with terracotta figurines of deities Demeter, Eros, Aphrodite from *Pichvnari* necropolis, as well as zoomorphic figurines of a turtle and boar from *Tsikhisdziri* burials, Gorgoneion antefixes from the city-site of *Vani*, and figurines of a muse and sheep from *Uplistsikhe*.

The second period (second half of the 3rd cent. – 1st cent. BCE) stands out for the variety of terracotta figurines – figurines of deities and anthropomorphic ones, masks, architectural details from *Van*i and *Sakanchia* settlement-site. Masks and haut-relief busts of Dionysus and Ariadne from *Sarkine* settlement-site. The finds of molds for figurines of Silenus, Hercules, Asclepios (?) are especially noteworthy as they are indicative of a local production. The third period (1st – 4th centuries CE) features mainly architectural details – antefixes, decorative tiles for exterior, tiny altars.

Chronological grouping of terracotta figurines contributed to further elucidation of their functionality, e. g. figurines of Demeter from period one, are immediately connected to the spread of farming and respectively, fertility cult. The second chronological period abounds in figurines of Dionysus, his companions and masks, indicates great popularity of cult connected to viticulture.

The order of territorial diffusion of terracotta objects has been ascertained – Eastern Black Sea littoral (*Tsikhisdziri, Pichvnari*), central Colchis (*Vani*) and Eastern Georgia (*Uplistsikhe, Mtskheta*).

Illustrations:

Fig. I – 1. Demeter (not fully preserved) [Dzneladze 2000:31, fig. I, 1]; 2. Demeter) [Dzneladze 2000:31,fig. I, 1]; 3. Eros [Dzneladze 2000:25-31,fig. I, 3]; 4. Sylen [licheli 1991: 64-65, fig. XXXVIII]; 5. Dionysus (not fully preserved) [Gamkrelidze 2001: 135-138, pict.1];6. Sitting Demeter [Dzneladze 2000:26,fig. I, 2]; 7.Muse sitting on the rock [Kipiani 2001:32-33]; 8. Aphrodite [Dzneladze 2005: 40-42, fig. I, 4]; Ariadne [Bokhochadze 1973:42, fig 2].

Fig. II – 1. The fragment of a human face [Ramishvili 1976: 200, pict. 149]; 2. A fragment of a man's hair [Ramishvili 1976: 197, pict.147]; 3. A Lyre player [Khakhutaishvili 1964: 73-74, pict.3]; 4. The image of a woman's head [Ramishvili 1976: 201, pict 145]; 5. Sitting figure of a woman [Chkonia 1986: 110, pict.5]; pict. 6.the image of human nose and upper lip [Ramishvili 1976, pict. 148]; pict. 7. Hair and beard curl [Matiashvili 2013: 73 pict. 163]; 8. The fragment of a human figure [Gigolashvili et al. 1979: 45, pict. 43]; pict. 9. The fragment of a human figure [licheli, 1991, 80, fig. XXXVIII]; pict.10. Female Torso [Gigolashvili et al. 1979, 111, pict. 179]; pict. 11. The image of a woman's head [Chkonia 1986, 110, pict.4]; pict. 12. The image of a woman's head [licheli 1991, 77-78, fig. XL];

Fig. III – 1. The figure of a turtle [Dzneladze 2006: 152-153, pict.4]; 2. The figure of a boar [Dzneladze 2006: 152-153, pict.5]; 3. The fragment of a figure of a horse [Khakhutaishvili1964: 25, pict. 9]; 4. The figure of a horse [Khakhutaishvili 1964: 71, fig XLIII, pict.1]; .5. The figure of a dog [Gigolashvili et.al 1979: 105, pict. 816]**;** 6: The image of a sheep [Khakhutaishvili 1964: 71, fig. XLIII, pict. 3]; 7. The fragment of a depiction of an animal [Khakhutaishvili 1964: 25, pict.10]; 8. The fragment of a depiction of a calf [Khakhutaishvili, 1964, 39, pict.1-4].

Fig. IV – 1. A woman's mask with grapes [Bokhochadze 1973: 40]; 2. A woman's mask from Sarkine [Chologauri 2021: fig. III, pict. 10]; 3. A woman's mask from Sarkine [Chologauri 2021: fig. III, pict. 10]; 4. The fragment of a mask [Chologauri 2021: fig. III, pict. 10]; 5. The fragment of a mask from Vani [Matiashvili 2013: pict. 888]; 6. A man's mask from Sarkine [Chologauri 2021, fig. III, pict. 10]; 7. The fragment of a woman's mask [Gigolashvili et al. 1979: 75, pict. 437]; 8. The mask - the depiction of Dionysus [Ramishvili, 1976, 198, pict. 150]; 9. The mask with the depiction of grapes [Ramishvili 1976, 71, pict. 146]; 10. Fragments of a mask [Puturidze, 1986: 38, pict. 5].

Fig. V–1. Altar [Todua 2006: 169-174, fig. I]; 2. Altar's model [Matiashvili 2013: pict. 465]; 3. Altar (column) [Matiashvili 2013: pict. 464]. 4. Altar [Gamkrelidze, 2014: 27].

Fig. VI–1. Antefixes with a depiction of lion and Acanthios [Kipiani 1993: 67-68, fig. XL,2-4]; 2. Antefixes with a depiction of pelmets [Kipiani 1993: 66, fig. XL,1, 5]; 3. Decorative plate [licheli 1991: 80, 81 fig. XLI, XXXVII, pict. 2]; 4. Ivy flower [Puturidze 1986, 35, pict. 6]; 5. Antefix from Gonio (Gonio Museum); 6. Rosette [Matiashvili 2013: fig. XL, pict. 463]; 7. Haut-relief [Khakhutaishvili, 1964: 19, fig. X, pict.2]; .8. Detail with three figures [licheli 1991: 80, fig. XXXVII]; 9. Antefix from Mtskheta [Digmelashvili 2013: 225-241]**;** 10. Decorative plate [licheli 1991: 80, fig. XLLli]; 11. Wall decoration [Matiashvili 2013: pict. 164]; 12. Decorative fragment [[licheli 1991: 80, fig: XKLI]; 13. Antefix with a depiction of a woman [Matiashvili 2013: pict. 526]; 14. Antefixes with a depiction of Medusa Gorgona [Kacharava et al.2007: 57, fig. V, pict. 1-2]**.**

Fig VII - 1. Mould (Hercules or Asclepios?) [licheli 1991: 50-53, fig. XXXIX]; 2. Mould, Silenus [Matiashvili 1977: 113-114, pict.111]. 3. Mould (stamp) Hercules [Matiashvili 1977: 113, pict.112].

***

SHORT OVERVIEW OF BORIS KUFTIN'S RESEARCH AT THE CLASSICAL PERIOD SITES OF GEORGIA

Tina Abulashvili

The sites of the Classical period on the territory of Georgia were studied by many scientists at different times, among them was Academician Boris Kuftin. During 1936-1940, Boris Kuftin identified and researched the following sites from that period: *Eshera, Dablagomi, Ochamchire, Tashbash, Rosenberg, Sapar-Kharaba, Santa, Jria,* etc. Below we present some important sites studied by Boris Kuftin. Despite having limited data, B. Kuftin produced a periodization, relative, and absolute chronology for these sites. Through detailed descriptions of archaeological material, typological analysis, and comparison with similar analogous material from the museum collections in Georgia and other countries, he was able to date the sites and assemblages. He based his conclusions on the archaeological evidence found, which convincingly solved the issue of the settlements' chronology. In his conclusions, he proceeded from the discovered archaeological material, on the basis of which he convincingly resolved the issue of the chronology of the settlements. Based on the parallels, he distinguished chronological stages, and defined the role of ancient Georgia in the history of world culture.

***

THE STUDY OF THE TECHNOLOGY OF METALLURGY OF SEVERAL NON-FERROUS METAL ARTEFACTS FOUND AT KVEMO GOSTIBE

Zizi Tortladze, Givi Inanishvili †.

The article deals with the study of the technology of metallurgy of several non-ferrous metal artefacts found in Kvemo *Gostibe* grave (the 2nd half of the 3rd century to the 1st half of the 4th century CE), which was performed at the republic diagnostic and processing laboratory of Georgian Technical University with the use of X-Ray fluorescent spectrometer.

The technological analysis of the artefacts yielded the following conclusions: the compositions of open-worked buckles represent a synthesis of Colchian-Iberian ornamental metal casting and surface processing; they incorporate elements of the technology of pre-ancient bronze product working (casting with a wax model, engraving, cutting, soldering of uniform materials); they are a reflection of the perfect process of continuation and development of the local traditions of nonferrous metallurgy and did not have Roman influence.

Illustrations:

Fig. I - Non-ferrous metal artefacts found in *Kvemo Gostibe* Roman Period necropolis. **Fig.2** - Non-ferrous metal artefacts from *Racha*. **Charts: 1-** Chemical composition of metal objects found at the Roman necropolis of *Gostibe*. **2-** Chemical composition of metal objects found in *Racha*. **3-** Chemical composition of metal objects from various regions of Georgia.

***

SILVER EWERS FROM THE BURIALS OF THE IBERIAN ARISTOCRACY

Lana Chologauri

A rich burial inventory is of great significance for the study of the various aspects of the social, cultural, and economic development of the Kingdom of Iberia in late antiquity. Among the rich burial inventory, silver vessels deserve much attention due to their value and importance for ancient societies. The theme of this article is one group of late antique silverware from Iberia, which on its own is the subject of my doctoral research. Such a group includes sixteen silver ewers discovered in the rich burials of the Iberian aristocracy. Individual pieces of this group have been studied by Georgian scholars since the time of their discovery. However, this article is the first attempt to study the chronological and cultural attribution of the ewers and define their function in the burial rite based on the comparative methodology of the items as well as examining their archaeological context.

Twelve ewers out of sixteen have been found in pairs in the rich burials of *Armaziskhevi* (burials N1, 6, and 7), Samtavro (tomb N905), *Magraneti* (*Kushanaant Gora,* burial N1), and *Aragvispiri* (burial N13) cemeteries, while each piece has been discovered in *Zghuderi* (Sarcophagus N1), *Tskhinvali, Bori,* and *Modinakhe* (burial N36). The disturbed archaeological context of the *Zghuderi, Bori*, and *Tskhinvali* discoveries makes it possible that the ewers in those graves were deposited in pairs, but only one piece has reached us. Together with the detailed description of each piece and their discovery context, we aim to suggest our view regarding the function and cultural attribution of the items. Moreover, based on the data available to us, we tried to create a chronological chart of the Iberian silver ewers to see the development of their forms and the décor. Based on the study of the discovery context of each ewer, examining the manufacturing technologies and particular elements of their shape and décor, as well as comparing them to contemporary Roman, Parthian, and Sasanian examples, we came up with the following conclusions: Silver ewers were an important part of the burial rite of the Iberian nobility. Their discovery context highlights that they should have

been placed in a vertical position in the head area of the deceased and supposedly filled with liquids. It is possible that the ewers were filled with wine and, together with the silver bowls discovered in the same burials, were used for commemorative libations during the burial ritual. The silver ewers from Iberia should be considered the finest examples of the Iberian silver workshops of the second and third centuries. Finding no exact resemblance outside of Georgia but drawing some parallels with Roman silver jugs (handle, rim, high foot), the products of the Iberian artisans reflect a harmonious mixture of the local and contemporary Roman silverwork traditions and their development throughout the century. Iberian silver ewers simultaneously highlight the tenacity and innovations in the forms and the décor from the mid-second to the late-third or early fourth centuries CE.

In the end we would like to mention that the conclusions suggested in this article are based on the information available to us via the published sources. We very much hope that the future studies, and perhaps the discoveries, may shed new light on some problems and unanswered questions regarding the silver ewers and, more broadly, the silver production in Iberia in late antiquity.

***

ONCE AGAIN ABOUT THE TECHNOLOGY OF BRONZE MATERIAL OF THE ROMAN PERIOD

Givi Inanishvili †, Teimuraz Parjanadze, Nino Kalandadze

Western orientation of Georgia and the process of its integration into Europe makes still more attractive the theme of the research dealing with the road that was passed by the Georgian state. The cultural relations between Rome and the Kingdom of Kartli (Iberia) during the Late Roman period seem to be the most significant aspect.

Active trade-economic contacts of the Kingdom of Kartli with the Roman world in the 1st -3rd centuries CE were accompanied by diverse cultural relations and correspondingly with the still wider spreading of Roman culture. This situation is rather well reflected in the material-cultural sites of Kartli of the Roman era. This is why, the scientific study of the issue of the spreading of Roman import is very important for the history of economics of the Kingdom of Kartli of the 1st-3rd cent. CE.

The research of archaeological sites reflecting cultural relations between the Kingdom of Kartli of the 1st-3rd cent. CE with Rome was implemented by using modern methods of history, archaeology, chemistry, physics, and metallurgical sciences. Artifacts made of nonferrous metals were subjected to spectral, micro-X-ray-spectral and X-ray fluorescence (non-destructive) analysis; Elements of the technological scheme of making bronze objects were determined according to the data on chemical composition of the material, melt the base, the main alloying elements and microelements. The research implemented by us once again proves that being the significant section of the Transcaucasian route of the Great Silk Road, the Kingdom of Kartli had intense trade and cultural relations with the civilized world of that period, and first of all, with the Roman Empire, and that the military-strategic interest, on the one hand and trade-economic interest, on the other hand, was the major factor for the progress of relations between Iberia and Roman Empire. Besides, territorial closeness and a similar level of social-economic development contributed to the strict and diverse relations of the Kingdom of Kartli with Hellenic towns of Minor Asia. Artifacts studied by us prove that the population of Iberia during the Roman period was a society, whose everyday life was greatly influenced by Western culture and mythology, which to a certain extent was fused with the ancient lifestyle formulated from times immemorial.

Illustrations:

1-Patera from *Zguderi*. N 90-65:261**.** **2-** Pitch from *Samtavro*. N 12-54:10698. **3-** Amphora from *Dedoflis gora*. N 27-977:958**.** **4-** Patera from *Bori*. N 9-31:14**.** **5-** Patera from *Samtavro*. N 12-54:13460**.** **6-** Bronze Bell from *Dedoplis gora*. N 27-977:6801.

***

TACITUS PUBLIUS CORNELIUS

(**Excerpta ad Georgiam pertinentia**)

"**Annales...**", "**Historiae...**"

TACITUS' INFORMATION ABOUT GEORGIA

Georgian translation of Latin text with a preface and comments

was published by **Alexander Gamkrelidze.**

Georgian publication of one of the most important Latin sources of the history of Georgia (1st century CE) of the Roman historian Tacitus (Publius Cornelius Tacitus; - "Annals", "Histories" - excerpts).

შემოკლებების განმარტება: ABREVIATIONS:

აკც — არქეოლოგიური კვლევის ცენტრი.
აძ — არქეოლოგიური ძიებანი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).
ბამ შრომები — ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, ბათუმი (რედ. ამ. კახიძე).
ენიმკი — ენის, მატერიალური კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტე.
ჟურ. იბერია-კოლხეთი — საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ჟურ. საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი (რედ. გ. გამყრელიძე).
იაეხის — ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია.
კაეფ - კავკასიის არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ფოლკლორისტიკა (რედ. გ. ღამბაშიძე).
კაე შრომები — კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები (რედ. კ. ფიცხელაური).
მსე — მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის
მსკა — მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიაში (რედ. ან. აფაქიძე).
საკძ — საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება.
სდსძ — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები.
სიკძა — საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა.
სინ — საქართველოს ისტორიის ნარკვევები (რედ. გ. მელიქიშვილი).
სმამ—საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია (რედ. გ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი).
სმს - საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია.
სსმაე — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები.
სსმმ — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.
სსმმ — ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.
ქც — ქართლის ცხოვრება.
ძმ — ძეგლის მეგობარი.
ძიებანი — ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).
АО – Археологические Открытия.
ВДИ – Вестник древней истории.
Икиаи – Известия Кавказского историко- археологического института.
ИГАИМК – Известия Государственной Академии истории материальной культуры.
КСИА – Краткие сообщения Института Археологии.
МАК - Материалы по археологии Кавказа.
МИА – Материалы и исследования по археологии СССР.
НС – Нумизматический сборник.
ПАИ – Полевые археологические исследования (ред. О. Лордкипанидзе)
РАЕ - Российский археологический ежегодник.
ТОНГЭ – Труды отдела нумизматики Государственного Эрмитажа.
СА – Советская археология.
САИ - Свод археологических источников, Москва.
AA – Archaologischer Anzeiger.
LIMC – Lexicon Iconographicum Mythologiae Classicae.
RM – Mitteilungen des Deutschen Archaologischen Instituts , Romische Abteilung.
NC – The Numismatic Chronicle.
AGSM – Annual of Georgian State Museum.

ინფორმაცია ავტორებისთვის

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტის ჟურნალში — „*იბერია-კოლხეთი*“, საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი (**IBERIA-COLCHIS**, Researches on the Archaeology and History of Georgia in the Classical and Early Medieval Period), სამეცნიერო ხასიათის სტატიები იბეჭდება. სტატიები ქართულ (*ინგლისური რეზიუმეთი*) და ინგლისურ ენაზე მიიღება; დაახლოებით 20 გვერდი. ამ რაოდენობაში შედის: ძირითადი ტექსტი, ლიტერატურის სია, ტაბულების აღწერილობა და ტაბულები. რედაქციას უნდა ჩაბარდეს სტატიების ელექტრონული ვერსია და მისი ამონაბეჭდი. გვერდის ზომა, სტანდარტული**, A4;** დაკაბადონება — Normal; ფონტი (შრიფტი) – _! Kolhety. ზომა – 11. სტრიქონებს შუა ინტერვალი — 1,15. ლათინური შრიფტისთვის გამოიყენეთ — Calibri (Body).

დამოწმებული ლიტერატურის მითითების წესი: ტექსტში მითითება კვადრატულ ფრჩხილებში უნდა იყოს. მაგალითად — [ლორთქიფანიძე 1987: 129, ტაბ. I, სურ. 5]. ბოლოში, ლიტერატურის სია უნდა იყოს ანბანზე დალაგებული (ქართული, ლათინური და სხვ.) — ავტორის გვარი, ინიციალები, სათაური, გამოცემის ადგილი. **მაგალითად** — ლორთქიფანიძე 2002: ლორთქიფანიძე ოთ. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი (**თბ**.). პერიოდული გამოცემის ან კრებულის მითითებისას წინ დაურთე — კრებ. ჟურ. და თუ შესაძლებელია რედაქტორის გვარი; აუცილებელია გვერდების მითითება. მაგალითად - Gamkrelidze 1998: Gamkrelidze G. Ein Rhyton mit utterdarstellung aus der Kolchis. - jour. Archaologische Mitteilungen aus Iran und Turan, Band 30, Berlin, S. 211-216. თუ ერთსა და იმავე ავტორს ერთ წელიწადში ორი ან მეტი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული, ისინი უნდა დალაგდეს ანბანზე. მაგალითად - Шелов 1956 **ა**; Шелов 1956 **ბ**. ცალკე გვერდზე უნდა იყოს წარმოდგენილი გამოყენებულ შემოკლებათა განმარტების სია. **სასურველია ნაკლები სქოლიოები.**

მოთხოვნები ილუსტრაციული მასალის მიმართ: ილუსტრაციები მხოლოდ **JPEG-**ფორმატში (ფოტოები, ნახაზები, გრაფიკა); ელექტრონული ვერსია, მაღალი ხარისხის, არანაკლებ 300 რეზოლუციის. ტაბულებს თან უნდა ახლდეს აღწერა. გვერდების პაგინაცია აღინიშნოს ქვემოთ და ცენტრში. ტაბულებს ნომრები დაეწეროს ზემოთ და ცენტრში. სტატია უნდა ჩაბარდეს არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტში, ჟურნალის - *იბერია-კოლხეთი* - სარედაქციო საბჭოს მდივანს მარინე კვაჭაძეს.

-უმორჩილესად გთხოვთ, დავიცვათ ყველა ეს რეკომენდაცია-